

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

ილია აბულაძე

უ რ ო მ ე ბ ი

II

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1976

პროფესორ ილ. აბულაძის შრომათა II ტომში თავმოყრილია მის მიერ სხვადასხვა დროს სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული შრომები, რომლებიც ეხება ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიას, ძველი ქართული ენის ლექსიკას. სომხურ-ქართულ ლექსიკოლოგიურ ურთიერთობებს, ალბანურ დამწერლობას და სხვა. აქვე შემოდის გამოკვლევათა სერია, რომელიც იბეჭდებოდა სათაურით – „კეფხისტყაოსნის ლექსიკიდან“; ამასთანავე ლექსიკოლოგიური და გრამატიკული საკითხებისადმი მიძღვნილი ისეთი ნა-შრომებიც, რომლებიც ავტორს გამოუქვეყნებელი დარჩა და მის პირად არქივშია დაცული.

რედაქტორები: გ. ნ ი ნ უ ა, ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე

რედაქციისაგან

პროფესორ ილია აბულაძის შრომათა წინამდებარე ტომში შევიდა სერიები — „ძველი ქართული ენის ლექსიკიდან“, „ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან“, „ქართულისა და სომხურის საერთო ზმარების სიტყვები“. აქვე შემოდის მის მიერ სხვადასხვა დროს სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული სხვა საენათმეცნიერო ნაშრომებიც.

სტატიები დალაგებულია თემატურ-ქრონოლოგიური პრინციპით. ილია აბულაძის მიერ გამოცემული ტექსტების ფილოლოგიური გამოკვლევები, სადაც, სხვათა შორის, ძეგლის ენის შესახებაც არის ხოლმე მსჯელობა, ამ ტომში არ შევიდა იმ მოსაზრებით, რომ გამოკვლევა უმჯობესია ტექსტთან ერთად იყოს და იქვე გაეცნოს მას მკითხველი.

რედაქციამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ამავე ტომში მოეთავსებინა ილია აბულაძის რამდენიმე საენათმეცნიერო სტატია (სულ 8) მისი პირადი არქივიდან. ამ სტატიებიდან სამი ავტორს სომხურსა და რუსულ ენებზე აქვს გამოქვეყნებული („ძველი ქართულის ლექსიკიდან: დილეგი, სადილეგო“, „სომხური დიალექტური ფორმები X საუკუნის ერთი ქართული ხელნაწერის მიხედვით“, „ქართულისა და სომხურის საერთო სიტყვები: პინჩი, გურკნა“). მათი ქართული დედნები და დანარჩენი ხუთი სტატია პირველად აქ ქვეყნდება.

სომხურ ენაზე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში ილია აბულაძეს განხილული აქვს ქართული და სომხური ენებისათვის საერთო სიტყვა „კაწახი — *կոժახ* (კოწახ)“. სასურველი იყო, მკითხველი წინამდებარე კრებულში ამ სტატიასაც გასცნობოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ილია აბულაძის არქივში ეს სტატია ქართულ ენაზე არ აღმოჩნდა (ხსენებული სომხური სტატია გამოქვეყნდება ილია აბულაძის შრომების ბოლო, IV ტომში).

არქივიდან ამოღებულ მასალაში არის წერილები სერიებიდან „აქველი ქართულის ლექსიკიდან“ და „ქართულისა და სომხურის საერთო სიტყვები“. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა მათი შესაბამისი სერიის სტატიებთან მოთავსება, რედაქციამ უმჯობესად ჩათვალია, ისინი არქივის სხვა მასალასთან ერთად ბოლოს დაერთო კრებულისათვის.

სხვადასხვა დროს დაწერილი ეს სტატიები ილია აბულაძემ, ცხადია, გარკვეული მიზეზით დატოვა გამოუქვეყნებელი; შესაძლოა, მათი ან ახალი მასალით შევსება ჰქონდა მიზნად, ანდა თვითონ მოსაზრება საჭიროებდა ავტორისაგან გადასინჯვას, ასე რომ ტომისათვის არქივის მასალის ბოლოს ერთად დართვა ამანაც განაპირობა.

ილია აბულაძე

ძველი ქართულის ლექსნიკიდან

1. გოვარი — გუარი

ქართული ენის ძველ ძეგლებში ქვეყნის მოსახლეობის აღმნიშვნელ ტერმინებს შორის „გუარა“-საც ვხვდებით.

მოსახლეობისა და მის ერთეულთა აღმნიშვნელი ყველა ტერმინი ძველი ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით აღნუსხული და გამოკვლეული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს თავის „ქართული სამართლის ისტორიაში“¹. აქ განხილულია შემდეგი ტერმინები: ტო(პ)მი, ნათესავი, ერი, გუარი, სახლი და კომლი. ამათგან პირველი სამი — ტო(პ)მი, ნათესავი და ერი — ცალ-ცალკე და ერთი-მეორის შენაცვლებითაც, მცხოვრებთა საზოგადო, შემკრებელობითი ცნების გამოსახატავ ტერმინებად არის მიჩნეული, ხოლო დანარჩენი სამი — გუარი, სახლი და კომლი — პირველი სამის, როგორც უდიდესი ერთეულის, შემადგენელ მცირე ერთეულებად არის წარმოდგენილი.

„გუარის“ შინაარსისა და ხმარების ხანის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილს ნათქვამი აქვს:

„გუარი“ ანუ „გვარი“ უძველეს ქართულ მწერლობაში, არც სახარებაში და არც პირველი ხანის მარტვილობებში, არც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეში, არსად არ გვხვდება და შედარებით გვიან ჩნდება. თუ არ ვცდები გვარეულობის აღსანიშნავად ამ ტერმინს, ვითარცა ჩვეულებრივ სიტყვას, საისტორიო მწერლობაში პირველად დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხმარობს. მაგრამ ცხოვრებაში და ლაპარაკში ალბათ ამაზე კარგა ხნით ადრე უნდა ყოფილიყო გავრცელებული, რათგან ისტორიკოსს ეს სიტყვა განუმარტავად მოჰყავს და არც ეტყობა, რომ იგი სრულებით ახალი, ან ცოტა ხნის შემოღებული იყოს... (გვ. 22).

„გუარის“ მონაცვლე ტერმინად, აკად. ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით, ძველიდანვე ყოფილა „სახლი-ც“, რომელიც საკუთრივ „ერთ-ცოლქმრობაზე დამყარებულ ოჯახსაც“ ნიშნავდაო (გვ. 24).

თავისი დასკვნები აკად. ივ. ჯავახიშვილს ძველი ქართული წყაროების (უმთავრესად გამოქვეყნებულის) უხვი შოწმობებიდან გამოჰყავდა. დასკვნების გამოტანისას მკვლევარი ყოველთვის სათანადო სიფრთხილეს იჩენდა, რადგან კარგად იცოდა, რომ, მიუხედავად მის მიერ მოხმობილ წყაროთა უხვი მონა-

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი პირველი, გვ. 13—26, თბილისი, 1928.

ცემებისა, ქართულ ძველ მწერლობას, რომლის უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია, შრავლად აღმოაჩნდებოდა სხვა, კიდევ უფრო მარჯვე შოწმობანი, რომლებიც უფრო ზედმიწევნით ვახდინენ განსახილავი საკითხის (ამ შემთხვევაში ტერმინის) ცალკე, კერძობით მხარეს.

მართლაც, გამოუქვეყნებელი ძველი ქართული ხელნაწერი ძეგლების შესწავლისას თანდათანობით მეტადდება ახალ-ახალი მასალა, რომელსაც ამა თუ იმ ტერმინის რაობის გარკვევაში მეტი სინათლე შეაქვს.

ერთი ასეთი ძველი ხელნაწერი, რომელიც „გუიარის“ შინაარსისა და მისი აღრიხველი ფორმის დადგენისათვის გვაწვდის ახალ მასალას, დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, სახელდობრ, ყოფილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში — S 1139. იგი მრავალმხრივ საინტერესო ნუსხას წარმოადგენს როგორც ხელის მიხედვით, ისე შინაარსითაც. ნაწერია ის ნუსხახუცური ხელით. გადაწერის თარიღი, როგორც ერთ-ერთი გადამწერის ხელით შესრულებული მინაწერიდან ირკვევა, დაახლოებით X ს-ის 30-იანი წლებია, რადგან ამ მინაწერში დღევანდელი დაცვაზეა საუბარი დავით მამფლისა, რომელიც, როგორც ცნობილია¹, 943 წელს გარდაიცვალა შემონაზენებული. ასეთი ძველი თარიღიანი ნუსხა-ხუცურით შესრულებული ხელნაწერი კრებული იშვიათია. ჩვენში, ყოველ შემთხვევაში, მისი ხანის სხვა რომელიმე ასეთივე სვლით შესრულებული ხელნაწერი არ გვეგულება. შინაარსით ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს ე. წ. მსოფლიო წმ. მამათა რჩეული ნაწარმოებისას, რომლებიც გარკვეულ თემაზეა აგებული, რის გამო ერთი სხვა, მომდევნო ხანის (1040 წლის) თითქმის მისებრი შედგენილობის ხელნაწერის (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის H ფონდის ხელნაწ. № 1651) გადამწერი მას „მარხვის საკითხავების წიგნს“ უწოდებს. კრებულში შესული მასალა ძირითადად თარგმანს წარმოადგენს. ენობრივ ნიშნულობაზეა მიხედვით იგი VIII ან IX ს.-ში უნდა იყოს თარგმნილი².

აღნიშნულ კრებულში ფართოდ არის წარმოდგენილი იოანე ოქროპირი. მასში შეგავალ მის ერთ-ერთ ნაწარმოებში, რომელსაც ეწოდება „სიტყვასა მისთჳს მოციქულისა, რომელ თქუა, ვითარმედ: ქრისტემან მშჯღობა ყო სისხლითა თჳსითა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“, გვხვდება სწორედ მოსახლეობის აღნიშნული ზემოთხსენებული ტერმინი, ჯერ ცრ. თი. ისეთი ფორმით, რომელიც დღემდის ცნობილ თაგან განსხვავდება, და მეორეც: ისევე სკონტრასტში, რომელიც საშუალებას იძლევა მისი შინაარსის დასადგენად საქართველოს აღრეული საუკუნეებისათვის.

¹ სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გამოცემა III, ვ. თაყაი შვილისა, თბილისი, 1949 წ.

² ამ ხელნაწერის შესახებ დამზადებული მაქვს ნაშრომი: „ქრონიკანი დაწერილობის ქართული ერთი უძველესი ხელნაწერი (X ს-ის 30-იანი წლებისა)“, რომელიც მოხსენებად წ. ვიკითხე საქართ. სახელ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში 1951 წლის 23. III-ს. კრებული ანგამად გამოცემად მაქვს დამზადებული.

„აწ უკუე, ძმანო, ნუმცა ვინ თქუნგანი კანნიერ იქმნების წარ-
დგონად წინაშე წმიდასა მას ტაბლასა და მოღებად ჳორცსა ქრის-
ტესსა, რომელსა აქუნდეს გონებასა მანკიერებად, გინა შური, გინა
შფოთი, გინა ძკრის-ჳსენებად ვისთჳსმე, რამეთუ მრავალნი კატაგანნი
ამპარტავან და ზუავ არიან, განლაღებულ ძმათა თჳსთა ზედა და იქ-
დიან გოვარსა და ტომობასა ქუეყანისა ნათესაეთასა და იტყ-
ჳან: მე იგი ვინმე ვარ და მისი შვილი ვარ. რომელი იქადის ნათე-
სობითა ქუეყანისადა და ჳორციელთა, უვარ უყოფიეს მას ნათესა-
ობად იგი ზეცისაჲ, სულიერი, რამეთუ ჩუენ ყოველნი ერთ ვართ და
ერთი მამად გჳვის, რომელ არს ცათა შინა, — არა არს მონება, არცა
აზნაურება, არა არს სიმდიდრე, არცა სიგლახაკე, არცა მთავრობა
და შეურაცხება, არცა ძლიერება და არცა უძლურება, არამედ ჩუენ
ყოველნი ერთ გუამ ვართ და ერთისა გუამისაგან მოგუაქს, უფლისა
ჩუენისა იესუ ქრისტესა, და ყოველნი ერთსა საძოვარსა ვძოთ. ვინ
უკუე შემძლებელ არს მიწდომად გოვარსა უპატიონსენსა უფროჲს
ქრისტეანობისა, ანუ ვინ წემძლებელ არს სახელის-ღებად თავისა
თჳსისა მამად უფროჲსა ქრისტესა?! არა ყოველნი ერთობით ვიტყჳთა:
მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა?!

აწ უკუე, რომელი იქადის ძმასა თჳსსა ზედა გოვართა ქუეყანი-
სადა და იკადრებს მისა სიტყუად, ვითარმედ: შენ ვინ ხარ? და არს
იგი ქრისტეანე მისებრვე და ძმად მისი მადლითა, და იგი უვარ ჳყოფს
მას და იქადის მამასა ქუეყანისასა დაღევადა. ჩუენ ყოველნი ძმანი
ვართ ქრისტეს მიერ და იგი შეგჳმოსიეს ნათლის-ღებასა, და რამეთუ
ქრისტე, ღმერთი ჩუენი, ერთ არს და ყოველთა ერთისაგან გუამისა
მოგუაქს, ვითარ უკუე შემძლებელ ვართ აღზუავებად ერთიერთისა
ზედა და სიქადულად?!...“ [გვ. 137—138]

მოყვანილი ნაწყვეტიდან საგულისხმოა ხაზგასმული სიტყუები, პირველ
ყოვლისა წინადადება: „იქადიან გოვარსა და ტომობასა ქუეყანისა ნათე-
სათასა და იტყჳან: მე იგი ვინმე ვარ და მისი შვილი ვარ“.

აქაც დასწავანაც საგულისხმოა სიტყუა. — „გოვარი“. 1040 წლის ჳემორე
დასახელებულს ერთ სხვა ნუსხაში ის ყველგან წარმოდგენილია „გუარის“
სახით, ე. ი. იმ ფორმით, რომლითაც ის დღემდის არის ცნობილი. ამ ფორ-
მათა დამოკიდებულების შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, აქ მისი შინა-
არსის გარკვევას უნდა მივყოთ ზელი.

„იქადიან გოვარსა (ანუ გუარსა) და ტომობასა ქუეყანისა ნათესაეთა-
სა“-ო, აშბობს ძეგლი. ამ ფრაზაში ქუეყანისა ნათესაეთა გოვარსა (ანუ: გუარსა)
და ტომობა: ჳე საუბარი ქუეყანისა ნათესაეთა აქ მოსახლეობის ყველაზე
უფრო ზოგადი, შემკრებლობითი ცნების გამომხატველი ტერმინი ჩანს. იგი
დღევანდელი მნიშვნელობით ხალხს, ანუ ერს, ეროვნებას, უდრის. მისი შემა-
ღგენელია გოვარი და ტომობა, ანუ ტომი.

ავტორის განმარტებით, ამ ქვეყნის ნათესაეთა, ე. ი. ხალხთა წევრები
ერთმანეთის მიმართ იქადიან თავისი გვართა და ტომობით: „მე იგი ვინმე

ვარ და მისი შვილი ვარ“-ო. მაშასადამე, გვარი თუ ტომი ჩამომავლობას გულისხმობს, ხოლო სიქადული გვართა და ტომობით — ერთი-მეორისადმი უპირატესობის აღიარებას თავისი, წინაპრით, გვარისა და ტომის დამღები მამით. ასეთი დაპირისპირება ერთმანეთისადმი ადამიანთა შორის, ქრისტიანი ავტორის თქმით, შეფასებულია, როგორც „სიქადული ქუეყანისა ნათესაობითა“, რაც მაშინ ხდება, როცა უარყოფილია ან უგულვებელყოფილია „ნათესაობაჲ იგი ზეცისაჲ, სულიერი“, რომლის მიხედვით ასეთი დაპირისპირება ქრისტიანთა შორის არაა დასაშვები, რადგან „ყოველნი ერთ ვართ და ერთი მამაჲ გუვის... ერთ გუამ ვართ და ერთისა გუამისაგან მოგუაქუს, უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“. ამდენადვე, ქრისტეს მიმღვერობა, ქრისტიანობა „გოვარია უპატიოსნეაი“, ხოლო ქრისტე — ყოველთა მამაჲ, „ღმერთი ჩუენი ერთ არს და ყოველთა ერთისაგან გუამისა მოგუაქუს“. „სიქადული გოვრითა ქუეყანისაჲთა“, ავტორის აღიარებით, მაშინ მკლავდება, როცა ვინმე „იქადის მამასა ქუეყანისასა დაღვედასა“.

ამრიგად, სულიერისა და ხორციელის, ზეცისა და ქვეყნის ნათესაობის ერთმანეთთან ავტორისებრი შეპირისპირებიდან ნათლად ჩანს, რომ ქვეყნის მოსახლეობა, ანუ „ქუეყანისა ნათესაი“, შინაგან ნაწილდება ტომებად და გვარებად, რომლებიც (განსაკუთრებით გვარები, რადგან ამ სიტყვას უფრო ხშირად ვახაზავს ავტორი) ისეთ ცალკეულ ერთობებს („ნათესაობებს“) წარმოადგენენ, რომლებსაც თავ-თავისი, საკუთარი მამისაგან მოაქვთ ჩამომავლობა.

ტომის მნიშვნელობა ძველ ქართულში და მისი ეტიმოლოგიაც გარკვეული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს. იგი, მისი აზრით, მოსახლეობის ზოგადი, შემკრებლობითი ცნების გამომხატველიცაა ზოგჯერ და კერძობითისაც, როგორც უდიდესი ერთეულის შემადგენელი მცირე ერთეული. წარმოშობით ეს სიტყვა მას უცხოურად მიაჩნია: „ტომში სპარსული სიტყვაა და თესლს, გვარსა ნიშნავს. ეს სიტყვა შეთვისებული აქვს სომხურსა და ასურულსაც“-ო¹. უფრო დაწვრილებით ამ სიტყვის ეტიმოლოგიას სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფ. პრ. აქარიანი განიხილავს. მისი განმარტებით, სიტყვა ირანულია, კერძოდ ფალაური. ამ სიტყვის ირანული ფორმები ასეთია: „...ფალაური—*توم, توم, توم* „თესლი (მცენარისა და კაცისა), შთამომავლობა, გვარი“... სპარსული — *توم* (უძველესი ფორმა), *توم* „თესლი, კერცხი, გვარი, წარმოშობა“ ...და სხვ... მკვლევარი ეთანხმება აკად. მ. ბროსეს და ქართულ „ტომს“ სომხურის გზით შესულად წარმოიდგენს ქართულში². სწორია, რასაკვირველია, პროფ. პრ. აქარიანი, როცა სომხ. „ტომ“-*თომ*-ის ფალაურიდან მომდინარედ მიიჩნევს, თუმცა არც აკად. ივ. ჯავახიშვილი ცდება, როცა მას სპარსულიდან მომდინარედ აღიარებს, ვინაიდან ის სპარსულად საშუალო სპარსულს, ე. ი. ფალაურსაც მიიჩნევს³.

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაწყვეთი პირველი, გვ. 17, თბილისი, 1928.

² *Հ. Աճառնյան, Հայերէն սიტყմասկան ճամբար, VI հատոր, 939—40.*

³ ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, გვ. 148, თბილისი, 1928.

პროფ. პრ. აჭარიანის მოსახრება, რომ „ტოპმი“ ქართულში სომხური გზით არის შემოსული, დამაჯერებელი არაა, რადგან არაერთგვაროვანი პირდაპირი ნიშანი არ გავგაჩნია ამის დასამტკიცებლად, — ქართული და სომხური ფორმები თანაბრად იმეორებენ წყაროს. ეს მით უფრო საეჭვოა, რომ ქართულს მოეპოვება სომხურის მეშვეობის გარეშეც არა ერთი და ორი ფალაური სიტყვა, რომელთა როგორც ფორმოზობრივი, ისე შინაარსობრივი იგივეობა ან სიახლოვე ფალაურთან მოწმობს მათ ამ წყაროდან უშუალო მომდინარეობას. ამის მასაჩინობებელ ნიმუშებს ეპოულობთ თვით პროფ. პრ. აჭარიანის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში და ზოგიერთ ახალს მის გარეშეც¹, რომელთა დამოუკიდებელი შეთვისება ქართლის მიერ პროფ. აჭარიანმაც შეიწყნარა². სხვა საქმეა, ცხადია, როცა ლომობრივი ან შინაარსობრივი მხარე ასეთი წარმომავლობის სიტყვებისა სომხურთან და არა პირველ წყაროსთან გვაახლოვებს; მაშინ უეჭველია, რომ ისინი სომხურიდან არიან შემოსული ჩვენს ენაში.

„ნათესავის“ ანუ მოსახლეობის შემადგენელი ერთი მამის ჩამომავალი სხვა ერთეულის სახელწოდების — „გუარისა“ — ეტიმოლოგიას მკვლევართაგან საგანგებოდ არაინი შეხებია³. აკად. ივ. ჯავახიშვილი ამ ტერმინის მხოლოდ უადრინდელესი ხმარების საკითხს არკვევს. მისი სიტყვით „ტერმინი „გუარი“ მე-XI ს-ზე უჩინარეს ქართულ სამწერლობო ენაში არა ჩანს“⁴. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს განსაზღვრა სწორია, თუ გამოქვეყნებულ წერილობით წყაროებს მივიღებთ მხედველობაში. გამოუქვეყნებელი ხელნაწერი წყაროების მიხედვით. კი, როგორც ზემოთ მოყვანილი მასალიდან ჩანდა, „გუარის“ ხმარებას ქართულ მწერლობაში ძირეც ვხვდებით. ჯერჯერობით მისი არსებობა დადასტურებულია X ს-ის 30-იანი წლების დასახლებულს კლარჯულ ხელნაწერ კრებულში, რომელშიც წარმოდგენილი ტექსტები ენობრივი ნიშნულობის მიხედვით, ჩვენი ფიქრით, თარგმნილი უნდა იყოს VIII ან IX ს-ში. ამრიგად, „გუარის“ არსებობა ქართულ სამწერლობო ენაში VIII—IX სს-დან ფაქტია.

„გუარი“ ხსენებულ ხელნაწერში „გოვარის“ სახით არის ყველგან წარმოდგენილი. მისი მომდევნო ხანის, 1040 წლის, ხელნაწერში კი „გოვარის“ ნაცვლად უკვე ყველგან „გუარია“. მაშასადამე, „გუარის“ წინარე ფორმა ქართულ მწერლობაში „გოვარი“ ყოფილა: გოვარი → გუარი. ასეთი გადასვლა „ოვა“ კომპლექსისა „უა“-დ ქართლისათვის უცხო არ არის. სამოწმო

¹ ილია აბულაძე. ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, გვ. 082—093 (განსაკუთრებით გვ. 085), თბილისი, 1944 წ.; იხ. აგრეთვე მისივე «*ზეხაქა*» დიქციონარი, სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, № 1-2, გვ. 105-6, ერთეული 1944 და *საქართველოს ქართველურ-გეოგრაფიული საზღვარგარეშე*. „სომხეთის სსრ მეცნ. აკადემიის ენის ინსტიტუტის შრომები“, ტ. III, გვ. 300-303.

² *Հ Առաւել*, *საქსოცსტა* & *Armenica A.* „სომხეთის მეცნ. აკად. მოამბე“, № 5. ერთეული, 1944, გვ. 26.

³ გაკვირვით პროფ. იუსტინე აბულაძე აქვს მიითითებული „ეისრაჰიანის“ ლექსიკონში სიტყვა „გუართან“ ირან. „გოვართ“-ი (საკ. ჯიში), რომლის მიხედვით „გუარი“ სათანადო კონტექსტში ესმის, როგორც „გეაროვნობა, წარმოშობა, ჩამომავლობა“. იქვე მას „ეისრაჰიანის“ ხმარებულ „გოვარი“-მ მოჰყვა, „როგორც „მარგალიტის თელის“ აღმნიშვნელი, რომელთადაც დაკავშირებით ირან.-სომხ. „გ-გარ“-ზე მიათითებს.

⁴ ივ. ჯავახიშვილი. ქართული საზარტლის ისტორია. წიგნი I. გვ. 148. თბილისი, 1928.

მაგალითი დასახელებულ ხელნაწერებშივე გვხვდება. ასე მაგ., ძველში ყველგან იკითხება სანოვაგე, ხოლო მერმინდელში — სანუაგე. ასეთივე რიგისაა ცხოვარი-ი → ცხუარი-ი → ცხვარი-იც.

„გოვარი VIII—IX სს.-ის უწინარესაც უნდა არსებულებული ქართულ სიტყვახმარებაში. და ეს იმიტომ, რომ, როგორც უკვე პროფ. პრ. აქარიძის აქვს გარკვეული, ამ სიტყვის დღემდის ცნობილი სახე „გუარი“ ახლო კავშირშია ძველი სომხურის *გაღარ*-თან, რომელიც, მისივე მტკიცებით, სომხურს ქართულიდან აქვს შეთვისებული.

სომეხ მეცნიერს თავის კამბიალურ ნაშრომში — „სომხურ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ — სიტყვა *გაღარ*-ის შესახებ შემდეგი უწერია —

გაღარ, *ღ-* ბრუნებისა, „ოლქი ან ოლქის ნაწილი“ (ბიბლია... ფარპელი, ელისე), საიდანაც არიან: *გაღარაკ* (ბუზანდი), *გაღარაკან* (...ეგების ქრონიკა), *გაღარაკიძე* (ბუზანდი), *გაღარაკი* (I მაკაბ. 3,1), *გაღარაკან* (ბიბლია), *გაღარაკანოქი* (ეგების ისტორია), *გარგარაღარ* (ეფრემი), *გარგარ* (ბორენელი), *გარგარაკ* (გრ. ლეთისმეტყველი), *გარგარაკ* (I მაკაბ. 3,37 და 6,1; ბუზანდი). ახალი სიტყვებია: *გარგარაკ*, *გაღარაკარაკ*, *გაღარაკანოქი* და სხვ...

კავკასიური ან ხალღური ოჯახიდან სესხებული სიტყვაა, შდრ.: ქართული — „გვარი“, „გვარიანი“, „გვარობა“, „გვარტომობა“; თურქული — „გორ“. ესენი, აქვთ რა მათ უფრო ზოგადი და პირვანდელი მნიშვნელობა, არ შეიძლება სომხურიდან იყვნენ სესხებული“.

(შემდეგ მოჰყავს ბიბლიოგრაფია იმისა, თუ ვის მოეპოვება ამ სიტყვის ეტიმოლოგიის ცდა. გამოთქმულ მოსაზრებებს არ იწყნარებს. იხ. მისი *გარგარაკ* *არქაოლოგიის რევიუ*, ტ. II, გვ. 103—104].

პროფ. პრ. აქარიძის მიერ წარმოდგენილი ეტიმოლოგია და მისი საყრდენი სწორი ჩანს, მით უმეტეს ეხლა, როცა სომხურ *გაღარ*-ს გვერდით უდგება ქართული „გუარის“ უძველესი ფორმა „გოვარ“-ი. სომხური *გაღარ*-ი მართლაც ქართულიდან შეთვისებული სიტყვა უნდა იყოს: გოვარი-ი → *გაღარ* (ნათეს. ბრ.-ქ).

ქართულში „გოვარი“ ერთი მხმის ჩამომავალი მოსახლეობის ერთეულს (გვარეულობას) აღნიშნავს, ხოლო მისი სომხური შესატყვისი *გაღარ*-ი ამავე მოსახლეობის მიწა-წყლის, ტერიტორიის შემადგენელ ერთეულს — კანტონს, რომელიც ძველად ხშირ შემთხვევაში ცალკე საგვარეულოს ეკირა ხოლმე.

ამრიგად, ამ სიტყვებს ურთიერთთან ფორმასთან ერთად შინაარსიც ანათესავენ.

სომხურ მწერლობაში, როგორც პროფ. პრ. აქარიძის ნაშრომის ზემოთ მოყვანილი ამონაწერიდან ჩანს, *გაღარ*-ი და მისგან წარმოქმნილი თუ მისით შედგენილი სიტყვები გვხვდება ბიბლიაში, რომელიც V სს.-ის თარგმანად ითვლება, და ამ საუკუნის ზოგიერთ სხვა წერილობით წყაროშიც. აქიდან

¹ ძველი ქართულის ძეგლებში სომხ. *გაღარ*-ის შესატყვისი სიტყვებია: სანახები, სოფელი, ქუყანა, კვი (ილ. აბ.).

აშკარაა, რომ სომხურ ენას ეს სიტყვა ქართულიდან აღრევე. VIII ს-ის უწინარეს, შეუთვისებია, რაც თავის მხრივ იმას მოწმობს, რომ „გოვარი“ ქართული ენის ერთი უაღრესად სიტყვათაგანია.

И. В. АБУЛАДЗЕ

ИЗ ЛЕКСИКИ ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

Резюме

Среди этнических терминов в грузинском языке имеется слово — *გუარ-ი* „род“. Ранее употребление этого термина в грузинской письменности, судя по обнародованным материалам, как утверждает акад. И. А. Джавахишвили („История грузинского права“, т. I, стр. 148), не уходит в глубь XI в. Но изучение древних рукописей грузинского языка, проводимое автором статьи, показывает, что этот термин является весьма древним, уходящим в глубь XI в. Это видно из того, что, во-первых, он встречается в рукописи 30-ых годов X века, и то в архаической форме *გოვარ-ი*, а во-вторых, памятник, в котором он зафиксирован впервые, являясь переводным, по языковым приметам должен быть отнесен к VIII или IX вв.

По толкованию проф. Р. Ачаряна („Армянский этимологический словарь“, т. II, стр. 103—104) армянское слово *գավառ* — „провинция, кантон“ представляет заимствование или из халдского, или же из южнокавказских языков, а именно грузинского *გუარ-ი*. Мнение проф. Р. Ачаряна подкрепляется вновь открытой архаической формой этого груз. слова — *გუარ-ი* ← *გოვარ-ი*, которая фонетически еще ближе стоит к армянскому слову *գավառ*, встречающемуся в арм. письменности с V века. Последнее обстоятельство в свою очередь ясно указывает на еще более древнее употребление грузинского слова *გუარ-ი* ← *გოვარ-ი* и его принадлежность основному словарному фонду грузинского языка.

ილია აბულაძე

ძველი ქართულის ლექსიკიდან

2. საკუთარი¹

საკუთარი ქართულში ძველიდანვე გვხვდება. იგი მოიპოვება როგორც ორიგინალურს, ისე თარგმნილ ძეგლებში. ეს სიტყვა დღესაც ფართოდ იხმარება. მისი ასეთი გავრცელება და მისგანვე წარმოებული სხვა სიტყვების არსებობა იმას მოწმობს, რომ ხსენებული სიტყვა ქართული ლექსიკის ძირითად ფონდს ეკუთვნის.

ჯერ მარტო საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონს რომ მივმართოთ², იქ შევხვდებით როგორც ამ სიტყვას, ისე მისგან წარმოქმნილ „უსაკუთრეს-სა“ და „შესაკუთრება-ს“. ამ ლექსიკონის 1928 წლის გამოცემაში რედაქტორთაგანის, პროფ. ა. შანიძის მიერ ჩართული საძიებელი „საკუთარ-ისა“ და მისგან წარმოქმნილი სიტყვებისათვის — „უსაკუთრეს-ისა“ და „შესაკუთრებისათვის“ — მარტივ ფუძედ ნაჩვენებია კუთ, რომელთანაც, გარდა აღნიშნული სიტყვებისა, დასახელებულია ლექსიკონში შესული კიდევ ერთი სიტყვა „განკუთვნა“, როგორც საერთო ფუძისა და მნიშვნელობის მქონე პირველებთან, და მითითებულია იქვე („შდრ.“-თი) ფუძითა და მნიშვნელობით რამდენადმე განსხვავებულ „კუთვნა-ზე“, რომელთანაც თავის მხრივ დასახელებულია, ერთი მხრით, ფუძითა და მნიშვნელობით ამასთან დაკავშირებული „დაკუთვნა“ და „მკუთქნელი“ და, მეორე მხრით ფუძით რამდენადმე განსხვავებული, მაგრამ მნიშვნელობით მახლობელი ზემოთ აღნიშნული „განკუთვნა“.

საბა-სულხან ორბელიანი „საკუთარ-ს“ შემდეგნაირად განმარტავს: „ესე არს განთვსებული საქმე (+ ვითარცა თუალისათჳს ფერი, ყურისათჳს სმენა, ცხვირისათჳს ყნოსა, პირისათჳს გემო და ესევეითარნი საკუთარნი B)“. ამ განმარტებიდან ისე ჩანს, რომ საკუთარი ნიშნავს დამახასიათებელ მხარეს, სპეციფიკურ რამეს, თვისებას, რაც სხვებისაგან გამოარჩევს ერთ მოვლენას თუ საგანს.

„უსაკუთრეს-ზე“ საბა-სულხან ორბელიანს შემდეგი აქვს ნათქვამი: „უამით (უამთ) უპირველესი (უპირველესი B)“. სულ ნათელი არაა, რა უნდა გვითხრას ამით საბამ. „უამით თუ უამთ უპირველესი“, პირველ ყოვლისა, ხნით უპირველესსა თუ უადრინდელესს გულისხმობს, რაც ძველ ქართულში „უხუცეს-ით“ აღინიშნებოდა.

¹ პირველი წერილი („გოვარი—გუარი“) იხ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. IV, 1952, გვ. 363—369.

² სულხან საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, თბილისი, 1928.

„შესაკუთრება“ ლექსიკოლოგთან ახსნილია საკუთარი (აკუთარ-ყოფა), რაც, ამ უკანასკნელის ზემორე წარმოდგენილი საბასეული განმარტების მიხედვით, ვინმესთვის დამახასიათებლობას, სპეციფიკურობას, სხვებისაგან გამორჩეულობას უნდა გულისხმობდეს.

უძველესი, ამ სატყეებთან დაკავშირებულად მიაჩნია ს.-ს. ორბელიანს „განკუთვნა“, როცა ის მას ასე განმარტავს: „სრულიად შესაკუთრება“. ამ განმარტებასთან მითითებულია ადგილი ბიბლიიდან (ისო 21, 14), სადაც იკითხება: „მისცა ისუ... ძეთა აპრონ მდღლისათა... ლებანა და განკუთნებულნი გარემოს მისსა, და იეთერი და განკუთნებულნი გარემოს მისსა, ესთემო და განკუთნებულნი გარემოს მისსა... აქ ხმარებული „განკუთნებულნი“, რომლისათვის საწყისად (მასდრად) საბას „განკუთვნა“ აქვს მიჩნეული, ისეთი შესაკუთრება ირკვევა, რომელიც აკად. ივ. ჯავახიშვილის ახსნით „ქალაქისათვის გააოხრებულს, გამოყოფილს აგარაკს ჰნიშნავს“. ამდენად „შესაკუთრებისას“ მოცემული განმარტება — „აკუთარყოფა“ — უპირატესად შეიძლება მიკუთვნებასა თუ კუთვნილებად ქცევის გულისხმობდეს.

ამ სიტყვისათვის („განკუთვნა“) ლექსიკოლოგს მეორეგვარი განმარტებაც ჰქონია, როგორც ეს ჩანს ლექსიკონის BC რედაქციის ნუსხებიდან: „განკუთვნა — სრულიად შესაკუთრება, გინა მსახურყოფა“. ამ სხვაგვარი განმარტებისათვის ის, როგორც მისივე ლექსიკონიდან ირკვევა, ხელმძღვანელობს ბიბლიის წიგნებიდან: იერემიას 44,3-ით, სადაც კუთვნვა მოიპოვება, ეზეკიელის 20,32-ით, სადაც დაკუთვნვაა, და დანიელის 3,12-ით, სადაც მკუთვნველი გვხვდება. ეს, უთუოდ ერთისა და იმავე ფუძისაგან — „კუთნისაგან“ — წარმოქმნილი სიტყვები, მითითებული ადგილების მიხედვით, როგორც „კუთვნასთან“ და „მკუთვნ[ნ]ელ-თან“ მოყვანილ განმარტებათაგან ჩანს, მსახურებას აღნიშნავს: „კუთვნა“ — (მსახურება) (ლექსიკონში განმარტება არ ახლავს, მხოლოდ მითითებაა: „44,3 იერემია“), „დაკუთვნა“ — (მსახურება) (არც აქ ახლავს განმარტება, მარტო მითითებაა: „20,32 ეზეკია“), „მკუთვნ[ნ]ელი“ — მსახურებელი (3,12 დანიელ)“. ასეთ განსაზღვრას ამოწმებს ბიბლიის უცხო ტექსტებიც, კერძოდ სომხური:

კუთვნვა: „წარსრულთა კუმეად და კუთვნად ღმერთთა სხუათა — *იფი რსაყენ ქონისა იოქსანსკ ს ყაჯიხს ღასათიჯაბა თარაჲ* (იერემია 44,3).

დაკუთვნვა: „ეიყენეთ ვითარცა წარმართნი და ვითარცა ტომნი ქუეყანისანი დაკუთვნად ძელთა და ქვათა“ — *სიქილიჲ მსღ ქერს უსქანისი ს ქერს ვაიფა ხერქი ყაჯიხს ღქაყათ ს დგარქნა* (ეზეკ. 20,32).

მკუთვნ[ნ]ველი: „ღმერთთა შენთ არა მკუთვნველ არიან“ — *ეს ვქსა კი იჯ ყაჯიხს* (დანიელ 3,12). სომხურში ყველგან ამ სიტყვას *ყაჯიხს*, ე. ი. მსახურება (აქ ღმერთთა, ქვათა და ძელთა) შეესატყვისება.

მსახურების, თაყვანისცემის, ზრუნვისა და შოვლის შინაარსის მატარებელი ყოფილა ქართული „კუთვნა-ს“ ბერძნული და ლათინური შესატყვისები: *λατρεῖν* და *colere*, როგორც ამას აკად. ივ. ჯავახიშვილი არკვევს¹.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე. თბილისი, 1939. გვ. 392.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე. თბილისი, 1929. გვ. 394.

როგორც ვხედავთ, საბას ლექსიკონის ზემოთ განხილული, ურთიერთ-თან ახლო მდგომი ერთი წყება სიტყვები—საკუთარი, უსაკუთრესი, შესაკუთრება და განკუთვნა—ძირად ან ფუძედ კუთ-ს გვიჩვენებს, რომელიც კუთვნილების ან საგანგებო დამახასიათებელი თვისებისა თუ ნიშნის ქონების ცნებას ატარებს, ხოლო მეორე წყება—კუთნა, დაკუთნა და მკუთ[ნ]ველი—ფუძედ კუთ-ს აჩენს, რაც მსახურების ცნებას გადმოსცემს. „განკუთვნასთან“ საბას მიერ მოყვანილი განმარტება—„სრულად შესაკუთრება, გინამსახურ ყოფა (BC)“—უქველია, იმისგან წარმოდგება, რომ საბა ამ ორ ფუძეს შინაარსობლივ ერთგვარად განსხვავებულად მიიჩნევს.

ეს ფუძეები აღნიშნული მნიშვნელობებით—კუთვნილება-მსახურებით—ერთმანეთისაგან დაუცილებლად აქვს გაგებული და დაფასებული აკად. ივ. ჯავახიშვილს საკუთრების ცნების შინაარსის გამორკვევისას. ამაზე ის ერთგან წერს: „ცხადია, რომ საკუთარი, საკუთრება, განკუთვნა, ერთი და იმავე ძირისაგან წარმომდგარი ტერმინებია და ნაწარმოებია, როგორც სანუკვარი, თავსართი „სა“, „გან“-ისაგან, ძირისა, „კუთ“-ისა და ბოლოსართების „არი“, „რება“ და „ვნა“. ამ ტერმინების პირველადი მნიშვნელობის გაგება გაგვიადვილდებოდა. ამ ნაწარმოებთა ძირის მნიშვნელობა რომ გვცოდნოდა.

„საბედნიეროდ „კუთნა“ ძველ ქართულში თავისდა-თავადაც იხმარებოდა. ირკვევა, რომ ქართული „კუთნა“ ბერძნული *καταειν*-ისა და ლათინური *colere*-ს, სომხური *պահել*-ის მსგავსად მსახურებას, თაყვანისცემას, ზრუნვას და მოვლას ჰნიშნავდა. ამისდა მიხედვით „საკუთარი“ თავდაპირველად (ხაზი ჩვენია, ე. ა.) მოსავლეის, საზრუნავისა და სათაყვანებელის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ამგვარად, საკუთრება ის იყო, რაც საზრუნავი და მოსაველი, თანაც სათაყვანებელი იყო იმ საერთოსა და ზოგადისა, საზიაროსაგან განსარჩევად, რომლისათვისაც თვითოეულ წევრს საგანგებო მზრუნველობა არ სჭირდებოდა. თუ „საზეპურო“ (ე. ი. როგორც ავტორი განმარტავს—„აღამიანის პირადი საკუთრება“, ან უფრო ადრე „სებუპრის“, ანუ წარჩინებული საგვარეულოს წევრის საკუთრება“—ე. ა.) წარჩინებულთა საგვარეულოების წევრთა საკუთრების აღმნიშვნელი იყო (ეს ირანული მომდინარეობის სიტყვაო, აღნიშნავს იქვე ავტორი—ე. ა.), „საკუთარი“ ამ ცნების ზოგადი თვისების საყოველთაო ტერმინი ჩანს და სწორედ ამით აიხსნება, რომ დროთა განმავლობაში გამარჯვებული სწორედ ეს ტერმინი აღმოჩნდა, „საზეპურო“ კი სრულებით გაქრა⁵.

ამრიგად, აკად. ივ. ჯავახიშვილს კუთ-სა და კუთნ ძირებსა თუ ფუძეებს შორის, რომელთაგან კუთ საკუთარ-საკუთრებისა და კუთვნილების ცნებას უკავშირდება, და კუთნი მსახურება-თაყვანისცემისა და ზრუნვა-მოვლისას, საბასაებრ ურთიერთისაგან რამდენადმე გამიჯნულად კი არ წარმოუდგენია, არამედ პირველად მათთვის მას მსახურება-ზრუნვა მიაჩნია, ხოლო საკუთარ-საკუთრება აქიდან გამოჰყავს.

შესაძლებელია, მართლაც, საკუთარ-საკუთრება და განკუთვნა სიტყვები ასეთი წარმომავლობისა იყვნენ, მაგრამ მათი ძირის, კუთ-ის პირველადი მნიშვნელობა თითქოს იგივე იყოს, რაც კუთ-ისა (= მსახურება-ზრუნვა),

⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, გვ 394.

ზოგიერთი ძველი ქართული წერილობითი წყაროთი, რომლებიც მაშინაც, როცა აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომს აქვეყნებდა, გამოუცემელი იყო და დღესაც უმთავრესად ხელნაწერების სახითვეა დაცული, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სხვაგვარად წარმოგვიდგება.

VIII—IX სს-ში ბერძნულიდან თარგმნილი ერთ-ერთი ძველი, შესული X ს-ის ცნობილ შატბერდულ კრებულში (S—1141), სახელდობრ გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმნისათჳს“, ერთგან, მერვე თავში, ორგან ხმარობს ხსენებულ საკუთრებას.

ხელის დანიშნულების შესახებ აქ ნათქვამია:

ა) „ხოლო უკუეთუ ვინმე თქუას, ვითარმედ საკუთრებაჲ ჳელთაჲ მსახურებისათჳს სიტყუერისა არს, არავე შესტოეს...“ (გვ. 21), რაც ნიშნავს: „თუ ვინმემ თქვას, რომ ხელთა სპეციფიკურობა, საგანგებო დამახასიათებელი თვისება. მეტყველის (ე. ი. ადამიანის) სამსახურია, არ შეცდება-ო“

ბ) „ხოლო აწ ოდეს მოეცნეს ჳელნი გუამსა, მოცალე ქმნულ არს პირი სიტყუა-გებად და საზრახავად. და საკუთრებაჲ კაცისაჲ ჳელნი არიან, რამეთუ დამბადებელმან დაჰბადნა კაცისა თანა განმარჯუებისათჳს სიტყუაობისა“ (გვ. 26), რაც ნიშნავს: „ხოლო ეხლა, როცა პოეცა სხეულს ხელები, პირი ირჯება სიტყუა-პასუხისათვის და სამეტყველოდ. კაცისათვის დამახასიათებელი, სპეციფიკური თვისება ხელებია, რადგან შემოქმედმა შექმნა [ისინი] კაცთან ერთად მეტყველების წარმართვისათვის“.

რომ მართლაც ასეთი ნიშვნელობა აქვს მოყვანილ ადგილებში საკუთრებას, ეს ნათლად ჩანს ჩვენი ძველის ძველი სომხური ტექსტიდანაც, რომლის ბერძნულიდან თარგმნა VIII ს-ის ავტორს სტეფანოს სივნიელს ეკუთვნის. იქ, პირველ შემთხვევაში, ეს სიტყვა (საკუთრება) გადმოცემულია *სიანჰჩინ ქან*-ით, რაც „საგანგებოს, სპეციფიკურს, განსაკუთრებულ რამეს“ აღნიშნავს, ხოლო მეორე შემთხვევაში *კასილკ სიანჰჩინ*-ით, რაც იმასვე ნიშნავს.

ასევე, ამავე ნაწარმოების მე-16 თავში ერთგან ნათქვამია, რომ კაცს „ადიდებენ, რომლისა საკუთრებანი იგი მუღლთა და თავუთაცა შინა იპოვებიან-ო“ (იგულისხმება ოთხი ძირითადი ელემენტი, — „ნიეთი“ ანუ „სტჯკისი“, გვ. 52). სომხურში სათანადო ადგილს სწერია: *„ცილიქჩინ მარქკაქჩინ რნილქხანს ჳიორჩხ, იჲ ყჩააყჩხ ყჩ [ქ]ნქსანსა აი მძჩქს მძილქსნ კასილქსანს აიანჰნილქჩინ ჳ...“*. „საკუთრება-ს“ აქ *კასილქსანს აიანჰნილქჩინ* უდრის, რაც ნიშნავს „განსაკუთრებულ თვისებას“.

სომხურისებრ ჩვენებას ეპოულობთ აღნიშნულ შემთხვევებში ამ ძველის გიორგი მთაწმიდლის (XI ს.) შესრულებულ თარგმანშიც. აქაც ყველგან „საკუთარი და თჳსია“ ნახმარი, პირველი მაგალითის „საკუთრებაჲ“ გადმოცემულია „საკუთარი და თჳს-ით“, მეორისა „თჳსი და საკუთარი-ით“, ხოლო უკანასკნელისა „თჳსებ-ით“. „საკუთარი“ და „თჳს-ი“ (აქიდან „თჳსება“) ერთმანეთის სინონიმებია: „თჳსი“ ანუ ზოგჯერ „განთჳსებული“ იგივე საკუთარია (საბასაც სწორედ ამ სიტყვით ჰქონდა ახსნილი, როგორც თავშივე ვნახეთ, „საკუთარი“: „საკუთარი ესე არს განთჳსებული საქმეო“). აქიდან, „თვისება“ ანუ „საკუთრება“ სომხური *კასილქჩინ* ან *აიანჰნილქჩინ*-ია.

კარგად ჩანს ეს შესატყვისობანი ხსენებული ძველის მე-16 თავისავე ერთ ადგილს, სადაც ჩვენთვის მისაწვდომ ნუსხებში ეკითხულობთ:

„და ამას განყოფასა (= დაბადებელი და დაბადებული) კუალად შეუდგეს თითოვეულსა სხუად და სხუად საკუთრებაჲ, რამეთუ ვწამებთ, ვითარმედ დაუბადებელი იგი ბუნებაჲ შეუცვალებელ არს თვისსაგან წესისა უკუნისამდე, ხოლო დაბადებული არა არს გარნა შეცვალებითა...“

(S—1141, გვ. 57)

„და ესევეთარისა ამის განთავსებისა განყოფილებამან და კუალად სხუათა განთავსებათა შემდგომებაჲ შემოიყვანა... რამეთუ დაუბადებელი იგი ბუნებაჲ უქცეველადცა არს და უცვალებელ და მარადის ერთსა ზედა ჰგვის, ხოლო დაბადებული თნიერ ცვალებისა შეუძლებელ არს...“

(გ'ი მთაწმ. თარგმანი).

*ისკ აკაყჩხი აი-
ანჰნაღირი-
ქხანაღანაღა-
ნიღქქანღარღიღ
აკიყ კასიღიღ-
ქხანაეღარღე
არ...*

(ძველი სომხური თარგმანი).

ამ ადგილიდან ნათლად ჩანს, რომ უძველესი ქართული თარგმანის „საკუთრებას“ გიორგი მთაწმიდლის თარგმანით უდრის „განთავსება“, ხოლო ძველი სომხური თარგმანით *აიანჰნაღირიღქქან* და *კასიღიღქქან*, რაც ნიშნავს „სპეციფიკურობას“, „განსაკუთრებულ თვისებას“.

ძველ ქართველ ავტორებთან „განთავსებულ-ის“ (იგივე „საკუთარ-ის“) განსაზღვრებასაც ვხვდებით. მაგ., არსენ ვაჩხაძე (XII ს.) იოანე დამასკელის „წყაროჲ ცოდნისაჲს“ პირველი ნაწილის, ე. წ. დიალექტიკის, თარგმანის მეხუთე თავში მას შემდგენაირად განმარტავს: „განთავსებული არს, რომელი საყოველთაო და მხოლოდ მისსა ოდენ და სამარადისოდ იყოს“ (მაგალითისათვის მოციწრობა დასახელებული, როგორც ყველა კაცისათვის საერთო მოვლენა და მუდმივი, „დადათუ არა სამარადისოდ იწუმებს მას-ო“).

მოვლენათა თუ საგანთა გასარჩევად გამოსაყოფი კერძო თვისებისა თუ ნიშნის შინაარსის მატარებელი რომ არის ზემოთ მოყვანილი მაგალითების მიხედვით „საკუთრება“ და „საკუთარი“, ეს ნათლად ჩანს „უსაკუთრების“ ხმარებიდანაც ძველ ქართულში.

ამ ტერმინს ჩვენ ძველად ეფრემ მცირესთან ვხვდებით.

ეფრემ მცირეს თავისი „სამოციქულოს თარგმანებისათჳს“, რომელიც, როგორც თვითონ აცხადებს, ბერძნულ ენაზე არსებული სხვადასხვა თარგმანებისაგან, უპირატესად იოანე ოქროპირისა, გადმოიღვია ქართულად და გიორგი მთაწმიდლის სამოციქულოს წიგნთა ტექსტისათვის შეუწყვია, დაურთავს წინასიტყვაობა⁸, სადაც აღნიშნავს, რომ ბერძნულ თარგმანებათა და ლექსიკონთა მიხედვით სამოციქულოს გიორგი მთაწმიდლისაგან ნათარგმნ ქართულ ტექსტს ალაგ-ალაგ შესწორება და შეცვლა დასპირებულია. ამ შესწორებასა თუ „შეცვალებას“ ის მხოლოდ თავის კომენტარებში წარმოადგენს და ასაბუთებს. ანასთან სთხოვს ყველას, რომ მის თარგმანებებსა თუ კომენტარიებში შესწორებული და შეცვლილი სიტყვა არაეინ გადაიტანოს გიორგის ტექსტში მისი დიდი ავტორიტეტის გამო ყველასა და კერძოდ მის თვალში.

⁸ საქმე მოციქულთა ძველი ხელნაწერების მიხედვით: „ძველი ქართული ენის ძეგლები“, თბილისი, 1949, გვ. 029—031.

11. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. I

იმის ხაზგასასმელად, თუ რომელ სიტყვას დასკირვებია შესწორება და „შეცვალება“, მას ნათქვამი აქვს, რომ „სიტყუანი, სადაცა შენიცვალებიან, კიდესა სტიქონისასა იოტაჲ დამისუამს და შინა, სიტყუამს წინაჲთ, ესე ვითარმედ „უსაკუთრესი“. მაშასადამე, ასეთი სიტყვებისათვის მას მიითთება გაუკეთებია, პირობითი ნიშანი—იოტა, ხოლო თვით ტექსტში დაუსვამს „უსაკუთრესი“. უსაკუთრესი ჩვენ, ისე როგორც აკად. ნ. მარსაც, პირობითი ნიშანი გვეგონა?, მაგრამ ეხლა, როცა „უსაკუთრესი“ და „უსაკუთრების“ მნიშვნელობის გარკვევა დავისახეთ მიზნად, ბუნებრივად ხელახლა მივუბრუნდით ეფრემ მცირის ხმარებულ „უსაკუთრეს-ს“ და მივმართეთ მისი „სამოციქულოს თარგმანების“ ერთ-ერთ ხელნაწერს, რომელიც საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ერთ-ერთ კოლექციასშია დაცული (A—390). ამ ხელნაწერის შესწავლით ეხლა ირკვევა, რომ „უსაკუთრესი“ პირობითი ნიშანი კი არაა, არამედ გარკვეული მნიშვნელობის ტერმინია, რომელიც წინათ განხილულ „საკუთრესა“ და „საკუთრებას“ უკავშირდება.

ეფრემ მცირე თავის კომენტარიებს შემდეგნაირად აგებს. იგი იღებს სამოციქულოს წიგნებს და თანმიმდევრულად ყოველ თავს აახლებს განმარტებას ანუ თარგმანებას, როგორც ვთქვით, ბერძნული წყაროებიდან გამოკრებილს. განსამარტავი ტექსტი „მოციქულისა-მს“ წარწერით წინ უძღვის კომენტარიებს. ეს ტექსტი, როგორც თვით აცხადებს, მას უცვლელად მოჰყავს გიორგი მთაწმიდლის მიერ ნათარგმნი სამოციქულოდან. ამას მოსდევს თარგმანება აგრეთვე წარწერით: „თარგმანი“. როცა ეფრემი წინმდებარე ტექსტის გარშემო განმარტებას ათავსებს, ზოგან ადგენს, რომ კანონიკურად მიჩნეული, ე. ი. გიორგი მთაწმიდისეული ქართული ტექსტის ესა თუ ის ადგილი ან სიტყვა ზედმიწევნის მიზნით „შეცვალებასა“ თუ შესწორებას მოითხოვს, რასაც ის განმარტებაშივე ახდენს, ისე რომ ყოველ ასეთ ადგილს აახლებს წინ სიტყვებს: „უსაკუთრეს არს ესრეთ“. ასე მაგ., ეფესელთა ეპისტოლის I თავის 23-ე მუხლის განმარტებისას საქირო გამხდარა წარმძღვანებული კანონიკური ტექსტის რამდენადმე შეცვლა, რომელიც, როცა მას ამ ტექსტის გვერდით ვათავსებთ, შემდეგს სურათს გვიშლის თვალწინ:

მოციქულისაჲ

თარგმანი

„და იგი მოსცა მთავრობად ზემთა ყოველთა ეკლესიასა, რომელ-იგი არს გუამი მისი, აღსავესებაჲ იგი, რომელ მან ყოველი ივე ყოველსა შინა აღავსო“.

„უსაკუთრეს არს ესრეთ: და იგი მოსცა თავად ზემთა ყოველთა ეკლესიისა, რომელ არს გუამი მისი, აღსებებაჲ ყოველისავე ყოველსა შინა აღმავსებელისაჲ“.

ანდა ეფესელთა III თავის მე-18 მუხლის განმარტებისას:

„რამეთუ შეუძლოთ წარწევნად ყოველთა თანა წმიდათა...“

„წარწევნისასა“ ესრეთ უსაკუთრესად არს: რამეთუ შეუძლოთ მიწით მანად ყოველთა თანა წმიდათა...“

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ეფრემ მცირე გიორგი მთაწმიდლის მიერ ნათარგმნი ტექსტს გამოიწვლილავს, დედანთან ზედმიწევნილო-

¹ საქმე მოციქულთა ძველი ხელნაწერების მიხედვით: „ძველი ქართული ენის ძეგლები. 7“, თბილისი, 1949, გვ. 029, შენიშვნა.

ბისათვის ზოგიერთ სიტყვას თავის კომენტარებში ასწორებს ან ცვლის და ასეთი შეცვლა-შესწორებისათვის ზოგად არგუმენტად ის მოჰყავს, რომ „ეს-რეთ უსაკუთრეს არა-ო“, ე. ი. საკუთრივ ასეთი, ამნაირად უფრო ზედმიწევნითია, კერძოდ ასეთა.

გრიგოლ ნოსელიასა და იოანე დამასკელის დამოწმებულნი ნაწარმოებნი, ისე როგორც ეფრემ მცირის „სამოციქულოს თარგმანება“ საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ძეგლებია. მათში აქ განხილულ სიტყვებს სწორედ დარგისადმი შესაფერისი იერი დაჰკარავს. მაგრამ აღნიშნული სიტყვების ხმარება იმავე მნიშვნელობით სხვა დარგის ნაწერებშიც გვხვდება. ასე მაგ., VIII—IX სს-ში თარგმნილად მისაჩნევ ნაწარმოებებში იოანე ოქროპირისა და ეფრემ ასურისა, რომელთა ნაწერები დამრიგებლობითი ხასიათისა არიან და X ს ს 30-იანი წლების იმ კლარჯულ ხელნაწერში მოიპოვება, სადაც დავით მამფლის ხსენებაა აღბეჭდილი⁸, ორგან ვხვდებით „საკუთარ-ს“.

ა) „გან-ლა-იკონნეთ საქმენი სოფლისანი საკუთარნი და საერთადონი“.

(იოანე ოქროპირი: ებისტოლე, რომელი მიუწერა თევდორეს მთავარსა ჰრომი-სასა. „მამათა სწავლანი“⁹, გვ. 115,25).

ბ) „რომლისა თანა არს სიუუარული, არარაჲ განიჩემის საკუთრად თავისა თვისისა, არამედ რომელი აქუნ, სხუათათჳს ჰნებაუნ“.

(ეფრემ ასური: სიუუარულისათჳს, „მამათა სწავლანი“, გვ. 236,4)

პირველი მაგალითისათვის მოგვეპოვება სომხური შესატყვისი ადგილი, სადაც იკითხება: „*გამათა საბ დაჯარაჩა ფიდა, გაიანაჰ ჩხ ს დააა-რასაქსაქ...*“¹⁰, რაც ნიშნავს: „შეიგნეთ სოფლის ზრუნვანი, კერძო და სა-ზოგადო“¹¹. ამრიგად, „საკუთარ-ი“ აქ იხმარება კერძოს, პირადის (*საიანაჰჩხ*), ხოლო „საერთადო“ საზოგადოს, საერთოს (*დაააარასქ*-ის) აზრით. უფრო მკვეთრად „საკუთარის“ შინაარსი მეორე მაგალითიდან ირკვევა. აქაც იგი კერძოს, პირადს, სათავისოს ანუ თვისს აღნიშნავს.

ამნაირად, ტერმინები „საკუთარ-ი, საკუთრება“ და „უსაკუთრეს-ი“ თავისი კუთხრით ძირითადად ძველ ქართულში გადმოსცემს ცნებას, დაკავშირებულს სპეციფიკურს, კერძოს, პირადს, ცალკესა (←ცალკერძა) და სათავისოსთან, ანუ თვის-თან.

ვნახოთ ეხლა, რა მიმართებაშია ამათთან „განკუთნვა“.

ამ სიტყვასაც ძველიდანვე ვხვდებით ჩვენს წერილობით წყაროებში.

„მოციქულთა საქმის“ უძველეს რედაქციაში, რომლის ნუსხებს X-ს-დან მოუღწევია ჩვენამდის, ერთგან ვკითხულობთ: „...ჰრქუა მათ სულმან წმიდამან: „გამომირჩიენით მე და გამომიკუთნენით ბარნაბა და სავლე საქმესა, რომელსა მე უწოდი მათ“ (13,2). სხვა ნუსხებს, ისე როგორც სხვა ენებზე არსებულთაც, ეს ადგილი „და გამომიკუთნენით-ის“ გარეშე მოეპოვებათ. ასე მაგ., „მოციქულთა საქმის“ სომხურ ტექსტში ვკითხულობთ: „*სას ლიქსათი სორე. მიიქსესე ჩხა დაიანარაოს ს დასაღიასი იყიბ, კორ კიკსესაქ ლ*

⁸ ილია აბულაძე, ქართული ზნის იშვიათი ფორმები VIII—X სს-ის ძეგლების მიხედვით, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 53, თბილისი, 1954, გვ. 131—132.

⁹ მამათა სწავლანი X—XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით, „ძველი ქართული ენის ძეგლები, 8“, თბილისი, 1955.

¹⁰ *მოქანასა მსახურანს ზაბე, ქიხნაქი, 1881*, გვ. 23.

ქმ ფეოსა“, სადაც მხოლოდ „გამომირჩინეთ მე—*ირიკხეჭე ჩხა*“ მოიპოვება. ქართულში (მოყვანილ უძველეს რედაქციაში), როგორც ჩანს, „და გამომიკუთნენით“ სინონიმური ცალია წყვილში: განომირჩინეთ მე და გამომიკუთნენით“; იგი საგანგებო აღნიშვნისა თუ აქცენტისათვის არის გამოყენებული. გამომიყავით და მომიჩინეთ, ან დამიწესეთ, მომაკუთნეთო, არის მისი აზრი. რომ ასე უნდა გვესმოდეს ეს ადგილი, ამას მისი სხვა ვარიანტიც მოწმობს, რომელსაც ვხვდებით ე. წ. „უდაბნოს შრავალთავში“: „გამომიჩენით (ე. ი. მომაკუთნეთ) მე ბარნაბა“ და სხვ. (167v).

ამ შინაარსით ეს სიტყვა („განკუთნევა“) სხვაგანაც არა ერთგზის გვხვდება. ასეა ეს სიტყვა წარმოდგენილი დავით მამფლის სახელთან დაკავშირებულ ზემორე დასახელებულ ერთ კრებულში, რომელშიც შესული მასალა VIII—IX სს.ის თარგმანს უნდა წარმოადგენდეს. აქ ვკითხულობთ:

ა) „უკუეთუ განუკუთნეთ თაჳნი ჩუენნი მცნებათა ღმრთისათა, არა დამძიმდენ ჩუენ ზელა“...

(მამათა სწავლანი, გვ. 37.1).

ბ) „და ჩუენ ერად თჳსა განგკუთნენ[ნ]ა და მონად თჳსა განგუაწესნა და საყუარელად თჳსა გკჩინნა“...

(მამათა სწავლანი, გვ. 100,11).

გ) „ეგრძთვე რომელმან განუკუთნა თავი თჳსი მკედრად უფლისა, მან იქნნა თავი თჳსი შფოთთაგან ამის სოფლისათა“...

(მამათა სწავლანი, გვ. 117,23).

დ) „...რადთა განუკუთნეთ თაჳნი თქუენნი მორჩილებასა და შეურაცხებასა და სიყუარულსა და ეკრძალენით ურჩებასა ურთიერთას“...

(მამათა სწავლანი, გვ. 271,13).

ყველგან აქ „განკუთნევა“ მიჩენის, მიკუთვნების, განჩინებისა და განწესების შინაარსით არის ნახმარი (რუსულად რომ ითქმის *определять* და სომხურად—*ირიკხე*). „განკუთნევა—*ირიკხე*“ ხშირად გამოყოფას, გამოცალკევებას, გამოჩევეასა და გამოსაზღვრებას ნიშნავს და ეს, როგორც ვნახავთ, პირველადი ჩანს მათთვის. ამ აზრით არის სწორედ ნახმარი ზემოთ აღნიშნული „განკუთნებელი“ საბას მიერ „განკუთნისათვის“ დამოწმებულ ბიბლიის წიგნში (ისო 21,14), რომელსაც სომხურით *ყათიღესაჲ* ე. ი. გამოყოფილი, გამოცალკევებული, გამოსაზღვრებული (აქ ქალაქის უბანი) შეესატყვისება.

ლევიტელთა 27,21-ით „განკუთნებულ-ის“ ეს სომხური შესატყვისი *ყათიღესაჲ [ჩქრს ვხრქჩრ მქ ყათიღესაჲ ჟარანაქჩნ სეჩქე ქ ცაქიღას]* ბაქარის ბიბლიაში გადმოცემულია „განჩემებულ-ით“ (ვითარცა-იგი ქუეყანა განჩემებული მღდლისა იყოს იგი სამკვდრებელი მისსა). „ჩემება“ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში განმარტებულია როგორც დამისება, ე. ი. როგორც განკუთნევა; ამდენად, მამასადამე, ის („დამისება“) იგივე „თსება-განთსებაა“, რაც, როგორც ვნახეთ, ენაცვლება ხოლმე „საკუთრებას“ გიორგი მთაწმიდელთან (იხ. გვ. 160—161).

„საკუთარი“ და „განკუთნევა“ მნიშვნელობით, როგორც ვხვდებით, ერთი და იგივე ჩანს. „საკუთარი—საკუთრება--უსაკუთრესი“, როგორც ვნახეთ კერძობა—განთვისება—სპეციფიკურობაა, ე. ი. გამოცალკევება საერთოსაგან, რაც უახლოვდება „განკუთნე-ის“ მნიშვნელო-

ბას—გამოყოფას, გამოცალკევება-გამოშორებას, გამორჩევა-გამოსაზღვრებას ან მიჩეგება-დამისება-მითვისებას.

დაშორება „საკუთარ-ისა“ და „განკუთვნისა“ არც „კუთნვა დაკუთნვი-საგან“ (ე. ი. ლმერთთა და კერპთა მსახურებისაგან, იხ. გვ. 159) შეინიშნება, თუ კი მოვიგონებთ „მოციქულთა საქმის“ იმ ადგილს, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ („პრქუა მათ სულმან წმიდამან: გამომირჩინეთ მე და გამომიკუთნენით ბარნაბა და საელე საქმესა, რომელსა მე უწოდი მათ“), საიდანაც ჩანს, რომ „გამოკუთნვა“ პირთა გამოჩეგვა, გამოყოფა გარკვეული საქმის შესასრულებლად (ქრისტეს მოძღვრების ქადაგებისა). „კუთნვა-დაკუთნვაშიც“, მაშასადამე, იგივე გამოჩეგვა-გამოყოფა, განჩინება-განწესება და განთვისებაა (მსახურებისათვის), რაც „საკუთარ-საკუთრება-უსაკუთრესსა“ და „განკუთნვაში“ შეენიშნეთ. ამრიგად, ნათლად დასტურდება „კუთ“ და „კუთნ“ ფუძეთა ახლობელობა და კავშირი.

„კუთ“-სა და „კუთნ“ ფუძეთა შორის რომ, მართლაც, არსებითი კავშირია, ამას მათი ეტიმოლოგია გვიჩვენებს.

„კუთ“ ძირი, რომელიც გამოიყოფა „საკუთარ-საკუთრება-სა“ და „უსაკუთრეს-ში“, ჩვენ „კუთნა“-ში წარმოგვიდგენია „კუთნ“ ფუძის სახით. „საკუთარი“ ამ ზმნის მიმღებობის ფორმაა. მიღებული „საკუთნ-არ“-ისაგან (შდრ. საბას ლექსიკონის „საკეთარი“). რომ „უე“-დან შეიძლებოდა „უე“ მიგველო შეკუმშვის საფუძველზე, ამის სამოწმოდ შემდეგი ნიმუშები გამოგვადგება: საკუთრთ-ი → საკურთხი (საკურთხი—ესე არს მსხუერპლი მრგულიად დასაწული“ 50,18 ფსალ.; საკურთხეველი—მსხუერპლის საცავი“ 50,18 ფსალ.—საბა), კუედა → კუდომა, გუედარ-ი: წუუედა → მწუუდარი და სხე.

„საკუთარ-ის“ „კუთ ძირის“ „კუთნ“-ისაგან წარმომავლობა ამ სიტყვის (საკუთარ-ის) შინაარსს გერსახავს, როგორც „გამოსაყოფს, გამოსაკეთს, გამოსარჩევს, გამოსაცალკევებელს, გამოსაკერძობელს“, ანდა იმას, რითაც უნდა „გამოიყოს, გამოიკეთოს, გამოირჩიოს, გამოცალკევდეს, გამოიკერძოს“.

კუთნ ფუძე კუთ(←კუთნ)-ისაგან მომდინარე ჩანს ნართაული წარით. ქართული არა ერთი ზმნის ფუძეში არც თუ იშვიათად ვხვდებით თემის ნიშანთა წინ, ფუძეში, ასეთ წარს, ხშირად ხმოვან-წარმძღვანებულს, რომელიც მწარმოებელი ჩანს ახალი ფუძისა (ბშირად გარდაუვალი ზმნისაგან გარდამავლის საწარმოებლად). ასეთებია მაგ.: ძლუ-ან-ვა || ძლუ-ან-ება, სტუ-ან-ვა, ქს-ენ-ება, ვან-რ-ინ-ება, ცბ-უნ-ება, ცთ-უნ-ება, შე-ქუე-ნ-ება და სხე. ზოგიერთ მათგანს ნასახელარი ზმნის ფუძეშიც ვხვდებით, როგორც მაგ., ტუე-ენ-ვა, სტუ-ინ-ვა. ზოგჯერ თემის ნიშნის წინ მყოფი ფუძისეული ნ მომდინარე ჩანს ან-ისაგან, ეტყობა კუმშვის საფუძველზე. ასე, მაგ., „მოციქულთა საქმის“ უძველეს ნუსხეში პარალელურად ვხვდებით ფორმებს: „ე-ზლუ-ან-ვოდა“ და „ე-ძლუ-ან-ვოდა“ (18,7)¹¹, რაც უდრის გვიანდელი ნუსხების „ეზლერებოდა“-ს.

¹¹ საქმე მოციქულთა ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ. ა. შანიძის რედაქციით: „ძველი ქართული ენის ძეგლები, 7“, თბილისი, 1950.

„მიძლუნება“ (=მიძღვნა, მირთმევა) ან ამოღებული გეხედება ძველადვე: „ძლუნსა სათანადოსა მიუძღუნებნ გულსა წარფელთასა“ (მამათა სწავლანი, 242,3). ანი ამოღებულია ხოლმე ნასახელარ ზმნეში სხვა შემთხვევებით: „მოყუარე → მოყურება; მოყუასი → მოყუსება“...

როგორი წარმოშობისაც არ უნდა იყოს „კუთნვა“-ში ფუძისეული -ნ-, იგი ახალი ზმნის ფუძის მაწარმოებელი ჩანს „კუთ ← კუთ“ ფუძისაგან¹².

ჩვენს მოსაზრებას, რომ კუთ და მისგან ნაწარმოები საკუთარი—საკუთრება—უსაკუთრესი, ერთი მხრით, და ამ კუთ-ისაგან წარმოქმნილი კუთნ ფუძე, თავის მხრით ნაწარმოები ზმნებითა და სახელზმნებით—კუთნვა, დაკუთნვა, განკუთნვა, გამოკუთნვა, განკუთნებული, მკუთნველი, მეორე მხრით, საბოლოოდ კუთ ზმნის ფუძისაგან ამოდიან, ისე რომ კუთ და კუთნ ძირსა თუ ფუძეს უპირველეს ყოვლისა კუთთა-ს ცნებისაგან მოაქვთ თავიანთი მნიშვნელობა (გამოკვეთა, გამოყოფა, გამოსახლერა, გამოჩვენა, გამოცალკეება, გამოკერძოება, განთავსება¹³, განჩვენება, გამოკუთნება), სომხური ენის მონაცემებითაც მტკიცდება.

ზემოთვე, კუთ და კუთნ ძირისა თუ ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვების შინაარსის ძიებისას გაირკვა, რომ საკუთარ-ს სომხურში *აიანძჩან* ან *კათილქ* შესატყვისებოდა და საკუთრება-ს *აიანძილქჩან*, *აიანძას-ლორქჩან* ან *კათილქჩან*; უსაკუთრესი კი, თუ ამ შესატყვისობებიდან ამოვალდ, *კასილქასტას* ან *კასილქარ* იქნება. განკუთნებულ-ი სომხური სათანადო ტექსტით *გათილქხალ* იყო, ხოლო განკუთნებულ-ი დაკუთნება—*ყაჯთხი*. ამ შესატყვისობათაგან ქართულ ტერმინებს უმეტესად *კათილქ*, *კათილქჩან* და *გათილქხალ* უდგას გვერდით, შემდეგ კი *აიანძჩან* და *აიანძილქჩან*, *აიანძასლორქჩან* მოდის. ესენი ურთიერთის სინონიმებია.

აიანძჩან სა და *აიანძასლორქჩან*, *აიანძილქჩან*-ში სახელი *ანძან* „თავი თვის“ გამოიყოფა და *აი* წინდებული; მაშასადამე, მისი ქართული ზედმიწევნითი შესაბამისი „თვის-განთავსებულია“, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, იგივე „საკუთარია“. *აიანძილქჩან* ნაწარმოებია *აიანძჩან*-იდან, *ილქჩან* სუფიქსი აბსტრაქციული სახელის მაწარმოებელია; მაშასადამე, მისი ქართული შესატყვისი „თავება-განთავსება“ (= „საკუთრება“) არის.

მათილქ, რაც *კათ* ძირისა და *-ილქ* მაწარმოებელი სუფიქსისაგან შედგება, ქართულ „საკუთარს“ უდრის, ხოლო *კათილქჩან* — „საკუთრებას“. ერთიცა და მეორეც სათავეს *კათხი* || *კათანხი* ზმნიდან იღებს, რაც „კუეთას, კრასა და სხლვას“ ნიშნავს.

გათილქხალ ნამყოფ მიმღეობაა *გათხი* || *გათანხი* ზმნისა, რასაც ქართული ბიბლიიდან, როგორც აღვნიშნეთ, „განკუთნებულ“ შესატყვისებოდა. მისი ზმნის ზედმიწევნითი შესაბამისი კი ქართულიდან „გამოკუთნება“.

მათილქ, *კათილქჩან* (საკუთარი-საკუთრება) და მათი წყარო *კათხი* || *კათანხი* (კუთთა, კრა, სხლვა), ისე როგორც *გათილქხალ* (განკუთნებული) და *გათხი* თუ *გათანხი* (გამოკუთნება) სომხურში წარმომავლად ითვლებიან *რათ-ანხი* ზმნიდან, რომელიც უპირატესად „კუეთას“ აღნიშნავს¹⁴:

¹² ამ ნ-ს შესახებ იხ. ვ. თ. ფურიას „ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან“, III: -ენ, მ-არ, სე-, -აქა აფიქსებისათვის. 1. -ენ ბოლოსართი ქართულ ზმნაში, სტალინის სახელმძღვანელოს სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XV, 1940, გვ. 41—45.

¹³ „განთავსება“ (რაც, როგორც ვნახეთ, იგივე „საკუთრება“-ა) რომ გაყოფა-გამოკუთნებას უკავშირდება, ეს ძველი ქართულის ზოგიერთი მოწმობითაც ჩანს. ასე მაგ., „კაცისა შესაქმისათვის-ის“ შატბერდულ ნუსხაში (S—1141, გვ. 43) რომ „განთავსება“ სწორია, ის ამავე ძველის გიორგი მთაწმიდისეულ თარგმანში „განკუთნათა“ წარმოდგენილი. — „რამეთუ ვერ ეგების განთავსება ა შეყოფილისა ბუნებით“ (S—1141, გვ. 43) = „არცა ეგებოს, რამეთუცა განიკუთნათ ბუნებითი იგი ერთობაა მისი“ (ჯო მთაწმ.).

¹⁴ ჯრ. *Անահան, Հայիչն արմատական քարაբան* IV, გვ. 157—162 და გვ. 1255—57.

ჯათ { → *q(z)ათ-ანხლ* || *q(z)ათ-ხლ*, აქიდან *qათიღხაჲ* (განკუთნებული
 ← გა(მო)კუთნეა),
 → *j(z)ათ-ანხლ* || *j(z)ათ-ხლ* აქიდან *ჯათილქ-ჯათილქჲს* (საკუთარი-საკუთრება).

ამრიგად, „კუთნე-ისა“ და „საკუთარი-საკუთრებ-ის“ ცნებათა აღმნიშვნელი სომხური ტერმინები, მსგავსად ქართლისა, კუთნე-ისაგან წარმოშობილნი. შემთხვევით, რასაკვირველია, ეს არაა, ეს გარკვეული სოციალური პირობებისა და ყოფის შედეგი უნდა იყოს.

მართალია, „საკუთრება-კუთნე-ისათვის“, როგორც კუთვნელების (= собственности) გამოშობა ტველისათვის, სომხურში უმთავრესად ძველიდანვე ფალაურიდან მომდინარე *ახაყაქსან* და *ახაყაქსანოქჲს*-ია ხმარებაში (როგორც ერთ ხანს, V—VII სს-ში, „საკუთარი-ის“ გვერდით ქართულშიც ამავე წყაროდან მომდინარე „საზეპურო“ იყო, რომელსაც, აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, VIII—IX ს-იდან „ადამიანის პირადი საკუთრების აღსანიშნავად «საკუთარ-მა» სძლია¹⁵). მაგრამ თვით სომხური წარმოშობის *ჯათილქ* და *ჯათილქჲს* ამით არ მოშლილა, მას სომხეთის ცხოვრების დანარჩენ სფეროში მიეცა გასავალი.

3. ბლენი

სოციალური ყოფის ეს ტერმინი ყოველთვის დიდ უფრადლებას იპყრობდა იმით, თუ როდის და რა საფუძველზე უნდა აღმოცენებულიყო იგი და როგორაა წარმოქმნილი ის ფორმა და მნიშვნელობა, რომელიც თანამედროვე ენაში აქვს მას დამკვიდრებული.

მკვლევართა ერთი წყება მას სატომო სახელიდან მომდინარედ მიიჩნევს: ან უცნობისა, ანდა საქართველოსა თუ მის მოსახლერე მიწა-წყალზე მობინადრისაგან.

სატომო სახელიდან მომდინარედ ეგულება ის პროფ. ნ. ადონცის, რომელიც თავის ცნობილ წიგნში „Армения в эпоху Юстиниана“ იხილავს რა სომხეთის მოსახლეობის შედგენილობას, ერთგან¹⁶ წერს: „მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი, რომელიც არ ეკუთვნოდა წარჩინებულთ, *plebs*-ი, კუთხეების მიხედვით იწოდებოდა *ფხელქ*-ად, *ქისაქსან*-ად, *აამქქ*-ად, *ფახჩქ*-ად, შესაძლებელია *ამაქ*-ადაც და სხვ... *Ram ik* და *mš ac*, როგორც ჩანს, ეპონიმებია აბორიგენებისა *ἀραμαίτα* და *μοσχαι*-სა, რომლებიც დაპყრობილი იყვნენ და დამორჩილებული მოსული ელემენტისაგან და ამის გამო მათმა სახელმა მიიღო ასეთი მნიშვნელობა... *Gřeh-ik* სიტყვა შეეფარდება ქართულ *glēx*-ს და მასთან ერთად ერთი წარმოშობისაა¹⁷.

¹⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, თბილისი, 1929, გვ. 392—395.

¹⁶ Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана..., Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. XI, СПб., 1908, гв. 436.

¹⁷ „Остальная часть населения не принадлежавшая к знати, *plebs*, именовалась порайонно *ფხელქ*, *ქისაქსან*, *აამქქ*, *ფახჩქ*, может быть и *ამაქ* и пр. *Ram-ik* и *mš-ak*, повидному, эпонимы аборигенов *ἀραμαίτα* и *μοσχαι*, которые были покорены и подчинены пришлым элементом и вследствие этого, их имя получило такое значение... Слово *Gřeh-ik* соответствует грузинскому *glēxi* и одного с ним происхождения“ (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана... СПб, 1908, гв. 436).

აკად. ნ. მარის მიხედვითაც „ძირითადი სოციალური ტერმინები კავკასიაში ეთნიკური წარმოშობისაა. უბრალო ანუ დაბალი წოდება ჩვენს რაიონში (იგულისხმება: ბათუმი, არდაგანი, ყარსი, — ე. ა.) ქართველებთანაც და სომხებთანაც ეწოდება ადგილობრივი ფორმებით სახელწოდებისა, რომელიც ევროპის ანტიკური სამყაროსათვის ცნობილია კავკასიის ხალხის, კოლხების სახელით, ქართულად „გლებ-ის“, სომხურად — „გრეხ-იკ-ისა“. იგივე შეინიშნება სხვა ეთნიკური ტერმინებისა და თვით სატომო სახელწოდების სომეხ-არამიდების მიმართ, რომლებიც ისტორიულად წინ უსწრებდნენ სომეხ-პაიებს, რომელთა დროს სომეხ-არამიდები, წინანდელი ბატონ-პატრონები მდგომარეობისა, იქცნენ დაბალ წოდებად თვით სომხებისა, ე. წ. „რამიკ-ებად“¹⁸.

ამავე ნაშრომში აკად. ნ. მარს „შინ—შინაკან-ი“ ასკან ხალხის შთამომავლად მიაჩნია, ხოლო ქართული „გლებ-ის“ შესახებ კიდევ შემდეგს დასძენს: „ასევე ქართული სოციალური ტერმინი „გლები“, შესატყვისი სომხური „გრეხ-იკ-ისა“, მდაბიური წოდებრივი სახელი, იქცა ძირად, საიდანაც წარმოიქმნა ძველ ქართულში „გლახკ-ი“, ახალში კი — „გლახა“, მნიშვნელობით „უცდისა, უვარგისისა“¹⁹...

ამავე შეხედულებას იცავს აკად. ნ. მარი შემდეგშიც. გლახა, როგორც უკვე განმარტებულია, იგივე „კოლხ-იაო“, წერს ერთგან და დასძენს, რომ ესევე სატომო სახელი სვანური გახმოვნებით (ორგავოი), დაეკული ქართულში „გლებ-ის“ სახით, აღნიშნავს „გლებს“ ან „მონას-ო“²⁰.

ქართული „გლებ-ის“ სომხურთან მიმართების აღნიშნავს პროფ. პრ. აქარიანიც იგივე თვისი კაპიტალურ ნაშრომში — „სომხური ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“²¹. პროფ. ნ. ადონციისა და აკად. ნ. მარისაგან განსხვავებით იგი „გლებ-ის“ სომხურ შესატყვისს, *գլեհիկ*-ს, რაც ძველიდანვე ნიშნავს „უბრალო, დაბალი კლასის წევრს, მდაბიოს, სოფელს“, წარმოებულად მიიჩნევს *գլեհ*-ისაგან, რომელიც „უბან-ქუჩას. საზოგადო გზას“ ეწოდებოდაო. ეს სიტყვა გვხვდება ძველად ფორმითაც *գլեհ*, რაც იმავე *գլեհիկ*-ის მნიშვნელობის მატარებელია, *գլեհ*, რომელიც „ქუჩას“ აღნიშნავს და *գլեհ*, *գլեհ* და *գլեხ*. იგი იხმარება დიალექტებშიც (*գլեხ* და სხვ...), რომლებშიც ის „ჩირქს, ბალღამს“ ეწოდება, რითაც ის უკავშირდება ძველი სომხურის *գլեხ* და *գլեհ*-ს, რომლებიც „ფუნასა“ და „ტლახს“ ერქვა.

¹⁸ „Основные социальные термины на Кавказе этнического происхождения.

Простое или низшее сословие в нашем районе и у грузин и у армян именуется по местным формам названия известного европейскому античному миру кавказского народа — колхов, по грузински — „глех-и“, по армянски — „грех-ик“.

То же самое наблюдается и в отношении других этнических терминов, вплоть до племенного названия армян-арамидов, исторических предшественников армян-хайев, при которых армяне-арамиды, прежние господа и хозяева положения, обращены были в низшее сословие самих армян, в так называемых „рамик-ов“ (Н. Марр. Батуми, Ардаган, Карс... Петроград, 1922, гл. 31).

¹⁹ „Точно также грузинский социальный термин „глех“, двойник армянского грех-ик, мужицкое сословное звание, возникшее из названия народа колхов, дал корень для образования в грузинском слова древнего „г্লাхак“, нового „глаха“ со значением „плохой, негодный“ (იქვე, გვ. 34).

²⁰ Н. Марр. Об яфетической теории, Избр. работы, т. III, 1914, гл. 13—14.

²¹ ჯ. Անուսիანი, *Հայերէն արմատական բառարան, Երևան, 1926—1932*, II, გვ. 336—337.

სომხური ჟიჲრ—ჟქუა, გზა²² ძირისა თუ ფუძისათვის ეტიმოლოგია პროფ. პრ. აქარიანს არ მოეპოვება; მიუხედავად ამისა ქართული „გლები“ (აგრეთვე „გლებური“), „გლანა“, „გლანაჟი“ სომხურიდან მომდინარედ მაჩინა²³.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სომხ. ჟიჲრ—გზა, ქუჩა²⁴ ძველ ქართულშიც მოგვეპოვება, რაც აკად. პრ. აქარიანისთვის უცნობი იყო. მას ვხვდებით X ს-ის ცნობილ „შატბერდულ კრებულში“, რომელშიც შესულია დაჩის მიერ სომხურიდან შესრულებული ერთი თარგმანი, ეპიფანე კვიპრელის კომენტარიები ფსალმუნზე. დაჩის მიერ სომხურიდან ქანნიკად გადმოღებული რამდენიმე ფსალმუნის განმარტებას დართული აქვს ზთარგმნელის წერილი ანტონი მროველისადმი. ამ წერილშია შემონახული სწორედ სომხ. ჟიჲრ-ის²⁵ სახით („განმავლენ მე გრეხნი იგი ძნიალ სავლნი და მიმიძელუ...“). დაჩის, ეტყობა, ეს სიტყვა მის გარემოში (ტაოში) აქვს შეთვისებული ადგილობრივი გამოთქმით—„გრეხ-ით“²⁶.

გათვალისწინებული რომ იქნეს შედარება-შესატყვისობისათვის აღნიშნული ქართული მასალა, პირველ რიგში მიმოსახილავია ჩვენი ძველი წერილობითი წყაროები გამოსახულებად კერძოდ იმისა, თუ სად, რა დროიდან და რა მნიშვნელობით ვხვდებით გლების ხმარებას ქართულში.

გამოკვეთებული ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით ეს ძიება ჩატარებული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს. იგი თავის წიგნში „ქართული სამართლის ისტორია“²⁷ „გლები-ის“ შესახებ შემდეგს წერს:

წოდებრივობის უმდაბლეს ხარისხზე „გლებნი“ (1020 წ. ზელქისედეკის სიგ. ქვბი II, 34, ნიკორწმიდის XI ს. სიგ., აქვე, II, 45—49. ცა მფსა დთსი *540, გვ. 307, ეამთალ. *819, გვ. 664) იღვანენ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს უნდოდა მკითხველისათვის საქართველოს დიდებული მეფის ბრწყინვალე გამარჯვება ბრძოლის ველზე ცხადეყო და თავისი აზრის უაღრეს ცხოველ-მყოფელობისათვის აღტაცებული იქნახის: „გლებთა იხალემცა, ოდეს არაბთა მეფენი ზოჰყუანდეს ტყუილთ“ (ცა მფსა დთსი *540, გვ. 307). ამაზე ზეტი დამარცხება რაღა იქნებოდა, რომ არაბთა უმალესი პირნი, მეფენი ქართველთა წოდებრივ წყობილების უმდაბლეს საფეხურზე მდგომ გლებთა მიერ დატყვევებულნი იყვნენო, გვამცნებდა თავისი ზემომოყვანილი სიტყვებით ქართ. ისტორიკოსი. საყურადღებოა, რომ, თუ არ ვცდებით, ტერმინი გლები არც გ. მერჩულის, არც ბ. ზარზმელის, არც სხვა ძველი ავტორების თხზულებებში, არც „მტრე ქა“-ში არა გვხვდება. გ. მერჩულს ამის მაგიერ „მსოფლიონი ერის კაცნი“ და „ვებაბიო“ აქვს ნახმარი (ცა მფსა დთსი *540, გვ. 307). „მატიანე ქა“-ს კი გლებობის აღსანიშნავად „წურილი ერი“ უწერია. სუმბატ დავითის ძე ამავე ცნებისათვის ხმარობს სიტყვებს „ერნი მსოფლიონ“-ო (ცა და უწყება, 77). თუ ეს უბრალო შემთხვევით არ იიხსნება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ტერმინი „გლები“ თავდაპირველად არ ყოფილა ქართ. მწერლობაში და შემდეგ შემოსულა²⁸.

²² იქვე, გვ. 337.

²³ ი. ლ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, თბ., 1944, გვ. 0192.

²⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი პირველი, ტფილისი, 1928, გვ. 37—38.

როგორც ვხედავთ, ტერმინი, „გლეხი“, მნიშვნელობით „სოფელი, მიწის მუშა“, ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებთა შორის XI ს-დან დასტურდება მხოლოდ. ადრე ეს ტერმინი არც ხსენებული შინაარსით და არც სხვით, საზოგადოდ, სრულიად არ შეხვედრია ჩვენს დიდ მეცნიერს.

უნდა ითქვას, რომ ხშირად არა, მაგრამ მაინც გვაქვს ამ სიტყვის ხმარება მეთერთმეტე საუკუნემდელ ჩვენს მწერლობაში; იგი, როგორც ირკვევა, ადრეც არაა მისთვის უცხო. მას ჩვენ ვხვდებით უპირატესად თარგმნილ ძეგლებში, რაც მეტად მარჯვე შესაძლებლობას ქმნის, რათა თარგმანების მიმართებით სხვა ენებზე დატულ ასეთსავე ნაწარმოებებთან დადგინდეს მისი შინაარსი.

ერთი ადრინდელი ხმარება ამ სიტყვისა ჩვენ დადასტურებული გვაქვს „რიფსიმიანთა წამების წიგნში“, რომელიც, ჩვენი მოსაზრებით, VIII ს-ზე უადრესი და IX ს-ზე გვიანდელი არ უნდა იყოს²⁵.

აქ ჩვენ ერთგან რიფსიმეს შესახებ თარგმანსაცა და მის სომხურ დედანში ვკითხულობთ. რომ რიფსიმეს სანახავად შეიკრიბნენ.

„და მთავარი მთაწანი, იგიცა ერთი-ერთსა ჰკვებოდა და სრბით მივრდოდეს ხილვად სიყთვისა მისსა, და ახნაურნი იგი აღრეულად გლეხითურთ ეტეებოდეს...“

„ესა ს ნაქარარად ს მხბომხბდ ასა-
აფანსიქი ესქახეხად ქ ოსაანსიქ
აქისამარდ სკანქჩი: სა ს აფათა-
სიქიანი ქაანანაგანს ამციქსიან
სანქერბ, აქისამარდ ექიანსქჩი“
(§ 163)²⁶.

როგორც ჩანს, „გლეხ-ის“ შესაბამისად სომხურში *ამციქი* ია, ანუ ძველი ქართული შესატყვისებით „ერი, შფოთი, ამბოხი“. ეს „ერი, შფოთი, ამბოხი“ *აფათა*-ახნაურის საპირისპიროდ არის ნახმარი, რაც იმას გახაზავს, რომ აქ სოციალურ ფენათა დაპირისპირება გვაქვს. თუ *აფათა*-ახნაურთ „თავისუფალი“, ე. ი. დამოუკიდებელი კლასი ან წოდებაა, *ამციქ-ერი*, შფოთი, ამბოხი „არა თავისუფალი, უაზნო, დამოკიდებული მასა ანუ სიმრავლეა“, რომელიც წამების წიგნით „გლეხ-ად“ იწოდება. „გლეხი“, სხვათა შორის, წამების წიგნით ქალაქ ვალარშაპატის დაბალ მასას ეწოდება.

ამ ტერმინს ძველად ერთ-ერთ უძველეს „მრავალთავეშიც“ ვხვდებით. ეს წყარო, ე. წ. სვანური მრავალთავეია (A—19). რომელიც X ს-ის ხელნაწერად ითვლება. ამ ძეგლში შემავალ ერთ-ერთ ნაწარმოებს, რომელიც იოანე ოქროპირის სიტყვას წარმოადგენს სათაურით „ტაძრის მწერალთათჳს“, დასაწყისშივე მოეპოვება ჩვენთვის საგულისხმო სიტყვა. მოვიყვანთ აქ მას ამ ნაწარმოების სომხური შესაბამისი ტექსტითურთ:

„ჰბაძედ სივლოენითა ხატსა სულიერათასა, და შეზაებდ ფერსა და ამსგავსებდ ხატსა, ვითარცა-იგი იხილნის ჳორციელნი, და განოსწერედ კაცთა და პირუტყუთა და ზეთა, მუფეთა და გლეხთა და წარმართთა, წყობა-

„ისინგარაყჩრდ ზმანს ხს არიოსითი ქ
რნიქსანს, ქაანსიქიქ ექიანსჯი ასიღ-
ბანსნი ეყათსიქეს ხერსიქსაე მარწიოი,
საიანსნი მარქიქ ს არიოსიანს ს ბათიას

²⁵ ტექსტი სათანადო ნაკვლევით ჯერ არ გამოვექვეყნებია, ცნობა კი თავის დროზე გადავეცით განსვენებულ აკად. ს. ჯანაშიას (იხ. მისი „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის ზახე“. შრომები, 1, თბილისი, 1949, გვ. 16.).

²⁶ *Ազգայնագիտ. Պատմ. Երկ. 1, 1909*, გვ. 90.

თა და ლუწლთა, და ბდინარენი იგი სისხ-
ლისანი... (A - 19,109 გვ.).

*ქადიორს ს სამქცა, გარერაისა
ს ყათხრაქმისა, მართა ს არხანუ
იღქსა*²⁷.

აქ უკვე „გლებს“ სომხურიდან „*სამქცა*“ უპირისპირდება. ასეთი შეფარ-
დებით ჩვენთვის საინტერესო ტერმინს ბიბლიის ერთ-ერთ წიგნში, სახელ-
დობრ, „სიბრინძ სოლომონის-ში“ ვხვდებით. ოშკურ ხელნაწერ ბიბლიაში ამ
წიგნის მე-18 თავის მე-11 მუხლში ვკითხულობთ: „მსგავსი სასჯელი იყო, რამე-
თუ მონაა უფლისა თანა იტანჯებოდა, და გლებსა და მეფესა იგივე ვნებაჲ
ვენებოდა“ [„*შუიჯ იქხაქ ბათიკე ზანღერძ სხრამქე თანჯხაქ, ს ოს-
ამქც ს ქიადიორანს ინიჯ ჯარჯარსაქ*]:

აქაც, როგორც ვხედავთ, „გლებს-ს“ სომხურიდან „*სამქცა*“ ესწორება²⁸.
ეს ის *სამქცა*-ია, რომელიც, როგორც *plebs*-ის ერთ-ერთი აღმნიშვნელი სი-
ტყვა, პროფ. ნ. ადონცის ეპონიმად მიაჩნია აბორიგენი *ჰრამეჩ*-სი, დაპყრო-
ბილისა და დაპორჩილებულისა მოსული ელემენტის მიერ (ნ. ზემოთ გვ. 167).
აკად. ნ. მარის აზრითაც, ეს აბორიგენი ხალაი, წინანდელი ბატონ-პატრონი
მდგომარეობისა, შემდეგში დაბალ წოდებად ე. წ. „*რამეჩ*“-ად იქცა.

ძველ სომხურში *სამქცა* „სოფლის ან ქალაქის უბრალო ხალხს“ აღნიშ-
ნავს, აგრეთვე — „ლიტონსა და ვულგარს“. იგი პროფ. პ. ჰუმბანის მიხედ-
ვით, როგორც ეს პროფ. პრ. აპარიანს აღნიშნული აქვს თავის ლექსიკონში,
ფალაური **ramik*-ის სესხებაა. ამ სიტყვის ძირი თუ ფუძე **ram* „მრევლს,
კაცთა გუნდს თუ ხალხს“ აღნიშნავს²⁹.

ამ ტერმინზე საგანგებოდ ჩერდება აკად. პ. მანანდიანი თავის ნაშ-
რომში „ფეოდალიზმი ძველ სომხეთში“³⁰. იწყნარებს რა პროფ. ჰუმბანი-
სეულ ამ სიტყვის ეტიმოლოგიას, იგი წერს:

„ამ ახსნის შესაბამისად“ „*სამქცა*“-ის პირვანდელი მნიშვნელობა უნდა
ყოფილიყო უბრალო ან ნარევი ხალხი (ე. ი. მასა, მ. ა.). და მართლაც
სწორედ ამ მნიშვნელობით არის ხმარებული „*სამქცა*“-ი საისტორიოსა
და ანტიკვატურულ წყაროებში.

ინავე წყაროების კვლევა-ძიებით ნათლად ირკვევა, რომ *სამქცა*-ები
შეადგენდნენ ძველი სომხეთის მოსახლეობის დაბალ ფენას და, როგორც
ასეთი, დაპირისპირებული იყვნენ *ჯინსაკან*-ებივით *ნახარა*-ებთან,
სხაიღ-ებთან, *იუთ*-ებთან და აგრეთვე სასულიერო წოდებასა და
სათანქცა-ებთან...

ყურადღების ღირსია ისიც, რომ წყაროების მოწმობათა შორის ყო-
ველთვის, როცა სოციალურად უფრო მაღალი კლასების გვერდით იხსე-
ნიებიან *სამქცა*-ები, ზედმეტად არის მიჩნეული მათთან ერთად *ჯინსაკან*-
ების (ე. ი. გლებების, — ი. ა.) მოხსენება. ეს კი გასაგებია: *სამქცა*-ი
თვითვე აღნიშნავდა უბრალო ხალხს და მიათითებდა ხალხის მთელ
სიმრავლეს, რომელიც არ ეკუთვნოდა აზნაურთა და სასულიერო კლასებს.
ინავე სიტყვით ფრიალ ნათელია, რომ *ჯინსაკან*-ობაც (ე. ი. გლებობაც)

²⁷ მ. მისქერანსი *შსსნიქცის ჟადიორს... ნაო.* II, *ქსსნიქცა*, 1862, გვ. 654.

²⁸ ბაქარის ბიბლიით „გლებს“ შეესატყვისება „ლიტონი კაცი“, ხოლო რუსული ბიბ-
ლიით „*простойлюди*“ (იხ. *Толковая Библия*, т. V, Петербург, 1908).

²⁹ ლ. მანანდიანი, *ჯინსაკან არმთაქან რაიარან*, IV, გვ. 1259—1261.

³⁰ ლ. მანანდიანი, *ჭიჭიჭიქცელ ზის ჯაკათათანი*... *სერსან*, 1934, გვ. 149—153.

იგულისხმებოდა... *ჯჩსაკსან* ების (ე. ი. გლეხების) *იამჩქ*-ობა, როგორც ვხედავთ, უცილობელია.

მაგრამ, განა შესაძლებელია აქედან ის დავასკვნათ, როგორც აქან ფილოლოგები ჩადიან, რომ *იამჩქ* სიტყვა და *ჯჩსაკსან*-ი სინონიმებია და იხმარებიან სოციალურა ერთი და იგივე კლასის აღსანიშნავად?... გეგონია, რომ ეს საფუძველს მოკლებულია. *ჩამჩქ*-ი ძველ სომეურში ერქვა არა მარტო *ჯჩსაკსან*-ებს (ე. ი. გლეხებს), არამედ ქალაქის მოსახლეობის დაბალ ფენასაც...

ჩვენი ამ ძიებითა და ჰუმბანის ზემოხსენებული ეტიმოლოგიური კომენტარებით გეგონია, შესაძლებელია დავასკვნათ. რომ *იამჩქ*-ი ძირითადი თავისი მნიშვნელობით დაახლოვებით შეესატყვისებოდა გერმანულ Menge, Masse-სა და რუსულ масса, масса-ს, რომელიც ხშირად იხმარებოდნენ საზოგადო, უბრალო ხალხის აზრით.

ყურადღების ღირსია, რომ ამ მხრით ოქროს ხანის (V ს-ის.—ი. ა.) სომხურ თარგმანებში *იამჩქ*-ი უმთავრესად შეესაბამება ბერძნულ (δμοσι-სა და δειότη-ს სიტყვებს, რომლებიც შემდგომ ქრისტიანულ ლიტერატურაში აღნიშნავენ უმთავრესად ნარეე სიმრავლეს, ამბოხსა და უბრალო ხალხს.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, *იამჩქ* ი არა თუ სინონიმია *ჯჩსაკსან* სიტყვისა, არამედ მისი მნიშვნელობა უფრო ფართოა და საზოგადო.

ჩამჩქ-ი შეიძლება წოდებოდა არა მარტო *ჯჩსაკსან* ებს, არამედ საერთოდ ხალხის მთელ სიმრავლეს, იქნებოდა იგი სოფლელი თუ ქალაქელი. უკეთუ იგი არ ეკუთვნოდა აზნაურობა ან სასულიერო ფენებს.

რადგან ძველი სომხეთი უმთავრესად მიწათმკვლევებისა და სასოფლო ქვეყანა იყო, სავსებით ბუნებრივია, რომ აქ *იამჩქ* ების დიდი უმრავლესობა *ჯჩსაკსან*-ებისაგან (ე. ი. გლეხებისაგან,—ი. ა.) შემდგარიყო.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, აკად. პ. მანანდიანის ძიებით ძველად სომხურში მოსახლეობის დაბალი ფენის აღსანიშნავად, ზოგად სახელწოდებად ფალაურტიდან სესხებული „რამიკ-ი“ ყოფილა ხმარებული, რომელიც თავის მხრით „შინაკან საც“ ანუ „გლახ-აც“, ე. ი. „სოფელს“ მოიცავდა.

თუ ამ ჩვენებას ეხლა ძველი ქართულის ზემოთ მოყვანილ მონაცემებს შევეუდარებთ, ვნახავთ, რომ ქართული „გლახ-ი“, ჯერ ერთი, შეფარდებულია ფალაურტიდან სომხურში მომდინარე „ამბოხ-თან“ (*ამბოხ*), რაც „მასას“ აღნიშნავს. და, მეორე, მის საპირისპიროდ სომხურში ეხედუბით ფალაურტიდანვე მომდინარე *იამჩქ*-საც, რაც, როგორც აკად. პ. მანანდიანი აღნიშნავდა, ჩვეულებრივ ძველ სომხურში ზოგადი სახელი იყო დაბალი კლასისა, ე. ი. მასისა.

„გლახ-ი“, რომ უწინარეს ყოვლისა ასეთი ზოგადი მნიშვნელობის მატარებელია ძველად ჩვენში, ეს კარგად ჩანს ქართული ბიბლიის „ოშკურ ხელნაწერში“ წარმოდგენილი „სოლომონის სიბრძნის“ მე-7 თავის მე-7 მუსლიდან, სადაც იკითხება: „რამეთუ უმრწამესი იგი შესანდობელ არს წყალობად. ხოლო ძლიერნი იგი ძლიერად განიკითხნენ“ [*...и а м ч х н (в е р . х а н а - н а о ф а н)* *н с р х и ч и о и р и о н с х а н ზ ჯ ჯ ი რ რ ზ ი რ ა ყ ი ე მ ა ყ ა რ ა ნ ჯ ს ა ყ ხ ნ*]. *ჩამჩქ*-ის ქართული შესატყვისი უმრწამესი ამ ადგილს ჰასაკის ან ხნიერების უმცირესობას კი არ ვადმოსცემს. არამედ სოციალური ხარისხისას („გლახ-ს“), როგორც ეს ხაზგასმულია „Толковая Библия“-ს კომენტარებში

(„будут судимы с большою строгостью, чем люди „меньшие“ их по своему общественному значению и власти“, გვ. 103).

აქვე ისიც უნდა დავსძინოთ, რომ სოციალური დაბალი ფენის ასეთი ზოგადი მნიშვნელობის მატარებელი „გლები-ი“ ლეონტი მროველის ნაწარმოებში: „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა შაჰათა და ნათესავთა“ ერთგან „გლახა“-ს სახითაც გვხვდება (მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრებაში“, სხვებში კი გლახაკ-ია). აი ეს ადგილიც: „მაშინ იქმნა გლოვა და ტირილი და ტყემა ყოველთა ზედა ქართველთა წარჩინებულთგან ვიდრე გლახად მდე“ (ნათქვამია ფარსჰან ქველის მოკვლასთან დაკავშირებით, იხ. „ქართლის ცხოვრება“... ტექსტი დადგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955, გვ. 53,9).

ამ ზოგად მნიშვნელობასთან ერთად ძველად, X ს-ის გასულისათვის, ეს ტერმინი („გლები“-ი) ეერპობითაც არ იყო მოკლებული, სახელდობრ სოფელს, მიწის მოქმედს ანუ გლებსა ნიშნავდა ჩვეულებრივი გაგებით.

„გლები“-ს ამ მნიშვნელობას ჩვენ გრ. ლეთისმეტყველის ერთი ნაწარმოების გრ. ოშკელისეული თარგმანით ვიტყობთ. ეს ნაწარმოებია „სამხილებელი არიანოზთა და ევენუმიანოსთა ბოროტად უწესობისა“, რომელიც, როგორც უკვე გარკვეულია³¹ სომხურიდან არის ნათარგმნი. ამ თხზულებას ცალკე თავად დართული აქვს ავტორის შეკითხვა მოწინააღმდეგისადმი — „მადლისა ფილოსოფოსისა მიმართ,“ — რომელშიც საბერძნეთის წარმართული, ე. წ. ანტიკური ხანის ფილოსოფიურ მოძღვრებათა ზოგიერთი მომენტის განმარტებისათვის მოითხოვს ავტორი პასუხს. ავტორის ერთ-ერთი შეკითხვა ეძებს ახსნას, თუ რას ნიშნავს: „ნაყროვნებით უძღვებება და სიღნიოშე გლებურთა მათ“. ამ შეკითხვებს მოსდევს ვილაც კომენტატორის ახსნა-განმარტება, თუ რა აქვს მხედველობაში შემკითხველს. იგი ასეა დასათარგმნელი: „თარგმანება... ზემოწერილთა მათ რიცხუელთა ძნიად გულისქვის საყოფელთა სიტყუათა“. აი რა ცნობაა მოწოდებული აქ ავტორის ზემორე ხსენებულ შეკითხვაზე „გლებურთა“-ს შესახებ: „გლებურთა მათთჳს.—ხოლო რომელნიცა გლებურნი იყვნეს და უსწავლენი წარმართთაგანი, იგი[ნი] შერეულად და ლნიომად ყოვლისა ფერისა ქამასა და სუმასა შექეულ იყვნეს ნაყროვნებით“³².

თუ რას გულისხმობს „გლებური“, ეს კარგად ჩანს ამ ადგილის შესაბამისი სომხური ტექსტიდან, სადაც ამ სიტყვას *ჯნაყან* შეესწორება. *ჯნაყან* ფილოსოფიური ტერმინია. იგი შესატყვისს წარმოადგენს ბერძ. *γυναικδ-ისას*. მართალია, ძველ სომხურში იხმარება *ქჩანქცი*-იც, მაგრამ პირველი (*ჯნაყან*), რომელიც ბერძნულის თარგმანს წარმოადგენს (*γυναικδ-იას*—ძალი), უფროა გავრცელებული. ძველ ქართულ ფილოსოფიურ მწერლობაში ბერძნული ტერმინია სესხებული „კვნიკელ-ის“ ან „კვნიკელ-ის“ სახით. ქართველი მთარგმნელი, გრიგოლ ოშკელი, ამ სომხურ ტერმინს, *ჯნაყან*-ს ეტყობა ჯერონად ვერ დაკვირვებია, იგი მიუჩნევია *ქჩანყან*-ად, რაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ძველ სომხურში აღრიდანვე აღნიშნავდა მოსახლეობის დაბალ ფენას, სოფლის უბრალო ხალხს, ძველი ქართულით რომ, ჯერ, „მდა-

³¹ ილია აბულაძე. ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში (გამოკლევა და ტექსტები). თბილისი, 1944, გვ. გვ. 0194—0199.

³² ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 0198.

ზიო“ თუ „მდაბური“ ეწოდებოდა და, მერმე, ჩვეულებრივი „გლები“ და-ერქვა.

ამრიგად, როგორც მოყვანილ ქართულ მოწმობათაგან ირკვევა, „გლები“ ძველად ჩვენში ხმარებულა ფართო შინაარსით, როსახლეობის სოციალურად დაბალი ფენის აღმნიშვნელად, და ვიწროთი—ამ დაბალ ფენაში შემავალი ქალაქელი (რიფსიმიანთა წამების მიხედვით) თუ სოფლელი უბრალო ხალხის ანუ „გლების“ ამსახველად (გრიგოლ ოშკელის თარგმანის მიხედვით). ფართო მნიშვნელობით ხმარების შემთხვევაში მას სომხურით *համիկ* ზეფარდება, ხოლო ვიწრო მნიშვნელობით გამოყენებისას ქალაქელი დაბალი მასის აღსანიშნავად *სამკოხი*-ი და სოფლელისა—*չხნასქანი*-ი.

თუ საიდან მოაქვს ამ ქართულ ტერმინს ასეთი მნიშვნელობა და ფორმა, ესეც ნათლად ირკვევა ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი ისეთი ძეგლის მიხედვით, როგორიც არის ზეზბლია, კერძოდ მასში შემავალი „სიბრძნე ისუ ზირაქისი“, რამელიც ერთ-ერთ უადრინდელეს თარგმანს უნდა წარმოადგენდეს.

აქ ოთხ ადგილს ვხვდებით ამ სიტყვას. მოვიყვანთ ყველას სომხურისა³³ და რუსული³⁴ შესატყვისებით მნიშვნელობის უკეთ დადგენის მიზნით.

- | | | |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------|-------------------------------------------------|
| 1. „შვილი ჩემო, ცხორებასა გლეხისასა ნუ მოუღებ და ნუცა დააშრობ სტუანეთა თუალთა ნაკლულევანთასა (4,1). | ...ამი უყსარ უღესან
ა უღესათ | ...не отказывая
принитани и нищему |
| 2. „სამი ესე ჯერი არს, რომელ მოიძულა სულმან ჩემმან და ფრად მოვიძავე ცხორება იგი მათი: გლეხი მზუაობარი და გლეხი მტყუვარი, მდიდარი მტყუვარი, ბერი სულელი და ნაკლულევანი გონებითა“ (25,3-4). | ...უღესათ
ა უღესათ | ...надменного
и нищего |
| 3. „შჯობს ცხორებასა გლეხისა და სართულთა ქუეშმ ძელისათა, ვიდრელა არა კახადსა პირად-პირადსა უსხოასაგან ტაბლისა“ (29,25). | კახ ჯ კსანტ
ფათის უნე კარკად
ფათისე ქარე | Лучше жизнь бедного
под досчатям
кровом |
| 4. „ჯჯობეს არს გლეხი ცოცხალი, რომელი ვრეოდის სახესა თსსა. ვიდრელა არა მდიდარი ძვრ-ძვრად გუმული გუამითა თსითა“ (30,14) | კახ ჯ აუფათ
იუღ კ უიარე | Лучше бедник
здоровый и
крепкий
силами |

როგორც სომხური და რუსული შესატყვისებიც ადასტურებენ „გლები“ აქ შეესწორება სომხურ *აუფათ* („ალქატ“-ს) და რუსულ „нищий“-სა და „бедный“-ს, ორსავე შემთხვევაში „ღარიბს“, რომელთაც ძველი ქართული ჩვეულებრივ „გლახაკი“ შესატყვისებათ. ქართულ კონტექსტებში „გლები“ თითქმის ყველგან „მდიდარს“ უპირისპირდება, რითაც აგრეთვე მისი „გლახაკი“-ად მიჩნევა არავისთვის არ უნდა იყოს საეჭვო.

ნათელი უნდა იყოს ისიც, რომ ეკონომიური ასეთი გარჩევა (მდიდარი—გლახაკი → გლები) საფუძველი უნდა შექმნილიყო სოციალური განსხვავებულობისა (მეფე—გლები; ძლიერი—უმრწამესი; წარჩინებული—გლახაკი; ანდა: აზნაური—უაზნო, იგივე გლები, ე. ი. დაბალი ხალხი, მასა). ეტყობა, ასეთ

³³ *Աստուած ոչ უნէ մատիան չին և չոր կասկարանս... և յոմ. IV, 1885, Վենետիկ.*

³⁴ *Толковая Библия... т. V, Петербург, 1908.*

შეფარდებას სახელწოდების მიმდინარეობაც თანა სდევს: გლახაკ → გლა^ახა → გლახ || გლებ-ი.

ასეთია „გლების“ შინაარსისა და ფორმის ვითარება ძველ ქართულში. საიდან წარმომდინარეობს თვით „გლახაკი“, ეს ამოსავალი ფორმა „გლები-სა“, ისე როგორც უთუოდ მასთან ურთიერთობის მქონე სომხური *գլխիկ*-ი, რომელიც, როგორც ჩანდა ძველ სომხურში მხოლოდ სოციალური მნიშვნელობით იყო აღქმული, ნათელი არაა. მარტო ის, რომ *գլխիկ*-ში, ძირად *գլխ* გამოიყოფა, რაც „ქუჩას, უბანს თუ საზოგადო გზას“ აღნიშნავს სომხურში, ვერ გახდება მარტოდენ იმის მანიშნებელი, რომ ქართული „გლახაკ—გლახა—გლებ-ი“, რომელიც უფრო ვრცელი შინაარსისაა, ვიდრე სომხური, მომდინარეობდეს ამ უკანასკნელისაგან, სადაც ამთ შესაბამისად ნევერაუდევრი სიტყვის ძირის—*գլխ*-ის—ეტიმოლოგია უცნობია.

И. В. АБУЛАДЗЕ

ИЗ ЛЕКСИКИ ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

Резюме

3. საკუთარი (СОБСТВЕННЫЙ)

На основании показаний памятников древнегрузинского языка устанавливается прежде всего первоначальное значение термина „საკუთარ-ი“ и производных от его основы других слов. Затем дается и этимология упомянутого термина.

Выясняется, что первоначальное значение „საკუთარი“ было обозначение „специфического, характерного (свойства), отличного и обособленного от других“, а этимологически корень данного термина увязывается со словом „კუთა—резать, отделять“. Такое происхождение данного слова подкрепляется, по наблюдению автора, этимологией соответствующего армянского термина *յատուկ*, также берущего свое начало от „հատանել—резать, отделять“.

4. გლები (КРЕСТЬЯНИН)

По древним памятникам грузинского языка устанавливается значение и оттого термина—„გლებ-ი“. В древнегрузинском он употребляется, с одной стороны, в значении „нищего, бедняка, нищего“, а с другой, в значении „простоародья, низшего слоя общества или его представителя“ (как в городе, так и в деревне).

ილ. აბულაძე

ძველი ქართულის ლექსიკიდან

4. ძალი-ძნობა-ძმობარი

და

5. ზე//ზი-ზიობა//საზიობა-მაზიობელი//საზიობელი

ამ სიტყვებს ძველიდანვე ეხედებით ჩვენამდის მოღწეულ ქართულ ხელნაწერებში. რადგან მათი შინაარსის დადგენისა და ეტიმოლოგიისათვის ერთი, საზოგადოდ აღიარებული აზრი არ მოიპოვება სამეცნიერო ლიტერატურაში. ამისთვის შევეცდებით. წარმოვადგინოთ ერთი და მეორეც კვემოთ, სათანადო წყაროებზე დაყრდნობით.

ერთ-ერთი ძველი ქართული წყარო, რომელშიც „ძნობას“ ეხედებით, არის X ს.-ის 70-იან წლებში შატბერდს გადაწერილი კრებული (S—1141), კერძოდ მასში შემავალი გრიგოლ ნოსელის ნაწარმოები „კაცისა შესაქმისათს“, რომელიც ენობრივი ნიშნების მიხედვით (კერძოდ ლექსიკის მხრით) VIII—IX სს.-ში უნდა იყოს თარგმნილი. ამ თხზულების სხვადასხვა თავში არა ერთჯერ გვხვდება სწორედ ეს სიტყვა.

1. „არამედ გუამი დაებადა მსავსად ქნარისა მის მძნობართა დასა. და ვითარცა მცემელმან ქნარისამან ვერ აჩუენის ქელოვნება ძნობისა თვისა და უკმარებისათს ძალთა მისთა და იქმნის იგი უკმო და უკმ, დალაყათუ კელოვან არს მძნობარი იგი; ეგრეცა გონებასა შეუცავს ყოველი გუამი“... (თავი XII, გვ. 37—38).

პირველი, რაც ჩვენი ტერმინის შინაარსისათვის ამ მოწმობიდან ირკვევა, ისაა, რომ ძნობა ყოფილა ერთგვარი კელოვნება (ე. ი. ხელობა, ოსტატობა), რომლის გამოჩინება შესძლებია „ქნარის მცემელს“, ისიც, თუ უჭმარება არა სკირს მის ძალებს, ე. ი. ქნარის სიმებს, ლარებს. საგულისხმოა ისიც, რომ შემსრულებელი ძნობის ხელოვნებისა, რაც ქნარის ცემასთან არის დაკავშირებული და რის გამოჩინება ქნარის ძალებზე დამოკიდებული, იწოდება ქნარის მცემლად ანუ მძნობრად. ამრიგად, ძნობა არის მუსიკობა ძალებიან საკრავზე. კერძოდ ქნარზე, რომლის „მცემელს, ანუ შემსრულებელს. მძნობარი ეწოდება.

არის ამავე წიგნის სხვა თავებში ისეთი ადგილები, რომლებიც აქ ხსენებული ძირითადი ტერმინების ამა თუ იმ მხარეს კიდევ უფრო აკონკრეტებს ნიშანდობლივ.

2. „და ვითარცა მძნობარი. მცემელი ებნისა და, რაემს არიედ ძალნი იგი ებნისანი ნოტია და მოფოლხუებულ, ვერ გამოსისს

ვმა იგი მათგან შეზავებულად; დალაკათუ ველი იგი მცემელისა მის ჯელოვნებით იქმნ, არამედ არა ვმა-სცემელ ძალნი იგი, ვითარ-იგი მას ჰნებავნ; დალაკათუ აღმოსციან ვმა; არამედ არა არნ იგი შეზავებულ და შეუნიერ, არამედ უშუერ...“ (XIII თავიდან, გვ. 45).

თუ წინა ციტატით ის ჩანდა, რომ მძნობარი „ქნარის მცემელს“ ერქვა, აქ კიდევ ის განმარტებულია როგორც „მცემელი ებნისა“, ე. ი. ისევ ძალებიანი, ანუ სიმებიანი, საკრავის დამკვრელი, რომელიც ხმას აცემინებს ებნის ძალებს, ანუ სიმებს, „შეზავებულად“; ანუ ჰარმონიულად. თუ რომ მისი ებნის ძალებს არა სჭირს „უჟმარება“. კერძოდ არ არიან „ნოტია და მოფოლხუებული“. აქიდან ცხადია, რომ ძნობა გულისხმობს ებნის ძალებისაგან ხმის შეზავებით გამოცემას ხელოვანის. მძნობარის, ხელით.

მძნობარი, ზოგიერთი სხვა მოწმობით კიდევ, მუსიკალური ხმის გამოცემელია არა მარტო ძალებიანი მუსიკალური საკრავებისა (ქნარისა თუ ებნისა), არამედ ჩასაბერისაც, ისე როგორც თავისი საკუთარი ხმისაც.

3. „და ვითარ-იგი მძნობარმან ჯელოვანმან ძნობასა მას შინა თქსსა ინების, რაჟთა გამოაცხადოს ჯელოვნება თქსი, აჩუენის იგი ვმასა მას შინა თქსსა. და რაჟამს ვერ შეუძლის იგი მედგრობითა ვმისა თქსისაჟთა, მაშინ აჩუენის ჯელოვნება თქსი სხუათა მიერ ვმათა ჟურჟერთა მათგან; რომელნი იჟმინის ჟამსა ძნობისასა, და უსულოთა მათგან გამოსცის ვმა, შეზავებული სტჯრისაგან გინა თუ ებნისა და მსგავსთა მათთა...“ (IX თავიდან, გვ. 27).

ამ მოწმობით ნათლად ჩანს ისიც, რომ ძნობა ფართო, ზოგადი მნიშვნელობით ყოფილა ხელოვნება მუსიკალური ხმის გამოცემისა საკრავთაგან (აღადმიანის ხმასთან ერთად), ხოლო მძნობარი მუსიკალური ძალებიანი თუ ჩასაბერავე იარაღების დამკვრელ-გამომყენებელია (თავის ხმასთან ერთად).

ზემორე მოყვანილი წყაროს ერთი კიდევ სხვა ადგილით ისიც ირკვევა, რომ ძნობის შემსრულებელს იმის მიხედვით, თუ რა რიგის მუსიკალური იარაღით (ძალებიანის, ჩასაბერავისა თუ სხეანიირით) ასრულებდა ის მას, ზოგჯერ ზოგადი „მძნობარის“ გარდა სხვადასხვა ტერმინი ჰრქმევია: საკუთრივ მძნობარი — ძალებიან საკრავზე დამკვრელისათვის, და მახეობელი — ჩასაბერავ იარაღებზე დამკვრელისათვის.

4. „და რამეთუ კაცი ცხოველი არს მეტყუელი და ამისთჳს ჯერარს; რაჟთა იყენენ ჯელნიცა მისნი შემსგავსებულ მეტყუელებისა, ვითარ-იგი ვხედეთ მძნობართა და მახეობელთა. და შემზადის თითოეულმან მათმან ჟურჟერი მსგავსად ძნობისა მის თქსისა, და ვერ ჯელ-წიფების სტჯვაჲ ებნითა და ვერცა ებნაჲ იგი სტჯრითა განწვალებისათჳს ჟურჟერთა მათთაჲსა...“ (თავი VIII, გვ. 25).

აქიდან აშკარად ჩანს, რომ მძნობარი და მახეობელი ორივე „ძნობს“ ანუ ხმას აღებიანებს სათანადო სამუსიკო ინსტრუმენტებს. ასე მაგ. შეუძლებელია ებნით (აგრეთვე ქნარით) სტეინვა, ისე როგორც ებნა სტეინრითა. ებნა ძალებიანი საკრავთაგანის ხმის გამოცემაა, რომლის შესრულება, როგორც ზემოთ მოყვანილ მოწმობათაგან ჩანდა, საკუთრივ მძნობარის საქმეა, ხოლო სტეინვა ჩასაბერავე იარაღთაგანის ხმობაა, რომლის შესრულება, როგორც ზემორე მოყვანილი ციტატიდან ირკვევა, მახეობელი ს მოვალეობა ყოფილა. ნათელია ისიც, რომ ძნობა ძირითადად საკუთრივ ძალებიანი მუსიკალური ინსტრუმენტის ხმობა თუ ხმის გამოცემა, ხოლო

*ხეობა თუ ხიობა¹—ჩასახერავე მუსიკალური ინსტრუმენტისა. აქიდან, პირველის შემსრულებელი მძნობარია და მეორისა—მახეობელი, რომელთაც, როგორც აქ (მე-3 მოწმობაში) შეინიშნებოდა და ქვემოთაც ვნახავთ, შეუძლიათ ზოგჯერ ერთიმეორეს ენაცვლებოდნენ, ე. ი. მძნობარი იმავე დროს მახიობელი იყოს და მახიობელი—მძნობარი, ისე რომ ხმის გამოცემის ამ ორსავე თვისებასთან ერთად თითოეული მათგანი მოკლებული არ იყოს მომღერლობასაც.

გარდა ამ დამახასიათებელი ნიშნებისა, ძველი წყაროების ჩვენებით, მძნობარისა და მახიობელისათვის უცხო არც ცეკვა-თამაში ყოფილა. ამტომ ხშირად მძნობა და მისი შემსრულებელი ხელოვანი—მძნობარი—ქართული ენის უძველეს ძეგლებშივე საკუთრივ ძირითადი მნიშვნელობის გვერდითა და ნაცვლად ამ დამატებითი ნიშნით არის ხოლმე წარმოჩენილი.

ა. „ასული მისი გამოვიდოდა შემთხუვეად მისა ბობლნებითა (ბობლნითა—A 51) და მძნობრებით (მძნობრითა A—51)“, მსაჯ. 11,34.

[სომხურში „მძნობრებითა“ წარმოდგენილია *պարուք*-ით, ე. ი. „ცეკვით“, რუსულში კი—*шнками*].

ბ. „და იხილეთ, რაემს გამოვიდენ ასულნი იგი მკვდრთა სელომისათანი (+და A—51) მძნობრები მძნობრად (! ძნობად)...“—მსაჯულთა 21,21 ათონის ნუსხით.

[სომხურში „მძნობრები მძნობრად“ წარმოდგენილია *պարասկալ պարուք*-ით, ე. ი. „ცეკვად მოცეკვავეებით“, რუსულში კი—*плясать в хоровах*].

გ. „მოილო მარიამ წინაწარმეტყუელმან, დამან აპრონისმან, ბობლანი ზელობითა თვისითა და განვიდეს ყოველნი დედანი შემდგომად მისსა ბობლნებისა თანა და მწყობრებისა (ბობლნებითა და მძნობრითა, —ბაქართ), ხოლო უპირობდა მათ მარიამ...“ (გამოსლვითა 15,20-21, A—51-ით).

[სომხურში „მძნობრითა (მწყობრებსა თანა, A—51)“ წარმოდგენილია *պարուք*-ით].

დ. „გამოეგებოდა მათ მძნობარი შემთხუვეად დავითისა... მემღერად მათ წინაშე პართ, წინაშე მეფისა საულისა ნესტუთა და ქნართა, ბობლნითა და წინწილითა, პირი აღელო და მიეგებოდეს მათ, სახიობდეს. აქებდეს და იტყოდეს...“—I მეფეთა 18,6 A—51-ით.

[სომხურში „მძნობარი“ წარმოდგენილია *պարასიւր*-ით, ე. ი. „მოცეკვაით“, რუსულში კი—*играшам*].

ე. „და მსახურნი იგი მეფისანი სცემდეს ნესტუსა და როკვიდეს და მძობდეს (+პირითა—ბაქართ) წინაშე მეფისა და იხარებდეს სიხარულითა დიდითა, და ოხრიდა ქუეყანა კმითა მით...“—III მეფეთა 1,40 A—51-ით.

[სომხურში „ძნობდეს“ წარმოდგენილია *պարասიսკალ պարուք*-ით, რუსულში კი—*играш*].

ვ. „და გამოვიდენ მათგან მძნობარნი და კმა მემღერეთა და განამრავლენ იგინი და არა შემციორდენ...“—იერემია 30,19.

[სომხურში „მძნობარნი“ წარმოდგენილია *სրყიქ*—„მგალობლებით“].

¹ ასეთ ფორმას ბიბლიაში ვხვდებით; II ნესტოს 23, 13-ში იკითხება: „სცემდეს ნესტუებსა და შენახსებლნი იგი სტრითა შესხმასა, და ახიობდეს ქებასა“.

როგორც უკანასკნელის უცხო შესატყვისობიდან ჩანს, „მძნობარი“ ვარაუდობს „მგალობელ-მომღერალს“, ე. ი. ეს ტერმინი უკვე აქ ძირითადი მნიშვნელობის (დაკვირისა ძალებიანსა და ჩასაბერაჲ ინსტრუმენტებზე) თანხმლები თვისების — „მომღერლობის“ (*სრყს*) — გამომხატველია ოდენ, რაც იმას მოწმობს, რომ „ძნობა“ ძველად „გალობა-სიმღერის“ შინაარსითაც უნდა ხმარებულიყო, რის არა ერთი და ორი მაგალითი მოიპოვება ტექსტებში.

„ესენი (იგულისხმება: „ქორციელნი ენებანი“) არიან, რომელნი ძნობენ ებნითა კერპისა მისთჳს ნაბუქოდონოს ორისა და რამეთუ არა ვმონებასა მას სახიობათასა ეცთუნნეს მაჴინ კაცნი, არამცა თაყუანის-ეცა კერპისა მისდა...“ („მა მათა ცხოვრება“ თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანი XI ს.-ისა).

[სომხურში „ძნობენ“ წარმოდგენილია *სრყს*-ნით, ე. ი. „გალობენ“].

ამ მნიშვნელობით „ძნობა“ მეტად გავრცელებულია მეხოტბეების პოეზიაში. ნ. მარის მიხედვით იგი აქ აღნიშნავს „ქებასა“ და „მღერა-გალობას“ (пение, воспевание-ს).

„აბდულმესიას“ ტექსტში მას ვხვდებით:

a. 1,3-ში: „მესმა ზეუსური: რა ვნახე, ვხური, რომ სიტყვა მეთხზნეს მე მისა ძნობად“;

b. 25,3-ში: „მენანდარ გიცნობს, ოქრო-ვმად გიძნობს, სამუსიკოო ზირაქისაო“;

c. 86,2-ში: „სიმენითა ბრძნობა და გულოვნობა მისი ვერ უძნონ თვითოეულად“;

d. 103,4-ში: „მათთან ვრახმანი გძნობდეს რეა ვჴანი. ვერა დამატონ ქება ძალისა“.

ხოლო „თამარიანის“ ტექსტში იგი გვხვდება:

e. II 5-ში: „თამარ შენ გიძნობ! ასულად გიცნობ: მზე დაუვალი, შუქ-მომფინარი“.

f. III 14-ში: „მწადდარე ძნობა, ვრცელად განბრძნობა სამუსიკოთა შენახამისად“;

g. V 4-ში: „ვეგრეცა მსგავსად ვერ გძნობდეს გავსად, ფერო, ვთერსა ელეათა სრეველ“;

h. V 53-ში: „თუ ძნობდეს ენოს, კელავ დაიყენოს, პლატონ მუსიკის მწყობრ შენავმეველ“;

i. VIII 15-ში: „ბრძნად მაქებართა ეკერეტ მაქებართა: მა-შამსსა გავსო, მად გძნობენ, ალი“;

k. IX 21-ში: „ვერა დამატონ სოკრატ და პლატონ, გძნობდეს საშნივე ფერემის წყველ“.

ზოგან მეხოტბეებთანაც „ძნობა“ სიმებიან საკრავზე დაკერას ნიშნავს, როგორც მაგ.:

l. „აბდულმესიას“ 15,2-ში: „ამათ ძალითა რომ ათძალითა ორლანო უძნონ, ებან-ებნითა“ და

m. „თამარიანში“, IX 1-ში: „იგავთ დამწესი და გამირთა მწესი იესეს ძისა მით გძნობს ებანი“.

იხილავს რა უკანასკნელი ორი რიგის ცნობებს (ბიბლიისა და მეხოტბეებისას), ივ. ჯავახიშვილი თავის წიგნში („ქართული მუსიკის ისტორიის ძი-

რითადი საკითხები“) იმ დასკვნამდის მიდის, თითქოს ბიბლიის მოწმობათა მიხედვით „ძნობა, მძნობარი და მძნობრი გუნდობრივობის ცნების გამომხატველი ყოფილა... და უფრო სარწმუნოებრივი ცეკვის ამსრულებელთა გუნდებს ჰგულისხმობდა“ (გვ. 51—52), ხოლო მეხობებთან, „რაკი ყოველი ასეთი როკვა ჩვეულებრივ გალობა-საკრავების აყოლებით იცოდნენ, ამიტომ მგალობელთა გუნდის აღმნიშვნელადც ქცეულა“-ო (გვ. 52).

ის გარემოება, რომ ძნობა, მძნობარი, მძნობრი, ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, გუნდობრივობის ცნების გამომხატველია, მას აფიქრებინებს, რომ ესენი „იმავე ძირის სიტყვა იყოს, რა ძირისაა ძნა-ა, რომელიც, საბაას სამართლიანი განმარტებით, „ყანის კონა-სა“ ნიშნავს. შესაძლებელია ამის გამო გვეფიქრა, რომ ძნობა ფერხულისა და ფერხისაის მსგავსი ხელჩაკიდებული „მობით“ როკვისა და მძნობარი კიდევ მროკველთა გუნდის აღმნიშვნელი ყოფილიყო თავდაპირველად. როგორც წყობისაგან მწყობრი იყო ნაწარმოები, ისევე ძნობისაგან მძნობარი და მძნობარი უნდა იყოს წარმომდგარი“ (გვ. 51).

როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილის მიერ მოხმობილ წყაროთა საფუძველზე ძნობა-მძნობრისათვის დადგენილი ძირითადი მნიშვნელობა ჩვენ მიერ დამოწმებულ წყაროთა მიხედვით წარმოდგენილი მნიშვნელობისაგან სხვაობს. ეს კი იმიტომ, რომ ჩვენი დასკვნა ეყრდნობა არა მარტო გამოკვეყნებულ წერილობით წყაროებს, რომლებსაც მეტ წილად მიმართავდა ხოლმე დიდი მეცნიერი, არამედ ხელნაწერებსაც, რომლებიც ზოგჯერ გამოკვეყნებულ წყაროებზე უფრო სრულად აჩენენ ხოლმე როგორც ამა თუ იმ სიტყვის შინაარსს, ისე მის წარმომავლობის მხარესაც.

ძნობას წარმომავლობა ჩვენი მასალის მიხედვით ძნას კი არ უნდა გვეპარაუდებინებდეს. ამოსაყლად, არამედ ძალ-ს (საკრავი ინსტრუმენტის სიმს, ლარს): ძალ-ი→*ძლობს (ისე როგორც ვმა→ვმობს) || ძნობს (მსგავსად ქორწილ-ი—ქორწინებისა ან სიკუდილ-ი--სასიკუდილ-ისა), რაც ნავარაუდვეი აქვს აგრეთვე კ. კეკელიძეს, რომელიც წერს: „Термины этот (იგულისხმება ძალ-ი, რომელიც, ავტორის აზრით, სიმს გარდა თითქოს სიმებიან ინსტრუმენტსაც უნდა აღნიშნავდეს) иногда заменяется ძნობა (ს. 150, სტ. 4), без сомнения, равняющимся ძლობა“ (Иерусалимский канонарь VII в., Тбилиси, 1912, стр. 341).

პარალელურად ძნობა, მძნობარისა, რომლებიც წარმოებული არიან ძალ-ისაგან, ძველ ქართულში გვხვდება აგრეთვე სახიობა და მსახიობელი, რომლებიც ზემოთ ხსენებულ მახეობელ//მახიობელ-ის ძირისაგან (ხე//ხი) ჩანს წარმოქმნილი და ამის ძირითადი მნიშვნელობის გარდა (დაკვრისა ჩასაბერავ ინსტრუმენტებზე), გამომხატველია ყველა იმ მნიშვნელობისა, რასაც ძნობა—მძნობარი აღნიშნავდა ძველად (სიმებიან საკრავზე დაკვრას, სიკვასა და გალობა-მღერას). იმის სამოწმოდ, რომ, მართლაც, სახიობა—მსახიობელი ძველად ძნობა—მძნობარის შემნაცვლელად, ე. ი. სინონიმად იხმარებოდა, კარგად გვადგება ზემოთ ძნობა—მძნობარისათვის შატბერდის კრებულში შემაველი VIII—IX სს.-ის „კაცისა შესაქმის“ თარგმანიდან დამოწმებული მარჯვე ადგილების პარალელური ტექსტები ამავე ნაწარმოების გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანიდან. სიციხლისათვის ისინი აქ ერთიმეორის გვერდით მოგვყავს:

შატერდული ნუსხა

1. „არამედ გუამი დაებადა მსგავსად ქნარისა მის მძნობართა-
 ესა. და ვითარცა მცემელმან ქნა-
 რისამან ვერ აჩუენის კელოვნება
 ძნობისა თვისისა უკმარებისათჳს
 ძალთა მისთაჲსა და იქმნის იგი უკმო
 და უკმ, დაღაცათუ კელოვან არს
 მძნობარი იგი...“

გიორგი მთაწმიდლის
თარგმანი

„ყოველივე გუამი ვითარცა სა-
 ხიობისა რაჲსმე ორღანოჲ შეგზა-
 დებულ არს, ვითარცა-იგი იქმნების
 მრავალგზის მეცნიერსა ზედა სახიო-
 ბისა, გინა გალობისასა, რო-
 მელსა-იგი ვერ ეძლის თვისისა კელოვ-
 ნებისა ჩუენებად, რაჲმს-იგი ორღა-
 ნოჲსა განრუენილებოჲ არა შეიწყნა-
 რებნ კელოვნებასა მისსა, რაჲმს-იგი
 ანუ თუ ეამთა სიგრიძისაგან განხრწნილ
 არნ, ანუ თუ განტეხილ არნ... და
 ამათ მიზეზთათჳს უკმარნი იგი და
 უსახიობო, დაღაცათუ მენესტჳსა
 მის გინა მეზობლნისა კელოვნებაჲ
 გონიერად და მეცნიერად ჰბერვიდეს
 გინა სცემდეს...“

როგორც შედარებიდან ჩანს, ძნობას შეესატყვისება გიორგი მთა-
 წმიდლის თარგმანით სახიობა: რასაც გლოსად გალობა ახლავს, ხოლო
 მძნობარს ეფარდება მენესტუე გინა მეზობლნე. სომხურს ძველ თარგ-
 მანში კი, რომელიც ჯერ კიდევ არ გამოქვეყნებულა. ძნობა-მძნობარს
ხრატჳთასკან-ხრატჳთ, ე. ი. მუსიკობა-მუსიკოსი შეესატყვისება.

2. „და ვითარცა მძნობარი,
 მცემელი ებნისაჲ, რაჲმს არიედ
 ძალნი იგი ებნისანი ნოტია და მო-
 ფოლხუებულ, ვერ გამოსცის ჳმაჲ
 იგი მათგან შეზავებულად, დაღაცა-
 თუ კელი იგი მცემელისაჲ მის კელოვ-
 ნებით იქმნ...“

„ვითარცა მსახიობელმან ვინ-
 მე მოძღუარმან დაჳსნილთა რაჲ ძალ-
 თა ბარბითისათა დაუცის საორძ-
 ლითა, არა შეწყობილი ჳმაჲ გამო-
 ვალნ, რამეთუ არცა ჳმობს იგი ტკბი-
 ლად თჳნიერ განრთხმისა და მორთ-
 ვისა, დაღათუ კელი იგი კელოვნისაჲ
 კელოვნად იძრვინ და თჳსსა აღვილსა
 ძალთა მათ ზედა აქცევენ საორძლე-
 სა მას...“

აქ მძნობარს, ანუ, როგორც იქვეა ნათქვამი, ებნის მცემელს, გიორ-
 გი მთაწმიდლის თარგმანით მსახიობელი შეესატყვისება, ხოლო სომხურ-
 რით—*ხრატჳთასკან*, ე. ი. მუსიკოსი.

საგულისხმოა სხვათა შორის ისიც, რომ გიორგი მთაწმიდელთან ნახმა
 რი საორძლე კონტექსტის მიხედვით ის საკარავი საგანია. რომლითაც სი-
 მებს სცემენ ან რომელსაც „ძალთა მათ ზედა აქცევენ“ მსახიობელი. სომხური
 თარგმანით მას *ქსანსიოე* ეფარდება, ე. ი. „სიმების საცემელი იარაღი“,
 ლათინურად *Plectrum*.

3. „და ვითარ-იგი მძნობარი-
 მან კელოვანმან ძნობასა მას შინა
 თჳსსა ინების, რაჲთა გამოაცხადოს
 კელოვნებაჲ თჳსი, აჩუენის იგი ჳმასა

„და ვითარცა მსახიობელსა
 ვისმე კელოვანსა ენებისა რაჲსაგანმე
 თჳსი ჳმაჲ არა აქუნ, ხოლო ჳნებაჲს,
 რაჲთამცა საცნაურ ყო თჳსი კელოვ-

მას შინა თვსსა. და რაჟამს ვერ შე-
უძლის იგი მდღერობითა ჳმისა თვისი-
საჲთა, მაშინ აჩუენის ჳელოვნებაჲ
თვისი სხუათა მიერ ჳმათა ჳურჳერთა
მათგან, რომელნი იჳმინის ეამსა
ძნობისასა, და უსულოთა მათგან
გამოსცის ჳმაჲ, შეზავებული სტჯრი-
საგან გინა თუ ებნისა და მსგავსთა
მათთა“...

აქაც „მძნობარს“ „გიორგი მთაწმიდლის თარგმანით „მსახიობელი“ შე-
ესაბამება, ხოლო „ძნობას“ — „სახიობა“. სომხურით კი „მძნობარი“ *ხრატჯიას-*
ქანს-ია და „ძნობა“ — *ხრატჯიასქანს*:

4. „და რამეთუ კაცი ცხოველი
არს მეტყუელი, და ამისთვის ჳერ-
არს, რაჲთა იყენენ ჳელნიცა მისნი
შემსგავსებულ მეტყუელებისა, ვი-
თარ-იგი ვებდაეთა მძნობართა
და მახეობელთა; და შემზადის
თითოვეულმან მათმან ჳურჳერი მსგა-
ვად ძნობისა მის თვისისა...“

ნებაჲ... ამისთვის ვითარცა მსახიობე-
ლი ვინმე ჳელოვანი სულიერთა ამათ
ორღანოთა შეეხების და მათგან გა-
მომავალითა ჳმითა საცნაურ ჳყოფს
დაფარულთა განზრახვითა, რამეთუ
სახიობისა ჳმათა ჳიარებითა შე-
ზავებულ არს კაცობრივი ორღანოჲ
ნესტჯსა და სტჯრისა თანა...“

„და ვინაჲთგან კაცი პირმეტყუე-
ლი არს ცხოველი შემსგავსებულად
მეტყუელებისა, ჳერ-იყო შემზადებაჲ
ჯორცთა ორღანოჲსაჲ, რამეთუ ვი-
თარცა-იგი მსახიობელნი სახი-
საებრ ორღანოთაჲსა სახიობენ
სახიობასა თვისსა...“

ამ ნაწყვეტითაც „მძნობარი“ გიორგი მთაწმიდლის თარგმანში „მსახიო-
ბელად“ არის წარმოდგენილი, ხოლო „ძნობა“ — „სახიობა“-დ. სომხურით
„მძნობარს“ *ხრატჯიასქანს* შეესატყვისება, ხოლო „ძნობას“ *ხრატჯიასქანსი-*
ქანს-ი.

„სახიობა“ რომ სამუსიკო ინსტრუმენტთა დაკვრის გარდა, მსგავსად
„ძნობისა“. გალობა-სიმღერასაც აღნიშნავს, ეს ნათლად ჩანს სხვა ძეგ-
ლების მოწმობათაგანაც. მაგ., 1040 წლის ერთ ხელნაწერ კრებულში,
H—1664, კვითხულობთ:

ა. „სადამე იყუნენ მაშინ მსუმელნი ღვნისანი, განმცხრომელნი
მრავლითა სახიობითა და ჳმითა ჳნარისა და სტჯრისაჲთა“ (19 Ⴀ);

ბ. „სადა არიან სასმენელნი იგი პირად-პირადთა სახიობათა მსმე-
ნელნი, რომელნი ღღეს დაყოფილ არიან და დაჯსნილ და დაკლებულ
სმენისაგან“ (257 Ⴀ).

ერთგან და მეორეგანაც აქ (განსაკუთრებით პირველ შემთხვევაში) სა-
ხიობა „გალობას“ უნდა აღნიშნავდეს.

„სიმღერა-გალობის“ შინაარსს ატარებს „სახიობა“ აღიშის ოთხთავშიც:

„ესმა ჳმაჲ სახიობისაჲ და პარით მემღერთაჲ“ (ლუკა 15,25), შღრ.

ჯრუჳ-პარხლის ოთხთავით:

„ესმოდა ჳმაჲ სიხარულისაჲ და განცხრომისაჲ“.

სომხური ოთხთავის სათანადო ტექსტი აღიშისას უჳერს მხარს:

Լուսն գձայն հրպոց և գայարուց:

სახიობას აქ *հրպ* „გალობა, სიმღერა“ შეესატყვისება.

XI ს.-ის მიწურულს ბერძნულიდან თარგმნილ „მამათა ცხოვრებაში“,
(თეოფილე ხუცესმონაზონისა) სახიობა ამავე მნიშვნელობით გვხვდება, ხო-
ლო სომხურს ანალოგიურ ძეგლში ის „გალობასთან“ ერთად „ცეკვის“ გა-
მომხატველიცა ჩანს.

„ესენი (= ჯორციელნი ვნებანი) არიან, რომელნი ძნობენ ებნითა კერპისა მისთვის ნაბუქოდონოსორისა, და რამეთუ უკუეთუმცა არა ვმონებასა მას სახიობათასა ეცთუნნეს მაშინ კაცნი, არამცა თაყუანის-ეცა კერპისა მისდა...“ [Uღჩხ სნ ირე ხრეხნ ცხილას ლიფნ საროდითნიორაქ ვჩ ხმტ იღ ჭჩს ლისალ კაქნძამ ეღაქნ სრფიე ს იყაყოფ მაროქჩ, იღ ხრეყაყხაღ, ჭჩს ლიფ. იყარე ჯარანგა, I, ტ.გ 696, ლხნსახი, 1855].

ამრიგად, სახიობა—მსახიობელი თავისი მნიშვნელობით სრულად შეესაბამება ძნობა—ძნობარს. უკანასკნელი თუ წარმოშობილად „ძალი-საგან“ ჩანს, „სახიობა—მსახიობელი“ *ხი თუ *ხე ძირისაგან უნდა იყოს. ამ *ხი თუ *ხე ძირიდან, როგორც ვნახეთ (იხ. ზემოთ. გვ. 3, შენ.), ნაწარმოებია ხიობა (საიდანაცაა „მახიობელი“), რის პარალელურად იხმარება ძველადვე „სახიობა“. უკანასკნელი („სახიობა“) კი ისეთივე წარმოებისაა, როგორისაც, მაგ., „სახარება“, „სალმობა“².

„მახიობელი“ ვარაუდობს „სახიობელ-ის“ არსებობასაც, რაც, მართლაც მოიპოვება. ავათანგელოზის „რიფსიმიანთა წამების წიგნის ძველ ქართულ თარგმანში, რომელიც ადრე (VIII—IX ს.) უნდა იყოს ნათარგმნი ქართულად ერთგან ეკითხულობთ:

„ყოველი იგი სიმრავლე ერისა, რომელნიმე გარეშე ტაძართა მათ, რომელნიმე ფოლოცთა მათ, ერთბამად აღელო სახიობელი, მალღითა კმითა კმობდეს, ტყუელვიდეს და როკვიდეს“ [„აი ზასარაკ მაროქჩს, იმანდ ალიადიკ აყარანჩენ, ჭჯანდ ს ფილიე ქ სხრე-საფიქანს, თი ზასარაკ ს რეფა არჩაქ გარეანხვან ჭაქქჩედ. იყად-სიქ“].

როგორც დედანთან შედარებით ირკვევა, სახიობელი უდრის ხრე-ს, ე. ი. „საგალობელსა თუ გალობას“. ამ სიტყვის ასეთი მნიშვნელობიდან ისიც მოსალოდნელია, რომ „მახიობელი“ აღნიშნავდეს „მგალობელს“. და მართლაც, ასეთი მნიშვნელობითაც ვხვდებით ამ სიტყვის ზირაქთან ბიბლიაში:

„მახიობელი სა მიმართ ნუ აღიმსთობ, რაჟთა არა შეიპყრა შენ ტყუელითა მისითა დასაწყისსა შინა მისსა—ათონ. 9,4 (II-306 r).

[ამას სომხურით სრეყეჩქ (ჭჩხ), ე. ი. „მგალობელი“ თუ „მომღერალი“ შეეფარდება].

„მახიობელი“ არც ცეკვის შინაარსს არის მოკლებული ზოგჯერ ძველად. ერთ-ერთ ძველ „მრავალთაქში“, მაგ., ეკითხულობთ:

„შევიდა იგი შეღვებულთა მათ მოსმურთა, როკვიდა მახიობ-ლებრ სეფე ქალი იგი“ (A—1109, 177 v).

ასეთია ძალ—ძნობა—ძნობარ-ის შინაარსი და ერთმანეთთან მიმართება, ერთის მხრივ, და *ხე//*ხი — ხიობა // სახიობა—მახიობელ // მსახიობელ-ისა, მეორეს მხრივ. ამოსავალი პირველისათვის (ძალ) საგნობრივი ცნების მატარებელია, ხოლო მეორისათვის—*ხე//*ხი-სთვის—ნათელი არაა, სავარაუ-

² არნ. ჩიქობაძეა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 227—228, თბილისი, 1942.

დოა მასშიც ჩამარხული იყოს ისეთი ცნება, რომელიც ხმის გამომცემელი იყოს არა ატლერებით, არამედ ბერეა-ცემით².

ძალ-ძნობასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოგვაგონდეს სომხური *ძაქნ*-*ჟმა* (კერძოდ: ვალობა-სიმღერა), რომლიდანაც წარმოებულია ზმნაც—*ძაქნეს*—*ჟმობა*³. მართალია, *ძაქნ*-ს ინდო-ევროპული ენათმეცნიერების თვალსაზრისით მკვლევრები უკავშირებენ ინდო-ევროპულ ენათა წრის ამა თუ იმ წევრის ლექსიკურ მონაცემს, კერძოდ ძვ. სლავურ *звоню*—*„ხმას“*, მაგრამ სრული ფონეტიკური შეუსაბამობის გამო ეს კავშირი საეჭვოდ ითვლება და, მაგ., პ. აპარიანისთვის მიუღებლადაც კი.

ნ. მარი სომხურ *ძაქნ*-ს ქართულ „ძახილს“ უკავშირებდა (ИАН 1917, გვ. 328).

ჩვენი აზრით, სომხური *ძაქნ* ქართულზე დამოკიდებული ჩანს, ამისგან უნდა იყოს ნასესხები. ქართველურ ენათაგან ქართული „ძალ-ის“ შესაბამისი სვანურში *ჯჯღა-ა* (ბალსზემოურში) და *ჯჯღ* (ბალსქვემოურში)⁴, სწორი ფონეტიკური შესატყვისობითა და არა სესხების სახით წარმოდგენილი ამ კილოებში. ქართულის ეს „ძალ“ (რომელიც შეიძლება **ძან*-ისაგან მომდინარეობდეს), როგორც „ძნობის“ შინაარსი გვიჩვენებს, სესხების გზით ჩანს შესული სომხურში: **ძან-ი*→*ძაქნ* და არა პირუკუ, რადგან ამ სიტყვას ქართველურ ენებში ერთიმეორისაგან სესხებული სახით კი არ ვხვდებით, არამედ გარკვეული ფონეტიკური შესატყვისობით, რაც მის ზოგადობას, ანუ ერთადობას, გვიჩვენებს ქართველური ენებისათვის, ხოლო კერძობას (სესხების გამო) სომხურისათვის.

PS. „სახიობს“ და „ძნობს“ ზმნები განხილული აქვს ივ. ჯავთარაძეს თავის შრომაში: „ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში“ (თბილისი, 1954).

„სახიობს“- ზმნა მოხვედრილია ჯერ დრონაკლ ზმნებში (I, § 5 -ობ სუფიქსიან ზმნებში) და მერმე ქცევანაკლ ზმნებში (IV, § 22 -ა პრეფიქსიან ზმნებში).

პირველ შემთხვევაში მასზე ნათქვამია, რომ ის „იმევე სახელად ფუძეს იყენებს, რასაც საბ-ავ ზმნაში ვხვდებით-ო“. ანალიზი დასახელებული ზმნისა კი ასეა წარმოდგენილი: „სახ-ე-ობ→სახ-ი-ობ“. ეს ფუძე ეგულება ავტორს „მსახიობ-ში“, რომელიც, როგორც მიმღეობა, ავტორის თქმით, „თავისებურია ამ ტიპის წარმოებულ სახელებთან შედარებით (შდრ. ვალობს: მგალობელი და სხვ.)“.

მეორე შემთხვევაში ეს ზმნა (სახ-ი-ობ-ს), ავტორის აზრით, „წარმოებულია ს-ა-ხ-ე სიტყვისაგან, ძირია ხ, რომელიც საერთოა ხ-ედ-ავ, ა-ხ-ელ, შეუ-ხ-ენ-ებ-ავ (ხეცსურული), ნა-ხ-ავ ფუძეებში“.

როგორც ვხედავთ „სახიობს“ ზმნა წარმოდგენილი ახსნის მიხედვით წარმომავლობს „სახე“ სიტყვის ხახ სახელად ფუძისაგან. რომლის ძირად მიჩნეულია ხ, რაც „ხედვა-ხილვა“ ცნებას უკავშირდება და არა „გალობა-

² „მახიობელი“ და „მსახიობელი“ ტერმინების ძველად ხმაზეა წყაროებში შენიშნული აქვს ტრ. რუხაძეს, რომელიც მათ შინაარსობლივ „ხმის მიერ გამართობებად“ მიიჩნევს, ხოლო წარმოქმნილად პირველი (მახიობელი) რატომღაც „ეხო“-საგან წარმოდგენია (იხ. ტრ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბილისი, 1949, გვ. 26..).

³ ცნობა მომწოდია მ. ქალღანმა, რომელსაც მადლობას მოვახსენებ.

სტეინვა-ს“, როგორც ეს ჩვენი ანალიზით ძირად გამოყოფილმა „ხე-*ხი“-მა და მისგან წარმომავალმა „ხიობა—მახიობელმა“ და „სახიობა—მსახიობელ“-მა (და არა „მსახიობ-მა“, რომელიც ახალი ქართული ფორმაა) წარმოაჩინეს.

იე. ქავთარაძეს თავის ხსენებულ ნაშრომში განხილული აქვს აგრეთვე „ძნ-ობ-ს“ ზმნაც დრონაკლ ზმნათა რიგში (I, § 5 -ობ სუფიქსიან ზმნებში). ეს ზმნა ნასახელარად მიაჩნია ავტორს, მომდინარედ „ძნობ-ისაგან“, რომლის ძნ ფუძეში „ხმოვანი უნდა ივარაუდებოდეს“-ო და კითხვის ქვეშ აყენებს „ძან“ ფუძეს, რომელიც, როგორც ვხედავთ, ბოლომდის გამოწვლილი არაა.

И. В. АБУЛАДЗЕ

ИЗ ЛЕКСИКИ ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

4. *zali*—*znoba*—*mznobari*

И

5. **xe* || **xi*—*xioba* || *saxioba*—*machiobeli* || *msaxiobeli*

Резюме

В работе на основании анализа показаний древнегрузинских текстов в памятниках древнеармянской литературы делается попытка уяснения истории ряда древнегрузинских терминов. В результате анализа утверждается, что по смыслу слова *znobs*-*znoba*-*mznobari*—(*s*)*axiobs*-(*sa*)*xioba*-*m*(*s*)*axiobeli* имеют одинаковое значение. По мнению автора *zn(oba)*, производное от слова **zap*→*zal* (т. е. «струны») и означающее «играть на струнном инструменте», «издавать голос», с одной стороны, и «петь», «танцевать», с другой, находит соответствие с армянским *zaju* «голос» («пение»): оно (*zaju*) заимствовано из грузинского **zap-i* (*zal-i*)→*zn(oba)*. Этимология же слова (*sa*)*xi(oba)* пока что не устанавливается; оно произведено от **xe* || **xi*, первоначальное значение которого яе совсем ясно.

ილია აბულაძე

ძველი ქართულის ლექსიკონი

6. მოთაული¹

ძველი ქართული ენის ძეგლებს შორის, რომლებიც დღემდისაა გამოქვეყნებული, ამ სიტყვას მხოლოდ «ქართლის ცხოვრებაში» შესულ «მატიანე ქართლისაჲში» ვხვდებით. ამ ნაწარმოებიდან უნდა მოჰყავდეს ის სულხან-საბა ორბელიანს თავის «ქართულ ლექსიკონში», სადაც სწერია, რომ «მოთაული თავად მყოფი-აო».

«მატიანე ქართლისაჲს» სათანადო ადგილების მიხედვით ადგენს ამ ტერმინის მნიშვნელობას აკად. ივ. ჯავახიშვილიც. მმართველი წრეების შესახებ ძიების დროს სახელოვანი მეცნიერი არკვევს, თუ რა ტერმინებით აღინიშნებოდა გავლენის მქონე წრეები სახელმწიფო საქმეების მართვაში². დიდი ხელისუფლებით დაჯილდოვებულ და აღტურვილ პირთა აღსანიშნავად, მკვლევრის ძიების მიხედვით, იხმარებოდა სიტყვები: დიდებული, წარჩინებული, მკვდრი, თავადი და მოთაული. ესენი, აღნიშნავს ავტორი, «მეფესთან ერთად და მეფის გვერდით სახელმწიფოს სათავეში უდგენ-ოა»³. «მოთაული» მას სინონიმად ღიარია «თავადისა», როცა, მაგ., «მატიანე ქართლისაჲს» ერთი ცნობის გამო წერს, რომ «თავადნი დიდებულნი ამის სამეფოსანი» ყოფილან იგივე «მოთაულნი ამის სამეფოსანიო»⁴. ასეთი განმარტებით ის, როგორც ვხედავთ, იზიარებს სულხან-საბა ორბელიანის ახსნას. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან ორივე დიდი მეცნიერი ერთსა და იმავე წყაროს ეყრდნობოდა.

მაგრამ ამ სიტყვას ადრეც ვხვდებით. მისი ხმარება შენიშნული გვაქვს ბიბლიის ერთ-ერთ აპოკრიფულ წიგნში, ზირაქის 6,10--11-ში. 978 წლის ოშკური ხელნაწერის მიხედვით აქ ვკითხულობთ:

„და არს მეგობარი ზიარ ტაბლისა ოდენ, და არა დაგადგრეს შენ ეამსა კირისა შენისასა (10).

„კეთილსა მას შენსა თანა-მოთაულ გექმნეს შენ და მონათა შენთა შენსა უფრო-ას იგი სასტიკებდეს (11)“.

¹ პირველი წერილი იხ. იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში, IV, 1952, გვ. 363—369, შემდეგი—ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბეში, I, 1959, გვ. 157—175 და იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში, XII, გვ. 211—220.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი პირველი, გვ. 40—57, თბილისი, 1928.

³ იქვე, გვ. 52.

⁴ იქვე, გვ. 53.

⁵ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის როტო-პირი

ბაქარის გამოცემაში ეს ადგილი ასე იკითხება:

„და არს მეგობარი ზიარ ტაბლათა, და არა დაადგრების ეამსა შინა ჰიარისა შენისასა (10).“

„და კეთილთა შინა შენთა იქმნეს ვითარცა შენ, და მონათა შენთა ზედა კადნიერა“ (11)⁶.

ბერძნულ ბიბლიაში ის ასეა წარმოდგენილი:

„Και μεν φίλος καιωνάτος τραπέζην, και ος μη παραμεσεν εν ήμερα θλίψαός σου (10).“

„Και εν τούτῳ δαυοίς σου βλασας ος και επι τούτῳ οίκετας σου παρηουδοσεται“ (11)⁷.

ბერძნულიდან მომდინარე რუსულ ბიბლიაში კი ამ ადგილს ასეთი სახით ვპოულობთ:

„Бывает другом участник в трапезе, и не останется с тобою в день скорби твоей (10).“

„В имени твоём он будет как ты, и дерзко будет обращаться с домашними твоими“ (11)⁸.

სომხური ბიბლიის ერთს რედაქციაში, რომელიც, როგორც ჩანს, ახლოს დგას ბერძნულთან, აღნიშნული ადგილი ასე იკითხება:

„ის է წარხსამ. ირ' ვილუ ღ სხვანი, ის ეკ ლავეგ ალ ქეგ კალიერ ნევირხონ რი“ (10).“

„ის ჰ წარირჩინა რა ხეიგი ჰ ქ რს ვეხვ, ის ქ ვერაჲ ბოლახიგ ჩამარძო-კხეგი“ (11)⁹.

ბოლო მეორეში ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი:

„წარხსამ ჩაიიგი სხვანი; იკ ივენ ქეგ ჰ ნევირხონ (10).“

„ის წარხვავ რეგ ქიგი წაძანი ი რი, ირატა ის ვილ (11)“¹⁰.

ქართული ბიბლიის ოშკური ხელნაწერის „მოთაულს“, როგორც დასახელებულ წყაროებთან შედარება გვიჩვენებს, ქართულისა და უცხო წყაროთა უშეტესობის მხრით შეესატყვისება „[იგი] ვითარცა შენ“, „მც ძმ“, „ოი... კაკ ტყ“ და *წ[წა] ჰქრც ვქვვ* ან *ეორატა ის ვილ*.

მხოლოდ ერთი სომხური რედაქციაა, რომელიც „მოთაულის“ შესატყვისად *წაძანი ი რი*-ს გვაწვდის. *წაძანი ი რი* ბიბლიის წიგნების, კერძოდ, ახალი აღთქმის სხვა ადგილებშიც გვხვდება: ჰრომაელთა 11,17-ში, ეფესელთა 5,7-ში, ებრაელთა 3,1-სა და 3,14-ში, ისე როგორც ამავე წიგნის 12,8-ში. აქ მას ქართულით¹¹ შეესატყვისება: „ზიარი“, „თანა-ზიარი“ და „მსგავსი“.

„მოთაული“, მაშასადამე, „ზიარი“ გამოდის. ასეთი გაგებით, წინადადება: „კეთილსა მას შენსა თანა-მოთაულ გექმნეს შენ“, ასეთ სახეს მიიღებს: „კეთილსა მას შენსა თანაზიარ გექმნეს შენ“ თუ რას უნდა მოასწავებდეს აქ „კეთილსა“, ამის გარკვევაში პირველ ყოვლისა რუსული ტექსტი გვშეგლის. ამ სიტყვის შესაბამისად იქ სწერია: *в имени (твоем)*. *Имяне-ს* გაგებას მოკლებული არაა არც სომხური *წარიჩქინვა*, ისე როგორც *წარიჩქვა*, რომლებიც *წარიჩ-კეთილი* სიტყვისაგან წარმოშობებზე და ტექსტში წარმოდგენილი ფორმებზე „მონაგებს, ქონებას“, ე. ი. *имение-ს*, ეფუძება.

⁶ ბიბლიის 1884 წლის გამოცემა, ნაწილი II.

⁷ *Tü Biblija... en Moosa*, 1821.

⁸ Толковая Библия, т. V, СПб, 1908.

⁹ ვენეტიკის 1860 წლის გამოცემა.

¹⁰ *სათოთაბაჯინ... ქოუქათათქროცნს მინიყაყხან... ღხნხაქი*, 1805.

¹¹ ახალი აღთქმა, ტფილისი, 1879.

ამრიგად, „კეთილსა მას შენსა თანა-მოთაულ გექმნეს შენ“ ასე უნდა იქნეს გაგებული: „მონაგებსა თუ ქონებაში [ის (-შეგობარს)] მოზიარე გაგიხდება შენ“.

„მოთაულის“ ძველი ქართლისავე შესაბამისი „ზიარი“ ჩვეულებრივი გაგებით „მონაწილეს“ ნიშნავს. მაგრამ „ზიარი“ ძველ ქართულ ტექსტებში ზოგჯერ სხვა შინაარსის მატარებლად გამოდის, როგორც ამას ასეთი ტექსტების სომხურ შესაბამის ძეგლებთან შეჯერება გვიჩვენებს. ფილექტიმონის მარტილობის ძველ ქართულ თარგმანში, რომელიც მე-V—VII-სს. უნდა ეკუთვნოდეს და სომხურიდან ჩანს ნათარგმნი¹², ერთ ადგილას, სადაც საუბარია კერპთმსახურ მეფესა და კერპის განმთავსებელ ხელოსანს შორის მეფის ღმს, ქრისტეს მოწამის შესახებ, ნათქვამია:

„ხოლო ღმრთისა თანა-მზრახველი იგი, და შენი, შორს არს შენგან; ვითარცა აღმოსავალი დასავალთა ეგრძთ შორს ხართ ურთიერთას, და ვითარ იტყვ შენ თანა-ზიარებელ სულსა თანა მართლისა? რაი ზიარებება არს ნითლისა და ბნელისა?!”

მარტილობის შესაბამის სომხურ ტექსტში ვკითხულობთ:

«Այլ ասուածաძախին կոյսն Քեղոյսիս ჩնի է ի քն, որպէս արևից արևմտից ჩնի էն. այսպսի ჩնի էք ի միմხանց, և գի՛ խնդրես դու հաւասարութիւն ընդ ჩիզոյ արդարոյն. գի՛նչ հաւասարութիւն է լստոյ ընդ խաւարի...»

როგორც ვხედავთ, ქართული ტექსტის „თანაზიარებასა“ და „ზიარებას“ სომხურით *հաւասարութիւն*, ე. ი. „სწორება“ (ძველი ქართულით) და „თანასწორობა“ (ახლით) შეესაბამება. აქიდან „თანაზიარ“ და „ზიარ“ სომხურად *հաւասար* ან *հաւասարող*-ს (ე. ი. „სწორს“) წარმოაჩენს, რაც სინონიმი *բաժանող*-ისა.

ამრიგად, „მოთაული“ და მისი ზემოთ აღნიშნული შესატყვისი *բաժանող* გარდა ჩვეულებრივი „ზიარ“-*მონაწილისა* აღნიშნავდა „ზიარ“-*სწორსა* თუ *თანასწორსა*ც, რასაც სომხურში *հաւասար* და *հաւասարող* გამოხატავდა. ამ გაგებით უკვე ზემოთ განხილული ადგილი ზიარქიდან „კეთილსა მას შენსა თანა-მოთაულ გექმნეს შენ“ ასე უნდა განიმარტოს: მონაგებსა თუ ქონებაში [ის (-შეგობარს)] მოზიარე-მონაწილე ანუ თანასწორი გაგიხდება შენ“. „თანასწორის“ გაგება უნდა ჰქონდეს აქ უპირატესად „მოთაულს“, როგორც ამას ამ სიტყვის შემკველი ბიბლიის წიგნის ბერძნული წყარო და მასზე დამოკიდებული თარგმანები გვიჩვენებს: „აճ սն“, „ვითარცა შენ“ (ბაქარის ბიბლია), „как ты - чиряк, глг“ ან „որպէս և դու“. ეს უკანასკნელი (*որպէս և դու*) იმიტომ უნდა იყოს გვერდით ქართული „მოთაულის“ სომხური შესატყვისი *բաժանող*-ისა, რომ ხაზი გაუსვას „*բաժանող* -*მოზიარის*“ თანამონაწილეობის ხასიათს—*სწორებას*. „მოთაული“, ამგვარად, „ზიარსა“ (=მონაწილესა) და „სწორს“ (=თანასწორს) გულისხმობს ბიბლიით.

ბიბლიის გარდა „მოთაულს“ ზმნური ფორმით ვხვდებით „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდის კრებულში, რომელიც, როგორც ცნობილია, X ს-ის 70-იან წლებშია გადაწერილი.

¹² ილ. აბულაძე. ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები: თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, VI. თბილისი, 1936, გვ. 347.

¹³ კიმენი, ტ. I. ტექსტები პროფ. კორნ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, 1918, გვ. 151, 34—37.

¹⁴ «Արք և վկայաբանութիւնք սբբոց, հատ. բ. վ. სსնիօիկ. 1874, էջ 463, 16—20.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ პირველ ნაწილში, სადაც საუბარია ვარაზ-ბაკურზე, მესამე მეფეზე შირიანის შემდგომ, ნათქვამია:

„და მის ზე აღაშენეს ახნაურთა წმიდაჲ იგი ეკლესიაჲ მცხეთას და დაამოთა უღელს დიდსა მას ეკლესიასა სოფლებითა და ქარდაგებითა ქართლს შინა“¹⁵. ეს ადგილი ხსენებული ძეგლის კელიშურ ნუსხაში სხვადასხვადას იკითხება:

„ხოლო ამის ზე აღაშენეს ახნაო(ჯ)რთა ეკლესიაჲ გიორგი წმიდისა მცხეთას და მათიუაღის დიდსა მას ეკლესიასა სოფლებითურთ“¹⁶.

როგორც ჩანს, ამ ნუსხაში ძველი ხელნაწერების ზოგი რამ უკვე შეცვლილი სახითაა მოღწეული. ეტყობა, ცვლილება იმ სიტყვებს განუცდია, რომლებიც დროთა განმავლობაში გაუგებარი გამხდარან. ასეთია კერძოდ „დაამოთაულეს“, რომელიც გვიან გაუაზრებიათ როგორც „მიათაულეს“, „დაქარდაგებითა“, რომელიც, ალბათ, როგორც გაუგებარი სიტყვა, სრულად მოუცილებიათ თავიდან.

«ქართლის მოქცევის» ამ ადგილს საგანგებო ყურადღება მიუქცევია აკად. ს. ჯანაშიას, თავის ერთ-ერთ ნაშრომში განსვენებული მცინიერი წერს:

„ახლად აგებული ტაძარი... დიდს ეკლესიას „დაამოთაულეს“ (!) თუ „მიათაულეს“ რომ არის ნათქვამი, ეს, რა თქმა უნდა, იმას ნიშნავს, რომ გიორგი წმინდის ტაძარი ქართლის ეკლესიის მეთაურის კათედრალისათვის დაუქვემდებარებიათ. მაგრამ დაქვემდებარებული ერთეული მართო ნაგებობით (და მრევლით) ეი არ განიხილვებოდა, ეს იმავე დროს გარკვეული საშუალებით ერთეულიც იყო; მას თან მიჰყვება საკუთარი „სოფლები და ქარდაგები“¹⁷.

ავითარებს რა იმ აზრს, რომ «ქართლის მოქცევის» ეს ცნობა პირდაპირი მითითებაა ქართლის საერო და საეკლესიო წარჩინებულთა („ახნაურთა“) ადრინდელ-ფეოდალური მიწისმფლობელობის შესახებ¹⁸, მკვლევარს „დაამოთაულეს“ (ნამდვილად: დაამოთაულეს) ესმის როგორც „დაუქვემდებარეს“.

«ქართლის მოქცევის» მოყვანილ ადგილას, როგორც ვნახეთ, შეუბღალავად მოგვეპოვება „დაამოთაულეს“ ფორმა. იგი წარმოქმნილია „მოთაულისაგან“ და შინაარსითაც. ეს ზმნა „მოთაულ“ სახელს არაა მოწყვეტილი. მოთაული, როგორც ვნახეთ, „ზიარსა“ თუ „სწორ“ (= თანასწორს) ალნიშნავს ქართული ბიბლიის ოშკურ ნუსხაში. „დაამოთაულეს“ ამის მიხედვით „მოზიარედ“ თუ „თანასწორად“ გახადეს უნდა იყოს. ნათელი რომ იქნეს ერთი ეკლესიის დიდი ეკლესიისადმი „დაამოთაულება“, ე. ი. „მოზიარება“ თუ „თანასწორება“, მოთაულის ქართული შესატყვისების „ზიარ-სწორის“ (რაც იგივე სომხური *բաժանիրդ—հասասարիրդ*-ია) ბერძნულ შესაბამის ტერმინს უნდა მივმართოთ. *բաժանիրդ—հասասարիրդ*-ის (ე. ი. ქართ. „ზიარ-სწორის“) შესატყვისად ბერძნულიდან დიდ სომხურ, ე. წ. „აკადემიურ“ ორ-

¹⁵ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“, ე. თაყაიშვილის გამოც.: Описание рукописей, II, გვ. 720, შტრ. თ. ქოღანის „ქრონიკები“, I, გვ. 43. ორივე გამოცემელი ჩვენთვის საინტერესო სიტყვას კითხულობენ როგორც „დაამოთაულეს“ და თან აახლებენ *სიე-ს*, მაშინ როცა ხელნაწერში „დაამოთაულეს“ არის; მეორე ანის ზედა ხაზის პირველი წერტილი დახიდულია ძირს, რაც ინად მიუჩნევიათ გამოცემლებს და აქედან წარმოდგება მათი შეცდომა.

¹⁶ Описание рукописей... II, გვ. 720.

¹⁷ ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გახზე: „შრომები“. I, თბილისი, 1949, გვ. 284.

¹⁸ იქვე, გვ. 287.

ტომეულ ლექსიკონში¹⁹ სხვებთან ერთად მოყვანილია μέτοχος (ხოლო ლათინურიდან Particeps), რაც იოანე პეტრიწის მიერ ბერძნულიდან XII ს-ის პირველ ნახევარში ქართულად გადმოთარგმნილ პროკლე დიაღობოსის ნაწარმოებში («კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი») წარმოდგენილია შემდეგი ქართული შესატყვისობებით: მზიარებელი 4,13; 109,9 თანმზიარებელი 3,12; მეზიარე 113,20; მზიარე 126, 11; ზიარებული 75,29...²⁰

Μέτοχος-ის ყველა ეს ქართული შესატყვისი ძირად „ზიარს“, ე. ი. „მონაწილეს“, აჩენს. „ზიარი“ კი უფრო ადრინდელი ქართული ძეგლებით, როგორც ვნახეთ, სინონიმი გამოდგა „სწორთან“ ერთად ძველად არც თუ ხშირად ხმარებული „მოთაულისა“. ამ μέτοχος-ის ძირეული ფორმიდან, με-έχων-დან, წარმომავლობს აგრეთვე μετοχή („მეტოქი“). პროფ. ვარლამ დონდუას, ერთ-ერთ თავის ნაშრომში მოყვანილი წყაროების მიხედვით, მეტოქი განმარტებული აქვს, როგორც „მომცრო მონასტერი სხვა მონასტერზე მიწერილი“²¹, რომელიც მის პატრონ-მონასტერს ამარაგებდა ყოველგვარი „მონარეწითა“²². უკეთებს რა ანალიზს ამ ინსტიტუტის დანიშნულებას, ავტორი სამართლიანად ასკვნის, რომ „მეტოქი“, როგორც ორგანიზაცია, მართლაც წარმოადგენდა დედა მონასტრის მეურნეობის თანაზიარ ერთეულსა“²³.

ეხლა თუ ჩვენ ბერძნული ენის ამ მონაცემების მიხედვით შევხედავთ «ქართლის მოქცევის» ცნობის ზემოთ მოყვანილ ადგილს, სადაც საუბარია ახლად აგებული ეკლესიის „დამოთაულების“ შესახებ მთავარ ეკლესიასთან, ნათელი გახდება, რას უნდა ნიშნავდეს ამ სიტყვისათვის სხვა ადრინდელი წყაროთი მოწოდებული „მოზიარება-მონაწილეობა“ თუ „თანასწორობა“. როგორც ირკვევა, „დაამოთაულეს“ სპეციალური ტერმინია, რაც ნიშნავს: „მეტოქად“, ე. ი. „მოთაულად“ (ე. ი. თანაზიარად) გაუხადეს.

„მოთაულს“, როგორც ტერმინს, საერო ცხოვრებაშიც კჳონია გამოყენება. «ქართლის ცხოვრებაში» შემავალ XI ს-ის ერთ-ერთ საისტორიო ძეგლში. «მატიანე ქართლისაჲში», ორგან ვხვდებით მას. ამ ძეგლის მოწობათა მიხედვით, როგორც ზემოთ ვნახეთ, მისი შინაარსი ნათელი გახადა აკად. ივ. ჯავახიშვილმა. „მოთაული ამის სამეფოსანი“ იგივეა, რაც იქვე ხმარებული „თავადნი დიდებულნი ამის სამეფოსანი“, რომლებიც სახელმწიფო საქმეების მართვაში გავლენის მქონე წრეებს წარმოადგენენ; მაშასადამე, მკვლევრის დაკვირვებით „მოთაული“ და „თავადი“ ურთიერთის სინონიმებია, რომლებიც თავ-კაცს, მეთაურსა და მთავარს აღნიშნავს. ისინი, „მოთაულის“ გარშემო ზემოთ მოყვანილი მნიშვნელობანი რომ გავითვალისწინოთ, მეფეების («მატიანე ქართლისაჲს» თანახმად აფხაზთა და ქართველთა მეფეების ბაგრატ III-ისა და ბაგრატ IV-ის) ხელისუფლების „პელმწიფების“ მოზიარე, მონაწილე და შესწორებულნი პირნი არიან.

¹⁹ Нойн Чаишвиль Исакхаквант Исиди... ოსნისიკი. 1836—1837.

²⁰ იოანე პეტრიწის შრომები. ტ. I, ქართული ტექსტი გამოსცა და გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1940, გვ. 156.

²¹ ვარლამ დონდუა, კალმასობა როგორც ყოველცხოვრებითი მოკლენა ძველ საქართველოში, თბილისი, 1949, გვ. 51.

²² იქვე, გვ. 52.

²³ იქვე, გვ. 53.

ტერმინი „მოთაული“, როგორც სულხან-საბა ორბელიანის განმარტება და აკად. ივ. ჯავახიშვილის ანალიზი გვიჩვენებს, ხსენებულ შეკლევართ „თავ“ სახელიდან წარმომდინარედ უნდა მიაჩნდეთ, რაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სწორი ჩანს.

შეიძლებადა ეს ტერმინი („მოთაული“) კაცს გარედან შემოსულად მიეჩნია, კერძოდ ეფიქრა არაბული წარმომავლობის სიტყვად. არაბულში და იქიდან ახალ სპარსულში მოიპოვება სიტყვა *موتاهال*, რომელსაც ლექსიკოლოგები განმარტავენ, როგორც „მეურვეს“, თუ „მოურავს“, საკულტო დაწესებულებათათვის შეწირული მიწებისა²⁴. მაგრამ ქართული მასალის სრულად გათვალისწინება ასეთ ვარაუდს არ ამართლებს.

„მოთაული“ ამოდის „თავ“ სახელიდან: მო-თა(ვ)-ულ-ი (შდრ. მო-ქად-ულ-ი, მო-კაფ-ულ-ი, მო-კარ-ულ-ი, ერთის მხრივ, და მო-გზა-ურ-ი, მო-ფარდ-ულ-ი, მო-ძნა-ურ-ი, მო-ძღუ-არ-ი, მეორე მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ „თავ“ სახელით ასახულ ცნებაში „მოთაულის“ შესატყვისების „ზიარისა“ და „სწორ“ სახელების ცნების გამომხატველი არაფერია, ის მაინც, ჩანს, არაა მას მოკლებული. საქმე ისაა, რომ „ზიარ—სწორ-ის“ სომხური შესაბამისი *հասար*-ი ისეთი წარმოშობისაა, რომლის წყარო „თავ“ სახელის შინაარსს ატარებს. ეს წყაროა ფალაური. მასში დადასტურებულია *hāvsar*, რომელიც ორი კომპონენტისაგან შედგება—*hāvāt* (იგივე, მსგავს)-ისა და *sāra* (=თავ)-ისაგან და აღნიშნავს „მსგავსსა“ და „სწორს“. აქედანაა სომხური *հասար* და *հասարութիւն*²⁵, რომელიც შესაბამისი „ზიარება“ სიტყვითაა გადმოცემული ქართულში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სომხურიდან ქართულად თარგმნით ერთ მარტივობის წიგნში. „მოთაულს“ სომხურიდან ჩვენ ვერ მივიღებდით, რადგან სომხური *հասարութիւն* მხოლოდ „ზიარებასა“ და „სწორებას“ აღნიშნავდა ძველად და „თავის“ მომასწავებელი რამ მასში არ იყო. „მოთაული“, უნდა ვეფიქროთ, უფრო ფალაური *hāvsar*-ის გადმოღებას ან კალკს წარმოადგენს: *hāv + sār* (ახ. სპარს. *ham + sar*) → „თანა“ + მო-თა(ვ)-ულ-ი (=ზიარი, სწორი).

ამრიგად, 1. „მოთაული“ აღრიდანვე გვხვდება ძველ ქართულში.

2. მისი პირველადი შინაარსია „ზიარი“ და „სწორი“.

3. ის ძველადვე იქცევა საგანგებო ტერმინად, რომელიც საეკლესიო ცხოვრებაში „მეტოქი—*μετοχή*“-ს გამოხატავს, ხოლო საეროში „თავადს“, ანუ „პელმწიფის“ მოზიარე-მონაწილესა და შესწორებულ პირს.

4. „მოთაული“ წარმოქმნილია „თავ“ ძირისაგან.

5 წარმოების ასეთი სახით „მო-თა(ვ)-ულ-ი“ ემსგავსება ფალაურ *hāvsar* („*hāvāt* — „მსგავსი“, იგივე, „თანა“ + *sāra* „თავ“) სიტყვას, რომლის მიბაძვით უნდა იყოს ის შემუშავებული.

²⁴ Полный персидско-русский словарь... составил И. Д. Ягелло, Ташкент, 1910, გვ. 1404.

²⁵ Հ. Մանուկյան, Հայերէն արմատական բառարան, Թ. IV (էტიმოლოգია Ա. Meillet-ს գუդენის, MSI, 14, 479 და 17, 247).

И. В. АБУЛАДЗЕ

ИЗ ЛЕКСИКИ ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

6. მოთაულ-ი

По данным памятников древнегрузинской письменности автор устанавливает первоначальное значение редко употребляемого слова *moṭauli*. Слово это, по утверждению автора, означало „участник“ или „равный“ и как термин оно употреблялось, во-первых, для передачи греч. *μέτοχῆ*, а во-вторых, для обозначения тех высших должностных лиц, которые принимали участие в управлении страной. Наряду с этим автор анализом данного термина показывает, что он произведен от слова „თავ-ი“ (толова): → „მო-თავ(ვ)-ულ-ი“, которое должно представлять кальку лехленийского *liāv-sāg-a*, т. е. „со+участник-а“, „равного“ (თავ+მოთავ(ვ)-ულ-ი).

ქველი ქართულის ლექსიკონი

ილია აბულაძე

7. ვაჰმან-ი—ვაჰმან-ი

ამ სიტყვას რამდენიმე ძველ ქართულ წერილობით ძეგლში ვხვდებით ესენია: «მამათა ცხოვრება» ანუ «პატერიკი», თარგმნილი ბერძნულიდან თეოფილე ხუტეს-მონაზონის მიერ XI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, და «ვისრამიანია», სპარსულიდან გადმოღებული XIII ს-ის პირველ ათეულში.

«მამათა ცხოვრებაში» ეს სიტყვა «ვაჰმან» ფორმითაა წარმოდგენილი, ხოლო «ვისრამიანშია» — «ვაჰმან-ით». აღრიზდელია «ვაჰმან-ი», რომელიც სუსტი „ჰ“-ს დაკარგვის შემდეგ გვაძლევს «ვაჰმან-ს», რაც დასახელებულ წყაროში «ვაჰმან-ის» სახითაა დაცული.

ამ სიტყვის შინაარსის დადგენა ხერხდება, ჯერ ერთი, «მამათა ცხოვრების» იმ კონტექსტების მიხედვით, რომელთაც ეს სიტყვა («ვაჰმან») მოეპოვება და, მეორე, შესაბამისი ადგილებით სომხური «პატერიკისა» (*Հարք հարանց*), რომელიც აღნაგობით ქართულის თანმხვედომია. აი ეს ადგილები:

- ა) «შენ, ვინმე, ვაჰმანო დედაკაცო, მოგულე ჩუენ თანა» (A—1105, 192 r.), შდრ. სომხ: *Այս անուն կին, დու არի գნասցուքა*;
- ბ) «შენ, ვინმე, ვაჰმანო ქალო» (A—1105, 421 r.);
- გ) «შენ, ვაჰმანო კაცო, სადა დასდევ უბოა იგი ნამარბევი» (A—1105, 426 r.), შდრ. სომხ: *«Այս անուն այր, დու, ուր ხეիր գասანդն այսა»*;

ქართული კონტექსტებითა და სომხური წყაროს შესაბამისი ადგილების თანახმად «ვაჰმან-ი» აღნიშნავს: «ესადაესს» ან, დღეს რომ იტყვიან; — «მაჰმან-ს».

ესევე შინაარსი აქვს ამ სიტყვას «ვისრამიან-შიც»: «ვაჰმანის საქონელი ვაჰმანისა არისო». «ვისრამიან-ის» მეორე გამოცემაზე დართული ლექსიკონის მიხედვით (შემდგენელი პროფ. იუსტ. აბულაძე, რომელსაც სიტყვათა განსამარტავად სპარსული «ვისრამიან-იც» გამოუყენებია) «ვაჰმან-ი» აღნიშნავს: «არაბულ ძეულან—ესადაეს-ს»¹, ე. ი. ქართ. «ფლან-ს», რაც იგივე «მაჰმან-ია», რომელიც დღეს ქართულშია (მეტად აღმოსავლურ კილოებში) გავრცელებული².

¹ ჯარანგ ქარე ისაჰანის ახალი ჯულას გამოცემა 1641 წლ., გვ. 204².

² იქვე, გვ. 491³.

³ ვისრამიანი, აღ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით და შესავალი წერილით, ლექსიკონი ი. აბულაძის, თბილისი, 1938, გვ. 360.

⁴ «ვაჰმანისა» და «ვაჰმანის» ფორმით იცნობს ამ სიტყვას «ვისრამიანის» მიხედვით დოქ. ივ. ქავთარაძეც («ლექსიკონი», დართული წიგნზე «ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია», II, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1949), რასაც განმარტავს სიტყვით: «მაჰმან».

„ვაჰმან-ი“ და „ვაჰმან-ი“, ჩვენი დაკვირვებით, სხვა არაფერია, თუ არა სპარსული **بها** ბაჰმან, რომელიც, პაკობ ტიუზიანის ლექსიკონის⁶ მიხედვით, იხმარება თურმე აღსანიშნავად უცნობი პირისა, რომელსაც მუდამ თან ახლავს ხოლმე „ჰლან“ სიტყვაო. ი. იაგელოს განმარტებითაც სპარს. **بها** ბაჰმან, აღნიშნავს „ვინმე-ს“, „ვიღაც-ას“ („кто-то, известное лицо, ч. н. известное“), ე. ი. იმავე „მავან-ს“, რომელიც ამჟამად ლიტერატურულ ქართულშიც იხმარება.

ამრიგად, გამოთქმები—„შენ, ვაჰმანო კაცო“, «მაშათა ცხოვრებისა» და «ვისრამიანის» „ვაჰმანის საქონელი ვაჰმანისა არისო“—სხვას არას აღნიშნავს, თუ არა: „შენ, მავანო კაცო“ და „მავანის საქონელი მავანისა არის“.

„მავან-ი“ სპარსული „ბაჰმან-ის“ შესატყვისი გვეგონია არა მარტო შინა-არსით, არამედ ფორმითაც. „მავან“ უნდა მომდინარეობდეს „ბაჰმან-იდან“: „ბაჰმან“→„ვაჰმან“→„მავან“ და, ბოლოს, მარცვლების გადასმით, ანუ მეტათეზისით—„მავან“ („ბ“-ს და „ვ“-ს მონაცვლეობისათვის შდრ.: ავგარდანი←

انگردان—abgardan; ავშარაჯი←**اشار** absar; არდაველი←**اردآب**—ardabil)⁷.
P. S.: ახლახან (1962 წ.) გამოქვეყნებული „ვისრამიანის“ გამოშვებებს აღ. გვახარბისა და მ. თოდუას ხელნაწერებით დადასტურებული „ვაჰმანი“ შეუცვლიათ „მავანით“, რომელიც „ვაჰმან-ზე“ უფრო მართებულ და აღრინდელ ფორმად შიაჩნიათ (იხ. ამ გამოცემის კომენტარიები, გვ. 327—328), რაც, ზემორე წარმოდგენილი ჩვენი მასალისა და ახსნის მიხედვით, სწორი არაა. როგორც ირკვევა, ზედმეტი ყოფილა გამოშვებულთა ცდა ტექსტის გასამართავად, ისე როგორც იმის მტკიცება, რომ „მავანი-ს“ დამახინჯებული სახე იყოს „ვაჰმანი“.

ИЗ ЛЕКСИКИ ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

И. В. АБУЛАДЗЕ

7. ვაჰმან-ი—ვაჰმან-ი

Автор, на основе показаний памятников древнегрузинского языка и данных других языков выявляет как содержание (значение) этого слова („такой-то, определенное лицо“), так и его происхождение (персидское **بها**).

⁶ **Радикарან** **ყარისხერქნი** **ღიო** **სარიქი** **ჩაქსაკსან** **აქილჩხნიქ** **ქ** **შასიფაქ** **ს** **ქ** **ღ** **ხ** **ან**.. **Կոստანդინուպოլիս**, 1826.

⁷ **Полный персидско-арабско-русский словарь**, составил И. Д. Ягелло, Ташкент, 1910.

„ვაჰმან“ სიტვის განმარტება სულხან-საბა ორბელიანსაც მოეპოვება. მისი ლექსიკონის ავტორგრაფული ნუსხების მიხედვით იგია: „არარა“ „არარასათვის“ ან „არრად“, რაც, როგორც უხედავთ, „ვისრამიანის“ ზემორე მოყვანილი ადგილის მიხედვით, არის განსახლებული, თუმცა არა ზედმიწევნით.

⁷ აღნიშნული მავალითები მომაწოდა ც. აბულაძემ, რომელსაც მადლობას მოვახსენებ. ქართული „ავშარაჯი“ კარაბადინებში იხმარება, ხოლო „არდაველი“ ქართლის ცხ-ში (ლაშა გიორგის მემბტიანესთან, გვ. 243,30).

ილია აბულაძე

ძველი ქართულის ლექსიკონი

8. სინური მრავალსახეის „პარშებრი“ და „მხნარბალი“

სინური მრავალთავის ერთ-ერთ საკითხავში, რომელიც საბაბურად ატარებს: „მეორე თქუნული კვრილე მთავარებისკაპოსისა იერუსალენელისაჲ — რაგამს-იგი მოვიდა წმიდათა მოციქულთა ზედა სული წმიდაჲ“, ერთგან ვკითხულობთ: „გალილეველ იყვნეს პეტრე და ანდრეა, სპარსლებრ და პრეტერ იტყოდეს, იოვანე და სხუანი მოციქულნი ყოველსა ენასა ეტყოდეს წარმართთა მათი“. ამ კონტექსტში გაუგებარია „პარშებრი“, რომლის მნიშვნელობის გასარკვევად გრცლად ნოინზიბს მასალებს ამ წყაროს გამოცემის რედაქტორი ა. შანიძე გამოცემისათვის დართულ გამოკვლევაში: „სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის“ (გვ. გვ. 320—323). მისი ფიქრით, ბერძნული შესაბამისი ტექსტი რომ „პარშებრი-ს“ საპირისპიროდ „მიდიურად“ სიტყვას აჩვენებს, იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ აქ რველი ქართულით მოსალოდნელი ფორმა „მარებრი“ (მიდიელებს ძველ ქართულსა და სომხურში „მარები“ ერქვათ) „შერყენილა და პარშებრი ფორმად ქცეულა“¹.

ამ სიტყვის აზრის გამოსარკვევად ბერძნულს გარდა, საიდანაც ქართული უნდა მომდინარეობდეს, საგულისხმოა ბერძნულიდანვე მომდინარე სომხური თარგმანიც, სადაც შესატყვის ადგილს იკითხება: *«Գալիլեայի էին Պետրոս և Անդրեաս, և ասպէս վարդապետի պարսկանային և պարսկանային: Յովհաննէս և այլ ասպետքն դամհրայն լսուս ընդ հիւսնայիս... լսսէին»*².

ამასთანავე საჭიროა ხსენებული საკითხავის დაბეზნა სხვა ხელნაწერებში და მათ ჩვენებათა გამოყენებაც, — იმავე ფორმით გვხვდება მათში ჩვენთვის საინტერესო სიტყვა, თუ სხვით ან სხვადასხვით. იმ შემთხვევაში, თუ სხვა ფორმა ან სხვადასხვა, მაშინ საკითხი დაისმის მისი თუ მათი მიმართების შესახებ უძველესი ქართული ნუსხის ჩვენებასთან, რაც შესაძლებელს გახდის მართებულის ასე თუ ისე გამორჩევას.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით კირილე იერუსალიმელის დასახელებული საკითხავი იპოვება იერუსალიმურ ერთ-ერთ ხელნაწერში (№ 17),

¹ სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით. „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“, თბილისი, 1959, 5, გვ. 187, 25.

² იქვე, გვ. 323.

³ Թբանակուն իկրդի Երուսաղիմայ Հայրապետի Կիւլումբ ընծայութեան. Վիեննա, 1832, გვ. 376 — 377.

რომელიც ხელის მიხედვით XII—XIII ს-ისა ჩანს¹. აქ ნუსხაში, რომლის მიკროფილში და მისგან დამზადებული ფოტო-ანაბეჭდი ამჟამად ჩვენშიც მოიპოვება, დასახელებული საკითხავი რატომღაც მიეწერება არა კირილე იერუსალიმელს, არამედ კირილე ალექსანდრიელს. მისი სათაური აქ შემდეგია: „თქუმული წმიდისა კირილე ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისაა დღისა მისთვის მებრძოლისა, რაჟამს მოვიდა სული წმიდაა წმიდათა მოციქულთა ზედა“ (Jer.—17, 115 v). ჩვენთვის საგულისხმო ადგილი აქ ასეა წარმოდგენილი: „გალილეელ იყენეს პეტრე და ანდრია, სპარსულ და აჩაკებრ იტყოდეს, იოანე და სხუანი იგი მოციქულნი ყოველსა ენასა ეტყოდეს წარმართთა მათ“ (117r)².

ესევე საკითხავი შესულია აგრეთვე ჩვენში დაცულ ძველ მრავალთავეში, როგორიცაა ე. წ. უდაბნოსა (A—1109) და კლარჯული (A—144). პირველს ჩვენი კონტექსტის შესაფერისი ადგილი აქვია ფურცლის დაკარგვის გამო, ხოლო მეორეში ის ასე იკითხება: „გალილეელ იყ[ვენეს] პეტრე და ა[ნ]დრია, სპარსონ და არშაკებრ იტყოდეს, იოანე და სხონი იგი მოციქულნი ყოველსა ენასა ეტყოდეს წარმართთა მათ“ (A—144, გვ. 242).

თუ შევეუბრისპირებთ ერთმანეთს ხელნაწერთა ჩვენთვის საინტერესო კონტექსტს, შევნიშნავთ, რომ ის მცირეოდენი გადასხვაფერებული დაწერილობა, რომელიც ზოგიერთი სიტყვის მიმართ აქ შეინიშნება, გადამწერს ეკუთვნის. პირვანდელი სახე მის ხელთ შებღალულა ან იმის გამო, რომ ჯეროვნად ვერ დაპკვირებია დედანს, ანდა იმიტომ, რომ ძველი ფორმა უცხო შექმნილა მისი ხანისა თუ წრისათვის, რის გამოც ის მას შეუცვლია ახლით. ასე მაგ., უთუოდ გვიანი ხანის გამოთქმა და დაწერილობაა „ანდრია“, რომლის აღრიზნული სახე სინურ ხელნაწერს დაუცავს: „ანდრეა“. ამის მომდევნო ორი სიტყვის ნაირსახეობა კი, რომელნიც უფრო რთული მოვლენის შედეგი უნდა იყენენ, ვარაუდობს პირველადად ერთისათვის „სპარსებრს“ („სპარსლებრს“-—სინურში, „სპარსონ“-—კლარჯულში და „სპარსულ“ იერუსალიმურში), ხოლო მეორისათვის აჩენს „არშაკებრ-ს“, რაც შეუბღალავად არის დაცული კლარჯულში (იერუსალიმურის „აჩაკებრ“ მისი დიალექტური ვარიანტი³, ხოლო სინურის „არშებრ-ს“ „აქ“ მარცვალი აქვს დაკლებული). რაც შეეხება კლარჯული ნუსხის „სხონი“ ფორმას, ნაცვლად სხვა ნუსხების „სხუნისა“, ესეც დიალექტური წარმოშობისა უნდა იყოს.

ბერძნულ შესაბამის ადგილთან შედარება თუ „არშებრ-ის“ ფარდად გვიჩვენებდა „მიდიურად“ ფორმას, სომხურთან შედარება უკვე, რაც ზემოთავე წარმოვადგინეთ, მის ბაღდად გვაწვდის „პართეულად“ (მეტყველებას).

ბერძნულის ჩვენებასთან დაკავშირებით ვნახეთ ზემოთ, რომ აკად. ა. შანიძის დაკვირვებით, ძველ ქართულში მი დ ი ე ლ ე ბ ი ცნობილი ყოფილან „მარებრ-ის“ სახელით, რის გამო „მიდიურად“ ძველად, მისივე ვარაუდით, უნდა გადმოცემულიყო ფორმით „მარებრ“, რომლის შებღალულ სახედ მას სინური მრავალთავის „არშებრ“ წაკითხვა მიაჩნია. ამ ვარაუდს, რომ „არშებრ“ იყოს

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტ. I, მეორედ შეესწავლი და შესწორებული გამოცემა, თბილისი, 1941, გვ. 650 (დაბატება 1: „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“).

² R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque patriarcale grecque à Jérusalem, 1924—1926.

³ შდრ. „დრომა“ და „დრაჟე“ ძველი ტექსტებისა.

„მარებრ-ის“ შებღალული ფორმა, სომხური კონტექსტის ჩვენება, რომლის მიხედვით ბერძნულის საპირისპიროდ აქ „პართევეულად“ მოიპოვება, როგორც აქვე ვნახავთ, არ ამართლებს.

საქმე ისაა, რომ ძველ ქართულში პართი (საიდანაც პართევეულად არის წარმოქმნილი), უკეთ მის აღრინდელ ეტაპზე, გადმოიცემოდა ისეთი ფორმით, რომელიც „არშებრ-ს“ მიღებულად აცხადებს არა „მარებრ-ისაგან“, არამედ სულ სხვისაგან. ეს სხვა კი არის „არშაკ“. „პართ-ის“ საპირისპიროდ „არშაკ-ი“ იმიტომ უნდა წარმომდგარიყო, რომ, ჯერ ერთი, პართთა სამეფოს დაარსება ირანში არშაკ პართელის სახელთან იყო დაკავშირებული და, მეორეც, ამ სამეფოს დინასტია მის დაცემამდის არშაკის შთამომავლობას ანუ არშაკიდებს ეკირა. ასე, მაგ., სომხური *Պարթևաց Կողմն* („პართთა კერძო“) რიფსიმეანთა მარტვილობის წიგნისა (აგათანგელოსის ნაწილისა), წამების ამ წიგნის ძველი ქართული თარგმანით (რომელიც ჩვენი ძიების თანახმად VIII—IX ს.ში უნდა იყოს შესრულებული), გადმოცემულია „(სოფელი) არშაკთაჲ-თ“⁷. „არშაკთა სოფელი“ ე. ი. ქვეყანა ეგესტათი მცხეთელის წამების წიგნში იწოდება „არშაკეთის სოფლადაც“. „მოვიდა კაცი ერთი სპარსეთით სოფლისა არშაკეთისაჲ“, კვითხულობთ იქ ერთგან⁸. ამავე ცხოვრების წიგნში ეგესტათი „არშაკეთის ხეველადაც“ (რაც იგივე „სოფელია“) არის ნახსენები. „ვიყავ ქუყყანისა სპარსეთისაჲ, ქვეისა არშაკეთისაჲ“, მოუთხრობს მოწამე მარტპანს თავისი წარმოშობილობის შესახებ.

„არშაკეთი“ ქვეყნის სახელია, ხოლო მცხოვრებთა სახელწოდება ძველად „არშაკნ-ი-ა“; აქიდან მათი ენა უნდა წოდებულიყო „არშაკებრ“, რაც, როგორც ზემორე აღვნიშნეთ, კიდევაც არის დაცული შეუბღალავად კლარჯული მრავალთავის ნუსხაში. სინურის მრავალთავის გადამწერს ეს ფორმა უნდა ჰქონოდა დასაწესხავად, რომლისთვისაც, როგორც ჩანს, უნებლიეთ „აკ“ მარცვლი დაუკლია. იერუსალიმის ხელნაწერის „აჟაკებრ“ კი იგივე „არშაკებრ-ია“, ჯერ, რაეს დაკარგვით და, მერმე, „შ“-ს გამეღერებით „ჟ“-დ (მოვიგონოთ „ღრაჟი“ და „ღროშა“).

ამრიგად, სინური მრავალთავის „არშებრ“ მართლაც შებღალული ფორმაა, მხოლოდ არა „მარებრ-ისა“ (ე. ი. „მიდიურად“ სიტყვისა), არამედ „არშაკებრ-ისა“ (ე. ი. „პართევეულად“ სიტყვისა), რაც აღნიშნავს „არშაკულად“-ს ანუ „პართევეულად“-ს (იგულისხმება ენა ანუ მეტყველება).

„მხერვალ-ი“ სიტყვის ძველად არსებობა აკად. ა. შანიძემ აღნიშნა კვლავ იმავე სინური მრავალთავის მიხედვით⁹. მანამდე იგი სულხან-საბა ორბელიანისაც შეჰხვედრია, როგორც ეტყობა, გარკვეულ წყაროში, რომლის მიხედვით ის განუმარტავს კიდევაც, მაგრამ წყაროზე მიუთითებლად¹⁰.

⁷ აგათანგელოსის „რიფსიმეანთა მარტვილობის“ ძველი ქართული თარგმანი: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960, გვ. 152, 176.

⁸ ქართული ენის ისტორიული კრესტომათია..., ი. იმნაიშვილისა, თბ., 1953, გვ. 160, 15.

⁹ სინური მრავალთავი 864 წლისა..., დანართი: ა. შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, თბილისი, 1959, გვ. 332.

¹⁰ ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1928, გვ. 241.

აკად. ა. შანიძემ ეს სიტყვა იპოვა სინური მრავალთავის ერთ-ერთ საკითხავში, რომელიც იოანე ოქროპირის მიეწერება და იწოდება სახელით: „სატფურებისათჳს“. აქ ერთ ადგილს იკითხება: „ვარსკულავთაჲ რომელიმე ღამით მხერვალ არს, რომელიმე მთიები, ხოლო მოციქულთავანი არაონ ღამის მხერვალ არს, არამედ ყოველივე ვითარცა მთიებნი ბრწყინვალე არიან...“¹¹ აღნიშნული ნაწარმოების ბერძნული შესაბამისი ტექსტის მიხედვით ა. შანიძე ადგენს, რომ „ღამის მხერვალი“ ტერმინია, რომელიც უღრის ბერძნულ ზოგად-სახელწოდება ამ მნათობისა (ვენერასი) კი ამავე კონტექსტით ქართულად მთიებია-ო. „მთიების“ ეტიმოლოგია სწორად მოჰყავს ს. ორბელიანს...“. წერს ავტორი და იქვე დასძენს: „მართლაც, „მთიები“ წარმოდგება თევზა-საგან და ასე დაიშლება: მ-თი(ვ)-ებ-ი→მთიები, რომელიც ათი(ვ)ენს, ანუ ათევს, ე. ი. ათენებს (შდრ. ღამე გაათთიე, გაათია)“. რაც შეეხება პირველ ტერმინს, ავტორის აღიარებით, თუ რას აღნიშნავს აქ მისი ერთი ელემენტი—„მხერვალი“, რომელიც „ხერვა“ ზმნისაგან არის წარმომდგარი, არ ვიცი, „რადგანაც ასეთი ზმნა სხვა წყაროებიდან ჯერჯერობით არ ჩანსო“¹².

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „მხერვალი“ ნაცნობია ს.-ს. ორბელიანისთვისაც. იგი თავის ლექსიკონში წერს: „მხერვალი ნავის მატაობელიაო“. ამ სიტყვის შესახებ მენავე სიტყვის განმარტებისასაც ბაასობს. იგი წერს: „მხერვალი [ეწოდების] ნავის მავლინებელსა, რომელსა უპყრიეს ტიმონი-ო“. როგორც ირკვევა, ეს განმარტება დამყარებულია ბიბლიის ერთ ადგილზე, რომელიც ეზეკიელს ეკუთვნის.

ეზეკიელ წინასწარმეტყველთან ოშკური ნუსხის მიხედვით 27-ე თავის 27-ე მუხლში ვკითხულობთ: „მოჰყვანილ შენ საქეთა მხერვალთა შენთაო“. სომხურ ბიბლიაში ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: *აქარხეჩხ ვჳჳჳ ზადაქარჳ კიო*, რომლითაც „საქეთა მხერვალს“ შეესატყვისება *ზადაქარჳ*, ანუ სიტყვა სიტყვით ამავე კონტექსტის მოშველიებით: „ნავის მყვანებელი“, ხოლო თვით-„მხერვალს“—*მყვანებელი = ქარიჳ (ზადაქარჳ კომპოზიტის მეორე კომპონენტის -ქარ-ის სახით)*.

თუ დავუკვირდებით ეზეკიელთან „მხერვალს“, მას მსაზღვრელად ახლავს „საქეთა“: „საქეთა მხერვალი, რაც იგივე *ზადაქარჳ* ანუ „ნავის მხერვალია“. იოანე ოქროპირის საკითხავის ზემოთ მოყვანილ ადგილს კი „მხერვალს“ მსაზღვრელად ახლავს „ღამით“ თუ „ღამის“ („ღამით მხერვალი“ და „ღამის მხერვალი“). უნდა ვიფიქროთ, რომ ამ გამოთქმისა თუ ტერმინის საბადლო სომხურში მოსალოდნელია კვლავ კომპოზიტად, რომელიც შედგენილი იქნება, ერთი მხრით, „ღამისა-გან“—*ვჩქჩქ* და, მეორე მხრით, ჩვენთვის ნაცნობი ქართული „მხერვალის“ სომხური შესაბამისით კომპოზიტში *-ქარ, ვჩქჩქრქარჳ*. მართლაც, ასეთი სიტყვა ძველმა სომხურმა იცის და ისიც, რაც საგულისხმოა, ტერმინად, რომლითაც აღინიშნება ზოგად, *vesper* ანუ *ასპიროზი* (ღამის თუ საღამოს ვარსკვლავი; იობ. 9,9-ს მიხედვით: „მწუხრისა ვარსკულავი“)¹³. ჩვეულებრივი სიტყვა-ხმარებისას ის „ღამე თუ ღამით მსვლელს, მსარბოლს“ აღნიშნავს ან „ღამე თუ ღამით წამყვანს“. მეორე სახელი

¹¹ სინური მრავალთავი 864 წლისა, გვ. 217—218.

¹² სინური მრავალთავი 864 წლისა... დანართი: ა. შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, თბილისი, 1959, გვ. 332.

¹³ სოი წარჩქეჳ ლაქსაგხას ქვიცი, რათ. 1, 4სნსთქ. 1836, ლ. 555.

სენებელი მნათობისა (ვენერა-სი) სომხურში *լուսարს*-ად იწოდება, რაც, როგორც ტერმინი, უდრის ზერცხულ ფაშაძე ან ჯაშაძე¹⁴. ჩვეულებრივი სიტყვა-ხმარებით კი ივია „სინათლის მომტანი“, ან „ბრწყინვალე“, ე. ი. „მნათობი“, „მთიები“.

ამრიგად, ზემორე მოყვანილი იოანე რქრაპირის ნაწარმოების ამონაწერიდან, როგორც დაადგინა აკად. ა. შანიცემ, ასტროლოგიური რიგის ტერმინებია: „ღამით მხერვალი“ თუ „ღამის მხერვალი“ და „მთიები“, შესაბამისნი ბერძნული *Ἐσφερις*-ისა და *φασφარიς*-ისა.

1. ამათ სომხურიდან შეფარდება *Գիշերակար*—„ღამის მხერვალი“—„*Ἐσφερις*“, ერთი მხრით, და *լուսարს*—„მთიები“—„*φασφარიς*“ ანუ „ჯაშაძე-რძე“-ი, მეორე მხრით.

2. ჩვეულებრივი სიტყვა-ხმარებით „ღამის მხერვალი“ უნდა ნიშნავდეს „ღამის მსვლელს“, „ღამით მსროლს“, ხოლო „მთიები“—„მნათობს“, „მბრწყინვალეს“.

3. სომხური ენის მონაცემები გვიჩვენებენ, რომ „მხერვალი“, რომელიც წარმოდგება „ხერვა-სავან“, ნიშნავს: „წამყვანს“, „მიმმართველს“ ან „მსვლელს“, „მსროლს“, ხოლო აქედან „ხერვა“ იქნება—„წყევანი“, „მართვა“ ან „სროლა“ თუ „სლვა“.

ერთგან ძველ წყაროში „ხერვა“ ზმნაც გვხვდება. ესეც ისევე ბიბლიაში იპოვება, მაგრამ არა ოშკურსა და საბას ნარედაქციევში (A—51), არამედ იერუსალიმურში (№ 7). აქ ესაიას 59-ე თავის მე-10—11 მუხლებში იკითხება: „დაეცნენ იგინი მოვა სამხრის ვითარცა შოვა ღამეს, და ვითარცა დათუთა რაჲ დღე მოუხნ სულთა ხერვასა, კუნესოდიან. და ვითარცა ტრედნი ცთომილნი ფქურებოდიან“.

ეს ადგილი წყობის მხრით, ისე როგორც საერთოდ რედაქციულად, სხვებისაგან გამოირჩევა. მის შესაბამისად

ოშკურს ნუსხაშია:

საბას ნარედაქციევშია (A—51):

„დაეცნენ იგინი შუვა სამხრის ვითარცა შუვა ღამეს. და ვითარცა დათუნი მოსიკუდილნი ეგრე სულთა ჰბერვიდენ. და ვითარცა ტრედნი ერთბამდ ფრქუებოდიან“.

„დაეცნენ შუა სამხრის ვითარცა შუა ღამე, ვითარცა მოსიკუდილნი სულთ-ითქუმენ. ვითარცა დათუ და ვითარცა ტრედი ერთბამდ ვილოდინ“.

მოყვანილი ადგილების შეპირისპირებიდან ჩანს, რომ ახლოს არიან ერთმანეთთან იერუსალიმისა და ოშკური ნუსხების ტექსტები.

ჩვენთვის საგულისხმო სიტყვა („ხერვა“), როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ იერუსალიმურშია. ფრაზა, რომელშიც ის გვხვდება, შემდეგია: „და ვითარცა დათუთა რაჲ დღე მოუხნ სულთა ხერვასა, კუნესოდიან“, რაც დღევანდელ ქართულზე გადმოტანით იქნება: [ისინი], როგორც დათვები, როცა დღე უახლოვდებათ (მოუდისთ), სულთა ამოხდისას, ანუ ამოსვლისას, — ეცნისან. აქედან, როგორც ვხედავთ, „ხერვა“ არის „სლვა“ ან „ტლომა“ („აღმოსლვა“—„აღმოკლომა“).

¹⁴ იქვე. 896.


И. В. АБУЛАДЗЕ

ИЗ ЛЕКСИКИ ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА
„არშებრ“ и „მხერვალი“ СИНАЙСКОГО МНОГОГЛАВА

Резюме

Слово „არშებრ“ из текста Синайского многоглава (рукописи 864 г.) является искаженной формой не „მარებრ“ как это утверждают, а „არშაკებრ“, как это предполагают другие списки названного памятника.

Что касается слова „მხერვალი“ (состанного элемента термина „ლამის მხერვალი“ — «венеры»), то оно действительно произведено от „ხერვა“, употребление которого засвидетельствовано в одном из древних списков грузинской библии (Jeg. — 7: Исаия 59, 10—11).



ვ ღ ი ა ო ბ უ ლ ა ძ ე

ძველი ქართულის ლექსიკიდან:

9. „ქორიკოზი“ და „ქორეპისკოპოსი“

„ქორიკოზ-სა“ და „ქორეპისკოპოს-თან“ დაკავშირებით ს.-ს. ორბელიანი თავის „ქართულ ლექსიკონში“ წერს: „ოცმეცარსა მწერალსა ქართლის ცხოვრებაში გაურყენია: ქორიკოზი ქარაგმით ქორეპისკოპოზი ჰგონებია. ქორეპისკოპოზი უსამწყსო ეპისკოპოზს ეწოდების ბერძულად და ქორიკოზი მეფის მონაცვლეს ჰქვან“ (საიუბილეო გამოცემა, ტ. IV, 2, 1966 წ., სიტყვასთან „ქორეპისკოპოსი“) ¹.

შართლა ასეა? შემოწმების საშუალებას მოკლებული ვართ; სად გავცნო ლექსიკოგრაფი ამ სიტყვას, წყარო მითითებული არა აქვს. ის კი იმიტომ, რომ ის მის განმარტებაში სრულიად დაჯერებულია.

„ქორიკოზ-ის“ ხმარება ძველ ქართულში მხოლოდ „მრავალთაგებიდან“ ვიცით, სახელდობრ ამ კრებულში შემავალი ერთი ნაწარმოებიდან, რომელსაც ტონის მრავალთაგით (№ 11) სათაურად წარწერილი აქვს: „შიგებება შობითგან უფლისა ჩუენისა ზესუ ქრისტესა მეორმეოცესა დღესა, ოდეს მიიყვანეს ტაძრად და მიიქვმიდა მას წმიდაჲ სუმიონ.“ ² შის გამომთქმელად დასახელებულია

¹ სუა ZA რედაქციებში, სხვაგან კი ასე ითიხება: „ოცმეცარს მწერალთ სხვებ გაურყენიათ, ბერძულად სორეპისკოპოზი ეწოდების ეპისკოპოსსა უსამწყსოსსა, სოლო ქართლის ცხოვრების მწერალთა ქარაგმის გამო მოცთუნებულთა ქორიკოზი ქორეპისკოპოზად აღწერათ“ B. „ქორეპისკოპოსი არს ერთსა სამთავროსა ადგილსა მთავარი არა ჯდეს და მისდა მონაცვლედ ქორეპისკოპოსი ჯდეს, რათა თუმთა შორენობდეს, არამედ მთავრობისა სახელი ვერ იყადროს“ CD.

² ოცდახვთ მრავალთაგით ესევე ნაწარმოები ასე დასათარებული: „ითუესა ფებერვალსა ბ, შიგებება დღესა, რომელსა მიიქუა სუმიონ მკლავთა თუსთა ზედა უფალი, თქუმული წმიდისა ზესუქი ჰუცისაჲ ოცდამელისაჲ მეორმეოცისა მის დღისა შობითგან ქალწულისა უფლისა ჩუენისა ოცდამელისა, ოდეს მიიყვანეს ტაძრად, ვითარ აუერთხედა მას წმიდაჲ სუმიონ“.

სარხლის მრავალთაგით ეს ნაწარმოები ნაკლულევიანი სახითაა შემონახული. ოქ მისი სათაურია: „ოცა ფებერვალსა ბ. შიგებება დღესა, რომელსა მიიქუა სუმიონ მკლავთა თუსთა ზედა უფალი. საკითხავნი, თქუმულნი წმიდისა ზესუქი ჰუცისა ოცდამელისაჲ მეორმეოცისა მის

ვისუქი სერუსალიმელი ხუცესი („ძქუმული სესქვი ჰჯცისა შტრუსალემელისაჲ“), ავტორი V საუკუნისა.

ხონტექსტი, რომელშიც ჩვენთვის საგულისხმო: სიტყვას ვხვდებით, ოცდაბნოს მრავალთავით ასე იკითხება: „ოცკუეთუ ვინმე გლახაკი იყოს, იხილენინ მან ბაგასა შიდა სახუვეელნი ქრისტმსნი. ოცკუეთუ ვინმე პირუტყუთ-სახე იყოს, ბაგასავე მას მიისწრაფენ და გულისხმა-ყავენ, რამეთუ შენთჳს ესრეთ დაიმდაბლა თავი თჳსი ძემან ღმრთისამან. ოცკუეთუ ვინმე ქუ რ ი კ ო ზ ი იყოს უმეცარი, მივედინ ჭეთლემდ და ისწავენ“ (46v,b).

სიტყვა-სიტყვით გამეორებულია ეს ადგილი სარხლის მრავალთავში. შხოლოდ ოთხი სიტყვის დაწერილობაა, რომ ოდნავ სხვაობს ოცდაბნოს მრავალთავისაგან. ესენია: „შინა“ ნაცვლად „შიდა-სი“, „გულისხმა-ყავენ“ მაგიერ „გულისხმა-ყავენ-ისა“, „ესრე“ ნაცვლად „ესრეთ-ისა“ და „ქორიკოზი“ „ქურიკოზ-ის“ წილ.

ღმთ გარდა ეს ადგილი მოეპოვება ტონის მრავალთავსაც (დასაწყისი წინადადების გარეშე, სახელდობრ: („ოცკუეთუ ვინმე გლახაკი იყოს, იხილენინ მან ბაგასა შიდა სახუვეელნი ქრისტმსნი“): „ოცკუეთუ ვინმე პირუტყუ-სახე იყოს, ბაგასავე მას მიისწრაფდინ და გულისხმა-ყავენ, რამეთუ შენთჳს ესრეთ დაიმდაბლა თავი თჳსი ძემან ღმრთისამან. ოცკუეთუ ვინმე ს ო რ ი კ ო ს ი იყოს უმეცარი, მივედინ ჭეთლემდ და ისწავენ“ (40r).

ერთმანეთს რომ ვუდარებთ მოყვანილ ადგილებს, ვხვდებით, ისინი იმეორებენ ურთიერთს სიტყვა-სიტყვით; პირველთაგან განსხვავებით უკანასკნელს ახასიათებს მხოლოდ მცირეოდენი სხვაობა, მეტწილად ორთოგრაფიული ხასიათისა; ასე, მაგ.: პირუტყუთ-სახე — პირუტყუ-სახე; მიისწრაფენ — მიისწრაფდინ; გულისხმა-ყავენ — გულისხმა-ყავენ; ესრეთ/ესრე — ესრეთ; ქურიკოზი/ქორიკოზი — სორიკოსი. ერთი თვალის გადავლებით ხდება ნათელი, რომ წყვილთა პირველი ცალკეები უფრო არქაულია, ვიდრე მეორე.

ნასახელებულ წყვილთაგან საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ უკანასკნელზე: ქურიკოზი/ქორიკოზი — სორიკოსი. „ქურიკოზი“ და „ქორიკოზი“ თავისი „ქ“-ით უფრო ადრეულია, ვიდრე მისი ბადლის — „სორიკოს-ის“ — თავიკდური „ს“. ოცკანასკნელის დაწერილობა „ქორიკოზ/ქურიკოზთან“ მიმართებით თვალნათლივ ამქლავენებს ამ სიტყვის უცხოობას, კერძოდ ბერძნულობას.

მოგორ ვადმოიცემა ეს სიტყვა ბერძნულად, რას ნიშნავს ის? „ქორიკოს-ი“ ზედმიწევნითი ტრანსლიტერაციაა ბერძნული χασικος-ისა, რაც ნიშნავს μερσαν, campanard, rustique; деревенский, крестьянин, мужик¹, ე. ი. „მდაბიოს“, „სოფელის“, „გლეხს“.

მოყვანილ კონტექსტში „ქორიკოზ/ქურიკოზ-ისა“ თუ „სორიკოს-ის“ ბერძნული სულისეულ χασικოს-ად გაგება, როგორც „მდაბიოსი“, „სოფელისა“ ან „გლეხისა“, თავის ადგილს უნდა იყოს: „ოცკუეთუ ვინმე ქუ რ ი კ ო ზ ი (resp. ქორიკოზი) იყოს უმეცარი, მივედინ ჭეთლემდ და ისწავენ“ ნიშნავს: „თუ ვინმე მდაბიო (სოფელი ან გლეხი) იყოს უცოდინარი, მივიდეს ჭეთლემს და ისწავე-

დღისა შობითგან ქალწულისა უფლისა ჩუენისა სესუ ქრისტმსისა, ოდეს მიიყვანეს ტაძრად და ვითარ აურთხედა მას წმიდაჲ სუმეონ“.

¹ Dictionnaire grec-français... par C. Alexandre, Paris, 1848, p. 1598/1599; A. A. Иоаннидис, Новогреческо-русский словарь, М., 1960, გვ. 725.

ლოს“. „ქორიკოზ-ის“ საბასეული განმარტება მოყვანილ კონტექსტს არ ეგუება. „ქორიკოზ-ზე“, თუ ის, საბას სიტყვით, „მეფის მონაცვლეა“, შეუფერებელია თქმა „უმეცარი-ო“, რაც უფრო „მდაბიოს“, „სოფლელს“ თუ „გლეხს“ შე-
შენის.

საბას დაკვირვებით, „ქართლის ცხოვრებაში“, მის აღრინდელ ნუსხებში, უნდა წერებულყო ქორიკოზი, რაც უმეცარ გადაწერით თითქოს დაქარა-
გმებულ სიტყვად მიუჩნევიან და ქორეპისკოპოსად გაუხსნიათ, საიდანაც წარმოდგაო ამ კრებულის მერმინდელ ნუსხებში „ქორეპისკოპოსები“.

საბას ასეთი დაბეჯითებითი ტონი იქიდან უნდა მომდინარეობდეს, რომ მას „ქორეპისკოპოსი“ ესმის მხოლოდ როგორც საეკლესიო სარბიელის მოღვაწე. „ქორეპისკოპოსი უსამწყსო ეპისკოპოსს ეწოდების ბერძულადო“, გან-
გვიმარტავს ლექსიკოგრაფი და ხაზს უსვამს იმას, რომ ეს სიტყვა ბერძნულია და ასეთი შინაარსით შემოსულად უნდა ვიგულოთ იგი ქართულშიცაო. „ქორეპისკოპოს-ი“ რომ ბერძნული სიტყვაა, ეს საცილობელი არაა, მაგრამ მას რომ შინაარ-
სი ჩვენს ენაში რამდენადმე განსხვავებული ჰქონია, ეს კარგად ჩანს იქიდან, რომ „ქორეპისკოპოს-ად“ კითხულობენ და აღიქვამენ ამ ტერმინს მეზობელი სომხეთის მწერლობის ძველი წარმომადგენლები. „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომეხი მთარგმნელი, რომლის თარგმანი XIII ს-ის ნუსხით არის ჩვენამდის მოღწეული (თარგმნილი კი XII ს-ის მეორე ნახევარში ჩანს), ყველგან ხაზეთის მმართველთ
გარკვეულ პერიოდში ხსენებულ ტერმინს იმავე სახელწოდებას უნარჩუნებს, რაც ქართულშია, ე. ი. დედანში (*გორსაქსიკიის* — ქორეპისკოპოს-ი)¹. ასევე IX—X ს-ის სომეხი ისტორიკოსი ოანე შრასხანაქერტელი ხსენებული ქვეყნის შემადგენელი ერთი მხარის — ჩანართის — მმართველს „დიდ ქორეპისკოპოსად“ იხსენიებს (*აი მზ გორსაქსიკიის შანარაყ*)².

სულხან-საბა ორბელიანს, როგორც ჩანს, ერთიერება ქვეყნის საერო მმართველის აღნიშვნა ძირითადად სასულიერო წარმომავლობის ტერმინით და მიტომ უნდა ფიქრობდეს, რომ „ქორიკოზ-ი“, რომელიც ქარაგმით შეიძლება „ქორეპისკოპოზ-ად“ მიიჩნიო კაცმა, საერო ხელისუფლის აღმნიშვნელი იყოს. შსგავსად „ქორეპისკოპოსისა“, რომელიც არასრულ ეპისკოპოსს აღნიშნავს, „ქორიკოზ-იც“ თურმე, ლექსიკოგრაფის სიტყვით, „მეფის მონაცვლეს ჰქვან“ და არა, ვთქვათ, სრულ მეფეს. სესხებულ სიტყვად ესმის თუ არა ეს სახელწოდება საბას, ისიც ბერძნულად, ნათელი არაა განმარტებიდან. შგონია, ესეც ბერძნულად უნდა მიაჩნდეს („ქორეპისკოპოსი უსამწყსო ეპისკოპოსს ეწოდების ბერ-
ძულად და ქორიკოზი მეფის მონაცვლეს ჰქვან“)³.

¹ ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ლია ცხულაძემ, ტბ., 1953 წ., გვ. გვ. 216,4; 217,13; 218,13.

² ოანე შრასხანაქერტელი, სომხეთის ისტორია (786—925 წწ.), სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოსცა ო. ცაგარეიშვილმა, ტბ., 1965, გვ. 234,31.


³ „ქორიკოზ-ისა“ და „ქორეპისკოპოს-ების“ შესახებ იხ. შ. ზორთქიფანიძე, ფილ-
ლოლოგიური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX—X სს.), ტბ., 1963 წ., გვ. 151 და მომდევ-
ნო. ლექსიკონი დასახელებული ლიტერატურაც ამ საკითხის გარშემო.

ბ ა ს კ ე ნ ა

„ქორიკოზ-ი“, რაც ძველივე წყაროს ჩვენებით, იგივე „სორიკოს-ია“, ბერძნული წარმომავლობის სიტყვაა: პირველი უფრო ადრინდელი და ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმით, ხოლო მეორე — შედარებით გვიანდელით.

„ქორიკოზ-ის“ საბასეული განმარტება, იმის შემდეგ, რაც ვითვალისწინებთ ამ სიტყვის პარალელური ფორმის („სორიკოს-ის“) შინაარსს დედნის ენაზე (ჯაჰაძე „მდაბიო“, „სოფლელი“, „გლეხი“), სწორი არა ჩანს.

„ქორიკოზ-ისათვის“ საბას მიერ მიცემული განმარტება („მეფის მონაცვლე“) „ქორეპისკოპოსის“ შინაარსის („უსამწყსო ეპისკოპოსი“, ე. ი. არასრული ეპისკოპოსი) ანალოგიით უნდა იყოს დაძებნილი (არასრული მეფე, ანუ „მეფის მონაცვლე“).



ილია აბულაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი¹

1. „ცქაფი—ცქაფვა—მომცქაფავი“

„ვეფხისტყაოსანში“ მოგვეპოვება სიტყვა „ცქაფი“ და მისი ზმნური ფუძისაგან წარმოქმნილი „მომცქაფავი“ (საიუბ. გამ.) ან „მამცქაფავი“ (ვახტანგის გამ.). ადგილები, სადაც ერთი ან მეორე სიტყვა გვხვდება, შემდეგია:

ცაფი, ცაფვა

„საწუთრომან დამალრიჯა, ცქაფნი მისნი კვლა მეცქაფნეს“

(ვახტ. გამ. ქმდ.; საიუბ. გამ. 654,4).

„აწ ნახეთ მთრვალი ვაქარი, ცქაფი, უწრფელი, მსწრობელი“

(ვახტ. გამ. ჩრნვ.; საიუბ. გამ. 1165,4).

მომცაფავი

„ემა ეტყვს, ვის აქუს მინდობა კაცისა მომცქაფავისა“.

(ვახტ. გამ. ქუბ.; საიუბ. გამ. 702,1).

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის პირველი ინიციატორი და მეცნიერი-კომენტატორი, ვახტანგ VI, „ცქაფი-სათვის“ წერს, რომ „ცქაფი სწრაფი არის-ო“². „მამცქაფავის“ შემდეგ სტრიქონს კი ასეთ განმარტებას ურთავს: „ცქაფი ზეით სწერი-ო“³. ამრიგად, მეცნიერ-კომენტატორს „ვეფხისტყაოსნის“ დასახელებულ ადგილებში (ქმდ. ქუბ) ხმარებული ცქაფი და მისგან ნაწარმოები ცქაფვა ზმნისაგან წარმოქმნილი ნაზმნარი სახელი — მომცქაფავი „სწრაფის“ გაგებით ესმის.

ვახტანგ VI-ის თანამედროვე და ახლო თანამშრომელი დიდი ქართველი ლექსიკოგრაფი, სულხან-საბა ორბელიანი, „ვეფხისტყაოსნის“ ცქაფს უკავშირებს „სისწრაფის“ ცნებას. მას ჩვენთვის საგულისხმოდ სიტყვა თავის

1 მოხსენდა სტალინის სახელ. თბილისის სახელმწ. უნივერსიტ. ქართული ენის კათედრას 1943 წ. VI. 15-ს.

2 შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი. ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, ტფ. 1937 წ., გვ. ტლგ.

3 იქვე, გვ. ტლდ.

„ქართულ ლექსიკონში“¹ მოეპოვება შემდეგი ფორმებით: ცქაფი, სიციქაფე და გარდაცქაფა. „ცქაფი ქელფერკსწრაფია-ო“, გვიხსნის იგი, და შესაჭერებლად „ვეფხისტყაოსანზე“ მიგვიითებებს. „სიციქაფე სისწრაფესაითო“, გვაწვდის ის წყაროს დაუსახლებლად, ხოლო „გარდაცქაფა — სიტყვს გარდასხუაებაა“-ო გვიმარტავს ს. ორბელიანი და სამოწმოდ „მამათა ცხოვრებაზე“ (6, 9) მიგვიითებებს.

ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანის ახსნა-განმარტებებს იწყნარებენ ჩვენი დროის რუსთველისტებიც. ასე, მაგალითად, პროფ. იუსტ. აბულაძეს, რომლის მიერ შედგენილი ლექსიკონი დართული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ როგორც საიუბილეო გამოცემას (1937 წ.), ისე შემდეგში გამოსულ სხვა გამოცემებსაც, ცქაფი „საწუთრომან დამალრიჭა-ს“ სტრიქონზე მითითებითა და „აწნახეთ მთრვალი ვაქარის“ მიხედვით შემდეგნაირად აქვს განმარტებული: „1. წინწკალი. 2. აჩქარებული. ცეტი“². პირველი — „ცქაფნი მისნი კვლა მეცქაფნეს“ კონტექსტისათვის არის ნაგულისხმევი, ხოლო მეორე — „ცქაფი, უწრფელი, მსწრობელი-სათვის“. ამას გარდა „მეცქაფნეს-ათვის“ ის აწარმოებს მასდრად ცქაფებას (sic!), რასაც ასე განმარტავს: „ცეტად თქმა-აო“³. ამავე შინაარსს ხედავს პროფ. იუსტ. აბულაძე „მომცქაფავშიც“, როცა აღნიშნავს. რომ ეს სიტყვა „მოუფიქრებლად მთქმელიაო“⁴. როგორც ვხედავთ, აქ საბას მოკლე და სხარტი განმარტებებია თითქმის ყველგან ამოსავლად მიღებული, რომელთა ვარიაციას წარმოადგენს პროფ. იუსტ. აბულაძის თითქმის ყველა ახსნა, ზოგჯერ შეუფერებელი კონტექსტთან. ახალი, მაინც, იფიქრებდა კაცი, რაც მან ამ სიტყვის გაგებაში შემოიტანა, „წინწკალია-ო“; ესაა, ასე ვთქვათ, საკუთარი წვლილი ხსენებული მკვლევრისა ამ სიტყვის განმარტებაში, მაგრამ არა. აქ პროფ. იუსტ. აბულაძე დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონს ეყრდნობა. დ. ჩუბინაშვილს აქვს სწორედ მკვეთრად გარჩეული ერთურობისაგან „ვეფხისტყაოსნის“ ხსენებული ადგილებისა და „ვისრამიანის“ ერთი წინადადების მიხედვით, „ცქაფვა“ და „ცქაფება“. პირველი. მისი ახსნით. „აჩქარებულად ლაპარაკს“ ნიშნავს, ხოლო მეორე „ცვარისა თუ წვეთის შესხმას“ (რა წყაროზე დაყრდნობით, არა აქვს აღნიშნული). ერთი სხვაობა მაინც არის ამ მკვლევართა შორის. დ. ჩუბინაშვილის განმარტებით „მამცქაფავი“ მომატყუებელს ნიშნავს (რაც, როგორც ენახავთ, სწორია), ხოლო პროფ. იუსტ. აბულაძის ახსნით იგი, როგორც ზემოთ ვენახეთ. მოუფიქრებლად მთქმელია.

როგორია საქმის ვითარება?

რომელიმე ძველი ხმარების სიტყვის შინაარსი რომ ნათლად გავარკვიოთ, უპირველეს ყოვლისა უნდა ვეცადოთ, დაძებნოთ სადმე ჩვენს ძველ ძეგლებში ისეთი ადგილი, რომელშიც ასეთი სიტყვა პირდაპირი მნიშვნელობით იქნება ნახმარი და არა გადატანილ. უმჯობესია, რასაკვირველია, თუ ასეთი სიტყვის

¹ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, ტფ., 1928 წ.

² იხ. ლექსიკონი შედგენილი პროფ. იუსტინე აბულაძის მიერ და დართული „ვეფხისტყაოსნის“ საიუბ. გამოცემაში, ტფ., 1937 წ., გვ. 388.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 366.

შემცველი ძეგლი იმავე ხანისა იქნება, რომლისაც განსამარტავი სიტყვის მქონე ძეგლია.

„ცქაფი“ ძეგლი მწერლობის ძეგლებს შორის „ვეფხისტყაოსნისა“ და „ეის-რამიანის“ (ერთი ადგილის) გარდა იხმარება ერთს სხვა ძეგლშიც, რომელიც ბერძნულადან არის ნათარგმნი და ისიც, რამდენჯერმეც კი: შემოკლებით — ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ (სამწუხაროდ ნაკლულევანად არის მოღწეული — საქართ. სახელმ. მუზეუმის ხელნაწერთა A ფონდი № 35) და ვრცლად — გიორგი მთაწმიდელის მოწაფის თეოფილეს მიერ, როგორც ამას ამ ძეგლის ერთ-ერთი უძველესი ნუსხის (A ფონდი № 1105) გადაწერი, ვინმე კლიმი მოწმობს ხელნაწერის სხვადასხვა ადგილს გაკეთებული ანდერძებით. ეს ძეგლია „მამათა ცხოვრება“, თეოფილესეული რედაქციისა, რომელსაც კარგად იცნობს სულხან-საბა ორბელიანი და უხვდაც იყენებს თავისი ლექსიკონისათვის საერთოდ და კერძოდ ჩვენთვის საგულისხმოდ სიტყვის შემთხვევაშიც. ამ „მამათა ცხოვრების“ იმ თავში, რომელსაც „სიძვისათვს“ ეწოდება, ერთ ადგილს მოთხრობილია ბერების სამხილებლად და მათივე დასამოძღვრავად ერთი მეტად საინტერესო ამბავი. მოვიყვან აქ მას შემოკლებით:

„ბერსა ვისმე დიდსა აქუნდეს ათორმეტნი მოწაფენი, და შემთხუშვითა ეშჳაკისათა განიცადა ერთი მათგანი სიძვითა და იპოვა ცოდვით დედაკაცსა თანა, რამეთუ ახლი-და მათ დაბაჲ. და უოვლადვე წარეაღნ შემდგომად ცისკრისა ლოკისა, ვინაჲთგან აღრს ილოციოდეს, და კუალად პირველ განთენებისა მოვიდის სენაკადვე თუსად. ცნს უკუშ ეჲე მამათა და ცნა მამამანსა და წინამძღუარმან საქმე იგი, და ჰფარაჲე მმასა მას და სკაენ და არა ამხილა. მრავალგზის უკუშ ატყდეს მმანი იგი მისთვის წინამძღუარსა მას ზედა მათსა და მამასა სულიერსა, გარნა იგი სიტყობებით ანელეზნ მათ და აწუნარებნ. წარვიდა ოდესმე მამა იგი დაბასა უადრესრს, დაეუოენა და სისწრაფითა სამკრისა წილ თუსისა შეისსა მოსასხმელი დედაკაცისაჲ მის და ესრეთ მოვიდა სენაკად თუსად. იხილა იგი ბერმან მომავალი და რამეთუ ასხეს მოსასხმელი დედაკაცისაჲ. განიცადა: აღდგა და მოვიდა სენაკად მმისა მის. ხოლო მან, ვითარცა თუსი საბეკური, გარდაჲიდა იგი სენაკსა შინა თუსსა. გარნა ბერი ღუმნა ჭერეთცა, მერმე ჰქუჲა მას: „სადა იყავ მამო?“ ხოლო მან გარა უცქაჲა: „აქა სამე ვიყავ და იქი“. ჰქუჲა მას ბერმან: „და არა იყავა სოფელსა, დაბასა მას?“ მიუგო: „არა მეუფო“. მამან ჰქუჲა მას ბერმან: „და ვისი არს მათორი ისი სადღეოდ, რომელი ჰქიდაეს?“ ხოლო ცნა რაჲე მამან, რამეთუ დედაკაცისაჲ არს, დააგდო თავი თუსი ფერტთა თანა ბერისათა და თქუა: „შემინდვე მე, მამო, და ამიერთგან არღარა ვყო ესს“... (საქართ. სახელმ. მუზეუმის ხელნაწ. A ფონდი, № 1105, ფ. 161v—162r).

როგორც ვხედავთ, შემცოდავი ბერი, შემფოთებული წინამძღვრის შეკითხვით. სწორ პასუხს არ იძლევა. არამედ ავტორის სიტყვით, „მან გარდა-უცქაჲა: აქა სამე ვიყავ და იქი-ო“, ე. ი. სულხან-საბას ახსნით რომ გამოვთქვათ „სიტყვა გარდაუსხვავა“, მამასადამე, ს ი წ რ ფ ე ლ ე ს მ ო კ ლ ე ბ უ ლ ი პ ა ს უ ხ ი გ ა ს ც ა, ტ ყ უ ი ლ ი უ თ ხ რ ა.

როგორც ირკვევა, ამ გაგებით უნდა ჰქონდეს ნახმარი სიტყვა „ცქაფი“ შოთასაც უსენ ვაჟრის დასახასიათებლად:

„აწ ნახეთ მორვალი ვაჟარი, ცქაფი, უწრფელი, მსწრობელი“—ო. ამავე ადგილიდან ისიც ნათელი უნდა იყოს, რომ მის ავტორს ცქაფის მომდევნო უწრფელი თუ სინონიმად არა, მის ამხსნელ სიტყვად მაინც აქვს ნახმარი.

არა-პიჭღაპარის, უწრფელის, ან ტყუილის მთქმელის აზრით ჩანს ნახმარი

„ცქაფის“ ზმნური ფორმიდან — ცქაფვა-დან — წარმოქმნილი „მომცქაფავი“ სახელიც წინადადებაში:

„ყმა ეტყვის, ვის აქვს მინდობა კაცისა მომცქაფავისა“-ო. ესევე გაგება აქვს „ცქაფვა-ს“ „ვისრამიანშიც“:

„შენ ეგევგუარი ღია იცი კაცისა ღორება და ხლათვა, გიცნობ და მრავალჯერ მომისმენია შენგან ეგევგუარი ცქაფვა“. (ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, და კ. კეკელიძის რედაქციით... ტფ., 1938 წ., გვ. 254).

აქედან თვალნათლივ ჩანს, რომ ცქაფვა ნიშნავს „კაცისა ღორებასა (=მოტყუებას) და ხლათვას (=უწრფელობას).

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ ორსავე ზემო აღნიშნულს ადგილს ცქაფი თავისი პირდაპირი მნიშვნელობით არის ხმარებული, ე. ი. უწრფელოსა და მატყუარას შინაარსით. ამათ გარდა, გვრჩება კიდევ ერთი ადგილი, რომელსაც წარმოდგენილი მნიშვნელობებიდან უკანასკნელი, ე. ი. ტყუილის ანუ სიცრუის გაგება უნდა უხდებოდეს:

„საწუთრომან დამაღრიჯა, ცქაფნი მისნი კვლა მეცქაფნეს“, ე. ი. ამ სოფლის ტყუილ-სიცრუე ისევე ტყუილ-სიცრუედ აღმიჩნდნენო.

მაგრამ შესაძლოა აქ ცქაფი ან ცქაფვა გადატანითი მნიშვნელობითაც იყოს ნახმარი. კერძოდ *განსაც[ე]დელ-ს აღნიშნავდეს. „ტყუილ-სიცრუიდან“ მიღება „განსაცდელისა“ გასაოცარი არა უნდა იყოს, რადგან ამ სიტყვის ძირთან, ცედ-ასთან, კავშირში მყოფი უნდა იყოს „ცთ-უნება“. რაც ძველად „მოტყუებასაც“ აღნიშნავდა.

როცა ასეთ შესაძლებლობას ვუშვებ. მხედველობაში მაქვს შემდეგი: „მამათა ცხოვრების“ ხსენებული ადგილი, სადაც გარდა ცქაფვა იხმარება („ხოლო მან გარდაუცქაფა: აქა სამე ვიყავ და იქი“), ამ ძეგლის ბერძნულიდანვე მომდინარე მსგავს ძველს სომხურ რედაქციაში ასეა გადმოცემული:

«ისი ზა სარყაქერ აითი ლ ასაქრ' ანჟ იერამნ ჳი»

(ქაყყ ნარანგ, ყსსსსიქ 1855 პ. 1 ნათ: გვ. 698).

გარდაუცქაფას. მაშასადამე. აქ *სარყაქერ აითა* უდრის. *აით* ცრუ-სა ნიშნავს. რაღაა *სარყაქერ*? იგი წარმოქმნილ სიტყვად მიაჩნიათ *სარყაქ*-ისგან. რაც სირიულიდან ნასესხებად ითვლება¹. სომხურში ის ცალკე არ იხმარებაო. **სარყაქ* წყაროსებრ, საცერს ნიშნავს, ხოლო *სარყაქერ* გაცრას, ან როგორც ქართულს ოთხთავშია (ლუკა 22,31) ნახმარი — ალცრას. *აითა სარყაქერ* ამრიგად, ტყუებას ანუ სიცრუით სიტყვის გადადგებას, ან როგორც პროფ. პრ. აკვირიანი განმარტავს, *მჩ ათა ვლიერს*-ს წარმოადგენს. პროფ. პრ. აკვირიანის მოწმობათაგან, რომელთაც ის თავის ლექსიკონში ჩამოთვლის, ჩანს. რომ ეს სიტყვა (*სარყაქერ* ცქაფვა) ძველ სომხურში უფრო ხშირად გადატანითი მნიშვნელობით იხმარება და ყველაზე მეტად „საფრთხეს, განსაცდელს“ (*ქთანყეს, ქირბეს, ქირბაქჩენ*) უდრის. სომხურის ასე-

1. ნ. ი. ს. ან, ჯაქსონი სიქსონის ქაიარონი, ნათ. III. გვ. 412-414.

თი ჩვენება ქართლისთვისაც გვევარაუდებინებს ანალოგიურ ვითარებას, მით უმეტეს, რომ ასეთი ვაგება ცქაფვა — ცქაფ-ისა „ვეფხისტყაოსნის“ ზემორე აღნიშნულ ადგილს ეგუება.

И. В. Абуладзе

Из лексики «Вепхис-Ткаосани»

Резюме

Автор статьи на основе показаний древнегрузинских литературных памятников (с привлечением и армянского материала) выясняет значение слова ცქაფი и дает толкование тех мест «Вепхис-Ткаосани», где встречаются как это слово, так и от него производные: ცქაფვა и მომცქაფავი. По утверждению автора ცქაფი означает «не откровенный, говорящий неправду, лгун; искуситель», как и ложь, кривда; искушение», а ცქაფვა и მომცქაფავი — «лгать, обманывать (в пер. смысле — подвергать опасности; искушать, испытывать)» и — лжец, обманщик».

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართული ენის კათედრა

(შემოვიღა რედაქციაში 1943.VI.16)

ილია აბულაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან

2. * „გა[ნ]ქიქება“

„ვეფხისტყაოსნის“ ეს სიტყვა, რომლის შინაარსის დადგენას აქ ჩვენ მიზნად ვისახავთ, პროლოგის ერთ-ერთს სტროფში გვხვდება. იგი შემდეგნაირად იკითხება:

„ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;
ესე მიჩნს ღიდად სახელად, არ თავი გამიქიქია,
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია;
მისი სახელი შეფარვით, ქვემოზე მითქვამს, მიქია“.

(საიუბ. გამოც. მე-19 სტროფი).

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბექდუღი გამოცემის დროიდან მოყოლებული აღნიშნული სტროფი, როგორც წაკითხვით, ისე ამითუიმ სიტყვის გავებით, ცილობას იწვევდა ტექსტის დამდგენთა და მკვლევარ კომენტატორთა შორის. წაკითხვის მხრით, მაგალითად, ვახტანგისული გამოცემა, ანგარიში რომ არ გავუწიოთ ორთოგრაფიას, ასეთ სხვაობებს გვიჩვენებს: 1. ესე მიჩნს] ეს მიჩანს: 2. შეფარვით] შეფრქვევით.

პროფ. იუსტინე აბუაძის გამოცემანი თითქმის ისევე წარმოადგენენ ტექსტს, როგორც ეს საიუბილეო გამოცემაშია, გარდა ერთისა. აქაც, ისე როგორც ვახტანგისულს გამოცემაში, იკითხება „ესე მიჩნს“-ის ნაცვლად „ეს მიჩანს“.

აკად. ნ. მარო ერთ დოკ¹ პირველი სტრიქონის ბოლოს ასე მართავდა: „მას ვაქებ, ვინ ცამ იქია“, ხოლო შემდეგში² ასეთს შესწორებაზე ხელი აიღო. სამაგიეროდ ბოლო სტრიქონის უკანასკნელი სიტყვა — „მიქია“, — რაც პირველად ჩილუხლებლად გაუშვა, შემდეგში ასე დაანაწევრა: „(მითქვამს) მი-ქია“; გამოყოფილი „ქია“ კიდევ სპარსული *qaya* არისო, ე. ი. შეფეო. ამას გარდა ამავე სტრიქონის „შეფარვით“ მოცემული აქვს „შეფრქვევით“-ად.

* პირველი წერილი იხ. სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXVib, 1944, გვ. 225—229.

¹ Н. Марро, Вступительные и заключительные строфы Витаян в барсовой ноше Шоты из Руотавал...: ТР по арх.-гр.-у. филологии, ян. XII, СПб, 1910, стр. 2.

² Н. Я. Марро, К Куставелиан: Известия АН СССР, 1927, стр. 366.

პ. ინგოროყვა თავის «რუსთველიანაში» პირველ სტრიქონს აკად. ნ. მარას პირვანდელი წაკითხვის სახით იღებს; მეორე სტრიქონის ბოლო სიტყვებს კი ასე წარმოადგენს: „არღამე“ — განმიქიქია“, ხოლო მეოთხე სტრიქონის „შეფარვით“ მას შეცვლილი აქვს სიტყვა „შეფორფინით“. წაკითხვათა შესწორებებზე ის შემდეგში ხელს იღებს, როგორც ეს ჩანს მისი ნაშრომიდან: შოთა რუსთველი, ქართული მწერლები შოთა რუსთველს, თბილისი, 1937, გვ. 240.

არ შევდივართ აქ იმის განსჯაში, თუ ვის მხარეზეა სიმართლე. აღნიშნავთ მხოლოდ მას, რომ ჩვენთვის ყველაზე მეტად საგულისხმო სიტყვა — „გამიქიქია“ — ყველგან უმეტესაქლებოდ ერთნაირად არის წარმოდგენილი.

დასახელებული მკვლევრები სხვადასხვანაირად განმარტავენ ამ სიტყვას. ვახტანგ VI ვეისის თავის კომენტარებში: „გაქიქება — გაწილებათა“. აკად. ნ. მარი და პროფ. იუსტინე აბულაძე მას განმარტავენ როგორც „πιοιοι — შერკხვენა“-ს, ხოლო პ. ინგოროყვას თარგმანით ის „შეურაცხებაა“.

თუ ამ სიტყვას ხსენებული ახსნის მხრით გავიზიარებდით, მაშინ მისი შემცველი სტრიქონის ასეთ თარგმანს მივიღებდით დასახელებულ ავტორებთან — ვახტანგ VI-სა, აკად. ნ. მარსა და პროფ. იუსტინე აბულაძესთან ის იქნებოდა: „ის მიმჩნია დიდად სასახლოდ, რომ თავი არ შემირცხვენია-გამიწილებია“; პაულე ინგოროყვას თარგმანი კი ერთს შემთხვევაში¹ ასეთია: „ეს არის სამარადისო ძეგლი სახელისა, აქ არ არის (— მარადი იყვეს მათი შეფობა! —) შეურაცხება“-ო, ხოლო მეორე შემთხვევაში² შემდეგი: „ესე მიჩანს დიდად სასახლოდ, აქ არ არის (— მარადი იყვეს მათი შეფობა! —) შეურაცხება“-.

ასეთი განმარტებებიდან აშკარად ჩანს, რომ პოემის ავტორი თავის ნაწარმოებზე დიდი წარმოდგენისაა; სასახლოდ მიმჩნია, რომ ქება კარგად შევასრულე, თავი არ შემირცხვენიაო, ანდა სამარადისო ძეგლია ჩემი თხზულება, აქ არ არის შეურაცხებაო, რაც ძველი ქართველი ავტორებისათვის ჩვეულებრივი არაა. ძველი ავტორები ყოველთვის თავდაბლები იყვნენ თავიანთი ნაწარმოებების შეფასებაში; პირობით, ბოდიშს იხდიან ხოლმე მკითხველთა წინაშე, როგორც ეს მათ თხზულებათა ანდერძ-მოსახსენებლებიდან ჩანს. — ეს არის და, სათანადოდ ვერ ვასრულებთ განზრახულსო. საფიქრებელია, რომ შ. რუსთაველიც არ დაარღვევდა ძველს ასეთს ჩვეულებას და არ მიპყოფდა ხელს კეხნას. ამდენად, მასასადამე, საქმის ნამდვილი ვითარება სხვაგვარი უნდა იყოს, განსხვავებული იმისგან, რასაც ჩვენი რუსთველისტები წარმოიდგენენ.

როგორც ირკვევა. მართლაც ეს ასეა. არაა ზედმიწევნით გამოვლინებული სიტყვა „გამიქიქიას“ შინაარსი. ის რაც ამ სიტყვის ქვეშ ჩვენ მკვლევრებს ესმის. მთლად ჭწოროი არაა. დასახელებულ კონტექსტში იგი სხვა შინაარსს ატარებს და არა მას. რასაც მკვლევრები გვაწვდიან.

¹ პაულე ინგოროყვა, რუსთველიანა I. თბილისი 1926. გვ. 113

² იქვე. გვ. 115.

აღნიშნული გარემოება ძველი ქართული ძეგლების მოწმობათაგან ირკვევა, ისეთი კონტექსტებიდან, უმთავრესად პროზაული ნაწარებისა, რომლებიც დროით ახლოს დგას პოემის აღმოცენების ხანასთან. თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ (XI ს.) ბერძნულიდან შესრულებულ ერთ-ერთ თარგმანში, რომელსაც მამათა ცხოვრება ეწოდება, ისეთ მარჯვე ადგილს („თხრობას“) ვპოულობთ, საიდანაც ნათლად ირკვევა ჩვენთვის საინტერესო სიტყვის შინაარსი. თხრობა მოკლეა, მოვიყვანთ მას მთლიანად:

„სხუა ვინმე ძმა ბრძოლილ იქმნა სიძვითა, და წარვიდა ღამითვე ბერისა ვისამე და მიუთხრა მას გულის-სიტყუანი მისნი. ხოლო ბერმან განამწო იგი და ნუყეპინის სცა მას. და სარგებელ ეყო ძმასა მას, და წარვიდა სენაკად თვსად. და აჰა ესერა კულადუცა მოუცდა მას ბრძოლა იგი და კულადუცა წარვიდა ბერისა მის. ესე მრავალჯის ყო. ხოლო ბერმან არაოდეს შეაწუხა იგი, არამედ აზრახებნ უმჯობესსა და ეტყვნ: „ნუ სულმოკლე იქმნები, ძმაო, ნუცა დაჰქსნდები, არამედ უფროასლა რაოდენცა გებრძოდის მტერი, მოხვდოდე და განაქიქებდი მას, და თვთ ივლტოდის იგი შენგან ძალითა ქრისტესითა. და რამეთუ არარაჲ ესრტთ შოაუძღურებს მტერსა, ვითარ განმოცხადებთაჲ საქმეთა მათთა და კულად არარაჲ აზრახეს მათ ესრეთ, ვითარ დაფარვაჲ მათ მიერთა მათ გულის-სიტყუათაჲ“ [საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა A ფონდი, № 1105, 138 r-v].

ამ თხრობიდან ჩანს, რომ მონაზონი, რომელსაც ღამით გონებაში ებრძვის ეშმაკი, რათა აღქუროს ის კუდი ზრახვებით, არ იმარხავს თავის გულში მტრის აზრებს, არამედ ზედიზედ მიდის სხვა ბერთან, უტყუდება მას ყველაფერში და უამბობს მას ეშმაკისაგან შთაგონებულ აზრებს. მოყვასი ბერი ამხნევებს მას ნიადაგ და უნერგავს აზრს, — კარგად იქცევი შენ, შემდეგშიც ნუ დაიზარებ ხოლმე მოსვლასა და ყოველთვის მტრის განქიქებას, რადგანაც ისე არაფერი არ აუძღურებს ეშმაკს, როგორც მისი საქმეების გაცხადება, გამოქვეყნება, გამოაშკარავება თუ გამხელა, და ისე არაფერი არ აზარებს მას, როგორც შთაგონებული აზრების დაფარვა. აქიდან, არ შევცდები, თუ დაეასკენი, რომ 1.. ამ თხრობის მიხედვით განქიქება ნიშნავს, როგორც იქვეა ნათქვამი. გაცხადებას, ან გამჟღავნება-გამოაშკარავებას, და 2. განქიქება-გაცხადების საწინააღმდეგო ცნება დაფარვა ყოფილა¹.

გაცხადება, თუ გამჟღავნება-გამოაშკარავება. აქ ერთ პირთან ხდება, მაგრამ ამანვე ძეგლის ერთი სხვა ადგილიდან („თხრობიდან“) ირკვევა, რომ ის საჯარო ან საქვეყნო ხასიათისაც ყოფილა. მრავალთა საჩვენებლად, ხშირად საკიცხელი ფორმით. თხრობა, რომელიც ამას გვიმოწმებს, ასეთია:

„მოგვითხრა ჩუენ თავისათვის თვისისა მამამან მაკარი, ვითარმედ: ოდეს ვიყავე კაბუჯ და ვჯედი სენაკსა შინა ჩემსა ეგვპატეს, შემოიყრეს მე და წარმიყვანეს, და მაქურთხეს ხუცად ქალაქსა შინა. და ვინაჲთგან არა მენება მე თავს დებად, ვივლტოდე სხუასა ადგილსა. და მოვიდა ვინმე ჩემდა გულსმონიში ფრისაკი და წარიღებნ კელთსაქმარსა ჩემსა და მშახურებნ მე.“

¹ მსგავსი შინაარსით ჩანს ხმატებული განქიქება ძველი ქართულის სხვა ტექსტებშიც. ასე. მაგ.. სინის მთის ერთ-ერთ ხელნაწერში (იხ. ივ. ჯაფარიძის შვილი. სინის მთის ხელნაწერთა აღწერილობა. გვ. 233), რომელშიც დატულია თხზულება „პირველი სწავლაჲ წმიდისა ეფრემისი მონაზონთა მიმართ“, იკითხება; აწინსაგან განქიქებების ცნობაჲ, ვითარმედ არავინ ჰხედავს, და იგი სიტყუათაგან განცხადების

შემთხვა უკვე განსაცდელი ქალწულსა ვისმე დაბაას მას შინა და სოფელსა, რამეთუ დაეცა ვინმე მას თანა და მევსფულად მუცლად ილო. და ვითარცა ჰკითხეს მას მშობელთა მისთა, თუ ვინ არს, რომელმან კმნა საქმე ეგე შენ თანა, მან მიუგო. — არა ვინ სხუა, თვნიერ განზოგრებულ იგი. და გამოვიდეს მიერ დაბით და წარმიყვანეს მე. და დამოჰკიდეს ყელსა ჩემსა შებლაღლები კოჭებთა და კეციის ყურებთა კოკათა, განმაკიქეს მე ჰალაქსა შინა და უბანთა ზედა, მგუემდეს მე და მეტყოდეს: ამან მონაზონმ. ნ განზრწნა ქალწული ჩუენი...¹ [საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა A ფონდი, № 1105. 348r].

მოყვანილ ადგილებში განქიქებას რომ ჩვენ მიერ მიგნებული შინა-არსი მოეპოვება და სხვა არაფერი, ეს ჩვენი ძეგლის სომხური თარგმანითაც დასტურდება. ძველი სომხურის დასახელებული ძეგლის ორსავე თხრობას შეესატყვისად *հրասպարսկէ* მოეპოვება [1. *Վերջան սպտեհագմի ընդ քեզ ի ընդ նախն, եկ առ իս և հրասպարսկես գնա. և ինքն փախչի ի ճէն շիրհօքն Քնի. Ըստղի ոչ ինչ այնպէս յայլէլ նմա ուպէս յայտնէն զգործս նորա, և զարձակ ոչ ինչ այնպէս զօրացուցանէ գնա իբլև զծածկէն... 2. Ն. և ևկևակ ի Կեղն սարան անոբ պիս, և կոպիցիս ի պարսնոցի ի իում ազով ի լճինա և ի լճինա կծոց և հրասպարսկեցին գիս այնպէս զբջջուցանելով ի փոյգուս...²], რაც გარეთ თუ საქვეწმოდ გატანას, ცხადად ქცევას, ამბის გავრცელება-განთქმის. ან, ძველი ქართულით რომ იტყვოდნენ — „საანაჯგში ყოფას- უდრის. მაგრამ ეს მაინც არ არის ერთადერთი სომხური შესატყვისი ქართული განქიქებისა. უკანასკნელის ბაღდად გვხვდება *խაყას-ოასկე-იც*, რაც წარმოქმნილი ზმნაა *խაყასოას* სახელისაგან. თითონ სახელი შედგენილ სიტყვად ითვლება: *խაყა* („ნიშანი“) + *ოას* („იგავი, არაკი“), ე. ი. საარაკო, სამარცხვინო..., რის გამო *խაყასოასկე-იც* ქართულში შესატყვისად შეტყვევანაც მოეპოვება. ე. ი. ის, რაც, როგორც ვნახეთ, საჯარო ვაცხადებას, თუ გამელაენებას. თან სდევს.*

ებლა თუ ეგეფხისტყაოსნისა ზემომოყვანილი სტროფის გამიქიქიას შემცველ სტრიქონს დაუბრუნდებით. მისი შინაარსი ასეთი ვახდება: — ეს მიჩანს (მიმაჩნია) დიდად (ფრიად) სასახელოდ, რომ თავი (ჩემი მე) არ გამიცხადებია, ან არ გამიმელაენებია“-ო, ე. ი. ჩემი, ანუ ავტორის, ვინაობა ან დამოკიდებულება შესატყვებ პირთან არ გამიცხადებია, ან არ გამიმელაენებია.

ასეთი ახსნა-განმარტების შემდეგ მოსალოდნელია მაინც კითხვა: თუ თავი არ გაუქიქია, ე. ი. არ გაუცხადებია, ეგების დაუფარავსო. ასეთ შეკითხვაზე

¹ *Վարդ արքայ հարսնի և քաղաքագործ ինչի նպիսն ըստ կրկին խաղայնու. ի նախնայ. Վենետիկ 1855. Կառ. I, გვ. 651 და Կառ. II, გვ. 324.*

² შესავსივე შინაარსით განქიქებას ვხვდებით დამქსიმე აღმსარებლის ცხოვრება-შოკა (იხ. Keilmeta გვ. 93, § 29): „განვაჩინეთ თქუენ ზედა, მაქსიმე მონაზონო, — ეუბნებიან ეპარხოსოს პირით მაქსიმესა და მის ამბანაგებს მეფე და მისი მსაჯულნი — ... და უბრძანებთ დიდებულსა ეპარხოსსა, რა წარმოგადგინნეს ქალაქებობისა მისისა სამშჯავროსა და შოლტითა ზურგი თქუენი უწყალოდ გუემოს და მერმე ენანი სამთანიց ძირით აღმოგაქუეთნეს და მარჯუენანი კელნი, მწერალნი. გმობათანი, მახელითა დაგაქუეთნეს და შემდგომად დაქროსა ბოროტთა მათ ასოთა თქუენთა განგაკიქნეს ათორმეტთა მათ უბანთა სამეუფოესა ამის ქალაქისათა. და შემდგომად განქიქებიასა მის წარგაუღინნეს სამარადისოსა ექსორიობასა და აქრთხილობასა კერძოთა სამეგრელოესათა...“

პასუხს სტროფის უკანასკნელი სტრიქონი უნდა იძლეოდეს, სადაც ნათქვამია, ჩემი თავი ან სახელი კი არა „მისი (ე. ი. ვისაც ავტორი ქებას უძღვნის) სახელი შეფარვით (ე. ი. დაფარვით) ქვემოთ მითქვამს, მიქიაო“.

გა(ნ)ქიქება (ანუ გაცხადება) და დაფარვა, რომლებიც ძამათა ცხოვრებისა ზემომოყვანილი თხრობიდან ურთიერთის დაპირისპირებით საწინააღმდეგო ცნებების გამოსახატავად იყვნენ ნახმარი, აქაც დაპირისპირებული ჩანან: თავი (ე. ი. ჩემი მე, სახელი) მე არ გამიცხადებია, დაფარე ან შევაფარე კი მისი (შესაქები არსების) სახელით:

„ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია...
მისი სახელი შეფარვით, ქვემოთე მითქვამს, მიქია“.

ასეთი კომენტარიდან ძალუნებურად ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ავტორის, შოთა რუსთაველის, სახელი თუ პიროვნება გაცხადებული, ე. ი. გამელაგებული არ არის, ხოლო მისი ხელმკმნელისა, ე. ი. თამარისა, შეფარვით არის თქმული და შექებული.

თუ აღნიშნული განცხადება პოემას პროლოგ-ეპილოგიანად ეხება, მაშინ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ 1. ადგილები, რომლებშიც რუსთაველი იხსენიება (და ეს კი პროლოგ-ეპილოგშია მხოლოდ სამგან), ყალბია და მხარს უჭერს იმათ მტკიცებას, რომლებიც ასეთ სტროფებს მეტწილად ყალბად მიიჩნევენ (ნ. მარისა, პ. ინგოროყვასა და სხვ...), 2. ზედმეტია ძიება რომელიმე გმირი მამაკაცის სახეში ავტორისა და 3. თამარი კი (ვისდამიც პოემა მიძღვნილი) ამოსაკითხავია გმირი ქალების წყებაში.

* * *

„განქიქებას“ ძირი ქიქ არის. უნებლიეთ იგი გვაგონებს „ქექა“-ს, რომლის ძირია ქექ, რაც ხმოვანშენაცვლებულიც შეიძლება ვიგულოთ: ქიქ. ამ ქექ თუ ქიქ-ს განქიქების ქიქ-თან შინაარსობლივი კავშირიც უნდა ჰქონდეს, მთლად შემთხვევითი არ უნდა იყოს ამ ორი სიტყვის ძირის ბევრობლივი შეხვედრა.

ფონემურად მსგავსი ძირი მოეპოვება სომხურსაც. ეს არის *քիք*. რომელიც დამოუკიდებლად არ იხმარება, არამედ დაცულია წარმოქმნილს მეტად იშვიათ სიტყვაში, *ქիქიანი*-ში, რაც „დამცინავ სიცილს, ხარხარს“ აღნიშნავს სომეხი ლექსიკოგრაფების ახსნით.

ამას გარდა სომხურში ყოფილი ხმარებული, როგორც ეს ჩანს ერთ-ერთი ძველი ლექსიკონიდან, რომლის ავტორია XVII ს-ის მოღვაწე ერემია ვარდაპეტი (გამოცემულია 1698 წ.), *քիքի*, რაც განმარტების თანახმად შიშველობას (*შիშველობა*) აღნიშნავს. სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ნ./წ. პროფ. პრ. აქარიანს ძველ სომხურ მწერლობაში ამ სიტყვის ხმარების მხოლოდ ერთი მაგალითი აქვს შენიშნული, მაგრამ არა ერემიასაგან ნაჩვენები მასდარის სახით, არამედ აბსტრაქციული სახელის ფორმით: *քիქი* (აღსანიშნავია ისიც, რომ ამ უკანასკნელს ვარიანტად ჰქონია ნუსხებში *քიქი*). მითითებული მოწმობის მიხედვით პროფ. პრ. აქარიანი მის შინაარსს ზედ-

მიწვევით ვერ აღგენს: „სათიქრებელია ჟურცხეობა, შეურაცხყოფა იყოსო“. ერემიას ახსნა კი მას მართებულად არ მიაჩნია: „ის წინამავალი სიტყვის მიღვენებისაგან წარმოდგება უცილობლადო“. ერემიას მიერ მოყვანილი ფორმითა და პროფ. პრ. აქარიანისაგან დამოწმებული წყაროს სახით ამ სიტყვებს ადგილი უპოვია ვაბაშაქიანის სომხურ ლექსიკონში (გამოცემულია კოსტანტინეპოლს, 1910 წ.), სადაც ისინი განმარტებულია „შეურაცხყოფელ და ცინვად ან უგუნურ სიტყვად“, რაც პროფ. პრ. აქარიანის თქმით (იხ. მისი ეტიმოლოგიური ლექსიკონი, VI, 1469 გვ.) *გჰჰჰჰჰ*-იდან მომდინარეობენ.

ზემოთ აღნიშნულიდან ნათელია, რომ პროფ. აქარიანი შინაარსობლივ ორგანულ კავშირს ვერ ხედავს *გჰჰჰჰჰ*-სა და *გჰჰჰჰჰჰ*ს თუ *გჰჰჰჰჰ*-ს შორის. მაგრამ თუ მოვიგონებთ ზემოთ „გან(წ)ქიქებასთან“ დაკავშირებით მოყვანილ მოწმობებსა და ჩვენ განმარტებებს, აშკარა გახდება, რომ სომხურშიც საქმე გვაქვს ერთისადამივე სიტყვის ერთნაირ ხმარებასთან: ერთ შემთხვევაში — *გჰჰჰჰ* = დაცინვასთან — და მეორე შემთხვევაში — *გჰჰჰჰჰ*ს თუ *გჰჰჰჰ*ს = გაშიშვლება-გამოაშკარავებასთან. ამასთან მართალი ჩანს ერემია ეარდაეტის ახსნაც, თუნდ იმ მოწმობიდანაც, რომელიც პროფ. პრ. აქარიანს მოჰყავს: *Աս կերպարանսսւ պէլ մի რկու թխան կնոլ ցի ցի ցի ցի ցი* (ვარ. *გჰჰჰჰ*) *պყობլსსამ*“, სადაც *გჰჰჰჰ*ს თუ *թხჰჰ*ს უნდა აიხსნას არა *պყობլსსამ*-თან დაკავშირებით, არამედ *მხრკი ցი ցი ցი*-თან.

ღიდად შეზღუდული ხმარება ჩვენთვის საინტერესო სიტყვის ძირისა სომხურში და მისი შედარებით მკაფიო შინაარსი და დღევანდელი ხმარება ქართულში ამ სიტყვის ქართულობას გვაეარაუდებინებს. რამდენად მართებულია ჩვენი გუმანი, ეს მომავლის საქმეა, როცა უფრო მეტად გავეიმრავლდება მაგალითები და ჩატარდება მიმოკითხვა ამ სიტყვისა ქართულის მონათესავე ენებში.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ძველი ქართული ენის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. IV. 5).

И. В. Абуладзе

Из лексики Вепхисткаосани

2. „გაქიქება“

Автор ставит целью представить новое толкование слова *გაქიქება*, встречающегося в одной из строф пролога Вепхисткаосани. В указанном месте, по мнению автора, *გაქიქება* означает не „опозорить“, как это трактуется у Н. Я. Марра, Ю. Абуладзе, П. Ингорюкова и др., а „опубликовать, оглашать, показать или открыть“. Последнее автор устанавливает на основе привлечения показаний других грузинских текстов, с сличением некоторых из них с армянскими материалами. При этом увязывает также корень *ქიქ* слова *გაქიქება* с корнем армянских слов *քիքուիթին* или *քիքուիթին* и *քիքուն*.

ილია აბუაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი

3.* ლელი

სტროფი, რომელშიც სიტყვა „ლელი“ გვხვდება რუსთაველის პოემაში, 1937 წლის ე. წ. აკადემიური გამოცემით 1420-ეა. იგი აქ შემდეგნაირად იკითხება:

გზანი დახედეს შეკაფულნი, შევიდეს და გაძვრეს ზერელსა,
ნახეს. მზისა შესაყრელად გაჰოეშეა მთვარე გველსა,
მუზარადი მოეხადა, ჰშვენის აკვრა თმისა ლელსა,
და მკერდი მკერდსა შეეწება, გარდაეკლო ყელი ყელსა.

ამ სტროფში გადმოცემულია ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის პირველი შეხვედრა ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ. ეს სურათი, რომელიც აქ არის აღბეჭდილი, დახვდათ ტარიელის თანამებრძოლებს — ავთანდილსა და ფრიდონს — მაშინ, როდესაც ბრძოლა-გადახდილი რაინდები ციხეზე პირველი იერიშის მიმტანს — ტარიელს — ეძებდნენ სიმაგრის აღების შემდეგ.

მოყვანილ სტროფში დამაფიქრებელი მხოლოდ შესამე სტრიქონია:

მუზარადი მოეხადა, ჰშვენის აკვრა თმისა ლელსა.

მუზარადი, ანუ საომარი თავსაბურავი, მოუხდია ტარიელს, რომელსაც, თუ სიტყვების გრამატიკულ შეწყობას ზედმიწევნით გავყვებით ამ გამოცემის მიხედვით, შვენის, ანუ უხდება თურმე, როგორც ლელს, თმის აკვრა. ლელი, როგორც ამ გამოცემაზე დართული ლექსიკონის შემდგენელი, პროფ. იუსტინე აბულაძე, გვიხსნის, წერილი ლერწამია. ასევე აქვს ეს სიტყვა განმარტებული სულხან-საბა ორბელიანის ბიბლიის ერთი ადგილის დამოწმებით.

ამრიგად, წარმოდგენილი სტრიქონის აზრი ასეთია: ტარიელს, ტანად ლელს, მოეხადა მუზარადი და შეენოდა აკვრა თმისა, რომელიც, ცხადია, მუზარადის ტარებით აკრული თუ შეკრული ყოფილა.

ყველაფერი თითქოს რიგზეა, მაგრამ ერთი რამ მაინც გაუგებარია: მამაკაცის ტანი რად უნდა იყოს შედარებული წერილ ლერწამს?

* პირველი წერილი იხ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათში, XVI b, 1944 წ., გვ. 225—229, ხოლო მეორე — იმავე შრომათში, XXX b, 1947 წ., გვ. 295—301.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში და ტექსტის ადრინდელმა ბეჭდვითმა გამოცემებმა, მათ რიცხვში ვახტანგ VI-ის გამოცემამაც, განსხვავებული წაკითხვა იციან ამ სტრიქონისა, სახელდობრ:

მუხარადი მოეხადა, ჰშენის აკვრა თმასა ლელსა.

აქედან აშკარაა, რომ ლელი ტარიელს კი არ მიემართება, არამედ მის თმას. მაგრამ, თუ ლელს ისე გავიგებთ, როგორც ეს ამ სიტყვის განმმარტებელს ესმის, მაშინ „წერილი ლერწამი თმა“ მოხდენილი გამონათქვამი ვერ იქნება. ამას გრძობდნენ, ალბათ, აკადემიური ტექსტის დამდგენლები, რომელნიც ლელის განმარტებაში თანახმანი ყოფილან წარმოდგენილი ახსნისა და იგი ტარიელისთვის შეუფარდებიათ: ტარიელს, ტანად წვრილ ლერწამს, ჰშენის თმის აკვრად და სხ...

როგორც ირკვევა, აღნიშნული ოპერაცია ამაოდ ჩაუტარებიათ.

XI ს-ის შუა წლების მოღვაწეს, გიორგი მთაწმიდელს, მოეპოვება ერთი თარგნილი ნაწარმოები, რომლის ავტორად გრიგოლ ნოსელი ითვლება. თხზულებას ეწოდება „კაცისა შესაქმე“. ამ ძეგლის ერთ ადგილს (30-ე თავში), სადაც საუბარია თმის ბუნებაზე, ვკითხულობთ:

„და უკუეთუ ეცეულთა ორთქლთა აღიყვანებდეს გულარძნილთა და მიმოდრეკილთა ნესტუთაგან თავისა მიმართ, გრუზთა და ლულარქნილთა თმათა აღმოაცენებს; ხოლო უკუეთუ თმათა აღმომაცენებელნი იგი ორთქლნი მართლ და წრფელად აღვიდოდინ — ლელთა და განმარტებულთა თმათა წარმოაჩენენ“ (საქართ. მუზეუმის ხელნაწ. A — 55, 2400).

შენიშნულია უკვე მიხ. კახაძის მიერ, რომ გიორგი მთაწმიდლის ერთი სხვა თარგნილი ძეგლის („ექუსთა დღეთაჲს“) ენას დიდად ახასიათებს სინონიმური წყვილების მოხმარება, როგორც მაგ., „რიცხვ და ჰამარი“... „თვისი და მახლობელი“ და მრავალი სხვა¹, სადაც ერთიმეორის ამხსნელი სიტყვები, ე. ი. სინონიმები, ერთმანეთს „და“ კავშირით ებმიან. ამავე მოკლენას ნათლად ვხედავთ ზემოთ მოყვანილ ამონაწერშიც, კერძოდ „გრუზთა და ლულარქნილთა“-სა და „ლელთა და განმარტებულთა“-ს, რომლებიც თმის დასახასიათებლად არიან წარმოდგენილი (აქვე თხრობაში სხვა სანონიმური წყვილებიცაა: „გულარძნილთა და მიმოდრეკილთა“, „მართლ და წრფელად“). როგორც იყო მოცემული ეს ადგილი დასახელებული ნაწარმოების წინანდელ თარგმანში, რომელიც 973 წლის ახლო ხანის ცნობილ „მატერდის კრებულში“ არის დატული, არ ვიცით, რადგან სათანადო ტექსტი ამ ნუსხას აკლია.

გიორგი მთაწმიდლის მიერ თმისათვის ნახმარ ზემომოყვანილ პირველ წყვილში სინონიმებისა: „გრუზთა და ლულარქნილთა“ გრუზი თმა განმარტებულია როგორც ლულარქნილი, ე. ი. ხვეული, ხუჭუჭი, ხოლო მეორე წყვილში ლელი თმა ახსნილია „განმარტებულად“, ე. ი. გაშლილად. ამავე დროს მოყვანილ ამონაწერში თმის ეს სახეები — „გრუზი და ლელი“ — ერთ-

¹ ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, თბილისი, 1947 წ., გვ. 053.

მანეთს უპირისპირდება როგორც „ღულარქნილი და განმარტებული“, ე. ი. ხუჭუჭი და არა-ხუჭუჭი.

ამნაირად, ყოველივე ექვს გარეშეა, რომ მოყვანილი მოწმობით „ლელი“ მიემართება თმას და აღნიშნავს ისეთს, რომელიც ხუჭუჭი კი არაა, არამედ განმარტებული ანუ გაშლილი, მოკლედ, უხუჭუჭოა.

თუ ახლა „ვეფხისტყაოსნის“ ზემორე მოყვანილ საცილობელ სტრიქონს დავეუბრუნდებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი შინაარსი მეტად ნათელი ყოფილა: ტარიელს (ნესტან-დარეჯანთან პირველი შეხვედრის დროს დიდი ხნის დაცილების შემდეგ) მოეხადა მუზარადი და შეენოდა აკვრა მის ლელს, ე. ი. უხუჭუჭო ანუ გაშლილ-განმარტებულ თმას. ამდენადვე, მაშასადამე, ისიც უცილობელი უნდა იყოს, რომ რუსთაველის ქმნილებას დასახელებულ ნაწილში შესწორება არ ესაჭიროება და სტრიქონი კვლავ ძველებურად უნდა დარჩეს, როგორც ეს ხელნაწერებსა და აღრიხნულ გამოცემებშია: „მუზარადი მოეხადა. ჰვეენის აკვრა თმასა ლელსა“.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ძველი ქართული ენის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1951. IV. 19).

И. В. Абуладзе

Из лексики „Вепхисткаосани“

3. „ლელი“

Резюме

Автор ставит целью представить новое толкование слова лელი („ღელი“), встречающегося в одной из строф творения Ш. Руставели. В этом месте (в 1420-ой строфе т. и. академического издания) указанное слово, по мнению автора, означает не „тонкий тростник“, как это разъяснено у составителя словаря проф. Ю. И. Абуладзе, а „не-хурчавые“ (волосы). Последнее автор устанавливает на основе привлеченного им одного места из древне-грузинского перевода труда Гр. Нисского „О сотворении человека“, переводчиком которого является Георгий Афонский (Мтацвидели), известный грузинский писатель середины XI века. Установленное надлежащее понимание этого слова, по утверждению автора, ничуть не оправдывает то исправленное чтение указанного места «Вепхисткаосани», которое предложил в критическом издании этой поэмы (1937 года), а, наоборот, восстанавливает в своих правах прежнее чтение, встречающееся как в рукописях, так и в ранних изданиях поэмы.



ოლია აბულაძე

ვეფხისტყაოსნის ლექსიკონიდან

4. ნახარ-ი

ქართულში იქნება ის ძველი თუ ახალი, ფართოდ იხმარება ქარ ძი-
რიდან ზმნისწინითა თუ უზმნისწინოდ წარმოებული ზმნები: ჭრა, აღჭრა,
აჭრა, გაჭრა, დაჭრა, მიჭრა, ჩაჭრა და სხ... ამ ზმნებს უმეტესად მნიშვნელო-
ბა აქვთ კ რ ი ს ა და მ ი ვ ა რ დ ნ ა - გ ა ვ ა რ დ ნ ი ს ა .

ამ უნთავრესი მნიშვნელობებით ვხვდებით ზოგიერთ ამ ზმნათა ფორმებს
„ვეფხისტყაოსანშიც“. მოვიყვანთ თითო-ოროლა მაგალითს:

- ჭრა: „ისრვიან და იხახიან, მხეცთა სჭრიან ვითა მჭელსა“ 977, 4.
 „მეფეუხახუნ: „დახოცენით!“ დაიპყრნეს და თავსა სჭრიდეს“ 1135, 2.
 „ხრმალი რკინას მოჭრიან, ვით ბამბის მჭედსა სჭრიდიან“ 1370, 3.
 მჭრელი: „ჯაბუ-მუხარადი, აღმასი ბრმალი ბასრიას, მჭრელიო“ 1368, 2.
 აჭრა: „მაშინვე ვიციან, ავიჭერ, ჩქარ-ჩქარაჲ გულ-გამკრთალია“ 490, 3.
 „მეფესა ესმა, აიჭრა, მართ მისგან გასატყვარდა“ 572, 2.
 გაჭრა: „ოლთასა ხახსა ვარჩიე გაჭრა სმასა და მღერასა“ 166, 3.
 „გიჯობს გაჭრა ძეხნად მისად, გავარდნა და ველთა რბოლა“ 585, 3.
 „ხელი მინდორს გავიჭრები, ზოგჯერ ვტირ და ზოგჯერ ვბნდები“ 656, 2.
 „გავიჭერ, სრულად დავტყებნენ ქვე მინდორნი და ხე მთანი“ 653, 4.
 „ვისცა გესმის, გაიგონეთ, მით გაჭრილვარ ხელი ველად“ 928, 2.
 „მენ მინდორს გნახეთ გაჭრილი, ჩვენ ხედა გარდგეკიდნით“ 287, 1.
 დაჭრა: „უთხრა: «დათმე, ნუ მოაქედები, გულსა სრულად ნუ დასჭრა, და!» 914, 2
 „მოდო, მარიხო, უწყალოდ დამჭერ ლახერთა შენითა!“ 960, 1.
 „გარდახდა და ფრთენი დასჭრნა, წყნარად შეჯდა, არ აქმინდა“ 980, 4.
 „გული უფროე დამიჭრა ათითასმან დანამან“ 358, 2.
 „კაცი ცრუ და მოლაღატე ხამს ლახერთა დასაკოლად“ 1f 2, 4.
 ჩაჭრა: „ქარვის კალთა ჩახლათული ჩაჭერ, ჩაეკარაბაკე“ 558, 1.
 „ალარ ვიშივეი სიკედისსა, ჰაი, ჩაიჭერ მე რასა“ 1210, 4¹.

¹ მაგალითები 1957 წლის გამოცემით მოგვყავს.

ასეთივე შინაარსით (კვეთისა და გავარდნისა) აქვს ეს ზმნები განმარტებული სულხან-საბა ორბელიანსაც. „აღჭრა დაჭრა (1,22 ტობია)“; „აჭრა აკვეთა (+გინა მოსრვა B)“; „გაჭრა მახვლით გაკვეთა“; „გაჭრა ველად გავარდნა“; „დაჭრა წერილად დანაწილება“; „მიჭრა ჩქარა მისელა“; „მიჭრა მიკვეთა“; „ჩაჭრა თავი ჩაიგდოს ღრმაში; ჩაჭრა ჩაკვეთოს განი რაჯმე“¹.

აღნიშნულ მნიშვნელობათა გარდა ირკვევა, რომ ერთს ამ ზმნათაგანს, სახელდობრ „აღჭრა“ ზმნას, კიდევ სხვა ცალკე მნიშვნელობა ჰქონია ძველად. ამ სიტყვას ჩვენ ვხვდებით ბიბლიის ძველ ნუსხათა (ოშქისა და იერუსალიმის) სხვადასხვა წიგნში. ასე მაგალითად, სოფონიასთან (2,9) ვკითხულობთ: „ნეშტნი ერისა ჩემისანი აღიჭრიდენ მათ“; ზაქარიასთან (14,2) კი წერია: „აღიჭრან სახლები“. ასევე ვხვდებით დასახელებულ წყაროში ამ ზმნის უპირო ფორმებსაც. ივლითთან (7,16) ვკითხულობთ: „უმჯობეს არს ჩუენდა, რაჯთა ვიქმნნეთ მათა აღსაჭრელ“; ამბაკუმთან (2,7) იპოვება: „იყოს აღსაჭრელ მათა“, ხოლო სოფონიასთან (1,13) იკითხება: „იყოს ძალი მათი აღსაჭრელ“.

აღნიშნულ ადგილებში რომ „აღჭრა“ აკვეთა, დაჭრა? ან წამოგარდა არაა, ამას მოწმობენ ამ ზმნის შესატყვისობანი უცხო ბიბლიიდან, კერძოდ, სომხური დაბადებიდან. სომხურში სოფონიას 2,9 („ნეშტნი ერისა ჩემისანი აღიჭრიდენ მათ“) ასე იკითხება: *«Մնացորդ ժողովրդսն իժոյ յափշտակեսցեն զնոս»*; ზაქარიას 14,2 („აღიჭრან სახლები“) — *«յափշտակեսցեն տունք»*; ივლითის 7,16 („უმჯობეს არს ჩუენდა, რაჯთა ვიქმნნეთ მათა აღსაჭრელ“) — *«լա է մեզ լինել յափշտակութիւն նոցա»*; ამბაკუმის 2,7 („იყოს აღსაჭრელ მათა“) — *«եղիցես նոցա յափշտակութիւն»*, ხოლო სოფონიას 1,13 კი („იყოს ძალი მათი აღსაჭრელ“) — *«եղիցի զօրութիւն նոցա ի յափշտակութիւն»*.

ყველგან, როგორც ვხედავთ, შესაბამის ადგილს სომხურში „აღჭრა“ ზმნის შესატყვისად *յափշտակել-յაփշտակութիւն* მოიპოვება, რაც ძველი ქართულით ნიშნავს: „ტაცება (მიტაცება, მოტაცება, გამოტაცება, აღტაცება)-სა“ და „იავარყოფას“ ანუ გამოტყუენვას“. სათანადო ადგილები რუსულ ბიბლიაში ასეთ შესაბამისს გვაწვდის: *«взять в добычу, разграбить, добыча, расхищение»*.

ამ აზრით არის ეს ზმნა ნახმარი ტობიასთანაც (1,22: „და აღჭრეს ყოველი ნაყოფი მისი“ A—51), როგორც ამას სომხური ადასტურებს (*յափշտակեսցան ამსնայն ինք իմ*), და არა იმ მნიშვნელობით, რომელსაც ამ წყაროს მიხედვით ს.-ს. ორბელიანი უწერს ამ სიტყვას თავის ლექსიკონში: „აღჭრა დაჭრა“-ო.

ბიბლიაში მოცემული მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი ამ ზმნის „ნაჭარი“ ფორმა ვეფხისტყაოსანშიც. იქ ერთგან (1031) მობალდადენი ვაქარნი ამბობენ:

¹ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, თბილისი, 1928.

² ასე ვსმის საბას, მაგრამ ის ცდება, ამაზე ჰეუმთ.

„ . . . ჩვენ ვართო მობაღდადნი ვაჟარნი
მაჰბადის სჯულის მტირავნი, აოოდენ გვისემან მაჰარნი,
ხლვათა მფეისა ქალაქსა სავაჟროდ გარდმონაჰარნი,
საქონელ-სრულნი, მდიდარნი, არ ლარნი გვქონან ნ ა ჯ ა რ ნ ი“.

„ჰარ“ ძირზე აღმოცენებული ორი ფორმაა სინტერესო ამ სტროფში: ერთი — „გარდმონაჰარნი“ და მეორე — „ნაჰარნი“. პირველი, როგორც მართებულიად აღნიშნავენ პროფ. იუსტ. აბულაძე და პროფ. ა. შანიძე ვეფხისტყაოსნის გამოცემებისათვის დართულ თავ-თავიანთ ლექსიკონში, არის: „გად-მოხვეწილი, გადმოსული, გადმოვარდნილი, წამოსული“ (იუსტ. აბულაძე¹) და „გადმოცევივულნი“ (ა. შანიძე²), ხოლო მეორე — „ნაჰარნი“ — პროფ. იუსტ. აბულაძეს განმარტებული აქვს როგორც „დაჰარილი“, პროფ. ა. შანიძეს კი როგორც „ნაჰერი, დაჰარილი“ კითხვის ნიშნით, რაც იმას მოასწავებს, რომ ავტორი სათუოდ მიიჩნევს თავის განმარტებას.

ამ სიტყვის ასეთნაირი გაგება უდევს სიფუძელად პროფ. შ. ნუცუბიძის მოსაზრებას, როცა ის ზემოთ მოყვანილი ადგილის მიხედვით მობაღდადელ ვაჟრებს თავის თარგმანსა და მის კომენტარიებში სახავს არა-ცალობით მოვაჟრებად, არა-ნაჰრებით გამყიდველებად. ვუწევთ, რასაკვირველია, იმას ანგარიშს, რომ პოეტური ქმნილების თარგმნისას სრული, სიტყვა-სიტყვითი შესაბამისობის დაცვა დედანთან ყოველთვის არ მოეთხოვება მთარგმნელს, მაგრამ მაინც შეუძლებელია არ შეეჩერდეთ საგულისხმო სიტყვაზე, მაშინ, როცა მას მეცნიერი მთარგმნელი მეტად თავისებურ განმარტებას აახლებს: „Грузинское слово „ნაჰარნი“ означает „отрезан“, რომლიდანაც, გვგონია, აგრეთვე მეტად გაბეღული დასკვნაა გამოტანილი: „Следовательно, багдадские купцы заявляют, что они не торгуют „отрезанми“, т. е. в розницу“³.

თუ მივუბრუნდებით ამ ზმნის ძირზე აღმოცენებული ერთ-ერთი („აღქრა“) ფორმის ბიბლიის წიგნთა მიხედვით გამოვლინებულ ერთ-ერთ მნიშვნელობას („ტაცება, იავარ-ყოფასა თუ გამოტყუენვას“), ცხადი შეიქმნება, რომ იმავე ძირზე წარმოქმნილი „ნაჰარ(ნი)“ ფორმა დასახელებულ კონტექსტში („არ ლარნი გვქონან ნ ა ჯ ა რ ნ ი“) აღნიშნავს „ნატაცებს, იავარ-ყოფილს ანუ წანაგლეჯსა თუ წართმეულს“.



¹ 1937 წლის გამოცემა.

² 1957 წლის გამოცემა.

³ III. Ну ц у б и д з е, Творчество Руставели, Тбилиси, 1958 г., стр. 11.

ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი

ილ. აბულაძე

5. მ ზ მ ე ლ ი

სტროფი, რომელშიც ამ სიტყვას ეხედებით, საიუბილეო გამოცემის მიხედვით 1077-ეა. იგი ასე იკითხება:

„ფატმან ხათუნ თვალად მარჯვე, არ-ყმაწვილი, მაგრა მ ზ მ ე ლ ი,
ნაკეთად კარგი, შეუგრემანი, პირ-მსუქანი, არ პირ-ხმელი,
მუტრითა და მომღერალთა მოფეარული, ღვინის-მსმელი,
ღია ედვა სასალუქო დასაბურაუ-ჩასაცმელი“¹.

მ ზ მ ე ლ ი მოსალოდნელი იყო, განმარტებული ჰქონოდა ვახტანგ VI-ს, მაგრამ ის მასზე არსად ჩერდება თავის თარგმანებაში, რომელიც დართული აქვს მის მიერ შესრულებულ გამოცემას².

საიუბილეო გამოცემასა და მისგან წარმომდინარე სხვა გამოცემებში, რომელთაც პროფ. იუსტინე აბულაძის ლექსიკონი ახლავს, აგრეთვე არსადაა საუბარი ამ სიტყვაზე. მის განმარტებას უკანასკნელხ ხანის გამოცემებიდან ეხედებით მხოლოდ 1957 წლისაში, კერძოდ ამ გამოცემაზე დართულ ლექსიკონში, რომელიც აკად. აკ. შანიძეს ეკუთვნის.

მ ზ მ ე ლ ი, ზემოთ აღნიშნულ სტროფზე მითითებით, აკად. აკ. შანიძეს განმარტებული აქვს როგორც „ხან-დაზმული“. იგი, ჩანს, ტოლ-ფარდად წარმოუდგენია მას მის წინ მდებარე სიტყვისა, — „არ-ყმაწვილისა“, — ე. ი. ხნოვანისა („ფატმან ხათუნ თვალად მარჯვე, არ-ყმაწვილი, მაგრა მ ზ მ ე ლ ი“).

ასეთი განმარტება დაექვებას იწვევს იმით, რომ აქ „არ-ყმაწვილი“ და „მზმელი“ (გაგებით „ხან-დაზმულისა“) ერთიმეორეს არის დაპირისპირებული და არა ერთმანეთის ამხსნელადაა მოყვანილი: თვალად, ე. ი. შესახედად, მოხდენილი ფატმან ხათუნ არ იყო ახალგაზრდა, მაგრამ მ ზ მ ე ლ ი იყო. „მზმელი“ აქ, რასაკვირველია, „ხანდაზმული, არ-ყმაწვილი“ არაა. იგი მისგან განსხვავებულ რამეზე მიუთითებს, სხვა შინაარსის მატარებელი სიტყვა ჩანს.

* წინა ნაკვთები იხილეთ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში № 16 XXXVI b, XXX b, XLIII და კრებულში „კორნელი კეკელიძე“.

ეს ნაკვეთი წაკითხულია მოხსენებად ზღუნაწერთა ინსტიტუტის I საწესნიერო სესიაზე 1959 წლის 8 ოქტომბერს.

¹ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სახელგამი, თბილისი, 1957, გვ. 227.

² შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, თბილისი, 1937, გვ. გვ. სპ-ტნა.

„მზმელი“, როგორც მოქმედი (ი-ზამ-ს), ესმის ვ. ნოზაძეს, რომელიც თავის ერთ-ერთ ნაშრომში ვეფხისტყაოსნის შესახებ წერს, რომ იგი იაო „მკვირცხლი, კისკასი, მხნე, ცოცხალი ადამიანი“³.

ამ სიტყვის შინაარსი კონტექსტით გამოცნობილი აქვს პროფ. იუსტ. აბულაძეს „ვეფხისტყაოსნის“ თავისი პირველი გამოცემისათვის დართულ ლექსიკონში, სადაც „ზმა“ სიტყვის განმარტებისას, ჩვენი სტროფის მიხედვით, მზმელზე ის შემდეგს წერს: იგი არისო „მზიბლაფი, თვალ-მაქცი, საყვარელი სანახაფი, მოხდენილი“⁴. დაიფიქვა მან ეს, როგორც ვნახეთ, პირველ ნაწილში სწორად განმარტებული სიტყვა („მზიბლაფი, თვალ-მაქცი“), თუ შეეცვალა მასზე მას ეს შეხედულება შემდეგში⁵, არ ირკვევა.

მზმელისათვის ამოსავალი ზმა უნდა იყოს, მაგრამ, როგორც ჩანს ისეთი ძველი წყაროთი, როგორცაა ბიბლიის ქართული ვერსია, საწყისად ზმნა ყოფილა. „მისნობდეს მისნობასა და იზმნიდეს ზმნასაო“, ვკითხულობთ 4 მეფეთას 17,17-ში. ამ საწყისით ვხვდებით მას სხვაგანაც: შესაქმეთა 44,5—15-ს, 1 მეფ. 15,23-ს, 4 მეფ. 21,6-სა და სხვ... (ოშკური ნუსხით).

ზმნა სიტყვის მნიშვნელობა კარგად ჩანს „შესაქმეთა“ წიგნის აქ აღნიშნული ადგილების მიხედვით, სადაც საუბარია იოსების განკარგულებით ეგვიპტეს მიბრუნებული მისი ძმებისათვის ხორბლის ტომრების აყვების შესახებ. როგორც თხრობიდან ირკვევა, იოსების მითითებით, მისი ღმერთი ძმის ბენიამენის ტომარში ხორბალს ჩააყოლეს ბარძიმი ანუ სასმისი (თასი) იმ განზრახვით, რომ, როგორც მპარაფი, დეტოვებინა მას საყვარელი ძმა თავის თავთან. უკან დადევნებული ეზოს-მომღვარი რომ ტომრებს დაჩხრეკს და ბარძიმს ბენიამენს აღმოუჩენს, საყვედურით მიმართავს ძმებს: „ანუ არა ესე არსა, რომლითა სუამნ უფალი ჩემი და იგი ზმნით იზმნინ მაგით?“ (დაბად. 44,5)⁶. აქედან ჩანს, რომ იმავე თასით, რომლითაც იოსები სვამს, იგივე თურჱე „ზმნით იზმნინ“. „ზმნით იზმნინ“ გამოთქმას ბიბლიის სხვა ვერსიებით შეესწორება—„მარჩიელობით არჩევს“ (მარჩიელობით არჩევს—არჩევს, *глаголет на ней—რუსულად*), საიდანაც „ზმნა“, დღევანდელი სიტყვით, „მარჩიელობა“ იქნება. როგორც ბიბლიის კონტრარაქტებშია ახსნილი (Толковая Библия... под редакцией А. П. Лопухина, I т., 1904, стр. 241). თასით ზმნა ანუ მარჩიელობა ნიშნავს ძველად გაერცვლებულ კილიკომანტიას, რაც გულისხმობდა წყლით ავსილი თასის ზედაპირზე სხივების თამაშის დაკვირვებას მომავლის წეტუობის მიზნით.

როგორც ზემოთ მოყვანილ მოწმობაში (4 მეფ. 17,17) იყო გადმოცემული, „ზმნა“ იხმარება „მისნობა“ სიტყვის ვკერძით, რომელთანაც ის, როგორც ვხვდებით. ახლოს დგას შინაარსით. იგი ამ მხრივ უახლოვდება აგრეთვე „გრძნება“ სიტყვისაც. საერთოდ ეს სიტყვები ერთმანეთის სინონიმებია.

³ ვ. ნოზაძე. განიხილეთი ვეფხისტყაოსნის ვერსიებისადმი შეხედულება. ბუენოს-აირესი. 1953, გვ. 161.

⁴ ი. თ. თაყაიელი. ვეფხისტყაოსნის სიტყვების ლექსიკონი. 22-ე გამოცემა. თბილისი, 1914, გვ. 203.

⁵ შემდეგში რომ ვნახოთ. დღევანდელში ვხვდებით მხოლოდ „ზმნა“ (1926 წ.) გამოცემა „ვეფხისტყაოსნისა“ და აგლოგა „მზმელი“ და მხოლოდ მისი მნიშვნელობა, რომელითაც დართული აქვს მისი ლექსიკონში.

⁶ წიგნის ძველი აღმთქმისანი 978 წლ-ის ბუნებრივი შედგენით ტ. 1. 2-ე მოსეა აქვე უახლოვდება მარჩიელობის ადგილზე. ი. თ. თაყაიელი.

მათი პირველადი მნიშვნელობა: (ნომადელის) შეტყობა თუ წინასწარმეტყველება, რჩევა-მარჩიელობა, ხოლო გადატანითა: მოხიბლვა, ჯადოქრობა. ამის მიხედვით „გრძნეული“, „მისანი“ და „მზმ(ნ)ელი“ პირველადი მნიშვნელობით იქნება: (ნომადელის) შემტყობი⁷ თუ წინასწარმეტყველი, მრჩეველ-მარჩიელი, ხოლო გადატანით: მომხიბლავი, მომჯადოებელი ანუ ჯადოქარი.

ბიბლიის უცხო ვერსიათა შესატყვისებიდან „გრძნებას“, მაგალითად, სომხურით უმეტესად *կախարդել*—*კაխարդաქիւն* შეეფარდება, „გრძნეულს“ კი—*კაխარդ*; „მისნობას“ *ղիქსი*—*ღიქსოქიւն* ან *ըզამოქიւն* ესწორება, „მისანს“ კი—*ღიქსი* ან *ըզამოყოთოთ*, ხოლო „ზმა-ს“ *ზამაკ* უდრის, „მზმ(ნ)ელს“ კი—*ზამაკ* ისეთივე გადატანითი მნიშვნელობით, როგორც ქართულში გვაქვს. ამ ტერმინების შესატყვისი ბიბლიის რუსულ თარგმანში უმთავრესად შემდეგია: „გრძნება“—*вдохновлять*—*вдохновение*, *вдохнуть*, „გრძნეული“ *вдохнувший*; „მისნობა“—*глаголь*,—*словами*, *пророчествовать*—*пророчествование*, ხოლო „ზმნა“—*веществование*—*вещество* და „მზმ(ნ)ელი“ *веществоник*, გადატანითი მნიშვნელობით—*чародей*.

ძველი აღთქმის წიგნებს გარდა „ზმნა“ გვხვდება ახალშიც. ლუკასთან ერთგან (17,20), ჯრუჟ-პარხლის ნუსხების მიხედვით, ვკითხულობთ: „კითხეს მას ფარისეველთა: ოდეს-მე მოიწიოს სასუფეველი ღმრთისაჲ? მიუგო მათ იესუ და პრქუა: არა მოვიდეს სასუფეველი ღმრთისაჲ ზმნით. უკანასკნელი სიტყვა ამ ადგილისა აღიშნის ნუსხაში სხვა სახითაა წარმოდგენილი: „(არა მოვიდეს სასუფეველი ღმრთისაჲ) სმენით“, რაც ლაფსუსად მიაჩნია მის გამომცემელს, რომელიც ასწორებს მას „ზმნით“-ად. ივ. იმნაიშვილს ეს სიტყვა მოყვანილი კონტექსტის მიხედვით ასე აქვს ახსნილი თავის ქრესტომათიაში⁸: „ზმნა 1. მიუტრადება, დაკვირვება, გამოცნობა“; ხოლო შესაქმნეთა წიგნის ადგილების მიხედვით ამავე ზმნას იქვე შემდეგნაირად განმარტავს, იგიაო: „2.... მისნობა, მკითხაობა, მარჩიელობა, გამოცნობა“.

ლუკას დასახელებულ ადგილს რომ ოთხთავის სომხურ ვერსიას ვადარებთ, იქ შესაფერის წინადადებას ასეთი სახით ვკითხულობთ: *მე დაჟარადაკოქიւն მათობიჟ კარანობ. ჩვენთვის საგულისხმოდ კარანობ-ის ძირეული სახის, კარან-ის მნიშვნელობათა დადგენისას აკად. პრ. აქარიანი სხვათა შორის იმაზედაც მიუთითებს, რომ ის არისო „ერთგვარი გრძნეულებითი რჩევა (ბედისა)“, რაც კარგად ეგუება ლუკას დასახელებულ ადგილს: არ მოვა ღმრთის სასუფეველი რჩევა-მარჩიელობით, ე. ი. წინასწარი ნიშნებით, სასწაულით, შეტყობითა თუ გამოცნობით.*

ამავე წინაარსს გულისხმობს ეს სიტყვა გალატელთა 4,10-შიც, სადაც წერია: „ღლეთა იზმნით და თთუეთა, ეამთა და წელთა“⁹, რომელსაც სომხურში *კარან* სიტყვისაგან წარმოქმნილი ზმნა (*კარან*) შეესატყვისება: *ყაილარი სარქკე ღამოქსა ღე ჟამოქსილი ღე ყაიარსა*.

ამ მოწმობათაგანაც, გასასაღამე, ზმნა არის პირდაპირი მნიშვნელობით „რჩევა-მარჩიელობა“, ანუ „შეტყობა-გამოცნობა“.

⁷ ამ სიტყვით აქვს სწორედ ვანნარტებელი საბას მისანი: „მისანი შემტყობი (2,6 ვსაი)“.

⁸ ქართული ენის ისტორიულ ქრესტომათია, 1, V—X საუკუნეების ძეგლები, გამოსცა და ტაბულები და ლექსიკონი დაუთმო ი. იმნაიშვილმა ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1953.

⁹ ტფილისის გამოცემა ახალი აღთქმისა, 1879 წლისა.

„საკმე მოციქულთას“ სხვადასხვა ადგილს (9,26; 16,7 და 26,21) ვხვდებით „აზმნობდეს“ სიტყვასაც, რომელიც ამოსავალ ფორმად „ზნობას“ გვიჩვენებს. ამ სიტყვის მნიშვნელობა დასახელებული ადგილების მიხედვით არის: „ცდა-მცდელობა, სწრაფვა და ნდობა“. რა მიმართება სუფეგს შინაარსობლივ „ზნობასა“ და „ზნანს“ შორის ნათელი არაა, შეიძლება ისინი სხვადასხვა იყვნენ თავისი ძირებით.

ქართული ენის ასეთ ძველ წყაროთა ჩვენებას ზმნა-გრძნება-მისნობის შესახებ მხარს უჭერს მომდევნო ხანის ძეგლებიც. იქაც ეს ტერმინები ერთიმეორის სინონიმებად და შეინაცვლელად გვხვდება¹⁰. ამავე სიტყვების ადრინდელი ხმარება-მნიშვნელობა კარგად არის დაცული ამათ ძირებზე აღმოცენებულსა და ძველიდანვე გავრცელებულ ფორმებში—„აგრძნა“ და „აზმნა“-ში, რომლებიც უპირატესად „შეტყობას“ და „გულისკმის-ყოფას“ თუ „ცოდნაცნობას“ აღნიშნავს (შდრ. ვერ. 11,29).

ერთი სიტყვით „ზმნა“ და აქიდან წარმოებულნი „ზმმ(ნ)ელი“ პირველადი მნიშვნელობით „შეტყობა-შემტყობი“ თუ „ცნობა-მცნობელია“, ან „რჩევა-პრჩეველი“ თუ „მარჩიელობა-მარჩიელია“, ხოლო გადატანით: „მომხიბლვა-მომხიბლავია“, ან „მოჯადოება-მომჯადოებელი“ თუ „ჯადოქრობა-ჯადოქარი“ (ასეთივეა მისი საბადლო სომხურსა და რუსულშიც).

უკანასკნელი, გადატანითი მნიშვნელობა დაცულია შ. რუსთაველის ნაწარმოების ზემორე მოყვანილ სტროფში, სახელდობრ მის პირველ ტაეპში:

„უატმან ხათუნ თვალად მარჯვე, არ-ყმაწვილი, მაგრა მზმელი“,

სადაც „მზმელი“ აღნიშნავს „მომხიბლავს“ ანუ „ჯადოქარს, მომჯადოებელს“, რაც მაპირისპირებელი კავშირით არის შეერთებული წინა წევრთან: არ-ყმაწვილი. მაგრა მზმელი“.

მ. მ ა ხ ა ლ ი

მახალი მხოლოდ ერთგან გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“. იგი ნახმარია შემდეგ სტროფში (1012, საიუბ. გამოცემის მიხედვით):

„დასხდეს, შეიქმნა პურობა. გაამრავლებდეს მახალსა.
უმასპინძლებდეს აეთანდილს, ვითა მახალი მახალსა,
მოიღებდიან ჭურჭელსა ტურფასა, ახალ-ახალსა,
მაგრა მის ყმისა მკერეტელთა გული მიეცა, გლახ ალსა“.

ამ სიტყვას ბიბლიის ქართულ ვერსიაში (ოშკურ ნუსხაში) ივდიითისთან (10,5) ვხვდებით. იგი სულხან-საბას ლექსიკონშიც არის ასახული, რასთანაც სამოწმოდ დასახელებულია ივდიითის სულ სხვა ადგილი—მე-13 თავის მე-12 მუხლი. საბა მასზე ამბობს „ხურჯინაო“. ასეთსავე განმარტებას აძლევს ამ სიტყვას ვახტანგ VI-ც თავის კომენტარებში ვეფხისტყაოსნისა¹¹.

ამ მნიშვნელობით ამ სიტყვას სხვაგანაც ვპოულობთ ძველ ქართულ ტექსტებში, ზოგჯერ კინოზოგის ფორმით, რაც სულხან-საბას ლექსიკონშიც არის აღბეჭდილი—„მახალაკი აგბა-აო“.

¹⁰ ასე. მაგ., ვეთალეს სტიქონტრიაში, რომელიც დართული აქვს სამოციქულოს X ს-ის ნუსხებს (S—407, S—1138) ერთგან ვკითხულობთ: „უკომენდელსი კრეტელისა მისნია ზმნაჲ“, სადაც სომხურთან შედარებით (*სიყმისხიტიის ღრთათაჲთაჲ ნარეჲს ქუბთქიხ*) მისანი რაჲგოჲკ (მკითხავეი, მარჩიელი) გამოღის და „ზმნა“—*რყილქქიხ* (ე. ი. ძეითხობა, მარჩიელობა).

¹¹ შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა. აღდგენილი ა. შანიძის მიერ, ტფილისი, 1937, სტროფი ჩბ.

ამ განმარტებას ზედმიწევნით ამართლებს ძველ ქართულში გავრცელებული ერთი აღრინდელი სახის პატერიკი—„სამოთხე“. აქ ერთგან ნათქვამია: „აღმოიღო მახალაქისაგან თვისისა წმიდა სახარებაჲ და იწყო კითხვად მას შინაო“, ხოლო მეორეგან იკითხება: „გამოიღო მახალაქისაგან თვისისა მცირე წიგნი-ო“.

არცერთი ფორმით ამ სიტყვის შინაარსი „ვეფხისტყაოსნის“ ზემორე მოყვანილ „მახალს“ არ ეგუება.

სხვა ჩვენი ცნობილი ლექსიკოლოგები კი, როგორც აკად. ა. შანიძე აღნიშნავს ამ სიტყვის განმარტებისას თავის ლექსიკონში¹², მოყვანილი სტროფის „მახალს“ შემდეგნაირად ხსნიან: დ. ჩუბინაშვილით იგი „ღვინოსავით სასმელია, ან შემოკვრა კიკებისა სადღეგრძელოს სმის დროს“, ხოლო იუსტ. აბულაძით — „ტბილი სასმელი, შარბათი, ღვინო“¹³.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, არც ეს განმარტებანი შეეფერებიან მოყვანილი სტროფის იმ ტაქსს, სადაც „მახალი“ არის ნახმარი:

„დასხდეს, შეიკმნა პურობა, გაამრავლებდეს მახალსა“.

როცა ასეთ შეფასებას ვაძლევთ ზემოთ წარმოდგენილ ახსნა-განმარტებებს, მხედველობაში გვაქვს ამავე სიტყვის ხმარება სომხურში. აქ *მასალ* — მახალ-ი¹⁴ სომხური ლექსიკონების მიხედვით აღნიშნავს: 1. *Илք*-ს; „ტყავის ან მატყლის პარკს“, „დიდ ქისას“, „ტობრაქს“ (ქართული ოთხთავით — „ვაშკარანს“), ან საბას სიტყვით — „აგბას“; 2. *սաք:մուս*-ს, „ზამბილს“, „კოლოფს“; 3. *Հմուս, քղադ.ს* — „ფილას“, „ჯამს“, ან ტყავის ქურქელს წყლისა და ღვინოსათვის, — „მათარას“¹⁵. უკანასკნელს გარდა სხვა ძირითადი მნიშვნელობა ქართულშიც არის დატული, როგორც ეს საბასა და ვახტანგ VI-ის განმარტებათაგან ჩანდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ის განსხვავებული მნიშვნელობა, რომელიც სომხურს მოეყოლება, ქართულისათვისაც არ უნდა ყოფილიყო უცხო. „მახალი“ აქაც ერთგვარი „სასმისი“ უნდა ყოფილიყო: „ფილა“ — „ჯამი“ თუ „მათარა“¹⁶.

ასეთი შინაარსით უნდა იყოს ნახმარი ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ აქ აღნიშნული სტროფის ტაქსში: დასხდნენ, გაიმართა ნადიმი, გამრავლდა

¹² აკ. შანიძე. ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი, დართული წიგნზე: „შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. თბილისი. 1957.

¹³ იქვე, გვ. 368.

¹⁴ *Նոր բառերի նայագետան լեզուի, հատ. II, Վհեստիկ. 1837, გვ. 180, ნდრ. 4. Անհանան, Հայերէն արժատական բառարան, հատ. IV, გვ. 735—738.*

¹⁵ სომხური *մასալ* — მახალ-ის ეს განსხვავებული მნიშვნელობა („სასმის-ობა“) ქართულში დატული აქვს „მალაქს“, რომლის შესაბამისაა ამავეს, რომ ის „მცირე სუირიდიო“ (ანუ ჩვენებურად „პატარა კლათა“). საბას ეს დაკვირვება ზედმიწევნითი არა ჩანს. მისგანვე ამ სიტყვისათვის მითითებულ ერთ წყაროს, როცელსაც „მამათა ცხოვრება“ ეწოდება, ერთგან მოვხვდებით შემდეგი საგულისხმო ადგილი, რაც საწინააღმდეგოს აჩვენებს. აქ (A—1105, 302 r) ვკითხვლობთ: „აღიღო ბერმან ნალაკი ჩემი... და მომართუა მე იგი სავსე წყლითაო“, რასაც სომხურში ასეთივე ძველის მიხედვით შეესაბამებენ: „*Հաւ... զմასալս... կեր զսակ չիրո՞ ա իս*“ (გვ. 328, ისაპანის გამოცემა). ამ კონტექსტებით ირკვევა, რომ ქართ. „მალაქი“ უდრის სომხ. „*մასაլ*“-ს და ორივე აქ „წყლის ქუთულად“ არის გამოყვანილი. რა წარმოშობისაა „მალაქი“, უცნობია. თუ აღმოჩნდებოდა, რომ ის „მახალაქ“-ის შემოკლებული სახეა (რაც საფიქრებელია, ისიც იმიტომ, რომ სხვაგან, მავ. ი. მუხანის „ლიმონარში“ (96,2), ის „აგბას“ აღნიშნავს). მაშინ ჩვენ სრული შესატყვისობა დაგვრჩებოდა ქართ. „მახალ-მახალაქისა“ სომხურ *մასալ*-თან, — ისიც „სასმის-ის“ ცნების ნატარებელი გამოდგებოდა ქართულში.

მ ა ხ ა ლ ი ანუ ერთგვარი სასმისებო. „სასმისის“ ცნება, რომელიც ქართულშიც უნდა გვეპოვება სომხურის მსგავსად, უფრო შეეფერება დასახელებულ ადგილს, ვიდრე რალაც სასმელისა დ. ჩუბინაშვილი და იუსტ. აბულაძე რომ ვარაუდობენ ქართულისა თუ უცხო მასალის ნიადაგზე.

ამრიგად, მ ა ხ ა ლ ი ს სომხური შესატყვისის „*მასალა* — მ ა ხ ა ლ - ი ს“ ქართულთან თანხედინილობა როგორც ფონემაური, ისე (მეტწილად) შინაარსობლივი მხრით, შესაძლებელს ხდის მათ იგივეობას და ამდენად ქართულშიც იმას გვაეგვიანებინებს, რომ აქაც ეს სიტყვა ერთგვარი სასმისია („ფი-ალა“, „ჯამი“ თუ „მათარა“), რითაც ის ნახმარი ჩანს „ვეფხისტყაოსანში“.

7. აბეზარ-აბეზრობა

ეს სიტყვა („აბეზარ“), უკეთ მისგან ნაწარმოები „იაბეზროს“, ერთგან გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“. სტროფი, რომელშიც ის იხმარება, შემდეგია:

ამ საქმესა მემოწმების დიონოსი ბრძენი, ეზროს:
საბრალოა, ოდეს ვარდი დაეთრთვილოს, და-ცა-ეზროს,
ვის ბადახში არა ჰკვანდეს და ლერწამი ტანად ეზროს,
იგი სადმე ჭალარობდეს, სამყოფთაგან ი ა ბ ე ზ რ ო ს¹⁵.

(177 სტროფი საიუბ. გამოც.).

ა ბ ე ზ რ ო ბ ა ადრეც გვხვდება. იპოვება ის ერთს X ს-ის ხელნაწერ კრებულში, ე. წ. „მამათა სწავლან-ში“, რომელიც წარმოშობით IX ს-ის ძეგლია¹⁶. აქ, იოანე ოქროპირის ერთ-ერთ სიტყვაში თევდორეს მიმართ, „რომელმან მონაზონებად დაუტყუა და ცოლი შეირთო“, კვითხულობთ: „აწ უკუე რომელსა ესტიროდი საქმეთა შენთაგანსა, ანუ რომლისათჳს სულთ-ვი-თქუმიდე:.... ა ბ ე ზ რ ო ბ ა ს ა შენსა ძმათა კრებულისაგან, ანუ განყენებასა შენსა მამისაგან სახიერისაჲ“¹⁷.

გვხვდება ეს სიტყვა „აბეზარ“ ფორმით „ვისრამიანშიც“, რაზედაც მი-თითებულია ამ ძეგლის უკანასკნელ გამოცემაზე დართულ ლექსიკონში, რომელიც პროფ. იუსტინე აბულაძეს ეკუთვნის¹⁷.

„ვეფხისტყაოსნის“ „იაბეზროს“ შესახებ ახსნა-განმარტებას ვახტანგ VI-თანაც ვპოულობთ მის მიერ ამ ნაწარმოებისათვის დართულ კომენტარი-ებში. სათანადო ადგილს აქ აღნიშნულია, რომ „აბეზარი გამწყარალსა თუ შემომწყარალსა ჰქეიანო“¹⁸.

ეს სიტყვა არ უგულებელ უყვია არც სულხან-საბა ორბელიანს თავის „ქართულ ლექსიკონში“, სადაც ნათქვამია: „ა ბ ე ზ ა რ ი გამდგარი (გინა მწყარალი B)“¹⁹.

ვახტანგი „ვეფხისტყაოსნის“ კონტექსტის მიხედვით უნდა განმარტავ-

¹⁵ მამათა-სწავლანი X და XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით გამოცემა ილია ა ბ ლ ა - დ ე მ, თბ., 1955.

¹⁶ იქვე, გვ. 120, 22.

¹⁷ ვისრამიანი ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით და შესავალი წიგნით (ლექსიკონი ი. აბულაძისა), ტფ., 1938.

¹⁸ შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი. ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ ტფილისს, 1937, სტროფი რ ო ე.

¹⁹ ს-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით: ტფ., 19-მ.

დეს აღნიშნულ სიტყვას, ხოლო საბა, რომელიც ფართოდ იყენებდა თავისი ლექსიკონის წყაროდ ძველი ქართული ენის ძეგლებს, მარტო „ვეფხისტყაოსნის“ დასახელებული ადგილით არ უნდა ხელმძღვანელობდეს (როგორც ეს მას სჩვევია) და, როგორც ვნახეთ, უფრო ზედმიწევნითაც განმარტავს მას.

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის მკვლევართაგან პროფ. იუსტინე აბულაძეს ეს სიტყვა სრულიად არ შეუტანია მის მიერ შედგენილ ლექსიკონში, რომელიც 1937 წლის საიუბილეო გამოცემასა და ზომდევნო ხანის გამოცემებს აქვს დართული. აკად. ა. შანიძე კი მის მიერ შედგენილ ლექსიკონში, რაც დართული აქვს 1957 წლის გამოცემას, შემდეგნაირად განმარტავს მას: „აბეზრება: იაბეზროს 177,4 აბეზარი შეიქნეს, მოსძულდეს რამე“²⁰.

უქანასქნელი განმარტება თავის-თავად სწორია, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ მოყვანილ ადგილს შინც არ შეეფერება:

„იგი სადმე გალარიბდეს, სამყოფთაგან იაბეზროს“.

აქ „გალარიბება“, რომლის მნიშვნელობის შესახებ არავინ ცილობს, აღნიშნავს უცხო ქვეყანაში ყოფნას, ხოლო „(სამყოფთაგან) „იაბეზროს“ (სამკვიდროდან თუ სამკვიდრო-სადგომისაგან) „აბეზარი“ შეიქნეს თუ მოსძულდეს“ კი არ უნდა იყოს, არამედ ის, მსგავსად სულხან-საბა ორბელიანის განსაზღვრებისა („აბეზარი — გამდგარია“) უნდა ნიშნავდეს — (სამკვიდროდან) განდგეს, (სამკვიდროს) გაეცალოს.

„ვისრამიანის“ არა ერთი ადგილის მიხედვით პროფ. იუსტინე აბულაძეს ასე აქვს განმარტებული ეს სიტყვა, რომელიც სპარსულიდან („ბეზარ“) მომდინარედ მიაჩნია: „აბეზარი... ირან. ბეზარ, —საკუთ. ვინც გაურბის ვინმეს, ან რამეს; მზიზღობი, თავის მაშორი, ან ამრიდი. ფეხგამდგარი, ქცეული, განმქცევი ვინმესგან, ან რამესგან“²¹.

სპარსულიდან ეს სიტყვა ძველად *ააყიყაყი*-ის ფორმით შესულია სომხურში, სადაც ის აღნიშნავს: 1. „წყველას, კრულვას“, ან „წყველს, კრულს“. 2. „სჯულის კრულვით მიტოვებას“ ან „მიტოვებულს“. 3. „უარყოფილს, უარნათქვამს“, ან „უფლებაზე ხელაღებულს“²². იგი აგრეთვე იხმარება თურქულში, სადაც *hizar olmaq* „მობეზრებას, არიდებას, გაშორებას, თავის დახრწევას“ და „უცხოობაში ყოფნას“ თუ „გაუცხოვებას აღნიშნავს“²³.

ჩვენი სიტყვის უცხო შესატყვისთა მოყვანილ მნიშვნელობათაგან ზოგი საბას განმარტებას ემთხვევა ცხადია, ეს კიდეც უფრო ადასტურებს მისი განსაზღვრების სისწორეს, რომელიც, როგორც ვთქვით, ქართული მასალით აქვს დადგენილი.

ზემორე მოყვანილი კონტექსტის ბოლო ნაწილი — „სამყოფთაგან იაბეზროს“ — როგორც ჩანს, შინაარსით თანხედება მის წინ მდგომ სხვა ნაწილს — „იგი სადმე გალარიბდეს“, რომლის ასახსნელად თუ აზრის გასაცხოველებლად ის არის ნახმარი, რაც რუსთაველისათვის ჩვეული ხერხია, საზოგადოდ.

²⁰ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1957, გვ. 347.

²¹ ვისრამიანი..., თბ., 1938, გვ. 347.

ბ. შანიძის, ჯაყელის სტრუქტურული კითხვები, 1, 444—445.

იქვე, გვ. 445.

ამრიგად სტროფი:

„იგი სადმე გაღარიბდეს, სამყოფთაგან იაბეზროს“

ნიშნავს: იგი სადმე უცხოობაში იყოს, სამკვიდროდან განდგეს თუ მას გაეცალოს, განეშოროს, ე. ი. ხელი აიღოს და უცხო მხარეს წავიდეს.

ИЗ ЛЕКСИКИ «ВЕПХИС-ТКАОСАНИ»

ИЛ. АБУЛАДЗЕ

В очередной статье разбираются 3 слова: «მზმელი» (5), «მახალი» (6) и «აბეზრობა» (7). Привлекая материалы древнегрузинских текстов и данные других письменных языков, автор устанавливает, что у Руставели «მზმელი» употреблен в смысле «чародейки, волшебницы, очаровательной», «მახალი» обозначает «кован, чаша, сосуд», а «აბეზრობა» — «удалиться, покинуть родной край».

ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი

ილ. აბულაძე

გ. ხინიხანიძე

სტროფი, რომელშიც ეს სიტყვა იხმარება, საიუბილეო გამოცემით 822-ეა. იგი ასე იყოსებოდა:

„თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები,
მაგრა მე რა ვქმნა, გაზრდილო, აწ სახლად მმართვეს
ს ე ნ ე ბ ი !“

გამალარიბე, დამაგდე, გულსა, გლახ, ვისთვის ენები,
შენად შეყრამდის პატიეთა ჩემთა ვერ იტყვის ენები¹.

ეს სტროფი როსტევეან არაბთა მეფის გოდებაა, წარმოთქმული მაშინ, როცა შეიტყო, რომ ავთანდილი გაიპარა ტარიელის საშველად. როსტევეან მეფე ჩივის, რომ ის მიატოვა გაზრდილმა, რის გამო „აწ სახლად მმართვეს სენები“-ო. ჩანს, ახალ ვითარებასთან დაკავშირებით ახალი ცვლილებაა მოსალოდნელი, რის ერთგვარი გამოსახულება იქნება, — სრა-დარბაზის ნაცვლად სახლად გაიჩინოს მეფემ ს ე ნ ე ბ ი.

ს ე ნ ე ბ ი, როგორც ვნახავთ, მრავლობითი რიცხვის ფორმაა სახელისა — ს ე ნ ი / ს ე ნ ა ; „სენი“ / „სენა“ კი იგივე უნდა იყოს, რაც სენაკი.

„სენ ი“ / „სენა“ იშვიათი ხმარების სიტყვაა ძველ ქართულში. ამდენად ის ზოგჯერ შეუმჩნეველიც რჩება².

ამ სიტყვისათვის საგანგებო ყურადღება, როგორც ლიტერატურის გათვალისწინებით ირკვევა, თუ არ ვცდები, ყველაზე ადრე აკად. ივ. ჯავახიშვილს მიუქცევია³. იგი ამ ტერმინს ნიკორწმიდელის სიგელში შენიშნავს,

* წინა, ნაკვეთები იხილეთ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნების №16-ში XXVI B, XXX B, XLIII, კრებულში „გორხელი კლდე“ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბეში. I.

¹ შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი თბილისი, 1957, გვ. 176.

² შტრ. ვეფხისტყაოსნის 1957 წლის გამოცემაზე დართული ლექსიკონი, 1937 და 1951 წლების გამოცემათა ლექსიკონები და „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1956, გვ. 271.

³ ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. I—შენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი, 1946, გვ. 23—24.

სადაც იკითხება: „შევქმენ სახლი მუხისაი და ზედა სახლი ქორედიანი და სენიანი :ა:“⁴. მკვლევარს მართებულად აქვს განმარტებული, რომ „რასაკვირველია, სენთან ეს (იგულისხმება: „სენიანი“, *ს. ა.*) არ არის დაკავშირებული, არამედ ის სენაჲს ჰგულისხმობს. სენა და სენაჲი კი ოთახსა ნიშნავს. სენა აქ დიდ ოთახს ნიშნავს, სენაჲი-კი შეიძლება მაშინ პატარა ოთახს აღნიშნავდეს“⁵.

„სენა“ საიელს ჰგულისხმობს უსათუოდ გიორგი მთაწმიდლის მიერ ერთგან ხმარებული «მოსენაჲ», როგორც ეს მართებულად აქვს ნავარაუდები და განმარტებული აკად. ა. შანიძეს ამ სიტყვის შემცველი ჭეგლის («ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი») უკანასკნელი გამოცემისათვის დართულ გამოკვლევაში.⁶

სენა ჩვენ, ოღონდ „სენ-ი“ ფორმით შენიშნული გვაქვს „მამათა სწავლანის“ 977 წლის ერთი ნუსხის გადმონაწერში, სადაც იკითხება, რომ „მრავალნი კაცთაგანნი ვევედრნეს ღმერთსა, და განულო მათ კარი წყალობისაჲ და სენი იგი დაუნჯებული; და სიხარულით იწყეს ლაღადება: საფასე გჳოვიეს. და ვითარცა მცირედ უდებ იქმნეს, მიილო მათგან საფასე იგი, და გამოისხნეს ძიერ“⁷.

აქ, როგორც ვხედავთ, ჩვენთვის საგულისხმო სიტყვა უკვე „სენ-ი“ ფორმით მოგვეპოვება. შინაარსით ისიც სენაჲია, ე. ი. ოთახი, სადგომი, მხოლოდ გამოყენებული უნჯისათვის ანუ განძ-ფასეულობისათვის (ასეთი შინაარსის მატარებელია სომხ. *ახნასაჲ*-იც, რომლის დამაჯერებელი ეტიმოლოგია დღემდის არ მოიპოვება).

სენა კი, აკად. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით ძველად სახლის შემადგენელ ერთეულსაც ერქვა და ცალკე მდგომ მცირე სახლსაც. მისივე ძიებით XI—XII სს-ში ის ბერის სადგომ ბინას, საცხოვრებელ ოთახს ეწოდებოდა გეოლოგ⁸.

„სენ-ი“/„სენა“-ს ასეთი გაგება, ვფიქრობ, კარგად ეფუძება ვეფხისტყაოსნის დასახელებული სტროფის კონტექსტს. დამწუხრებულ პატრონ-ყმებს, რომელთაც აეთანდილი—თაფი კაცი, „სპათა-დამჭირაფი“—გაეპარათ, გლოვა და ლოცვა-ვედრება მართებთ, რათა, როსტყევან მეფის თქმით,

„შევეწიენეთ, მშვიდობისა ნუთუ ღმერთმან მისცნეს ზნანი“ (829).

⁴ თ. ქორდანი, კრონიკები II, გვ. 46.

⁵ ივ. ჯავახიშვილი მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში... გვ. 24, თბ., 1946.

⁶ გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა. გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთჳმეს ცხოვრების მიხედვით ა. შანიძისა, გვ. 117 და 135 წ, თბ., 1946.

⁷ მამათა სწავლანი X—XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილია აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით: ძველი ქართული ენის ძეგლები. 8. თბილისი, 1955, გვ. 314, 14.

⁸ ივ. ჯავახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში... გვ. 18—19. 23—24, თბ., 1946.

„სრა-სრულის“ ნაცვლად ეხლა მე, ამბობს როსტევიანი, „სახლად მმართველს სენებიო“, ე. ი. სენაკეზიო—განმარტოებული საცხოვრებელი სადგომები, რაც ერთი ძველი წყაროს მხატვრული შეფასებისა არ იყოს, „(სენაკი მონაზონისაჲ) სახლი არს გლოვისა და მწუხარებისაჲ“ წინააღმდეგ განცხრომისა, სიცილისა და მხიარულებისა, რომელიც ერისკაცის სადგომის დამახასიათებელიაო⁹.

9. გამწარება

შოთას პოეტურ ქმნილებაში სიტყვები ხშირად გადატანითი მნიშვნელობითაც იხმარება. ასეთი მნიშვნელობით ჩანს ნახმარი სიტყვა „გამწარება“ სტროფში, რომელიც საიუბილეო გამოცემის მიხედვით 539-ეა. აქ ეს სტროფი ასე იკითხება:

„მიბრძანა (ნესტანაო, ამბობს ტარიელი), თუ: „გონიერი ხამს აროდეს არ აჩქარდეს,

რაცა სჯობდეს, მოაგვაროს, საწუთროსა დაუწყნარდეს;
თუ სასიძო არ მოუშვა, ვა თუ მეფე გაგიმწარდეს,
შენ და იგი წაიკიდნეთ, ინდოეთი გარდაქარდეს!“¹⁰

რას ნიშნავს გამოთქმა: „ვა თუ მეფე გაგიმწარდეს“, ან სხვანაირად როგორ უნდა გვესმოდეს „გაგიმწარდეს“ ამ კონტექსტში? „გაგიმწარდეს“, პირდაპირი აზრით, „მწარედ გაგიხდეს თუ გექცეს“ არის, ხოლო გადატანით უნდა მოასწავებდეს: „ნაწყენი აღმოჩნდეს“ ან სხვა რამ მსგავსს.

მაინც, რა მნიშვნელობით უნდა იყოს აქ ნახმარი „გამწარება“, ეს ძველი ქართული ძეგლების ჩვენებათა მიხედვით უნდა გადაწყდეს. ძველი ქართულის ძეგლებში კი ეს სიტყვა ზოგჯერ „განრისხების“ შინაარსით გვხვდება.

ბიბლიის მცხეთურ ნუსხაში (A—51), რომელიც საბას ნარედაქციევად ითვლება, ერთგან (II შჯულთას 32,21) ეკითხულობთ: „კერპებითა მათითა განმამწარეს მე“, რასაც გელათური ნუსხით (Q—1152) შეესატყვისება: „განმარისხეს მე კერპებთა ზედა“. „განმარისხეს“ მოიპოვება სომხურშიც: *„გარკაყიღეჩნ ვჩუ კიიქე ქერსანგ“*. სხვა ასეთივე მაგალითი ბიბლიის ამავე წიგნიდან (II შჯ. 9,7) იქნება: „განამწარე უფალი ღმერთი შენი“ (გელათური ბიბლიით), „განარისხე უფალი ღმერთი შენი“ (ბიბლიის მცხეთური ნუსხით) და *„გარკაყიღეჩრ ვიქერ სათილახე“* (სომხური ბიბლიით).

ბიბლიის გარეშე ამ სიტყვას ვხვდებით, უპირველეს ყოვლისა, აგიოგრაფიული თხზულებებით მეტად მდიდარ ჩვენს ძველ მწერლობაში.

ერთი აგიოგრაფიული ტექსტის მიხედვით („წამება ბაბილაჲსი“, კიმენი, I, გვ. 47,9) მოწამე ყრმები ეუბნებიან ნომერიანოს მსაჯულს: „კულადა, თუ არა განმწარდე, ღმრთის მსახურებაჲ მან (ე. ი. ბიბილაჲ) მასწავაო“. მოყვანილ მოწამობას სათანადო სომხური ტექსტით უღრის: *„მტეღ ვარბსაღ ვასაქჩა, ატრ მსრ ჳ, ვანდჩი სათილახეჯიოიქჩინ იასოყანტ“* („*ვარდე ჳ ქსაყარანოიქჩინ სერიო. I. ქინხაქი, 1874, გვ. 154,8*) *მასაქია* („განრისხები“) უღრის აქ „განმწარდე“-ს, საიდანაც ნათელია, რომ ეს უკანასკნელი ნახმარია „განრისხების“ ადგილს.

⁹ მამათა სწავლანი... გვ. 167, 36..

¹⁰ შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი, სახელგამი, თბილისი, 1957.

შეიძლებაოდა კიდევ გაგვემრავლებინა მაგალითები, მაგრამ მგონია, საკმარისია მოყვანილიც იმის საჩვენებლად, რომ „გა(ნ)მწარება“ გარკვეულ შემთხვევაში ძველად „განრისხებას“ აზრით იხმარება. სხვათა შორის, ამ სიტყვის ხმარების სრულ ანალოგიას ვპოულობთ ძველ სომხურშიც. იქაც *դանա-ցուցონել* — „განმწარება“ გარკვეულ შემთხვევებში „განრისხებაა“¹¹.

ექვი არაა, „განრისხება-ს“ აღნიშნავს „გამწარება“ ვეფხისტყაოსნის მოყვანილი სტროფის კონტექსტში: „ვა თუ მეფე გაგიმწარდეს“ (=ვაი, თუ მეფე გაგირისხდეს).

Из лексики „Вепхис-тқаосани“

И. В. Абуладзе

Резюме

8. სენი/სენა. 9. გამწარება

Учитывая показания ранних памятников грузинской письменности и данные древнеармянского языка автор доказывает, что сენи/სენა означает „комнату“, „келью“ а გამწარება „рассердиться“, „разгневаться“.

¹¹ *Նոր բառերը Հայկազեան լեզուի... 1836*, გვ. 597.

ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი

ილ. აბულაძე

10. წუნობა-დაწუნება¹

ამ სიტყვას, ისე როგორც სხვებს, მისგან ნაწარმოებს, საკმარისად ვხვდებით ვეფხისტყაოსანში. ჩვეულებრივ ის არ-მოწონებად ესმით, რის გამო არც მიიჩნევენ საკუროლ ასახონ ლექსიკონში. არის კი ასე? დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ყველგან ასე არ უნდა იყოს. გავსინჯოთ დამახასიათებელი ადგილები.

ავილოთ ჯერ 51-ე სტროფი. იგი ასე იკითხება.

„მა მამია ხწავლა ხა ქალი ბრძნად მოხმინებდა,
ყურსა უყრობდა, იხმინდა, წვრთასა არ მოიწყინებდა,
მეფე ხმასა და მღერასა ეჭმს, მეტად მოილხინებდა;
თინათინ მზეხა ხწუნობდა, მხაგრა მზე თინათინებდა“².

თინათინის ასეთი დამოკიდებულება მზესთან სხვა სტროფშიც არის აღბეჭდილი. ეს სტროფია 66-ე. იგი ასე იკითხება:

„უბრძანა: „რადმცა ვიწყინე თქმა შენგან ხაწუნარისა!“
ფიცა მზე თინათინისა, მის მზისა მოწუნარისა.
ავთანდილ იტყვის: „დავწყუ კადრება ხაწუნარისა:
ნუ მოჰყევს მშვილდოსნობასა, თქმა ხჯობს ხიტყვისა წუნარისა“.

მზის მოწუნრობა თინათინის მხრით ცნობილია მამამისისათვისაც. ი 36-ე სტროფში ერთგან ამბობს:

„ჩემი ძე დავხვათ ხელმწიფედ, ვიხგან მზე ხაწუნელისა“-ო.

მზის მოწუნარი თინათინი მაშინ შექმნილა, როცა ის გაზრდილა:

„მის ხახელი—თინათინ, არს ეხე ხაცოდნარისა!
რა გაიზარდა, გაივხო, მზე მისგან ხაწუნარისა...“ (34).

მზის მოწუნარია ნესტან-დარეჯანის „ნათელნიც“ ამავე ასაკში. ამას 345-ე სტროფიდან ვიტყობთ, მისი დასაწყისი ტაეპებიდან:

„აწ წარბდეს იგი ნათელი, მზისაცა მოწუნარისა!
მისი ვერ გაძლო ხხენება, დაბნდა და ხულთქნა მწარისა...“.

წუნობა შესაძლოა სხვა რამისაც, მაგ. სოფლისა. ეს 1294-ე სტროფიდან ჩანს:

„მხედავა, ჩემო, ხოფელი რათა ხაქმეთა მქნელია!
რაზომცა ნათობს ხინათლი, ჩემთვის ეგრცა ხნელია.“

¹ წინა ნაკვეთები იხილეთ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების №12-ში XXVI B, XXXB, XLIII, კრებულში „ქორნელი კველიძე“, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყ. მოამბეში—I და II-ში.

² მოთარულთაველი, ვეფხისტყაოსანი, სახელგამი, თბილისი, 1957.

ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ, მით მათგან ს აწუნელია;
უშენოდ ჩემი ხიცოცხლი, ვამე, რა დღეი ძნელია“.

წუნობა არ უნდა ეხებოდეს მიჯნურობას და ამდენად მიჯნურსაც. ის არ „დაიწუნებოა“, გვიცხადებს რუსთაველი მე-11 სტროფში:

„... კვლა მიჯნურხა მიჯნურობა უყვარდეს და გამოცნობადეს.
არცა ვისგან და იწუნოს, არცა სხვათა უწუნობდეს“.

დაწუნება შეიძლება თათბირსაც ასცდეს, ისე როგორც სპასპეტს:

„მეფეო, ეხე თათბირი, მომკალ, ვინ და მიწუნოს ხა“ (797, 1).

„... ავთანდილ, მოუშე არაბი, არაბეთშიგან ქებული,
სხახბეტი რიხტენ მეფისა, გერვისგან და წუნებულნი“ (1272, 2-3).

წუნობა-დაწუნების მნიშვნელობის დადგენისათვის რომ ამ სიტყვის მართანამედროვე გაგებიდან ამოვდიოლეთ, არ იქნებოდა ყველგან განართლებული. ასე მაგ., მზის წუნობა, დღევანდელი გაგებით, როგორც არმოწონებისა, თინათინის ან ნესტან-დარეჯანის მხრით მათი კადნიერების მომასწავებელი იქნებოდა. თუ რა მნიშვნელობა მოეპოვებოდა მას ძველად, კერძოდ ვეფხის-ტყაოსანში, ეს ძველი წერილობითი წყაროების ჩვენებით უნდა გაირკვეს. უფრო მარჯვეა ამ მხრით პარალელური ტექსტები ქართულსა და რომელიმე სხვა ენაზე.

წუნობა-დაწუნებას ძველ ქართულში უპირველეს ყოვლისა ბიბლიის წიგნებში ვხვდებით. ასე მაგ., რიცხვთას წიგნში ერთგან, სადაც საუბარია იმის შესახებ, რომ საომრად გამზადებულ ბალაამს ვირი დაუწევა გზაზე (22, 29), ნათქვამია: „ჰრქუა ბალაამ კაპრაულსა: რამეთუ დამიწუნე მე, და თუმცა მაქუნდა მახლი ველსა შინა ჩემსა, ეგერა განვუმირემცა შენ“ (Q—1152). „დამიწუნე“ მოყვანილ კონტექსტში მრავალნაირი შინაარსით შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა. მის ნამდვილ მნიშვნელობას ამავე წიგნის სხვა ენებზე დაცული ძველი ტექსტი გაგვირკვევს მხოლოდ. ასეთი კი ბერძნულთან ერთად სომხურიცაა. სომხურში სათანადო ადგილს იკითხება: „საქ რა-ყასამ ექენ. იქისანასკ ეჩ სსაჲ არარსრ ეჩს, ს სქქ ჯრ სორ ქ ბსიქნ ქამამ, არიჲ ს სიიხსაქ ჯრ ქმ ეჩჲ“: აქიდან ჩანს, რომ „დამიწუნე-ს“ სომხურით შეესატყვისება „სსაჲ არარსრ ეჩს“, რაც ნიშნავს „დამცინე, საცილად ამიგდეო“.

მაგრამ ყოველთვის ამ შესაბამისით არ ვხვდებით ამ სიტყვას სომხურში. ასე მაგ., იერემიასთან ერთ ადგილს (49, 15) რომ იკითხება: „ქინლა მიგეც შენ წარმართთა შორის და ადვილ საწუნელ კაცთა შორის“ (A-51), სომხურით ეფარდება: „იქიქრ მსს სს სს საყ ეჩჲქ ქ მქჲ საყყაყ, არრამარ-რსსაქ ქ მქჲ მარეყსრ“, აქ ქართ. „საწუნელი“ სომხ. არრამარსსაქ-ს უდრის, ე. ი. „წუნობა“ ნიშნავს ძვ. ქართულით: „შეურაცხყოფას, გინებას, უპატიობებას“ ან „მოძაგებას“ (ფსალმუნის 21, 8-ის თანახმად).

ასეთივე მნიშვნელობით არის ნახმარი „საწუნელი“ ახალი აღთქმის ერთ-ერთ წიგნში. I კორინთელთას 6, 2-ში იკითხება: „არა ჰღირთ საწუნელისა მის განკითხვისა“, რასაც სომხურით შეეფარდება „იქ ქჲ არრამარსსაყ“ „საწუნელი“ აქ სომხურ „არრამარსსაყ“-ს უდრის. „სარაყ კი შეურაცხს“, „უპატიოს“ აღნიშნავს.

სხვა მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას I მეფეთას 13, 4-ში, რომლის ქართული ფრაზა „დაიწუნეს ისრაიტელთა მათ უცხო თესლნი იგი“ (A-51)

სომხურში ასეა წარმოდგენილი: „*კამიძ არარ ჩარაქლ ვაქლაფქან*“, საიდანაც ქართ. „დაიწუნეს-ს“ სომხურით შეესწორება „*კამიძ არარ*“, ე. ი. „წუნობა“ აქ „შერცხვენას“ აღნიშნავს.

განსხვავებულსავე შინაარსს ატარებს ეს სიტყვა სხვაგანაც, ბიბლიის როგორც ძველს, ისე ახალ აღთქმაში. ესაიასთან ერთგან (1, 17) იკითხება: „იქსნიდით დაწუნებულსა“ (A-51), რასაც სომხურით შეესატყვისება: „*ჩრქხ-ვტღ ვერქხან*“. აქ „დაწუნებულო“ უდრის „*ერქხალ*“-ს. ასეთივე შესატყვისით წარმოდგენილია ეს სიტყვა „საქმე მოციქულთა-ს“ 7, 24-ში: „იხილა ვინმე დაწუნებულნი, ერეოდა მვენებელსა მას, და ყო შურის-გებაჲ დაწუნებულისაჲ მის და მოკლა მეგვბტელი იგი“ — „*ახხახალ ვინჲ ვერქხალ ვლარხვალ ხლ ხნერხვ ვერქხ ვერქხლინ სყანხალ ვხვჩყოთვინ*“: აქ უკვე „დაწუნებულო“, რომელსაც სომხურით „*ერქხალ*“ ეფარდება, აღნიშნავს „მოკლებულს“, „დაკლებულს“, ე. ი. „არას მქონეს“ (лишениым), „შევიწროებულს, ვნებულს, ჩაგრულს (угнетенным).“

„*ერქხალ*“-ს შეესწორება „დაწუნებულო“ ფსალმუნშიც¹: „ყენის... სამართალნი მისნი ყოველათეს დაწუნებულთა“ — „*აინჯ ქრალინა ამხნაჲნ ვერქხლივ*“ (102, 6). აქ „დაწუნებულს“ რუსულით обяженным², ე. ი. „ჩაგრული, შეურაცხყოფილი“ შეესაბამება.

ამ შინაარსს უახლოვდება ჩვენთვის საგულისხმო სიტყვის გამოყენება სხვაგანაც. იერემიას ერთი ადგილი (42, 18): „იყენეთ უგზო და საწუნელ და საწყველ საყუდრელ-ო“ (A-51), სომხურში ასეა წარმოდგენილი „*ჩერქხ ქანაყათ ხლ ქთარან ვერქხ ღხ ნიქია ღხ ნაქათინა*“. აქ „საწუნელი“ უდრის „*ქთარან ვერქხ*“-ს, რაც „განდევნილს, ტყვედ და მონად წავანილს, მიმძლავრებულს“ აღნიშნავს.

„განდევნილს, გადახვეწილს, ძლეულს, მორგენილსა და უარყოფილს (отвергнутым)“ აღნიშნავს „დაწუნებულო“ ერთს აგიოგრაფიულ ტექსტშიც — „იოანეს განსვენებაში“³, — სადაც ერთ ფრაზას „რომელი გამოუჩნდი მას დაწუნებულსა ეშმაკისაგან და შეეწიე“, სომხური წყაროთი შეეფარდება: „*ორ ჩერქხლინ ზმა გნაქინ ქ ასათანაქტ ღნბაქვარ ვერქხ*“⁴. აქ „დაწუნებულო“ არის „*ჩერქხალ*“, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „განდევნილს, გადახვეწილს, ძლეულს, მორგენილსა თუ უარყოფილს“ აღნიშნავს.

„ტყვისა“ და „მონის“ გაგება აქვს „საწუნელს“ ბიბლიის კიდევ ერთი წიგნის მიხედვით. ბარუქთან ერთგან (2, 4) იკითხება: „მისცნა იგინი საწუნელად ყოველთა მუფებთა გარემოთა ჩუენთა“, რის შესატყვისად სომხურში მოიპოვება: „*მათინხვ ვმხვ ქ სთრკილ ქლნ ამხნაჲნ ქმავალი-*

¹ საქმე მოციქულთა ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ: „ძველი ქართული ენის ძეგლები. 7“, თბილისი, 1950.

² ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X—XIII სს. ხელნაწერების მიხედვით გამოსცა მ. შანიძემ: „ძველი ქართული ენის ძეგლები. 11“, თბ., 1960.

³ Толковая нблния... том IV, СПб, 1907.

⁴ განსუენება იოანესი მთციქლისაჲ და მახარებლისაჲ: კიმენი, ტ. I ... პროდ. კ. კეკელიძის რედაქტორობით. ტფილისი, 1918, გვ. 199, 16.

⁵ ჴანგქას არქონ მთქანნიო ათარქიოქ და სსთარანჯი; მსთობაჯილნუ მათხან ჩქნ ღხ ჴორ კთაკარანხვ... ქლიქ ენბაქხალ... მ. ღიჩრაყხან... ჴათ. IV, վննხოქ, 1805, გვ. 86, 14.

რაც ირ ჯორჯ ვახტაძე ჰქონდა, აქ, როგორც ვხედავთ, ქართ. „საწუნელად-ს“ შეესწორება „ჩ საორკო-ქონს“, ე. ი. „მონობად“.

ამრიგად, თუ მოვუყრით თავს ყველა შესატყვისობას, „წუნობა-დაწუნება-ს“ შემდეგი მნიშვნელობა აღმოაჩნდება:

1. „შეურაცხყოფა, გინება, უპატიობა“ (ძვ. ქართულით), ე. ი. არად ჩაგდება, აბუჩად აგდება, არად მიჩნევა (ახლით).

2. დაცივნა, საცინლად აგდება, განგმობა, კიცხვა, შერცხვენა.

3. მოკლება, შევიწროება, მორეცხვა, ძლევა. მიმძლავრება (обижать), ჩაგვრა (угнетать); უარყოფა (отвергнуть).

4. განდევნა, ტყვედ ან მონად წაყვანა, მონობა.

წარმოდგენილ მნიშვნელობათა გათვალისწინებით ვეფხის-ტყაოსნის ზემორე აღნიშნული ადგილები გარკვეულ შინაარსს იძენენ, მკაფიო და გასაგები ხდებიან. ასე „მზის წუნობა-მოწუნარობა“ იქნება, მზის მოკლებულად ქცევა, შევიწროება, მიმძლავრება, ძლევა, მორეცხვა, ჩაგვრა; „სოფლის წუნობა-საწუნელობა“ — სოფლის განგმობა, საცინლად აგდება, დაცივნა, გაკიცხვა, არად მიჩნევა-ჩაგდება, აბუჩად აგდება, უარყოფა; „მიჯნურობის დაწუნება-წუნობა“ — სიყვარულის საცინლად აგდება, გინება, შერცხვენა; ესევე შინაარსი თავსდება გამოთქმებში: „თათბირის დაწუნება“, „სპასპეტის დაწუნება“ და სხ.

ასევე გასაგებია აღნიშნული ზმნებისა და მათგან წარმოებული სხვა სიტყვების დანარჩენი ხმარებაც ვეფხის-ტყაოსანში.

წუნობა, ნახმარი 604-ე სტროფის პირველ ტაეპში, რომელიც გადმოსცემს ნურადინ-ფრიდონის სიტყვებს, მიმართულს დასახასიათებლად იმ მდგომარეობისა, რომელიც მოჰყვა მის შეუპოვარ შეჭრას სანადირო ადგილს, რაც სადავოდ ითვლებოდა ფრიდონსა და მის ბიძაშვილებს შორის, სხვა არაფერია, თუ არ „შეურაცხყოფა, ან ჩაგვრა-მიმძლავრება“ (обидеть):

„მართლად იჯავრეს წუნობა მათი თუ ეხე ხმად ვითა“

(=ნამდვილად განრისხდნენ [იმაზე], როგორ შეიძლებოდა მათი ასეთი შეურაცხყოფა თუ ჩაგვრა-მიმძლავრება).

ნათელია აზრი 735-ე სტროფის მეორე ტაეპისაც:

„ყელა მოვალ, ვნახავ პირთა არ მტერთა ხა წუნელითა“,

სადაც „საწუნელი“ აღნიშნავს საკიცხარს, სასაცილოს, საგინებელს.

ИЗ ЛЕКСИКИ ВЕПХИС-ТКАОСАНИ

И. В. АБУЛАДЗЕ

Резюме

10. წუნობა-დაწუნება

Современное понимание слова წუნობა-დაწუნება („браковать“) к «Вепхис-Ткаосани» не подходит. Показания древних списков библейских книг уясняют, что это слово в творении Руставели должно обозначать: „Лишать, притеснять, угнетать, насмехаться, презирать, оскорблять, обижать“.

ილია აბულაძე

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი)

მეფხისტყაოსნის ლექსიკიდან

11. მჩმუნავი

ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი სტროფი, საიუბილეო გამოცემის 938-ე. შეიცავს იმ ტაქსს, რომელშიც განსამარტავი „მჩმუნავი“ სიტყვა გვხვდება.

დასახელებული სტროფი ავთანდილის იმ გამოსათხოვარ სიტყვებს წარმოგვიდგენს, რომლებითაც მან მიმართა ტარიელს ქვაბიდან მეორეჯერ წასვლის წინ, როცა ის ერთი წლით დაეთხოვა თავის მეგობარს ნესტანდარეჯანის მოსაძებნად.

„აწ რაცა გკადრე, ამისთვის ნუთუ შენ იყო მჩმუნავი!
მოგშორდები და არ ვიცი, თუ ცხენი დამცემს, თუ ნავი;
არ, უთქმელობა არ ვარგა, არ პირუტყვი ვარ მჩმუნავი!
არ ვიცი, ღმერთი რას მიზამს, ანუ ცა მიწყვი მბრუნავი“.

ვახტანგ VI-ს, ვეფხისტყაოსნის პირველ კომენტატორსა და მეცნიერ-გამომცემელს, ამ სტროფის შესახებ განმარტება არ მოეპოვება, არც ჩვენთვის საგულისხმო სიტყვა აქვს სადმე ახსნილი.

თეიმურაზ ბატონიშვილი კი, რომელსაც შედგენილი აქვს ვრცელი „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“, ადგილს უთმობს ამ სტროფს თავის შრომაში და დაწვრილებით ეხება გამოთქმას: „არ პირუტყვი ვარ მჩმუნავი“. მისი განმარტებით,

„ჩმუნავი. ჩმუნვა, გინა მჩმუნაობა—ნიშნავს ჩმუნავსა პირუტყვთასა, ვინაჲდგან ჩმუჩენა, ანუ მჩმუნაობა არს ცხოველთა უსიტყვთა ვითარიმე მოძრაობა ტანისა მათისა, ნელიადი, რეცა წადილისა რაჲსამე მათისა მნიშვნელი, მაგრამ უკეთუ ეტყოდეს კაცი მათ, ვითარმედ რაჲ სწადის მათ, ანუ თუ სხვითა რომლითამე სიტყვითა ჰკითხვიდეს მათ, არა აქვსთ ძალი ბუნებითად მიცემული სმენად სიტყვისა, არცა ძალ უცსთ პასუხისგებად საუბრისა რაჲსამე, თუმცალა მათგანნი რომელიმე კაცთა მიერ განიწვრთებიან და განისწავლებიან ქმნად რაჲსამე საქმისა მოღებად, გინა წაღებად, და დამორჩილებულ არიან გონებათა ქვეშე კაცობრივთა, მაგრამ ესე მხოლოდ მგრძნობელობითისა ძალისანი არიან მიზეზნი და არა სიტყვიერებითისა ძალისა, არცა სრულისა

განმსჯელობითისა ძალისა მექობ და გარჩევითად სმენისა შემძლე-
ზელ არიან გინა სიტყვის გებისა* [1].

როგორც მოტანილი განმარტებიდან ჩანს, მჩმუნაობა დამახასია-
თებელი ყოფილა „ცხოველთა უსიტყვეთა“, ე. ი. პირუტყვისა ანუ საქონლისა.
იგი იგივე ჩმუჩენა ყოფილა, რაც თურმე ცხოველის მოძრაობას აღნიშნავს
თითქოს რაიმე სურვილის გადმოსაცემად.

„მჩმუნავი“, პროფ. იუსტ. აბულაძის განმარტებით, „უტყვია“ [2].
აკად. აკ. შანიძის ახსნით კი ისაა „გაურკვეველი ბგერების გამოშვები“ [3].
ერთი და მეორეც განმარტებისას კონტრექსტიდან ამოდიან. მათი ახსნა-
განმარტებიდან ნათელი არაა, თუ ნიშანდობლივ ვის თვისებაზეა აქ საუბარ-
ი—პირუტყვისა (ცხოველისა), თუ საერთოდ უტყვისა (მუნჯისა). როგორც
ენახეთ, თეიმურაზ ბატონიშვილი ამ მხრივ უფრო კონკრეტული იყო.

იმისათვის, რომ გაირკვეს „მჩმუნავის“ შინაარსი, ძველი ქართული წყა-
როების ჩვენებებს უნდა მივმართოთ და რიგზე შევუჯეროთ განსამარტავ ად-
გილს. თუ ძეგლი, რომელშიც ამ სიტყვას მოვიპოვებთ, თარგმნილი გამოდ-
გება, ზაშინ დედანთან შემოწმებაც დიდ დახმარებას გაგვიწევს სიტყვის შინა-
არსის დასადგენად.

სად გვხვდება „მჩმუნავი“ ძველად?

ამ სიტყვას, უკეთ მის ზმნურ ფორმებს, ჩვენ ვხვდებით IX—XI სს-ის
ხელნაწერებში. ერთია „მამათა სწავლანი“, რომელიც ჩვენ გამოვეციტ X ს-ის
30-იანი წლების ნუსხის მიხედვით [4]. მეორე კი „მრავალთავია“: სინური
მ64 წლისა [5] და ათონური XI ს-ის პირველი ნახევრისა (№ 11).

აი, რას ვკითხულობთ „მამათა სწავლან-ში“ ჩმუნვასთან დაკავშირე-
ბით. ცოდვის ჩამდენი კაცი,

„რაცამს დასნეულდის, დაჰქსნდის და ძწოლად შეედვის, და იგო-
ნებნ ყოველთა საქმეთა თქსთა, რომელნი ცხოვრებასა მისსა უქმნიან,
და იურვინ ცოდვისათს და შიში სასჯელისა დაეცის მათ ზედა
და იტანჯებინ მრავლისაგან მწუხარებისა. მოიქსენებნ სიკუდილ-
სა და მოიქსენებნ საქმეთა თქსთა ბოროტთა. რამეთუ მოსაგებე-
ლი მათი ცეცხლი არს. და არს იგი მდებარე და ჩმუნავნ ჯელითა
და ზრახავნ წარეულთა ჰირისა მისგან, რომელი განმზადებულ არს
ულმართოთათს და შიშისაგან სიკუდილისა“ (გვ. 139--140).

მოყვანილი ნაწყვეტიდან აშკარაა, რომ აქ საუბარია ცოდვის ჩამდენ
კაცზე, რომელიც სწეულებისაგან დავრდომილი, ლოვინად მდებარე,
ჩმუნავს ხელით და ზრახავს, ე. ი. მეტყველებს, როტვით, ანუ, საბას თქმით,
„შეუგვანი საუბროთ“ (დაულაგებლად), სიკვდილის შიშის გამო.

„ჩმუნავნ ჯელითა“ ანუ „ხელით მოძრაობსო“, გვანიშნებს ავტორი ზარ-
დაცემული კაცის შესახებ.

ამ სიტყვის ხმარების მეორე შემთხვევა ძველად ჩვენ მრავალთავიდან
ვიციტ—სინისა და ათონისა (58.). აქ იოანე ოქროპირის ერთ სიტყვაში,

რომელიც, წარწერის თანახმად, მიძღვნილია ბზობისადმი, ე. ი. ქრისტეს შესვლისადმი იერუსალიმს, ნათქვამია:

„აწ ხედავთა, ვითარ ჭეშმარიტ არს სიტყუაჲ ესე, რომელ წინავე თქუა სულმან წმიდამან, რამეთუ ჰხედვიდეს უმადლონი იგი თუალითა და ჯელითა ჩმუნვიდეს საკვრველ-მოქმედსა მას და ურწმუნოებასა ზედა დაადგრეს!“ (სინას მრავალთაჲო, გვ. 144).

ეს სიტყვები ძველი თაობის იმ იერუსალიმელთა მისამართით არის ნათქვამი, რომლებიც ი. ოქროპირის სიტყვით, კარგად იცნობდნენ იესუს, ხედავდნენ მის სასწაულებსა და საკვირველ-მოქმედებას, მაგრამ მაინც მიუხედავად ამისა ურწმუნოებაზე იდგნენ და ამბობდნენ: „ვინ არს ესეო?“ ეს უმადლონი, ავტორის თქმით, „თუალითა (ჰხედვიდეს) და ჯელითა ჩმუნვიდეს საკვრველ-მოქმედს“-ო.

აქ უკვე „ჯელითა ჩმუნვიდეს საკვრველ-მოქმედსა“ გაოცებულ კაცთა ისეთ „ხელებით მოძრაობას“ გვანიშნებს, რომელიც მიმართულია საკვრველ-მოქმედისადმი, ე. ი. იესუსადმი. „ხელით ეხებოდნენ, თუ სინჯავდნენ, იესუსო“, უნდა გადმოსცეს მწერალმა დაბრმობილ ურწმუნოთა მოქმედება.

ამრიგად, როგორც ძველი ქართული წყაროების ჩვენებანი მოწმობენ, „ჩმუნვა“ პირუტყვის, ე. ი. საქონლის, მოძრაობა არაა, როგორც ეს თეიმურაზ ბატონიშვილს ეგონა. „მჩმუნაჲი“ არც „უტყვის“, ე. ი. „მუნჯს“ აღნიშნავს, როგორც ამას პროფ. იუსტ. აბულაძე გვიხსნის, და არც „გაურკვეველი ბგერების გამოშვებას“ (რა სახის არსებაც არ უნდა იყოს ის) მოგვასწავებს, როგორც ამას აკად. აკაკი შანიძე განგვიმარტავს.

„მჩმუნაჲი“ მოქმედი პირია, რომელიც „ჩმუნავს“ ხელით, ე. ი. ხელს აქნევს, აფათურებს თუ ამოძრავებს და მით ეხება საგნებსა და არსებებს. ასეთნი, ჩვეულებრივ უტყვნი და ბრმანი არიან, პირველნი „ჩმუნვას“ გაგებინებთ ისათვის ეწვეიან, ხოლო მეორენი შეგერძნობისა და შეხებებისათვის.

ქართული მასალების განხილვიდან მიღებულ ასეთ დასკვნას, უცხო წყაროც, ქართული ტექსტის დედანიც, ამოწმებს. სინას მრავალთაჲის ზემოთ მოტანილ ადგილს შესაბამისი ბერძნული ტექსტი ასე გადმოსცემს: „(ὁ)ρθε, ἀγαπετοί, ἰχρῖ:ψε:αν λήγαν; ὅπως τὸ προσεαρητ:χὸν θεῖον Ἰησοῦμα ἦν τῶν ἰχρῖ:αν ἀτῶν, ἰς παρόντα, τὰ μέλλοντα προσήρυσται; ἰῆ:θον γὰρ οἱ ἀχάριστοι, καὶ ἐφῆλ.ἀφῆσ:αν δὲ τῶν ψαυματῶν τῶν ψαυματουργῶν θεῶν, καὶ τῷ ἀπ:στ:ῆ ἐνέμει:αν (12: τὰ Ἡ:ῶ: Patrologia Graeca, t. 59, 705).

ჩვენთვის საგულისხმო „მჩმუნავ“ სიტყვას ბერძნული კონტექსტით შესაბამებდა ἐφῆλ.ἀφῆσ:αν, რაც φηλ-აφῶა ზმნის აორისტის III პირს მრ. რიცხვისას წარმოადგენს. დაძებნილი ბერძნული ზმნა კი აღნიშნავს „შეხებას, შეგერძნობას—ощупывать, осязать, касаться—toucher, palper, chercher, tâtonner“. აქიდან „მჩმუნაჲი“ იქნება „შეხება-შეგერძნობისათვის ხელის მოძრაობით

მოქმედი“, ხოლო ვეფხისტყაოსნის გამოთქმა: „არ პირუტყვი ვარ მზუნავი“ ასე უნდა ითარგმნოს: „არა ვარ უტყვი ან უენო, რომელიც აქნევს, აფითურებს თუ ამოძრავებს ხელს შერგძნობა-შეხებისა თუ გაგებინებისათვის“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
კ. კეკელიძის სახელობის
ხელნაწერთა ინსტიტუტი
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 27.2.1965)

ФИЛОЛОГИЯ

И. В. АБУЛАДЗЕ

(член-корреспондент АН ГССР)

ИЗ ЛЕКСИКИ „ВЕПХИСТҚАОСАНИ“

11. მზუნავი — „მჩმუნავი“

Резюме

На основе материалов древнегрузинской письменности и данных одного сочинения Иоанна Златоуста нами установлено, что толкование, даваемое слову «მზუნავი-მჩმუნავი» в специальной литературе, является неточным. Слово «მჩმუნავი» означает не «животное, которое своим движением старается передать свое желание и намерение» и не «немого», или «издающего неопределенные звуки», а лицо, которое движением рук хочет коснуться чего-либо или выразить что-нибудь.

დამოწმებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. თეიმურაზ ბაგრატიონი. განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გაიოს იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, თბილისი, 1960, გვ. 164.
2. შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1937, გვ. 368.
3. შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1957, გვ. 374.
4. მამათა სწავლანი X—XI ს.-თა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1955.
5. სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბილისი, 1959.

ვეფხისტყაოსნის ლექსიკონიდან

12. შუპოვნება

ამ სიტყვას აქა-იქ ვხვდებით ძველ ქართულში. ნაირნაირი შინაარსისა ჩანს იგი, და ასედაც ესმით ის ვეფხისტყაოსნის მკვლევრებს ამ ძეგლის ერთი და იგივე კონტექსტის მიხედვით. ეს რომ ასეა, ამას ნათლად მოწმობს ის ახსნა-განმარტებები, რომლებსაც ვეფხისტყაოსნის პირველ საიუბილეო გამოცემებზე დართულ ლექსიკონებში ვპოულობთ ხსენებულ სიტყვასთან.

პროფ. იუსტინე აბულაძის ლექსიკონით „შუპოვნება“ ან „შუპოვნება“ არის „თავმდაბალი, ხეფწნა, მოწიწება“¹. აკად. აკ. შანიძის მიერ ვეფხისტყაოსნისათვის შედგენილი ლექსიკონის თანახმად კი: „შუპოვნება: ვისმცა შევეპოვე 505,4 ვის შევეწყო; შემეპოვა 630,3 შემეწყო, მეგობრულად მომეცა“, ხოლო „შეუპოველი 681,1 უშიშარი“ არის².

ვეფხისტყაოსნის ძველი კომენტატორებიდან ვახტანგ VI არაფერი აქვს ნათქვამი თავის კომენტარებში, ხოლო თ. ბატონიშვილი „შუპოვნებას“ განმარტავს „თავის დამდაბლებად“³.

ამ სიტყვის ერთს კიდევ სხვაგვარ გაგებას გვაწვდიან ლექსიკოგრაფები და მკვლევრები სხვა ძველი ქართული ძეგლების მიხედვით. სულხან-საბა ორბელიანი „შუპოებას“ განმარტავს, როგორც „რიდის ქონებას“⁴; ნიკო ჩუბინაშვილი ამასთან ერთად იმასაც დასძენს, რომ ის „თავაზის შენახვაცააო“⁵. ისტორიკოსი ლ. მუსხელიშვილი, ეტყობა საბას ლექსიკონზე დაყრდნობით, „შუპოვნებას განმარტავს როგორც „მორიდებას“, „მოკრძალებას“. ასეთვე აკად. აკ. შანიძე იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრების წიგნის სათანადო ადგილების მიხედვით ამ სიტყვას ასე გვიხსნის: „შუპოვნება მორიდება, ხათრი... შესაპოვარი მოსარიდებელი, მოსახათრებელი“⁶...

ასეთია მოკლედ ის ძირითადი შეხედულებები, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო სიტყვასთან დაკავშირებით არის გამოთქმული სამეცნიერო ლიტერატურაში.

სინამდვილის მისაგნებლად საბა ორბელიანს ასეთ შემთხვევებში ერთი მეტად საგულისხმო ხერხი ჰქონდა შემოღებული. თუ ერთმანეთს არ ემორწმებო-

¹ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1937, გვ. 385.

² შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1957, გვ. 390.

³ თემურაზ ბაკრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გიორგი იმედაშვილის რედაქციით, გამოკლევითა და საძიებლით, თბ., 1960, გვ. გვ. 74 და 268—269.

⁴ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, თბ., 1928, გვ. 399.

⁵ ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, აღ. ლონტის რედაქციითა და გამოკლევით, თბ., 1961 გვ. 420.

⁶ გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოანესი და ეფთვიმისი, გამოსაცემად დაამზადა ე. ჭაუხიშვილმა. გიორგი მთაწმიდლის ენა იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით ა. შანიძისა, თბ., 1946, გვ. 147.

დნენ სხვადასხვა ძეგლის ადგილთა ჩვენებანი რომელიმე სიტყვის შინაარსის შესახებ, მაშინ ის უცხო წყაროების სათანადო ადგილების მონაცემებს მიენდობოდა. ასეთი ადგილი, შემცველი „შეპოვნება“ სიტყვისა, რომ პარალელს პოულობდეს უცხო წყაროში, კერძოდ სომხურში, ორთა ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილი. ერთი დაუტყავს „იგნატი ანტიოქელის წამების წიგნს“ (სინის მთის № 11 ხელნაწერს X საუკუნისას) და მეორე—თეოფილე ხუცეს-მონაზონის მიერ XI ს-ის 80-იან წლებში თარგმნილ „პატერიკს“ ანუ „მამათა ცხოვრებას“. აი ეს ადგილებიც:

1. იგნატი ანტიოქელის ცხოვრება:

„ნუ შევბოვებო პირსა ძლიერისასა, რომელი უფარ-ჰყოფდეს შჭულსა, და ნუ აღტრევი ბოროტად მაღიდებელსა კრებულსა

(ფე. ჟაეხიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა... თბ., 1947, გვ. 180,4).

«იქ აიგნეს აცხ ზეფიქ, ხ იქ ხეჩეჩა ღნუ რაღიამა ქ ჯარქია»:

(ქიქოთარ ქოფე ხ ქიქოქონიძეხხ იქოფე... კიქხხოქ ქ შ. შაქერხან... ჯხხხიქ, გვ 90,21).

2. პატერიკი (თეოფილეს თარგმანი):

„აჰა ესერა ესოდენთა ამათ წელთა არცა ერთისა ვისდა შეუპოვნებო ეარ ღმერთსა, არამედ თვთ მზრდის სახიერი იგი...“

(A—1105, 171f).

«ქქ არა აქეგან ქამანასკა ხ იქ მიქომ იამხე ქანბხხეგ ვქს ასათოაბ, აქქ ზა კხერკხხეგ ვქს...»:

(ქოფე ზოქოხე, ახალი ქუღას გამოც. 188, ხ, 11).

ამ ორი ადგილის მიხედვით „შეპოვნება“ სიტყვას სომხურით შეესაბამება ჯერ *აქნ აიზილ* და მერმე *ქანბხხე*; *სქნ აიზილ*, რომელიც სიტყვა-სიტყვით ძველი ქართულის „თულა-ღება-ს“ უდრის, სომეხი ლექსიკოგრაფების მიხედვით არის: „პირფერება“, „თნება“, „პირსა ჰამება“, „რიდი“, „ხათრი“, „მიკერძება“, ხოლო *ქანბხხე* „მინდობა“, „შევედრება, დავედრება“, „შეხვეწნა“. ესლა, თუ ამ მნიშვნელობებს გავითვალისწინებთ, ვეფხისტყაოსნის სათანადო ადგილები შემდეგ ახსნა-განმარტებას ივუებენ:

ა. „ღაბნედილსა ნუ დამავდებ, მიშველუ რა, მარგე, მოვე; სოფელს მყოფსა უშენოსა კაცსა ვისმცა შე ე ე პ ო ვ ე“ (505, 3—4).

ამ კონტექსტით „შეპოვნება“ არის „მინდობა“. დაბნედილს ნუ დამტოვებ, მიშველე რამე, მოდი: /ამ სოფლად მყოფს უშენოდ (შენს გარდა) ვის მივენდო (ან: „მივევედრო“, ე. ი. ვის შევაფარო თავი ან შევეხვეწო), სწერს ტარიელი ნესტან-დარეჯანს.

ბ. ამავე სიტყვას ანივე ფორმით ვხვდებით იქაც, სადაც ავთანდილი შემკრთალი აღმოჩნდება ფრიდონის წინაშე, როცა ეს უქანასკნელი მას ზღვაში კიდობნის გამოჩენას უამბობს. შეშფოთებული კაცი

„...მეტად შევებრალე, ტირილთა მესათნოვა; ვითა შვილი დამადუმა, მემუდარა, შე ე ე პ ო ვ ე ა, თვალთათ ვითა მარგალიტი ცრემლი ცხელი გარდმოთოვა“ (630, 2—4).

აქაც „შეპოვნება“ („შემეპოვა“) „შე ე ე ვ წ ა ა“, მაგრამ „თ ხ ო ვ ნ ა / ვ ე დ რ ე ბ ი ს“ შინაარსით. — როგორც შვილი დამაწყნარა, შემთხოვა და შემეხვეწაო“, ამბობს ავთანდილი ფრიდონის შესახებ.

გ. „მულარა-სთან“ ეს სიტყვა სხვაგანაც „თხოვნა (შეხვეწა)- შევდრებაა“.—

„ამას ოდენ მოვახსენებ მულარით და შეპოვნებით, რომე მოგცეს ქალი მისი მან მისითა მოგონებით“ (1490,1).

დ. ვეფხისტყაოსანში ვხვდებით ამ სიტყვიდან წარმოქმნილ შემდეგ სიტყვასაც: „შეუპოველს“.

„როსტევან მეფე უკადრი, მორკმული, შეუპოველი,

შერმადინ მოციქულობა თვათ მოახსენა ყოველი“ (681, 1—2).

„შეუპოველი“, აკად. ა. შანიძის განმარტებით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, „უშიშარია“, ხოლო პროფ. იუსტ. აბულაძის ახსნით, ის, „უშიშართან“ ერთად, არის „შეუპოვარი, უკადრი“⁷. მოყვანილ კონტექსტში „შეუპოველი“, რაც იგივე „შეუპოვარია“, უნდა იხმარებოდეს საბასეული გაგებით: „შეუპოვარი რიღებაუქონელი“⁸.

ამრიგად, „შეპოვნება“ ვეფხისტყაოსანში ნახმარია, ერთი მხრით, „მინდობა“, „ხვეწა“, „ვედრება“ სიტყვების შინაარსით, ხოლო, მეორე მხრით, „რიღება“, „ხათრის შენახვა“, „მიკერძება“ სიტყვების მნიშვნელობით.

მსგავსი მნიშვნელობით „შეპოვნება“ ძველი ქართულის ზოგიერთ სხვა ძეგლშიც გვხვდება.

„რედება“, „ხათრის შენახვა“ ანდა „მიკერძება“, „პირსა ჰამება“ აქვს აზრად ამ სიტყვას იოანე მოსხის „სამოთხეში“. რომელიც IX—X სს-ის თარგმანს წარმოადგენს არაბულიდან⁹. აქ ერთგან კვითხულობთ:

„გამოეცხადა მას (=ლეონს) წმიდა პეტრე მოციქული და პრქუა: ავა ესერა მე ვევედრე ღმერთსა შენთვის და მოგიტევნა ყოველნი შეცოდებანი შენნი თვნიერ ხოლო კელთ-დასხმისა, რომლისაგან განკითხვად ხარ მისთვის, უკუეთუ გიყოფიეს შეპოვნებით გინა ქრთამითა“.

(იოანე მოსხი, ლიმონარი, თბ., 1960, გვ. 66, 7—11).

როგორც ამ კონტექსტიდან ჩანს „შეპოვნება“ უარყოფით მოვლენა ჩანს, ქრთამის გვერდით დაყენების გამო. იგი „თულ-ლეება“, ე. ი. „მიკერძება“, „რიღება“ თუ „ხათრის შენახვა“ უნდა იყოს.

ამავე ადგილს ეხმაურება „მამათა სწავლანი-ს“ შემდეგი კონტექსტიც:

„რომელნი (=მსაჯულნი სიცრუისანი) ბჰობდეს შეპოვნებით და მიიღებდეს ქრთამსა და განამართლებდეს ცრუთა“.

(მამათა სწავლანი... თბ., 1955, გვ. 94, 1).

აქაც „შეპოვნება“ უნდა აღნიშნავდეს „თულ-ლეება-ს“, ე. ი. „რიღება-ს“, „ხათრ-ს“ თუ „მიკერძება-ს“.

„ხათრისა“ თუ „მორიღების“ შინაარსით ნახმარია „შეპოვნება“

⁷ შოთა რუსთიელი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1937, გვ. 386.

⁸ ს. ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შაბიძის რედაქციით, თბ., 1928, გვ. 400.

⁹ იოანე მოსხის „სამოთხის“ წარმომავლობისათვის იხ. ა) იოანე მოსხი, ლიმონარი, ტექსტი გამოკვლევით გამოცემა ილია აბულაძემ, თბ., 1960, გვ. 016—019; 023—024. ბ) G. Garitte, La version géorgienne du „pre spirituel“: „Studi e Testi“, 232, Vatican, 1964, 174 — 178; გ) ალ-ბუსთანი, X ს-ის სინური ხელნაწერის მიხედვით, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოცემა რუსულან გეარამიამ, თბ., 1965, გვ. 40 — 53.

იოანე-ეფთვიმეს ცხოვრებაშიც გიორგი მთაწმიდლისა, როგორც ეს აღნიშნული აქვს აკად. ა. შანიძეს¹⁰.

„უკუეთუ ვინმე გამოჩნდეს ნათესავისა ჩუენისაგან კაცი... და რამათა ღონითა ანუ მანქანებითა ანუ საფასითა, სიხარბითა ანუ სიყუარულთა ბერძენთათა ანუ კაცისა ვისმე შეეპოვნებოდა ანუ სხვთა რამთმე ზაკუვითა ეორგულოს ამას წმიდასა ადგილსა და ჩუენი საქსენებელი ამოსაწყუდოს... კრულმცა არს და წყევლ“.

(გ^წ მთაწმიდელი, ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი, თბ., 1946, გვ. 53, 1 ქვ.)
„რიღებ“ თუ „სათარი“ გამოსკვივის აღნიშნულ ძეგლში ამავე სიტყვიდან ნაწარმოები „შესაპოვარი-იდან“—

„მე ვიცი, თუ რომლისა პირისათუხ მივმობენ და, ვინამთგან ღმერთმან ღირს მყო და სახე მონაზონებისაა შევიმოსე, მე ამიერთგან არცალა მეფეთა თანა მიც შესაპოვარი, არცა სხუასა ვის ქუეყანასა ზედა“.

(გ^წ მთაწმიდელი, ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი, თბ., 1946, გვ. 18, 20).

„შესაპოვარი“ აქ „მოსარიღებელსა“ თუ „მოსახათრებელს“ უნდა აღნიშნავდეს, როგორც ამას აკად. ა. შანიძე განმარტავს¹¹.

ამავე ძეგლის ერთ სხვა ადგილს კი ჩვენთვის საგულისხმო „შეპოვნება“ უკვე აღნიშნავს არა „მოსარიღებელსა“ და „ხათრს“, როგორც აკად. ა. შანიძეს მიაჩნია¹², არამედ „ხვეწილსა“ თუ „ვედრებელს“.

„ხოლო იგი (=გ^წ მამასახლისი, ეფთვიმეს მემკვიდრე) ვითარცა იყო ფრთხილი და მძიმე კაცი, მეტნი რამე შეეპოვნებანი და ლიქნანი ვერ შეეძლენს“.

(გ^წ მთაწმიდელი, ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი, თბ., 1946, გვ. 49, 2 ქვ.)

ჩვენს ასეთ დასკვნას ისიც უნდა ამოწმებდეს, რომ აქ „შეპოვნება“ ნახშირით გვერდით „ლიქნა“ სიტყვისა, რაც „ფერება-სა“ და „ალერს-ს“ აღნიშნავს.

„თხოვნავედრების“ შინაარსს ატარებს „შეპოვნება“—საგან წარმოებული „შემპოვნე“-ც „მატიანე ქართლისაჲს“ ერთ ადგილს¹³. —

„ამისდა (=ბაგრატ მეფისა) შეეპოვნელ და ამისდა მოაქედ შეიქმნეს ყოველნი ქელმწიფენი“.

(ქართლის ცხ-ბა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1955, გვ. 28, 18).

ამ ძეგლის გამომცემელი პროფ. ს. ყაუხჩიშვილი „შემპოვნე-ს“ განმარტავს „მთხოვნელად, заискивающий-დ“.

ამრიგად, უცხო წყაროების მოშველიებით „შეპოვნება-სა“ და მისგან წარმოქმნილ სიტყვათათვის დადგენილი შინაარსი ძველი ქართული ძეგლების ჩვენებებთან ერთად კარგად ეგუება ვეფხისტყაოსნის იმ კონტექსტებს, სადაც „შეპოვნება“ სიტყვა და მისგან წარმოქმნილი „შეუპოველი“ გვხვდება. „შეპოვნება“ აქ აღნიშნავს, ერთი მხრით, „მინდობას“, „ხვეწილსა“ თუ „ვედრებელს“, ხოლო მეორე მხრით, „მიკერძებელს“, „რიღებელსა“ თუ „ხათრს“ (ძვ. ქართულით: „თუალ-ღებასა“ და „პირსაჲსაჲმებას“). რაც შეეხება „შეუპოველს“, იგი იგივე „შეუპოვარი“, ანუ, საბას განმარტების თანახმად, „რიღებელისა“.

10 ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა იოანესი და ეფთვიმესი ცხოვრების მიხედვით, თბ., 1946, გვ. 147.

11 ა. შანიძე, იქვე.

12 ა. შანიძე, იქვე.

13 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955.

ილია აბულაძე

რამდენიმე საერთო ხმაკაზის სიგჳვა ქართულსა და სომხურში*

ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო ნაშრომების მიხედვით ლექსიკური შემადგენლობა ენისა მის სპეციფიკურ სხვა მხარეებთან შედარებით ყველაზე უფრო ცვალებადია. ეს იმიტომ, რომ — გვასწავლის ამხანაგი სტალინი — „ენა უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანის საწარმოო საქმიანობასთან ისევე, როგორც ყოველ სხვა საქმიანობასთან მისი მუშაობის უკლებლივ ყველა სფეროში“¹. არაფერი ისე სწრაფად არ ეხმაურება საზოგადოების ცხოვრებაში მომხდარ ძვრებს, როგორც ენის ლექსიკა, მისი ლექსიკური შემადგენლობა, რომელიც „იკვლება არა როგორც ზედნაშენი, არა ძველის გაუქმებისა და ახლის აშენების გზით, არამედ არსებული ლექსიკის იმ ახალი სიტყვებით შეესების გზით, რომლებიც წარმოიშენენ სოციალური წყობილების შეცვლასთან, წარმოების განვითარებასთან, კულტურის, მეცნიერებისა და ა. შ. განვითარებასთან დაკავშირებით“².

მოყვანილი სიტყვების შესაბამისად ხალხების კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობაც სახელმწიფოს არსებობის პირობებში აგრეთვე ხელის შემწყობად უნდა წარმოვიდგინოთ ენის ლექსიკური შემადგენლობის ცვალებადობისათვის. რამდენადაც სომეხსა და ქართველ ხალხს, როგორც საუკუნოვან კარის მეზობლებს, ასეთი ურთიერთობა ძალიან ძველი ხანიდან მოსდევს, ამდენად ამას თითოეული მათგანის ენის ლექსიკური შემადგენლობისათვის არ შეიძლება უკვალოდ ჩაეგლო. თქმულის სამოწმო მასალა დღემდისაც მცირე როდი გამოუვლინებია ქართულ-სომხურ ფილოლოგიას, მაგრამ ამიერიდან, რაც საბჭოთა ენათმეცნიერებას მტკიცე საფუძველი დაუდვა კომუნისმის დიდმა ხუროთმოძღვარმა ი. ბ. სტალინმა, სამოწმო მასალის გამოწვლილვაცა და მოპოვებულის სათანადო გაშუქებაც, ცხადია, უფრო მკვიდრ ნიადაგზე მიიმართება.

ჩვენი დღევანდელი მოხსენება შეეხება ახალ გამოწვლილვილ მასალას, რომელიც ფილოლოგიურ ძიებათა გზით არის მოპოვებული.

* წაითხულია მოხსენებად 1952 წლის 10 დეკემბერს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 32 წლისთავს.

¹ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები. «სახელგამი», თბილისი 1951 წ., გვ. 22.

² იქვე, გვ. 22-23.

I. ქვე — ზინა (ზინა, ზინა)

სომხური ენის ლექსიკურ შემადგენლობაში აღნიშნულ სიტყვას ძველი-დანვე ვხვდებით როგორც ცალკე, ისე კომპოზიტების შემადგენლად. ცალკე ეს სიტყვა ასეთი დაწერილობითაც შემონახულა: *ჟიღ, ჟიღა, ჟაღ, ჟიღა* და *ჟღ, ზოლო კომპოზიტში* ის *ჟიღა*-ს სახით არის წარმოდგენილი: *ჟიღა-ნარეიქი*. ახალ სომხურში ის მხოლოდ კომპოზიტებშია დატული, მაგრამ *ჟიღ*-ს ფორმით. ეს კომპოზიტებია: *ჟიღარქი, ჟიღარქიქი* და *ჟიღაოქი*.

თუ რას ნიშნავს *ჟიღა, ჟიღ* ან *ჟიღა*, ეს სათანადო მოწმობათა საფუძველზე ძველი სომხური მწერლობიდან გარკვეული აქვთ სომეხ ლექსიკოგრაფებს. ვენეციის დიდი¹ და მცირე² ლექსიკონების შემდგენელთა განმარტებით, რასაც სხვებიც იწუნებენ, *ჟიღა* თუ *ჟიღა* აღნიშნავს: 1. კუბის ფორმის სხეულს (Κύβος) ან რიცხვს; 2. ბელის ნიშანს, ხვედრს (Συμβολο) და 3. სათამაშო კოქს ან კენქს.

ამ სიტყვის ხმარების უძველესი მოწმობა სომხურში ბიბლიას დაუცავს, სახელდობრ ოსეს, სადაც 4, 12-ში ვკითხულობთ:

ჰ ჟიღა ნარეიქი ს და *ჟიღა* — შეშისა მიერ იმისნიდა და კუერთ-ხიბითა მოუთხრობდეს.

სომხურის *ჰ ჟიღა ნარეიქი* — „კენქთა ჰკითხვიდეს“ ქართულ ბიბლიაში გადმოცემულია მისი ნობად („იმისნიდა“), რასაც უძველეს „შეშისა მიერ“-ო, როგორც ეს სხვა (ფრანგულ, გერმანულ) ბიბლიებშიც ვხვდებით. მეტად რომ აღარ განვავრდოთ, „კენქთა ჰკითხვიდეს“, როგორც ჩანს, მისი ნობას ნიშნავს.

ასეთივე ხმარებით სომხ. *ჟიღ*-ს ვხვდებით V ს-ის სომხური მწერლობის ერთ-ერთ ძველში, ფავსტოს ბიზანტიელის ასომეხთა ისტორიაში. აქ, მეხუთე წიგნის 43-ე თავში, სადაც მოთხრობილია სომეხთა მეფისაგან გამდგარისა და სარწმუნოების უარისმყოფელის მერუთან არწრუნის სპარსეთის ლაშქრით შემოსევა სომხეთში მანუელ სპასპეტის შესაპრობად, ნათქვამია:

*ხღ ჰნღ ანგსაღ ლათ იღიღი ჰღა-
ნღი ჰ ჰნაღა ჟაღიღიღიღი, ჟღიღ-
ღა ნარეიქი. ს იღ იღიღი ჰნა
ღიღიღი, იღიღიღი ჰნაღიღიღი ჰიღ
იღიღიღი*³, რაც ნიშნავს:

„თუთ წარელო ზბა, გარდამოვდა მის-
ნობად ქალღვეულობისა, კენქთა
ჰკითხვიდა. და ვერ განემარჯუა მას
საქმე გრძნეულებისა, რომელსა-იგი
ესვიდა“-ო.

¹ ზორ რაიფიქი ნაკიღიღი... II ტ., ვენეცია, 1837 წ.

² სიღიღი რაიღიღი ნაკიღიღიღი... II თაღიღიღი. ვენეცია, 1865 წ.

³ ჟღიღიღიღი ჰიღიღიღი ჰნაღიღიღი... II ტ., პეტერბურგი, 1883 წ., გვ. 213.

და ბედის სამკითხაოდ, რომელსაც მერმე კუბის ფორმის გამო ამ სხეულისა და მასში აყვანილი რიცხვის ტექნიკური ტერმინის როლი დაჰკისრებია.

ახალ სომხურში *ქოღ*-ს, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ კომპოზიტებში ვხვდებით, მართო „კენკის“ მნიშვნელობა აქვს დატული, ისიც ოდენ ხმის მიცემასთან დაკავშირებით: *ქოღარქს*, *ქოღარქოქს* — კენკის ყრა და *ქოღთოქ* — კენკის ყუთი.

ძველი და ახალი მნიშვნელობების გათვალისწინება ამ სომხურ სიტყვას — *ქოღსაქ*, *ქოღ* თუ *ქოღსაქ*-ს — ფონეტიკურადაც შემხვედრ ქართულ ქვა სიტყვასთან აკავშირებს სომხურ *ქოღსაქ*-სთან შედარებით ქართული ქვა სიტყვის ფართო მნიშვნელობა, უკანასკნელს, ე. ი. ქართულს, წყაროდ აცხადებს პირველისათვის: სომხური *ქოღსაქ* || *ქოღსაქ* ქართული „ქვა“-დან მიმდინარეობს.

სომხური *ქოღსაქ* სიტყვის ეტიმოლოგია, როგორც პროფ. ჰრ. აპარიანის ეტიმოლოგიური ლექსიკონიდან ჩანს, რამდენჯინსე უცლიათ. ავეტიქიანს ის ბერძნულ ქიპი ა, იგივე ახჰჷჷ-სთან („კამათელთან, კოქთან“) დაუკავშირებია; ე. წ. ახალ სომხურ ლექსიკონს (ასე ეწოდება ვენეციაში 1836/7 წ. გამოცემულ დიდ სომხურ ლექსიკონს) *ქქქო* — კივოსთან ერთად ის ბერძნული ახჷჷ, ლათინური *caelus* და არაბულ *ka'b* („კოკი, კუბი, ნარდის ქვები“) ჰგონია. ი. კარსტს ის თათრული *qayq*-დან („ქვიდან, კლდიდან“) მომდინარედ მიაჩნია. პროფ. ჰრ. აპარიანი კი Scheftelowitz-ის მოსაზრებას იწყნარებს და წერს: „ეგების სესხება იყოს არამეული თალმულდურის *qawqā* (= *Würfel*, კუბი, კოკი) სიტყვისაო, რომელიც თავის მხრითაც სესხებას წარმოადგენს ბერძნული *αχχχ* („კუბი, კოკი“) სიტყვისასო. სიძველეს კმნის დასაწყისი ბგერა *q*, რომელსაც სომხურში *ქ* — *ქ* უნდა მოეცაო“¹.

მგონია, ზემოთე წარმოდგენილ ეტიმოლოგიურ ძიებათა შედეგების გაცნობის შემდეგ საეჭვოდ აღარ უნდა დაურჩეს ვისმე, რომ სომხური *ქოღსაქ*, *ქოღ* თუ *ქოღსაქ* ქართულიდან შეთვისებული სიტყვაა და არა არამეულიდან, რომლისაგან მომდინარეობას სომხურში გარკვეული დაბრკოლებაც ჰხვდება.

კენკი — *ქოღსაქ* (*ქოღ*, *ქოღსაქ*)-ს გარდა თვით „კენკი“-იც არის სომხურში შესული ქართულიდან *ქქქ* ფორმით, რასაც პროფ. ჰრ. აპარიანი იწყნარებს, როცა წერს, რომ *ქქქ* მომდინარეობს ქართული „კენკი“-იდან, რაც იგივე „ღვინკა-ბინკა“-აო².

[„ღვინკა-ბინკა“, ასე აქვს ამ სიტყვის ფორმები მოყვანილი ს.-ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში, რომელშიც ის განმარტებული აქვს, როგორც „წყალთ კენკი“. ძველი ქართული ვნის ძეგლებს შორის ეს სიტყვა შეგვხვედრია მხოლოდ ასეთი ფორმით: „ღვნი“. იგი იხმარება XI ს-ის მიწურულის ერთ ძეგლში, რომელსაც მამათა ცხოვრება ეწოდება და რომელიც თეოფილე ბუცეს-მონაზონის მიერ არის თარგმნილი ბერძნულიდან. აქვე, სადაც ეს სიტყვა („ღვნი“) იხმარება, მოცემულია კონტექსტში მისი განმარტებაც — „წურთილოანი ქვა“-ო (A-1005, 217წ.).

¹ ლ. მ. ნ. ხ. ხ. ხ., *საქსის ურთიერთის განმარტ.* ერევანი, 1926.— 1932 წწ. VI ტ., გვ. 1516.

² იქვე, III, 1198.

სომხური *կჩხ*, ჩვენი აზრით, განუყრელია სომხურისავე *კჩ* — *ჩჩ*-ისაგან, რომელთაგან პირველი წარმოდგენილია სიტყვებში — *კჩხაჟ*, *კჩაჟათასკ*, *კჩხათარაბ* და სხვ..., ხოლო მეორე ცალკე იხმარება და წარმოქმნილ სიტყვებსაც გვაწვდის. ამ უკანასკნელიდან, ე. ი. *ჩჩ*-იდან, ქართული „ხიკ-ი — ხეინკ-ის“ წარმომავლობა, როგორც ეს პროფ. ჰრ. აკარაიანს მიაჩნია, საეჭვო გვეგონია, რადგან იგივე „ხეინკა“, მეორე მხრით, „ღვინკა“-სთან ერთად კენკე — *კჩხ*-ის ფონეტიკურ სახესხვაობად წარმოუდგენია. მგონია, არაფერი არ უნდა გვაბრაკოლებდეს *კჩ* — *ჩჩ*-იც *კჩხ*-თან დავაკავშიროთ და უკანასკნელის წყაროდ მიჩნეული ქართული კენკე ამოსავლად მივიჩნიოთ *კჩ*-ისა და მისი კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისის *ჩჩ*-ისათვისაც. ეს უფრო შესაძლებელია, ვიდრე *ჩჩ*-იდან მიღება ჯერ „ხიკი — ხეინკისა“ და შემდეგ „ღვინკა — ხეინკა“-ს „კენკე“-თან ფონეტიკური დაკავშირება, რაც ქართულ ნიადაგზე სათუთაა. უნდა დავსძინოთ ისიც, რომ საეჭვოდ არ მიუჩნევიათ *ჩჩ* — „ხიკ“-ისა და *კჩ* — „კიკ“-ის ქართულ „ღვინკა“-თანა და „კენკე“-თან კავშირი არც აკად. ნ. მარსა და არც პროფ. ვრ. ლაფანციანს.

ამრიგად, სომხურს ძველად ქართულიდან შეუთვისებია გარკვეული შინაარსით (= „კენკისა“) არა მარტო „კეკა“ — *გოხაჟ* (*გოჩქ*, *გოხაჟ*), არამედ თვით „კენკე“-იც — *კჩ*, *კჩხ* || *ჩჩ* საყოფიერ კენკე-ის ანუ ღვინკე-ის შინაარსით.

„კეკა“ ცნების გამომხატველი სიტყვა სომხურში *გაჟ* არის. სიტყვამ მოიტანა და გვინდა დავსძინოთ, რომ ეს სიტყვა სომხურიდან ქართულში არის გადმოსული, მაგრამ ახალსა და არა ძველში, და ისიც, არა ცალკე, არამედ კომპოზიტებში წარმოდგენილი. აღნიშნული აქვს უკვე პროფ. ჰრ. აკარაიანს, რომ ახალი ქართლის „ქარაფი“- (ძველი ქართულია რომ იწოდებოდა კ ბ ო დ ე) სომხური *გაჟაჟი*-იდანაა, ისე როგორც „ქარაგოზ“-ი (ქვის ხავსი რამ მცირე — ს.-ს. ორბელიანი) სომხური *გაჟაგოზი*-იდან.

2. კეკე-ი — მუს

მეტაინე ქართლისადას ერთ ადგილს, სადაც საუბარია ვარანგთა ლაშქრის მონაწილეობაზე სასირეთის შეტაკებაში ბაგრატ IV-სა და ლიპარიტ ერისთავს შორის ამტყდარი ბრძოლის გამო, ნათქვამია ქართლის ცხოვრების ანასეულსა (A) და მარიამისეულ (M) ნუსხებში, რომ

ვერღარა უძლეს ბრძოლად (ბრძოლა M) ვარანგთა (ვარანგთა M) და (abs. A) მისცნა (მისცა M) ლიპარიტ პაშტნი (პაშტი A) და წინა მათსა პურსა უკაზმიდეს და ვგრეთ ლიხი გარდავლეს-ო¹.

ეს ადგილი უნდა ჰქონდეს უთუოდ მხედველობაში სულხან-საბა ორბელიანს, როცა „პაშტი“-ს თავის ლექსიკონში განმარტავს როგორც „პურის საკაზმავ ცხრილს“². ამ ახსნის ანგარიშგაწევიტ ზოგ მკვლევარს ისე ესმის ეს ადგილი, თითქოს „შერცხვენის მიზნით დამარცხებულთათვის დაეპყრინებინოთ ხელთ „პურის საკაზმავი ცხრილი“ და ისე გაეყოლებინოთ ვარანგთათვის³.

ამ ადგილის ბუნდოვანობაზე ბოლო ხანს ყურადღება გაამახვილა თავის ერთ-ერთ ნაშრომში (სადოქტორო დისერტაციაში) პროფ. იასე ცინცაძემ,

¹ ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1928 წ.

² დაწერილებით იხ. ნ. ბერძენიშვილი, იასე ცინცაძე — ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X — XVI სს.). მხალეუბი საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1951 წ., ნაგ. 29, გვ. 302 — 311.

რომელმაც მაშინვე მიაპყრო მისკენ ჩემი გულისყურიც. ხსენებული კონტრექსტის მიხედვით პაშტ'ის საბასეული გაგება საეჭვოდ დამირჩა. პირველად ის მეჩვენა გადაშწერთაგან შებღალულ ფორმად, მაგრამ რომ მომავონდა სომხურში ამ ფორმის მქონე *ყაყუთ* ძირი, რაც კომპოზიტებში *კიასყაყუთ*, *ქარცყაყუთ*, *ასათილახაყაყუთ* და სხვაგან მსახურს აღნიშნავს (*კიასყაყუთ* — კერპთ-მსახური, *ქარცყაყუთ* — კეთილ-მსახური, *ასათილახაყაყუთ* — ღმრთის-მსახური), მან პაშტ'ის როგორც „პურის საკაზმავი ცხრილის“ გაგება შეუფერებლად მიგვაჩინებინა მეცა და პროფ. იასე ცინცაძესაც.

მატიანე ქართლისაჲ-სა პაშტ'ის სომხურ *ყაყუთს*, *ყაყუთისხაყ* სთან დაკავშირების შესახებ პროფ. ნ. ბერძენიშვილიც იმ აზრისაა, რომ, მისი თქმით, ეს კავშირი უფრო „ბუნებრივადაც გამოიყურება“, მაგრამ სრული დაჯერებისათვის ის, როგორც ჩანს მისი შემდეგი სიტყვებით: „თუ „მსახურს“ ასეთი შესატყვისი აღმოაჩნდებოდა ქართულშია-ო, კიდევ სხვა ხმარების შემთხვევის დამოწმებას მოითხოვს ქართულში“¹.

დასახელებული სომხური კომპოზიტების შეზადგენელი -*ყაყუთ* თავისი სახით სომხურში თავდაპირველადი არ არის. ის, როგორც ვარკვეულია სამეცნიერო ლიტერატურაში, *ყარჩუთ* ძირიდან არის მიღებული, რაც ძველ სომხურში ზოგჯერ დაცულიცაა შედგენილსა თუ თხზულ სიტყვებში: *ამქარჩუთ* (← *ან-ყარჩუთ* — უსჯულო, უღეთო, ე. ი. უმსახური), *ქარცყარჩუთ* (← *ქარჩ-ა-ყარჩუთ* — კეთილ-მსახური), *კიასყარჩუთ* (← *კიილ-ა-ყარჩუთ* — კერპთ-მსახური) და სხ... *ყაყუთს* ზმნა **ყარჩუთს*-იდან მომდინარეობს. სომხური ფონეტიკური კანონზომიერებით მას გავლილი აქვს ასეთი გზა: **ყარჩუთს* → **ყარუთს* → *ყაყუთს*. პროფ. პრ. აქარიანის სიტყვით, იეს ფორმა (*ყაყუთს*) რომ წარმოდგა, მისთვის საგულისხმებელი გახდა *ყაყუთ* ძირი, რომლის მიხედვითაც შეიქმნენ: *ქარცყაყუთ*, *ხრცყაყაყუთ*, *კიასყაყუთ*, *ასათილახაყაყუთ*... და სხ...“².

ყაყუთ თავისი წინანდელი სახით (*ყარუთ* ← *ყარჩუთ*), როგორც პროფ. პრ. აქარიანი იქვე თავის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში აღნიშნავს ა. მეიეს ერთ-ერთი ნაშრომის მიხედვით, ირანულიდან მომდინარეა, სახელდობრ **pari-šta* („მსახურება, თაყვანის-ცემა“) ფორმიდან, რაც შედგება *pari* ნაწილაკისა და *šta* ძირისაგან და ნამდვილად ნიშნავს „გარე ღვრმა“-ს. აქედანვე წარმოდგარი აგრეთვე ფალაური *parastān* („მსახურება“), *parastiš* („მსახურება — *ყაყუთის*“, ე. ი. *цѣженіе*), სპარსული *parastān* („მსახურება“) და *parast* („მსახური“) „ს“-თი შეცვლით „შ“-ისა, რაც სპარსული დიალექტებისათვის დამახასიათებელი მოვლენააო. სომხური თავისი „შ“ ბგერით (**parištā* → *ყარჩუთ*) იცავს ირანულის უძველეს სახესო, დაასკვნის იეტორი³.

¹ ნ. ბერძენიშვილი, იქვე, გვ. 307 (შენიშვნა).

² ზ. მკათარსი, *ჯაქარცხ აქმათასკან ქოთარსი*. V, გვ. 838.

³ იქვე, გვ. 839.

როგორც ვხედავთ, მბატინე ქართლისად-შია დაცული „პაშტ-ი“ თავისი შინაარსითა და ფორმით უშუალოდ ძველი სომხური *պաշտել* სიტყვის *պաշտ* ძირამდის ადის, რომელიც უადრინდელესი თავისი სახით — *պաշտիւ*-ბთ — ირანულიდან მომდინარედ ითვლება. უეჭველია, რომ ძველი ქართულის ლექსიკურ შემადგენლობაში ეს სიტყვა სომხურიდან არის შემოსული.

სულხან-საბას განმარტება პაშტ-ისა, როგორც „პურის საკაზმავე ცხრილისა“, რომ შეუფერებელია ჩვენი კონტექსტისათვის; რომელზედაც ეს განმარტება უნდა იყოს აღმოცენებული, იქიდანაც ჩანს, რომ იქ ნახმარი სიტყვები „წინა მათსა პურსა უკაზმიდეს-ო“, პურის, ფქვილის გაცრას, ანდა მარცვლეულის წმენდას კი არ უნდა ჰგულისხმობდეს, არამედ პაშტის სომხური შესაბამისის, *պաշտ(ել)*-ის ერთ დამახასიათებელ მნიშვნელობას, რომლის მიხედვით *պաշտել* — „მსახურება“ ნიშნავს ზოგჯერ „საკმლისა და სასმლის მირთმევას“. ამისდა შესაბამისად ისტორიკოსის ნათქვამი „წინა მათსა პურსა უკაზმიდეს-ო“ სწორედ პურის, ე. ი. საკმლის კაზმას ანუ შემზადებამირთმევას უნდა ითვალისწინებდეს და არა პურის — ფქვილისა თუ მარცვლეულის — კაზმას, ე. ი. ცრასა თუ წმენდას (და ისიც ცხრილით), ან მარტოდენ პურის შემზადებას, ანუ ცხობას, როგორც შეიძლება კაცმა იფიქროს

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ძველი ქართული ენის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1952. XII. 10)

ილ. აბულაძე

ქართულინა და სომხურის საერთო სიტყვები

ქართული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში გვხვდება ერთი წყება სიტყვები, რომლებიც სომხურსაც გააჩნია. ზოგი მათგანი ერთსადაც და მეორე ენაშიც მესამე წყაროდან მომდინარედ შეინიშნება ურთიერთისაგან დამოუკიდებლად ანდა, ხანდახან, ერთი რომელიმეს მეშეობით, ხოლო ზოგს კიდევ გარეშე წყარო არ ეძებნება და, მაშასადამე, ერთი მათგანისაგან მომდინარე უნდა იყოს.

ასეთი მოვლენა, რომ ენას დაუსაკიროებია თავის ლექსიკურ შემადგენლობაში შემოეღო ახალი სიტყვები და მათ რიცხვში უცხო ენებიდან მომდინარენიც, შემთხვევითი არ არის. ამას თვალნათლივ გვიჩვენებს ი. სტალინი თავის გენიალურ საენათმეცნიერო ნაშრომში „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“. ენის ლექსიკური შემადგენლობის ცვლილებებთან დაკავშირებით აქ შემდეგ საგულისხმო აღგიღებს ვხვდებით. „წარმოების შემდგომმა განვითარებამ, კლასების წარმოშობამ, დამწერლობის წარმოშობამ, სახელმწიფოს ჩასახვამ, რომელსაც მართვისათვის ესაჭიროებოდა ცოტად თუ ბევრად მოწესრიგებული მიწერ-მოწერა, ეპოქების განვითარებამ, რომელსაც კიდევ უფრო ესაჭიროებოდა მოწესრიგებული მიწერ-მოწერა, საბეჭდავი დაზგის გაჩენამ, ლიტერატურის განვითარებამ — ყოველივე ამან დიდი ცვლილებანი შეიტანა ენის განვითარებაში“¹. ეს ცვლილებები ი. სტალინის განმარტებით უპირატესად ლექსიკურ შემადგენლობაში აისახება, რადგან ენა უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანის საწარმოო საქმიანობასთან ისევე, როგორც ყოველ სხვა საქმიანობასთან მისი მუშაობის უკლებლივ ყველა სფეროში. ამიტომ ენის ლექსიკური შემადგენლობა, როგორც ყველაზე ცვალებადი, თითქმის განუწყვეტლივ იცვლება... მაგრამ ენის ლექსიკური შემადგენლობა იცვლება არა როგორც ზედნაშენი, არა ძველის გაუქმებისა და ახლის აშენების გზით, არამედ არსებული ლექსიკის იმ ახალი სიტყვებით შევსების გზით, რომლებიც წარმოიშენენ სოციალური წყობილების შეცვლასთან, წარმოების განვითარებასთან, კულტურის, მეცნიერებისა და ა. შ. განვითარებასთან დაკავშირებით. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ენის ლექსიკურ შემადგენლობას ჩვეულებრივად გარკვეული რაოდენობით აკლდება მოძველებული სიტყვები, მას ემატება გაცილებით მეტი ახალი სიტყვა“².

¹ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, სახელგამო, 1951 წ., გვ. 24.

² იქვე, გვ. 22-23.

შემომატებული სიტყვების წყარო, გარდა ენის ძირითადი ლექსიკური ფონდისა, რომლის ბაზაზე ძირითადად იქმნება ახალი სიტყვები, ერთი მხრივ უცხო ენებიცაა, რომლებთან უშუალო თუ შუალობითი ურთიერთობის საფუძველზე ე. წ. სესხებული სიტყვები ჩნდება. ამას გარდა არსებობს კიდევ ერთი წყაროც უცხო სიტყვების გაჩენისა ენაში. ესაა ენების შეჯვარედინება, რაც ი. სტალინის თქმით „ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ასეულ წლობით გრძელდება“ და რომლის დროსაც „ხდება გამარჯვებული ენის ლექსიკური შემადგენლობის რამდენადმე გამდიდრება დამარცხებული ენის ხარჯზე“¹.

ხანგრძლივად გვერდივერდ მცხოვრებ ქართველსა და სომეხ ტომებსა და ხალხებს ურთიერთობის საფუძველზე როგორც ერთმანეთთან, ისე გარე სამყაროსთანაც, საკმაო ოდენობით მოეპოვებათ თავიანთი ენების ლექსიკურ შემადგენლობაში როგორც ერთი, ისე მეორე რიგის უცხო წარმომავლობის სიტყვები. სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი მათგანი გამოვლინებულიცაა და ჯერონად შესწავლილიც წარმომდინარეობის მხრივ. ყველაზე ვრცლად ასეთი ლექსიკის გარკვევას ეხება ქართველ მეცნიერთაგან აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის კაპიტალურ ნაშრომებში ენის, ისტორიის დამხმარე დისციპლინების, საქართველოს ეკონომიური ისტორიისა და ქართული სამართლის ისტორიის შესახებ, ხოლო სომეხ მკვლევართაგან სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფ. პრ. აქარიანი თავის ფუნდამენტალურ შვიდტომიან „ეტიმოლოგიურ ლექსიკონსა“ და ორ ტომად გამოსულ „სომხური ენის ისტორიაში“.

ძველი ქართული წერილობითი წყაროების პუბლიკაციის შედარებითი სიმცირის გამო გამოუქვეყნებელ ძეგლებში, მათი თანდათანობითი შესწავლის დროს, კიდევ ჩნდება ქართულ-სომხური საერთო სიტყვების ახალ-ახალი წყება, რომლებიც არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას დასახელებული მიზნის გამო გათვალისწინებული არა აქვს. მათი აღნუსხვა და შესაძლებლობის ფარგლებში შესწავლა ქართული ენის ისტორიისათვის არათუ საჭიროა, არამედ აუცილებელიც. ამ მიზანს — გამოვავლინოთ ახალი ლექსიკური მასალა და შეძლებისდაგვარად ვაჩვენოთ მათი მნიშვნელობა და წარმომავლობის გზები — ემსახურება ჩვენი ძიებანი: „ქართულისა და სომხურის საერთო სიტყვები“, რომლის წინამდებარე ნაკვეთში განხილულია სომხურთან საერთო სამი სიტყვა: ბანდაკი, დროშე-ი და ხეეს-ი².

¹ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, სახელგამა, 1951 წ., გვ. 27.

² ასეთი ხასიათის სხვა ჩემი ნაშრომი სომხურადაც არის გამოქვეყნებული: 1. *Հայերենի բարձրասային հանդիպումները. Մեղեկագիր Հայկական ՍՍԻՐ գիտությունների ակադեմիայի*, ერევანი, 1946 წ., № 8, გვ. 37—41 (აქ განხილულია სიტყვა: კაწა-ი-կაბასი); 2. *Հայերենի և վրացերենի բարձրասային հանդիպումները. Հայկական ՍՍԻՐ ԳԱ Լեզվի ինսტიტუտի այլ-խասույթյունների ժողովածու*, ერევანი, 1948 წ., III ტ., გვ. 297—303 (აქ განხილულია სიტყვები: ხეზე-ა-გოლქ და ჯადაგო-ჯადაგობა-ქააყოქ). აქვე შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე 1. *Մեղեկագիր բարձրասային խոսակցության*. *Մեղեկագիր Հայկական ՍՍԻՐ գիտությունների ակադემიայի*, ერევანი, № 1-2, 1944 წ., გვ. 105—106 და 2. *Հին հայերենում «գիրտախաბ»-ի նոր բան*, იქვე, გვ. 107-108 (პირველში განხილულია «დიღე-ი — դესակ», ბოლო მეორეში: «ლარნაკ-ი — ქარნაკ»).

1. ბანდაკ-ი — ჭანყაკ

ძველი ქართულის ცნობილს, გამოქვეყნებულ ძველთა შორის ამ სიტყვას მხოლოდ „მოციქულთა საქმის“ უძველეს რედაქციაში ვხვდებით. აღნიშნული სიტყვა რომ მეტად იშვიათი ხმარებისა უნდა ყოფილიყო ძველად, ეს იმითაც უნდა მტკიცდებოდეს, რომ ის სულხან-საბა ორბელიანს, რომელიც ასეთ სიტყვებს დიდ გულისყურს აპყრობდა და იღებდა წყაროებიდან თავისი ქართული ლექსიკონისათვის, შეტანილი არა აქვს თავის ნაშრომში.

„მოციქულთა საქმის“ ქართული ვულგატა გიორგი მთაწმიდლის ხელიდან არის გამოსული. წინა ხანის ტექსტი, რომელსაც ჯერჯერობით ოთხი ხელნაწერთ ვიცნობთ (S-407, S-1398, ათონს დაცული № 42-ით, რ. ბლეიკის აღწერილობის მიხედვით, და ქუთაისის დაცული № 176-ით, ფრაგმენტულად), არ არის ერთფეროვანი. ამთვან პირველი ორი (S-407 და S-1398), რომლებიც ხელის მიხედვით X ს-ეს განეკუთვნება, ცალკე, აღრინდელ რედაქციას წარმოადგენს, ხოლო დანარჩენი ორი (ათონისა, X ს-ის 60-იანი წლებისა, და მეორე, ქუთაისისა.— XI ს-ის პირველი ნახევრისა) თუმცა სრული ზედმიწევნილობით არ იმეორებენ ერთმანეთს, მაგრამ რედაქციულად ცალკე უნდა გამოიყვნენ, რამდენადაც ერთნაირ ცდას გვიჩვენებენ ზემოაღნიშნული პირველი რედაქციის ტექსტისაგან დაცილებისა¹. სხვათა შორის ეს ცდა ლექსიკურ ნაწილშიც ჩანს, რომლითაც ისინი ზოგჯერ ვულგატას უახლოვდებიან.

„მოციქულთა საქმის“ უძველესი რედაქციის ნუსხებში ერთგან საველეს შესახებ, რომელიც პირველად ქრისტეს მოწაფეებს სდევნიდა და მერმე კი ქრისტეს მიმდევარი შეიქმნა, ნათქვამია:

„და მოიყვანეს ძმათა და ზღუდით სარკუმელსა გარდაუტევეს ბანდაკითა“ (9,25).

წინაუვლგატური მეორე რედაქციის ერთ ხელნაწერში, სახელდობრ ქუთაისურში, ეს ადგილი თითქმის უცვლელად არის განმეორებული („და მოიყვანეს იგი ძმათა და ზღუდით სარკუმელსა გარდაუტევეს იგი ბანდაკითა“), ხოლო მეორეში, ათონურში, ასეა წარმოდგენილი:

„და მოიყვანეს იგი ძმათა და სარკუმლით ზღუდესა გარდაუტევეს სუჯრიდითა“.

გიორგი მთაწმიდლის რედაქციაში (ვულგატაში), ისე როგორც ეფრემ მკირისაშიც, ეს ადგილი შეზღვენაირად იკითხება:

„და მოიყვანეს იგი მოწაფეთა ღამე და ზღუდით გარდაუტევეს იგი სუჯრიდითა“.

ამ მოწმობათაგან აშკარად ჩანს, რომ ბანდაკი იგივე სუჯრიდი ია.

სუჯრიდი ბერძნული სიტყვაა და დასახელებულ ადგილს (მოციქ. საქმე 9,25) ის მართლაც იპოვება ბერძნულში. ბერძნული თარგმანში, ნათ. ბრ. თარგმანად — „კოლოფი, ყუთი“, კნინობითად თარგმნი, შესულია ავრეტვე სომხურში:

¹ „საქმე მოციქულთა“ ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოისცა ილია აბულაძე კ. შანიძის რედაქციით, „ძველი ქართული ენის ძეგლები. 7“, თბილისი. 1950 წ., გვ. 011—015.

აქტიურები — „ზამბილი, კოლოფი, ყუთი“, ქანურში: სპირიდ-ი და სირიულ-ში: aspridā¹.

ბანდაკ-ი, რომელიც მნიშვნელობით სფირიდია, სომხურში, აღნიშნულ ადგილს. *ქანუყასკ*-ის ფორმით იპოვება.

ამ სიტყვასთან დაკავშირებით პროფ. ჰრ. აქარიანს შემდეგი აქვს ნათქვამი თავის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში:

„*ՎԱՆՆԱԿ*, *խ-ա* ბრუნებისა, არის «ძაფის, წნელის, ბაწრის, ძეწნისა ან რკინისაგან დათხზული რიიმე ნივთი, როგორც, მაგ., ბადე» (ბიბლია), «სამფეხია (გამოსლეთა 30,3 და 37,16), «ზამბილი, კოლოფი, ყუთი» (საქმე მოც. 9,25; II კორინთ. 11,33)... აქედანაა: *ქანუყასკել* — «შეკრვა» — (ეზექ. 27,24), «ჯარის შეკრება» (ბუზანდი), «კოლოფში ჩალაგება»... მოგვეპოვება აგრეთვე *հրափանդ* «ცეცხლის სამფეხია» (II ნეშტ. 4,16), რაც გვიჩვენებს, რომ მარტივი ძირია *ქანդ* «შეკრვა ან შეთხზვა».

სესხება ფალაური * vandak ფორმისა, რასაც გვიჩვენებს სომხური სიტყვის ბოლოსართი -*ակ*. ამ სიტყვის ძირია * vand, რაც წარმოადგება წინარე ენის uendh- «ხევეა, თხზვა» ძირისაგან, რომლის სომხური უშუალო წარმომადგენელია *գինդ*... არც ფალაურსა და არც ირანულს რომელსამე დიალექტში ეს ძირი არ შენახულა, მხოლოდ სომხურია რომ ამტკიცებს ამ სიტყვის ოდინდელ არსებობას. წინარე ენის uendh → ირანულ * vand-ს სპარსულში უნდა მოეცა band, რითაც ის აღერეოდა წინარე ენის bhendh- → სპარსულ band-ს «შეკრვას», ფორმით მსგავსსა და შინაარსით მახლობელ ძირს. ეგების ამ აღრევის გამო იყოს გამოწვეული * vand ძირის დაკარგვა სპარსულში. მაგრამ სპარსულში არსებული *بند* bandak — «ბამბის ქულა, დასართავი» სპარს. *بند* band ← წინარე ენის bhendh «შეკრვა» ძირზე უფრო სპარს. * band ← ირან. * vand ← წინარე ენის uendh «თხზვა, ხევეა» ძირს ააშკარავენს².

მოყვანილი ახსნა-განმარტებიდან ნათელია, რომ სომხ. *ქანდ*, *ქანუყასკ* წარმოადგენს ფალაურში ნავარაუდვეი * vand, * vandak-ის სესხებას. პროფ. ჰრ. აქარიანის მტკიცებით ამ ფალაურ ფორმას სპარსულში * band — bandak უნდა მოეცა (რაც თითქოს კიდევაც უნდა იყოს წარმოდგენილი მისი ფიქრით სპარს. *بند* — bandak-ში), რომელსაც, როგორც ვხედავთ, ზემოთ მოყვანილი ქართულ ბანდაკ-ი უღვას გვერდით.

არაფერი იქნებოდა გასაკვირველი, სპარსულიდან შემოსულად მიგვეჩნია ქართ. ბანდაკ-ი, რომ ერთი გარემოება არ ელობებოდეს ამას წინ. საქმე ისაა, რომ «მოციქულთა სჯების» ის უძველესი ქართული რედაქცია, რომელსაც ეს სიტყვა შემოუნახავს, ახალი აღთქმის სხვა წიგნებთან ერთად სპარსული ენის ჩამოყალიბების ხანამდე უნდა იყოს ქართულად გადმოღებული, რადგან ამ წიგნების ნაწყვეტებს ხანმეტობის ხანიდან (V—VII სს.) მოულწევა ჩვენამდის.

¹ *Հ. Անուսև, Հայերէն սրբագրութեան բառարան*, VI. გვ. 488.

² იქვე, გვ. 546-547.

ვერც სომხურიდან, საერთოდ, და ვერც სომხურ „მოციქულთა საქმიდან“, კერძოდ, იქნება ქართ. ბანდაკ-ი გადმოსული, რადგან სომხურიდან შემოსული სიტყვები ქართულში ჩვეულებრივ თანხმოვნებს (და კერძოდ „ვ“-ს) არ იცვლის¹. ამის მიხედვით სომხ. *ქანჯაკ* ქართულში *ვანდაკ-ის ფორმით იქნება შემონახული, ის რომ მისგან მომდინარეობდეს ზეპირ თუ წერილობით. ბანდაკ-ის შესატყვისად სომხური ტექსტის სათანადო ადგილს *ქანჯაკ*-ია. ეს უკანასკნელი თუ წყარო იქნებოდა ქართულისათვის, რაც შეიძლება იფიქროს კაცვა შეხვედრის გამო, მაშინ ეს სიტყვა ტრანსლიტერირებული კი არა, არამედ ტრანსკრიბირებული აღმოჩნდება, ე. ი. იმ ფორმით მოხმარებული, რომლითაც ის ადრევე ქართულში ყოფილა ფეხმოკიდებული. ამდენად, მაშასადამე, სომხური გზით შემოსულად და პირველად მისგან გადმოღებულად იგი ვერ გამოცხადდება, არამედ, როგორც ჩანს, მას სხვა გზით გაუკაფავს ადგილი ადრევე ქართულში. გზა, თუ ის სომხურს გამოირცხავს, მაშინ დამოუკიდებელია და ის ფონეტიკური სხვაობა, რომელიც მას ფალაურის მიმართ უჩნდება, სასანიანთა ხანის რომელიც ირანული დიალექტია და არა სპარსული, რადგან უკანასკნელის გამოკვეთის ხანისათვის ამ სიტყვის შემცველი ქართული ძეგლი უკვე უნდა არსებულებოდა.

ბანდაკ-ი, როგორც აღინიშნა, მეტად იშვიათი ხმარების სიტყვაა. ის, ეტყობა, ძველადვე ყველგან გასაგები არ ყოფილა, რის გამო X ს-ში უკვე შეუსვლიათ. ჩვენი ტექსტის უძველეს რედაქციაში მისი დაცულობა იმას უნდა გვაფიქრებინებდეს, რომ ეს რედაქცია იმ ცენტრშია წემუშავებული, რომელიც ჩვენში არაბობის გამოჩენამდის იყო მოწინავე. ეს კი, როგორც ცნობილია, ისტორიული ქვემო ქართლია. ქვემო ქართლიდან ისტორიული განვითარების პირობების შეცვლის გამო კულტურული ცენტრის დასავლეთში გადასაცვლებითა და ახალი კულტურული ძალების ჩაბმით, კერძოდ მწერლობაში, ბევრი რამ, რაც დამახასიათებელი იყო ადრინდელი გარემოსა და შემოქმედებისათვის, მეტადრე ენის ლექსიკის სფეროში, შეიცვალა, რადგან ის ახალ გარემოსა და პირობებში გაუგებარი იყო. წინანდელი ზოგიერთი სიტყვა-ხმარება ზოგადი აღიარებისა ვერ შეიქმნა და გადაეარდა. ის ან საკუთრივ ქართული ახალი მასალით შეიცვალა, ანდა ახალ წრეებში გასაელის მქონე უფრო მეტად გასაგები უცხოურით. როგორც ირკვევა, ასე მოსვლია სიტყვა ბანდაკ-საც, რომელიც ბერძნულიდან მომდინარე სფერო-დ-ით შეცვლილა.

2. დროში-ი — դოიძ

ეს სიტყვა რომელსამე პარალელურად არსებულ ქართულ-სომხურ ტექსტ-ში არ შეგვხვედრია. მას ეპოულობთ ჯერხნობით „მოციქულთა საქმის“ ეფერემ მცირისეული რედაქციის ნუსხებში კიდევ შენიშნა².

¹ ჯ. ლაუტლერი, *შანჯაკი* (Lautlehre) *ქრეხერს ნაქერსიქე ქიქათასაქ რათსქი*. «*სერაქა*», ერზიძინი, 1898 წ., გვ. გვ. 309—315; 365—371.

² „საქმე მოციქულთა“ ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოცემა ილია აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით. ძველი ქართული ენის ძეგლები. 7>, თბილისი, 1950 წ., გვ. 207.

«მოციქულთა საქმის» 28-ე თავის მე-11 მუხლს, სადაც საუბარია პავლე მოციქულის გამგზავრების შესახებ მელიტონის ქალაქიდან, ე. ი. კუნძულიდან, შენიშენა ახლავს რელაქტორისა კიდევ:

„რამეთუ მათ ეამთა კერპთ-მსახურთა ესე ჩუშულენდაჲ ჰქონდა და უფროდსდა ალექსანდრიელთა, რომელ კერპთა სახელებსა დროშმ-ჰყოფდიან ყოველთა საკმართა მათთა ზედა. ამითვე მიზეზითა აღნიშნულ იყო ნავიცა ესე ორთავე ფრთეთა ზედა დიოს კერპისა სახელსა ზედა“.

თვით მუხლი, რომელსაც ეს შენიშენა გამოუწვევია, ეფრემის რელაქციონში ასე იკითხება:

„და შემდგომად სამისა თჳსა შევედით ნავსა, ქალაქსა მას შინა დაზამთრებულსა, ალექსანდრიელსა, აღნიშნულსა დროსკორეთად“.

მოყვანილი ადგილებიდან ნათელია, რომ ნავი, რომელშიც პავლე მოციქული და მისი თანამგზავრები შემსხდარან, ალექსანდრიიდან ყოფილა და, რაც მთავარია, დიოს კერპის (|| დიოსკორეს) სახელი ყოფილა მასზე აღბეჭდილი. ე. ი. მისი სახელობისა ყოფილა. შენიშენის სიტყვები „დროშმჰყოფდიან“ სწორედ ამ „აღბეჭდვას“ ანუ „გამოსახვას“ აღნიშნავს.

სულ სხვანაირად განმარტავს დროშმ-ს სულხან-საბა ორბელიანი: „დროშმი ყოელთა კერპთა სახელი არს“. მას აქ დამოწმებული არა აქვს წყარო, რის მიხედვითაც უნდა ჰქონდეს ახსნილი ეს სიტყვა, მაგრამ, გგონია, რომ მისი წყარო ამ შემთხვევაში უნდა იყოს ეფრემ მცირის ზემორე აღნიშნული შენიშენა, რომელიც სახელოვან ლექსიკოგრაფს, ეტყობა, ჯეროვნად ვერ გაუგია.

როცა დროშმ-ის შინაარსს „ბეჭდისა“ თუ „გამოსახვის“ შნიშენელობით ვაღგენთ, მხედველობაში გვაქვს მისი სომხური პარალელი — *դրոშ*, რაც აბეჭედს, დამლას, ნიშანს ა აღნიშნავს. ეტიმოლოგია *დრუშ*-ისა უცნობია, წერს პროფ. პრ. აქარიანი¹, თუმცაღა აკავშირებენ სპარსულ *duros*-თან (Justi და Scheftelowitz-ი) და *darāyīš*-თანო (Canini).

ქართული „დროშმი“ ფორმითაცა და შინაარსითაც სომხურთან დგას. ამ სიტყვის აღრინდელი ხმარება სომხურში (ცალკეცა და მისგან წარმოქმნილი სიტყვების სახით), კერძოდ ბიბლიაში, რომლის სათანადო ადგილებში ქართულ ბიბლიას მოეპოვება — „ხატი“ (ლევიტ. 13, 28), „აბეჭედი“ (იოანეს გამოცხ. 13, 16-17; 14, 9-11; 15, 2; 16, 2; 19, 20 და 20, 4) ან „გამოდგმული“ (გამოსლვ. 32, 16) და „გამოსახული“ (II კორინთ. 3, 7), საბუთს გვაძლევს, მივიჩნიოთ ქართ. დროშმი-ი სომხურიდან შემოსულად.

სომხურიდან სესხებული სიტყვის (დროშმ-ის) ხმარება ეფრემ მცირესთან, ისეთ ქართულ მწიგნობარ-ფილოლოგთან, რომელიც თავის მრავალრიცხოვან თარგმანებს მხოლოდ ბერძნულიდან იღებდა და შეგნებულად გაურბოდა სომხურიდან თარგმნას ისეთ შემთხვევებში, როცა თვით სომხური

¹ სრ. *ს. ს. ს. ს. ს.*, *სტრუქტურისა და ფორმისა*, ტ. II, გვ. 633-634.

ბერძნულიდან იყო გადმოღებული, იმას მოწმობს, რომ ის ამ სიტყვას სომხური მწერლობის გზით კი არ იცნობს, არამედ მის როგორც მის სალაპარაკო ენაში გაერკელებულსა და მისთვის ახლობელს ხმარობს.

ფერემისათვის ეს სიტყვა არ იქნებოდა უცხო იმიტომ, რომ ის წარმოშობით იმ კუთხიდან ითვლება¹, სადაც სომხური ენა და ამ ენაზე არსებული მწერლობა მისი მოღვაწეობის ხანაზე უწინარეს ერთ დროს გაერკელებული იყო გარკვეულ წრეებში. ეს კუთხეა ტაო, სადაც საკუთარი ენითა და მწერლობით არსებობდა IX ს.-მდის სომხური მოსახლეობა, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო ამ საუკუნიდან დაადგა გაქართველების გზას ენითაცა და კულტურითაც².

მ. ხევს-ი — /x/xs

მამათა ცხოვრების წიგნებში, ანუ პატრიკებში, ხშირად მოიპოვება თხრობები, რომლებიც ანტონი მეგვიპტელს, ცნობილ მეუღაბნოეს. მიეწერება, ე. ი. მის ნათქვამად მიიჩნევა. IX და XI სს-ისად შინეულს უდაბნოსა და პარხლის მრავალთავეებშია (საქართველოს სახელმწ. მუზეუმის A ფონდის ხელნაწ. № 1109 და № 95) ისინი ერთად არიან თავმოყრილი სათაურის ქვეშ „სწავლანი წმიდისა მამისა ანტონისნი“. მის ერთ-ერთ თხრობაში ეხვდებით ჩვენთვის საინტერესო სიტყვას. თხრობა დიდი არაა, მოვიყვანთ მთლიანად.

„ძმანი ვინმე მოუქდეს მამასა ანტონის და ჰრქუეს მას: ამარქუ ჩუენ სიტყუაჲ, ვითარ ეცხონდეთჲ. ჰრქუა მათ ბერმან: აჰა ეგერა გეისმის წიგნისაჲ, კმა არს თქუენდაჲ. ხოლო მათ ჰრქუეს: აშენგანცა გუხებავს სმენად, მამაო! ჰრქუა მათ ბერმან: ესახარება იტყუს: უკუეთუ ვინმე გცეს მარჯუენესა ყურიმალსა შენსა, შენ მიუპყარ მარცხენეცა. ჰრქუეს მას: ავერ ძალ-გვცე ესე ყოფად. ჰრქუა მათ ბერმან: აუკუეთუ ვერ ძალ-გიცე მიპყრობად მარცხენისა, ერთი იგი ოდენ ხოლო დაითმინეთჲ. ჰრქუეს მას: ავერცა ეგე ძალ-გვცე. ჰრქუა მათ ბერმან: აუკუეთუ ვერცა ეგე ძალ-გიცე, ნუ სცემთ ცემისა წილ. და ჰრქუეს: ავერცა ეგე ძალ-გვცე. მაშინ ჰრქუა ბერმან მოწაფესა თჳსსა: აუქმენ ძმათა მავათ მცირედ ხევსი, რამეთუ არა უძლავს. უკუეთუ ესე ვერ ძალ-გიცე და ამას არა ჰყოფთ, რაჲ გიყო თქუენ, ლოცვაჲ ჯამსჲ“ (A 95, გვ. 327).

თხრობის ბოლო ნაწილი, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო სიტყვა — ხევსი — მოიპოვება, „მამათა ცხოვრების“ ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანში შემდგენიარად იკითხება:

„მაშინ ჰრქუა ბერმან მოწაფესა თჳსსა: აშუქმენ ძმათა ამათ მცირედი წუენი, რამეთუ უძლურ არიან. უკუეთუ ესე ყოველი ვერ შეგიძლია, რაჲსა გამოხვედით. სოფლით?“ (A 35, გვ. 253).

¹ ქ. გოგოლიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბ., 1951., გვ. 231.

² ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, თბ., 1944 წ., გვ. 062-063.

ესევე ნაწილი თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ თარგმნილ მამათა ცხოვრებაშია ასეა წარმოდგენილი.

„პრქუა ბერმან მოწაფესა თვსსა: ლექმენ მაგათ მცირედ გ ბოლვილი, რამეთუ სნეულ არიან და უძლურ. უკუეთუ ესე არა ძალ-გიც და იგი არა გნებავს, რად გიყო თქვენ?“ (A 1105, 175r).

სომხურ პატერიკში (Հարանց վարք-ში) შესაბამისი ადგილი ასე იკითხება:

„*Մայժամ ասէ ծերն յաշակերսն իւր. արասցես իղբարցոց կերակուր, քանզի իհանգ են. զի եթէ զայսոսիկ ոչ կարեն, ես զի՛նչ արարից սიցա*“ (ვენეციის 1895 წლის გამოც., ტ. II, გვ. 28).

როგორც მოყვანილი ტექსტის პარალელური ადგილებიდან ჩანს, ხევს-ს გვერდში უდგას, ერთის მხრივ, წუენ-ი და, მეორე მხრივ, გ ბოლვილი-ი. მათ შესატყვისად სომხურში *կերակուր*, ე. ი. კამადი-ა, რომლის შესახებ ქართულის მსგავსად არაა ნათქვამი, რომ ის მცირედიყო.

სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონში¹ ხევს-ი წარმოდგენილია ფორმით ხემს-ი, რომელსაც სახელოვანი ლექსიკოგრაფი შემდეგნაირად განმარტავს: „მცირედი რამ კამადი“-ო. საიდან აიღო საბამ ეს სიტყვა ამ ფორმით — წიგნიდან, კერძოდ რომელიმე პატერიკიდან, თუ ზეპირით — გადაქრით ვერას ეიტყვი. თეოფილე ხუცესმონაზონის პატერიკს საბა კარგად იცნობს, მისგან ის უხვად იღებს ხოლმე მასალას. რომელსაც ზოგჯერ წყაროს დასახელებაააც („მამათა ცხოვრება-ს“) ურთავს. ამ პატერიკში, როგორც ვნახეთ, ხევს-ის ნაცვლად გ ბოლვილი-ი იხმარება; ის ამ წიგნის არც სხვა რომელიმე თხრობაში გვხვდება, ასე რომ საბამ ის ან რომელიმე სხვა წყაროდან იცის. ანდა ზეპირით აქვს შეთვისებული. ცოცხალ მეტყველებაში ეს სიტყვა საბას მიერ მოტანილი ფორმით ახლაც იხმარება (გურულშია ხეფს-ი), ამიტომ; შესაძლებელია, საბას ის აქედან ჰქონდეს აღებული.

დღევანდელ სიტყვა ხმარებაში ამ სახელისაგან წარმოქმნილი ზმნაც გვხვდება; წაიხემსაო, იტყვიან, რაც იმას მოწმობს, რომ მასდარად ხემსვა ან (წა)ხემსება იქნება. ხემს-ის ფორმით ეს სიტყვა დაცულია სხვა ქართველურ ენებშიც.

რას ნიშნავს ხევს-ი, ეს კარგად ჩანს მოყვანილი ქართული მასალის შესატყვისობებიდან. იგია წუენ-ი. „წუენი“ ს.-ს. ორბელიანის განმარტებით (ემსაჯულთა წიგნისა 6,19-ის მოწმობის თანახმად) „არს სჯესნილო თუ სამიხზო ნაღულარი“. მისი ბადალი სომხური ბიბლიის მიხედვით *არყანასკ*-ია, რაც აგრეთვე წვეენის სხენებული შინაარსის გამოხატველია.

ერთი სხვა შესატყვისით ხევს-ი არის გ ბოლვილი-ი, ანუ მოხარშული, ან. როგორც საბა ამბობს „წუენის“ განმარტებისას, ნაღულარი, ე. ი. ნახარში. ამასთანავე ეს ხევს-ი უძლურთათვის თუ სნეულთათვის მიჩნეული საკმელი ყოფილა, როგორც იმას ზრობითა მოწმობანი გვიჩვენებენ.

სომხურ შესაბამის ტექსტს ხევს-ის შინაარსის დადგენაში ახალი არაფერი შემოაქვს, რადგან მისი შესატყვისი *კერაკიურ* ზოგადად კამადს, ანუ საკმელს, გამოხატავს და არა მის რომელიმე კონკრეტულ სახეს.

ხეცს-ი ჩენს ყურადღებას უმთავრესად იმით იპყრობს, რომ სომხურში მოკვეპოვება მისი პარალელი. ესაა *ქქსა*, რომელსაც სომეხი ლექსიკოგრაფები განმარტავენ როგორც საკმელს, მომზადებულს ფქვილისაგან, ღომის, თხელი ცომისა თუ პიურეს სახით. ეს სიტყვა ძველ სომხურში მარტო სახელის ფორმით მოიპოვება, ახალში კი ნასახელარი ზმნის სახითაც.

ძველ სომხურში *ქქსა*-ი ადრიდანვე გვხვდება. ბიბლიაში ის ორგან იხმარება: 1. „*Մայց Թամար քյր իմ, և արասցէ ինչ խէս*“ — „მოვედინ აწ დაჲ ჩემი თამარ, რადჲამცა მომცა მე յამად“ (II მეფ. 13,5); 2. „*Որպ Նոյս ոչ արասցէ զօրով ին խէսոյ. Թէ և ասնիցէ դայս՝ օտարք կերիցնս*“ — „მკელეულსა არა აქუს ძალი ყოფად ფქვილისა, ხოლო უკუეთუ ყოს-ცა, უცხოთა შეკამნენ იგინი“ (ოსე 8,7). არსად აქ სომხური *ქქსა*-ის ბაღდად ქართულში არა გვაქვს ხეცს-ი ან ხემს-ი, არამედ ყველგან ფქვილია მოცემული, რომლისაგან რაღაც მსუბუქი, უბრალო თუ სახელდახელო საჭამადი მზადდება.

შინაარსობრივად და ფონეტიკურად ზედმიწევნითი შეხვედრა ხეცს — *ქქსა*-ისა ამ სიტყვას ქართულ-სომხური საერთო ხმარების ლექსიკაში აქცევს. წერილობითი წყაროთი შემონახული ქართული ფორმა სომხურთან ახლოს დგას. ის მხოლოდ ერთ რამეში სხვაობს სომხურისაგან. ფუძეში სომხურს *ქ* დიფთონგი მოეპოვება, რომელიც სხვა შემთხვევებში *კ* დიფთონგის შემცვლელად გამოდის ხოლმე (მაგ.: *ქქ* ← *ქქ* და სხვ.). ძველი ქართულის ფორმა აქაც, სომხურში, ასეთს ცვლილებასზე მიგვიითითებს: *ქქსა*-ს წინ უსწრებდა უეჭველად *ქსა*-ი, როგორც ამას ქართული ხეცს-ი მოწმობს. ამდენად სწორედ სხვაობა საერთო ხმარების ამ სიტყვის ქართულსა და სომხურ ფორმებს შორის არსებითად იშლება.

ქართულისა და სომხურის ამ საერთო სიტყვის უძველესი სახის შემონახვა ქართულის მიერ და მისი დღევანდელი დაცულობა და გავრცელებულობა ქართულ-ქართველურ ენებს შორის ადვილად შესაძლებელია ამ სიტყვის ქართულ წარმოშობილობასაც მოწმობდეს, მით უმეტეს, რომ სომხურში მას ეტიმოლოგია ჯერხნობით არ ეძებნება.

И. В. АБУЛАДЗЕ

ОБЩИЕ СЛОВА В ГРУЗИНСКОМ И АРМЯНСКОМ ЯЗЫКАХ

Р е з ю м е

В словарном составе грузинского и армянского языков издревле встречаются общие слова, которые — посредственно или непосредственно — имеют общий источник, или же являются заимствованными друг у друга. Постепенное обнародование памятников древнегрузинской письменности, равно как и изучение еще неопубликованных, хранящихся, главным образом, в рукописных коллекциях Музея Грузии, выявляет все новые и новые, доселе неизвестные слова указанного типа, учет и толкование которых в свете учения лингвистических трудов И. В. Сталина являются необходимой задачей истории грузинского языка.

С этой целью автором статьи предприняты некоторые разыскания, результаты которых намечено представить в виде отдельных статей. В настоящей статье разобраны следующие общие слова, встречающиеся как в грузинском, так и в армянском языках: *ბაბღაჟი* — *ჭაჩაჩა* «корзина», *ღრუმბი* — *դրամ* «клеймо» и *ბჟჳი* — *խիւ* «легкая пища». Первое слово (*ბაბღაჟი*), по мнению автора, является заимствованием из среднеперсидского (скорее из одного из диалектов этого языка), но не из новоперсидского языка, к которому по форме более подходит грузинское слово. Дело в том, что появление памятника, в котором мы встречаем упомянутое грузинское слово, предшествует оформлению новоперсидского языка. Второе слово (*ღრუმბი*) автор считает заимствованием из армянского языка, где оно имело и имеет большее распространение, чем в грузинском, третье же слово (*ბჟჳი*) на этой же основе нужно признать грузинским, а его армянское соответствие *խիւ* — заимствованием из грузинского языка.

ქართულისა და სომხურის საერთო სიტყვები *

ქართულისა და სომხურის საერთო სიტყვების მორიგ წყებაში, რომელსაც ქვემოთ ვიხილავთ შედიან: შიშ (შივშაგ-ი) — ჯჲ, ძნ(ობა) — ჰაჲ, სპოდიონ-ი — აჲი-აჲჲაჲ და ფაკლ-ი — ჭასქსჲ.

4. შიშ-ი(შივშაგ-ი) — ჯჲ

ქართული ოთხთავის შატბერდულ ნუსხათაგანში, რომელიც 897 წელს არის გადაწერილი და სამეცნიერო მწერლობაში ცნობილია ჰადიშის ოთხთავის სახელწოდებით (გამომცემელი ამ ძეგლს C-თი აღნიშნავს¹), ორგან იხმარება შიშ სიტყვა. მის პარალელურად ოთხთავის შატბერდულსავე სხვა ორ ნუსხაში, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ჯრუჟ-პარხლის ოთხთავების სახელწოდებით (გამომცემელი პირველს D-თი, ხოლო მეორეს E-თი აღნიშნავს²), ალაბასტრი მოიპოვება. ამ სიტყვას ასეთი დაპირისპირებით ვხვდებით მათესთან (26,7) და შარკოზთან (14,3). ჰადიშის ოთხთავმა (C-მ) ალაბასტრის ხმარებაც იცის, მაგრამ ის იმ ნაწილში მოიპოვება (ლუკა, 7,37), რომელიც დოც. ივ. იმნაიშვილის დაკვირვებით სხვა რედაქციის ტექსტიდან არის მოხვედრილი დასახელებულ ნუსხაში².

სამეცნიერო ლიტერატურაში როგორც შიშის, ისე ალაბასტრის წარმომავლობა ცნობილია.

ალაბასტრის მომდინარეა ბერძნულიდან — *αλαβαστρος*, *αλαβαστρος*, *αλαβαστρος*. ეს ბერძნული სიტყვა ნიშნავს «ერთგვარ გამჭვირვალე შარმარილოსა თუ კირიან ქვას» ანდა «ამავე ნივთისაგან გაკეთებულ ჭურჭელს» სურნელების ან მირონის დასაცავად³. Boisacq-ის მიხედვით, როგორც პროფ. პრ. აქარიანს აქვს აღნიშნული⁴, ამ სიტყვას განმარტება მოეპოვება ბერძნულად: α უარყოფითი ნაწილაკია, ხოლო λαβή — «ყური, ტარი». ვინაიდან ეს ჭურჭელი უყურო იყო, ამიტომ შეიძლებოდა შეჭრქმეოდა მას ასეთი წარმოქმნის სახელიო. მაგრამ უფრო დასაჯერებელია, რომ ის უცხო სიტყვა იყოს, სესხებული ბერძნულის მიერო, შდრ. არაბ. البصرة — al-Basra «ბასრის ქვა».

ალაბასტრის პარალელურად ნახმარი შიშ კი იგივე სომხური ჯჲ-ია, რომელიც ოთხთავის ზემოთ დასახელებულ ყველა ადგილს უკლებლივ ამ სახით მოიპოვება.

* ეს მეორე წერილია. დასაწყისი იხ. ამავე ორგანოს პირველ წიგნში, გვ. 1—10.

¹ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით გამოსცა აკაკი შანიძემ, ძველი ქართული ენის ძეგლები 2, თბილისი, 1945.

² იქვე, გვ. 09—010.

³ ჯ. Ա ճ ա ճ ա ն, Հայերէն սըրմատական բառարան, I, հատոր, 62 ძმ.

⁴ იქვე.

თარგმნილ ძეგლთაგან შივეშაგს ვხვდებით ავთოგრაფიულ ნაწარმოებში: „წამებაჲ წმიდისა მიქაელისი, რომელი იყო ლავრასა დიდსა წმიდისა მამისა ჩუენისა საბაჲსსა“¹, რომელიც პრაფ. კ. კეკელიძის შეხედულებით „ნათარგმნი უნდა იყოს არა უადრეს მეათე საუკუნისა“².

აღგილი, სადაც ეს სიტყვა გვხვდება, ასეთია: „მაშინ ბრძანა ამირ-მუმლმან მოღებაჲ მოთხისა რკინისაჲ, დაკლიტულისაჲ და დასწავლულისაჲ. და ბრძანა განღებაჲ და აღმოღებაჲ შივეშაგისა მცირისაჲ დაბეჭდულისაჲ, რომელსა იყო წერილი წამალი შესასუმელი, წამსა ბაკუდინებელი, რომლისაჲ არს სახელი სამსალაჲ“³.

აქიდანაც ნათელია, რომ შივეშაგ-ი სითხის (აქ: საწამლაგის, სამსალის) ქურჭელია, რომელიც ჩადგმულია რკინის დაკლიტულ მოთხეში ანუ ყუთში.

შივეშაგ'ი, რაც იგივე შიშ'ია, თავისი მეღერი ჯ თანხმონით იმას ამელავენებს. რომ ის ფალაური, რომლიდანაც იგი წარმომავლობს, ახალი ფალაურია, ე. ი. საშუალო სპარსული სასანური ხანისა (226 წ.—642 წლამდე). ძველ ფალაურში ანუ არშაკუნიანთა ხანის (256 ქრ. წ. — 226 წლამდე ქრ. შ.) სპარსულში ბოლოკიდურ თანხმონად კ იყო ნაცვალად გ-ისა, რომელიც არც ერთის სახით აღარ ვხვდებოდა ახალ სპარსულში, რადგან ის აქ მოკვეცილია.

ამრიგად, სომხურთან საერთო და უძველეს ქართულ ძეგლებში ხმარებული შიშ'ი პირველთან ერთად (ქქ) ფალაურიდან მომდინარეობს. სომხურთან სრული შეხვედრა ამ სიტყვის ქართული ფორმისა შეიძლებოდა გამხდარიყო საფუძველი იმის მისაჩნევად, რომ ეს სიტყვა სომხურის გზით არის შემოსული ქართულში, მაგრამ ფალაურში სავარაუდო კიდევ სხვა ფორმის *xšaxk'ის დადასტურება მარტოოდენ ძველ ქართულში ხმარებული შივეშაგ'ით, სომხურისაგან დამოუკიდებელსა და ირანულისაგან უშუალო სესხებას უნდა მოწმობდეს.

ზედმიწეენით შივეშაგ-ი ფალაურისათვის xšaxk'ს ვარაუდობს. ნამდვილად ასე იყო, თუ ჯ ფალაური გრძელი ἱ-ს გადმოცემისათვის არის ὀსთან ერთად ნახმარი (ივ), ეს კიდევ საძიებელია.

5. ძნ(ობა) — ძაქნ

„ძნობა“ უძველესი ხანიდან გვხვდება ქართულ მწერლობაში. მისი პირველადი შინაარსის დადგენის საქმეში საყოველთაოდ აღიარებული აზრი არ არსებობს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში.

აკად. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით ეს სიტყვა („ძნობა“ და მისგან წარმოქმნილი „ძნობარი“ თუ „ძნობრი“) ბიბლიის მონაცემების შესაბამისად თითქოს „გუნდობრივობის ცნების გამომხატველია... და უფრო სარწმუნოებრივი ცეკვის აღმსრულებელთა გუნდებს ჰგულისხმობდაო“, ხოლო მეხოტბეების (ი. შავთელისა და ჩახრუხადის) ჩვენებათა თანახმად „რაკი ყოველი ასეთი

¹ Keimena — კიმენი, ტ. 1, კ. კეკელიძის რედაქტორობით, თბილისი, 1918, გვ. 165 — 173.

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტ. 1, თბილისი, 1941, გვ. 556.

³ Keimena — კიმენი, ტ. 1, კ. კეკელიძის რედაქტორობით, თბილისი, 1918, გვ. 170, 25 — 28.

როკვა ჩვეულებრივ გალობა-საკრავების აყოლებით იცოდნენ, ამიტომ მგალობელთა გუნდის აღმნიშვნელადაც ქტეულა-ო¹.

ის ვარემოება, რომ ძნობა, მძნობარი, მძნობარი აკად. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით გუნდობრივობის ცნების გამომხატველია, მას აფიქრებინებს, რომ ესენი „იმავე ძირის სიტყვა იყოს, რა ძირისაჲც ძნა-ა, რომელიც, საბას სამართლიანი განმარტებით «ყანის კონა-სა» ნიშნავს. შესაძლებელია ამის გამო გვეფიქრა, რომ ძნობა ფერხულისა და ფერხისაის მსგავსი ხელჩაკიდებული «მობითა» როკვისა და მძნობარი კიდევ პროკველთა გუნდის აღმნიშვნელი ყოფილიყო თავდაპირველად. როგორც წყობისაგან მწყობრი იყო ნაწარმოები, ისევე ძნობისაგან მძნობარი და მძნობარი უნდა იყოს წარმომდგარი-ო².

პროფ. კ. კეკელიძის მიერ „ძლის-პირი“ ტერმინის გარშემო გაკეთებული ერთი შენიშვნის თანახმად კი „термин этот („ძალი“, რომელიც ავტორის აზრით სიძია ან სიმებიანი ინსტრუმენტი) иногда заменяется словом ძნობა (ис. 150, стр. 4), без сомнения, равняющимся ძლობა“³.

მართლაც, როგორც იმ მასლის გათვალისწინებით, უმთავრესად ბექლური რივისა, რომლითაც აკად. ივ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა, ისე უძველეს ხელნაწერთა ჩვენებითაც ამ სიტყვის პირველადი შინაარსი და წარმოქმნილობა სხვაგვარად წარმოგვიდგება. „ძნობა“, —რაც უპირველეს ყოვლისა სომებიანი ინსტრუმენტის მიერ გამოცემულ ხმინობასა და მისგან წარმოქმნილი „მძნობარი“ კიდევ სიმებიანი ინსტრუმენტზე დამკვრელს გულისხმობს, —მომდინარეობს „ძალ-ისაგან“, ე. ი. საკრავი ინსტრუმენტის ღარის სახელწოდებისაგან: ძალ-ი → *ძლობს (ისე როგორც ჯმა → ჯმობს) ← ძნობს (მსგავსად ქორწილ-ი — ქორწინებისა; სიკუდილ-ი — სასიკუდილ-ისა...).

ძალ — ძნობასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოგვეავონდეს სომხური ძაჟს — „ქმა“ (კერძოდ: ვალობა — სიმღერა), რომლიდანაც წარმოებულია ზნაჟ — ძაჟსჟ — „ქმობა“. მართალია, ძაჟს-ს ინდოევროპული ენათმეცნიერების თვალსაჩინო მკვლევრები უკავშირებენ ინდოევროპულ ენათა წრის ამა თუ იმ წევრის ლექსიკურ მონაცემს, კერძოდ ძვ. სლავურ зѡиѡ — „ზმას“, მაგრამ სრული ფონეტიკური შესაბამისობის გამო ეს კავშირი საექვოდ ითვლება და, მაგ., პროფ. პრ. აპარიანისთვის მიუღებლადაც კი⁴.

აკად. ნ. მარი სომხურ ძაჟს-ს ქართულ „ძახილს“ უკავშირებდა (ИАН, 1917, გვ. 328).

ჩვენი აზრით სომხური ძაჟს ქართულზე დამოკიდებული ჩანს, — ამისგან უნდა იყოს ნასესხები. ქართველურ ენათგან ქართული „ძალ-ის“ შესაბამისი სვანურშია: „ჯღლ“ (ბალსზემოურში) და „ჯღლ“ (ბალსქვემოურში)⁵, სწორი ფონეტიკური შესატყვისობითა და არა სესხების სახით წარმოდგენილი ამ კილოებში. ქართულის ეს „ძალ“ (რომელიც შეიძლება *„ძან-ისაგან“ მომდი-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1938, გვ. 52.

² იქვე, გვ. 51.

³ К. Кекелидзе, Иерусалимский канонарь VII века (грузинская версия), Тбк-ანი, 1912, стр. 340—341.

⁴ ლ. მ. მ. მ. ლახვიძის არქანთაქანის რაიონის, IV ტ., გვ. 466 — 468.

⁵ ცნობა მომართულია მ. ქალდანმა.

ნარეობდეს), როგორც „ძნობის“ შინაარსი გვიჩვენებს, და ისიც, რომ მხოლოდ ქართულ ნიადაგზე ენიჭება მას სრული განმარტება, სესხების გზით ჩანს შესული სომხურში: ძნ(ობა) — ძაჟნ(ხე). ← *ძან (ძალ) — ძაჟნ¹. პირუკუ ვერ დავეუშვებდით, რადგან ამ სიტყვას ქართველურ ენებში, სხვათა შორის, ერთიმეორისაგან სესხებული სახით კი არ ვხვდებით, არამედ გარკვეული ფონეტიკური შესატყვისობით, რაც მის ზოგადობას, ანუ ერთადობას, გვიჩვენებს ქართველური ენებისათვის, ხოლო კერძობას სომხურისათვის.

8. სპოდიონ-ი — *საყიღხაჟ*

სპოდიონი ძველ ქართულ ძეგლებში კანტი-კუნტად გვხვდება. მას, სხვათა შორის, ვპოულობთ ზემოთ დასახელებულ (გვ. 4) იმ ორიგინალურ ქართულ ძეგლში, რომელშიც ში ვშაგ-ი შეგვხვდა, ე. ი. X ს.-ის მოლვაწის არსენ II-ის ნაწარმოებში — „ცხოვრებაჲ იოანე ზედაზნელისა და მოწაფეთა მისთაჲ“. ეს ნაწარმოები ერთადერთი ხელნაწერით არის მოღწეული ჩვენამდის და დაცულია ანა დედოფლისეული „ქართლის ცხოვრების“ ნუსხაში ამ ძეგლის დანართად.

ცხოვრების წიგნის გამომთქმელი ერთგან ლმერთს შემდეგი სიტყვებით მოუწოდებს: „სული სიბრძნისა და მეცნიერებისა და გულისკმის-ყოფისაჲ მოვედინ ზენე ზედა და მოეცინ პოენად მადლი სიტყუსაჲ ენასა ჩუნესა, რათა წმიდისა მის იოვანე ზედაზნელისათჳს ვიტყოდი უტომელად შემკობად, სარგებელისათჳს სპოდიონთა უდაბნოთაჲსა, რომელ არიან მოსწრაფებანი“².

„სპოდიონ-ი“, მოყვანილი კონტექსტით, უდაბნოს მკვიდრია: ე. ი. ბერ-მონაზონი.

ამ სიტყვის შესაბამის ძველ სომხურში ვხვდებით ფორმით: *საყიღხაჟ*, რაც „ბერს, მეუღაბნოეს, მონაზონს“ ნიშნავს. იგი სომხურში მხოლოდ მრავლობითი რიცხვით იხმარებაო, შენიშნავს პროფ ჰრ. აქარიანი³. სომხური *საყიღხაჟ* განსვენებული დიდი სომეხი მეცნიერის განცხადებით, პროფ. ჰუმბმანის ძიებაზე დაყრდნობით, მომდინარეობს ბერძნულიდან: *σπισμαξιδε* „მკვირცხლი, მოქმედი, გულმოდგინე“... იგი წარმოდგება ბერძნ. *σπισμαξ-სა-გან*, რაც „სწრაფა-ს“ ნიშნავს⁴.

ამრიგად, სომხური *საყიღხაჟ*-ს მსგავსად, ქართული სპოდიონ-ი მომდინარეობს ბერძ. *σπισμαξιδε*-ისაგან, რომლის პირველადი მნიშვნელობა „სწრაფა“ ყოფილა.

ამ ბერძნული სიტყვის ასეთი ძირითადი მნიშვნელობა კარგად უნდა იცოდეს ქართველმა ავტორმაც, რომლის ნაწარმოებიდან ზემოთ მოყვანილი ამონაწერიც ამას უნდა მოწმობდეს იმ სიტყვებით, რომლებიც, ჩანს, გლოსად ახლავს ბერძნულიდან სესხებულ სიტყვას: „... სარგებელისათჳს სპოდიონთა უდაბნოთაჲსა, რომელ არიან მოსწრაფებანი“ (მოსალოდნელი იყო: „მოსწრაფენი“).

¹ შესატყვისობისათვის ძან (ი) — ძაჟნ. შდრ. ნიგოზ(ი) — ზსიოჟ.

² ასურულ მოლვაწთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლეულია და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1955, გვ. 12, 1—8.

³ ჯრ. *Ա ձ ա ի խ ա շ*, *Հայերէն աղմատական բառագրք*, ტ. IV, გვ. 409 — 410.

⁴ იქვე.

7. ფაკელ-ი — *ქაქიჩი*

„ფაკელ“ სიტყვას ძველ ქართულს თარგმნილ აგიოგრაფიულ ლიტერატურაში ვხვდებით. ასე მაგ., «წამებაჲ შჯდთა ყრმათა ეფესელთაჲ», რომელიც ენობრივი, მეტწილად ლექსიკური ნიშნების მიხედვით არა უადრეს VIII ს.-ისა უნდა იყოს თარგმნილი, რამდენჯერმე ხმარობს ამ სიტყვას. მასში ერთგან ვკითხულობთ: „დაიბურა პირი თვის ფაკელითა, რაჲთა არა განცხადნეს; და შევიდა ქალაქად“-ო (H — 341, გვ. 593); სხვაგან კი ასეა: „აღსძარტუნეს ფაკელი მისი და მოხვეს ქედსა მისსა“ (გვ. 595).

ფაკელი მოეპოვება სულხან-საბა ორბელიანს თავის „ქართულ ლექსიკონში“, რომელსაც განმარტაეს, როგორც „თავს-სახევეს“-¹.

ფაკელ-ის შესაბამისი სიტყვა ძველ სომხურში არის *ქაქიჩი*, რომელსაც ძველადვე სომხურში ხსნიდნენ, როგორც „ოლარს (*ოლარს*)“ და მერმე, როგორც „საბეჭურს, მოსასხამს“, აგრეთვე როგორც „თავსახევესაც“ და სხვ...

როგორც გარკვეულია, სომხურში ხმარებული ეს სიტყვა ბერძნული წარმომავლობისაა. ბერძნული *ფაქელიძე* არის „შეკერა, ფუთა“. შემდეგში კი — *ფაქელიძე, ფაქელიძე, φαξιόλιον, φακεόλιον, φακεიλις, φαξιόλιον* და *φαξιόλι* „თავსახევეი, ჩალმა“².

აღნიშნულთან მიმართებით, უეჭველია, რომ ქართული „ფაკელი“ თავისი შინაარსითა და ფორმით ბერძნულიდან არის მომდინარე და, მაშასადამე, ეს სიტყვა (წინასთან ერთად) ბერძნულიდანაა შეთვისებული ქართულისა და სომხურის მიერ ურთიერთისაგან დამოუკიდებლად.

P. S. საგულისხმოა, რომ „ფაკელის“ შემცველ დასახელებულ ქართულ თარგმანში ხმარებულია ჩვენი ქვეყნის ძველი სინამდვილისათვის დამახასიათებელი ისეთი ტერმინები, როგორიცაა „პიტიახში“, რომელიც ამავე ძველის ძველ სომხურ თარგმანში *საკარქიუს*-ით არის წარმოდგენილი, ხოლო ქართული ამ სიტყვის სომხურ შესაბამისი *ჩიქსაქსი* ჩვენი ძველის ქართული თარგმანით „ანთიპატოს-ადაჲ“ აღბეჭდილი. ანთიპატოსი იგივე ბერძნული *ἀνθιπατος*-ია, რაც ძველ ქართულში საკმაოდ გავრცელებული „უპატოს-ის“ ნაცვალს ნიშნავს, ხოლო *საკარქიუს* — ეპარქოს-ი, როგორც პროფ. ჰრ. აკარიანს აქვს აღნიშნული³, ანთიპატოსის შინაარსთან ერთად ატარებს ქვეყნისა თუ კანტონის მმართველის მნიშვნელობასაც.

¹ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი პროფ. ი. ყიფშიძის და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1928, გვ. 350.

² ზრ. Ա շ ա ի խ ա ն. Հայերէն արժատական բառարան, VII, გვ. 1120 - 1121.

³ ზრ. Ա շ ա ի խ ա ն. Հայերէն արժատական բառարան, II, გვ. 727-728.

И. В. АБУЛАДЗЕ

ОБЩИЕ СЛОВА В ГРУЗИНСКОМ И АРМЯНСКОМ ЯЗЫКАХ

Резюме

В настоящей статье, так же как и в предыдущей (см. Труды института языкознания, серия восточных языков, т. I, стр. 1—10), автор ставит своей целью изучение особой категории словарного состава грузинского и армянского языков, а именно, слов общего происхождения в названных языках. В связи с этим в ней разбираются следующие общие слова: შიშ-ი (შიშაგ-ი) — *շիշ* „сосуд из стекла“; ძბ(ობა) — *ձայն* „издавать голос (струнного инструмента), петь, танцевать“; სპორობ-ი — *սպորտայ* „монах, отшельник“ и ფაქელ-ი — *փակեղն* „головная повязка, чалма“.

По мнению автора შიშ-ი, подтверждающее существование в среднеперсидском языке слова *šīšak, свидетельствует о заимствовании как этого, так и другого слова შიშ-ი непосредственно из этого языка, а не из армянского, в словарном составе которого входит это слово — *շիշ*.

ძბ(ობა), производное от слова *ძბ → ძალ т. е. „струны“, и означающее как „играть на струнном инструменте“ (дословно — „издавать голос струнного инструмента“), так и „петь“, „танцевать“, находит соответствие в армянском *ձայն* „голос“ („пение“), общепризнанная этимология которого до сих пор еще не установлена. По толкованию автора армянское слово *ձայն* заимствовано из грузинского — *ძბ(ძალ) → ძბ(ობა), ибо подлинное значение этого общего слова раскрывается лишь на почве грузинского и показаниями еще другого картвельского языка (сванского).

Слова же სპორობ-ი — *սպորտայ* („монах, отшельник“) и ფაქელ-ი — *փակեղն* („головная повязка, чалма“) являются заимствованными от греческого независимо друг от друга.

ოლია აბულაძე

ძართულიდან სმსხაბული სომხური სიტყვები

1. ძელოვან-ი (← ძელ-ი)—*ძხუიან* (← *ძხუიან*)

„ძელოვან-ი“ წარმოქმნილი სიტყვაა. იგი წარმოდგება „ძელ“ სიტყვისაგან. -ოვან ის სუფიქსია, რომელიც -ოსან -თან ერთად ქონების სახელებს აწარმოებს. „ძელოვანი“, მაგ., ძელებიანს აღნიშნავს.

ძველი ტექსტებიდან დამოწმებული არა გვაქვს „ძელოვან-ი“, მაგრამ მის აჩვენობას არაფერი უღვას წინ და, როგორც ქვემოთ ვნახავთ, იგი სომხური შესაბამისი სიტყვით კიდევაც დასტურდება.

„ძელოვან-ის“ შესაბამისი აღრიდანვე გვხვდება სომხურ მწერლობაში. იპოვება იგი როგორც თარგმნილს, ისე ორიგინალურ მწერლობაში. თარგმნილი ლიტერატურიდან პირველ რიგში ბიბლია უნდა იქნეს დასახელებული, ხოლო ორიგინალურიდან— V ს-ის სომეხი ავტორი ეზნიკ კოლბელი.

ბიბლიაში მას ვხვდებით:

შესაქმეთა წიგნის 8, 13-ში: *„სღ ხრავ სიჟ ძხეილს თაყანს, ვირ არარ-და აღსძარტუვა ნოე სართული კილოზნისა, რომელ ქმნა“* (A—51).

II ნეშტას 3,7-ში: *„სღ ყათხავ ვთილს ისლიქ ღვირმანს ღვირმანს ღ ძხეილს ღ ვიღირს-და მოქმნა ოქრო(ა)თა სახლი იგი და კედელნი, ბქენი, სართულები, კარები ოქრო(ა)თა...“* (H—855, 14 r.b; A—51).

ეზნიკთან კი მას ვხვდებით მის ცნობილ ნაწარმოებში *«ღნიღქმ აკანდიე»*¹ *«წარტიჟ ღ არხვასს ღ ვხეხეხქ რნიქხამ, ღ მხე ღ ამხნაჯნ არარაბიჟ ირ ღ ხერიჟ ხრქსიჟ—იფილს ღ ღვირმანს, ღვირმანს, ღვირმანს...“*

[კარგია მზე და მშვენიერი ბუნებით ჩვენთვისაცა და ყველა ქმნილათების, რომლებიც ცათა ქვეშე ვართ, სარგებელად და სახმარად, როგორც სანთელი ერთი დიდ სახლში ქერსა და იატაკს შორის ანთებული].

როგორც მოყვანილ მოწმობათაგან ჩანს *ძხეილს* აღნიშნავს „სართულს“, ე. ი. სახურავს, ბიბლიის წიგნების მოწმობათა მიხედვით, და ქერს ან სხვენს ეზნიკის მიხედვით.

ამ სომხური სიტყვის ასეთი მნიშვნელობა და მისი აღრიდანელი გამოთქმა („ძელუან“), ნებისთ თუ უნებლიეთ, ყურადღებას მიგვაქცევინებს ქარ-

¹ A—51-ში აქ ყველგან „და“ არის

² *Հատուիւր ընթերցուածք ի մատենագրութեանց նախնեանց ... ի Բ. Ք ու ն ե ս ն . վ ի խ ն ն ա , 1893, էջ 6.*

თულ „ძელ“-ზე, წინააღმდეგ პროფ. პრ. აპარიანის გაფართოებისა, რომ *ძეღი*-სთან „ძელ“-ის¹ მსგავსება შემთხვევითია².

სომხურ *ძეღი*-ში. ჩვენი აზრით, არა მარტო ქართულის „ძელ“ ძირი უნდა იყოს წარმოდგენილი, არამედ თვით მისი უწინარესი სრული ფორმა— *ძეღი*³—(რომელიც ძველ სომხურში გენტივეშია ხოლმე ჩვეულებრივ წარმოდგენილი) ქართული სიტყვის მთლიან სესხებას უნდა წარმოადგენდეს. ეს სიტყვაა „ძეღოვან-ი“ (→ *ძეღი*), რაც იმის აღმნიშვნელი ტერმინი უნდა ყოფილიყო, რისაც *ძეღი* -ია, ე. ი. „სხვენისა, ქერისა“. სომხური *ძეღი*-ძეღუან-ი ქართული „ძეღოვან-ის“ ამსახველია: „ძეღოვან-ი → ძეღუან-ი → *ძეღი*“ (მდრ. გოვარ-ი → გუარ-ი ან ცხოვარ-ი → ცხუარ-ი, მთოვარე → მთუარე...).

პროფ. პრ. აპარიანს *ძეღი*-ძეღუნ-ის დიალექტურ სახედ აქვს გამოცხადებული ტრაპიზონული „*ესქს-ე*“ - ცხინ-ქ, რომელთანაც განსაკუთრებული მსგავსება აქვს მეგრულ „ცხენი“-სა და „ხვ ენ“-საო, რის გამოც ესენი მას სომხურისაგან ნასესხებად მიაჩნია.

მეგრულში, როგორც პროფ. ი. ყიფშიძის „მეგრულ ენის გრამატიკიდან“ ჩანს⁴, მოიპოვება „ცხენი“-ი (ქართ. „სხენი“) სენაკურ დიალექტზე და „ცხენი-ცხენი“—სამურზაყანო-ზუგდიდურზე, რაც ნიშნავს „*потошок под огаром*“-სო. მაგრამ არსადაა „ხვენი“, რაც რომელიღაც წყაროში გრაფიკულ ნიადაგზე შეცდომით ამოკითხული, თითქოს მეგრულად არსებული „სხენი“ უნდა იყოს.

მტკიცება, თითქოს *ძეღი*-ის დიალექტური ფორმის *ესქს-ე*-ისაგან სესხებული იყოს მეგრული „ცხენი“-ი თუ „ხვენი“-ი, დამაჯერებელი არაა, რადგან „ცხენი“ თუ „ცხენი“ ქართული „სხენი“-ის სესხებაა და არა *ძეღი* - ძეღუნ-ისა, რომელიც ჩვენ, როგორც აღვნიშნეთ, ქართული „ძეღოვან“ (→ *ძეღი*)-იდან მიმდინარედ მიგვაჩნია, ისიც მეტად ადრე, უწინარეს ჩვენთვის ცნობილი ძველი სომხური ენისა.

„სხენ-ს“, როგორც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ჩვენებათაგან ჩანს, მოეპოვება სხვა ფორმაც: „სხუნ-ი“ (=სართულში შესანახავი რისა-

¹ ზრ. *Ա ճ ա ի խ ա ն, Հայերէն արժատոկան բառարան*, IV, էջ 480.

² И. К ш п ш д з е, Грамматика мингрельского (яверского) языка с хрестоматией и словарем, СПб, 1904, стр. 372.

³ ასეთი ნაირ-ნაირი ფორმები სულხანის ნაშრომში უნდა მომდინარეობდეს იმ დამოწმებული ტექსტიდან, რომელიც „საკუნ-თან“ მოიპოვება (ისლ 2,6). აქ, XVII ს-ის ბიბლიის ერთ ნუსხაში, რომელიც საბას ოჯახშია შესრულებული, იკითხება: „ხოლო მან აღიყუანა საკუნად და დამალა იგინი სელსა შინა, რომელ დახუნებულ იყო საკუნესა ზედა მისსა“ (H—885, 99 v. b) ცალკევეთ ამავე სიტყვის ვითარებით ბრუნვაში „სკუნად“ ფორმით ვხვდებით. ეს ფორმა „სკუნ-იდან“ მომდინარეა, ნაკუნშია ამისა, მაგრამ აქედან ვერ იქნება პირველი ფორმა—„საკუნად“. ეს შეიძლება უფრო „საკუნ“-იდან მომდინარეობდეს (აგრეთვე კუმშვით უე → უ). ასეთი შესაძლებელი ფორმების დაშვებით არის წარმოდგარი ის ნაირსახეობა, რომელიც საბას ლექსიკონში შეინიშნება. საბა რომ უპირატესობას მანიც „სხუნ-ს“ ანიჭებს, ეს კარგად ჩანს მისი ნარედაქციური ბიბლიიდან (H—51), სადაც უკვე ყველა შემთხვევისათვის დასახელებულ ადგილს „სკუნია“ მხოლოდ. გაურკვეველია ოდენ, თუ რად არის შეცვლილი ეს „სკუნ-ი“ ლექსიკონში „სხუნ-ად“?!

მე)“, „საჯინ-ი || საჯუნ-ი (=სხენი)“. უკანასკნელთან დამოწმებული ბიბლიის ერთ-ერთი წიგნი — ისო [ნავე] 2,6 — „საჯინ || საჯუნ-ისა თუ „სხენ || სხუნ-ის“ შინაარსს ზედმიწევნით გვირკვევს. სომხური ბიბლიის სათანადო წიგნიდან მას „*սահին-ք*“, ე. ი. იგივე „*ձեղուն*“ (=სართული, ი. ე. სახურავი, კერი) შესატყვისება, ასე რომ „სხუნ-ი“ ქართულშიც სინონიმი ჩანს „სართულ-ისა“, რომლის შესაბამისი ძველი სომხური ტექსტებით გამოდგა „*ձեղուն*“ (→*ձեղուսան*), მიმდინარე ქართული „ძელოვან-იდან“, რომელიც, როგორც ჩანს, ერთ დროს ქართულშიც „სართულ-ის“ აღმნიშვნელ ტერმინად ყოფილა ხმარებული „სხუნ-თან“ ერთად.

ამრიგად, სახლის „სართულისა თუ კერის“ აღმნიშვნელი ტერმინები სომხურში *ձեղուն* ← *ձեղուսან* და *ցխին-ք* (ტრაპიზონის სომხურ დიალექტში) ქართველური ენებიდან ნასესხები ტერმინებია, პირველი ქართული „ძელოვან-იდან წარმომდგარი და მეორე მეგრული-ცხვენ ცხვინ“-იდან.

შენიშნულია უკვე მეცნიერებაში, რომ „ძელოვან“-ის ძირი „ძელ“, მეგრული შესატყვისის ფორმით „ჯალ“, სესხებული აქვს სომხურს. სომხური *ჯալ-ით*, რომელიც „კუერთხ-ს“ ნიშნავს, მეგრულიდან არის სომხურის მიერ სესხებულიო [ჯა—ჯალ-ეფე (მრ. რ.)], აღნიშნული ჰქონია, ჰ. ფოგტის ცნობით¹, გ. დეიტერს.

ამგვარად, „ძელ-ი—ძელოვან-ი“ სომხურში შესულია ქართველური ენებიდან: „ძელოვან-ი—*ձեղուսան*“ ქართულიდან და „ძელ || ჯალ—*ჯაլ(ით)*“ — მეგრულ-კანურიდან. მეგრულ-კანურიდანვეა სესხებული ტრაპიზონული სომხური დიალექტის მიერ ქართული „სხვენ-ის“ შესატყვისი მეგრ. „ცხვინ-ი—*ցխին-ք*“.

„სხვენ-ის“ სომხური შესაბამისი სიტყვა *ձեղուն* ← *ձեղուսან*, რომელიც ქართულში ამ სიტყვის („სხვენის“) სინონიმად „ძელოვანს“ ავლინებს, მეგრულში „სხვენ-ის“ სესხებულ ფორმათა გარდა („ცხვენ-ცხვინ-ისა“) წარმოდგენილია „ოჯინჯალ“ ტერმინითაც. პროფ. ი. ყიფშიძის „მეგრულის გრამატიკაზე“ დართული ლექსიკონის მიხედვით „ჯინჯი, ჯინი“ აღნიშნავს „ძირ-ს“, ხოლო „ო-ჯინჯალი“ — „ფიცრებს ან ძელებს, გაწყობილს კერის თავზე“². აქიდან ცხადი ხდება, რომ ეს თხზული სიტყვა უნდა იყოს და ერთ-ერთ წევრად მასში უნდა შედიოდეს „ჯალ“, რაც ქართული „ძელ“-ია. ამ „ჯალ“-ის წინამავალი „ჯინ“ კი, როგორც ი. ყიფშიძე განმარტავს, ქართული „ძირ-ია, ამრიგად, „ოჯინჯალ-ი“ არის „სადირე ძელი“. შეიძლება ეს სახელწოდება წარმომდგარი იყოს იმის გამო, რომ „ძელი თუ ძელები, ე. ი. ხე-ხეები, რომლებიც კერის ზემოთაა გაწყობილი“, სათავეა ან ძირი რკინის ჯაჭვისა („ნაჭა—ლანჭა-სი“) ან ხის საკიდარისა („კაჩა-სი“), რომელიც, ი. ყიფშიძის განმარტებით, ეშვება ოჯინჯალიდან კერაზე. თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ ნათლად ჩანს, რომ მეგრულში „ცხვენ—ცხვინ-ის“ გვერდით (რაც ქართული „სხვენია“) ხმარებული ყოფილა „ოჯინჯალ-იც“, რომლის შინაარსი („სადირე ძელი“) „სხვენ-ის“ გვერდით „ძელოვან-ის“ არსებობას ადასტურებს ქართულში.

¹ Hans Vogt. Arménien et caucasique du Sud. „Norsk Tidskrift for Sprogvidenskap“, B. IX, 1938, p. 330.

² И. К и п ш и д з е. Грамматика мингрельского (иберского) языка... стр. 414.

И. В. АБУЛАДЗЕ

АРМЯНСКИЕ СЛОВА, ЗАИМСТВОВАННЫЕ С ГРУЗИНСКОГО
ЯЗЫКА

1. ժԵԼՈՅԱՆ-ՈՒ (← ժԵԼ-ՈՒ) — ԶԵՂՈՒՆ (← ԶԵՂՈՒԱՆ)

Резюме

Армянское слово *ձեղուն*, встречающееся в древних текстах и означающее «потолок, кров», заимствовано с грузинского языка — **ժեղոյան-օ* (*ժեղ-օ* → **ժեղոյան-օ* → **ժեղոյան-օ* — *ձեղուան* → *ձեղուն*), означающее тоже, что и *ձեղուն*.

Диалектическая форма *ձեղուան-ա ջիւին-ք* (трапезундский диалект), от которого, по утверждению Р. Ачаряна, якобы заимствовано мегрельское слово «*Ծօօին*» «потолок над очагом», сама является заимствованием с мегрельского, где это слово проникло с грузинского «*სხვენ-ი*», «*საჯეინ-ი*» означающее тоже самое, что и **ժեղոյան-օ*, т. е. «кров, потолок».

НЕСКОЛЬКО ОБЩИХ СЛОВ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ И ДРЕВНЕАРМЯНСКОМ ЯЗЫКАХ¹

Член-корр. АН Груз. ССР И. В. АБУЛАДЗЕ (Тбилиси)

Немало общих слов известно в древнегрузинском и древнеармянском языках, свидетельствующих о тесной связи в различных сферах материальной и духовной жизни исконных соседей, говорящих на этих языках. Изучение таких слов уясняет, что часто они, посредственно или непосредственно, происходят или от одного общего источника, или же являются заимствованными друг у друга. К последней категории относятся те слова, которые разбираются ниже.

1. პიბნო — ყიბი (ноздри).

Древнейшее употребление этого слова в грузинском литературном языке нам пока известно, прежде всего, из Библии, а затем из древнегрузинского перевода Арсения Вачесдзе сочинения Иоанна Дамаскина «Источник знаний» (Πηγή γνώσεως).

„პიბნო“ встречаем в т. н. гелатской толковой Библии (Q—1152), в книге чисел, где в одном месте (11, 20) читаем: „შეამდეთ, ვიდრე მდის გამოვდეს პიბნთაგან თქუებთა“. Интересующее нас слово этой фразы პიბნთაგან в греческой Библии представлено словами „ἐκ τῶν μακτέρων“ (ἐκς ἂν ἐξέλθῃ ἐκ τῶν μακτέρων ὕμῶν, а в армянской — «ընդ որնգունա» (ուտիցեք ძինչև ելանիցե ընդ որնգունա ձեր):

Из сравнений и сопоставлений приведенных текстов ясно видно, что „პიბნო“ — ноздри, греческое — μακτέρ и армянское — որնგუ:

В другом месте, как уже отмечалось, „პიბნო“ употребляет Арсений Вачесдзе в осуществленном им переводе сочинения Иоанна Дамаскина «Источник знаний», а именно в 31 главе 11 части книги («Изложение православной веры»). Здесь, как явствует из заглавия («О чувствах»), идет разговор об органах чувств. Отмечается, что органы зрения, слуха, обоняния и вкуса имеются по два, «если что-либо повредит один, то другой будет исполнять его функцию». Эти органы суть — «два глаза, два уха, две ноздри (носа) и два языка» („სხუათა საგრძნობელთაგანნი თითოეულნი ორ-ორი შეჰმზადა დამზადებულმან, რაჟთა ერთსა თუ რაჟმე ვენოს, მეორე აღასრულებდეს საჰმარსა. რაჟეთუ ორნი თუაღნი და ორნი ყურნი და ორნი პიბნნი ცხვრთანი და ორნი ენანი დაჰზადანა“ (рукопись фонда S—1463).

Установлено, что упомянутое сочинение Иоанна Дамаскина переведено с древнегрузинского на древнеармянский язык Симеоном Пхиндзаанским, армянским деятелем первой половины XIII столетия², которому, как еще раньше было выяснено³, принадле-

¹ Доклад, читанный в секции литературы и языка объединенной сессии академий наук СССР, Армянской, Грузинской и Азербайджанской ССР 27 октября 1960 г.

² О древнеармянском переводе сочинения И. Дамаскина «Источник знаний» см. *Ի. Աբուլադզե, Ռուսթավելու գարաջրդանի վրաց գրականության արձագանքները հայ գրականության մեջ, «Տեղեկագիր ՄԱԽԻՄ ԳԱ Հայկական ֆիլիալի», № 8/22, Երևան, 1942*: ი. დ. აბულაძე, რუსთაველის ხანის ქართული ფილოსოფიური მწერლობის კიდევ ერთი ძეგლის თარგმანი ძველ სომეხურზე: «ენიმეის მთაბეჭ», 111, თბილისი, 1938;

³ И. Абуладзе. Древнеармянский перевод еще одного памятника грузинской философской литературы эпохи Руставели: «Сборник Руставели», Тбилиси, 1939; *ხ. Ավինեսიან, Միქելის Գրեմարանների և իր թարգմանությունները վրացերեն (1188—1288): «Հանդես Ամսորի», Կիևնա, 1947, էջ 193—210.*

³ Н. М а р р. Иоани Петрицкий — грузинский неоплатоник XI—XII вв., СПб., 1909

жит также перевод с грузинского сочинения Прокла Диадоха «Элементы богословия», с пространными комментариями Иоанна Петрици, выдающегося грузинского философа, которому принадлежит грузинский перевод этого произведения. Цитируемый отрывок из книги Иоанна Дамаскина в переводе Симеона звучит так: «*შაჲ ღჳჳჳარანჲს ზრჲლ ზრჲლი ათხჲბ ოსთიანჲს ჲ ყბნჲანჲს, Პრ ზრჲქ Პრჲს ახოთათჲს Პბჲ, Პრჲს აჲჲს ქღარხუგტ ღჲქთან, ღჲ რ აჲს ჲ Პბჲს რ, ჲ რ აჲს ჲ Პრჲს, ჲ Პრჲს რ ხოთჲბ*».

Из этого также явствует, что „*Პბჲ-Პ*“ (ноздря) передано этим же словом — *აჲს* — в армянском, где оно вообще имеет большое распространение как в литературе, так и в диалектах⁴.

Слово „*Პბჲ-Პ*“ разъясняется и в толковом словаре виднейшего лексикографа начала XVIII в. Сулхан-Сабა Орбелиани. Он правильно передает значение этого слова, говоря, что „*Პბჲ-Პ*“ „отверстие носа“, т. е. ноздря⁵. В форме „*Პბჲ-Პ*“ это слово приводится и у Д. Чубинова в его грузинско-русском словаре⁶. Этой последней формой („*Პბჲ-Პ*“) знакомо оно и зарубежным ученым.

„Грузинское „*Პბჲ-Პ*“ — „отверстие носа, ноздря“ [сходно] с осетинским [fɒ] „нос“, абхазским რუქ „нос“, ср. также с кабардинским fəŋe „нёбо“ и египетским fɒf „нос“. Связь этих слов с армянским не ясна. Г. Юшманн 397 кавказских слов считает заимствованными с армянского языка, что было бы совершенной истиной, если предположим, что конечный слог грузинского слова „*Პბჲ-Პ*“ (-*Პ*) представляет окончание -*ჲ* армянского двойственного числа, что бытует в каринском диалекте «*აჲს-ჲ-ჲ*» (*აჲს-ჲ-ჲ*), — писал в своем капитальном труде „Корневой словарь армянского языка“ покойный академик Р. Ачарян⁷.

Не располагая данными древнегрузинских текстов, Р. Ачарян, как видно из приведенного суждения, при анализе слова „*Პბჲ-Პ*“, знакомого ему лишь из словаря Д. Чубинова, допускает некоторую неточность. Его предположение, что последний слог (-*Პ*) слова „*Პბჲ-Პ*“ может быть увязан с армянским суффиксом двойственного числа -*ჲ*, имеющего употребление в некоторых армянских диалектах, не оправдывается данными древнегрузинского языка. Согласно приведенным текстуальным свидетельствам памятников, основой грузинского слова является *Პბჲ*. Приведенное же в словаре Д. Чубинова слово „*Პბჲ-Პ*“ основой выявляет „*Პბჲ*“, что в форме „*Პბჲ*“ вполне возможно в древнегрузинском.

Итак, аргумент предположения о заимствовании грузинского слова „*Პბჲ-Პ*“ с армянского «*აჲს*» не нашел подтверждения со стороны показаний грузинского языка. А то обстоятельство, что налицо присутствие близких форм грузинского слова „*Პბჲ-Პ*“ и в других кавказских языках, равно как и отсутствие какой-либо связи армянского «*აჲს*» с другими родственными ему языками, подсказывает, что это слово надо считать заимствованным с иберийско-кавказских языков, в частности с грузинского.

О кавказском происхождении осетинского *fɒp* указывается и в «Историко-этимологическом словаре осетинского языка» (т. I, М.—Л., 1958) В. И. Абаева. Перечисляя слова из кавказских языков, близкие по звучанию с осетинским *fɒp*, автор приходит к выводу, что «Осетинская форма настолько близка к кавказским, особенно абхазской, что отрывать ее от них не представляется возможным».

2 *ძეღოვან-ი (-ძელ-ი) — მხეღან (-მხეღან)

В армянском языке издревле употребляется слово *մեղոս* «потолок, кровля». Оно встречается как в переводных, так и в оригинальных произведениях. Из переводной

⁴ *Հ. Ա. Ն ա ո ի ս Ն, Հայերէն արժաստական բարարան, Կ.*

⁵ სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, ავტორტაფული ნუსხების მიხედვით გამოცემად მოამზადა ილია აბულაძემ, თბილისი, 1965 წ., გვ. 625.

⁶ «Грузино-русский словарь, вновь составленный Давидом Чубиновым», СПб., 1887.

⁷ *Հ. Ա. Ն ա ո ի ս Ն, указ. соч., стр. 1058.*

литературы в первую очередь нужно отметить Библию, а из оригинальной литературы — сочинение Езника Колбского, автора V века.

В Библии это слово находим, во-первых, в книге Бытия. Здесь в одном месте (8, 13) читаем: «*Եւ երայ Նոյ գմեզուն տապանին, զոր արար: Եւ ցրտի զարհուրեալս զգրեալսն զարհուրեալսն զարհուրեալսն*»: В грузинском же тексте этому слову соответствует «სართულ-ი» (და აღსმართულა ნუე სართული კიდობნისა, რომელ კმბა—А—51), а в русском — „кровля“.

Интересующее нас слово встречается и во второй книге параллелистического (3, 7) в следующем контексте: «*Եւ պատեաց զտունն ոսկով և զորման և զգրուսն և գմեզուն և զգրուսն*»: В грузинской Библии ему соответствует опять-таки «სართულ-ი» («მოკმბა ოჭროთათა...» (Н—855, 14 ч.), т. е. „кровля“.

У Езника же слово это — *մեղուն* — употребляется в его известном произведении «*Հնգգեմ ազնորոց*» («Против ересей»). В нем мы читаем: «*Բարիք է արեգակն և գեղեցիկ բնութեամբ, և մեզ և ամենայն արարածոց՝ որ ի ներքոյ երկնից՝ յօգուտ և ի զարման, իբրև երազ մի ի մեծի տան ի մեջ մեղուան և յատակի լուցեալ...*» «Хорошо солнце и прекрасно оно по природе; оно для нас и всех поднебесных тварей на пользу и спасение, как заженная свеча в большом доме между потолком и полом».

Из приведенных цитат, относящихся к ранним памятникам армянской литературы, как и из сопоставлений с грузинскими текстами, видно, что *մեղուն* означает «кровля, потолок».

Такое значение этого слова и его произношение в древнеармянском как *zēlup* невольно обращает наше внимание на грузинское «*ძელ-ი*», несмотря на предупреждение академика Ачаряна, по мнению которого между армянским *մեղուն*—*zēlup* и грузинским «*ძელ-ი*» существует лишь случайное сходство⁸.

В древнеармянском слове *մեղուն*—*zēlup*, происшедшем от ранней формы *մեղուան*—*zēluan* (как на это указывает форма родительного падежа этого слова в древнеармянском), не только проглядывается грузинское «*ძელ-ი*», но все оно в целом является заимствованием древнегрузинского **ძელუვან-ი**, resp. **ძელუან-ი*». Правда, в древнегрузинском языке нам пока еще не известна «*ძელუვან-ი*», но она вполне возможная форма, образованная от основы «*ძელ*»: посредством суффикса *-ուვან* она производит прилагательное имя с значением «имения, обладания и свойства». «*ძელուვან-ი*» бреванчатый применительно к потолку мог, конечно, в случае обращения в субстантив, заменить в данном случае древнегрузинское «*სართულ-ი*» или «*სბუნ-ი*» «кровля», «крыша», «чердак», с которыми нам приходится встречаться в ранних памятниках письменности.

Итак, армянское *մեղուն*→*մեղուն*—*zēlup*→*zēlup* является заимствованным словом с грузинского «*ძელուვან-ი*»—*zēluvan-i*, к которому оно восходит через «*ძელუან-ი*», в возможную форму в грузинском (ср. *ცხვარი-ი*→*ცხვარი*, *გვარი-ი*→*გუარი-ი*, *მთვარი-ი*→*მთვარი*).

По мнению академика Ачаряна, диалектной формой слова *մեղուն* является *ցիჩիք* трапезунтского говора армянского языка, с которой особенное сходство проявляют *ցիպիტი*, *խվახли*¹⁰, за что они и признаны заимствованными словами с армянского.

В мингрельском, как видно из «Грамматики мингрельского языка» проф. И. Кипшидзе¹¹, имеется «*ცხვნი*» (груз. «*სხვენ-ი*») на сенакском говоре, «*ცხვნი*—*ცხვნიდი*»—на самурзакано-зугдидском, означавшие «потолок над очагом». Приводимую академиком Ачаряном форму *խվახли*—*ხეხები* мы в книге И. Кипшидзе не встречаем. По-видимому, это опечатка, или же ошибочно вычитанная форма, быть может, «*სხვნი*» или «*ცხვნი*» из какого-то иного источника.

⁸ *Եւ զն ի կ 4 ո զ ր ա ջ ի, եղ թ ա զ ա ն ո ղ ո յ, Թ ի ֆ լ ի զ, 1911, стр. 11.*

⁹ *Հ ր. Ա ճ ա ո ի ա ն, Հ ա յ ի բ լ է ս ր մ ա տ ա կ ա ն բ ա ո ս ր ա ն, IV, стр. 480.*

¹⁰ Там же.

¹¹ И. Кипшидзе. Грамматика мингрельского (инверского) языка с хрестоматией и словарем, СПб., 1904, стр. 372.

Соображение, будто с диалектной формы слова *მეგრულ-გეგნე*-а заимствовано мингрельское „ცეგნი“ или „ხეგნი“ (sic), „ცეგნი“ не убедительно, так как „ცეგნი“ или „ცეგნი“ являются заимствованными с грузинского „სხეგნი“ (скорее мингрельским соответствием грузинского სხეგნი), а не *მეგრულ*-а, которое, как отметили выше, нужно считать происшедшим от грузинского „ძელოვან-ი“ → „ძელუან-ი“.

„სხეგნი-ი“ в грузинском, как видно из словаря Сулхан-Саба Орбелиани, имеются параллельные формы: „სხეგნი-ი, სავიგნი-ი, სავიგნი-ი“. Ссылка по этому поводу на одну из книг Библии, а именно из Иисуса Навина (2,6), точно выясняет нам значение слова „სხეგნი-ი“ (с его вариантами). Из армянского же текста Библии ему соответствует *սահեգ*, то же самое, что и *მეგრულ*. Таким образом, „სხეგნი-ი“ в грузинском является синонимом „სართულ-ი“, соответствующее по значению армянскому *մեგრულ* (← *մեგრულան*), заимствованному из грузинского „ძელოვან-ი“ → „ძელუან-ი“, которое в одно время в грузинском тоже должно было фигурировать в качестве синонима „სართულ-ი“ и „სხეგნი“.

Итак, *მეგრულ* (← *მეგრულან*) и *გეგნე*—термины, обозначающие „кровля“, „потолок“ или „чердак“ (дома), заимствованы армянским языком из картвельских языков, первый—*მეგრულ*←*მეგრულან*—из грузинского „ძელოვან-ი“ → „ძელუან-ი“, а второй—*გეგნე*—из мингрельского „ცეგნი“ или „ცეგნი“.

Кстати, мингрело-лазское соответствие грузинского слова „ძელ-ი“—„ჯა(ლ)“, как выяснено Деетерсом¹², тоже заимствовано армянским языком и представлено основой в слове *ջալ-ոս*—„палка, палица“.

3. ლელ-ი — ուղիղ

Самое раннее употребление „ლელ-ი“ в грузинской письменности пока что засвидетельствовано в памятнике XI века¹³. Сороковым годам этого столетия принадлежит новый перевод творения Григория Нисского «О сотворении человека». Георгий Святогорец, известный переводчик с греческого на грузинский язык, в 30-й главе названной книги, где говорится о пронзании волос для передачи слова «некурчавые» (имеются в виду волосы) употребляет однозначные слова „ლელი და განმარტებული“, т. е. „прямые“. В армянском переводе упомянутого творения Григория Нисского употреблено слово «*ուղիղ*», обозначающее то же, что и „ლელ-ი“, т. е. „прямой“.

В том же значении, как у Георгия Святогорца, употреблено „ლელ-ი“ у Руставели в поэме „Витязь в тигровой шкуре“ в том месте, где повествуется о взятии кадзетской крепости и о встрече Тариеля и Нестан-Дареджан, сказано, что у Тариеля „шел был снят, им приглаженный шел пробор прямых волос“ („მუხარადი მოეხადა, ჰშენის აკრვა თმას ლელს“). В применении к волосам в том же значении слово это встречаем и в лечебниках, напр. в „Книге врачевания“ („წიგნი საკიბოლ“), перевод которой исполнен в начале XIII века, в эпоху Руставели¹⁴.

Как отмечено выше, в армянском языке данному слову соответствует «*ուղիղ*», что, по моему, своим содержанием и своей формой нельзя считать случайным совпадением.

Армянское слово «*ուղիղ*», имеющее значение „прямого, хорошего, правого, истинного“¹⁵, в старину имело и другую форму (написание)—*ուղիგ-լელ*, чем оно и фо-

¹² G. Vogt, Arménien et caucasique du Sud. „Norsk Tidsskrift for Sprogvidenskap“, V. IX, 1938, стр. 330.

¹³ Впоследствии оно обнаружилось в раннем переводе (IX в.) с арабского на грузинский язык творения Григория Нисского «О сотворении человека». См. мое издание: «Древнейшие редакции «Шестоднева» Василия Великого и толкования «Об устройении человека» Григория Нисского. Тбилиси, 1964, стр. 292, 2.

¹⁴ წიგნი საკიბოლ, ლადო კოტეტიშვილი, მელიტინა ძველ საქართველოში, XIII საუკუნე, თბილისი, 1936, გვ. 57, 15.

¹⁵ Հր. Ա ճ ա ի ն ա ն, Հայերէն արմատական բառարան, V, стр. 631.

нетически совпадает с грузинским: *ուգեղ-սել*—*ლელ-ი-ლელი*. Единственная разница заключается лишь в начальном гласном *-ու*, который, видимо, отпадал в данном случае так же, как и в других, — *ուգეղ-ուգეղ* → *ეղეղ*, *ուგერძ* → *ეგერძ* и т. п.

Этимология армянского *ուգեղ-ուգեղ*—*սլի-սլել*, как и грузинского *ლელ-ი-ლელი*, не известна, но зависимость грузинского от армянского бесспорна, ибо в армянском из *ուգեղ*, *ուგեղ* произведены разные слова, как и составлены разные композиты, тогда как в грузинском „*ლელ-ი*“ стоит особняком, если не примем во внимание то, что оно должно входить в качестве компонента в составном слове *ლელ-წამი*—*ლურ-წამი*, встречающемся в древнегрузинской письменности с ранних веков.

4. გურკნვა — გრკვნვა — ერკხი (—ეჩრქ)

В одной из редакций грузинской библии, в т. н. гелатской (Q—1152), в книге чисел в одном месте (11, 12) читаем: „*ალიხუენ იგინი წაილსა შენსა, ვითარცა აღიქვს მგრკვნველ მან მწოარი*“: В другой редакции той же библии соответствующий текст гласит: „*შთაისხენ ეგინი წაილთა შენთა, ვითარცა აღიქვს დედამძუძუ მან მწოარი ჩქლი*“.

Из сопоставления этих двух контекстов ясно видно, что „*მგრკვნველი*“ по значению сходен с „*დედა-მძუძე*“, т. е. они являются синонимами, которыми из греческой библии соответствует *αἰθυσίς*, а из армянской — *գալխակ*, что значит „кормилица, няня“.

Форма „*მგრკვნელი*“ представляет собой причастие настоящего времени. Она произведена от глагола „*გრკვნვა*“. С такой формой этого глагола в других памятниках грузинской письменности пока еще не приходилось встречаться. Была обнаружена лишь форма „*გურკნვა*“ в одном месте „Мученичества Филектимона“, которое принадлежит к числу ранних переводов с армянского¹⁶. Здесь читается: „*არა რეცა გუშენ გიგურკნვედი შენ მართა გდა ჩემთა?*“¹⁷, что в армянском оригинале выглядит следующим образом: „*ուչ ხրեց գ գ ու ლ ზ ღ გ ხ ღ ჩ რ ღ ს ზ ა*“¹⁸. „*გურკნვა*“ этого сочинения то же самое, что и „*გრკვნვა*“ гелатского списка грузинской библии.

Значение „*გურკნვა*“, или „*გრკვნვა*“, может быть уяснено лишь сопоставлением грузинского перевода с армянским оригиналом „Мученичества Филектимона“. Формам „*გიგურკნვედი*“ грузинского текста в армянском находит соответствие *გგოლქ*, что в переводе означает: „ласкал, брал в лоно или в объятия (с любовью)“.

Для армянского соответствия грузинского „*გრკვნვა*“ (resp. *გურკნვა*) *გგოლქ*, по нашему мнению, исходной основой является *გოგ* „лоно, объятие“, тогда как для самого грузинского „*გრკვნვა*“ (resp. *გურკნვა*) исходной основой является „*გრკ-*“ (что в производном от нее слове „*გრკ-ალ-ი*“ „дуга“), которой соответствует армянское слово (основа) *գրրգ* (→ *ერკხი*), по значению то же самое, что и *გოგ*.

Этимология армянского слова *ერკի* (→ *ერკხი*) доселе не выяснена, но несмотря на это, оно является источником для грузинской основы „*გრკ-*“ („*გრკ-ალ-ი*“) и производных от нее „*გრკვნვა*“ и „*გურკნვა*“, так как именно в нем (в армянском) сохранено его первоначальное, предметное значение.

Из глагола „*გრკვნვა*“, как отметили, происходит термин „*მ-გრკვნველი-ი*“, который соответствует другому более распространенному грузинскому термину „*დედა-მძუძე*“— „мать-кормилица“. Первоначальное значение „*მგრკვნველი*“, это — „обнимающая, берущая в лоно или в объятия“, а переносное — „кормилица, няня, воспитательница“.

¹⁶ ილ. აბულაძე. ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები, „მრავალთავის“ ზოგიერთი თავის წყარო: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, VI, გვ. 329—347, 1936.

¹⁷ ქ. კეკელიძე, კიმენი, ნაწ. I, 142, 16, თბილისი, 1918.

¹⁸ *Վարդ և վկայարաններից սրբոց, հատրտիր ցաղեսպե ի ճառընտրաց, հատ. II, Վենետիկ, 1874, стр. 450, 33.*

ილ. აბულაძე

ორი გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობისათვის

(„ლადონი“ და „პარენი“)⁽¹⁾

ერთი წყება გეოგრაფიული სახელებისა ნაწარმოები ჩანს იმა თუ იმ საგნის სახელისაგან, რომლებიც „ზირად მრავლობითის ფორმით არის წარმოდგენილი: რკონი (კრკონ-ისაგან), მხლ-ეზ-ი, ქე-ეზ-ი, კოშკ-ეზ-ი, ხიზნ-ეზ-ი, ბაგ-ეზ-ი და სხ...“-ო [1]. აქ ეს სახელები სახელობითი ბრუნვის ფორმითაა მოცემული, მაგრამ შეიძლება გენიტივის ფორმითაც იყენენ წარმოდგენილი: „ამგვარი წარმოშობის სახელები (საუბარია სოფლის სახელებზე, რომლებიც გვარისაგან არის ნაწარმოები) გენიტივის ფორმითაც არის დადასტურებული (ფშავსა და ხევსურეთში): ცაბურ-თა, გოგოლაურ-თა, ბულალაურ-თა, მიგრიაულ-თა და სხ...“ [1, გვ. 134]. ერთი იმ სახელთაგანი, რომელზედაც ქვემოთ საგანგებოდ გვაქვს გულისყური მიპყრობილი, დასახლებული ადგილის სახელწოდება არაა, არც საგნის სახელიდან ან გვარიდან არის წარმომდგარო, არამედ, როგორც ენახავთ, საგნის ნიშნის სახელისაგან მომდინარეობს, ხოლო მეორე საზოგადო სახელისაგან წარმოქმნილ საკუთარ სახელს წარმოადგენს. პირველია მთის სახელი, რომელიც ძველს წერილობითს წყაროებში უფრო ბეტად „ლადონი“ ან „ლადოთა“ ფორმით გვხვდება, მეორე კი ადგილის სახელია, რომელიც „პარენი-პარენთა“-ს სახით არის დადასტურებული.

„ლადონი“, „ლადოთა“, ზოგჯერ „ლადო“-ც, სხვადასხვა ძველს ლიტერატურულ ძეგლში მოიპოვება, როგორც წმინდა საისტორიოში, ისე აგიოგრაფიულშიც. საისტორიო ნაწარმოებთაგან უწინარეს ყოვლისა ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებები უნდა მოვიხსენიოთ. ლეონტის იქ, სადაც ქართლოსის სამფლობელოზე იქვს საუბარი, ამ სამფლობელოს ჩრდილოეთის საზღვრის ილწერისას, აღნიშნული აქვს, რომ თარგამოსმა ქართლოსს

„უჩინა... ჩრდილოეთ საზღვარი ღაღო, მთა მცირე, რომელი გამოვლის შტოდ კავკასიისგან და მოჰკიდავს წუერი დასასრულსა ღაღოსა. რომელსა ჰრქვან ლიხი“ [2].

„ლადოს“ იხსენიებს ლეონტი ალექსანდრე მაკედონელის ამბების თხრობის დროსაც:

(¹ წაითხულება სტალინის სახელ. თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის სხდომაზე 1943.VII.6.

„პოვნა [ალექსანდრე] ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუა ქართლ(ს): წუნ-
და, ხერთვის მტკურისა, ოძრვე, მოკიდებული კლდესა და დოს(ს)ა...“
[2, გვ. 12].

„მოკიდებულად მთასა და დოს(ს)ა“ ამავე ისტორიკოსს მოხსენებული
აქვს სამცხის ერთ-ერთი ციხე, დემოთი-ც (var. დომთა) [2, გვ. 29].

ლეონტი მროველის აღნიშნული ცნობების შესახებ უნდა ითქვას, რომ
როცა მასთან ქართლოსის ხედრის ჩრდილოეთის საზღვარზეა საუბარი, იქ მისი
მთლიანი სამფლობელო კი არ იგულისხმება, არამედ, როგორც ეს უკვე შენიშ-
ნულიცა აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს, მხოლოდ ერთი ნაწილი და ისიც მესხე-
თის მხრით [3]. ასე ესმის მითითებული ადგილი „ქართლის ცხოვრების“ სომეხ
მთარგმნელსაც, რომელსაც ეს ძეგლი XII ს-ის მეორე ნახევარში უთარგმნია
გამოკრებით სომხურად [4]: *ხ. ჯ. ხამაკაქრს კილასთი ქილამაჲ ზიქკასთი, სას
ზკარქიქჲ & შაკიქჲ ძჩუჯ & ვსხასი* [5]. „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგ-
მანთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მითითებული სხვა ად-
გილებიდან მხოლოდ ერთს ვხედებით კიდევ მასში თარგმნილად. ის ალექსანდრე
შაყედონელის ქართლში შემოსვლას ეხება. სომეხ მთარგმნელს ეს ადგილი.
— ოძრვე მოკიდებული მთასა და დოს(ს)ა“, ნათარგმნი აქვს — *// სხ. ბქს. ჯაიი. ვხასი
ღუჲ ჯაქრს ლაჲა [ა]სიჲ* (წიკი.: *ლაჲიიჲ*). ეტყობა, სომხურს ხელნაწერ ნუსხებ-
ში *ღ* (*ლაჲაღა*) გრაფიკულ ნიადაგზე *ღ*-დ ქცეულა, ანდა თვით მთარგმნელს
ჰქონია ხელთ ისეთი ნუსხა, რომელიც მხედრულად ყოფილა ნაწერი, და ამ ხე-
ლის „ღ“-სა და „ლ“-ს მსგავსების გამო მოსვლია შეცდომა. ამასთან აღსანიშ-
ნებია ისიც, რომ აქაც, ისე როგორც ზემოთაც, ზოგიერთი გეოგრაფიული სა-
ხელის გადაღების დროს ბრუნვის ნიშანი „ს“ ფუძისეულად მიუჩნევია: *ღსხს-სი,
ლაჲაღა-ღ* (თუმცა, თუ მის ნუსხასაც „ლაღოსსა“ ეწებოდა, მას შეეძლო ფუძედ
და დოს მიეჩნია).

ჯუანშერი „ლაღოთა“ ფორმას ხმარობს და მასაც მხოლოდ ერთგან:

„უკუმოსცა კისარმან [ვებტანგ გურგასალსო, გვიამბობს იგი] სა-
ზღვარი ქართლისა—ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი, ზღვთგან
ვიდრე არსიანთამდე, და ჭეენი, რომელი მოსდგმანან (var. M მოსდგ-
მენ, B მოსდგანან) და დოთა“-ო [2, გვ. 119].

ლეონტისა და ჯუანშერის აღნიშნული ცნობების მიხედვით აკად. ივ. ჯა-
ვახიშვილს შემდეგი დასკვნა აქვს გაკეთებული: „ლიხის მთების... გაგრძელებას
„ლაღო“ ერქვა... რომ ლიხის მთა და ლაღო ერთმანეთის პირდაპირს გაგრძე-
ლებას შეადგენენ, ერთი უღელტეხილის ნაწილები არიან... რომ ლაღოს მთა
სამცხეში იყო, ოძრვეს ქვეყანაში“ [3, გვ. 267—8]. აქვე, ჩვეულებრივი სიფრთხი-
ლით, განსვენებული მკვლევარი დასძენს, რომ „წინაღ-კი, როგორც ჩანს, ლაღო
იწოდება მთა ლიხითგან მოყოლებული ვგონებ არსიანთამდის“-ო.

აკად. ივ. ჯავახიშვილსვე აქვს შენიშნული სუბმატის პატრიანისა და გრი-
გოლ ხანძთელის ცხოვრების ცნობებზე დაყრდნობით, რომ „ლაღონი“ სამცხის
გარდა შავშეთსა და კლარჯეთშიაც ვრქმევია მთებს. ბაგრატუნიანთა ისტორი-
კოსი ამბობს:

„ყრუმან ბალდადელმან შემუსრნა ციხენი ყოველნი მოვლო შავშეთიცა და ლადონი“-ო [6].

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში კი კლარჯეთის საეპისკოპოსოს ადგილ-სამყოფლოს შესახებ ვკითხულობთ:

„არს იგი [ე. ი. ქუეყანად უდაბნოთად მათ] უგზო და მიუვალ რაფთურით სოფლისა წესითა მცხოვრებელთაგან, რამეთუ ლადოთა მათა შინა მალალთა არს მკვდრობად მათი“ [7].

ანდა ხანძთის ბუნების აღწერისას ნათქვამია:

„ხოლო სათესავი ყანად და სათიბელი ქუეყანად რაფთურით არა არს, არცა იქმნების ღირლოლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ ლადოთაჲსა“ [7, ია 50—51].

როგორც ამ ცნობებიდან ჩანს, „ლადონი-ლადოთა“ მთების აღმნიშვნელი სახელწოდებაა, რომელსაც სამხრეთ საქართველოს არა მარტო სხვადასხვა კუთხეში ვხვდებით, არამედ ერთ-ერთშიაც კი, მის სხვადასხვა ადგილში (შდრ. ერთმანეთს კლარჯეთის შესახებ თქმული ხანძთელის ცხოვრებიდან).

„ლადონი“—„ლადოთა“, მთის თუ მთების სახელი, საზოგადო სახელისაგან წარმოქმნილი ჩანს. ეს ირკვევა ერთი ძველი ქართული ძეგლიდან, რომელსაც „მამათა ცხოვრება“ ეწოდება, სახელდობრ ამ ნაწარმოების იმ რედაქციიდან, რომელიც ბერძნულიდან არის ნათარგმნი გიორგი მთაწმიდელის მოწაფის თეოფილეს მიერ [8]. აქ ერთგან ვკითხულობთ:

„და ვალნ იგი უვალთა ადგილთა და უკაცურთა და ძნელთა ლადოთა და კაპან-კაპანთა“-ო (175 v., b.).

ამ ადგილის შესატყვისი რედაქციულად შემხვედრ ამ ძეგლის სომხურ თარგმანში, რომელიც აგრეთვე ბერძნულიდან არის თარგმნილი (1 შემდგენი-რად არის წარმოდგენილი:

«*Շրջէր նա յանկիս և յանձարդարնակ տեղիս, ի դժուարիս փապարս՝ ի պարեխս և ի կապարս*» [9].

მოყვანილი ადგილები თითქმის სრულიად ხვდებიან ერთმანეთს. ქართულის „ვალნ... ძნელთა ლადოთა“-ს აქ უდრის *շრჯէრ... ի դժուարիս փապարս՝ ի պარեխս: ի պարեխս* გლოსა ჩანს *փაպარს*-ისა. რაღა *փაպარს*? პროფ. პრ. აპარიანის ეტიმოლოგიური ლექსიკონით *փაպარს* სიტყვა, რომლის ეტიმოლოგია უცნობი ყოფილა, *փაպარს*-იდან წარმოქმნილად მიიჩნევა. *փაպ* ძველად „ხვრელს, ღრუს, ფოსოს, გამოქვაბულს“ ნიშნავდა, ხოლო *-არ* ნაწილაკის დარ-

(1 ბერძნული ტექსტები „მამათა ცხოვრებისა“ *Apophthegmata Patrum...*—, რომელიც Migne-ის გამოცემაში *Patr. gr.*-ს 65-ე ტომში ყოფილა მოთავსებული (K. Krumbacher *Geschichte der byzant. Litteratur*, II გამ., München 1897, გვ. 188), ვერ შევამოწმეთ, რადგან ეს ტომი თბილისში ვერ ვიშოვეთ.

თვით, ე. ი. *ქააყაყ* ფორმით,—*ხერელს*, *ნაპრალს*, *გამოქვაბულს* -ო [10] დაახლოებით ასეთივე შინაარსისაა *ყაყრქა*-იც, რომლის ეტიმოლოგია აგრეთვე მოუკვლეველი ჩანს: „კლდე, ქვიანი ადგილები, მთის გამოშვერილი ნაწილები“ [10, ტ. V]. ამის გამო, მგონია, რომ ზემოთ მოყვანილ ტექსტში *ქააყაყ*-ის გვერდით ნახშირი *ყაყრქა* უნდა იყოს პირველის (ე. ი. *ქააყაყ*-ის) ამხსნელი სიტყვა, რომელსაც შესატყვისი ქართულ ტექსტში არც მოგპოვება. ამგვარად, „ლადო“ აღნიშნავს მთიან ადგილს, ქვიანს, ნაპრალებიანსა და ღრეებიანს. უდაო ხდება ამასთან ისიც, რომ „ლადონი—ლადოთა“, ჯერ მთის გარკვეული ტიპის აღმნიშვნელი და მერმე საქართველოს გარკვეული მთის სახელი, წარმოქმნილია „ლადო“ სიტყვისაგან.

ლადოსთან ფონეტიკურადა და სემანტიკურად ახლო დგას ზემო-იმერული ღრატო ან ღრადო [11] და ლეჩხუმური ღრანტო [12]. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონმა არც ღადო და არც ღრატო თუ ღრადო არ იცის. დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში შესული ღრანტე, ღრანტალი კი [13], რომლებიც იმერულ ღრატოს ემართება, ცხადია, ღადოსთან ახლო მდგომია.

სხვათა შორის, ღადო-საგან წარმოებული „ლადონ-ლადოთა“-ს მსგავსად ძველ ქართულში გვაქვს ზემოთ *ქააყაყ*-ის, ე. ი. ღადოს გლოსად ნახშირი *ყაყრქა*—პარეხ-ისაგან წარმოქმნილი—„პარეხნი-პარეხთა“-ც.

„პარეხნი-პარეხთა“ ფორმა იხმარება გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში. აქ ვკითხულობთ:

„რაჟამს ხანძთაჲ იქმნა სიხელოვან მადლითა... მას ჟამსა მიძნაძოროდთ ხანძთად მოვიდა დიდი მუჟდაბნოს მიქელ მამიჲ, რომელი დაემკდრა პარეხთა... და პოვა თავისა თჳსისა სამკვდრებელი ბერთისა პარეხთა...“ [7, ლა 1—5].

ეს სიტყვა იხმარება სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაშიც:

„მოვიდა მუნით [ოპიზაჲთ] მიქელ და აღაშენა უწყებითა საღმრთოჲთა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათაჲ ადგილსა კლდოვანსა და უვალსა კაცთაგან, რომელსა პარეხ უწოდინა“ [14].

ამ ადგილის აზრი სულ ნათელი არაა; არ ჩანს, სად მოვიდა მიქელი. ფიქრობენ [14, გვ. 114—116], რომ ეს მიქელი იგივეა, რაც ხანძთელის ცხოვრებაში მოხსენებული მიქელი, რომელიც ხანძთის მახლობლად მდებარე ბერთის პარეხთას მკვიდრობდაო. ვინაიდან „პარეხთა“ ზარზმელის ცხოვრებაში იხსენიება, ამიტომ ვარაუდობენ, რომ აქ ბერთის პარეხთაზეა საუბარი. თავი რომ დავივებოთ იმის ძიებას, მართლა ერთი და იგივე პიროვნებაა თუ არა ამ ორი ძეგლის მიქელ პარეხელი, რასაც თვით ძეგლების მოწმობანი არ უნდა ადასტურებდნენ, ერთი ნათელია: ხანძთელის ცხოვრების „პარეხთა“ გეოგრაფიული სახელია, ხოლო სერაპიონის ცხოვრებისა კი საზოგადო უნდა იყოს. რადგან აქ იგი, ან მისი ფუძე, იხმარება არა მრავლობითი რიცხვის ფორმით.

რაც, როგორც ვნახეთ, საგნის სახელთაგან წარმოქმნილ გეოგრაფიულ სახელთათვის დამახასიათებელია, არამედ მხოლოდითით („პარეხ უწოდიან“). ამასთანავე ზარზმელის ცხოვრების „პარეხის“ შემკული ადგილი, დამოუკიდებლად იმისა, იქნება ის საკუთარი თუ საზოგადო სახელი, საგულისხმო იმითაც, რომ იქ მოცემულია ამ სახელის მნიშვნელობა: „ადგილი კლდოანი და უვალი კაცთაგან“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტი

(შემოვიდა რედაქციაში 14.9.1943)

ФИЛОЛОГИЯ

И. В. АБУЛАДЗЕ

К ЗНАЧЕНИЮ ДВУХ ГЕОГРАФИЧЕСКИХ ИМЕН «ГАДОНИ» И «P.AREXNI»

Наименование гор «Гадони» (род. п. «Г'адота»), распространяемое, главным образом, в юго-западной Грузии (в Самцхе, Кларджетии, Шавшети) произведено от γαδο (ღადო), которое означает «скалистое, каменистое место с ущельями и пещерами» (= арм. *խապար*).

Таково же значение и названия «Парехни» (род. п. «Парехта»), встречаемого в тех же местах и имеющего аналогичное образование.

Академия Наук Грузинской ССР
Институт языка имени акад. Н. Я Марра
Тбилиси

დამოწმებული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვ. I, თბ. 1943 წ., გვ. 131, § 171
2. „ნანსეული ქართლის ცხოვრება“ თბ. 1942 წ., გვ. 2.
3. ივ. ჯავახიშვილი. ქართველ ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 267.
4. *ხ. აკოიკაძე. წარქცია მხიიერეჟაქ ჯამ ლრეჟ ვითამიძქან ზეს ლაქერეს მარქანსოქციორ: «ქათანსაყარანსქ... ზქათანს ზეიქხერქ ძიდიქათი» № 1, ბქსანს 1941 წ. გვ. 31—40.*
5. *ჯამანიით ვითამიძქის ლრეჟ, ენსხაქაქ ჯიანსქერქ აქათმქქ ჳნსხოქქ, 1884 წ., გვ. 9.*
6. „სამი ისტორიული ქრონიკა“... გამოც. ექვთ. თაყაიშვილის მიერ, თბ. 1890, გვ. 52.
7. Георгий Мерцхум. Жизнь св. Григория Хандатийского... Н Марра, СПб., 1911; კბ, 17—21.
8. საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა A ფონდი, № 1105. კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტ. I, მეორე გამოც., თბ. 1941, გვ. 223.

9. *«ქარე ჯარაზე»* 1643 წ. გამოც. ძღუ,ა, შდრ. ვენეციის 1855 წ. გამოცემას, II ტ., გვ. 28—29.

10. ჯ. მ ნ ა ი ს ა ნ. *ჯაქონის არქაოლოგიის დარღვევა*, ტ. VI.

11. ბ. წ ე რ ე თ ე ლ ი, *ხელოვნების ლექსიკონი*. «ქართვ. ენათა ლექსიკა», თბ. 1938, გვ. 126.

12. მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, *ლექსების ლექსიკონი*. პუშკინის სახ. თბილისის სამსწავლებლო ინსტიტუტის შრომები, I, გვ. 231—259.

13. *ქართულ-რუსული ლექსიკონი*, ხელახლად შემუშავებული დავით ჩ უ ბ ი ნ ო ვ ი ს ა - გ ა ნ, საბ., 1887 წ., გვ. 1366.

14. *ბასილი ზარზმელი—ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა*, ნაკვ. I... კ. კ ე ჭ ე ლ ი ძ ი ს რედაქციით, თბ. 1935, გვ. 130.

ილია აბაიძე

წარის ხელოვნებასთან დაკავშირებული რამდენიმე ძველი ქართული ზარმინი

1. წარის კულტურა ძველად, როდესაც წიგნის გამოქვეყნება მხოლოდ ხელნაწერი ნუსხების საშუალებით ხდებოდა, ძველი დაწერილობის მქონე ხალხს შორის და მათ რიცხვში ქართველებს შორისაც, განვითარების მაღალ საფეხურს გვიჩვენებს. რაც უფრო ძველია ხელნაწერი, თუკი ის წიგნს წარმოადგენს, მაშასადამე, საკითხავს სხვებისათვის, მით უფრო სრულყოფილია წერის ტექნიკა.

ძველ ხელნაწერებს, რამდენადაც ისინი ხელით ნაწერნი არიან, და ხელი კი თითოეული გადამწერისა ინდივიდუალობას არაა მოკლებული, წერის ღირსების მხრით სხვაობა მაინც ემჩნევათ. მათი სრულქმნილობა უმთავრესად იმაში გამოიხატება, რომ ისინი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აღნიშნულ ნიადაგზე აღმოცენებულ თავისებურებას, გარკვეული წესით არიან შესრულებული. მათ ახასიათებს საერთო ნორმა, რომლის დაცვას ყოველი გადამწერი გულმოდგინედ ცდილობს თავიდან ბოლომდის. მოყვანილობა თითოეული ნიშნისა, თითოეული ასოსი, ზედმიწევნილობა მათი ხმარების დროს, შეხამებული შეწყობა ასოებისა სტრიქონში, სტრიქონებისა გვერდებში და გვერდებისა მთელი ხელნაწერი ნუსხის ფარგლებში, როგორც ძველი ხელნაწერების შესწავლა გვიჩვენებს, საეალღებულო წესად ყოფილა ძველად აღიარებული ხელნაწერების გამოქვეყნებისათვის.

ზოგი რამ ამ საეალღებულო წესიდან, რომელიც მკითხველისათვის გასათვალისწინებელი უნდა ყოფილიყო, თხზულების ავტორსა თუ მის გამოქვეყნებელს აღნიშნული აქვს ხოლმე წიგნის სათანადო აღვიღს. ერთს ასეთ დოკუმენტში, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, ვხვდებით წარის ხელოვნებასთან დაკავშირებულ რამდენიმე ტერმინს, რომლებიც ჯერ ან შენიშნული არაა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. ან.თუ არის, საკმაო მოწმობათა უქონლობის გამო ჯეროვნად განმარტებული არაა.

2. ძველი, რომელსაც საგულისხმო ტერმინები მოჰპოვება, X საუკუნის ნუსხებითაა ჩვენამდის მოღწეული: S-407 და S-1138. გარკვეული თარიღი არც ერც მათგანს არ გააჩნია, რის გამოც მკვლევრები სათარღლო მაჩვენებლად მათი ხელის ხასიათს ანუ პალეოგრაფიულ ნიშნებს იღებენ. ეს ძველია ის ვრცელი

წინასიტყვაობა, რომელიც მიუძღვის დასახელებულ ნუსხებში წარმოდგენილ ახალი აღთქმის წიგნებს: პავლე მოციქულის ეპისტოლეებს, მოციქულთა საქმესა და კათოლიკე ეპისტოლეებს. როგორც სხვა ენებზე დატული ახალი აღთქმის ამ წიგნებისათვის წარმძღვანებულ ასეთ წინასიტყვაობებთან შედარებით გაირკვა, ეს წინასიტყვაობა წარმოადგენს IV—V ს-ის მოღვაწის ევთალე ალექსანდრიელის ნაწარმოებს — აქაღეს ეპისტოლეთა წინასიტყვაობას» (Πρόλογος προτασσομένων τῶν δεκατεσσάρων ἐπιστολῶν Παύλου τοῦ ἀγίου ἀποστόλου: Migne, PG. 85)¹.

დასახელებული დოკუმენტის ავტორს თავის ნაშრომში ერთგან საუბარი აქვს იმ წყაროების შესახებ, რომლებითაც მას უსარგებლია, ან რომლებსაც ის გასცნობია. ერთი ამათვანი ყოფილა ევსებე კესარიელი მისი ორივე ნაწარმოებით:

«საემარად შევძრავებ მცირედითა სიტყვთა ჟამიცა იგი დასწავებად ქადაგებისა პავლსი კრონიკონისაგან კანთონაჲს ევსებესი, რომელ იყო პამფილიანი» (S-407, ფ. 5 v).

«ქრონიკონსა გარდა ის გასცნობია სხაეკლესიო უწყებასაცა ანუ საეკლესიო ისტორიას:

«ხოლო ევსები შემდგომად ჟამთა კემმარტად გამოიკითხა და მაუწყა ჩუენ და მეორესა მას ტომარსა საეკლესიოჲსა უწყებესა ამისი მარტკრობაჲ აკუნა...» (S-407, ფ. 6 v).

უკანასკნელი მოწმობიდან ჩვენ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა სიტყვა „ტომარი“, რომელიც გარკვეულ ტერმინს წარმოადგენს. ამეორს ტომარი საეკლესიოჲსა უწყებისაჲ დღევანდელი გამოთქმით ნიშნავს საეკლესიო ისტორიის მეორე ტომს. ტომ-ი — ტომარი ბერძნული სახელებია: τῶμας — „პაპირუსის ან ეტრატის ნაჭერს, ნაკვეთს (სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: გრძლად გადაბმულ ქარტას), წიგნს, ან წიგნის შემადგენელ ნაწილს“ აღნიშნავს, ხოლო τομαριონ მისი კნინობითი ფორმაა. „ტომარი“ სწორედ ბერძ. τομαριონ-იდან მომდინარეობს და, როგორც ჩვენი ტექსტი მოწმობს, ძალიან ადრეც გვხვდება ქართულ მწერლობაში.

სხვათა შორის, მსგავსი ფორმით ეს სიტყვა მოეპოვება ძველ სომხურ მწერლობასაც და მასაც ადრიდანვე² — *თომარ*, მხოლოდ უფრო ნაირნაირი შინაარსით: წიგნის ტომი ან მისი ნაწილი, ნაწერი; წელთაღრიცხვა, კალენდარი. ეს სიტყვა იქ დღესაც არის ხმარებაში და აღნიშნავს უმთავრესად სტილს ან კალენდარს.

ევთალე ალექსანდრიელი, თავისი შრომის ერთ ადგილს, მას შემდეგ, რაც ის აღნუსხავს, თუ პავლეს თითოეულ ეპისტოლეს რამდენი საკითხავი, თავი. წამება და მუხლი აქვს, ისე როგორც ცალკეულ საკითხავს — თავი, წამება და მუხლი, დასკვნის სახით აღნიშნავს, რომ

«განვავ საკითხავები და გამოეწერტე კარგად-კარგად ყოველივე სამოციქულოა წიგნი კემმარტად ერგასის-ერგასისად სტიქონად და თავები თითოეულისა საკითხა-

¹ ეს ძეგლი, ე. წ. ევთალეს სტიკომეტრია, დატულია ძველ სომხურ მწერლობაშიც: *Յառաջարան Պատմիսի առաջնայ նախակարգեսէլի գնոխ գրոցս. Ա. Վ. Կ ր դ ան Ե ա ն. Մատենա-դարանք Ս. Խաղի. Վ. Ի. Խ. Խ. Խ. 1930.*

² *Հր. Ա հ ա Ե ա ն, Արմատական բառարան, V. 33. 946—947,*

ვისა თანა დაუწერე, და მას შინა რაოდენნი წამებანი ითქუნეს, და მერმე კუალად რაოდენ მჟღად-მჟღად არსა-თ (S-407, ფ. 11 r).

ამ ამონაწერში რამდენიმე საგულისხმო ტერმინია. ესენია: საკითხავი, თავი, წამება. სტიქონი და მუჭლი. საკითხავი, ჩვეულებრივ, გარკვეული მომენტისათვის წასაკითხავად განკუთვნილი მონაკვეთია ტექსტისა, ამ შემთხვევაში — პავლეს ეპისტოლეებისა. ეს საკითხავები, მოყვანილი მოწმობის მიხედვით, ცალკე თავებისა და მუხლებისაგან ყოფილა შემდგარი; ასევე თავებიც მუხლებად ყოფილა დაყოფილი. თავებსა თუ თავებისაგან შემდგარ საკითხავში, შეიძლება წამებანიც ყოფილიყო მოყვანილი.

დასახელებული ტერმინებიდან წამება დღევანდელ ციტატს უდრის, თავი კიდევ — თხზულების თავს. რაც შეეხება სტიქონსა და მუჭლს, ესენი ერთიმეორის ბადალი სიტყვები ჩანან. პავლე მოციქულის ეპისტოლეთა ხელნაწერებში, ეპისტოლენი ეტრატის კიდებზედაც ატარებენ წამებებისა და სტიქონების სათვალავს, პირველს — ორი მხრით, ჯერ ერთი, რომ აღინიშნოს, თუ მერამდენა ის ეპისტოლისათვის. და მეორეც — ციტატის მომწოდებელი ერთიდივივე წყარო მერამდენედ არის მოხმობილი ტექსტში, მაგრამ ერთი ეპისტოლის ფარგალში კი არა, არამედ პავლეს ყველა ეპისტოლისა. სტიქონების სათვალავი, როგორც სამოციქულოს ტექსტის გამარჯვებული აცხადებს, ერგასის-ერგასისად, ე. ი. 50-50-ად არის გამოწერტილი, და, მართლაც, ასეთი აღნუსხვით არის წარმოდგენილი სტიქონთა სათვალავი პავლეს ეპისტოლეების კიდებზე. ეპისტოლეების ბოლოს კი ყველა სტიქონის ჯამია აღნიშნული, მხოლოდ აქ, როგორც წესი, ერთ ნუსხას (S-407) მუჭლი უწერია, ხოლო მეორეს (S-1138) — აქა-იქ სტიქონიც აქიდან ცხადია, რომ ქართულში ეს სიტყვები სინონიმებად არის დაფასებული.

სტიქონი მომდინარეობს ბერძნულიდან (როგორც ეს აღნიშნულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში¹), სადაც ის — *στίχοι* — „რიგს“ (ზემოთ მოყვანილი ციტატით -- კარგს), პწკარს, სტიქონს აღნიშნავს. ევთალესაც ის სტიქონის აღსანიშნავად უნდა ჰქონდეს ნახმარი. პავლეს ეპისტოლეთა ზემოთ დასახელებულ ნუსხებში სტიქონების სათვალავი ყოველი 50 სტიქონის შემდეგ კი არ არის გამოყვანილი, არამედ ცოტა მასზე მეტის შემდეგ, ალბათ, იმიტომ, რომ აქ ბერძნული სტიქონების სათვალავი მოდის. ამრიგად: ევთალესთან სტიქონი უდრის სტიქონს, რომელსაც, როგორც ჩვენი ძველი მოწმობს, ძველი ქართულით საკუთარი სახელწოდებაც ჰქონია: მუჭლი. საიდან ან როგორ აღმოცენდა ეს უკანასკნელი: ჯერ-ჯერობით არა ჩანს.

ცალკე ცხრილი, თუ ინდექსი, აქვს ევთალეს შედგენილი ციტატებისა, ანუ წამებების შესახებ. ეს ნუსხა ასეა დასათაურებული: „აღწერილი საღმრთოთა წამებათაჲ“, ე. ი. ჩვენი სიტყვით რომ ვთქვათ — „საღმრთო წერილის ციტატების სია“-ო. ამ სიას შენიშვნა უძღვის სათაურით: „ზემოწერილი“-ო. რომელშიც სიის გაწყობის შესახებ ნაოქვამია:

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია თბილისი, 1926 წ., გვ. 65 (მეორე გამოც. 1949 წ., გვ. 64-65)

რომელ-იგი მელანი თა არს რიცხვ, რაოდენ არს თავები, მას ხოლო აუწყებს, ხოლო რომელ-იგი ზანდუკითა არს, აუწყებს თითოეულისა წიგნისა: წამებათა განწესებასა ერთბაშად და რაოდენ არს თითოეულსა მას ებისტოლესა. ა.

მელანი და ზანდუკი, როგორც ეს მოყვანილი ადგილიდან ჩანს, დაპირებულ, ანუ მოწინააღმდეგე ცნებების გამომხატველი სახელებია. აკად. ივ. ჯავახიშვილს უკვე გარკვეული აქვს, რომ ძველად ქართულში მელანი აღმნიშვნელი იყო შავი ფერის საწერლისა ან საღებავისა. იგი ბერძნულიდან შეთვისებული ტერმინია, სადაც *μαύρος* მხოლოდ და მხოლოდ შავი ფერის საწერელს აღნიშნავს¹.

«ზანდუკი» შავთან დაპირისპირებით გვხვდება კარპიანესადმი მიწერილ ევსები კესარიელის ეპისტოლეშიც, რომელიც ოთხთავის ძველ ქართულ ნუსხებს (მაგ., ჯრუჟისას, 936 წლ.) უძღვის წინ. მომდევნო ხანის ძველ ზოგიერთ ნუსხას, როგორც ეს ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის სამი შატბერდული ხელნაწერის გამომცემელმა, აკად. ა. შანიძემ აღნიშნა, «ზანდუკის» ნაცვლად «წითელი» ჰქონია ნახმარი².

ევთალეს თხზულების ქართულ ნუსხეებშიც მელანსა არა ერთგზის ზანდუკის ნაცვლად «წითელი» უპირისპირდება. ევთალეს შრომის ძველ სომხურ თარგმანში ერთიდა და მეორეც სომხური სიტყვებით არის წარმოდგენილი: მელანი — თუბ-*მისა*-ად, რაც შავს აღნიშნავს, და ზანდუკი ანუ «წითელი» — კარმირ-*კარაჩი*-ით, რაც წითელს უდრის. ამრიგად, «ზანდუკი» სომხურითაც «წითელს» გადმოსცემს.

რა წარმოშობისა ეს ზანდუკი? იგი ბერძნული ტერმინია: *σάβανος*, *σαος* (ჲ), რაც აღნიშნავს წითელ ფერს, ხორცისებრს, და შემოსულია ქართულში აღრიდანვე, მაგრამ, ეტყობა, მალე ისიც, მსგავსად სტიქონისა, შეცვლილა ქართული სიტყვით.

ერთგან ევთალეს ქართულ ტექსტში «წითელის» აღსანიშნავად ნახმარია «კინაბარი». ესეც ბერძნული ტერმინია: *κινάβαρος*, *εσας* (ჲ), რაც ერთგვარი წითელი ფერის (საღებავის) აღმნიშვნელია.

ამნაირად, საწერლის ფერთა სახელები: მელანი, ზანდუკი, კინაბარი, რომლებიც ჩვენ ევთალეს ნაწარმოების ქართულ ძველ თარგმანში გვხვდება, ყველა დედნის ენიდან, ე. ი. ბერძნულიდან მომდინარეობს. როგორც ვნახეთ, მათი უმეტესობა მართო დასახელებული ტექსტის კუთვნილებად არა ჩანს, ზოგიერთი მათგანი (ზანდუკი), თუმცა იშვიათად, სხვა ტექსტშიც გვხვდება, ზოგი კიდევ (მელანი) ფართო გავრცელებისა და დღესაც კი იხმარება. ჩამოთვლილი ფერებიდან ზოგის მომდინარეობა (მაგ., მელნისა) ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეული იყო (აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ), ზოგისა (ზანდუკი, კინაბარი) ევთალეს ტექსტის შესწავლის შემდეგ ახლა ხდება ცნობილი.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართულ დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, გვ. 46, თხ. 1926 წ. (მეორე გამოც., 1949 წ., გვ. 44-45).

² ძველი ქართული ენის ძეგლები. 2.: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მხედვეთ (897, 936 და 973 წწ.) გამოსცა აკაკი შანიძემ, თბილისი, 1945 წ.

3. პავლეს ეპისტოლეთათვის ევთალე ალექსანდრიელის მიერ დაწერილი წინასიტყვაობის ქართულ თარგმანში მოყვანილია ნიმუში ოთხთავის ე. წ. სიმფონიისა, რაც ჩვეულებრივ ცხრილს წარმოადგენს, რომელშიც რიგზე მოცემულია თითოეული თავის ამა თუ იმ ადგილის შესატყვისობა დანარჩენი თავების შინაარსობლივ მსგავს ადგილებთან. ცალკე თავების ავტორები — მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე — წითლად არის აღნიშნული ინიციალების სახით პორიზონტალურ ხაზზე ერთიმეორისაგან მოცილებით. მათ ქვეშ კი შავად მოთავსებულია მსგავსი ადგილების სათვალავები. აესე-ო, — ნათქვამია ევთალეს შრომის ქართულ თარგმანში, — ევანგელესა ჰპოვო ქუემო კერძო განწყვებულად კაპატონთა; რომელი-იგი წითლითა არს, აუწყებს, თუ რომლისა თავისაჲ არს, ხოლო რომელი-იგი მელანითა არს — თითოეულად საკითხავთა მათ საძიებელი აქუს...ა. ამ ნაწყვეტში საგულისხნოა კაპატონი, რომელიც როგორც მოყვანილი კონტექსტიდან აშკარა ხდება, წიგნის (ამ შემთხვევაში — ევანგელეს ანუ სახარების) გვერდს აღნიშნავს. სიმფონია ევანგელესა ჰპოვო ქუემო კერძო კაპატონთა-ო, ე. ი. სახარების გვერდთა (ან ზოგჯერ დღესაც რომ იტყვიან — კაბადონთა) ქუემო მხარეს ანუ ქვედა კიდებო.

ქართული პალეოგრაფიის ფუძემდებელს, აკად. ივ. ჯავახიშვილს, ამ ტერმინთან დაკავშირებით თავის ქართულ დაწერლობათა-მკოდნეობაში ანუ პალეოგრაფიაში აღნიშნული აქვს:

ამჟამად XVIII ს-ზე აღრიხდელი ძველი ხელთ არა მაქვს, რომელშიაც ტერმინი კაბადონი იყოს ნახმარი, მაგრამ თვით სიტყვა ძველია¹ და მომავალში ამაზე უფრო აღრიხდელ ძველებითგანაც შესაძლებელი იქმნება ამონაწერების მოყვანა. 1800 წ. ერთს ხელნაწერში აღნიშნულია: „უმეტესად მუქლთა ზედა... ვსწერენ კაბადონის ამისნიო“².

ტერმინის განმარტებისას აკად. ივ. ჯავახიშვილი ს.-ს. ორბელიანის ახსნას იწყნარებს; რომლის მიხედვით: „ფურცლისა ცალსა პირსა — კაბადონი...“³ ჰქვია.

როგორც ვხედავთ, აკად. ივ. ჯავახიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ მას კაბადონი XVIII ს-ზე უწინარესს წერილობით წყაროში არსად შეხვედრია, ამ ტერმინს, მისი სახელწოდების გამო, ძველად მიიჩნევს. მართლაც, როგორც ჩვენ მიერ მოხმობილი წყარო მოწმობს, ის მეათე საუკუნემდელი უნდა იყოს, ვინაიდან მისი შემცველი ხელნაწერი (N-407) მეათე საუკუნის ნუსხად მიიჩნევა.

რა წარმოშობისაა წიგნის გვერდის აღმნიშვნელი ეს ძველი ტერმინი? ამის გარკვევაში ჩვენ ევთალეს შრომის ქართული თარგმანის ერთა სხვა, აგრეთვე მეათე საუკუნისად მიჩნეული⁴ ხელნაწერი ნუსხა გვშველძს. ამ ნუს-

¹ ხაზგასმა ჩვენია.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული დაწერლობათა-მკოდნეობა ანუ პალეოგრაფია, გვ. 64, თბ., 1926 წ. (შეორე გამოც., 1949 წ., გვ. 63-64).

³ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა. ტ. 1, მეორე შეესებული და შესწორებული გამოცემა, გვ. 379, შენიშვნა, თბ., 1941 წ.

ხაში ხსენებული ტერმინი მოყვანილია არა „კაპატონ-ის“, არამედ „კატაპატონ-ის“ ფორმით (ეფენგელესა ჰჰოვო ქუემო კერძო კატაპატონთა-ო¹).

„კატაპატონ“ სახელწოდება მის ბერძნულობაზე მიგვითითებს. მართლაც, ძველი ბერძნული ენის ლექსიკონებში ვხვდებით ამ სიტყვას ასეთი სახით: *καταπατον*, *κα*, *πα*, *τον*, რაც ჩამოსასვლელს აღნიშნავს². ძველი ბერძნული ენის ლექსიკონებში ეს სიტყვა მხოლოდ ამ მნიშვნელობით გვხვდება, წიგნის გვერდის აღმნიშვნელი ის იქ არა ჩანს.

მაგრამ, ის რომ ბერძნულში ეს ტერმინი ამასაც არ ყოფილა მოკლებული, ამაზე ჩვენ ბერძნულიდან ძველად თარგმნილი ერთი სხვა ქართული წყარო მიგვითითებს. საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა A ფონდის ერთ ხელნაწერში (№ 691), რომელიც კრებულს წარმოადგენს, მოიპოვება ძველი ქართული თარგმანი ეპიტაფე კვიპრელის ერთ-ერთი ნაწარმოებისა (გვ. 336—352): „თხრობა და უწყება ყოველთა მათ წიგნთაჲ, რომელნი შეკრიბნა მეფემან პტოლემოს...“, სადაც ერთ ადგილს (გვ. 350—351) კვითხულობთ:

«ოროგინე... აღვიდა იმღლდ და მცირედთა ეამთა იქველად მუნ. და მერმე შევიდ-ტრედ და მუნ იყოფებოდა და წიგნსა თარგმნიდა, რომელსა ეამსა ექუს შთავალნი (სიღუნდა იყოს: შთასავალნი) იგი წიგნი განჰკარგნა, რომელსა ბეოსუელად კატაპატონ ჰოკენ ორი შთასავალი იგი ებრაელებრი და ოთხი თარგმანთა მათ...».

ცოტა ქვემოთ იქვე ნათქვამია:

«ოთხი შთასავალი ბერძულისა ენისა განჰკარგა... ექუს შთასავალედნი ერიობაჲლ იქმნებინა-ო და სხ...».

ამრიგად, აქ „კატაპატონ-ის“ ქართულ შესატყვისად „შთასავალი“ მოგვეპოვება. მაშასადამე, „კატაპატონ-ის“ ანუ კეცილად („ტა“ მარცვლის ამოგდებით) „კატაპატონ-ის“, რაც ზემოთ მოყვანილი ვეთალეს შრომის ქართული ვერსიით წიგნის გვერდს აღნიშნავდა, ქართულში ხმარებული ყოფილა საკუთარი სახელწოდებითაც — „შთასავალი-ით“: რაც ბერძნული ტერმინის გადმოღებას, ანუ ე. წ. კალკას წარმოადგენს.

წიგნის გვერდის აღმნიშვნელად „შთასავალი-ის“ ხმარება „კატაპატონ“ (resp. „კატაპატონ“) - „კაპატონ-ის“ შესატყვისად, ნებსით თუ უნებლიეთ გულისყურს ძველიდანვე წიგნის გვერდის აღმნიშვნელი სომხური ეგ — *էլ* ტერმინისაკენ მიგვაპყრობინებს. სომხურში ამ ტერმინს ჯერ კიდევ ბიბლიაში ვხვდებით, ერემია წინასწარმეტყველთან (26, 23), სადაც ის ბერძნულის *σελ:μαξ*-ის შესაბამისად არის ნახმარი.

ეგ — *էლ* სომხურში იჯანელ — *իլანი* „გარდამოწმობა-გარდამოსლვა, შთავლდობა-შთასლვა“ ზმნიდან მომდინარეობს. მაშასადამე, ის ზედმიწევნით შეესაბამება ქართულ „შთასავალი-სა“. ხოლო, ვიცით რა „შთასავალი“ ტერმინის მომდინარეობა. საკითხი გვიჩნდება ხომ არ მომდინარეობს ასეთივე გზით სომხური ეგ — *էლ*-ი? სპეციალურ ლიტერატურაში რომ პასუხი ვერ ვიპოვეთ,

¹ შდრ. თ. გორდანი, Описание рукописей Царск. Музеи... I ნაწ., გვ. 333.

² „Où l'on peut descendre; par où l'on descend; qui va en descendant“ (Dictionnaire Grec-Français... par C. Alexandre, XI გამოც., პარიზი, 1848 წ.).

იძულებული შევიქნით შეგვეწუხებინა სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ/წ. პროფ. პრ. აკარიანი, რომელიც სომხური.ენათმეცნიერებისა და პალეოგრაფიის თვალსაჩინო მკვლევარია.

პასუხად ჩვენი წერილისა, რომლითაც ვსთხოვდით განემარტა ჩვენთვის, თუ რა დროიდან იხმარება სომხური ეჯ — ჭქ წიგნის გვერდის აღმნიშვნელად, რად უნდა დარქმეოდა წიგნის გვერდს ასეთი სახელი და ხომ არ უნდა ვიყარაულოთ, რომ ეჯ — ჭქ წიგნის გვერდის აღმნიშვნელად ბერძნულში საყარაულო *αταβαστον*-ის თარგმანი იყოს წინააღმდეგ ქართულისა, სადაც ეს ბერძ. ტერმინი სესხებული ჩანსთქო, პატივცემულმა მეცნიერმა წერილით (9 აპრილი 49 წ., ერევანი) შემდეგი შეგვატყობინა (წერილი სომხურად არის ნაწერი, აქ მისი ქართული თარგმანი მოგვყავს):

„ჩემს ეტიმოლოგიურ ლექსიკონში, ტ. II, გვ. 1023, არის სიტყვა ჭქ-ეჯ — წიგნის პირი (= გვერდი) და მოცემულია *ჩქანხი* — იჯანელ ზმნასთან ერთად. წიგნის გვერდი ის არის, სადაც სტრიქონები ეშვება (ჩამოდის) ზემოდან ქვემოთ და მწერალი ხელით და მკითხველი თვალთ ასრულებს ამ მოძრაობას. გვერდით მოყვანილია აგრეთვე უძველესი მოწმობანი — ბიბლია (ერემია 36, 23) და მისგან წარმოქმნილი ორი სიტყვა: *ხრჩქხას* — ერკიჯან (= ორშთასავალდნი) და *ქხეჩქხას* — ვეციჯან (= ექუსშთასავალდნი), ლამბრონელი (დასახ. თხზბა: *ყოფი.*). ყველა ეს მოუპოვება აგრეთვე *ჯაკაჯხას რაიარაიან*-ს (= სომხ. ლექსიკონს, იგულისხმება ვენეციის დიდი ორტომიანი განმარტებითი სომხ. ლექსიკონი), სადაც ბერძნულიდან შესატყვისად მოყვანილია *σελς*. — ეს სიტყვა ძველი ბერძნულია და აღნიშნავს სტრიქონს, სტრიქონთა წყებას, წიგნის გვერდს, ფურცელსა და წიგნს. — რა მშვენიერი მაგალითია აზრის (= ცენზის) განვითარებისა! — თანამედროვე ბერძნულში *σελς* მხოლოდ ჭქ — ეჯ-ს (= წიგნის გვერდს) აღნიშნავს.

„ბერძნული *αταβαστον*, რომელიც თავდაპირველად *ჩქანხი* — იჯანელ-ს (= შთასლვა-ს) აღნიშნავს, არ იხმარება ძველ ბერძნულში წიგნის გვერდის მნიშვნელობით, მაგრამ არის ის ბიზანტიურ ბერძნულში. მაგ., Sophocles დიდ ლექსიკონში (Greek lexicon of the Roman and Byzantine periods, from B. C. 146 to. A. O. 1100), Cambridge, 1914, გვ. 633-ზე ვკითხულობთ: *αταβαστον* (*αταβαστων*) page of a book. Anast. Sin. 201 C. Nic. II, 1029. A. Hes. *Σελς*. — „თუ ქართულში „კატაბატონ“ ფორმა არის ნახმარი, ცხადია, რომ ის ნასესხებია ბერძნულიდან“...

როგორც ვხედავთ, ჩვენი ვარაუდი დადასტურდა: კატატონ-კაბადონ ი ← კატაბატონ-კატაბატონ-ი ბერძნულიდან ყოფილა შემოსული. გაირკვა ისიც, თუ რაზეა აღმოცენებული ასეთი სახელწოდება.

არ უნდა იყოს საცილობელი ისიც, რომ წიგნის გვერდის აღმნიშვნელად ეჯ — ჭქ-იც, ქართული მშთასავალის მსგავსად, ბერძნულიდან არის გადმოღებული.

როგორც ზემოგანხილულიდან ჩანს, ირკვევა ახლად, რომ წერის ხელოვნებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ქართული ტერმინი ბერძნულიდან მომდინარეობს. ესენია:

1. წიგნის ნაწილისა თუ ნაკვეთის აღმნიშვნელი ძველი ქართული ტომარი, რომელიც იძუძჳ:თ-იდან მოდის;

2. წიგნის გვერდის აღმნიშვნელი ძველი ქართული კაპატონ (resp. კაბადონ) - კატაპატონ (resp. კატაპატონ)-ი, რომელიც აძუძჳ:თ-ის სესხებას წარმოადგენს;

3. ერთგვარი წითელი ფერის საწერელისა თუ საღებავის ძველი ქართული სახელწოდება ზანდუკი, რომელიც ბერძ. ძუძუძჳ:თ-იდან მოდის, და

4. წითელი ფერის საწერელისავე თუ საღებავის სხვა ძველი ქართული სახელწოდებაც კინაბარ-ი, რომელიც ბერძ. აძუძჳ:თ-იდან მომდინარეობს.

ზემო განხილულიდან ნათელი ხდება ისიც, რომ უცხო ტერმინების გვერდით ქართველ მწიგნობრებს უცდიათ ძველადვე ქართული შესატყვისების შემოღებაც, რასაც ზოგიერთ შემთხვევაში უცხო ტერმინი სრულიად განუდევნია ხმარებიდან. ასე მაგ.:

1. წიგნის გვერდის შემადგენელი პწკარის ძველი ქართული სახელი სტიქონი, მომდინარე ბერძ. ძუძუძჳ:თ-იდან, ძველადვე ქართული შესატყვისით გვხვდება შეცვლილი, სახელდობრ --- მუქლ-ით:

2. შეუცვლიათ აგრეთვე და შემდეგში განუდევნიათ ხმარებიდან ბერძ. ნულიდან მომდინარე ზანდუკიც ქართული შესატყვისის ტერმინით --- წითელ-ით.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ძველი ქართული ენის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1950. II. 3).

ილია აბულაძე

ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII—X სს-ის ძველადგობის მიხედვით

ძველი ქართული ენის VIII—X სს-ის ძველების შესახებ საუბრის დროს ჩვენი მიზნისათვის მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ისეთები, რომლებიც წარმოშობასთან ერთად გადაწერილია უმეტესად აღნიშნულ პერიოდს ეკუთვნის. ასეთები ზოგჯერ, საბუნდოვანოდ, რამდენიმე ცალად მოგვეპოვება, მაგრამ არა იშვიათად უნიკალურადაც არის მოღწეული.

ქვემოთ ჩვენ ორ ისეთ ძველს ვეხებით, რომლებიც ძირითადად X სს-ის ნუსხებით არის შემონახული. პირველი მარხვის საკითხავებისა წიგნს ანუ კრებულს წარმოადგენს და მწერლობის ასკეტურ დარგს მიეკუთვნება, ხოლო მეორე ამავე დარგის თხრობათაა კრებულია, ე. წ. სამოთხე, რომლის ავტორად VI—VII სს-ის პალესტინელი მოღვაწე იოანე მოსხი ითვლება¹. მარხვის საკითხავების ავტორები უმეტესად მსოფლიო ეკლესიის ისეთი ცნობილი მამები არიან, როგორც, მაგ., იოანე ოქროპირი, ბასილი დიდი და ეფრემ ასურა. მათი ნაწერების გვერდით მოთავსებულია აგრეთვე ნაწარმოებები ეგვიპტელი და პალესტინელი მოღვაწეებისა, ეკლესია-მონასტრების მამებისა (V—VI სს.), როგორც მაგ., მარკოზისა, საჰაქისა, აბრაჰამისა, ამონასი და მარტვირისა. უკანასკნელი ავტორი პროფ. კ. კეკელიძის ნაკვლევის თანახმად² ქართველი უნდა იყოს. დღემდის ამ კრებულის ორი უძველესი ნუსხა იყო ცნობილი: სინური³ და ათონური⁴. ამჟამად ამათ ემატება კლარჯულიც, რომელიც დავით მამფლის სახელთან არის დაკავშირებული. ამ ნუსხის (S—1139) გადამწერის ხელით შესრულებული მინაწერი ერთგან (26-ე გვერდის მარცხენა კიდეზე, ზემოთ) გვაძენობს: აქნ დაიციევი მამფალი დ⁷ დღეგრძელობით და სიმრ-

¹ K. Krumbacher, Geschichte der byzantinischen Literatur, გვ. 187, 1935 წ.

² მარტვირი ქართველი (VI—VII) და მისი შრომა „სინანულისათვის და სიმდაბლისა“ კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით: ლიტერატურული ძიებანი, III, გვ. 261—313, თბილისი, 1946 წ.

³ ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ 74—83, თბილისი, 1947 წ.

⁴ Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la laur de Jwiron au mont Athos, par R. P. Blake. Extrait de la Revue de l'Orient chrétien, 3-e série, VIII (XXVIII), № 3 et 4, pp 41—51, 1932.

თელით, აწა. მაშასადამე, ეს ხელნაწერი დაწერილია დავითის გარდაცვალების (943 წლის¹) უწინარეს, მისი მამულობის² ეამს, X საუკუნის ოცდაათიან წლებში, თუ უფრო ადრე არა. დაახლოებით ამავე ხანისაა სინური ნუსხაც, რომელიც საბას ლავრაში ყოფილა გადაწერილი 925 წელს³. ეს ნუსხა ჩვენთვის ხელმიწვდომელია. არაა მისაწვდომი აგრეთვე ათონური ნუსხაც, რომელიც 977 წელს არის გადაწერილი, ოშკს, იოანე-თორნიკის დაკვეთით⁴. ამისი მხოლოდ ორი პირი მოგვეპოვება: ერთი XVIII ს-ისა, დომენტი კათალიკოზის (1704—1724) თაოსნობით გადაწერილი (A.—56)⁵, და მეორე ჩვენი საუკუნისა, ილია ბანძელის მიერ გადმოწერილი ათონსვე (A—1142) ზოგიერთი ორთოგრაფიული ცვლილებებით. კლარჯულისა და ოშკურის (გადმოღებული პირების) გარდა ჩვენს ხელთ იყო კიდევ ამ კრებულის ერთი სხვა ნუსხაც H—1662⁶, რომელიც იერუსალიმურია წარმოშობით და გადაწერილია 1040 წ., ე. ი. აღებული პერიოდის უახლოეს ხანს.

მეორე ძეგლის, იოანე მოსხის ესამოთხის ქართული თარგმანი დაცულია როგორც სინურს ნუსხაში, ისე ოშკურშიც. ჩვენს განსაკრებულებაში მხოლოდ ოშკური ნუსხაა, ისიც ილია ბანძელის მიერ ჩვენს დროში გადმოღებული პირის სახით, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთი ორთოგრაფიული ცვლილებით არის შესრულებული.

ჩვენი ძველი მწერლობის დასახელებული ძეგლები (რომელთა სასტამბოდ გამზადებული ტექსტი 30-ოდე ბეჭდვითი თაბახი იქნება) ენობრივ ნიშნეულობათა მიხედვით VIII—X სს-შია წარმოშობილი, არა უგვიანეს X ს-ის პირველი მეოთხედისა, რადგან ამ ხანიდან მათ შემცველ ხელნაწერებსაც კი მოუღწევია ჩვენამდის. ყველაზე მკაფიოდ ეს პერიოდი გამოიკვეთება ძეგლთა ლექსიკური შედგენილობის მიხედვით, რასაც ჩვენ სხვაგან ვეხებით სპეციალურად. აქ ამგზობის იმას აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ შერეე საუკუნეზე ადრინდელი ეს ძეგლები ვერ იქნება, რადგან მათში შეინიშნება ხმარება ისეთი ლექსიკური წყებისა, რომელიც არაბობის საისტორიო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ შეიძლებოდა წარმოშობილიყო მახლობელ აღმოსავლეთში და, მაშასადამე, ასახულიყო ქართულ სალიტერატურო ენაშიც.

ამ საგულისხმო მომენტს გარდა დასახელებული ძეგლები ჩვენს ყურადღებას იმითაც იპყრობს, რომ მათში ვხვდებით ისეთ ფორმებს, განსაკუთრებით ქართული ზმნის ფარგლებში, რომლებიც ჯერ სხვაგან ან არავის შეუნიშნავს, ანდა, თუ რომელიმე მათგანი შეუნიშნავთ სადმე, მცირედ, როგორც შემთხვევა იშვიათი ხმარებისა ძველ ქართულში.

¹ სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გამოცემა III ე. თაყაიშვილისა, თბ. 1949 წ.

² მარტვირი ქართველი (VI—VII) და მისი შრომა «სინანულისათჳს და სიმდაბლისა» კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკლევით: ლიტერატურული ძიებანი, III, გვ. 265. იხ. რ. ბლეიკის ხეშთ დასახელებული კატალოგი, გვ. 50.

³ Ф. Кордишя, Описание рукописей церковного музея, I, გვ. 46—48.

⁴ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. IV შედგენილი და დასაბუქდად დამზადებული ელენე მეტრეველის მიერ, თბილისი, 1950 წ., გვ. 89.

I

ქართული ზმნის თავისებური და აქამომდის უცნობი ზოგიერთი ფორმები, რომლებიც VIII—X სს-ის ძეგლებში აქა-იქ გვხვდება, პირველ რიგში ხოლმეობითა მწკრივებს შეეხება, სახელდობრ მათ მესამე სუბიექტური პირის დაბოლოებას. თუ დღემდის ის ვიცოდით, რომ ძველ ქართულში უმეტესად ხოლმეობითი მეორე იხმარებოდა, ხოლო მის შემდეგ პირველი ხოლმეობითი გამოდიოდა (ისიც მესამე პირით, რადგან სხვები ამ მწკრივის არ გააჩნდა), ახლა, გარდა იმისა, რომ ხოლმეობითი მეორის მესამე პირისათვის მრავლობით რიცხვში ზოგჯერ ცნობილისაგან განსხვავებული ფორმა გვაქვს, ისიც საგულისხმოა, რომ ხოლმეობითა დასახელებულ მწკრივებს გვერდში უდგება უწყვეტლის ხოლმეობითი, რომელიც მესამე სუბიექტური პირის გამოსახატავად მრავლობით რიცხვში იმავე ფორმანტებს მიმართავს, რომლებსაც ხოლმეობითი მეორე და რომელთაგან ახლად გამოვლინებული თავისი სახით სხვა არაფერია, თუ არ აწმყოს ანუ პირველი ხოლმეობითის ნიშანი მრავლობით რიცხვში, ე. ი.-ედ.

ხოლმეობით მეორეში ამ ფორმანტი ნაწარმოები გარდაუვალი და გარდამავალი ზმნის შემდეგი ფორმები გვაქვს.

ა. გარდაუვალი ზმნებისა

მივიდიედ, სხდიედ — დასხდიედ. (მხიარულ) იქმნიედ. დაშურიედ. დაწყნარდიედ და დაეხვნედ.

მოწობანი ტექსტებიდან:

1. მივიდიედ

«არა ხოლო თუ მეფენი ითხოვენ მათგან შეწვენასა, არამედ მრავალნი ეშმაკეულნიცა მივიდიედ საულაფთა მათთა და განიკურნნიან».

(«მარხვათა საკითხავნი» A¹. 47 გვ.; C¹. 1 6 რ.; B) მივიდიედ | მიივლტიედ | B¹.

2. სხდიედ

«რამეთუ ვითარცა-იგი რომელნი ეამსა სიციხისასა მახლობელად სხდიედ გამოსადინელსა წყალთასა და სივრილისა მისგან ჰაერისა განერნიან მძლავრისა მისგან სიციხისა, ეგრეთვე რომელი მიივლტოდის წიგნთა წმიდათასა, განარინოს სული თვისი უოველთაგან ენებათა».

(«მარხვათა საკითხავნი» C, 4რ.; A-სა და B-ს აკლია).

3. დასხდიედ

«და ვიდრე იგი ილოცავენ, იგინი ტაბლასა განჰზადებედ და მუნთქუესვე დასხდიედ პურისა ქამად».

(«სამოთხე»).

¹ A-თი აღნიშნავეთ დავით მამფლისეულ ნუსხას: S—1139-ს; B-თი—ოშყურს: A 1142-ს და C-თი—იერუსალიმურს: H—1662-ს.

4. (მხიარულ) იქმნიედ

«და ოდეს იხილნიან პირნი მათნი, გინა სამოსელნი, გინა ჯამლი მათი, გინა საყოფელნი მათნი, მხიარულ იქმნიედ გულითა და უხარინ».

(«მარხვათა საკითხავნი» C. 42v.: A-ს აკლია) მხიარულ იქმნიედ განისზარინან B.

5. დაშურიედ

«ვითარცა-იგი რომელნი ასპარეზსა ცხენთასა ერთიერთსა უსწრობენ და განსცხრებიედ, და სარგებელი ვერაჲ პოიან მათ მოსწრაფედ მორბედითა მათითა და მჭურვალედ მოქმედებითა, რამეთუ არავინ მიაგის მისაგებელი მათი, არცა გვრავნოსან ყუნის, და ცუდად და შურიედ».

(«მარხვათა საკითხავნი» C 36v.: A-ს აკლია) დაშურიედ დაშურიან B.

6. განცივნიედ

«ძმანო ჩემნო, არა გუეშინისა ჟამისა მისგან, ოდეს-იგი განცივნიედ ფერკნი და ძწოლად შეედვის მუქლთა, ოდეს-იგი შეშუოთნეს სტომაკი და დაიკვნენ თუალნი და დადუმნეს პირი, და გამოაჰყენ სული ანგელოზთა მათ საშინელთა და მრისხანეთა, და ამხილებედ მას საქმეთა მისთა ბოროტთა, და რადთა სიტყუად მისცეს მან ყოველთათჳს ცოდვათა მისთა, რომელნი ექმნეს მას სოფელსა ამას შინა საწუთროსა».

(«მარხვათა საკითხავნი» A, 22 გვ.; C. 79 v.: B) განცივნიედ განცვბრდიან A (რაც უთუოდ non sens-ია, აღმოცენებული დედნის უხეიროდ ამოკითხვებზე).

7. დაწყნარდიედ

«განისუენიან ვაქართა მოსწრაფეთა, რაემს-იგი განვლიან ზღუად მშვიდობით, დამთქმელი, და განერნიან ზრუნეასა და მწუხარებასა, და განისუენიან კირთა და შრომათაგან. იხარებედ, რაემს განვლიან ქუეყანაჲ იგი საშიში და გზად იგი იწროჲ, და წყნარდიედ შფოთისაგან და სირბილისა, და დაეყუდნიან მინდობით».

(«მარხვათა საკითხავნი» A, 146 გვ.; C. 150v.: B) დაწყნარდიედ დაწყნარდიან C.

8. დაეხზნიედ

«ვითარცა-იგი რად ორბი სპეტაკი იპოების ყოლადვე ადგილთა სულმყრალთა, მწინკულევანთა, და ერიდების იგი ბოსტანთა და სამოთხეთა და ადგილთა სურნელთა. და ეგრეთვე მწერთა დაუტენიან გუამნი სურნელნი და ცოცხალნი და დაეხზნიედ წუთხსა წყულულებათასა».

(«მარხვათა საკითხავნი» A, 172 გვ.; C, 172r.: B) დაეხზნიედ დაეხზნიან AB.

ყველა ზემოთ წარმოდგენილი და სათანადო ნიმუშებში ხაზგასმული გარდაუვალი ზმნი^ა ფორმა, გარდა უკანასკნელისა, ერთპირიანი ზმნებისაა. ისინი ან საშუალო გვარისა არიან: მივიდიედ, სხდიედ—დასხდიედ. ანდა ვნებიითისა: დაშურიედ, (მხიარულ) იქმნიედ, განციენიედ და დაწყნარდიედ. უკანასკნელი მაგილითის ზმნის ფორმა—დაეხზნიედ—ორპირიანი ვნებითი გვარისაა. სუბიექტად მათ, უკანასკნელთან ერთად, როგორც წესი, შეწყობილი აქვთ სახელები სახელობით ბრუნვაში: მივიდიედ ეშმაკეულნიცა, სხდიედ რომელნი, დასხდიედ იგინი; დაშურიედ [იგინი], (მხიარულ) იქმნიედ [იგინი], განციენიედ ფერკნი, დაწყნარდიედ [ვაქარნი]; დაეხზნიედ [მწერნი]. ერთპირიანი ზმნის ფორმებში, რომლებშიც მხოლოდ სუბიექტური პირია ხოლმე ასახული (ისე ორპირიან ვნებითისაშიც, სადაც სუბიექტურ პირებთან ერთად ირიბი ობიექტის პირებიც აღინიშნება), პირის ნიშნები თუ ბოლოსართად მოდის, მესამე სუბიექტურისაა. ჩვენს მაგალითებში ჩამოთვლილი სუბიექტები, რომლებიც მრავლობით რიცხვში დგანან, ბოლოსართოვანი ედ ნიშნით არიან წარმოდგენილი. მაშასადამე, ეს ედ მრავლობითში მდგომი მესამე სუბიექტური პირის ნიშანია.

თუ სათანადოდ გაეანალიზებთ მოყვანილ ფორმებს და მათ აღნაგობას დაუშკვირდებით (მო-ვი-ედ-ი-ედ, სხ-დი-ედ—და-სხ-დი-ედ; და-შუ-რი-ი-ედ, იქ-მ-ნი-ი-ედ, გან-ცი-ენ-ი-ედ, და-წყ-ნარ-დი-ი-ედ; და-ე-ხ-ზ-ნი-ი-ედ), ვნახავთ, რომ ისინი მეორე სერიას განეკუთვნებიან, კერძოდ ხოლმეობით მეორეს, რაც აღნიშნული ედ ფორმანტის წინ მდგომი ი ნიშნით არის გადმოცემული. ამრიგად, მოყვანილ ზმნათა ფორმებში, რომლებშიც ჩვენს ყურადღებას ედ ფორმანტი იქცევს, ხოლმეობითი მეორის მწკრივისაა, —მესამე სუბიექტური პირისა მრავლობით რიცხვში.

ბ. ბარლაშაშვილი ზმნებისა

შეიმოსიედ, (ჯუარს)-აცუნიედ, იხილნიედ.

მოწმობანი ტექსტებიდან:

9. შეიმოსიედ

«სახც, რომელი კმოსიედ მოძლუარსა, იგივე შეიმოსიედ მოწაფეთა».

(მარხვათა საკითხავნი • A, 32 გვ: C. 91r.: B1
შეიმოსიედ] შეიმოსიან C. შეუმოსიეს B.

10. (ჯუარს)-აცუნიედ

«და წარიყვანნეს იგინი მკედართა მათ ადგილსა, რომელსა ჰრქვან კანტონ, სადა იგი ბოროტის-მოქმედნი ჯუარს-აცუნიედ».

(«სამოთხე», თბრობა 58).

11. იხილნიედ

«რამეთუ წმიდანი რაოდენცა მიეახლებიედ ღმერთსა, იხილნიედ თავნი თჳსნი უკოდვილესად უოველთა კაცთასა».

(მარხვათა საკითხავნი • B. A-სა და C-ს აკლია)

აღნუსხული გარდაამავალი ზმნების ფორმები ყველა ორპირიანია. შეწყობილი პირდაპირი ობიექტები, იმის გამო, რომ ზმნათა ფორმები II სერიას ეკუთვნის, სახელობით ბრუნვაში დგას, ერთგან მხოლოდობითისა (შეიმოსიედ სახ(ბ)) და სხვაგან — მრავლობითისაში (ჯუარს-აცუნიედ ბოროტის-მოქმედნი, იხილნიედ თავნი თჯსნი). ეს სახელობითი წარით არიან ნაწარმოები, ამიტომ მათი რიცხვის აღმნიშვნელი ფორმები სათანადოდ („ნ-თი) არიან წარმოდგენილი (ჯუარს-აცუ-ნ-იედ, იხილ-ნ-იედ). რადგან პირდაპირი ობიექტის მესამე პირი წესისამებრ ზმნათა ფორმებში აუსახველია, ამიტომ მოყვანილ ფორმებში მხოლოდ სუბიექტის სათანადო პირის ნიშნებია საძიებელი, ეს პირი კი ყველა შემთხვევაში მესამეა (მრავლობით რიცხვში — „მათ“) და, როგორც წესი, ბოლოსართადაა წარმოდგენილი: ედ. ამ ფორმანტის წინ მდგომი ხოლმეობითის ნიშანია და რადგან აღნაგობის მიხედვით (შე-ი-მოს-ი-ედ; ა-ცუ-ნ-ი-ედ; ი-ხილ-ნ-ი-ედ) მოყვანილ ზმნათა ფორმები II სერიას ეკუთვნის, ამიტომ ეს ხოლმეობითი მეორეა.

ამრიგად, აქაც მოყვანილ ზმნათა ფორმები ხოლმეობითი მეორის მწკრივისაა, სახელდობრ მესამე სუბიექტური პირისა მრავლობით რიცხვში, რაც ედ ფორმანტითვე არის გადმოცემული.

ედ ფორმანტი აღნიშნული ფუნქციით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არა მარტო ხოლმეობით მეორეში გვხვდება, არამედ უწყვეტლის ხოლმეობითშიც. საერთოდ უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმები ჩვენს ტექსტებშიც (ისე როგორც ეს შენიშნულია სხვების მიმართაც ძველი ხანისათვის¹) იშვიათად გვხვდება². ისიც შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ტექსტებში, თუ სადმე გვხვდება ამ მწკრივის ფორმები, უმთავრესად მაინც მრავლობითშია.

ედ ფორმანტს უწყვეტლის ხოლმეობითში ეპოულობთ როგორც ვნეობითის, ისე მოქმედებითი გვარის ზმნებში:

ზრუნვიდიედ, ეტყოდიედ, სციდიედ, ქუმილვიდიედ.

¹ ა. შანიძე, სამი მწკრივის თავისებურებანი ძველს ქართულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, VI, გვ. 845, 1945 წ.

² მოვიყვანთ აქ მათ:

a. «მოვიდიან საფლავსა და დაუტვიან იგი მარტოა და წარვიდიან სახედ თჯსად... და სწრაფით მონაგებსა მისსა» განიყოფდიანა [C, 259r].

b. «რავამს მუფლის სენი იგი კორცთაჲ, ესე ყოველი გუაკსობნ და გულს-ვეტყოდით სიკუდილისათჳს და სინანულისა, და ვითარცა განმეორის სენი იგი, ყოველივე დაგუავიწყდეს და არღარა ეზრუნვიდით და არცა მოვიკსენებდით სატანჯველთა მათ საუქუნეთა, რომელი განმზადებულ არს ცოდელითათჳს» [O, 261v; B].

c. «უქუთუ ვინმე აღმიდგის, ვპრისხვიდით... და ძვრსა უზრახვიდით მანკიერებითა» [A, 300 გვ.; C, 225 v].

d. «ჩვენ ცოდვათა მათთა ვხედვიდით, ხოლო სინანული მათი და კეთილისა საქმეჲ ვცნით და უსამართლოდ განვიკითხვიდით» [C. 273r; B].

მოწმობანი ტექსტებიდან:

1. ზრუნვიდიედ

«და ვითარცა აგრძნიან იგი, ოდესმე ცეცხლსა შევიდიან უშიშად და არა შეეხის მათ, და ოდესმე სიღრმესა წყალთასა ზედა ვლენედ და არა დაინთქნიან და არცა ეტუეულ იქმნიან, რამეთუ სარწმუნოებაა განაძლიერებნ მათ და არას ზრუნვიდიედ ხილვისათჳს და საქმისა საშინელთა საქმეთათჳს».

(მარხვათა საკითხავნი C, 250 r; B. A-ს აკლია)
ზრუნვიდიედ] ზრუნვიედ (!) B.

2. ეტყოდიედ

«მაშინ განეცხადოს ყოველთა საქმე მისი, ვითარცა-იგი მათი, რომელნი ეტყოდიედ შეუფესა ღლესა მას განკითხვისასა: უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ვწინაწარმეტყუელდითა და სახელითა შენითა ძალთა მრავალთა ვიქმოდითა?»

(მარხვათა საკითხავნი C, 28 v; B. A-ს აკლია).
ეტყოდიედ] იტყვდ B.

3. სციდიედ, 4. ჯუმილვიდიედ

«იქმენ ზენ ვითარცა მჭუმლინი, რომელნი ეტყუელვიდიედ სამწყსოსა გინა სავენაჯესა, რამეთუ იტყუელვედ ჯელთა მათთა და ემითა მალლითა ღაღადებენ და იზახებედ. და ოხრისა მათისაგან ივლტიედ ყოველნი, რომელთა ჰნებავენ მიპარვად სამცეველოდ მათი, რომელსა სციდიედა».

(მარხვათა საკითხავნი C, 16 v; A-სა და B-ს აკლია)

წარმოდგენილ ზმნათა ფორმების როგორც სინტაქსური შეწყობა ([იგი. ნი] ზრუნვიდიედ არას; რომელნი ეტყუელვიდიედ; [იგინი] სციდიედ რომელსა; რომელნი ეტყუელვიდიედ სამწყსოსა გინა სავენაჯესა), ისე აღნაგობა (ზრუნვიდიედი; ეტყუელვიდიედ; სციდიედი; ეტყუელვიდიედი) აშკარად გვითითებენ, რომ ისინი I სერისა არიან. მათ ფუძეთა სავარცხლებზე უშუალოდ დართული ხოლმეობით მწკრივის აჩენს, ხოლო ბოლოსართად მოსული -ედ ამ მწკრივის მრავლობითი რიცხვის მესამე პირზე მტყუელვებს. ამრიგად, ეს ფორმები, რომლებიც წარმოებულთა -ედ ფორმანტი, უწყვეტლის ხოლმეობითი მწკრივისა არიან, სახელდობრ მესამე სუბიექტური პირისა მრავლობითში.

-ედ ფორმანტი, რომელიც ზემოთ მოყვანილ მოწმობათა მიხედვით ხოლმეობით მწკრივთა მესამე სუბიექტური პირის ნიშანი ჩანს მრავლობითში ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივი -ან ფორმანტის პარალელურად (უწყვეტლის ხოლმეობითისა და მეორე ხოლმეობითში), გვხვდება ძველად აგრეთვე მესამე პირის ბრძანებითის ერთადერთ მანარმოებლად მრავლობითში. მხოლოლობითში კი ასეთი შემთხვევების დროს ყოველთვის -ან ფორმანტი მოიპოვება. ესევე ფორმანტები, როგორც ცნობილია, აწარმოებენ მესამე სუბიექტური

პირის ფორმასაც პირველ (აწმყოს) ხოლმეობითში, რომელსაც პროფ. არნ. ჩიქობავა ზოგად აწმყოს უწოდებს¹.

რა ურთიერთობაა ამ საზიარო ფორმანტის მქონე დასახელებულ მწკრივთა შორის? ამ კითხვაზე პასუხს პროფ. არნ. ჩიქობავას ერთ-ერთ ნაშრომში ვპოულობთ („მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში“ ენიმკ-ის მოამბე, V—VI, გვ. 13—44, თბილისი, 1940 წ.). ავტორის შეხედულებით, ეს ნიშნები მესამე სუბიექტური პირის აღსანიშნავად აწმყოს გარდა უწყვეტელსაცა და წყვეტილსაც უნდა ჰქონოდა ადრევე ერთადერთ ფორმანტად (სუფიქსად) მესამე პირში, რომლებიც შემდეგში, ძველ ქართულში, გამოყენებულ იქმნა მესამე პირის ბრძანებითისათვის. სხვანაირად რომ ეთქვათ, ძველი ქართულის მესამე პირის ბრძანებითი სხვა არაფერია, თუ არ წყვეტილისა და უწყვეტლის მესამე სუბიექტური პირის ოდინდელი ფორმები, რომლებიც მარტოოდენ -ნ — ედ ფორმანტებით იწარმოებოდნენ.

ხოლმეობით მეორეში შენიშნული ერთი შემთხვევა: მოილ-ი-ნ (ერ ყოველი რომელი ხითხოვნ, მოილინ²) და მესამე პირის ბრძანებითის და შ რ ტ-ი-ნ ტიპის ფორმები, რომლებიც, ავტორის აზრით, აორისტისა თუ ნაწყო ხოლმეობითის (მეორე ხოლმეობითის) მესამე პირის ადრინდელი ფორმებია³, სადაც აგრეთვე მესამე სუბიექტური პირის ნიშნად -ნ გამოდის, პროფ. არნ. ჩიქობავას ავარაუდებინებს, რომ ეს „ნ“ ამ მწკრივშიც (ე. ი. ხოლმეობით მეორეშიც) ადრე ერთადერთი ნიშანი უნდა ყოფილიყო ზნეებისათვის და შესაბამისად ამისა ამავე მწკრივის მრავლობითში ყველგან -ედ დაბოლოება უნდა არსებულყო, როგორც მაგ.: დადრიკ-ი-ედ, ალაღინ-ი-ედ⁴. თითქმის ყველა მწკრივში „ნ“ სუფიქსის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მიჩნევა პროფ. არნ. ჩიქობავას აყენებინებს ერთ ზოგად დებულებასაც, რომლის თანახმად „ნ“ სუფიქსი უძველესი სუფიქსია მესამე პირისა; იგი გამოყენებული იყო როგორც დროთა (ანუ: მწკრივთა) მეორე ჯგუფში (ე. ი. სერიაში), ისე დროთა (ანუ: მწკრივთა) პირველ ჯგუფში (ე. ი. სერიაში)... და ეს მესამე პირის სუფიქსიც დროთა (ანუ: მწკრივთა) მიხედვით არ იცვლებოდაო⁵.

მესამე პირის ბრძანებითის ფორმები რომ სათანადო წყვეტილისა და უწყვეტილისაგან ამოდის და, შეიძლება, მათ ოდინდელ ფორმებსაც იყენებდეს, საეჭვო არ უნდა იყოს. არც ის უნდა იყოს საცილობელი, რომ მეორე ხოლმეობითში მესამე სუბიექტურ პირს მხოლოდობითში ი-ნ და მრავლობითში -ი-ედ სუფიქსი ჰქონოდა. დადრიკ-ი-ედ და ალაღინ-ი-ედ ჩვენი ტექსტების მონაცემების შემდეგ თეორიულად წარმოსადგენი ფორმები კი აღარაა, არა-

¹ არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში: ენიმკ-ის მოამბე. V—VI, თბილისი, 1940 წ.

² ივ. ჯავახიშვილის მიერ ამოკითხული ხანმეტი ტექსტიდან (პალიმფსესტიდან): თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, გვ. 377.

³ არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი... გვ. 32 და 39.

⁴ იქვე. გვ. 37.

⁵ იქვე. გვ. 40.

მედ რეალური ფაქტია ძველ ქარაულში. ასევე რეალურად მისაჩნევ ფორმად გამოდის ჩვენივე ტექსტების მოწმობათა მიხედვით პროფ. არნ. ჩიქობავას მიერ ნაგარაუდები იხარებდ-ი-ედ ფორმა უწყვეტლის ხოლმეობითისათვის¹.

ჩვენი ტექსტების მონაცემებით -ედ ფორმანტი ხოლმეობით მწკრივთა მესამე პირისათვის ხმარებულა მრავლობითში ძველი ქართულისათვის ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივი -ან სუფიქსის გვერდით. არსად მხოლოდობითში ამ ფორმანტის საპირისპიროდ ჩვეულებრივი -ხ სუფიქსის პარალელურად მოსალოდნელი -5 არ შეინიშნება, როგორც ეს აწმყოს ხოლმეობითშია და ხოლმეობითის სხვა მწკრივებისათვის -ხ-ს პარალელურად აქვს ნაგარაუდები პროფ. არნ. ჩიქობავას.

კითხვა ისმის, დანოწმებული შემთხვევები ძველი მოვლენის გადმონაშთია ჩვენი ტექსტებისათვის, თუ იგინი ახალი მოვლენის ჩანასახს წარმოადგენენ, ვთქვათ, აწმყოს ანუ პირველი ხოლმეობითის ანალოგიით წამოწყებულს; ანდა დიალექტური ფორმის ხმარება ხომ არაა, ნებისთი თუ უნებლიეთ შემოტანილი მთარგმნელისა ან გადამწერისაგან? ჩვენ შესაწყნარებლად პირველი ვარაუდი უფრო მიგვაჩნია. ახლის ჩანასახი რომ იყოს, განვითარება უნდა მოეცა შემდგომ ხანაში, რასაც ვერსად ვხედავთ; პირიქით, ასეთ ფორმებზე ქართულ მწერლობას ხელი აქვს ალებული. აგრეთვე ასეთი ფორმანტის დიალექტური ხმარებაც დასახელებული მწკრივებისათვის არსად შეინიშნება. ჩანს, ის გადაზნაშთია ძველი მოვლენისა, განსაკუთრებით ხოლმეობითი მეორისათვის, რომელზედაც შემთხვევათა მეტი რაოდენობა მოდის. აქედან უნდა იყოს ის გადასული უწყვეტლის ხოლმეობითში, რომელიც საზოგადოდ გვიანდელ წარმოქმნილ მწკრივად ითვლება და არცთუ ხოლმეობითი მეორის გარეშე.

II

VIII—X სს-ის დასახელებული ძველები გვიჩვენებს ზნის ფორმათა კიდევ ერთ თავისებურებას: -დ ფორმანტის ალაგ-ალაგ ხმარებას სტატიკური ზმნების აწმყოსა და თურმეობითი პირველის მესამე სუბიექტურ პირში ჩვეულებრივი -ხ სუფიქსის ნაცვლად და აგრეთვე -ედ სუფიქსის იშვიათ ხმარებას ამავე პირის აღსანიშნავად მრავლობითში გარდამავალ ზმნათა თურმეობითი პირველისა, სადაც ჩვეულებრივ -ან სუფიქსი იხმარება ძველად. განვიხილოთ ეს შემთხვევები.

ა. სპაგოქარი აწმყო

ჰგიედ, გუგონიედ, ჰმოსიედ.

მოწმობანი ტექსტებიდან:

1. ჰგიედ

ა. «თარგმანებაჲ ამის ასკიაჲსაჲ საქორციელოჲსაჲ ესე არს: ტაბლაჲ, რომელსა ზედა ჰგიედ ერთი ხოლო საქმელი».

(«მარხვათა საქითხანი» B; აკლია A-სა და C-ს).

არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი., გვ. 40.

b. «და თუ ვინმე ეშჯინ, არა სიტყუა-უგებნ, და ყოველსა სიტყუასა ზედა და საქმესა განმტკიცებული შეუსთომელად ჰგვიდ საესე ყოვლითა საქმითა კეთილითა».

(მარხვათა საკითხავნი A, 342 გვ.; B; C-ში არ იპოვება).

c. «მრისხანესა დაამშდებნ მყუდროებით და სიყუარულსა მისსა ზედა შეუორგულებელად ჰგვიდ».

(მარხვათა საკითხავნი A, 342 გვ.; B; C-ში არ არის).
ჰვიდჱ ჰვიენ B.

2. გუგონიედ

«რამე უკუე ვყოთ... შფოთისა და შურისათჳს, რომელმან შეგჳყურნის მათოჳს, რომელნი ცხოვნიან, არა ხოლო თუ მტერნი, არამედ მეგობარნიცა ჩუენნი და მწუხარებაჲ მათი ნუგეშინის-ცემა ჩუენდა გუგონიედ».

(მარხვათა საკითხავნი B, 40 r; C; A-ს აკლია).

3. მმოსიედ

«სახმ, რომელი მმოსიედ მოძლუარსა, იგივე შემოსიედ მოწაფეთა; წესი, რომელი დაუღვის მეფემან, მას ზედა იქცევინ გუნდი ერისა მისისაჲ».

(მარხვათა საკითხავნი A, 32 გვ.; C 91 r; B)
მმოსიედ| მმოსიეს B.

აღნიშნული სტატიკური ზმნების ფორმებს თავსართად ირიბ-ობიექტური პირის ნიშნები მოეპოვებათ (მ-გიედ, გუ-გონიედ, მ-მო-სიედ), ხოლო ბოლოსართად — მესამე სუბიექტური პირის ნიშანი, რომელიც აქ, ძველი ქართულისათვის, ჩვეულებრივი ხ-ს ნაცვლად ასეთ შემთხვევაში დ-თი არის წარმოდგენილი (ჰგიედ-დ, გუგონიედ-დ, მმოსიედ-დ). ამ ბოლოსართის წინ მათ დართული აქვთ ფუძეზე რთული იე (ი-ე) სუფიქსი, ასე, რომ ხსენებული ფორმების შემდგენიერი ანალიზი იქმნება: ჰ-გ-ი-ედ; გუ-გონ-ი-ედ; მ-მოს-ი-ედ.

ძველი ქართულის ერთ სხვა ძეგლშიც გვხვდება აგრეთვე „მმოსიედ“ ფორმა. ესაა იაკობ მოციქულის, უფლის ძმად წოდებულის წამების წიგნი, რომელიც ძველ მრავალთაგებს დაუცავს. მის ერთ-ერთ ნუსხაში, პარხალს გადაწერილში XI ს-ის დამდეგს, ნათქვამია, რომ აარა შემოსის მან მატყლისა სამოსელი, არამედ მმოსიედ მას სტევისა სამოსელიოა. ე. წ. სვანურ მრავალთაგეში, რომელიც X ს-ისად ითვლება ხელის მიხედვით, „მმოსიედ“-ის ნაცვლად „მმოსიენ“ არის, და „სტევისა“-ს მაგიერ „სელისა“. ამ მოწმობით ერთი გარემოება ირკვევა: სტატიკური ზმნის აწმყოს მწკარივში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მხოლოობითში „ხ“ და „დ“ ბოლოსართებს გარდა კიდევ „ნ“ ყოფილა.

სულ შემთხვევითი ეს მოვლენა არ უნდა იყოს. ამას მოწმობს „ჰგიედ“ ფორმისათვის ზემოთ მოყვანილი ის მაგალითი (1 c), რომელშიც აგრეთვე „ჰგიედ“-ს სხვა ნუსხაში „ჰვიენ“ მოეპოვება შესატყვისად.

ბ. თარგმობითი პირველი

უქმნიედ, მიულებიედ; შეგირაცხიედ.

მოწმობანი ტექსტებიდან:

1. უქმნიედ

„ხოლო გუამი დაიწუვიან ფიცხლისა მისგან სიმჭურვალისა და სული ეტყინებინ ცეჯხლითა ცოდვისაჲთა, რომელ უქმნიედ წინაჲსწარა.“

(მარხვათა საკითხავნი A, 150 გვ.; C, 150 r)

2. მიულებიედ

„მაშინ უბრძანის მისგან განძარცუვად სული წმიდაჲ, რომელი მიულებიედ მას დღესა მას გაპოქნისასა, რომლისასა ჰგონებნ მის თანა ყოფასა.“

(მარხვათა საკითხავნი C, 28 v.; B: A-ს აკლია)

წარმოდგენილი ფორმები რომ გარდამავალ ზმნათა თურმეობითი პირველისაჲ, ამას მოწმობს როგორც სუბიექტ-ობიექტის შეწყობა (რომელ უქმნიედ [სულსა], რომელი მიულებიედ მას), ისე ამ წევრების ინვერსიულად წარმოდგენა ზმნის ფორმებში ([ჰ]-უქმნიედ, მი-[ჰ]-ულებიედ). თავსართად აქაც გრამატიკული ობიექტის პირის ნიშნებია წარმოდგენილი (მესამისა—ჰ), ხოლო ბოლოსართად გრამატიკული სუბიექტის მესამე პირი დ-თი. უკანასკნელის წინ ფუძის სავრცობია, იგივე რთული სუფიქსი -ე, რომელიც სტატიკური ზმნების აწმყოშიც შეგვხვდა. მაშასადამე, აღნიშნული ზმნები შემდეგნაირად ანალიზდება: (ჰ)-უქმნიედ, მი-(ჰ)-ულებიედ.

ერთ სხვა ხელნაწერში (H -341, XI ს-ის ნუსხაში) წარმოდგენილ წამების წიგნში („წამებაჲ შვდთა ეფესელთაჲ“.ში), რომელიც ლექსიკური ნიშნებით VIII—X სს-ში უნდა იყოს თარგმნილი, თურმეობითი I-ის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მხოლოდობითში „ნ“-ს ვხვდებით, მსგავსად სტატიკური აწმყოს ზოგიერთი ფორმისა („ჰკიენ“, „ჰმოსიენ“):

ჰ. უცნობიენ

„ვიჲვენით ჩუენ ვითარცა ყრმაჲ, რომელ არს მუცელსა დედისასა და არა სკენობნ პატიესა გინა უპატიობასა, არცა შრომასა, არცა განსუენებასა, და ეხორებაჲ არა უცნობიენ (უ-ცნობი-ე-ენ) ცხოველთა თანა და ბეჲდართა“ (გვ. 503)].

მოყვანილ მოწმობათაგან ნათლად ჩანს, რომ ფორმანი დ (რომელსაც იშვიათად ნ ენაცვლება) სუბიექტის მესამე პირის ნიშანი მხოლოდობითში. რაღა მრავლობითში? ამის გამოსარკვევად მხოლოდ ერთი მაგალითი მოგვეპოვება. ესაა —

შ. შეგირაცხიედ

„და შენ, ჰ კაცო, კადნიერებითა და აპარტავანებითა არად შეგირაცხიედ გლახაკნი და იკადრებ მოძულებად და ენებად მათდა და მტერობაჲ.“

(A, 76 გვ.; C, 135 r; B)

შეგირაცხიედ| შეგირაცხიენ A. შეგირაცხიან B.

წინა მაგალითებისაგან (1,2) განსხვავებით აქ გრამატიკული სუბიექტი მესამე პირისა შეწყობილია მრავლობითში (გლახაკნი შეგირაცხიელ შენ). მისი ნიშანიც ამიტომ განსხვავებული უნდა იყოს იმ -დ ბოლოსართისაგან, რაც მხოლოდობითში მდგომი გრამატიკული სუბიექტის მესამე პირის შეწყობისას იყო. თუ გვაანალიზებთ მოცემული ზმნის ფორმას (შე-გ-ი-რაცხ-ი-ე-დ), ვნახავთ. რომ მრავლობითშიც გრამატიკული მესამე სუბიექტური პირი იმავე -დ სუფიქსით არის წარმოდგენილი, რომლითაც მხოლოდობითში იყო. გამოდის, თითქოს ზიარი ფორმანტია აქ -დ ბოლოსართი. მაგრამ, პროფ. ვ. თოფურიას მართებული ახსნით, აქ ნამდვილად -დ სუფიქსი კი არ არის მრავლობითში, არამედ -ედ, რომლის ე ხმოვნის შეხვედრამ ფუძის რთული ე-ე საერცობის ბოლოზმოვან ე-სთან, მართო ერთი ე წარმოგვიდგინა დაბოლოებაში. მგონა, აქ საერცობის ე უნდა იყოს დაკარგული, როგორც ამას ადგილი აქვს მაშინ. როცა ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივი სუფიქსით ვაწარმოებთ „მწკრივის მესამე პირის ფორმას მრავლობითში, სადაც საერცობის ე ელემენტი აღარა ჩანს (შეგირაცხ-ი-ე-ს—შეგირაცხ-ი-ან). ამრიგად, „შეგირაცხიელ“ ზმნის ფორმის ასეთი ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ თურმეობით პირველში გრამატიკული სუბიექტის მესამე პირის ნიშნებია მხოლოდობითში -დ (ჩვეულებრივი ხ-ს ნაცვლად) და მრავლობითში -ედ (ჩვეულებრივი -ან-ის მაგიერ), მსგავსად სტატიკური აწმყოსი, სადაც მხოლოდობითში აგრეთვე გრამატიკული სუბიექტის მესამე პირის ნიშნად -დ ბოლოსართი აღმოგვაჩნდა (ჩვეულებრივი ხ-ს ნაცვლად) და მრავლობითში კი -ედ სუფიქსია საგულევებელი (ჩვეულებრივი ან-ის მაგიერ).

„შეგირაცხიელ“ ფორმასთან დაკავშირებით საველისხმოა ისიც, რომ ჩვენი ძველის უძველეს ნუსხაში,—მსგავსად სტატიკური აწმყოს ზოგიერთი („ჰვიენ“, „ჰვოსიენ“) ფორმისა (და თურმეობითი I-ის ერთი შემთხვევისა მხოლოდობითში: „უცნობიენ“), სადაცქართულისათვის იშვიათი -დ სუფიქსის ნაცვლად სხვა ნუსხებში კიდევ უფრო იშვიათი -ნ მოიპოვება,—ზმნის ეს ფორმა ისეა წარმოდგენილი, რომ -დ დაბოლოებას -ნ ენაცვლება („შეგირაცხიენ“). მაგრამ აქ იმის შემდეგ, რაც ირკვევა, რომ „შეგირაცხიელ“ არის გარდამავალი ზმნის თურმეობითი პირველის ფორმა მრავლობით რიცხვში მდგომი გრამატიკული სუბიექტის მესამე პირისა, რომელიც არა -დ სუფიქსით, არამედ -ედ-ით არის წარმოდგენილი, ერთ-ერთი ნუსხის ეს განსხვავებული წაკითხვა ნამდვილად წარმოადგენს არა -დ და -ნ ბოლოსართების მონაცვლეობას, როგორც ეს სტატიკური აწმყოს ზოგ ფორმაში გვეჩინდა, არამედ -ედ და -ენ სუფიქსებისას. ამრიგად, თურმეობით პირველში გრამატიკული სუბიექტის მესამე პირის შემდეგნაირი სუფიქსებია ძველ ქართულში ჩვენი ტექსტების მიხედვით: მხოლოდობითში ჩვეულებრივი ხ-ს პარალელურად იშვიათი ხმარების -დ და ზოგჯერ, უკანასკნელის პარალელურად, კიდევ უფრო იშვიათი -ნ-ც, ბოლო მრავლობითში ჩვეულებრივი -ან სუფიქსის პარალელურად იშვიათი ხმარების -ედ არის და ზოგჯერ, უკანასკნელის პარალელურად, კიდევ უფრო იშვიათი -ენ-იც.

რომ სრულიად შემთხვევითი არ არის ერთის მხრივ -დ-სა-და-ნ-ს, ხოლო მეორის მხრივ -ედ-ისა და -ენ-ის ასეთი მონაცვლეობა, ამას ოთხთავის ძველი შატბერდული ნუსხების ერთი ჩვენებაც უნდა ამტკიცებდეს. შენიშნულია უკვე¹, რომ ოთხთავის ჯრუჭ პარხლის ნუსხებში გვხვდება აგრეთვე ერთგან თურმეობითი პირველის -დ-ონიანი ფორმა:

«მოიმი, სადა არა დასთესი, და შეიკრიბი, სადა არა განგიბნევი-
ედ» (მათე 25,24), ანდა: «მოვიმი, სადა არა დაესთესი და შევიკრიბი,
სადა არა განმიბნევიედ» (მათე 25,26).

აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში ისიც, რომ აღიშის ოთხ-
თავის მიხედვით პირველ შემთხვევაში «განგიბნევიედ» ფორმის ნაცვლად
«განგიბნევიან» გვაქვს, ხოლო მეორეში—«განმიბნევიედ» ფორმის მაგიერ
«განმიბნევიენ» არის². უკანასკნელი ფორმა, სხვათა შორის, იმის მაუწყებე-
ლიცაა, რომ -დ-სა და -ნ-ს მონაცვალეობა აქცია გვაქვს, თუ მონაცვლე ფორმე-
ბი გრამატიკულ სუბიექტს იწყობენ მხოლოდობით რიცხვში (რაც ზემოთ ზოგან
სტატიკური აწმყოსა და ერთგან თურმეობითი I-ს მხოლოდობით რიცხვის ფორმაში
შეინიშნებოდა), ხოლო -ედ-ისა და -ენ-ის მონაცვლეობა იქნება, თუ მონაცვლე
ფორმები გრამატიკულ სუბიექტს მრავლობით რიცხვში შეიწყობს (მსგავსად
ზემოთ აღნიშნული «შეგირაცხიედ—შეგირაცხიენ» ფორმისა).

დასახელებულ წყაროებს გარდა «ნ» გრამატიკული სუბიექტის მესამე
პირის ნიშნად თურმეობით პირველში (მხოლოდობით რიცხვისა) შეგვხვდრია
აგრეთვე X ს-ად მიჩნეული სამოციქულოს ერთ ნუსხაშიც:

«და ნუ თანა აღერევით მას, რაჟთა შეიკდიმოს, და ნუ ვითარცა მტე-
რი შეგირაცხიენ იგი, არამედ ასწავებდით ვითარცა ძმასა»
(S—407, 141 რ³).

სხვათა შორის, ეს ადგილი ნაბეჭდ სამოციქულოში⁴ ასე იკითხება:

«და ნუ თანა აღერევით მას, რაჟთა შეიკდიმოს და ნუ ვითარცა მტერსა
შერაცხთ მას, არამედ ასწავებდით ვითარცა ძმასა».

მსგავსი იშვიათი ხმარების ზმნის ფორმები თურმეობით პირველში სხვა
ძველი ქართული ენის ძეგლების მიხედვით შეუმჩნეველი არ დარჩენია პროფ.
ა. შანიძეს, რომელმაც თავისი ამონაწერების ერთი ნაწილი გადმომცა კიდე-
ვაც სარგებლობისათვის.

აღიშის ოთხთავის ხსენებულ «განმიბნევიენ» ფორმასთან დაკავშირებით
აქ პროფ. ა. შანიძე შენიშნავს: «საინტერესოა, რომ ამგვარი რამ სხვაგა-
ნაც გვხვდება» და ჩამოთვლის:

¹ ა. შანიძე, წინასიტყვაობა გამოცემისა: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქ-
ცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით: ძველი ქართული ენის ძეგლები. 2, თბი-
ლისი, 1945 წ.; გვ. 043.

² არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი..., გვ. 39.

ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია..., გვ. 92.

³ ილ. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული აღბოძი, თბილისი,
1949 წ., ტაბ. 30, მეორე სვეტის მე-4 სტრიქონი.

⁴ საღმრთო სამოციქულო, თბილისი, 1899 წ., გვ. 286.

1. შიშსა შეუპყრიენ მომრუშეთა გული და სულსა უქმთასა კმშიოდისა (იგავნი, 19, [15]12).

„რადგანაც აქ — ვკითხულობთ შენიშვნაში — არც სუბიექტი („შიშსა“) და არც ობიექტი („გული“) მრავლობითში არ არის, ცხადია, წ მრავლობითის ნიშნად არ შეიძლება გამოცხადებულ იქნეს“-ო.

მის მიერ შემჩნეული სხვა ანალოგიური ადგილები შემდეგია:

2. საძაგელ არს კაცი მართალი კაცისა ცოდვილისა, -და საძაგელ უსჯულოთა, რომელთა წარუშარებენ გზასა (იგავნი 29, 27).

3. ყაცი ქველის-მოქმედი თავსმდებ ექმნის მოყუასსა თუსსა, ხოლო რომელსა წარუწყემედიენ სირცხვლი, შუვა დაადგინის იგი (ისუ ზირაქი 29, 17).

მსგავს შემთხვევაში -წ-ს პარალელურად -დ-ს მქონე ფორმებსაც ასახელებს პროფ. ა. შანიძე ანტიოქე სტრატეგის „წარტყუნეა იერუსა-ლემისაჲს“ ქართული თარგმანიდან¹, სახელდობრ:

4. აღდელსა ზე აღუპყრიელ²... საუფლოჲ კორცი—იწ, 3.

5. დიაკონთა სამოსელი იგი ზე აღუპყრიელ³—იწ, 8.

„წ“-ის ადგილს მრავლობითში „ედ“-ის ხმარების გამოწმოდ პროფ. ა. შანიძის მაგალითებიდან ერთი შემთხვევა ჩანს:

6. დედაკაცისაჲ სახნიერისაჲ ნეტარ არს ქმარი მისი და რიცხუნი ცხორებისა მისისათანი ორწილ შეურაცხიელ გონებასა მისსა (ისუ ზირაქი 26, 1).

შემთხვევები დ ფორმანტის ხმარებისა თურმეობით პირველსა და სტატიკურ ამწყოში გრამატიკული სუბიექტის მესამე პირის ნიშნად პროფ. ვ. თოფურიასაც კქონია შენიშნული ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებში. გარდა „შუშანიკის მარტვილობისა“, რომელშიც, მართლაც, ვხვდებით ამ ფორმის ხმარების ორ შემთხვევას (1. ხოლო ნუ ვის უფლოედ ჩუენ თანა შემოსლვად [VI 3]⁴ და 2. თაყუანის საცემელად კილიკი ერთი მცირს ქუე წარუგდებელ [XIV 20]⁵), ხსენებულმა მკვლევარმა შემდეგი მაგალითები მოიყვანა თავის მოხსენებაში, რომელიც მან გააქეთა 1952 წლის 20 ივნისს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე, მიძღვნილს ი. სტალინის გენიალური შრომის «მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხების» გამოსვლის ორი წლისთავისადმი: „უმტკმი-ელ“ (ფიზიოლოგიდან—„პირი ზე უმტკმიელ“), „პნთიელ“ და „პგონიელ“.

¹ ნ. მარის გამოცემა, TP. IX, 1909.

² ხელნაწერში, H 341 (გვ. 639), აქ იპოვება „აღუპყრიენ“.

³ ხელნაწერში, H 341 (გვ. 639), აქ იპოვება: „უპყრიან“.

⁴ იაკობ ცურტაველი, მარტვილობა შუშანიკისი, ქართ. და სომხ. ტექსტები გამოცემა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1938 წ.

პროფ. ა. შანიძეს „უფლიედ“ სტატიკურ ხმანთა სიაში აქვს მოთავსებული, იხ მისი ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი მეორე, თბილისი, 1943 წ., გვ. 307.

აღნიშნული -დ ფორმანტისა და ზოგჯერ მისი მონაცულე -ნ-ს, ანდა -ედ ფორმანტისა და ზოგჯერ მის მაგერი ენ-ის ასეთი იშვიათი ხმარება სტატიკურ აწმყოსა და თურმეობით პირველში მესამე პირის აღსანიშნავად ერთ შემთხვევაში -ხ-სა და მეორეში -ან ნიშნების გვერდით ძველ ქართულში, აქაც კითხვას გვიყენებს: გადმონაშთი ან ახალი მოვლენის ჩანასახი ხომ არ არის დ || ნ ან ედ || ენ ფორმანტები აღნიშნული მწკრივებისათვის, ანდა დიალექტიკური მოვლენის ასახვას ხომ არ წარმოადგენენ ისინი? აქაც ჩვენი პასუხი ის იქნება, რაც ზემოთ ხოლმეობითა მწკრივების -ედ ფორმანტის მიმართ იყო, სახელდობრ ის, რომ დ || ნ ან ედ || ენ ფორმანტები მესამე სუბიექტური პირის ნიშნად სტატაკური ზნის აწმყოსა (მხოლოდობითში მხოლოდ—დ || ნ) და თურმეობით პირველში (მხოლოდობითში—ედ || ენ და მრავლობითში—ედ || ენ) ძველის გადმონაშთი უფრო უნდა იყოს, ვიდრე ახლის ჩანასახი, რადგან უკანასკნელს მაშინ განვითარება უნდა მოეცა, რასაც ძველ მწერლობაში ვერსად ვხვდებით. არც დიალექტური მოვლენის ასახვა უნდა იყოს აქ, ვინაიდან მსგავსი რამ ქართული ენის დიალექტთა შორის შენიშნული არაა.

დასასრულ, სტატიკურ აწმყოსა და თურმეობით I-ში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ჩვეულებრივი -ხ-ს ნაცულად ზოგჯერ -დ || ნ-ს არსებობა ძველ ქართულში და ამავ ე პირის ნიშნად მრავლობითშიც -ედ || ენ-ის დადასტურება თურმეობით პირველში, რომელიც სტატიკ. აწმყოსებრი წარმოებისა არის, ბუნებრივად გვიკარნახებს ვიფიქროთ, ხომ არ გვაქვს აქ ჩვენ შემთხვევები, რომ ამ ნიშნებით ძველ ქართულში აღრე არსებული ხოლმეობითი იყოს გადმოცემული, ისე როგორც ეს ძველი ქართულის სხვა აწმყოშია წარმოდგენილი (წერნ—წერედ)? ძგონია, რომ დამოწმებული შემთხვევები ამას არ ეწინააღმდეგება, მით უმეტეს, რომ ჩვენ მიერ მოყვანილ შესაბამის ტექსტებში ძალზე ხშირად მათ გვერდით პირველი ხოლმეობითისა და მეორე ხოლმეობითის მწკრივთა ფორმებია ხმარებული.

უთუოდ საგულისხმოა ისიც, რომ ასეთივე ვარაუდი გასჩენია პროფ. ა. შანიძესაც მის მიერ შენიშნულსა და ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილ შემთხვევებთან დაკავშირებით, რაც ნათლად ჩანს იმ შენიშვნიდან, რომელსაც -ნ-ს მხოლოდობითის ნიშნად აღიარებას ურთავს: „იგია, ალბათ, ხოლმეობითის -ნ მხოლოდობით რიცხვში“. მოვლენის ასეთი შეფასებით უნდა იყოს გამოწვეული პროფ. ა. შანიძის მიერ მისი შენიშვნისათვის გაკეთებული სათაურიც—„III ხოლმეობითის ძველი სახე?“

რომ აქ ნამდვილად -ნ-თი ხოლმეობითი მწკრივის ფორმაა გადმოცემული თურმეობითი პირველისათვის, ამას ჩვენი ტექსტის კიდევ ერთი მაგალითიც მოწმობს:

რამეთუ კაცმან ოდესმე ძილსა შინა იხილის ხატი, რომელი არა სადა უხილავნ, და შეძრწუნდის გული მისი და განძვდის შიში.

(მარხვათა საკითხავნი: A, გვ. 321; C, 256r).

-აჲ თემიან ზმნასთან ხმარებულა ეს „ნ“ აშკარად მიათითებს მის ხოლმეობითობაზე, როგორც ეს კონტექსტით ჩანს და თურმეობითი პირველის მწკრივის წარმოების ხასიათითაც დასტურდება.

როგორც ირკვევა, თურმეობითი პირველისა და სტატიკური ზმნების აწმყოსათვის ერთ ხანს ჩვენს ენაში, ძველი ქართულის უწინარეს, არსებულა მესამე სუბიექტურ პირში ხოლმეობითის გამოსახატავად ძირითადად ისეთივე ნიშანი („ნ“ მხოლოდობითში და „ედ“ მრავლობითში), როგორც ძველ ქართულშია დაცული პირველ ხოლმეობითში. ჩანდა ისიც, რომ ასეთივე ნიშანი ძველ ქართულში მესამე სუბიექტური პირისათვის არსებობს აქა იქ მრავლობით რიცხვში (-ედ) ხოლმეობითის სხვა მწკრივთათვის: ხოლმეობით მეორესა და უწყვეტლის ხოლმეობითში. ეს ნიშნები, ძველს ქართულში რომ გადმონაშთის სახით შეინიშნება, იმას მოწმობს, რომ ენაში ისინი მოშლილან, ისე რომ ერთ შემთხვევაში (სტატიკური ზმნების აწმყოსა და თურმეობითი პირველისათვის) მნიშვნელობა უკვალოდ გაპქრობია, ხოლო მეორეში (ხოლმეობით მეორესა და უწყვეტლის ხოლმეობითში), თუმცა როგორც მწკრივი არ მოშლილა, მაგრამ ნიშნად სხვა გამომხატველი მოუპოვებია: „ან“ ნაცვლად „ედ“-ისა (მრავლობითში; მხოლოდობითზე ვერას ვამბობთ, რადგან პარალელური ფორმები არ შეგვხვედრია).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ წყარო ამ ნაირსახეობისა, რომელიც დასახელებულ მწკრივებში გადმონაშთის სახით მესამე სუბიექტური პირის ნიშნის ხმარებაში შეინიშნება, იყოს ხალხური მეტყველება, სხვადასხვა დიალექტის მონაცემი, რომელიც სალიტერატურო ენაში, საერთოდ ენაში, — რაც, როგორც მარქსისტული ენათმეცნიერების ფუძემდებელი ი. სტალინი გვასწავლის, „პროდუქტია მთელი რიგი ეპოქებისა, რომელთა მანძილზე იგი ყალიბდება, მდიდრდება, ვითარდება, იხვეწება“, ¹ — გამარტივდა, ერთზე დავიდა. ასევე უნდა მომხდარიყო გრამატიკულ წყობაშიც: ხოლმეობითის მწკრივთა სიმრავლე შემციირებულა ძველ ქართულში გადავარდნილა ის სტატიკური ზმნების აწმყოსა და თურმეობითი პირველისათვის, და ესეც, ცხადია, იმის გამო, რომ „ენის გრამატიკული წყობა კიდევ უფრო ნელა იცვლება, ვიდრე მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი. ეპოქათა განმავლობაში შემუშავებული გრამატიკული წყობა, რომელიც ენას შეუსისხლხორცდა, კიდევ უფრო ნელა იცვლება, ვიდრე ძირითადი ლექსიკური ფონდი. იგი, რა თქმა უნდა, იცვლება დროთა ვითარებაში, იგი უფრო სრულყოფილი ხდება, აუმჯობესებს და აზუსტებს თავის წესებს, იძენს ახალ წესებს, მაგრამ გრამატიკული წყობის საფუძვლები რჩება მეტად დიდი ხნის განმავლობაში, რადგან აქ საფუძვლებს, როგორც ისტორია გვიჩვენებს, „შეუძლიათ წარმატებით ემსახურონ საზოგადოებას მთელი რიგი ეპოქების მანძილზე“ ².

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ძველი ქართული ენის კათედრა.

(შემოვიდა რედაქციაში 1953. IV. 25)

ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 1951, გვ. 7.

² იქვე, გვ. 23.

И. В. Абуладзе

Редкие формы грузинского глагола в памятниках VIII—X вв.

Резюме

Автор статьи выявляет по рукописям X—XI вв., которые сохранили памятники древнегрузинского языка и которые своим происхождением восходят к VIII—X вв., доселе не замеченные, равно как и мало замеченные некоторые новые формы грузинского глагола, редко употребляемые в старину. Первые из них представляют суффикс 3-го лица субъекта во множественном числе — -ედ (-ед), которым обозначаются пермансивы, производимые как от аориста (წვეტილი), так и от имперфекта (უწვეტილი); обычно же для этой формы в древнегрузинском встречается лишь -ან (-ан).

Вторые же — редкие формы древнегрузинского глагола — представляют суффиксы того же лица в единственном числе — -დ || -ნ (-д || -н), а во множественном — -ედ || -ენ (-ед || -ен), которые встречаются вместо распространенных суффиксов -ს (-с) и -ან (-ан) в презенсе статического пассива (სტატიკური აწმყო) и в заочном I (თურმეობითი I). По мнению автора, последние формы в древнегрузинском являются пережиточными. Они некогда изображали пермансивные формы для названных рядов (скрипов — მწკრივი).

ფილოლოგია

ილ. აბულაძე

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი)

ქართული „ბალავარიანის“ ერთი პერსონაჟის სახელის
წარმოშობისათვის

ქართული „ბალავარიანის“ ზოგიერთი პერსონაჟის სახელი, როგორც ცნობილია, არაბული წარმოშობისაა. ამის საშოწმოდ პირველ რიგში ჩვეულებრივ ახსენებენ ინდოეთის მეფის შეილის სახელს—*ოვდასაფ-ს*, რომლისაგან მომდინარეობს ბერძნული *Ἰαχσάφ—იოახაფ-ი*. თავის მხრით ამ სახელის ქართული ფორმა („იოდასაფ“) დამოკიდებულად მიიჩნევა არაბულ შესაბამის სახელზე, *يا فاف var. افساف*—*ბუდასაჰ var. იფდასაჰ*)-ზე [1]. ასევე, ქართული „ბალავარი“ უფრო არაბ. *بهر*—*ბალავარ-ს* (ან: ბილავარ-ს) ემხრობა, ვიდრე ბერძნულს—*Βαρλαάμ—მარლაამ-ს* (რესპ. ვარლაამ-ს),—რომელიც საზოგადოდ, როგორც ფიქრობენ, ცხოვრების წიგნის საკუთარ სახელებს უმეტესად ქრისტიანულ კონტექსტს უკუძებს, ბიბლიურ სახელებს მსგავსებს [2, 5].

სიახლოვე თუ სრული დამთხვევა ზოგჯერ გეოგრაფიულ სახელთა შორისაც შეინიშნება. ასე მაგ., ქართული ვრცელი „ბალავარიანის“ (*ქარ.—140*) *შოლაიტ-ი* იგივე არაბ. *შავილაბატ-ია* (ბერძნულში ეს სახელი არ იპოვება), ხოლო ამავე წიგნის „ხარნადიბ—ხარანდიბ“ აგრეთვე არაბული *سرنديب*—*ხარანდიბ-ია* (კვილონია. ბერძნულში მას სენაარ—*Σενάαρ* შეესაბამება) [3].

არაბულზე დამოკიდებულება ქართული „ბალავარიანისა“ მასში ასახული კიდევ ერთი საკუთარი სახელის ფორმიდანაც ჩანს. ეს არის ინდოეთის მეფის სახელი, რომელიც ქართულში შემდეგი ნაირსახეობებითაა წარმოდგენილი: „*ჰგენახ, აბგენგ, იგენგ*“ (ეს უკანასკნელია მხოლოდ მოკლე „ბალავარიანში“,—სიბრძნე ბალავარიანში“). ირკვევა, რომ ამ სახელს სხვაგან კიდევ სხვანაირი სახე ჰქონია. ერთ ახლად გამოქვეყნებულ საგალობელში იოდასაფისა, რომელსაც X—XI საუკუნეთა მიჯნაზე აღმოცენებულად მიიჩნევს მისი გამომცემელი ე. ჯღაშაიძე [4], იოდასაფის მამის სახელად მოცემულია *აბენესერ*“. თუ ერთმანეთს შევუპირისპირებთ აღნიშნული სახელის მოცემულ სახეებს, პირველად ფორმად **ჰაბენესერ*“ გამოჩნდება. აქიდან მომდინარედ უნდა აღვიაროთ ბერძნული *Ἀβενήρ—აბენერ-ი* (რესპ. ავენიერ-ი), ხოლო თვით ქართული (**ჰაბენესერ*“), როგორც ირკვევა, სხვების მსგავსად არაბულზეა დამოკიდებული.

ცნობილია, რომ არაბულ დაწერილობაში ხშირად ბგერათა გამოსახატვად ასოს ერთი და იგივე მოყვანილობაა გამოყენებული, ისე რომ ერთმა-

ნეთისაგან გასარჩევად მათ მოეპოვებათ დიაკრიტული ნიშნები,—ასოს მოყვანილობის ათავსი თუ ქვეშ დაწერილი წერტილი ან წერტილები. ზოგ შემთხვევაში ბგერის გამოსარჩევად უნიშნობაცაა ნიშნად მიღებული არაბულში. ასე მაგალითად, „პ“, „ბ“ და „ჯ“ შემდგენიარადაა გამოხატული არაბულში: უნიშნოდ დაწერილი ასო ج, ა არის „პ“, თავზე წერტილდასმული ესევე მოყვანილობა ج, ა არის „ბ“, ხოლო ქვეშიწერილი წერტილით იგივე ასო ج, ა არის „ჯ“ გრაფიკულად მსგავსი დაწერილობა მოეპოვებათ „ბ“-ს, „ნ“-სა და „ა“-ს. ქვეშიწერილი წერტილით ამათთვის საერთო მოყვანილობის ასო ا არის „ბ“—, ا, ხოლო თავზე წაწერილი წერტილით იგივე მოყვანილობა არის „ნ“—; ამათი მსგავსია „ა“-ც, დაწერილი სიტყვის თავსა და შუაში: ا, ا.

არაბული დაწერილობის აღნიშნულ ვითარებასთან დაკავშირებით დაუკვირვებლობის ნიადაგზე, რასაკვირველია, აღრევას ურჩებოდა ყოველთვის ადგილი. თუ ამასთან ერთად იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ზოგჯერ არაბული ხელნაწერები გვხვდება დიაკრიტული ნიშნების გარეშე, მაშინ ნათლად წარმოვიდგენთ, თუ რა შედეგი მოაქვებოდა ზოგიერთი სიტყვის არაბულიდან გადმოთარგმნა-გადმოღებასა და ტრანსკრიბციას, კერძოდ საკუთარი და გეოგრაფიული სახელებისას. ერთისადა და მეორის ნიმუში, როგორც ცნობილია, დადასტურეს მკვლევრებმა ჯერ კიდევ მოკლე „ბალავარიანის“ („სიბრძნე ბალავარიანის“) ტექსტში [1]. ამათ ემატება ამაჰმად ავრთვე ორდასაფის მამის, ინდოეთის მეფის სახელიც *ჰაბენგებ, რომელიც ან გრაფიკული ცთუნების შედეგად არის მიღებული არაბულის სათანადო სახელიდან حنبر — „ჯანაბარ“, ისე რომ „ჯ“—ا არის „პ“—ا-დ ამოკითხული, „ნ“—ا „ბ“—ا-დ და „ა“—ا „ნ“—ا-დ: حنبر, ანდა დიაკრიტული ნიშნების გარეშე ნაწერი ტექსტიდან არის წარმომდგარი.

გვგონია, ამნაირად უნდა იყოს წარმომდგარი „სიბრძნე ბალავარიანის“ ხმარებული ფორმა ინდოეთის მეფის სახელისა აბენგ და არა ისე, როგორც ის აკად. ნ. მარს მიაჩნდა, თითქოს ეს სახელი ქართული ვერსიის ავტორს აეღოს სირიულ ენაზე არსებული „თომა მოციქულის აქტებიდან“ (აქ ამ სა-

ხელს ერთი ვაჟარი ატარებს): სირ. Ḥabšan → არაბ. حنبر → Ἀββάνης [5].

ასეთია ერთი ახალი ენობრივი მომენტი, მანიშნებელი იმისა, რომ ქართული „ბალავარიანი“ მომდინარეა არაბული ვერსიიდან. ამასთან ის გარემოება, რომ საკუთარი სახელის კიდევ ერთმა ქართულმა სახეობამ ასახვა პოვა ბერძნულ ვერსიაში, ნათლად ადასტურებს იმ მკვლევართა შეხედულებას, რომელთა აზრით ბერძნული „ვარლაამისა და იოასაფის ცხოვრება“ დამოკიდებულია ქართულზე, — ქართული „ბალავარიანის“ (კერძოდ ვრცელი რედაქციის Jer. — 140) გადაკეთება-გადაკაზმა, ე. ი. მეტაფრასული რედაქციაა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ხელნაწერთა ინსტიტუტი
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 3.2.1962)

დამოწმებული ლიტერატურა

1. P. Peeters. La première traduction latine de „Barlaam et Joasaph“ et son original grec: *Analecta Bollandiana*, t. 49, fasc. III et IV, 1931, 306—307.
2. D. M. Lang. The Life of the Blessed Iodasaph: A New Oriental Christian Version of the Barlaam and Iosaph Romance (Jerusalem, Greek Patriarchal Library: Georgian ms.—140). Reprinted from the *BSOAS*, 1957, XX, 399.
3. ილია აბულაძე. ბალეარიაანის ქართული რედაქციები: „ძველი ქართული ენის ძეგლები“. 10. თბილისი, 1957, გვ. 030—031.
4. ც. ჯღაშია. იოფასაფის საეპოპოსოს ახალი ვარიანტი: ზელნაწურთა ინსტიტუტის შრომებე, III, თბილისი, 1961, გვ. 47.
5. Н. Марр. Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера, ч. II. Жизнь св. Варлаама Сирокавказского (К вопросу о „Варлааме и Иосафте“): *ЗВО*, XIII, 1901, стр. 96—97.

ილ. აბულაძე

ქართული გრამატიკული ლიტერატურის აღრინდელი ძეგლები

I უკაბე შანოშანი

ქართული გრამატიკული ლიტერატურის ძეგლთაგან XVIII ს-ის დამდეგზე აღრინდელი ჯერხობით არ მოიპოვება¹. ცნობილი ქართველი გრამატიკოსის—ანტონ I-ის ცნობის თანახმად მწერლობის ეს დარგი ძველადვე უნდა არსებულებოდა, მაგრამ მისი ხასიათის გარკვევა შეუძლებელი შეიქმნა, რადგანაც სათანადო ძეგლები მიკვლეული ვერ იქნა². ამავე მიზეზის გამო უცნობია იგი დღესაც.

შემონახული ძეგლების შესწავლით ირკვევა, რომ ქართული გრამატიკის შემუშავების ცდა XVIII ს-ის დამდეგს დაწყებულია. დაუგვირგვინებია იგი ზემოაღნიშნულ ანტონს, რომლის შრომა ქვაკუთხედი შეიქმნა შემდგომი დროის გრამატიკული შემოქმედებისათვის თითქმის XIX ს-ის 60-იან წლებამდის.

გრამატიკის შექმნის ცდები შემთხვევითი და თავისთავადი არ ყოფილა. გრამატიკას იმ დროს პრაქტიკული მიზანდასახულება გაუჩნდა. იგი „სწორმეტყვეობისა“ და „მართლწერის“ ხელოვნებად იქმნა მიჩნეული. აქიდან გამომდინარეობდა ისიც, რომ მას დაეკისრა როლი მომსახურისა, პირველ ყოვლისა ე. წ. „ხედვით ანუ სააზატო“ მეცნიერებისათვის. იგი „შეყვანილობის კარად“ იქმნა აღიარებული ამ დარგში შემაველი სქოლასტიკური ფილოსოფიის, ლოგიკისა და რიტორიკისათვის. და სწორედ დასახელებული დარგების გამოცოცხლებამ გამოიწვია ამ დროისათვის ჩვენში გრამატიკების წარმოშობაც.

ხსენებული დისციპლინები ძველიდანვე იყო ჩვენში ფეხმოდგმული. ახლა მხოლოდ მათი „აღორძინება“ ხდებოდა. ეს „აღორძინება“ კი პირველ ყოვლისა ძველი შემოქმედების დახსრკეასა და შესწავლაში გამოიხატა. ამ შესწავლას, ცხადია, თან სიძნელეებიც ახლდა ტექსტის დაძლევის მხრით. ამას საგნის თავისებურებასთან ერთად ენაც ქმნიდა. ძველი ძეგლების წესიერი აღქმისა და მართებული გაგებისათვის ნორმების გამოუმუშავება დაიწყო, ხოლო ამის სისრულეში მოყვანა გრამატიკას დაეკისრა.

¹ შტრ. აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, II: ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, გვ. 4, ტფ., 1937.

² А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, критический очерк, СПб., 1873, стр. 6-15; 6. აგრეთვე—გმოკლე ღრამატიკა ქართლისა ენისა, კმნული ზურაბ შანოშანის:გან 1887 წელსა“, გამოცემული აღ. ტაგარელისაგან სპბ., 1881 წ., გვ. XII—XVI.

ძველი შემოქმედების გაცნობის პარალელურად ახლის შექმნაც წარმოებდა, თარგმნითი თუ ორიგინალური გზით. თარგმნისათვის სომხური სათანადო ლიტერატურაც იქმნა გამოყენებული. სომხეთში ანალოგიურ ვითარებათა გამო ხსენებული მიმართულებით მუშაობა ადრე გაჩაღდა, ისე რომ ზოგიერთ სფეროში სომხური წყაროები „ბაძი“ (სულხან-საბა ორბელიანის ტერმინია) შეიქმნა ქართლისათვის. ის ფაქტი, რომ ქართველებმა სომხურ წყაროებს მიმართეს XVII—XVIII ს.ს-ში, აკად. ნ. მარის თქმისა არ იყოს, იმით აიხსნება, რომ „к этому времени у армян оказались некоторые преимущества, культурные приобретения, накопленные тесным общением с Европой“¹. ევროპასთან ურთიერთობა უმათერესად ორ პუნქტში დამყარდა. ერთს, აკად. ნ. მარისავე თქმით, ისპაჰანის ჯულა (Джужла) წარმოადგენდა², ხოლო მეორეს ვენეტიკი (*Վենետիկ*) იტალიაში.

სომხურ გრამატიკულ მწერლობას იმ დროისათვის, როცა ქართული გრამატიკის შემუშავების ცდები იწყებოდა, საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა. შემონახული გრამატიკული ძეგლების ჩვენებათა მიხედვით ირკვევა, რომ სომხური მწერლობის ეს დარგი VII ს-ში აღმოცენებულა³. იგი, ისე, როგორც ზოგიერთი სხვა დარგიც სომხური მწერლობისა, პირველად თარგმნითი იყო. დიონისე თრაკიელის ცნობილი გრამატიკული ტრაქტატის — *τέχνη γραμματική*-ს თარგმანი სომხური გრამატიკებისათვის ყალიბდაც კი იქცა მთელი საშუალო საუკუნეების მანძილზე. იმის მიხედვით არა ერთი და ორი სახელმძღვანელო და კომენტარი შეითხზა სომხურად.

XVII—XVIII ს. ს-ისათვის ძველი გრამატიკები, როგორც ამას ისტორიკოსი არაქელ დავრიყელი (თავრიზელი) მოწმობს, ენის მხრით ადვილად გასაგები არ დარჩენილა, რის გამოც იქმნებოდა ახალი გრამატიკები, „ვითარცა შეყვანილობა ძველი გრამატიკისა“. იგი ამის ერთ ნიმუშს ასახელებს, სახელდობრ სიმეონ ჯულაელის ნაშრომს, მაგრამ ასეთი მიზნით მოღვაწე სხვა გრამატიკოსები სიმეონს გარდაც არა ერთია დღეს ცნობილი სომხურ ლიტერატურაში.

დასავლეთთან ახლობელი ურთიერთობის გამო ახალი საუკუნეების მანძილზე სომხური სალიტერატურო წრეები ეცნობიან დასავლეთის გრამატიკულ მწერლობას, რამაც შესამჩნევი დაღი დაატყო სომხურ გრამატიკას. სახე ეცვალა „ძველი გრამატიკის“ (ე. ი. დიონისეს შრომის ან მათი კომენტარიების მიხედვით გაწყობილთა) ყალიბზე ასხმულ შრომებს. მხითარ სებასტიელის (1676—1749) გრამატიკა (*წიგანსა სომხურსა გრამატიკისა* *სებასტიანისა*, *Վենետիկ* 1730 წ.) არის ამ მხრივ პირველი ყველაზე სრული ნიმუში ახალი ტიპის გრამატიკისა.

¹ Н. Марр, Иоани Петрицкий, грузинский неоплатонник XI—XII века, СПб, 1909 г., стр. 10.

² იქვე, 83. 11.

³ Дионисий Тракийский и армян. толкователи, СПб, 1915 წ., აკად. მანანდიანი დიონისე თრაკიელის თარგმანის აღმოცენების თარიღად VI ს-ის პირველ ნახევარს დებს, ნ. მისი *«წიგანსა სომხურსა გრამატიკისა»*, ვენა, 1928 წ., გვ. 107.

როგორც ძველი, ისე ახალი ტიპის სომხური გრამატიკები გამოიყენა წყაროდ ქართულმა საგრამატიკო მწერლობამ სათანადო მოთხოვნილების გაჩენის ფაშს. როგორც ქვემოთ გაიკვევა, ასეთი წყაროა, ერთი მხრით, სიმეონ ჯულაელის გრამატიკა, უფრო სწორად, ამ გრამატიკის მხოლოდ პირველი ნაწილი— „მორფოლოგია“ (ახლანდელი ტერმინით რომ ვთქვათ), ხოლო მეორე მხრით, როგორც უკვე ცნობილია, მხითარ სეპასტიელის ზემოთ დასახელებული გრამატიკა. პირველის ნიადაგზე აღმოცენებულა ზურაბ შანშოვანის „მოკლე ლრამატიკა ქართულისა ენისა“; მეორის გამოყენების შედეგი კი, როგორც ცნობილია, ანტონ I-ის გრამატიკაა (უფრო პირველი რედაქცია, რომელიც 1753 წ. ეკუთვნის).

ამ ნაკვეთში მხოლოდ ზურაბ შანშოვანის გრამატიკაზე გვექნება საუბარი; გავარკვევთ უმთავრესად მის რაობას, წყაროსა და ამ წყაროსთან შანშოვანის დამოკიდებულებას.

პირველი ცდა სომხური გრამატიკის „გარდამოღებისა“ ზურაბ შანშოვანს, ტფილ(ის)ელს, ეკუთვნის. მისი ვინაობის გარკვევისათვის პროფ. ილ. ცაგარელის მიერ მოპოებულ ცნობებზე მეტი დღემდის არაფერია მიკვლეული.¹ ამ ცნობების მიხედვით შანშოვანი ვახტანგ VI-ის ამალის წევრი ყოფილა და მასთან ერთად გაუზიარებია ემიგრაციის ბედი რუსეთს. აქ მას მისი პატრონის—ვახტანგის—შეკვეთით სომხურიდან სხვადასხვა ძეგლის თარგმნისათვის მიუყვია ხელი, კერძოდ ისეთი სალიტერატურო ძეგლებისა, რომლებზედაც იმჟამად საქართველოში დიდი მოთხოვნილება იყო. ესენაა ზემოთ ხსენებულ „ხედვით მეცნიერებათა“ ძეგლები. ამნაირი ხასიათის თხზულებათა თვალსაჩინო ნიმუშების თარგმანი დაგვიტოვა ხსენებულმა შანშოვანმა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში პროფ. ილ. ცაგარელმა მიაკვლია ზურაბ შანშოვანის თარგმანები, რომლებიც ერთ კრებულში იყო თავმოყრილი. კრებულში, როგორც ეს მისთვის წარმძღვანებულ მსახსნენებელშიაც ყოფილა აღნიშნული, ჯერ გრამატიკა ყოფილა მოთავსებული, შემდეგ პორფირის „ხუთნი კმანი“ და შერმე არისტოტელის „ათნი ქვეთქმულობა“ ანუ „კატილორია“ და „პერი-არმენია“. პროფ. ილ. ცაგარელმა მხოლოდ გრამატიკა გამოაქვეყნა, როგორც უფრო მეტი მნიშვნელობის მქონე: „მოკლე ლრამატიკა ქართულისა ენისა, ქმული ზურაბ შანშოვანისაგან 1737 წ.“ (ხპბ. 1881 წ. გვ. გვ. XXIII+75). გამოყენების შემდეგ გამომცემელს კრებული პატრონისათვის დაუბრუნებია. სად ინახება იგი ამჟამად, არ ვიცით.

ცნობას იწის შესახებ, თუ როდის შეუდგა ზურაბ შანშოვანი გრამატიკის შედგენას, ჩვენს სიძველეთსაცავში დაცული ერთი ხელნაწერის ანდერძი გვაძლევს². ავტორი ანდერძისა ზურაბია. დართული აქვს იგი „პორფირის შეყვანილობის“ მის მიერ შესრულებულ თარგმანს. ამ შრომის გადმოთარგმნა ზურა-

¹ განსვენებულ დ. კ ა რ ი ა შ ე ი ლ ს დარჩენილი გამოუქვეყნებელი ნარკვევი შანშოვანის შესახებ, რომელიც, როგორც შევიტყვევთ, ერთ დროს დასაბეჭდად ჰქონია მიღებული „მიმოძიებულის“ (საქარ. საისტ.-საეუნ. საზ-ნის ორგანოს) რედაქციას, მაგრამ იგი გამოქვეყნებული არასად ჩანს.

² ნ. საქართ მუხუმის ხელნაწერთა S ფონდი, № 358, გვ. 1.

ბისათვის, როგორც ამ ცნობიდანაც ჩანს, ვახტანგ VI-ს უბრძანებია. ამასთანავე მასვე დაუვალვბია მისთვის „ღრამმატიკის გაკეთება“. „შეყვანილობა პორთიროსა, სომხურის ენითგან“ თარგმნილი, 1735 წელს შევასრულეო, სწერს შანშოვანი; „კულად ღრამმატიკისაცა მსწრაფლ სურვილით გუნებავს აღსრულებად“, აცხადებს აქვე ზურაბი. ასე რომ „ღრამმატიკის“ გაკეთება 1735 წლიდან დაუწყია ზურაბ შანშოვანს.

„ღრამმატიკის მქნელი“ შანშოვანი, როგორც თვითონვე აცხადებს „კატილორიათა“ მოსახსენებელში, არ ყოფილა „ფრიად მოადგილე ქართუელთა ენისა“. „მოადგილე“ ამ წინადადებაში წმინდა სომხური გამოთქმაა, სომხური *ახიხასკის* (მცოდნ-ის, მეცნიერ-ის) სიტყვა-სიტყვით თარგმანს წარმოადგენს. მას აზრად აქვს გვითხრას: „არა ვიყავ ფრიად მცოდნე ქართველთა ენისა“, რაც სომხურად ითქმის: *აიჯ ზქ კიქ ახიხასკ ცხვილჩს ქრავა*; *აახიხასკა*-ში *ახიჩ*-ს (=ადგილის) განკვერეტით კი მონურად თარგმნის ნიადაგზე მიიღო— „მოადგილე“¹. როგორც მისივე განცხადებიდან და აგრეთვე კრებულისთვის გაკეთებული წინასიტყვაობიდანაც ჩანს, მისი შემწე თარგმანის შესრულებაში კრებულის დამწერი და წინასიტყვაობის ავტორი „სიბრძნის-მოყვარე“ ვახუშტი ბატონიშვილი (ვახტანგ VI-ის შვილი) ყოფილა. თავის მონაწილეობასა და იმას, თუ რაში გამოიხატებოდა მისი მონაწილეობა ამ თარგმანების შესრულების საქმეში, იგი თვითონვე აღნიშნავს კრებულის დასასრულს, მოსახსენებელში: „ვემწეოდი მცირედრე ქართულითა ენითა“-ო. კერძოდ გრამმატიკის შესახებ ასეთ ცნობას იძლევა:

„... მცირე ესე ღრამმატიკა, რომელი თავსა ამავე წიგნისასა წერილ არს, ბრძანებითა მისევე მეფისათა (=ვახტანგისათა) ჰყოფდა [ზურაბ]. შემდეგ უარ-ჰყო კმნა მისი, ვით ნაკლულეულ არს „სეინტანქსი“. შე ვიეთისაგანმე ვიხელთე უცნობელობითა მისითა, რამეთუ არა ენება მას ამისი უსრული მოცემა; არამედ უკუტთუ უსრულ არს, გარნა გზა რამე იხილვების მისგან. მე მისივე ნათქვამობით მისევე თარგმნილთა თანა დავწერე“.

დაუსრულებელი ნაშრომის (აკლია მეორე ნაწილი—სინტაქსი) კრებულში მოთავსებას, ე. ი. გამოკვეყნებას, იგი ამავე მოტივით ასაბუთებს მოსახსენებელზე დართულ ლექსშიაც:

„პირველა, ამ წიგნს წერილ არს გზა ღრამმატიკის უსრული“.

ესაა ყველა ის ცნობა, რომელთაც ჩვენ ზურაბ შანშოვანისა და მის თარგმანთა და გაკეთებული ნაშრომის (ე. ი. „ღრამმატიკის“) შესახებ ვპოულობთ.

ამის შემდეგ ჩვენთვის ისევე, როგორც თავის დროზე პროფ. ალ. ცაგარლისათვის, საგულისხმო კითხვების რიგი ჩნდება:

¹ ენის უცოდინარობას გულისხმობს აგრეთვე ზემოხსენებული ანდერძის ერთი ადგილიც „ხოლო უკეთუ ნაკლულოვანება რამე იხილვებოდეს (მიმართავს ვახტანგ VI-ს „პორფილეს შეყვანილობის“ თარგმანის გამო), ესე არა ნებითა ჩუენითა არს, არამედ უმცოდინარობითა, რომლისთვისცა მოტევიებისა მომადლებასა ვევედრები უფალსა ჩემსა“ (საქართ. მუხუდუმის ხელნაწერთა S ფონდი, № 358. გვ. 1).

„Была ли известна грамматика Шаншовани католикошу Антонию I, который составлял свою первую грамматику в 1754 г., т. е. спустя 14 лет? Пользовался ли Антоний своим предшественником и как он им пользовался? Насколько самостоятелен грамматический очерк самого Шаншовани? Не перевел ли он его с армянского или с какогонибудь другого языка? Как он справился с своей задачей?..“.

ეს კითხვები ჩვენთვის სხვა რიგით ლაგდება. ანტონთან დამოკიდებულების საკითხს აქ ჩვენ არ განვიხილავთ. უფრო მართებული იქნება ამ საკითხის მაშინ წამოჭრა, როდესაც ანტონის დამოკიდებულება იქნება გარკვეული მის წყაროსა თუ წყაროებთან¹.

**

პროფ. ალ. ცაგარელს მის მიერ დასმულ კითხვებზე ყველგან გადაკრილი და ამომწურავი პასუხი არ გაუცია. მართალია, უცხო გავლენა მან შენიშნა, მაგრამ სათავეები არ დაუჩხრეკია. სომხურის გავლენის შესაძლებლობა მართებულადაა შემჩნეული და განსაკუთრებით საგრძნობია შრომასთან ახლო გაცნობისას. ამან სწორედ გადაგვაჩხრეკინა მხითარ სებასტიელის წინადროინდელი გრამატიკები. რაკი მხითარის გრამატიკა ანტონიმ გამოიყენა, მასთან კი ახლობელი კავშირი არ უჩანს ზურაბის შრომას, ამიტომ ზურაბისათვის, რომელიც თავისი გრამატიკის შექმნაზე 1735—1737 წლებს შორის იღვწოდა, წყაროდ საეარაუდო იყო მხოლოდ მხითარის ნაშრომამდე (1730 წ.) გამოქვეყნებული რომელიმე სომხური გრამატიკა.

მართლაც, შეწამებისას გაიჩქეა, რომ ზურაბის გრამატიკა არაა დამოუკიდებელი ნაშრომი. იგი ძირითადად თარგმანია, მხოლოდ აქა-იქ, მცირედენ ნაწილში, ერთერთი სომხური გრამატიკის გადმოკეთების ცდას წარმოადგენს. ამ გრამატიკის ავტორი კი სიმეონ ჯულაელაა (*Սիմեոն Ժուլայեցի*), რომლის ზოგიერთი სხვა შრომაც არას ცნობილი ქართულს თარგმნილი ლიტერატურაში².

სიმეონ ჯულაელი XVII ს-ის (გარდაიცვალა 1657 წ.) მოღვაწეა. მისი შრომა *«Ի իր բո կոչի քերականութիւն, արարիակ և չարագրեցեալ ի Սի»*

¹ სხვათა შორის მაშინ გაიჩქევა უთლოდ აგრეთვე აკად. ივ. ჯავახიშვილი ის მიერ თავის უკანასკნელად გამოსულ ნაშრომში სამართლიანად წამოყენებული მოთხოვნისადაც, რომელიც მან დააყენა იმ ამბის გარკვევასთან დაკავშირებით, თუ ქართული ენის აგებულებაში რა თავისებურებანი შენიშნა ანტონიმ. აკად. ივ. ჯავახიშვილი ის თქმით „ანტონი კათალიკოსის ბელოვნური, სქოლასტიკური ენა და მეტადრე მისი გრამატიკული ტერმინოლოგიის თანამედროვე ტერმინოლოგიისაგან განსხვავებულობა, მისი ნაშრომის გაგებასა და ჯეროვან შეფასებას მეტად აძნელებს. ანტონი კათალიკოსის ტერმინოლოგიის თანამედროვე შესატყვისობანი რომ გამოკვეთული იყოს, მაშინ მისი ნაშრომის შინაარსიც ადვილი გასაგები გახდებოდა და ის ღვაწლიც, რომელიც ქართ. ენის შესწავლაში მას მიუძღვის, უფრო ცხადი შეიქმნებოდა“ (5. „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, გვ. 4—5). აღნიშნულის გამორკვევა გვერთა ადვილად მოხერხდება, თუ ანტონის გრამატიკის დამოკიდებულება წყაროსთან დაწვრილებით და ყოველმხრივ იქნება შესწავლილი. ეს დაყოვნებას არ ითმენს და ამიტომ მისი გარკვევა მომდევნო ნაკვეთისათვის გვაქვს ნაუარაუდევი.

² პროფ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერ. ისტორია, I, ტფ., 1924 წ., გვ. 72—73; 383—391 და 409—410.

10. საქ. სახ. მეზემის მოამბე X—B.

მკინტ ჯარყაყხთ ჰოღყახეოჲ», დაბეჭდილია კოსტანტინეპოლს 1725 წ. ამ შრომას სახელი დაბეჭდვამდეც პქონია განთქმული. სიმეონს იგი სიცოცხლეშივე გადაუცია თავისი მოწაფეებისათვის—ისპაჰანს, ჯულას სავანის კარს გარშემოკრებილი მოწაფეებისათვის, სადაც მასზე ადრე ვარადაპეტობდა ანუ მოძღვრობდა მისი მასწავლებელი, გრამატიკოსი ხაჩატურ არზრუმელი¹. ეს ცნობა სიმეონის შრომის შესახებ XVII ს-ის ისტორიკოსს, არაქელ დავრიყელს მოეპოება:

«სა მქნჯს ჯრ ქსაყანანს ჟაღყაჲქს, ხრცჲ ანჯამ ჟაყოთაჲქსნს ს ყდხრკანოღქჩანს ყაას ასაჲ ღნსკრჲჲ ჯღრჲჲ აჯაკხრთაქცჲჲჲ; სღ ქაღოჲჲ ანსქრქჲ ს ანსამღთ მანსკანჲ ს გონსაქთ ორანჲ ორარ ჲორ ჟხრკაროღქჩან ჲღრღღ ჲასკანსაქ, ჯღრს ჲნხრბოღქჩანს ჲნოჲ ჯხრკანოღქჩანს, Პრ ჯ ქარღმანსკანჲ ქარღმანსაქ ჯ. ჲქ სოღღღ ჲღრღღ ჲასჲქს ჲნოჲს ჲქთოღქჩანს, Პრჲ Პრქსანსკან ჲაღჲაჲჲ, ჲანსჲჲ ჲაღოღჲჲ ყაღოჲჲჲჲჲ»².

[და სანამ ქ. ისპაჰანს იყო, სამჯერ გადასცა გარეგანი და გრამატიკა თავის მოყვასთ, თანამოსწავლეთ. გაუწვრთნელ და უსწავლელ ყრმათა და გონებალუნჲ კაცთათვის ადვილად გასაგები ახალი გრამატიკა შექმნა, ვითარცა შეყვანალობა ძველი გრამატიკისა, რომელიც ძველ მთარგმნელთაგანაა ნათარგმნი, რათა მით ადვილად სწუდნენ ძველს მეცნიერებას, რომლის ნუსხა გამრავლდა, რადგან მრავალთა გარდაიღეს].

ძველ გრამატიკულ ნაშრომებზე დამოკიდებულებას, როგორც დამზახისათებელ ნიშანს სიმეონის შრომისას, სომხური ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი გარეგინ ზარბანალიანიც აღნიშნავს:

«ჯქს ჟხრკანსქ მხსნქჲხრქს ჲამაოთოღღს ხრკასიოღქჩანს მქს ჯ, ჲანსქ მქ კანსქოღბანსიოღ ს მსკნარანოღქჩანს ქხრკოღ ჲათოღს ამქიოღსაქ სოღქქსქს მსქ Პღქ მასანჲ ჲანსქ კქსოქ, Პღ ხოღღ ჲამაოთო კანსქოღს მქ კღნს თაღყაჯაქიოღქჩანს კამ Პთანსაღოღქ, ჲქს ჟხრქოღჲჲ Პიოღ Პღ ქსოღხრქოღ...»³.

[ძველი გრამატიკოს-კომენტატორის შემოკლებული შრომაა, რამდენიმე დანართითა და კომენტარით, Პრ ნაკვეთად. პირველში სიტყვის რეა ნაწილზეა საუბარი, და ბოლოს მოკლე დანართი აქვს მეტრიკისა ანუ ლექსისათვის, ძველ ქერდოლთა სტილითა და სიტყვებით...].

რომ ეს ნაშრომი დიონისე თრაკიელის გრამატიკული ტრაქტატის სომხურ თარგმანსა და მის კომენტარიებზეა დამოკიდებული, ეს ჩანს აღნაგობის, ტერმინების ხმაარებისა და კატეგორიების განსაზღვრებათა მხრით. აგებულები-

¹ ხაჩატურის გრამატიკა დაბეჭდილი სახითაც არის შენახული; დასტამბულია იგი 1699 წ.

² *ჴათოღქჩანს სოღჲქ ჲაქრქსქსეოჲ, ჲ. საყაღოღქჩანს, სქქქოღქს 1896, გვ, 404-5.*

³ *ზ. ჲ., ჴათოღქჩანს ჲაქრქს Პყოღქჩანს... ჲ. სოღ მათხსაღოღქჩანს, ჲხსსოღქ 1878, გვ. 428.*

სათვის უმეტესად თრაკიელის თარგმანის ყალიბია გამოყენებული (ეს, ცხადია, პირველი ნაწილისათვის— „მორფოლოგიისათვის“, — რადგან თრაკიელის შრომა მხოლოდ ამას შეიცავს), ოღონდ დიონისესა და მის სომებ კომენტატორებთან მიპარებებით სიმეონთან ერთგან ორი ერთიმეორის მომდევნო თავია: გადასწავლი; თრაკიელის—*კაჟაჟა კაღჟი* და *კაჟაჟა ღერანონიქხან* სიმეონთან წარმოდგენილია—*კაჟაჟა ღერანონიქხან* და *კაჟაჟა კოჟი*. სიხლოვე ავტობულების მხრით სიტყვის ნაწილია განდასებიდანაც ჩანს. დიონისეს შრომითა და მისი სომები კომენტატორებით სიტყვის რვა ნაწილი ითვლება: *აჩანჟი მასიონჟ ხნ ი.ქ¹ ანიონ, რაჟი, ნუიონსიქიქხან, კაღჟი, ღერანონი, ზაქან-იერიქიქხან, მასკრაჟი, ჯაღკაჟა*¹. სიმეონთანაც აგრეთვე *აძასიონჟ რანჟი ხნ ი.ქ¹ ანიონ, რაჟი, ნუიონსიქიქხან, ღერანონი, კოჟი, ზაქაჟიქი, მასკრაჟი, ჯაღკაჟა* (გვ. 25). ამრიგად, აქ ისინი ერთიმეორეს ხედებიან, გარდა აღნიშნული გადასმისა, სახელდობრ, დიონისეს მიმდევრობა *კაღჟი, ღერანონი*, აქ შექცეულია: *ღერანონი, კოჟი*.

უმნიშვნელო გადახრაა ტერმინების ხმარებისა და კატეგორიათა განმარტების მხრითაც. აღნიშვნის ღირსი, საგანგებო და ძირითადი არც კი არის რა. ამიტომ მართალია გ. ზარბაზალიანი, როცა სიმეონის შრომას ასე ახასიათებს: „შემოკლებული შრომაა... ძველ ქერდოლთა სტილითა და სიტყვებითა-ო“ (ნ. ზემოთ გვ. 6).

* *

ზურაბ შანშოვანის დამოკიდებულების შესახებ წყაროსთან ზოგადად ზემოთ აღვნიშნეთ. იქ (გვ. 5) ითქვა, რომ ზურაბი ძირითადად თარგმნის მას და მხოლოდ აქა-იქ მცირეოდენადაც უწევს ანგარიშს ქართულის თავისებურებებს. იმის ნათელსაყოფად, თუ საიდან გამომდინარეობს ასეთი შეფასება, დედნის პიროსპირ ერთ მოზრდილ ადვილს მოვიყვანთ შანშოვანის გრამატიკიდან, სახელდობრ თავიდან, რომელსაც ეწოდება „სახელისათვის“ (*კაჟაჟა ანიონი*)

აანიონ ჯ მასან რანჟი, რიოქა-კან, ქარაჟი ამანსაქიქი სიღმარაჟი. ირიონ. ჯაროქან.

ანიონსი იძანჟ ხნ სიქსაკა-კანსიჟ სიძანჟ მასკარაქანსიჟ სიქსაკაქანსიჟ. ირიღსთიქხანსიჟ სიქსაკაქანსიჟ. ირიღსთიქხანსიჟ სიქსაკაქანსიჟ. ირიღსთიქხანსიჟ სიქსაკაქანსიჟ.

სიძ მასკარაქანსიჟ სიქსაკაქანსიჟ ირიღსთიქხანსიჟ სიქსაკაქანსიჟ სიქსაკაქანსიჟ. ირიღსთიქხანსიჟ სიქსაკაქანსიჟ. ირიღსთიქხანსიჟ სიქსაკაქანსიჟ. ირიღსთიქხანსიჟ სიქსაკაქანსიჟ.

სახელი არს კერძო სიტყვისა, სასრბოლო, თუნიერ ეამისა და პირისა, რომელი არს: ვახტანგ, პეტრე.

ხოლო სახელთაგანი რომელნიმე 5 არიან საქვედასონი და რომელნიმე არიან საზედასონი. საქვედასო არს, რომელი თავით თვისით იმყოფების, ვითარცა: კაც, ქუსყანა, სპეტაკობა.

ხოლო საზედასო არს, რომელი საქვედასოსა შორის იმყოფების და 10 არიან ესენი: პოხილი, კეთილი, ბრწყინვალე.

¹ Дионисий Фракийский и др. толкователи, СПб., 1915, Ars Grammatica 89. 12: შდრ. იქვე, სტუჟენე სივნიელის კომენტარი, გვ. 202.

15 *ხე მასკაფრანსანდ ააქნ. ვი ხნ-
ქაქაქაქან ანოლანდნ' ღასო-
რანსქინ აკიოვიქი. ირგან. მარქ
მარქ. ხრქიქი აქარარო. აქაქაო
აქაქათალიქიქი:*

20 *ხე ხნოქინ ანოლან ვხვდ. მ-
ნაქ. ახრდ. მდ. თხნაქდ. ქიქდ.
ზიოქდ:*

*ქანაქდ ხრქილ' ნასარაქ ლ ქა-
თილქ, ჰასარაქ' მარქ, ქაქაქოქი
ათარქი მათილქ' ვხთიო, (ქიოთან-
ქიანო), ჰხნარქა.*

25 *შხრდ ჰორქ' არაქან. ქიქან.
ნასარაქ. ქდქიქ:*

*ქრაქან. ირქან' ილსოქ, ქიქ-
ქან' ილსოქი ჰასარაქ' ვაქაქი
ქდქიქ' მარქ*

30 *მდ. ხრქ. აქარქ, მარქ, ქარა-
მარქ:*

*მარქ' მარქ. მარქ' მარქაქაქი.
ქარაქარქ' მარქაქაქათანქი,*

35 *შხნაქდ ხრქილ' ნაქაქაქაქაქი
ლ აბანქაქან:*

40 *ნაქაქაქაქაქი ირქან' ხრქიქი.
ლ აბანქაქან ირქან' ხრქიქი:
ნაქაქაქაქაქარან იქ იქინ ქაქიქ.
ვი ამბნან ანოლანდ ხნ ნაქაქაქ-
აქაქარქი. ქიქ აბანქაქანან
ქხრქდ ხნ ხრქთასანი:*

45 *ქიქაქან*

ნაქანქან

შხრქან

შთაქან

50 *ქარქათანქან*

ქხრქარქან

ქრქაქან

მარქანქან

და საზღვდასონი იწოდებოდა, რამე-
თუ საქუქდასო სახელხი უქუქდასე-
ბენ ამათთა, რომელ არს: კაცი ქე-
თილი, ქუქყანა პოხილი, სქეტაკობა
ბრწყინვალე.

ხოლო თანა-ქუქუქიან სახელსა ექ-
უსნი: რაოდენი, ნათესავნი, ნაქუქ-
თნი, სახენი, რიცხუნი, სრბოლი.

რაოდენი ორი; ზიარი და თვისი.
ზიარი: კაცი, მეფე, წმინდა. თვისი:
პეტრე, ქეისარი.

ნათესავი ოთხი: სამამო, საღე-
დაო, ზიარი, არაენი.

სამამო, ვითარცა: წული; საღე-
დაო, (ვითარცა): ასული; ზიარი, (ვი-
თარცა): შვილი; არაენი, (ვითარცა):
ქვა.

ნაქუქთი სამი: მარტივი, ყრილი-
და ზეყრილი.

მარტივი, (ვითარცა): კეთილი;
ყრილი, (ვითარცა): კეთილ-მორწმუ-
ნე; ზეყრილი, (ვითარცა): კეთილ-
მორწმუნე-მოყვარე.

სახენი ორი: პირუქლ საჩინო და
გამომქვირვალო.

პირუქლ საჩინო, ვითარცა: ქუქ-
ყანა; და გამომქვირვალო, ვითარცა:
ქუქყნიერი. ხოლო პირველ საჩინოს
არა აღირიცხვენ, რამეთუ ყოველი
სახელი არს პირველ საჩინო, და გა-
მომქვირვალისა შესახედავნი არიან
ათქუქსმეტნი:

(პირველი): საარსო.

(მეორე): საპირველო.

(მესამე): სანათესაო.

(მეოთხე): სამოსაღებლო.

(მეხუთე): სადასამტკიცო.

(მექუთსე): საუღარესო.

(მეშვიდე): საკინო.

(მერვე): საგარეშეშელო.

- ჩაკაბაკანს*
ილსაკანს
შაკასაკანს
შასკერეაკანს
ჩაუსაკანს
- (მეცხრე): საზმავრილო¹.
(მეათე): საანავო. 55
(მეთერთმეტე): საკლებარო.
(მეთორმეტე): საშესამსურველო.
(მეცამეტე): საალმოსაჩენო.
(მეთოთხმეტე): სამფარველო).
(მეთხუთმეტე): სამონაცველო). 60
(მეთექვსმეტე): სადასო.
(პირველი,) საარსოსა მავალითნი არიან ხუთნი: იერი, ელი, ავი, ოხ, იხ, ვითარცა: ციერი, კორციელი, მთკულავი, ვერცხლის, (ოქროს). 65
- ზიკანსაგ დაღაქარე ხს ჯ (ხოქს) აქის, ხეჯს, ლორ, ვილ, ხაქ, ქსოთი. ირფინ. ხრქსაქის, (ჩიქიქს), მარშალორ, მარქსანა-ვილ, (ქარხაქ), არბაქი ს მხიხ-ლიტი*
- (მეორე,) საპირველო (მავალითნი) არიან ორი: სამამო და სადედაო. სამამო: ელი, ვითარცა: წინას-70 წარმეტყუელი და სადედაო ა, ვითარცა: წინასწარმეტყუელი ა.
- ზახანსაკანს ჯ კრქს. არაკანს ს ქდაკანს, სრაკანსაგ (დაღა-ქარე ხს ხრქილ) გქს ს ჯნ. ირ-ფინ. ჩარექს ს შანქს ს ქყა-კანსაგ (სა დაღაქარე ხს ხრ-ქილ) ილ ს ილქი. ირფინ. შა-ნანოლ ს ჯსრქილქი*
- (მესამე,) სანათესაო მავალითნი 75 არიან ექუსნი: ელი, იანი-ოანი, ური, ული, მცე, ძე. ხოლო ელი სამად მოიღებინ: ადგილისაგან, ვითარცა: ტფილისელი, (პალეს-ტინელი); წესისად, ვითარცა (საღუ-კველი), მანიქველი და ტომისად, ვითარცა: ებრაელი, (ისრაიტელი). ხოლო იანი, ოანი, ვითარცა: და-85 ვითიანი, ბავრატოვანი; (ხოლო ური, ვითარცა: ბიბლური; ხოლო ული, ვითარცა): მამული (დე-დული). და მცე ნერგთა ზედა, ვითარცა სხალმცე, ვაშლმცე: და ძე (გუარისად და) მამისად (მო-ღებინ), ვითარცა: სოფრონიკო-90 სის ძე, აბაშიძე.
- ზათაკანსაგ დაღაქარე ხს ჯრქს. აკანს. ილქი. ხანს. ირფინ.*
- (მეოთხე,) სამოსაღებლოს მავა-ლითნი არიან სამი: ელო, აბო, ო,

¹ გამოცემაში არის: სახეგრილო, მავრამ ეს შეცდომაა.

95 *ჟანანაკლანს. არეონი. (გალ-
ქხანს):*

*ჩაღათაკლანის დაღაქარ ზ'
გოქანს. ირგინს. არქაგოქანს:*

100 *ზირაღრაკლანსაგნ დაღაქარღ ხნ
ხრკილ' ხე ლ ყჩხს, ირგინს. ანხე ლ
ანაგჩხს:*

*ზღღაკლანსაგნ დაღაქარღ ხნ
ხრხე' აკ, ილკ, ზქ. ირგინს. ირ-
ღხაკ, ჟარილკ, აქრჩქ:*

105 *ჭარილკლანსაგნ დაღაქარღ ხნ
ჯირა' ასათანს, არანს, ილს ლ იგ.
ირგანს. ჯაქასათანს, ლოსარანს,
(ღარილს) ლ იყრიგ:*

110 *ჩაქაბაკლანსაგნ დაღაქარღ ხნ
ქხე' ილშს, აბ, ილს, ილსო, ხსო ლ
ქსო. ირგინ' ღნქხრეღილშს, ხრკჩლ-
ღაბ, აქრილს, ვარლსო, ვოქხსო,
ჩანგჩსო:*

115 *ილსაკლანსაგნ დაღაქარღ ხნ
ხრკილ' ლორ ლ ირღ. ირგინს. ბქა-
ლორ ლ ნანსაყარჩორღ:*

120 *ჭაკლასაკლანის დაღაქარ ზ'
ასო-ს, ირგანს. ბხილასო:*

125 *შაკრეაკლანის' იას. ირგანს. ბქ-
ბოთ:*

130 *ჩაგაკლანის' ილქჩანს. ირგინს.
არეილქჩანს (სღაქაბანგხეღეგ ხნ ვქ
კრკჩხს აბანგჩხს, ირგინს. თხრინსა-
კლანს, რანაკლანსაგოქანს):*

ვითარცა: სამღუდღელო (საუფლარო),
სამეფო (საბატონო).

(მეხუთე,) საღასამტკიცოს მაგალი-
თი არს (ერთი) ეს, ვითარცა: უზემ-
თაესი.

(მეექვსე,) საუღარესოს მაგალითი
არიან ორი: არო, შო, ვითარცა: სა-
ზარო ლ საშიშო.

(მეშვიდე,) საკნიზოს მაგალითი
არიან სამი: იკა, იკო, აკი, ვითარცა:
კაციკა, ქალიკო, წიგნაკი.

(მერვე,) საგარეშემტველოს მაგა-
ლითი არიან ოთხნი: თლი, თი,
ლო, რო, ვითარცა: (ქართლი), სომ-
ხითი, (სასნეულო), სამწიგნობრო.

(მეცხრე,) საზმაყრილოს მაგალით-
ნი არიან ექუსნი, (ვითარცა) ში, ლი,
ლა, რი, ბა, ვითარცა: წაკითხვა,
მოშიში, საყვარელი, მოსვლა საქება-
რი, განსუენება.

(მეთე,) საანავოს მაგალითი სა-
მი: ოხანი, ვარი, ვი, ვითარცა:
ცხენოსანი, მგზავრი, (მცურავი; ხო-
ლო ესე საანავო საღეღაოდცა მოი-
ღების ანითა, ვითარცა: ცხენოსანა,
მგზავრა, მცურავა).

(მეთერთმეტე,) საკლებაროს მაგა-
ლითი არს (ორი): ოლი, რილი, ვი-
თარცა: მოკვეთილი, ფერკ-
მოკრილი.

(მეთორმეტე,) საშესამსურელოს
(მაგალითი არს ორი): ოვანი, იანი,
ვითარცა: ქეთილოვანი, სენი-
ანი.

(მეცამეტე,) საღლსაჩენოს (მაგალი-
თი არს ორი): ღე, ობა, ვითარცა:
სიწმინდე (ღა მკურნალობა).

(მეთოთხმეტე, სასამფარველოს.
მაგალითი არს ერთი: ე ღა მოიღე-
ბის ათრონითა შე, ვითარცა: მე-
წალკოტე, მეხოსტაკე).

(მეათეუთმეტე, სამონაცვლოს მაგალითი არს ერთი ე, და მოიღების ათრონითა თან, ვითარცა: თანამესამძღურე, თანამენუგეშე).

(მეათექუსმეტე, სადასოს მაგალითი 140 არს ორი: ე, ული, და ათრონათ მოიღების მე, ვითარცა: მეორე, მესამე; შვიდეული, ათეული).

რიცხვნი ორნი: სამხოლოო და სამრავლო. 145

სამხოლოო: მოძღუარი; სამრავლო: მოძღუარნი.

საბოლონი ათნი: საწრფელო, სანათესაო, სამიცემადო, სამოქმედო, საძიებო, სადასაბამო, სამეტყველო, 150 საშორისო, საგარემოფო, საწოდებო.

მხედ ხრლი` ხვასან, კიფნასან;

სვასან` ქარქაყხითი მიფნასან` ქარქაყხითე;

ლიქე თასან. იღვასან. სხრასან. შრასან. ზორქასან. ჯაყვასან. სკვრასან. ჟათმასან. ზხრვიასან. სრთაფიასან. ღიჯასან;

იღვასან ხრქრ
სხრასან ხრქრ
შრასან ხრქრ, ხრქრამ,
ხრქრიჟ კ ხრქრქრ

ზორქასან ხრქრამ
ჯაყვასან ვხრქრ
სკვრასან ხრქრ
ჟათმასან ვხრქრ
ზხრვიასან ხრქრ, ხრქრამ
კ ხრქრიჟ

სრთაფიას-

კან ვხრქრამ
ღიჯასან იქ ხრქრქრ

საწრფელო, ვითარცა: ქუცყანა.
სანეთასაო, ქუცყანისა.
სამიცემადო, ქუცყანას. 155

სამოქმედო, ქუცყნით.
საძიებო, ქუცყანასა.
სადასაბამო, ქუცყანისავ. .
სამეტყველო, ქუცყანისას. 160
საშორისო, ქუცყანაში.

საგარემოფო, ქუცყანითა.
საწოდებო, ქუცყანაო... 165

წარმოდგენილ ნაწყვეტში ზედმეტი ადგილები ფრჩხილებშია ჩასმული, არა-თანხედენილი დაშლითაა წარმოდგენილი, დანარჩენი კი ყოველმხრივ თანხედენილია. არა-თანხედენილი ადგილები ყველგან თითქმის მაგალითებად მოყვანილი სიტყვების შეცვლას წარმოადგენს. აქ ან წმინდა სომხური თუ უცხოური სახელებია შეცვლილი ქართულით (3, 78, 83, 87, 88), ან ფონეზური სიახლოვის გამო სხვა მსგავსი სიტყვაა აღებული (24). ზოგჯერ თანხედენლობა იმითაა გამოწვეული, რომ ესათუის ადგილი განგებ შეუცვლიათ. უკანასკნელი ხასიათის ცვლილება, შესაძლოა, ზურაბის ანდა მისი წიგნის რედაქტორის—ვახუშტი ბატონიშვილის—მიერ იყოს ჩადენილი. არც ისაა გამორიცხული, რომ ეს ცვლილებები დენის ისეთი ნუსხიდან მომდინარეობდეს, რომელიც

ჩვენ ხელთ არსებულისაგან (ნაბეჭდისაგან) განსხვავებული იყო (ხელნაწერი იყო).

თანხედენლობის ძირითად მიზეზად მაინც ისა ჩანს, რომ ზურაბ შან-შოვანი კრიტიკულად არ ეკიდება წყაროს. ეს წყარო მას უნდა გამოეყენებინა და არა გადმოეღო ქართული გრამატიკის შედგენის დროს. უკანასკნელის საილუსტრაციოდ გამოგვადგება შემთხვევები იმ ნაწილიდან, სადაც ჩამოთვლილია სახელების „გამომკვირვალისა შესახედაენი“ (*აბანუგასანაგ ხერაჟე*) ანუ დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, — სახელთა მაწარმოებელი აფიქსები. მაწარმოებელ აფიქსთა რიცხვი ქართულში ზოგან იგივე გვაქვს, რაც დედანშია, და ზოგანაც მეტი ან ნაკლები. ასეთს შემთხვევებში შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ქართულისათვის ანგარიშის გაწვევასთან გვაქვს ალბათ საქმე და ამიტომ არის ჩადენილი გადახვევაო, მაგრამ არა: ძირითადად აქ მაინც თარგმნაა. მაგ.:

ყარინასკანაგენ დაღაქარჟ ხნ ჯირა' ასათან, არან, იათ ლ იფ. ირ-დან. ლაკასათან. კილასარან, ჟა-რილათ, ლ დაქრიფ;

საგარეშემცველოს მაგალითნი არი-
ან ოთხნი: თლი, თი, ლო, რო, ვი-
თარცა: ქართლი, სომხითი, სასნეუ-
ლო, საქუიგნობრო (105—108).

საიდანაა აღებული ასეთი მაწარმოებლები საგარეშემცველო (ე. ი. ადგილის) სახელებისა ქართულისათვის? ეს მაწარმოებლები აღებულია არა ქართული ენის გულდასმითი შესწავლის შედეგად, არამედ ისინი დედნის მიერ დასახელებული ზოგიერთი მაგალითისა და მათთან ასოციაციურად დაკავშირებული ზოგიერთი ქართული სახელისათვის ბოლოკიდური ბგერების შეუფერებელ წანაკეცს წარმოადგენენ. ამის შედეგად მაწარმოებელთა საერთო რიცხვი ორივეგან თანაბარია.

ახლა გადავტეებისა და დაკლების მაგალითებსაც გავეცნოთ:

*მლასკანაგენ დაღაქარჟ ხნ ხ რ-
კი ლ' ლი რ ირჟ. ირჟინ. ბქალი რ ლ
ნასაყარირჟ;*

*ჩიიასკანაგენ დაღაქარჟ ხნ ლ
(ხობენ)' აქინ, ხელენ, ლი, ვილ,
საკ, ლ ლ ითქ. ირჟინ. სრქსაქინ.
ჩიიხელენ, მარმასორ მასკანაგენი,
ქარხაკ, არბაქ ლ მსიხიოთქ;*

საანაგოს მაგალითნი სამი: ოხა-
ნი, ვარი, ვი, ვითარცა: ცხენოსანი,
მგზავრი, მცურავეი... (114—116).

საარსოსა მაგალითნი აჩიან ხუთ-
ნი: იერი, ელი, ავი, ოხ, ის, ვითარ-
ცა: ციერი, კორციელი, მოკუდავი,
ვერცხლის, ოქროს (62—67).

აქაც ზედსართავ და არსობით სახელთა გარკვეული მაწარმოებელი აფიქსების აღნიშვნის დროს, „ქართული გრამატიკის მკეთებლის“ დამოკიდებულება საგნისადმი იგივეა, როგორც ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში. მეტი ან ნაკლები რაოდენობის აფიქსი იმიტომ მიიღო ზურაბმა, რომ გადმოვლებისას ან ანალოგიური რამ ზედმეტი მოაგონდა მას, ანდა ველარ დაძებნა სათანადო შესატყვისი.

წარმოდგენილი მაგალითების შემდეგ ბუნებრივად შემდეგი დასკვნა გამოძღინარეობს: ზურაბ შანშოვანის „ქართული გრამატიკა“ თარგმანია სიმეონ

ჯულაელის „სომხური გრამატიკისა“. თარგმანი არ დგას თავის სინჯალზე. იგი თარგმნილია ისეთი პირის მიერ, რომელიც არ არის საგნის სპეციალისტი. ქართულთან შეპირისპირების, ქართულისათვის ანგარიშის გაწევის ცდა თითქოს ჩანს, მაგრამ ეს შემთხვევითია და ბევრგან მცდარი ან ხელოვნური.

ქართულში ზოგან ზედმეტი ადგილებია (58—60; 116—119; 132—143), რომელთაც სრულიად არ მოეპოვება პარალელი სომხურში. ამ გარემოებამ შესაძლოა გვაფიქრებინოს, თითქოს აქ ზურაბს დაქებნილი ჰქონდეს ქართულისათვის დამახასიათებელი საგანგებო მომენტები, მაგრამ არა. ჩვენ გვგონია, რომ ეს ადგილები დედნიდან მომდინარეობს, სიმეონ ჯულაელის გრამატიკის ხელნაწერი ნუსხიდან, ხოლო დაბეჭდილში რატომღაც არ მოხვედრილან, ან და შესაძლოა იგი გრამატიკის გამომზეურებელს, ვახუშტი ბატონიშვილს, ეკუთვნოდეს. ზურაბი, როგორც სხვა შემთხვევებიდან ჩანს, მის დამატებას ვერ შესძლებდა.

როგორიღაა თანხედნილი ადგილები, რამდენად მწყობრია ეს ნაწილი ზემომოყვანილი ნაწყვეტის მიხედვით? ესაა ახლა მორიგი კითხვა.

ტექსტი ამ ნაწილისა სიტყვა-სიტყვით არის გადმოთარგმნილი. ეს თვისება ტერმინებსაც კი ემჩნევა. ამიტომ ეს ტერმინები ყოველთვის მარჯვე ვერ არის. ტერმინები ხშირად ისეა გადმოთარგმნილი, რომ არ იჯარძობა ის შინაარსობლივი მხარე, რაც განმარტებაშია ხოლმე მოცემული. ასე მაგალითად:

1. *სახაყაყაყარ*, რომელიც თხზული სიტყვაა და ორი წევრისაგან შედგება: *სახ*—პირველი, და *ყაყაყარ*—სახე (ან როგორც შანშოვანი სხვა შემთხვევაში ხმარობს—მაგალითი), გადმოთარგმნილია „პირველ-საჩინოდ“. თუ ამ ტერმინის შინაარსობლივ მხარეს გაუწევდა ანგარიშს სპეციალისტი მთარგმნელი, მაშინ მას „პირველ-სახელ“ გადმოიღებდა, რადგან აქ იგულისხმება ის პირველი სახელი, რომლისაგან იწარმოება სხვა სახელი მაწარმოებელი აფიქსების დართვით.

2. *ახანყასკან*, რომელიც აგრეთვე თხზული სახელია *ახ(ხ)* და *ანყ(ანხ)* წევრებისა ზედსართავის მაწარმოებელ *-ასკან* სუფიქსის დართვით, ნათარგმნია „გამომკვირვალოდ“. ნამდვილად კი აქ „დასმა—დასხმა“ და „გარდასლვასაგან“ გაკეთებული კომპოზიტი უნდა გვქონოდა, თუნდ როგორც ანტონ I-თან—„სხმითგარდასლვითი“, რადგან აქ იგულისხმება ერთი სახელის მეორედ ქცევა, მეორეში გადასვლა გარკვეული აფიქსების დართვით.

3. *ჩაიყათასკან* „სადასამტკიცოდ“ არის ნათარგმანი, მაგრამ *ჩაიყათასხ* „დამტკიცებას“ კი არ ნიშნავს, არამედ „შედარებას“. სწორი იქნებოდა მისგან რომ ეწარმოებინა სახელწოდება, მით უმეტეს, რომ ტერმინით „შედარებითი ხარისხის“ ცნებაა გადმოცემული.

4. *მჩასკან* „სანავო“. ანაგი-შესატყვისი თუ არის „ქონებულისა“, — ბუნებით მოცემულისა, ანაგებითისა. ტერმინი, მართლაც, ქონებულობის მაჩვენებელ სახელთა აფიქსებს გულისხმობს (*-იორ* — ოსანი...).

5. *ჩაყასკან*—„სააღმოსაჩენო“. *ჩაყ* „ლიას, შორს თუ დაშორებულს“ ნიშნავს. *ჩაყასკან*-ში აბსტრაქციული, განყენებითი სახელების მაწარმოებელი აფიქსებზეა მითითება: ტერმინი „სააღმოსაჩენო“ ამ შინაარსს სრულებით არ ეგუება.

6. გაუგებარია აგრეთვე, თუ რად არის წოდებული *ქაქყასკან* „საშე-სამსურველოდ“.

ერთი სიტყვით, ქართული ტერმინები ხშირად უხეირო თარგმანს წარმოადგენს; მათში არაა სათანადო ცნების დამახასიათებელი ნიშანი დაქერილი, რაც მთარგმნელისა თუ გადმომღებლის დახელოვნებაზე დადებითს არას გვეუბნება.

არაა წიგნში ყოველთვის დაცული დედნის ერთისადაიმავე ტერმინის ერთნაირი შესატყვისი. მაგ., თუ სახელის ფარგლებში *ხაქყასკან*-ისათვის „პირველსაჩინო“ გვქონდა, სიტყვის დანარჩენი ნაწილების განხილვისას „პირველსამგზავსო“ გვაქვს. ასევე ზოგჯერ ქართულის ერთიდაიგივე ტერმინი დედნის სხვადასხვა ტერმინს უღრის. მაგ., „საქუქდასო“ ხან *ხაქყასკან*-ს უღრის და ხან *სითრასკან*-ს.

ასეთია სურათი, რომელიც შანშოვანის „ქართული გრამატიკის“ ზემორე მოყვანილი ნაწყვეტის მიხედვით გვგვატება. გრამატიკის სხვა ნაწილების მიხედვითაც სურათი ანალოგიურია.

* * *

სომხური გრამატიკული მოვლენების გადმოცემისას სიმეონ ჯულაელის აღებული გზა და ახსნა შანშოვანს შესაწყენარებლად მიაჩნია ქართულისათვისაც. მაგრამ, თუ სადმე იგი მისგან გადახრას აწარმოებს, ამას ზოგჯერ იმიტომ ჩადის, რომ მას სათანადო შესაბამისს არ აწვდის ქართული ენის ბუნება. ასეთ მომენტებში კი ჩანს, თითქოს ზურაბი ერთგვარად ანგარიშს უწყევდეს ქართული ენის თავისებურებებს. ბევრი არაა ასეთი შემთხვევა, მაგრამ „ქართული გრამატიკის“ ავტორთან აქა-იქ მაინც შეინიშნება იგი, პირველ რიგში კი სახელისა და ზმნის მიმოხილვისას.

სახელების ბრუნებათა რიცხვის დადგენისას მას სიმეონის მიერ სომხურისათვის მიჩნეული 10 სახეობის ნაცვლად ქართულში მხოლოდ 2 სახეობა შემოაქვს. საკლასიფიკაციო პრინციპი ზურაბს არ შეუცვლია, დედნისა შეინარჩუნა, მხოლოდ ამ პრინციპით ხელმძღვანელობის დროს ქართულში მან მარტო ორი სახე იპოვა. სახელთა ბრუნებებად განდასების საფუძველი წყაროს თანახმად შანშოვანისთვისაც მხოლოდობით-მრავლობითი რიცხვის წრფელობითისა და ნათესაობითის ნიშნებია.

პირველი ბრუნებისაა წრფელობითში ი-ზე დაბოლოებული სახელი, რომლის „სანათესაოსა დასასრული -სა არის“, მაგ., კაცი, კაცი-სა; ხოლო მრავლობითში — ნი და -თა. „ხოლო ესრეთვე ამავე სრბოლსა შორის ისრბოლებიან ყოველი ზიარი სახელი, რომელთა საწრფელოსა მარტივითა დასასრული არს -ა, ვითარცა: ქვა, რკინა, მონა“ და სხვ., და რომელნიც „სანათესაოსა შორის მოიღებენ -ისა“; მრავლობითში კიდევ -ნი, -თა-საო.

მეორე ბრუნებისაა ის სახელი, რომელსაც „საწრფელოსა შორის -ო“ აქვს, „ვითარცა—წერო, ხოლო სანათესაოსა შორის დასასრული -სი, ვითარცა: წეროსი. ხოლო სამრავლოსა შორის მოიღებენ საწრფელოსა დასა-

სრულსა¹ -ნი, ვითარცა: წერონი, და სანათესაოსა შორის მოიღებენ -თთა, ვითარცა—წეროთთა... ხოლო ამავე სარბოლსა შორის ისარბოლვიან ყოველნი ზიარნი სახელნი, რომელთა საბოლოოდ საწრფელოსა დასასრული არს: -ე, ვითარცა: მწარე, მცირე, ვაკე, მდარე და ესევეთარნი, ხოლო სანათესაოსა შორის მოიღების -ხი, ვითარცა: მწარესი, მცირესი, ვაკესი, მდარესი და ესევეითარი. ხოლო სამრავლოსა შორის ეგრეთვე მიიღებენ ვითარცა ზემორე გვიწერია-

ხოლო სახმარ არს ცნობად, რამეთუ რაოდენნი თვისნი სახელნი არიან, რომელთა საწრფელოსა შორის დასასრული არს -ა ინუ -ე, ვითარცა: თომა, კლეოპა, ზაქარია; სანათესაოსა შორის მოიღებენ -ხი, ვითარცა: თომასი, კლეოპასი, ზაქარიასი და სხუანი ვითარნი.

შანშოვანის დაკვირვებაში ქართული სახელების ბრუნებათა სახეების შესახებ (თავი რომ დავანებოთ თვით სახეებად განდასების საფუძველის მართებულობისა თუ უმართებულობის საკითხს) ერთი რამ უდაოდ სწორია. ეს ის, რომ ქართულ სახელთა ბრუნება ისეთ რთულ ნაირსახეობას არ გვაწვდის, როგორსაც ძველი სომხური.

სახელების ბრუნებათა კლასებად განდასების საკითხს თუ შანშოვანმა ასეთისე გაართვა თავი, ამას ის ესოდენ „მწყობრად“ ვერ ახერხებს ზმნების უღვილებებად განდასების საქმეში.

სიმეონ ჯუღლაელი სომხურისათვის ოთხგვარი უღვილეების სახეს მიიჩნევს: ა, ხ, ჯ, ალ-ს. სახეების აღმნიშვნელი ეს ნიშნები ის ხმოვნებია, რომლებიც ზმნებს აწყოსა და ბრძანებითის მეორე პირში ბოლოკიდური მარცვლის ელემენტად მოეპოება, ერთგან, როგორც ქართული თარგმანი ხმარობს, „წინშეწყობილად“ და მეორეგან—ქუეშეწყობილად შეკმობილთა თანა².

ეს დებულება უცვლელად გადმოაქვს შანშოვანს. „სქესნი... არიან ოთხნი: ა, ე, ი, ა“. მაგრამ როდესაც დასამოწმებელ მაგალითებზე და მათ პარადიგმებზე მიღება საქმე, იგი ვერ ახერხებს პირობის შესრულებას: ოთხის ნაცვლად ორ უღვილეებას იძლევა.

პირველია ის, „რომლისა პირველი ნიშანი არს ა მაგალითი, ქუეშეწყობილი შეკმობილთა თანა, ვითარცა: ექნა, ქნას; ხოლო მეორე არს წინშეწყობილი ე, ვითარცა: ქენ“.

მეორეა, „რომლისა პირველი ნიშანი არს ე, ვითარცა: მიეცე; ხოლო მეორე ნიშანი ეც, ვითარცა: მიეც“.

ამათ შემდეგ მას მესამე და მეოთხე უღვილეება (ი და ო) უნდა მოეცა, მაგრამ ამას მასთან ვერ ვპოულობთ. მის წილ ახალ წყვილზე „პირველისა და მეორე სქესისათვის“ არის საუბარი.

„პირველი სქესისათვის, რომლისა პირველი ნიშანი არს ა მაგალითი, შეწყობილი შეკმობილთა თანა (ნაცვლად წინანდელი ქუეშეწყობილისა) ვითარცა:

¹ შანშოვანის გრამატიკის ამ ადგილს „დასასრული-ა“, რაც აშკარა არმენიზმია, ვინაიდან პირდაპირი ობიექტის ბრუნვა-უცვლელობა (ყოველთვის accusativ-ი) სომხურს ახასიათებს.

ვბან, ჰბან, ჰბანს; ხოლო მეორე არს შეწყობილი ე ვითარცა: ჰბანე (ნაცულად წინანდელი წინშეწყობილისა)*:

„მეორე სქესისათჳს, რომლისა პირველი ნიშანი არს ა ვითარცა: ვთქვა, ხოლო მეორე ნიშანი არს ი, ვითარცა: ვთქვი“.

ამრიგად, აქ დებულება გაუმართლებელია. დებულებასა და მტკიცებას შორის წინააღმდეგობაა. თითქოს არის ქართული უღვლილების თავისებურებათა შეცნობისა და მოვლის ცდა, მაგრამ ამ ცდას სათანადო ნაყოფი არ მოაქვს. სამაგეროდ შანშოვანი მართებულად უნდა შენიშნავდეს ქართულში ობიექტური წყობის ზმნების არსებობას და სათანადო პრეფიქსებს; და ამასთანავე მათი ფუნქციის შემოფარგვლასაც უნდა გვაძლევდეს: „იმა ასოთი (მ-, გ-ზეა საუბარი) გუამსა და სახელსა ცხად ჰყოფენ და სახელდართულსა და პირსა“ (გვ. 46).

შანშოვანი სუბიექტურ ნიშნებსაც შენიშნავს ქართული ზმნის ფორმებში, მაგრამ ვერ ხსნის მათ ფუნქციას: „ხოლო ქართულსა ენასა ზედა ყოველნი ზმნანი საპირონი ყოველსა სქესსა შორის უმიზნოდ მოიღებენ ესენი (sic! ამათ —უნდოდა, ალბათ, ეთქვა) გ, ჰ—პირველსა პირსა და მეორესა პირსა ზმნისა თავად, ხოლო აღღვეითად: თა, თოს, ვითარცა პირუპლი პირი: ვკამ, ჰკამ, სკამს. ეგრეთვე სხუასა სქესსა შინა მეორეს პირსა შორის შეიცვალების ჰე ინად, და მესამესა ზედაცა მოიღების, არამედ პირველისა პირისაგან ვინი არა აღიჯოცების, ვითარცა: ექ, იქ, იქს“ (გვ. 55—56).

შანშოვანს ერთი მართებული დაკვირვება სიტყვის სხვა ნაწილშიაც მოეპოება. იოტისა და ათრონის განმარტების დროს, რასაც ის წყაროსამებრ გვაწვდის, გლოსა მოეპოება, რომლის თანახმად სიტყვის ეს ნაწილები ქართულში არა მარტო „წინშეწყობილია“, არამედ „ბოლო ანუ ქუეშეწყობილიცააო“.

ასეთია ქართული ენის თავისებური ბუნებით ნაკარნახევი ყველა ის ძირითადი გადახვევა¹ წყაროსაგან. რომლებიც ზურაბ შანშოვანს მოეპოება მის „ქართულ გრამატიკაში“.

* * *

ოასასრულ რამდენიმე სიტყვა შანშოვანის „გრამატიკის“ ენის შესახებ.

შანშოვანის ქართული რომ მოიკოკლებს, ეს ცნობილი ფაქტია. მის ქართულში არმენიზმები ჰარბად გვხვდება. არმენიზმები, როგორც სიტყვათა ხმარების დარგში, ისე ფრაზების კონსტრუქციაშიც შეინიშნება. სიტყვა-ხმარების ერთი ნიმუში ზემოთაც დავასახელებთ (ნ. გვ. 144), როცა საუბარი გვექონდა „მოადგილე“ სიტყვის შინაარსის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ამ სიტყვით მას უნდოდა გადმოეცა სომხური *სიხეხაკ*-ის ცნება, სათანადო სიტყვა ამისათვის მან ქართულში ვერ დაძებნა, იგი ამიტომ შეუფერებლად გადმოიღო: *სიხეხაკ*-ი წარ-

¹ ზოგიერთ გადახვევას სომხურისაგან ანდა ზედმეტ ადგილს სომხურთან მიმართებით შანშოვანის გრამატიკაში სხვაგანაც აქა-იქ (განსაკუთრებით „ფონეტიკაში“) ეხვდებით, მაგრამ სავარაუდოა, რომ მათი სათანადო პარალელი იყო იმ ნუსხაში სომხური დედნისა, რომელიც ზურაბ შანშოვანს ჰქონდა ხელთ, ანდა, თუ რომელიმე მათგანი წყაროს არ გააჩნდა, მაშინ, რაც უფრო საგულევებელია. ამ გადახვევათა ავტორი რედაქტორი ეახუშტი ბატონიშვილია.

მოებულად მიიჩნია *ახიქ*-საგან და ისევე *ახიქ*-ის ქართული შესატყვისიდან — „ადგილიდან“ — აწარმოვა — „მოადგილე“. თუნდაც, რომ მართებული იყოს მისი შეხედულება *ახიქსაქ*-ის აღნაგობის შესახებ, სწორი მაინც ვერ იქნება მის მიერ ნაწარმოები „მოადგილის“ ხმარება *ახიქსაქ*-ის საპირისპიროდ, რადგანაც *ახიქსაქ* იმყოფნის ნიშნავს და არა „მოადგილეს“, მონაცვლეს. ასეთივე ხელოვნური წარმოება შანშოვანის ტერმინების გადმოღების დროსაც მოსდის, როგორც ეს ზემოთ არაერთგზის აღვნიშნეთ.

ზურაბ შანშოვანის არმენიზმები მარტო ამ ნაწილში არა ჩანს. მას, როგორც ვთქვით, ფრაზების შედგენაშიაც აშკარად შევნიშნავთ. მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვკირდება, ზემოთ მოყვანილ ამონაწერებშიაც კი, კვიპოვით (ნ. გვ. 155 შენ. და გვ. 156). უნდა ვითქვათ, რომ ამნაირი არმენიზმები გაცილებით მეტი რაოდენობისა იქნებოდა შანშოვანის პირველ ნაწერში, რომელიც ხელთ ჰქონდა წიგნის გამომქვეყნებელსა და რედაქტორს ვახუშტი ბატონიშვილს.

ამნაირი ხასიათის არმენიზმები თუ ვახუშტის კალამს ზოგან მაინც გადაურჩა, სამაგიეროდ რედაქტორი არ შეხებია ისეთ შემთხვევებს, როდესაც სომხური გრამატიკული ფორმების სათანადოდ დაცვის აუცილებლობა იყო საპირო ქართულშიაც. უსწორობას ვახუშტი აქაც გაასწორებდა, რომ მას უკროვნად სცოდნოდა სომხური. რაკი ეს უსწორობანი ხელუხლებლად და დაცვებული, ამჟამად ჩვენთვის ნათელი ხდება ის გარემოება, რომ „გრამატიკის მქნელი“ შანშოვანი გადმოსათარგმნ თუ გამოსაყენებელ წყაროს ვერ უწყევს სათანადო ანგარიშს, კრიტიკულად არ ეყილება მასალას. ახალი სომხურის, მისი დროისა და მისთვის მშობლიური ენის კარნახით იღებს იგი ალაგ-ალაგ ძველი სომხურის ფორმებს და მცდარი გაგება შეაქვს ქართულ თარგმანშიაც. ასე მაგ., როდესაც შანშოვანი წყაროს შესაბამისად აცხადებს, რომ ძირითადი ფორმები დრო-კილოთა საწარმოებლად აწმყოსა და ნამყო სრულის ფორმებიაო, რაც მართლაც სომხურისათვის და ძირითადად ქართულისთვისაც სწორია, მოჰყავს მაგალითები, რომლებიც სომხურისათვის მართებულად დასახელებული სიტყვების უსწორო ქართულ თარგმანს წარმოადგენს. აწმყოს ფუძისაგან ნამყო უსრული იწარმოება; სომხურს საამისო მაგალითად დასახელებული აქვს: *ილსიძე*, *ილსჭი*. შანშოვანიც მას იმეორებს: ვკამო, მეკამა. *ილსიძე* რომ შანშოვანს აწმყოს ფორმად გაეგო, მაშინ მას „ეკამად“ გადმოიღებდა. *ილსჭი* კიდევ რომ ნამყო უსრულად გაეგო, მაშინაც „ეკამდი-დ“ გადმოთარგმნიდა. მაგრამ ვინაიდან ეს ფორმები მის მშობლიურ სალაპარაკო ენაზე მის დროს, და შემდეგშიაც, აწმყოსა და ნამყოუსრულის ფორმებად კი არ ესმოდათ, როგორც ძველს სომხურში იყო, არამედ ნატკრითისა და პირობითის ფორმებად, ამიტომაც იგი მათ თარგმნის „ეკამო“-და და „ეკამა“-დ მაშინ, როცა უთუოდ უნდა ეთარგმნა: „ეკამ“ და „ეკამდი-დ“ (გვ. 54 და სხე...).

მსგავსი მოვლენები, ცხადია, მოწმობენ არა მარტო იმას, რომ შანშოვანი სათარგმნი თუ გადმოსაღები საენის არსს ვერ სწვდება და ამ საქმიანობისათვის იგი სათანადოდ მომზადებული არაა, არამედ იმასაც, თუ როგორი თვისებებით ხასიათდება მისი დამოკიდებულება მშობლიურ სამწერლო ენებთან ერთი მხრივ და ქართულთან მეორე მხრივ.

თანამედროვენი, ანდა უკეთ, მახლობელი წრის სწავლული პირნი, შანშოვანის კმნილებაზე დიდი წარმოდგენისა არ ყოფილან. ამიტომ იგი უჩინარი შეიკმნა მომდევნო დროისთვისაც. დღეს კი შანშოვანის „ქართულ გრამატიკას“ მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს. იგი პირველი ცდაა „ქართული გრამატიკის“ შედგენისა: ცდა, რომელსაც ზურაბის თანამედროვეთაგანი და ახლო თანამშრომელი—ვახუშტი ბატონიშვილი—სამართლიანად უყურებს როგორც „გზას ლრამატიკისას უსრულს“.

И. В. Абуладзе

Ранние памятники грузинской грамматической литературы

(Резюме)

Из древних памятников грузинской грамматической литературы до сих пор не известны произведения ранее начала XVIII столетия. Однако имеются литературные сведения, что такие памятники должны были существовать в древне-груз. литературе.

Попытки систематической разработки грузинской грамматики, начавшиеся с начала XVIII столетия, завершились трудом Антония I-го, появившимся в середине XVIII века и служившим краеугольным камнем для дальнейшего творчества в этой области, почти до 60 годов XIX в. Назначение старых грамматик было главным образом практического характера: посредством их должны были правильно толковать старые трактаты и поэтому, эти грамматики имеют преимущественно филологический характер.

Первая, известная нам, грузинская грамматика принадлежит перу Зураба Шаншовани, который был сотрудником царя Вахтанга VI и сопровождал его в эмиграции в Россию, где по поручению царя он занимался литературным трудом—главным образом переводами с армянского языка. По происхождению Шаншовани армянин, знающий грузинский язык. Переводил он в основном памятники философского характера, как-то: „Пять глас“ Порфирия и „Категории“ Аристотеля. С 1735 года он начал работу над грамматикой, в которой дана, выражаясь современным термином, только „морфология“. Редактировал его труд сын Вахтанга VI царевич Вахушти. Труд Шаншовани впервые появился в свет в 1737 г. Единственный экземпляр этой грамматики был найден проф. А. л. Цагарели и издан в Петербурге в 1881 году (XXIII + 75 стр.). Издатель в своем исследовании относительно

этого труда отметил чужеземное влияние, в частности армянское, но исследование в этом направлении до конца не довел.

В результате нашего исследования выяснилось, что:

1) Эта грамматика Шаншовани является дословным переводом грамматики Симеона Джульфийского (*Միմեն Զուլֆայիցի*).

2) На особенности грузинского языка переводчик не обращает должного внимания, но там, где он старается сделать это, не получается удачно.

3) Он не является сведущим специалистом по грамматике; это подтверждается хотя бы неточным переложением терминов для грузинского, в частности разнородными соответствиями грузинского к одням и тем же терминам армянского.

4) Не является он также знатоком тонкостей древне-армянского языка, что подтверждается неправильным переводом примеров, помещенных в парадигмах к спряжению. Например: формы времен настоящего и прошедшего несовершенного (изъявительного наклонения) древне-армянского языка выражены в переводе на грузинский, формами времен сослагательного наклонения. Это неправильное понимание форм упомянутых времен древне-армянского языка видимо было характерно для устной арм. речи его времени, как это имеет место и в современном армянском языке.

Благодаря всем этим свойствам, грамматика Шаншовани осталась в тени и не оказала никакого влияния на грузинскую грамматическую литературу последующего времени. Для нас же она имеет историческое значение как одна из ранних попыток создания грузинской грамматики.

სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები*

სულხან-საბა ორბელიანს თავისი ლექსიკონისათვის დართულ ანდერძ-ნამაგში, სადაც მოკლედ ჩამოთვლილია პირობები, რომელშიაც მისი ნამუშავევი აღმოცენდა, ნათქვამი აქვს:

„და ერთი სომხური მომცრო ლექსიკონი ვნახე, რომელსა მათისავე ენითა ბარგირქი ეწოდების და მეც მათის ბაძით კელი მიეყავ და. რაოდენ ძალმედვა, აღეწეუე“.

(„ქართული ლექსიკონი“, II გამოცემა, გვ. 51).

საბას, იმავე ანდერძნამაგში, ცოტა ქვემოთ, სადაც საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებდა იგი ზოგიერთი ძნელი სიტყვის შინაარსის ზედმიწევნით დადგენას, აღნიშნული აქვს:

„...რაოდენ ძალმედვა, ვეცადე ვლღენთა, ლათინთა, სომხურთა, რუსთა და არაბთა წიგნებისაგან და მით გამოვიღე...“

(იქვე, გვ. 52).

მართლაც, ზოგიერთი გამოყენებული წიგნი თვით ლექსიკონშივე აქვს დასახელებული სულხანს სხვადასხვა სიტყვის განმარტებისას. ასეთად, სომხურის მიმართ, პირველ ყოვლისა სომხური ბიბლია ჩანს¹. მაგ.:

„კცენა ფშვან (41, 9 იობ). (აკენასა მისსა გამოჰკრთების ცეცხლი“. სომხურში კცენა ფშვივად ეწეა C). [ნ. კცენა'სთან].

ეს სწორედ ასეა. სომხურში ამ ადგილს ფშვივანაა (=ჟიანჯი).

სულხანს რომ, პირველ ყოვლისა, სომხური ბარგირქი ჰქონია ხელთ, ამას ხსენებული ანდერძნამაგის კიდევ ერთი სხვა ადგილიც მოწმობს:

„მე უწინარეს ლათინური და ვლღენური ლექსიკონი ვერ ვნახე, თვარა უკეთესის რიგით აღეწერდი, მას უკან ვნახე და ზოგი რამ იმით გაემართე და რიცხვებიც წერილთან თან ჩართეთ დაუსხი“.

(იქვე, გვ. 53).

* წაკითხულია მოხსენებად ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების (აწ შ. რუსთველის სახელობის) ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის სექციების გაერთიანებულ სხდომაზე 1934 წლ. 28-II-ს.

¹ ოთხთავი-კი ბერძნულიცა და ლათინურიც გამოუყენებია, როგორც ეს ჩანს სიტყვა „ტეგანის“ განმარტებიდან:

ტეგანი (11, 42 ლუკა) ტარხუნა. ბერძელში სხვა მხალი სწერია და ლათინურში სხვა და სომხურში სხვა.

საბას ასეთი არაერთგზისი აღიარება საკითხს სვამდა იმის შესახებ, თუ რა და როგორ გამოიყენა მან. ის ზოგადი ხასიათის თქმა სომხურის მიმართ, რომ მათი «ბარგირკი» მქონდა ბაძად და მათი წიგნებიდანაც საკირო მასალის გამოღებას ვეცადეო, ჩვენს კითხვებზე გარკვეულ პასუხს ვერ იძლევა, პირიქით, პრობლემის ამოხსნის წყურვილს იგი უფრო აძლიერებს.

სულხანის ქართული ლექსიკონის¹ მეორე გამოცემის ერთმა რედაქტორ-თაგანმა, პროფ. ა. შანიძემ, შესაძლოდ მიიჩნია, რომ ის ლექსიკონი, რომლისათვის საბას მიუბაძავს, „თითქოს უნდა იყოს ერემია ვარდაპეტის ლექსიკონი“. მაგრამ არა ნაბეჭდი, რომელიც 1698 წ. გამოიცა, ე. ი. იმ დროს, როცა საბას უკვე დაწყებული მქონდა ლექსიკონზე მუშაობა (დაიწყო-კი 1695 წ.), არამედ იგი, განაგრძობს პატივცემული მკვლევარი, „ამ ლექსიკონს ჯერ კიდევ ალბათ ხელნაწერი სახით იცნობდა“-ო (ნ. ქართული ლექსიკონის II გამოცემის წინასიტყვაობა, გვ. IV, შენიშვნა). ამ ვარაუდს ახლა, როცა ამავე პირის ხელმძღვანელობით ქართული ლექსიკონის² ახალი მეცნიერული გამოცემა მზადდება, შემოწმება დასპირდა. საბას ლექსიკონის შედარებამ პირველ ნაბეჭდ სომხურ ლექსიკონთან, მართლაც, გარკვეულ ნაწილში, სახელდობრ—საკუთარ სახელთა განმარტების დარგში, შეხვედრის შემთხვევები გვიჩვენა. ამან-კი უფრო მეტად გააცხოველა აზრი, რომ შესაძლოა ვარაუდი გამართლებულიყო, სინამდვილედ ქცეულიყო. გვეგონა, რომ იმ განსხვავებას, რომელიც მინც არსებობს ლექსიკონების ხსენებულ ნაწილში, ერემიას ხელნაწერ ლექსიკონში ადგილი არ ექნებოდა და სხ... ერთი სიტყვით, საკირო შეიქნა სულხანის სომხური წყაროების ასე თუ ისე დაჩხრეკა და მათთან მისი დამოკიდებულების საკითხის გარკვევა.

ბეჭდური ლექსიკონის წინამორბედ სომხურ ხელნაწერ ლექსიკონებთან გა-
ცნობამ, სომხური ხელნაწერებით ყველაზე უფრო მდიდარ ერემიას და ეჩმია-
წინის საგანძურებში³, შემდეგი სურათი დაგვიხატა. თარიღის მქონე ლექსიკონებს შორის ყველაზე ძველი 1370 წლისაა (ეჩმ. № 3937), შემდგომი 1417-ისაა (ეჩმ. № 3202), 1419-ისა (ეჩმ. № 3201), და ასე შემდეგ რამდენიმე ათეული დაითვლება პირველ ბეჭდურ ლექსიკონამდის⁴. როგორც აღრიხინდელი, ისე შემ-

¹ მივლენილ ვიყავი სომხეთს სამუშაოდ ამ მიზნით 1934 წლის 5—20 იანვარს, უნივერსიტეტთან არსებული ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების (აწ შოთა რუსთაველის სახელობის) ინსტიტუტის მიერ.

² ა. ებ. მესრობ ტერ-მოვსესიანის მიერ თავზაზანად მოწოდებული სიის მიხედვით ეჩმიაწინის მუხებულის ხელნაწერი ლექსიკონები თარიღის მიხედვით შემდეგი მიმდევრობისა ააჩიან პირველ ბეჭდურ ლექსიკონამდის: № 3937 (1370 წ.), № 3202 (1417 წ.), № 3201 (1419 წ.), № 266 (1468 წ.), № 530 (XV—XVI ს.ს.), № 1654 (XV ს.), № 532 (1598 წ.), № 3198 (XVI ს.), № 2450 (XVI—XVII), № 543 (XVI ს.), № 1466 (XVI ს.), № 267 (1613 წ.), № 529 (1614 წ.), № 3430 (1654 წ.), № 533 (1655 წ.), № 527 (1663 წ.), № 3468 (1665 წ.), № 3257 (1673 წ.), № 268 (1683 წ.), № 450 (1692 წ.), № 451 (1692 წ.), № 537 (1693 წ.), № 3172 (1695 წ.) № 3913 (1698 წ.). მესრობ ტერ-მოვსესიანის მეტად საკირო დახმარებისათვის დიდ მადლობას ვწირავ.

ერემიას მუხებულის ხელნაწერები-კი შემდეგი რიგისაა: № 1108 (1620 წ.), № 817 (1632 წ.), № 701 (1678 წ.), და № 1077 (1698 წ.).

დგომი დროის ლექსიკონები ორი ძირითადი სახისაა: ერთი—რომლისამე ავტორის თუ ნაშრომის მიხედვით გაკეთებული, და მეორე—საზოგადო. პირველი ჩვეულებრივ სათაურშივე ასახელებს წიგნის ავტორს, ან, თუ უავტოროდაა მოხსენებული, მაშინ წიგნის სახელწოდება, ყოველ შემთხვევაში, მაინც არის დასახელებული. მეორე-კი ან სრულიად უსათაუროა, ან არა და, რაიმე ზოგადი სახელწოდების მატარებელია.

პირველი სახის ლექსიკონებს ეკუთვნიან:

1. სიტყვები ფილონისა (*წაიღე ფილონი* — ეჩმ. № 3937, № 266, № 532, № 529 და სხ...).
2. სიტყვები გალიანოსის (გალენოსის, ჯალინოზის) მკურნალთ-მოძღვრისა (*წაიღე ზაქიანოსის ძეგლსაჲსი*, — ეჩმ. №№: 3202, 3201, 266, 532, 529, 533, 268, 537; ერევ. № 817). ეს ძეგლი 1728 წელს გამოიცა, როგორც დანართი ერემია ვარდაპეტის სომხური ლექსიკონისა მეორე გამოცემისა (ნ. გვ. 57ა—575).
3. ამირ-დოვლათის სამკურნალო ლექსიკონი (ეჩმ. № 3198). ესეც გამოცემულია ვენაში 1927 წ. — *ამირთიქლასი სამასხაგლი ანაჲსთაჲსი ანაჲსთი ჯამ დაიარან ძეგლსაჲსი ზიქიგი, ქიქი ჯაბ ზანღერბ ზანიქიქსამაღე ყ. მ. წასამაღიან*.
4. თარგმანება სპარსულ სიტყვათა ვარდანის წერილთაგან (*წარყმანულიქი აყარსიქი რაიქი ქი ქარღანსიყი ყრიგი*, ეჩმ. №№ 3302, 201, 266, 533, 2ა7; ერევ. №№ 1108, 817, 701 და სხ...).
5. გრიგოლ ნარეკელის წერილთა სიტყვები (*წაიღე ყრიგი ზრ. ზარეხაგლიყი*, ეჩმ. № 3172).
6. გრიგოლ მგისტროსის წერილთა სიტყვები (*წაიღე ყრიგი ზრ. შაჲყასთროსიყი*, ეჩმ. № 3172).
7. სიტყვები წმიდა წერილთა (*წაიღე აჲრ ყრიგი*), ორგვარი მოცულობისა:
 - ა) მოკლე, ან ბიბლიის ყველა წიგნისა, ან ზოგჯერ მისი რომელიმე ნაწილისა (ეჩმ. №№: 3257, 2466, 2450; ერევ. №№ 1056 და 702).
 - ბ) ვრცელი. უკანასკნელი შემდგენელის სახელსაც ატარებს. მისი სრული სახელწოდებაა. ამოკლე კრებული და ახსნა საღმრთო წიგნთა სიტყვებისა ვინმე ერემია სიტყვის-მოყვარე მელრელისა (*ჯამათით ზასადღიანსი სიღმაროანსი სიღმაროანსი რაიქიყი შაჲაღიანსიყი ყრიგი კიღმანსიქი ქერსიქაქი რანსაჲსიქი, შხერსელიყი*; ეჩმ. №№ 268 451, 1466; ერევ. №№ 701, 706 და 705).

როგორც ვრცელი, ისე მოკლე ლექსიკონი ბიბლიისა შედგენილია ცალკე წიგნების მიხედვით და თავების აღნიშვნით, ანბანზე გაუწყობლად.

მეორე სახის ლექსიკონები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვეულებრივ ან უსათაუროა, ანდა უმეტესად ასეთ სახელწოდებას ატარებენ: *ესაქერდოლო სიტყვები...* (*წაიღე ჯერქიოჲსაჲსი...*)¹. ისინი სამნაირი მოცულობისა არიან:

¹ ლექსიკონის სრული სათაურია: *საჲსი წაიღე სხი ჯერქიოჲსაჲსიქი ქასანი ჯაჲიყი ზიმრისაჲსი თაჲიქი. ქასანჲქი ჯერქიოჲსაჲსი არზახანსი ჯაჲაჲსიქსაჲსი სხი სი ჯაჲიქი ქარქი სხი სხი*

მასალად ყველგან ბიბლიის სიტყვები აღმოჩნდა თავიანთ მოცულობასთან შეფარდებით. ბიბლიის სიტყვებს გარდა მათში შესულია სხვებიც, პირველ ყოვლისა, საკუთარი სახელები (აღამიანთა და ადგილთა); ესეც შეფარდებით თავიანთ მოცულობასთან: უფრო ნაკლებად მცირეში, მასზე მეტად საშუალოში და ყველაზე უფრო უხვად ვრცელში. პირველი ორის წყაროდ ზემოხსენებული ებრაელთა სიტყვებია (*წარღ ხრეაქესიე*) აღმოჩნდა, ხოლო მესამისათვის წყაროდ გამოყენებული ჩანს აგრეთვე ბიბლია და ისიც არა მარტო თავებდა დაყოფილი, რაც სომხურში XIII საუკუნიდან უკვე ფაქტია, არამედ მუხლებად (*თილს-ებად*) განკვეთილიც, რასაც ააშკარავენს ზოგჯერ განმარტებებთან დართული დამოწმებები ბიბლიისა, მისი ამათუიმ წიგნის, თავისა და მუხლის ჩვენებით. ბიბლიის ასეთნაირი დაყოფა-კი 1619 წელს იქნა შესრულებული სომხურში ლაზარე ბაბერდელის მიერ¹. ამიტომაც «ბარაგირქის» ვრცელი ვარიანტის აღმოცენება ამაზე აღრინდელად ვერ იქნება მიჩნეული.

სულხან-საბა ორბელიანსაც საკმაო ადგილი აქვს დათმობილი თავის ლექსიკონში საკუთარი სახელებისა და მათ განმარტებაათვის, და ისიც ისეთივე სისრულითა და ზოგჯერ იმავე წესით (განმარტებისას ბიბლიის წიგნთა თავებისა და მუხლების ჩვენება), როგორც «სომეხთა ლექსიკონის» (*წარღხრე რაყიყის*) ვრცელ ვარიანტს. ამიტომაც სწორედ, საბას მისაბად ლექსიკონად ეს ვარიანტი უნდა ვიგულისხმოთ. ხოლო უკანასკნელი, რომელსაც ჩვენ დანარჩენებთან მიმართებით ვრცელს ვეძახით, ახლო მდგომია პირველ სომხურ ბეჭდურ ლექსიკონთან, შეიძლება ითქვას, თითქმის იგივეა. მხოლოდ აღსანიშნავია რომ ეს ვრცელი ვარიანტი ხელნაწერებში ავტორის (და ისიც ერემია ვარდაპეტის) სახელს არ ატარებს. ზოგჯერ იგი ერემია მეღრულის „წმიდა წიგნთა სიტყვების კრებულთან“ ერთადაა ხელნაწერებში მოთავსებული. ამის გამო შეიძლება კაცმა იგიც ერემიას მიაწეროს. ერთი სიტყვით, რაიმე გარკვეული მითითება იმისა, რომ იგი ერემიას კალამს ეკუთვნოდეს, ხელნაწერებით არა ჩანს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ შეხვედრის ნაწილში (ეს-კი საკუთარი სახელებია) სომხური პირველი ნაბეჭდი ლექსიკონი და საბას ქართული ლექსიკონი მსგავსებასთან ერთად განსხვავებასაც გვიჩვენებდენ. ეს განსხვავება ძალაშია აგრეთვე მაშინ, როცა ვადარებთ ქართულ ლექსიკონს სომხურ პირველ ნაბეჭდ ლექსიკონთან ახლო მდგომ «სომეხთა ბარაგირქს», მისი ვრცელი ვარიანტის ხელნაწერ ლექსიკონებს, რომელშიაც ჩვენ საბას ნიმუში გვეგულება. აქიდან-კი ის გამოდინარეობს, რომ საბა თავისი ლექსიკონისათვის სომხურ ბარაგირქს მხოლოდ აღნაგობის, ტექნიკის მხრით იყენებს მისაბაძეად, ხოლო სომხურთან მსგავსი ნაწილის წყაროდ ან სხვა რამეს იღებს, ანდა განსხვავებული ნაწილი ამ მხარისა მისი საკუთარი შემოქმედებაა. ძიებამ პირველი მოსაზრება გაამართლა. გამოიკვია, რომ საკუთარი სახელების როგორც ნომენკლატურა, ისე მისი თარგმანი საბას სომხური ლექსიკონიდან კი არ აუღია, არამედ იმ სომხური ბიბლიიდან, რომელსაც დართული აქვს საკუთარ სახელთა თარგმანება. ეს-კი არის ამსტერ-

¹ Месроп Тер-Мовсисян, История перевода Библии на армянский язык. СПб 1902, гл. 131, 132—135.

დამს 1666 წელს დაბეჭდილი ბიბლია ვოსკანისა, რომელმაც დალმბატურის (ე. ი. ლათინურის) მსგავსად ნარედაქციევი თავისი ბიბლია სხვადასხვა საძიებლითა შეაშკო. სხვათა შორის, ეს საძიებლები თვით ვოსკანს ეუთვნის და არა ლაზარე ბაბერდელს, როგორც ამას მესრობ ტერ.მოვსესიანი ამტკიცებს¹.

სულხან-საბა ორბელიანი რომ ვოსკანის ბიბლიის საკუთარ სახელთა თარგმანებით სარგებლობს თავისი ლექსიკონის სათანადო ნაწილისათვის, ამას მოწმობს უკანასკნელის შედარება სომხურ ხსენებულ საძიებელთან. ზევით აღვნიშნე, რომ სულხანს ამ ნაწილში რამდენადმე შეხვედრა აქვს ვრცელი ვარიანტის სომხურ ლექსიკონთან და იქვე ხაზს ვუსვამდი, რომ არსებობს განსხვავება-მეთქი, ე. ი. ამ ლექსიკონებს შორის შეხვედრაა გარკვეულ ნაწილში და არა სრული დამთხვევა. ვოსკანის საძიებელთან შედარებით-კი თითქმის (მცირეოდენის გამოკლებით) სრული დამთხვევა ხდება. ამიტომაც სწორედ, სულხანის «ქართულ ლექსიკონში» მოხვედრილი საკუთარი სახელები [რომელთაც ლექსიკოლოგი ხელნაწერებში საგანგებო ნიშანს უსვამს გვერდით—«ი», ხოლო მეორე გამოცემაში «(უცხ.)»-ით აღინიშნება], თავიანთ განმარტებებთან ერთად, უძთაერესად მომდინარე ჩანს ვოსკანის ბიბლიის სათანადო საძიებლიდან. ხოლო ასეთი ნაწილსათვის «ქართულ ლექსიკონში» ადგილის დათმობის მანიშნებელი სომხური ბარგირქია ვრცელი ვარიანტისა.

¹ М. Тер-Мовсесян. История перевода Библии на армянский язык, СПб 1902, гл. 31; 132—135.

რომ ვოსკანს ლაზარე ბაბერდელის საძიებლით არ უსარგებლია, ამას უბრალო შედარებაც ადვილად ნათელყოფს. ლაზარეს ნარედაქციევი ბიბლიას საძიებელში მხოლოდ ე. წ. «სიმფონია» მოგვოცება: ერთი ლათინურ და მეორე სომხურ რიცხვთა მიხედვით (*მანს ქ ქერ თ-კოლქსჩე Ա՛ժաուհე არ მათსჩის ესთ լաղխաყուց թուց და მანს ქ ქերայ თյուլքსჩե Ա՛ժաուհე არ მათსჩիս ესთ հაკախան թուց*). სომხური «სიმფონია» დართული აქვს ვოსკანსაც თავისი ბიბლიისათვის. მაგრამ ლაზარესა და ვოსკანის ნაშრომები სულ სხვადასხვაა და ერთი-მეორისაგან დამოუკიდებელი, როგორც ეს აქ მოყვანილი მცირე ნიმუშიდანაც ჩანს:

ლ ა ზ ა რ ე

Տ Ո Ն Ճ Ա Ն Ո

სომხური რიცხვით
*ԱՐԻԻՄՆԷԺ—հარն ირქი
Գէղէնի. դատ. Ը.*

ლათინური რიცხვით:
*ԱՐԻԻՄՆԷԺ—ძაროაკჩე
և հայხეიղ ხრხჩაქი.
ხრ՛մ. Ը. է. Աკათ՛՛ქ ի սրոյ
գաղղხაყուց. ხრ՛մ. ԳԺ.
1գ. 1է.*

*ԱՐԻԻՄՆԷԺ— ჩიქსან-
კამარო՛ և ჰხნათი ხრ-
ძიოქი
ხრხმ. 38,7; აკათქ ი სოი
გაղղხაყուցის 39. 16.17.18.*

ამ შედარებიდან ნათელია, რომ ვოსკანისა და ლაზარეს ლათინურ რიცხვთა რიგით გაწყობილ სიმფონიას შორის ოდენ სიახლოვეს აქვს ადგილი და არა «ლაზარე ბაბერდელის შრომის პოვნას, მის გამოყენებას და თავისად გასაღებას» (нашел готовую работу Л. Бабертского и пользовался ею, выдавая ее за свою), როგორც ეს მესრობ ტერ-მოვსესიანს ჰგონია (გვ. 31).

ლაზარესთან შედარებით ვოსკანს კიდევ ორნაირი საძიებელი აქვს: ერთი— «საძიებელნი მოწმობა...» (*მანგ ვკაკი.ქხანგ—*) ძველისა და ახალი აღთქმის პარალელი ადგილების აღმნუსხველი, და მეორე— «ებრაელთა, ქალდეელთა და იონთა სახელების თარგმანება» (*ხეროქსე-ლოგ, ჟაღღხაყუც და მონაყ ოსიანგ ქარგამოსი.ქხან*), რომელიც საკუთარ სახელთა განმარტებებს შეიცავს.

აქ შეგვეძლო შევჩერებულყოფით, თავი მოგვეყარა ზემოთქმულისათვის და სათანადო დასკვნა გაგვეკეთებინა. მაგრამ ზემოთ სიტყვა ბიბლიის საძიებლებზე ჩამოვარდა და საჭიროა ორიოდე სიტყვა ქართული ბიბლიის საძიებლების შესახებ ითქვას.

ქართული ბიბლიის ხელნაწერებს შორის საძიებელ-დართული ე. წ. მცხეთის ბიბლიაა (ყოფ. საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერი № 51). მას შემდეგი საძიებლები აქვს:

1. „საძიებელნი მოწმობა: წამებანი ქვისთვან, მოციქულთაგან ახალსა აღთქუმასა შინა მოკლედ ძუელისა აღთქუმისაგან ჩართული“. იგი ახალი აღთქმის იმ ადგილებს აღწესნავს, რომლებიც ძველისაგან მომდინარე ჩანს. საძიებლის ტექსტის წინ და შემდეგ აღრიცხვაა გაკეთებული: წინ—ძველი აღთქმის წიგნებიდან, ხოლო შემდეგ—ახალი აღთქმიდან. მაგრამ არა ბოლომდის, არამედ დასაწყისშივე, პირველი 10 მუხლის შემდეგ, ტექსტი აღრიცხველად არის გაშვებული.

2. „ებრაელთა, ქალდეელთა და იონთა სახელებთა თარგმანებანი“.

3. „საძიებელნი მათიანეთანი“. უკანასკნელი სხვანაირად „კონკორდანსად“ ანუ „სიმფონიად“ იწოდება.

სიმფონიის ავტორად ჩვენი მკვლევრების მიერ (პროფ. კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა) სულხან-საბა ორბელიანი ითვლება¹. მცხეთის ბიბლიაზე დართული „სიმფონია“ სულხან-საბას ხელითაა დაწერილი, მის ავტოგრაფს წარმოადგენს. პავლე ინგოროყვა ამ ბიბლიას სამართლიანად საბას ნარედაქციევ ცალად მიიჩნევს, რაც მან ამ ორი თვის წინათ აღნიშნა კიდევ თავის მოხსენებაში, „ელხი“-ის (ტფილისის უნივერსიტეტთან არსებული ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტის) სალიტერატურო სექციის სხდომაზე. ამას ამოწმებს პირველ ყოვლისა რედაქციული ხასიათის შესწორებები, რომლებიც საბას ხელითა ჩანს შესრულებული, რაც მის ავტოგრაფ სიმფონიასთან შედარებით ნათლად ირკვევა. ხსენებული მკვლევრისავე აზრით, ამ ბიბლიის დედანს თუ ანაბეჭდს, ანტი-ორტოდოქსული ქრისტიანიზმის დაღის გამო, აუტო-დაფე მოსვლია. ამავე ხელნაწერ ბიბლიაში დაცულ „ებრაელთა, ქალდეელთა და იონთა სახელებთა თარგმანებთა“ შესახებ აგრეთვე თავისებური აზრისაა ეს მკვლევარი. მას იგი საბას შრომად მიაჩნია, ვინაიდან, განაცხადა მან, ეს თარგმანებანი მთლიანად და უცვლელად არიან შესული საბას ლექსიკონშიო.

გამოთქმული მოსაზრება სწორი არაა. მცხეთის ბიბლიის საკუთარ სახელთა საძიებლისა და ლექსიკონის ურთიერთთან შედარება საწინააღმდეგოს გვეუბნება. ჯერ ერთი, ლექსიკონი რამდენადმე საკუთარ სახელთა მეტ მარაგს შეიცავს, ღმერთი—მათი განმარტებები ყოველთვის ერთმანეთს არ ფარავს. ამრიგად აქ „ქართული ლექსიკონისა“ და ქართული ბიბლიის საკუთარ სახელთა საძიებელს შორის შემთხვევით შეხვედრას უფრო აქვს ადგილი, ვიდრე დამთხვევას. ქართული ლექსიკონისა ჩვენთვის საინტერესო ნაწილი, საკუთარი სახელები, ოდენობის მხრით

¹ პროფ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 372.

თითქმის სომხურ საძიებელს უჭერს მხარს, მცირეოდენის გარდა, მისი სისრულით თანმხედლობა და განმარტებათა მხრითაც აგრეთვე სომხურის თარგმანს წარმოადგენს¹. ქართული ბიბლიის საკუთარ სახელთა საძიებელიც თარგმანის ნიშნების მატარებელია და ისიც, როგორც სომხური ბიბლიის საძიებელთან შედარებამ ცხადყო, თარგმანია იმავე სომხური ბიბლიის საძიებლისა². ამრიგად ქართული მასალის დაპირისპირებამ სომხური ბიბლიის საძიებელთან დავანახა, რომ ქართული მასალა—როგორც ლექსიკონის საკუთარი სახელები, ისე ქართული ბიბლიის საკუთარ სახელთა საძიებელი,—დამოკიდებულია სომხური ბიბლიის საძიებელზე: მისი თარგმანია,—ერთი უფრო სრულად, ხოლო მეორე, შედარებით, უსრულად. ამავე დროს, დამოკიდებულება ქართულ მასალას შორის ისეთია, რომ არის შემთხვევები, როცა იგინი დაშორებული არიან ურთიერთს განმარტებათა როგორც სიტყვიერი გამოთქმით, ისე შინაარსითაც, უმეტესად წყაროს გაუგებრობის ნადავზე. ამიტომ ისინი შეიძლება სომხურის შემსწავლელი ანდა არა ჯეროვნად განსწავლული პირის სხვადასხვა დროის თარგმანები იყოს, ანდა სხვადასხვა პირის მიერ იყვნენ შესრულებული; შესაძლოა ისიც, რომ ქართული ლექსიკონის თანმხედობი სომხურზე გაწყობილი სრული საძიებელი ქართული ბიბლიისა არსებულობს, ანდა არსებობდეს სადმე ჯერ კიდევ მიუკვლეველი³. საეარაუდოა ისიც, რომ ასეთი სრული საძიებლიდან მოხვედრილი იყოს საკუთარი სახელები და მათი განმარტებები ლექსიკონში. დღესდღეობით ცნობილი საძიებლის მიმართ-კი ამას ვერ ვიტყვი, რადგან იგი, ე. ი. ბიბლიის საკუთარ სახელთა საძიებელი და ლექსიკონის ასეთივე ნაწილი თანმხედობი არ არის. ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ქმნილებას წარმოადგენენ და არა ერთი პირის ნამუშავეს. აღნიშნული მიზეზის გამო თქმა იმისა, რომ საბაა ავტორი ამ საძიებლისა, ძნელია. ამას ისიც ელოდება წინ, რომ ბიბლიის ეს საძიებელი სიმფონიისამებრ საბას ხელით კი არ არის დაწერილი, არამედ ბიბლიის გადამწერის მიერ.

ქართულისა და სომხური ბიბლიის საკუთარ სახელთა საძიებლებს შორის შენიშნული მჭიდრო დამოკიდებულება ბუნებრივად აყენებს საკითხს ბიბლიის სხვა საძიებლების შესახებაც, სახელდობრ რა მიმართება არსებობს, ერთის მხრით ქართულ სიმფონიასა და სომხურს შორის და, მეორეს მხრით, ქართული „საძიებელნი მოწმობა-სა...“ და სომხურს ასეთსავე საძიებელს შორის, რომლებიც საკუთარ სახელთა საძიებელთან ერთად დართული აქვს როგორც ქარ-

¹ არის მაინც მცირეოდენი შემთხვევა, როდესაც „ქართული ლექსიკონის“ უცხო სიტყვათა ნომენკლატურა ან ზოგიერთი სიტყვის განმარტება რამდენადმე ვრცელია. ეს, ალბათ, საბას საკუთარ შემოკმედებას წარმოადგენს ანდა შესაძლოა რომელიმე უცნობი წყაროს გამოყენების შედეგი იყოს.

² სომხურ წყაროზე დამოკიდებულების აღნიშვნის კვალი უნდა ჰქონოდა კიდევ საძიებელს, როგორც ეს ჩანს არსებული საძიებლის ბოლოს თავისუფლად დარჩენილი II სვეტის თავზე საძიებლის დამწერის ხელითვე დაწერილი სიტყვიდან: „სომხურში“, რომლის წინასიტყვეები აქ შეიძლება წაჭრილი იყოს აკინძის დროს ისევე, როგორც ეს სხვაგან მომხდარა.

³ პროფ. ა. შანიძის ცნობით აკად. ნ. შარს მოეპოვება სიმფონიის ცალკე ხელნაწერი, შეიძლება მასთან ერთად საკუთარ სახელთა საძიებელიც არსებობდეს, უფრო სრული: და წყაროსთან ახლო მდგომი, ვიდრე ეს მცხეთის ბიბლიას დაუცავს.

თულს, ისე სომხურ ბიბლიას? შედარებამ აქაც ქართული ბიბლიის ეს საძიებლები სომხურზე დამოკიდებულად გამოაცხადა მსგავსად „საკუთარ სახელთა თარგმანებისა“. ქართული სიმფონია სომხურის ზედმიწევნით თარგმანს წარმოადგენს. ასე რომ სიმფონიის საბას ორიგინალურ შემოქმედებად მიჩნევა, როგორც ეს ღღემლის იყო ჩვენში, აღარ შეიძლება. ასეთივე მდგომარეობაა „საძიებელი მოწმობას...“ მიმართაც, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, აღნუსხავს იმ ადგილებს ახალი აღთქმიდან, რომლებიც ძველისაგან მომდინარედ ჩანს. ქართულში, როგორც ამას იქვე აღვნიშნავდით (გვ. 259), აღრიცხვა ბოლომდის არსა დატანილი, დასაწყისშივე წყდება, ხილო აღსარიცხავი მომენტები, ე. ი. ტექსტი, მთლიანადაა სომხურიდან გადმოღებული. ამრიგად სულხან-საბას მიერ ნარედაქციევი ბიბლიის საძიებლები მთლიანად სომხური პირველი ბექდური ბიბლიის (1666 წ.) საძიებელთა თარგმანს წარმოადგენს.

სომხურთან დამოკიდებულებას არც საბა მაღავეს. სიმფონიის ავტორგაფს საგულისხმო მინაწერები აქვს აშიებზე ავტორის ხელით. მაგ.: «ბალაკ» სიტყვის გვერდით: „სომხურს ამოწმე“ (გვ. 10); „განგდება“ სიტყვის განმარტებისას ნათქვამი აქვს: „ჰჰოო საზრდელის განჩეეასა თანა, სხვა განგდებაც გასინჯე სომხურში“ (გვ. 11)¹; „იოსფატ“ სიტყვის გვერდით-კი აშიაზე წერია: „აქამდე დედა დამეწვა, ამოწმეთ“. არ არის ნათქვამი—რას, მაგრამ არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ აქ სომხური იგულისხმება.

რას შეეხება საბას ეს უკანასკნელი შენიშვნა: „აქამდე დამეწვა“-ო, სიმფონიას თუ მთელ ბიბლიას? ან როგორ შევათანხმოთ იგი გადამწერის ცნობასთან, რომელიც საბას ნარედაქციევი ბიბლიის ერთ ადგილს (ფურც. 341 recto) წერს: „ლმერთო წარწყმიდე, ვინც დაბადების წიგნი დაწვევინა საბას“-ო. პავლე ინგოროყვა უკანასკნელს ემხრობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას ჰგონია, რომ საბას ბიბლია დაუწვევს. მაგრამ ასეთი დასკვნა წინააღმდეგობას პოულობს საბას მინაწერის მხრივ, თუ-კი აქ მისი განცხადების გულწრფელობაში ექვს არ შევიტანთ. და მერმე, ამ შენიშვნას სიმფონიაში აკეთებს საბა და არსაიდან ჩანს, რომ მას მთელი ბიბლია ჰქონდეს მხედველობაში.

დაწვევინების მიზეზს სხვადასხვანაირად ხსნიან მკვლევრები. პირველად ამ საკითხს ა. ნატროშვილი შეეხო 1897 წლის „ივერიის“ ფურცლებზე (№ 42 და 45). შემდეგ მისი შეხედულებები მთლიანად გაიმეორა პროფ. ალ. ხახანაშვილმა თავის „Очерки по истории грузинской словесности“-ს მესამე ნაკვეთში (გვ. 383—386). აქ იგი გადამწერის ზემოპყვანილი ცნობის შესახებ წერს: „Она (ე. ი. приписка) свидетельствует, что библия эта есть так называемый „Саба-цминдури“ и говорит, по всей вероятности, о той борьбе, которая долгое время велась между грузинскими переводами богослужебных книг с греческого 70 толковников (Афонский перевод) и с еврейского, сирохалдейского языков (переводы Синайские, Иерусалимские, Палестинские), закончившейся торжеством Афонского перевода богослужебных книг“ (ნ. გვ. 385). სულ სხვა დროსა და მიზეზს

¹ მართლაც, სომხურ წყაროში „საზრდელის განჩეეა“-ს ან მათებურად *ჩინაქციე ქსო-რიქჩხნის* გვერდით მითითებაა: ნ. განგდებაო ანუ სომხურად: *თსა ჩინაქციეჩხნი*.

მიაწერს ბიბლიის დაწვას პავლე ინგოროყვა, როგორც ეს ერთხელ უკვე აღვნიშნეთ. მას იგი აუტო-დაფე ქმნილად მიაჩნია თითქოს ანტი-ორტოდოქსული ქრისტიანიზმის დალის გამო. უფრო საფიქრებელი კი უნდა იყოს, რომ თუ მართლაც რაიმე დაწვევიენებას ჰქონდა ადგილი (რომლის გადაქრით თქმა არსებული ცნობების მიხედვით ძნელია), ეს ალბათ იმის გამო მოხდებოდა, რომ საბამ ქართული ბიბლია სომხურიდან გადმოთარგმნილი საძიებლებით შეამკო. საძიებლების გამოყენებასთან ერთად მან ალბათ სომხური ბიბლია ქართული ბიბლიის რედაქციის დროს სხვა მხრითაც გამოიყენა. ესეც, რასაკვირველია, გალაშქრებას გააცხოველებდა, მით უმეტეს, რომ ის ბიბლია, რომლის საძიებლებიც მან გამოიყენა, თავის მხრით ნარედაქციევი იყო ლათინურის მიხედვით. ლათინურობის საწინააღმდეგო განწყობილება საბას დროს მწვავედ იგრძნობოდა, ხოლო სომხურობისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ძველიდანვე სუფევდა ქართული ეკლესიის წიაღში. უკანასკნელი შეუწყნარებლად ჩასთვლიდა სომხური ბიბლიის გამოყენებასა და მისი საძიებლების თარგმნას, ვინაიდან ჯერ კიდევ XI საუკუნოდან ჩამოყალიბებული იყო ის შეხედულება, რომ „პირველითგანვე გუაქუნდეს წერილიცა და სარწმუნოებაჲ ჳემარტი და მართალი“, რომლის შებღაღვას სომხებს აბრალებდენ. ამნაირი დამოკიდებულების გამოძახილი უნდა იყოს ის შემთხვევა, როცა მაგალითად ეზრას I წიგნის დასაწყისში საბას ხელით გაკეთებული შენიშვნიდან ვილაცას უცდია სიტყვა სომხურის ამოშლა. აქ-კი იკითხება: „ეს[ე] ს[ო]მხურ[ის] რიგზე მეორედ სწერია. მეორე ეზრა მესამედ სწერია და მესამე პირველად სწერია. თუ შეამოწმო, ისე შეამოწმე“. საბას ეს შენიშვნა მართებულია. მისი ნარედაქციევი ბიბლიის ეზრას I წიგნი სომხურს II უღრის, II წიგნი—III, ხოლო III წიგნი—I-ს.

რა როლი ითამაშა სომხურმა ბიბლიამ ქართულის მუხლებად განკვეთაში, რომელიც საბას საქმიანობად ითვლება, ან რად დასჭირდა საბას სომხური ბიბლიის საძიებლების თარგმნა და სხვა ამასთან დაკავშირებული საკითხი, ჩვენ მიზანს ახლა აქ არ წარმოადგენს. ვიტყვით მხოლოდ, რომ საძიებლების თარგმნას მაშინ ექნებოდა გამართლება, თუ ქართულისა და სომხური ბიბლიების თავებად დაყოფა და მუხლებად განკვეთა ერთნაირი აღმოჩნდებოდა. არის თუ არა ეს ასე, ამას ცალკე რკვევა ესაქიროება.

ჩვენ ახლა მხოლოდ ერთილა დაგვჩა, —გავუკეთოთ რეზიუმე ზემოთქმულს:

1. სულხან-საბა ორბელიანის მიერ ბაძად აღებული სომხური ლექსიკონი არის ძსომებთა ბარგიჩია (*բարգիւյճ հայոց*), ან, როგორც მისი ხელნაწერების სათაურშია ზოგჯერ აღნიშნული, „საქერლოლო სიტყვები“ (*բառք քերქուսկանք*), სახელდობრ მისი ვრცელი ვარიანტი.

2. ამ ვარიანტის მიბაძვით, მისი წესის ჩვენებით, საბა ადგილს უთმობს თავის ლექსიკონში საკუთარ სახელთა (აღამიანთა და ადგილთა) განმარტებებს.

3. „ქართულ ლექსიკონში“ შეტანილ საკუთარ სახელთა მარაგი და მათი განმარტებანი მზარს უქერენ რამდენადმე ნიმუშად გამოყენებულ ბარგიჩეს, ხოლო თითქმის სრულიად ემთხვევიან „საკუთარ სახელთა თარგმანებას“, რომელიც დართული აქვს პირველ ბექტურ სომხურ ბიბლიას, ანუ, როგორც ზოგჯერ მას ეძახიან, ეოსკანის ან ამსტერდამის დაბადებას. ასე რომ სულხანს ლექსიკონის

საკუთარ სახელთა წყაროდ ძირითადად ვოსკანის ბიბლიის საძიებელი გამოუყენებია.

4. „ქართულ ლექსიკონში“ ეს ნაწილი შეიძლება შესული იყოს საბას მიერ ნარეაქციული ქართული ბიბლიისათვის გაკეთებული საძიებელიდან, რომელსაც სისრულით არ მოუღწევია ჩვენამდის. დღეს-დღეობით ცნობილი-კი — თუმცა სახელთა ოდენობით ჩამოუვარდება პირველი ნაბეჭდი სომხური ბიბლიის საძიებელს, მაგრამ მაინც ამისდა მიუხედავად ის, რაც ცნობილ საძიებელშია მოცემული, ხსენებული სომხური ბიბლიის საძიებლის თარგმანს წარმოადგენს, რომელიც ზოგჯერ ლექსიკონის სათანადო ნაწილის მსგავსია.

5. განსხვავება, რომელიც არსებობს „ქართული ლექსიკონის“ საკუთარ სახელთა ნაწილსა და ქართული ბიბლიის ჯერ-ჯერობით ცნობილ „საკუთარ სახელთა თარგმანებას“ შორის, შეიძლება აიხსნას არა წყაროს სხვადასხვაობით, არაჲდ ქართული მასალების ან სხვადასხვა პირის ან სხვადასხვა დროის თარგმანით. უკანასკნელი იმ შემთხვევაში, თუ მთარგმნელი სომხურის შემსწავლელი ანდა არა ჯეროვნად განსწავლული პირია.

6. არა მარტო საკუთარ სახელთა საძიებელი ქართული ბიბლიისა წარმოადგენს სომხურის ამგვარსავე საძიებლის თარგმანს, არამედ სხვა საძიებლებიც: ა) „საძიებელნი მოწმობა...“ და ბ) „საძიებელნი მატრიანეთანიც“ (სხვანაირად „სიმფონია“). ესენიც სომხური წყაროდან მომდინარეა, მისი ზედმიწევნით თარგმანია.

საქმის ვითარებასთან უფრო ახლო გაცნობის მიზნით ზედმეტი არ იქნებოდა, თუ დავუპირისპირებდით ქართულ მასალებს სომხურს და მოვიყვანდით მათ, მაგალითად, „დონზე.“ ასეთი რიგით: ჯერ ამსტერდამის ბიბლიის საკუთარ სახელთა საძიებელს, მერმე „ქართული ლექსიკონის“ მასალას, შემდეგ ქართული ბიბლიის საძიებელს და ბოლოს სომხური ბარგირქის მასალას:

I ნაბეჭდი ბიბლიით:	„ქართ. ლექსიკონით“	„მცხეთის ბიბლიით“	„სომხ. ლექსიკონით“
რადიკ. <i>მირე ესთ მხე ჰილქს. ჯამ ღირილქსს.</i>	დაგონ ხილი, გინა თეუზი, გინა ძლიერება (1 მ მთ. 5, 2).	დაგონ ხვარბალი.	რადიკ. <i>ჰილქს ღ. ღირილქსს.</i>
რადიკ. <i>აჩრხესაჲ ღ. რასაკანსილქსს.</i>	დავით სასურველი, გინა ნიკი (საყუარელი გინა კმასაყოფელი ც).	დავით სასურველი.	რადიკ. <i>რასაკანსაჰნა ღ. აჩრხესაჲ</i>
რადიკ. <i>ააღირილქსს. ირქს.</i>	დათან ჩვეული შჯული (+ ლიტცეა ც).	დათან წესი, სჯული.	
რადიკ. <i>ააღასთილქსს.</i>	დალილა სიგლახაქე.	დალილა სიგლახაქე.	რადიკ. <i>ააღასთილქსს.</i>
რადიკ. <i>ააღასთილქსს. 1 მთ. 16,2 ნამასილქსს ზრეხნძანს. ხერაჲ. ზილმანქს.</i>	დამასკო მსგავსი დავისა (1 მთ. 16,2).	დამასკო I მთ. 16,2 დავის მსგავსი, ებრაელებრ დუმესეჲ.	რადიკ. <i>ააღასთილქსს. მ. მთ. 16,2 ნამასილქსს ზრეხნძანს. ხერაჲ. ზილმანქს.</i>

I ნახეული ბიბლიით	„იკართ. ლექსიკონით“	„მცხეთის ბიბლიით“	„სომხ. ლექსიკონით“
<p>ԴԱՄԱՍԿԱՍ. <i>արևსას գինოსქი, Ըստ մեզ արևსას արբու՝ կամ արբւն անձին:</i></p>	<p>დამაკომ სისხლმეტ- ნობა, გინა სისხ- ლის მსგელო, გინა სისხლი სულისა.</p>	<p>დამაკოს სისხლის ნაწერი.</p>	<p>ԴԱՄԱՍԿԱՍ <i>արեան ար- բու. Կ. արբւն անձին:</i></p>
<p>ԴԱՏ. <i>դատող Կ. դատաս- տան:</i></p>	<p>დან განმსჯელი, გინა სჯა.</p>	<p>დან განმსჯელი, გინა სჯა.</p>	<p>ԴԱՏ <i>դատաստան:</i></p>
<p>ԴԱՆԻԼ՝ <i>դատաստան Ա՛յ:</i></p>	<p>დანიელ სასჯელი ლუთისა, გინა გან- კითხვა ძლიერი.</p>	<p>დანიელ სასჯელი ლ.ა.</p>	<p>ԴԱՆԻԼ <i>դատաստան Ա՛յ:</i></p>
<p>ԴԱՐԻԻԻԱ. <i>Դարբն վերա- յուզող:</i></p>	<p>დარიობ დარგა ზე მთბოველი.</p>	<p>დარიობ გამოზემიე- ბელი.</p>	<p>ԴԱՐԻԱ <i>վերախնդրող.</i></p>
<p>ԴԱՐՄԱՍԿԱՍ <i>ახრակ- նოსქն՝ հივარარბու- բի՛:</i></p>	<p>დარმასკუ (დარმას- კუს ბც) აღმართი საწყინო(აღბრდით ურვეული c).</p>	<p>დარმასკოს ნათესო ბის შიდგომილება.</p>	<p>ԴԱՐՄԱՍԿԱՍ <i>ազգակ- նოსქի՛, հივარარ- ბուբի՛:</i></p>
<p>ԴԵԲՐԱ <i>მეფის քანი:</i></p>	<p>დებორა ფუტკართ სიტყვა.</p>	<p>დებორა ფუტკარი სიტყვა.</p>	<p>ԴԵԲԻԼ <i>მეფის քანი:</i></p>
<p>ԴԵԿԱՊՈՂ՝ <i>სասისზე բագაբაყ ենթգասი:</i></p>	<p>დეკაპოლი ათქალაქი.</p>	<p>დეკაპოლი ათქალაქ სამეფო.</p>	<p>ԴԵԿԱՊՈԼԻՍ <i>ասասիზე բ՛գაყ ասორգასლი:</i></p>
<p>ԴԻԲԸԼՈՒԻ Ա<i>մբակ. შად ხրբայ. იქანჭ. აյս է ქიչნასკან քიყ:</i></p>	<p>დიპული ებრაელ- ებრ რესვი (რესე- ვი), ფრინველი ალისა (3,4 აშბაკ).</p>	<p>დიპოლუს აშბაკუმ 3 ა 4, ებრაელუმ რესეფ. ე დ ფრინ- ველ: ალი</p>	<p>ԴԻԲԸԼՈՒԻ <i>մեղაფიყ</i></p>
<p>ԴԻԲԸԼՈՒԻ <i>მეղაფიყ: ჯიყაროი:</i></p>	<p>დიპოლუს მებრალე- ბელი ამკედრედე- ლი.</p>	<p>დიპოლუს მებრალე- ბელი ამკედრედე- ლი.</p>	<p>ԴԻԲԸԼՈՒԻ <i>մեղაფიყ</i></p>
<p>ԴԻԲԸԼ ԿԱՅԱՄԻ <i>ხანგ ასიւրց:</i></p>	<p>დიბრე ჰაიამინის სი- ტყეანი დლეთა.</p>	<p>დიბრე ჰაიამინ სიტ- ყეანი დლეთა:</p>	<p>ԴԻԲԸԼ <i>հ ა კ ა მ ի քանგ ასიւրց:</i></p>
<p>ԴԻԴԻՄԻԻ <i>ხრკასორქ:</i></p>	<p>დიდიმოს ქეუენიერი.</p>	<p>დიდიმოს მარხბიეი.</p>	
<p>ԴԻԹԱՍԱՍԻԻ <i>ხრკიւ ბიქ:</i></p>	<p>დითალანსუმორბლუა, გენა საკამოთა მო- კლუბა.</p>	<p>დითალანსუმ ორზლ- ვარი.</p>	
<p>ԴԻԹԱՍԱՍԻԻ <i>ხრკიւ ბიქ:</i></p>	<p>დიმიტრი ქეუეანა</p>	<p>დიმიტრი ქეუეანა</p>	
<p>ԴԻԹԱՍԱՍԻԻ <i>ხრკიւ ბიქ:</i></p>	<p>დიოდოზოსი მონაკუ- ლე.</p>	<p>დიოდოზოსი მონაკუ- ლე.</p>	<p>ԴԻԹԱՍԱՍԻԻ <i>և հեղ. ხრკիւ. Կ. Զիւթ. Կ. ხრკასრქ Կ. ասასკიւլ:</i></p>
<p>ԴԻՐԸՆԱՍԻ <i>აბձაქის კახსესლე:</i></p>	<p>დიონისი საღმრთო- თა ნაწეუთი.</p>	<p>დიონისიოს საღ՛თო ნაწეუთი:</p>	<p>ԴԻՐԸՆԱՍԻ <i>აბձაქის:</i></p>
<p>ԴԻՐԸՆԱՍԻ <i>აბձაქის კახსესლე:</i></p>	<p>დინა საშართლის მოქმედი</p>	<p>დინა საშართლის მოქმედი</p>	<p>ԴԻՐԸՆ <i>դատաստან Կ. ჯასიყ:</i></p>

I ნახევდი ბიბლიით	„ქართ. ლექსიკონით“	„მცხეთის ბიბლიით“	„სომხ. ლექსიკონით“
ԴՈՒՐ <i>ახრականი</i> ԹԻՒՆ:	დოვრ ნათესაობა.		ԴՈՒՐ <i>ახრականი</i> ԹԻՒՆ:
ԴՈՒԹԱՅԻՄ <i>բաւական նուագումն.</i>	დოთაიმა მოკლება ფრიად:		ԴՈՒԹԱՅԻՄ <i>բաւական նուագումն.</i>
ԴՈԵԿ <i>որ է ԴՈՒՆԵԿ վա- րանთ, վաստակա- ւոր, աստանումն:</i>	დოიკ რომელ არს დო ვეკ დაღონებული შრომით შერყუ- ნილი.	დოეკ მოსწრაფე დოიკ შობა.	ԴՈՒԵԿ <i>աստանումն է. ჯարძումն:</i>
ԴՈՐԱ <i>ახրականი</i> ԹԻՒՆ Կ. <i>բնակում</i> ԹԻՒՆ:	დორა ნათესაობა გი- ნა მკვდრობა	დორა შობა გინა სა- ვანე.	

ქართული მასალების ურთიერთთან შედარება აქარწყლებს იმ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც არსებული ქართული საძიებელი ბიბლიის საკუთარი სახელებისა თითქოს მთლიანად და უცვლელად იყოს შეტანილი ლექსიკონში. ერთი თვალის გადავლებითაც-ი აშკარად ჩანს, რომ ქართული საძიებლის განმარტება მოკლეა, ლექსიკონისა-კი ვრცელი. ლექსიკონის განმარტებები ზოგჯერ მის რედაქციათა (ABC) ვარიანტების ჩვენებით არის გავრცობილი (მაგ. დავით, დათან, დარმასკუსთან), რაც იმის მანიშნებელია, რომ სომხური წყაროს დამუშავება ქართული ლექსიკონისათვის არა ერთხელ მომხდარა.

განმარტებათა სისრულე ქართული ლექსიკონისა საძიებელთან შედარებით ზოგჯერ წყაროსადმი მოპყრობით აიხსნება, წყაროს გაგების ნიადაგზეა აღმოცენებული. მაგალითად, სახელების: „დაგონ, დამასკო-ს“ განმარტებისას სომხური ბიბლიის საძიებელში მათი მოკლე თარგმანების გვერდით ნათქვამია: *լաս მხე*, ე. ი. „ჩვენებრ“ ანუ „ჩვენებურად“ კიდევ ესა და ესაო... „ჩვენებრ“ სომხური საძიებლის გამწყობის სიტყვაა, რომლითაც ანიშნებს მკითხველს, რომ შემდგენელისა თუ მისი წყაროს მიხედვით ესათვის სიტყვა ამას ნიშნავს, მაგრამ ჩვენებურად, ე. ი. სომხურად, სომხურ სინამდვილეში, ამ სიტყვის სხვანაირი გაგება თუ ახსნაც არსებობსო. და მართლაც, „ჩვენებრის“ (*լաս მხე*-ის) მომდევნო სიტყვები „ბარგირქების“ განმარტებებს უქერენ მხარს. ასე რომ „ჩვენებრ“ სომხურ ბარგირქისებრს უნდა ჰგულისხმობდეს. ასეთ შემთხვევაში „ქართული ლექსიკონი“ უშვებს მხოლოდ „ჩვენებრ“ გამოთქმას, ხოლო ქართული ბიბლიის საძიებელი თავიდან იცილებს „ჩვენებრ“-თან ერთად მომდევნო განმარტებებსაც (ნ. დაგონ, დამასკოჲ).

ამას გარდა არის თითო-ოროლა შემთხვევა, როცა ქართული ლექსიკონი უფრო გავრცობით იძლევა განმარტებას (ზოგჯერ აქა-იქ მომენკლატურასაც), ვიდრე ქართული ან სომხური ბიბლიის საძიებელი. ეს-კი შეიძლება თვითონ საბას დანამატიც იყოს (მაგ.: დანიელ, დითალასუმთან და დიმიტრი, დიოდოხოზი, დომინოს), ანდა ჯერხზობით უცნობი წყაროდან მომდინარეობდეს.

ახლა თუ ქართულ მასალას სომხურს შევეუდარებთ, ქართული სომხური ბიბლიის საძიებელზე დამოკიდებულებას აღნიშნავს. არის ნიშნები იმისა, რომ ის

(ქართ. მასალა—„ქართ. ლექსიკონი“ და „მცხეთის ბიბლიის“ საძიებელი) ურთიერთისაგან დამოუკიდებელ თარგმანს წარმოადგენს: პირველი სრულს, მეორე უსრულს (მაგ. დამასკოა, დარიოს, დიდიმოს, დორა). ისინი რომ სხვადასხვა პირის ანდა სხვადასხვა დროის (თუ ერთი კაცის ნახელავია) ნაშრომებია, ამას მოწმობს ზოგჯერ ერთისა და იმავე სიტყვის სხვადასხვანაირი თარგმანი, რომელიც აღმოცენებულია სიტყვის შინაარსის გაუგებრობაზე („დარიოს, დიდიმოს“).

ქართული ლექსიკონის ახალი გამოცემის დროს კარგი იქნებოდა, თუ საკუთარ სახელებს გამოვიტანდით და ცალკე დაეურთავდით ლექსიკონს დამატების სახით. სომხური წყაროს მიხედვით ისინი 740-ოდგა. მათ გარდა საბას მოეპოვება კიდევ სხვა სახელები (გეოგრაფიული და ადამიანთა) უთარგმანოდ. ყველა თარგმანიანი და უთარგმანო ერთად მოიყრიდა თავს. თარგმანები მკონე ამავე დროს გაიმართებოდა წყაროს მიხედვითაც. ვარიანტთა სიჭრელეც, რომელსაც ადგილი აქვს „ქართულ ლექსიკონში“ ზოგჯერ გადაშწერთა თუ მთარგმნელთა მხრივ, შემცირდებოდა და შესწორდებოდა. ამის შემდეგ ჩვენ ხელთ გვექნებოდა საბას ნამდვილი ნაღვაწი, მისი მართლაც რომ „ქართული ლექსიკონი“, რომელიც თავისი თვისებებით გაცილებით მალა დგას ძველ სომხურ ლექსიკონებზე (ბარგიჩებზე), რის გამო იგი არასოდეს არ კარავს ფასს და მუდამ-თავისი მოწოდების სიმალღეზეა, მაშინ როცა სომხური ძველი ლექსიკონები (ბარგიჩები) დღეს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობის მატარებელნი-ლა არიან.

P. S. ზემოთ რამდენჯერმე აღვნიშნეთ, რომ „ქართული ლექსიკონის“ გარკვეულ ნაწილს—უცხო სიტყვებს (უმთავრესად საკუთარ სახელებს)—მის ძირითად წყაროსთან (ვოსკანის სომხური ბიბლიის საძიებელთან) მიმართებით ზოგჯერ თითო-ორი სიტყვის რამდენადმე გავრცობილი განმარტება მოეპოვება, ზოგჯერაც კიდევ ზედმეტი სიტყვა აქვს, განმარტებული ან განუმარტებელი სახით. იქვე ვამბობდით, რომ ეს შედარებით მეტად მცირე პროცენტი შეიძლება ავტორის საკუთრება იყოს, ანდა ჯერხნობით უცნობი რომელიმე წყაროდან მოსვედრილი „ქართულ ლექსიკონში“-მეთქი.

ამ მიზნით,—არსებობს თუ არა რაიმე ასეთი წყარო, პირველ ყოვლისა ქართულად, გადავათვალერეთ ქართული ხელნაწერების აღწერილობანი. ყოფ. საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის I ტომში, რომელიც თ. ეორდანიას კალამს ეკუთვნის, საგულისხმო გახდა 1210 წლის ხელნაწერი—№ 65, სადაც შემდეგი იკითხება: Л. Св. Кирилла Александрийского лексикон непонятных слов, встречающихся в четвероангелии (стр. 340—347). აქ ამ თხზულების არც დასაწყისი და არც ბოლო სიტყვები მოყვანილი არაა. პროფ. კ. კეკელიძის ნაშრომში: „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“, მართლაც, კირილე ალექსანდრიელის შრომათა შორის დასახელებულია: «3. ლექსი მათეს თავისა სახარებისა ძნელოანთა სიტყუათა განმარტებაჲ ლექსიკონი: „ბართოლომეოს ძე დამოკიდებული წყალთაჲ, ბედსაიდა სახლი საიფქლე...“ სიძე. მუხ. 65, 340—349». დასახელებულ გვერდზე ხელნაწერისა კირი-

ლე ალექსანდრიელის არა მარტო ეს ლექსიკონია, რომელიც მათეს თავის ძნელ-ლოან სიტყვებს განმარტავს, არამედ ოთხთავის დანარჩენი თავებისაც (გვ. 340—343), სულ 92 სიტყვა, უმთავრესად საკუთარი სახელები. ამას გარდა დანარჩენ გვერდებზე (343—348) კიდევ ასეთი ლექსიკონია: “წ-თა და ლ-ივ სლრ-თა წიგნთაგან ლ-თ შემოსილთა მამათა მრ გამოკრებული ებრაელთა ენისა სახელები რაოდენიმე თარგმანებაჲ ლექსიკონისაჲ”. იგი-კი 121 უცხო სიტყვას (უმთავრესად საკუთარ სახელს) განმარტავს.

ამ უცხო სიტყვების განმარტებათა შედარებამ „ქართულ ლექსიკონთან“ შემდეგი სურათი გადაგვიშალა. ზოგიერთი სიტყვის განმარტებათა გავრცობა ძირითად, სომხურ წყაროსთან მიმართებით, რომელიც ავტორის შემოკმედების შესაძლებლობას გვაეარაულებინებდა, ამ ძეგლის გამოკუნების შედეგი აღმოჩნდა. რომ მართლაც ეს ან ასეთი ძეგლი ყოფილა სულხან-საბას წყარო, ამას მისი ლექსიკონის ერთი ადგილიც მოწმობს. სიტყვა ალილუია ასე აქვს განმარტებული: „აქებდით უფალსა (თარგმანი ათანასესი: აქებდით უფალსა; თარგმანი კირილესი: რამეთუ აღ აქებდითად გამოითარგმანების, ხოლო ლუ ნანდვლვედ, ხოლო ო უფლად, გინა ლუთად; თარგ. ეესუქისა: ვაქებდით ღმერთსა ცხოველსა: თარგმანი სხუაჲ: აქებდით ყოველნი არსნი უფალსა BCD)“. აქ ფრჩხილებში ავტორის მიერ დასახელებული წყაროებია ნაჩვენებ. წარმოადგენენ ისინი დასახელებულ პირთა ცალკე ლექსიკონებს თუ მათ რომელიმე თხზულებას, ძნელია თქმა. ყოველ შემთხვევაში, ქართველი ლექსიკოლოგის მიერ დასახელებული კირილე შეიძლება კირილე ალექსანდრიელი იყოს, მაგრამ მისი აქ მოტანილი განმარტება კირილეს ზემოდასახელებულ ლექსიკონში არ მოიპოვება, ალბათ იგი რომელიმე სხვა თხზულებიდან არის ამოღებული. სამაგიეროდ „თარგმანი სხუაჲ“ რომ აქვს დამოწმებული, იგი ზემოაღნიშნული „ლ-თ შემოსილთა მამათა მრ გამოკრებული“ ნაშრომი ჩანს, რადგანაც სწორედ მათი განმარტება ურთიერთს ხედება. არა ერთია ისეთი შემთხვევა, როდესაც ზემოხსენებულ ხელნაწერში დაცული ლექსიკონები „ქართული ლექსიკონის“ ზოგიერთი უცხო სიტყვის განმარტებათა გავრცობის წყაროს წარმოადგენს¹. ზოგჯერ კიდევ მათგან მთელი სიტყვები და მათი განმარტებანიც მთლიანად ჩანს შესული სულხანის ლექსიკონში. მოძებნილ წყაროს გარდა შესაძლოა სულხან-საბას ხელთ ჰქონოდა აგრეთვე ქართულად ცალკე არსებული სხვა უცხო სიტყვათა ლექსიკონიც, ბიბლიისა და სხვა ცნობილ წიგნთა სხვადასხვა კომენტატორის თარგმანებებთან ერთად.

აღნიშნულ ახალ წყაროს სხვა მნიშვნელობაცა აქვს. ირკვევა, რომ ქართულად, ისე როგორც ეს სომხურ-შიაც იყო, არსებულა ცალკე „ძნელთან სიტყუათა“, პირველ რიგში-კი საკუთარ სახელთა, ლექსიკონები. ასეთი ლექსიკონების პირველ ნიმუშად ჯერ-ჯერობით დასახელებული 1210 წლის ხელნაწერი

¹ ამის მაგალითად ზემოთ მოტანილი ნუსხიდან „ლ-ის მასლისა დანიელის განმარტება იქნებოდა. გავრცობის წყარო გვეგონია აქაც ისევ „მამათა მიერ განმარტებული“ ნაშრომი უნდა იყოს. აქ ვკითხულობთ: „დანიელ განკითხვაჲმისი ძლიერი გინა მსჯავრი“. ლექსიკონში-კი სომხურის შესატყვისი განმარტება გავრცობილია სიტყვებით: „გინა განკითხვა ძლიერი“. „გინა მსჯავრი“ აღარ დასტირებია ავტორს. ალბათ იმის გამო, რომ სომხურ წყაროში მიიჩნია მისი ბადალი, სახელდობრ—„ასსუჯელი ლუთისა“.

უნდა ჩაითვალოს. მათი არსებობა სულხანსაც სცოდნია, მაგრამ იგი მას სამართლიანად ქართული ენის ლექსიკონად არ მიუჩნევია. მათ მსგავსად ცალკე თხზულებათა „ძნელოან სიტყუათა“ ლექსიკონებიც იქნებოდა, როგორც ეს სომხურშიაც იყო. მათ შორის საეარაუდოა ასეთებზე აღმოცენებული (მსგავსად სომხურისა) „ქართულ ენათა ლექსიკონიც“, რომელიც სულხან-საბას დროს, მისივე თქმით, „უჩინარ ქნილიყო (ნ. ანდერძანაძე), რის გამოც ხელი მიჰყო მან თავის „ქართულ ლექსიკონს“ (იქვე). ამაში-კი მან ადგილი დაუთმო უცხო სიტყვებსაც (უმთავრესად საკუთარს—აღამიანთა და ადგილთა). უკანასკნელისათვის, როგორც უკვე გაიკვია, ძირითად წყაროდ სომხური პირველი ნაბეჭდი ბიბლიის საძიებელი გამოიყენა, ხოლო „ბაძად“ სომხური ლექსიკონი. მის გარდა გამოყენებული ჩანს ზემოთ აღნიშნული, ქართულად არსებული, „ძნელოან სიტყუათა“ ლექსიკონიც. სხვაც მისნაირი და აგრეთვე ზოგიერთი თხზულების თარგმანებათა შორის არსებულ უცხო სიტყუათა კომენტარიც მას არა უგულებელ უყვია, როგორც ეს მისი მოწმობებითაც ჩანს. მათი ამოცნობა-კი ჯერხნობით ვერ ხერხდება, ეს მომავლის საქმეა.

И. В. АБУЛАДЗЕ

Армянские источники Сулхан-Саба Орбелиани

(Краткое содержание)

Сулхан-Саба Орбелиани многосторонний деятель. Нас главным образом интересует лексикологическая сторона его деятельности. Саба в предисловии своего словаря,—который составлен им в конце XVII и в начале XVIII веков как по письменным, упоминаемым местами при толковании того или иного слова, так и по неписьменным, т. е. устным источникам,—говорит, что при составлении словаря под рукой он имел как образец „один маленький армянский словарь“. Какой лексикон он имел и как он его использовал, ответ на это нам дает лексикологические исследования над рукописями музеев Эривани и Эчмиадзина.

В самом деле, во время Саба среди армян был распространен один из нидов армянского лексикона, составленный по словарю „св. книг“ в основном и с одной стороны, и по словарю „иностранных собственных имен“ (личных и географических)—с другой стороны. Слова как из первого, так и из второго источника в „армянском словаре“ расположены в алфавитном порядке. Этот „армянский словарь“ почти ничем не отличается от армянского словаря „составленного в св. Эчмиадзине Иеремией Вардапетом...“ (гор. Галикорна 1698).

Рукописи „армянского словаря“ не указывают имени составителя, но они (рукописи) часто встречаются в виде приложений к

словарям „св. книг“, а составителем этих последних часто упоминается Иеремия Мегриец..

Как раз такой вид словаря имел под рукой Саба. Это видно из того, что в своем словаре он уделяет особое место как словам „св. книг“, так и собственным именам. Но Саба этих слов из „армянского словаря“ не берет. Слова „св. книг“ взяты им из им-же проредактированной грузинской библии в гораздо большем количестве (очень удачными и подробными толкованиями), чем то представлено в „армянском словаре“. Номенклатура собственных имен также не совпадает всецело с запасом таких слов „армянского словаря“, хотя они со стороны толкования почти схожи. И эту часть Саба заимствовал не из „армянского словаря“, а из им-же проредактированной грузинской библии (рукопись музея Грузии А 51). Эту часть библии, как выяснилось из сравнения, он вместе с другими „индексами“ (симфония и др.), перевел с первой печатной армянской библии (Амстердам 1666 г.). Помещенные здесь переводы собственных имен если отличаются от таковых же „грузинского словаря“, то только потому, что Саба эти переводы выполнял с помощью разных лиц и в разное время (как выясняется, сам Саба не вполне владел армянским языком).

Кроме того, выяснилось и то, что в этой части наш автор в известной мере использовал также существующий на грузинском языке „словарь собственных имен“ (Кирилла Александрийского и др.), экземпляр которого представлен в уникальной рукописи 1210 года (музей Грузии А 65).

ბ. ԱՐՈՒՀԱԶԵ

ՍՈՒԼԽԱՆ-ՍԱԲԱ ՈՐԲԵԼԻԱՆԻ ՀԱՅՎԱԿԱՆ ԱՐԲԻՒՐՆԵՐԸ

(Համառոտ გովანჯაღი-ქონს):

Սուլխան-Սաբա Որբելիանին բաղձակողմանի գործիչ է: Մեզ գլխավորապես հետաքրքրում է նրա բառարանագիտական կողմը: Սաբան իր բառարանում, վորը կազմված է XVII դարու վերջերին և XVIII դարու սկզբներին ինչպես գրաւոր աղբյուրներից (վոր այս թ է այն բառի բացատրության կապակցությամբ տեղ-տեղ հիշվում է), նույնպես և անգիրներից, առաջարանում ասում է, վոր իր բառարանը կազմելիս ձևերի տակ է ունեցել իբրև նմուշ-որինակ՝ հայերեն «մի փոքրիկ բողգիրք»: Թ է վոր բառգիրքն ուներ նա ի նկատի և ինչպէս այն ուղտագործից, սրա պատասխանը մեզ տվեցին բառարանագիտական պրպտուններն Յևրեվանի և Եջփիածնի իանագարանների ձեռագրի ըում: Իրոք, Սաբայի ժամանակ հայերի մեջ տարածված է

յեղել ինչ վոր «հայոց բառգրք», կազմված ըստ «ՄՐ գրոց» բառարանի՝ մի կողմից և առանձնապես, և ոտար հատուկ անունների (անձն-և տեղանվանց) բառարանից՝ մյուս կողմից: Թե մ.կն և թե մյուսը «հայոց բառգրքում» դասավորված են այրբերական կարգով: Այս «հայոց բառգրքը» զրեթե նուրն է, ինչ վոր Յերեմիա Վարդապետի անունով հայտնի «Բառգրք Հայոց» («արարեալ ի սուրբ Էջմիածնին Երեմիայ Վարդապետէ... Յալիսոնայ քաղաք 1698»): «Հայոց բառգրքի» ձեռագրերը կազմողի անունը չեն կրում. բայց հաճախ ձեռագրերում նրանք «Սուրբ Գրոց» բառարաններին են կցված: Այս վերջինի մի խմբում իբրև կազմող հաճախ հիշատակվում է Յերեմիա Մեղրեցին....:

Հենց այս տեսակի բառգրք է ձեռքի տակ ունեցել Սարան: Եւ այս յիրևում է նրանից, վոր Սարան ևս իր բառարանում թե «սուրբ գրոց» բառերին և թե հատուկ անուններին զլիսավոր տեղն է հատկացնում: Սակայն Սարան այդ բառերը «հայոց բառգրքից» չի վերցնում: «Սուրբ Գրոց» բառերը նա վերցրել է իր խմբագրած վրացերեն Աստուածաշնչից աւելի առատ (շատ հաջող և մանրամասն մեկնարանություններով), քան թե այն ներկայացրած է «հայոց բառգրքում»: Հատուկ անունների նամակալատուրան էլ չի ծածկում ամբողջապես «հայոց բառգրքից» պաշարը, թեև նրանք մեկնարանություններն կողմից գրեթե նման են իրար: Բացի դրանից, այս մասն էլ Սարան չի վերցրել «հայոց բառգրքից», այլ իր խմբագրած վրացերեն Աստուածաշնչից (ձեռագիր Վրաստանի Թանգար. Ա. 51): Աստուածաշնչի այս մասը նա, ինչպես համեմատությունից պարզվեց, այլ ցանկերի հետ (համարաբար և այլն) թարգմանել և առաջին անգամ Ամասերպամում տպագրված (1666 թ.) հայերեն Աստուածաշնչից: Այստեղ տված հատուկ անունների թարգմանությունն էթե տարբերվում է «վրացերեն բառարանում» զետեղվածից, սրա պատճառ այն է, վոր Սարան այս թարգմանությունները կատարել և տարբեր անձանց ոգնությամբ՝ միանգամայն անկախ (ինչպես յերևում է, ինքը Սարան հայերենին հիմնովին չի տիրապետում):

Ի վերջո, պարզվեց նաև այն, վոր այս մասում նա փոքր ի շատե ողտապարծել է վրացերեն լեզվով դոյություն ունեցող հատուկ անունների բառարանները (Կյուրեղ Աղեքսանդրացու և այլն), վորից առայժմ միակ որինակը ներկա չէ 1210 թ. ձեռագրում (Վրաստ. Թանգ. Ա 65):

ვეფხისტყაოსნის ახლად მიქალეული უძველესი (XVI ს.) ხელნაწარის ურთავრეწვა

ილ. აბულაძე

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები ჩვენამდის მხოლოდ XVII ს-დან არის მოღწეული. თარიღიან ნუსხათა შორის ყველაზე უძველესად დღესდღეობით მამუკა თავაქარაშვილის მიერ 1646 წელს ოდიშში გადაწერილი მონაბრუნული ხელნაწერი ითვლება. უთაროდო იუსხათა შორისაც აგრეთვე ამ საუკუნეზე აღრიხნდელად არც ერთს არ მიჩნევენ. წინა საუკუნეებიდან მხოლოდ ხელნაწერთა კიდევასა და ნაგებობათა კედლებზე წარწერილი ცალკეული სტროფები და ტაეაებია მოღწეული. მათი ხანა უმთავრესად ხელის მიხედვით არის განსაზღვრული¹.

ი. ბ. აბულაძის (16—25, X. 1963 წ.) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა სამეცნიერო ექსპედიცია ზოაწყო კ. ახალციხეში აღგილობრივი მუზეუმის ხელნაწერთა აღსაწერად. ინსტიტუტის სამი თანამშრომელი შედიოდა ექსპედიციაში: მ. ქავთარია, კ. ჰანკიევი და ამ სტრიქონების დაწერი. ხელნაწერებზე მუშაობის დროს XIX ს-ის ერთი ხელნაწერის დაშლილ ყდაში, რომელიც სხვადასხვა ხელნაწერის ფურცლების შეწყებებით იყო გაკეთებული, შევნიშნეთ საკმაოდ ძველი მხედრული ხელნაწერის ორად-ორი ფურცელი. თავისი დაწერილობით ამან ბუნებრივად მიიპყრო ყველას ყურადღება. ტექსტის ორიოდ სტრიქონის გაშიფვრიდანვე ნათელი შეიქმნა, რომ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთან გვეკონდა საქმე. ხელნაწერის ფურცლები რამდენადმე იქვე გავწმინდეთ და ამოკითხეთაც მაშინვე ამოვიკითხეთ. ხელს გარდა სიძველეზე ქალაქი და ორთოგრაფიაც მიათითებდა. ყველა მონაცემის გათვალისწინებით ჩვენი ფრაგმენტები დაახლოებით XVII ს-ს მივაკუთვნეთ.

დავბრუნდით თბილისში. თან წამოვიღეთ საინტერესო ხელნაწერის ნაწილები. დავიწყეთ მასალის დეტალური შესწავლა. პირველ რიგში ქალაქის ხანის განსაზღვრას მივპართეთ. იმედი გვეკონდა. ვარაუდს ის კვირნიშანი გავვიპართლებდა, რომელიც ერთს ფურცელზე მოჩანდა. ფილიგრანებზე სპეციალურად მომუშავე ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელმა ა. პატარიძემ ქალაქი, მასზე აღბეჭდილი ნიშნის მიხედვით, იტალიურად დასახა და თანაც, ამავე ნიშნის გავრცელებულობის მიხედვით, 1585—1630 წწ-ით შემო-

¹ ი. ბ. აბულაძე. ვეფხისტყაოსნის კიდევ რამდენიმე ტაეი ძველ ხელნაწერთა მინაწერებში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, თბილისი, 1962. გვ. 93—96 (საგნის ლიტერატურა იქვე, გვ. 93, შენიშვნა 3).

ფარგლა. ქვირნიშნის ზოგიერთი დამახასიათებელი დეტალის მიხედვით მან ეს პერიოდი კიდევ უფრო შეამოკლა და საერთოდ ხელნაწერი XVI ს-ის მიწურულით თუ XVII ს-ის დამდეგით განსაზღვრა.

ხელი მიეყავით აგრეთვე პალეოგრაფიულ შესწავლასაც, რაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ჩვენს ძეგლს XVI ს-ზე გვიანდელად არ მიგვაჩნევენებს.

ვეფხის-ტყაოსნის ნაწყვეტი, როგორც აღვნიშნეთ, ორი ფურცლისაგან შედგება. ესენი ერთმანეთის მიმდევარი კი არ არიან, არამედ პოემის სხვადასხვა ადგილს ასახავენ. ერთში ის მომენტია გადმოცემული, როცა აეთანდლი ტარიელს ლომთან და ვეფხთან ნაბრძოლსა და ამით გონება-მიხდილს ნახავს, ხოლო მეორეში აეთანდილის გამოჩენა აღწერილი ფაქტთან ხათუნის კარზე.

ვეფხის-ტყაოსნის აღნიშნული ფურცლები ყდად გამოყენებისას რამდენადმე დაზიანებულია. ჯერ ერთი, ჩამოუჭრათ მათთვის მარცხენა გვერდითი კიდე და, მერმე, წაუჭრიათ თავი და ბოლო. პირველ შემთხვევაში ჩამოჭრისას სტრიქონთა პირველი სიტყვების ნაწილია ჩამოკვეთილი, მეორეში კი, თუ წაჭრა ზედა კიდეზე ეხება, სტროფის შემადგენელი დასაწყისი პირველი ან მეორე ტაეპია წაკვეთილი, და თუ ქვემოს, სტროფის ბოლო მესამე ან მეოთხე ტაეპია ხოლმე გადაკვეთილი. გვერდითი მარცხენა კიდეზე ჩამოჭრით დაზიანებული ადგილების აღდგენა სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ იმის გარკვევა, თუ როგორ იკითხებოდა ზემო და ქვემო კიდეთა დაკარგული სტრიქონები, შეუძლებელია.

ფრაგმენტის პირველ ფურცელზე აღბეჭდილია სტროფები 867-დან 878-მდე, მეორეზე კი დატულია სტროფები 1069—1080-მდე. თვითოეულ გვერდზე დაზიანებულ-დაუზიანებელი 6 სტროფია ერთად წარმოდგენილი; სულ, მაშასადამე, საკმაოდ დიდი ფორმატის ვეფხის-ტყაოსნის მხოლოდ 24 სტროფია შემონახული.

ხელნაწერი შესრულებულია მხედრული ხელით. სტროფია დასაწყისი ტაეპის პირველი სიტყვები დაწერილია წითლით, ხოლო დანარჩენი—შავით. გადამწერს აქა-იქ ასო დაუკლია სიტყვისათვის. ასე მაგ., სწერია „შესმის“, უნდა იკითხებოდეს კი—„შესმის“ (871,4).

ორთოგრაფია ადგილ-ადგილ კოჭლობს. მაგ., სწერია: „დამეხსენ“ (873,3), „გაახსენეინა“ (1079,1), ხოლო საჭირო იყო: დამეჭსენ“, -გააქსენეინა“; ანდა სწერია: სახელსა“ („თუალთა ავლებდა სახელსა“--871.1) და უნდა იყოს „საქელსა“. გარდა ხანისა და ჯარის აღრევისა, ზოგჯერ უბრჯგუცა და ვინიც არაა ხოლმე რიგზე წარმოდგენილი. ასე მაგ., სწერია: „უძლუნა ძღვენი“ (1078,2), ხოლო უნდა: უძლუნა ძღვენი“. ასეთმა მერყევა ორთოგრაფიამ შეიძლება აფიქრებისონ კაცს, ძეგლი უფრო გვიანდელ ხანას ეკუთვნისო, ვიდრე გვეონია, მაგრამ ასეთი ქრელი სურათი XVI საუკუნის არა ერთ თარიღიან ხელნაწერ ისტორიულ დოკუმენტში შეინიშნება. ასეა კერძოდ, Hd—11.201 დოკუმენტში, რომელიც 1545 წელს არის დაწერილი („ნავენახევი“, „ჩვენჯან“, „ლვინო“ და სხვა).

ფრაგმენტში არის ერთი უემზხვევა, სადაც გადამწერი ამჩნევს თავის შეცდომას და წანაცდენს აწებებს ქალალდს და ასწორებს შეცდომას წაწებებულ ქალალდზე სათანადო სიტყვების წაწერით. რომ ნათელი იყოს, თუ რას შეეხება აღნიშნული, მოვიყვანო სათანადო ადგილს. 875-ე სტროფის

პირველი ტაეპი იწყება სიტყვებით: „თუ ბრძენი ხარ“, მისი მომდევნო 876-ე სტროფის დასაწყისი ტაეპის თავში აგრეთვე ასეთსავე სიტყვებს ვხვდებით: „ბრძენი ხარ და“. ამ უკანასკნელს მოსდევს ის სიტყვები, რომლებიც წინა სტროფში მიჰყვებოდა მსგავს დასაწყისს: „ყოვლი ბრძენი“. წინა სტროფიდან გადმოტანილი ამ სიტყვების უმართებულობა შეუნიშნავს გადამწერს, რომელსაც წაუწებებია ამ სიტყვებზე ქალაღლის სუჟთა ნაკვეთი, რაზედაც წაუწერია სხვა შესაფერისი სიტყვები ისე, რომ ბოლო სიტყვის ბოლო მარცვალღ დანაწებებ ქალაღლს გადასცილებია. „ყოვლი ბრძენის“ ადღიღს ამ ნიადაგზე უკვე ახალი სიტყვები გაჩენიღ: „არა იცი გამორჩე(ღა)“. ასეთიღ გადამწერის დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც ვეფხის-ტყაოსნის შემო-რჩენიღ ფრაგმენტზეა გამოსახული.

გადამწერის ხელი ტიპიურია XV—XVI სს-ისათვის. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ჩინის დაწერიღობა, რომელიც მეტად თავისებურია და იშვიათიღ ძველი საუკუნეების დაწერაღობისათვის. არქაული მხედრული დაწერიღობისაღ შინიც, რომელიც თავისი მოყვანიღობით ასომთავრული ხუცუკრის შინსა ჰგავს. დამახასიათებელია აგრეთვე თანის, ონის, უნის, ჰარის დაწერიღობა. XVII—XVIII სს-ღა სულ სხვა სახისა იციან ეს ნიშნები; ისინი თავისი ფორმით უფრო წინა საუკუნეების დაწერიღობას ემხრობიან. აღნიშნული ნიშნებისა და, საერთოდ, მსგავსი ხელის დაძებნისას თარიღიან ისტორიულ დოკუმენტებს შორის (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდისა) XVI ს-ის 74 დოკუმენტიდან 2 ცალი აღმოჩნდა მხოლოდ ვეფხის-ტყაოსნის ჩვენი ფრაგმენტისნაირი დაწერიღობისა, ხოლო მე-15 საუკუნის 30 თარიღიან დოკუმენტთა შორის მსგავსი 2; რამდენადმე წააგავს ფრაგმენტის შრიფტს აგრეთვე ორი. XVI ს-ის დოკუმენტები 1545-სა და 1555 წლებშია დაწერიღი, XV ს-ისა—1413, 1467 წწ-ში. ფილიგრანის ჩვენება პალეოგრაფიულ მონაცემებთან ერთად, როგორც ვხედავთ, უეჭველსა ხღის იმ ჩვენ(ექსპედიციის წვერთა) ვარაუდს, რომელიც ფრაგმენტის ტექსტის ბირველი გაცნობისთნავე დაგვებადა, რის თანახმად ფრაგმენტი XVI ს-ის ხელნაწერად იქნა მიჩნეული.

ვეფხის-ტყაოსნის ფრაგმენტი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, სულ 24 სტროფს შეიცავს, მეტად საგულისხმოა ტექსტობრივ. მას აქვს მრავალი ისეთი წაკითხვა, რომლებიც ვარკვეულ ხელნაწერებთან ანათესავენს. მაგრამ ამასთან ერთად მოგოვება ისეთი წაკითხვებიც. რომლებიც სხვა დღემღის ცნობიღი XVII—XVIII სს-ის ხელნაწერებისაგან განასხვავებს და ამღენად ცალკეც აყენებს მას.

აღვწუხებთ ისეთი შემთხვევები, რომლებითაც ჩვენი ხელნაწერი ემხრობა ვეფხის-ტყაოსნის ცნობიღ ნუსხებს.

867,4-ის წაკითხვა: „ვით გირგალმან ჩაირბინა. არ მოსციღდა ქურეთად მისა“ თავისი „არ მოსციღდათი“ ემხრობა EFM(OPS)² ნუსხებს.

868,4-ის წაკითხვა: „მას აღარა შეგსმოღა, ვაღმა სოფლით გაებოჯა“ თავისი „გაღმა სოფლითით“ მხარში უღვას MOS ხელნაწერებს.

² წარმოდგენიღ ღიტრები მოყვანიღ გვაქვს (ა-ს გარდა) ვეფხის-ტყაოსნის ტექსტის დაძღვენი კოპისიის ბიერ 1937 წელს მიღებული აღნიშვნის მიხედვით (იხ. ვეფხის-ტყაოსნის ჩანართი და დანართი, თბ, 1948).

869 სტროფის პირველი ტაეპის „ერთკენ“ („ერთკენ უც ლომი მოკლულ-ლი“) გვხვდება აგრეთვე FIKMOPST-ში. მეორე ტაეპის „კულა ერთკენ-ს“ იმეორებენ ხელნაწერები HOS. მეოთხე ტაეპის „მცხუნვარე“ კი ა-ს (ე. წ. გურგენასეულს) ნუსხაშია.

870-ე სტროფის პირველი ტაეპის „ახმაცა“ იპოვება შემდეგ ხელნაწერებში: BHIMP. მესამე ტაეპის წაკითხვა „სიტყუათა მცრობასა“ კი მხოლოდ E-შია დატული.

872-ე სტროფის მეოთხე ტაეპის „აიპრა“ გვაქვს ხელნაწერებში—EOSა და სხვა.....

მეტად რომ აღარ განვაგრძოთ ასე პირწმინდად ყველას ჩამოთვლა (რაც პოემის ტექსტთან ქვემოთ ნაჩვენებია გვაქვს), უფრო დამახასიათებელ შემთხვევებს შევხებით.

875-ე სტროფის მეოთხე ტაეპის დასაწყისი სიტყვები „თუთ თავისა პირისაგან“ მხოლოდ Eა ხელნაწერებს მოეპოვებათ.

878-ე სტროფის მეორე ტაეპის წაკითხვა „შენი პოვანა“ მარტოა (ე. წ. გურგენასეულს, ანუ Q—930 ნუსხას დაუცავს.

1073-ე სტროფის მესამე ტაეპის „ოქროანისა“ (ნაცვლად გამოცემის „ძოწიულისა“) იპოვება ხელნაწერებში: EMSა.

1074-ე სტროფის მეორე ტაეპის „ქარვასლა (და)“ Q—930 ხელნაწერ-შია დატული.

ვეფხისტყაოსნის 1957 წლის გამოცემის ტექსტისაგან განსხვავებული ჩვენი ძეგლის წაკითხვების დაძებნამ და აღნუსხვამ (პოემის XVII—XVIII სს-ის ცნობილ ხელნაწერ ნუსხებში) საგულისხმო სურათი გადაგვიშალა თვალწინ. გაირკვა, რომ თავისი განსხვავებული წაკითხვებით ჩვენი ფრაგმენტი გვერდ-ში უღდას უფრო მეტად ხელნაწერთა ერთ ჯგუფს. ესენია E (S —2829,1688 წლისა), S (ოქსფორდში დატული), H (S—4499), O (Q—261) და ა (ე. წ. გურგენასეული, Q—930) ხელნაწერები, რომლებიც, გარდა ერთისა, XVIII სს-ის ნუსხად რომ ითვლება (O,Q—261), XVII საუკუნისაა. ჩვენს ტექსტთან მიმართებით რომ ამათი დამოკიდებულება $\frac{1}{4}$ -ში ავსახოთ, შემდეგ სურათს მივიღებთ. ჩვენი ძეგლის წაკითხვებს, რომლებითაც ის არსებული გამოცემისაგან განსხვავდება, მხარს უჭერს 80%-ით E ხელნაწერი, 66%-ით S ხელნაწერი, 64%-ით H ხელნაწერი, 61%-ით O ხელნაწერი და 60%-ით ა (ე. წ. გურგენასეული) ხელნაწერი.

აღნიშნულთან ერთად არანაკლებ საინტერესოა ის წაკითხვებიც, რომლებითაც ჩვენი ტექსტი არც არსებულ გიმოცემასთან და არც ცნობილ ნუსხებთან ვეფხისტყაოსნისა არა ღდას. ასეთები კი არიან:

1. „[ვარდ]მან ფერი გა ანათლა ბროლი ბროლად, სათი სათად“ (867,3).
2. „[მ]უნ აგრე გულსა უნათლებს ცეცხლი მცხუნვარე ცხებული“ (869,4).
3. „[ვ]ელარ ასმინა, გარდიპრა, ძნა გამოიჩენს ძობასა“ (870,4).
4. „[ბრ]ძენი ხარ და [არა იცი გამოიჩე]ვა ბრძენთა თქმულებ“ (876,1).
5. „[მას] ვაცნობო მოსულა შენი, წაგიყუანოს ვ[ით]ა თუისი“ (1071,3).

6. „[წინა] კაცთა მოგაგებებს, ქალაქს შეხუალ ნათელ-დღისი“(1071,4).
 7. „[ყმა] მოა, მისთა მჭურეტელთა შუქი მზედ გ[აიციადიან]“ (1072,4).
 8. [ფატმან ხათ]უნ თულად მარჯვე, არ-ლუხქირი, მაგრა მზ[მელი] (1077,1).
 9 „[ნაკუთად] კარგი, შე-გურემანი, პირ-მსუქანი, არ პირ-ბნელი“ (1077,2).

10. „[დილასა ლარი] ყუალაი, უჩუნა, გაახსნევენ[ა]“ (1079,1).

წარმოდგენილი შემთხვევებიდან ზოგი ორთოგრაფიულ რიგს განეკუთვნება, როგორც მაგ. „განანთლა“ (1), ნაცულად ძვ. ქართულის „განანთლა-სი“; „მოა“ (7) „მო-ვა-ს“ წილ და „ყულაი“ (10) „ყულაი-ს“ მაგიერ (რასაც გადამწერი სხვა ადგილს.—872 სტროფში —ხმარობს კიდევაც), ხოლო ზოგი ორთოგრაფიას სცილდება და შინაარსს, აზრს ეხება. რამდენად მართებულია ვეფხის-ტყაოსნის ჯერ-ჯერობით უძველესი ამ ტექსტის აღნიშნული ადგილების წარმოდგენილი სახით ხმარება, ამას სხვა ხელნაწერების ჩვენებებთან დაპირისპირება და გამოწვლილვითი შესწავლა გაარკვევს. კრიტიკულად დადგენილი ტექსტისათვის თუნდ უცხოც რომ აღმოჩნდნენ ეს წაკითხვები, მაინც საგულისხმონი არიან. ისინი თვალნათლივ გვანიშნებენ იმას, რომ ვეფხის ტყაოსნის ტექსტი კანონიზებული არასდროს არ ყოფილა, ის მუდმივ განიცდიდა მეტ-ნაკლებ ცვლილებას რედაქტორთა თუ გადამწერთა ხელთ. ერთი ასეთი ხელნაწერის ნაშთია ჩვენი ნაწყვეტი, რომელიც ამიერიდან გარკვეულ მნიშვნელობას იძენს, როგორც უძველესი ნუსხა ჩვენამდის მოღწეული ვეფხის-ტყაოსნის ხელნაწერთა შორის.

1r

867 [ვარდ]მან ფერი გაანათლა, ბროლი ბროლად¹, სათი სათად²
 [და ვი]თ გირგალმან³ ჩაირბინა, არ მოსცილდა⁴ ჭურეტად მათად⁵.

3. განანთლა. ბროლდა. სათდა. 4 გრიგალმან. მისცალდა. მათდა.*

¹ ბროლად MOSა ² სათად S. ³ გირგალმან ADEEFHIKPUYა ⁴ მოსცილდა EFMOPSA. მათად S

868 [რა ტა]რიელ დაინახა, გაღანამცა¹ დაეღრიჯა.
 [ახლოს მყოფი] სიკუდილისა ჯდა და პირი დაეღნიჯა,
 [საყელონი გარდებ]იენეს, თავი სრულად გაეგლიჯა,
 [და მას აღ]არა შეესმოდა, გაღ?ა სოფლით² გაეღრიჯა.

¹ განღამცა. 4~ სოფლით გაღმა.

¹ გაღანამცა BDFHIKMNOPTUა ² გაღმა სოფლით MOS.

869 [ერთიქ]ენ¹ უც ლომი მოკლული და ჭრმალი სისხლ-[მოცხებული],
 [კულა] ერთიქენ²—ვეფხი უსულო, მკუდარი, ქუე-დანარცხებული;
 [მას] წყაროსაებერ თულათაგან ცრემლი სდის გაფიცებ[ბული].
 [და მ]უნ აგრე³ გულსა უნათლებს ცეცხლი მცხუნვარე⁴, ცხებული].

¹ ერთიქრძ. ² ერთიქენ სხვაგან. ⁴ ვგრე. უნათლებს უნთებდა. მცხუნვარე.

¹ ერთიქენ FIKMOPSTი ² ერთიქენ HOS. ³ აგრე ABCDEHOYUა ⁴ მცხუნვარე-W.

* აქ და სხვაგან (დანარჩენ სტროფებში) ნაჩვენებია ვეფხის-ტყაოსნის 1957 წლის გამოცემის წაკითხვა-სხვაობანი.

870 [თუალ]თა ახმაცა¹ ზარ-ედვა, სრულად მიჰქდოდა ცნობასა,
[მიახ]ლებოდა სიკუდილსა, მოშორებოდა² თმობასა.
[ყმა] სახელ-დებით უყივის, ლამის სიტყუათა მცრობას[ა]³,
[და ე]ვლარ ასმინა, გარდიჭრა, ძმა გამოიჩენს ძმობას[ა]!

1. ახმაცა. 2. მოშორებოდა. 3. სიტყუათა მცრობასა] სიტყუთა კრობასა.
4. გამოაჩენს.
¹ ახმაცა BHIMP. ² მოშორებოდა BCDEFHKMNOPTYW. ³ სიტყუათა მცრობასა E.

871 [ველითა] ცრემლსა უწურავს, თუალთა ავლებდა სახელს[ა].
[ახლოს] უზის და უზახის მართ სახელ-დებით სახელს[ა];
[ეტყუ]ის: „ვერ მიცნობ ავთანდილს, შენთუის ვაჭრილსა და
[ხელსა]?“
[და მას არა დია შე]ემის¹ რეტსა, თუალ-დაუფახუელს[ა]².

4. თუალ-დაუფახელსა.
¹ შესმის Oა. ² თუალ-დაუფახუელსა BCDFHOYW.

872 [ესე] ყუელაი ასრეა, რაცა აწ ჩემგან თბრობილ[ა].
[ცრემ]ლი¹ მოსწურა² თულათაგან, ცოტად-რე მოა[ც]ნობილ[ა],
[მაშინ]ლა იცნა, აიჭრა³, მოეჭდო, მოეცმობილ[ა].

2. ცრემლი მოსწურნა 3. აიჭრა] აკოცა.
¹ ცრემლი BEHIKMOPS. მოსწურა BEKOST. ³ აიჭრა. EOSა.

1v

873. [გნა]ხე სულთა გაუყრელად¹, ფიცი ასრე დაეამტ[კიცე];
[აწ] დამეხსენ², სიკუდილამდის ვიტერო და თავსა ვიცე].
[და მა]გრა გუედრებ დამარხუასა, მვეცთ საკმელად³ [არ მივიცე]“.

2. გაუყრელმან. 4. მვეცთა საკმელად.
¹ გაუყოლად FHOSა. ² დამეცენ ACY. ³ მვეცთ საკმელად FIPW.

874 [ყმამან უთ]ხრა: რაშიგან ხარ, შენ საქმესა რად [იქ ავსა]?
[ვინ მიჯნ]ური არ ყოფილა, ვის საქმილი¹ არა [სწუავსა]?
[ვის] უქნია შენი მგზავსი² სხუათა³ კაცთა [ნათესავსა]?
[და რ]ად სატანას წაუღიხარ, რად მოიკლავ ნებით [თავსა]?
3. უქნია. მსგავსი. სხუასა.
¹ საქმილი EFHIKMNOPSA ² მგზავსი BEHMNT. ³ სხუათა BEFHIK MOPSTW

875 [„თუ] ბრძენი ხარ, ყოელი ბრძენი¹ აპირებენ ამა პირს[ა]:
[ვამს] მამაცი მამაცურად², სჯობს, რაზომცა ნელად ტირ[სა].
[ჭირ]სა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქუიტკირ[სა].
და [თ]უით თავისა ჭკუისაგან³ ჩაუარდების კაცი ჭირ[სა].

1. ყოვლი ბრძენი. 2. მამაცური. 4. თუით თავისა ჭკუისაგან] თავისისა ცნობისაგან.
¹ ყოვლი ბრძენი BEFHIKMOPSTW. ² მამაცურად BEHOSა. ³ თუით თავისა ჭკუისაგან Eა.

876 [„ბრ]ქენი ხარ და [არა იცი გამოჩე]“ ვა ბრძენთა[ა] თქმულებ,
[მინ]დორს სტირ და მკეცთა ახლკ, რას წადილსა აღისრულებ[ა]?
[ვის]თუის ჰკუდები, ვერ მიხუდენი, სოფელსა² მოიმდურ[ვებ]?,
[და] თავსა მრთელსა რად მოიკლავ³, წყლულსა ახლად რად იწყ[ლულებ]?

* ფრჩხილებში ჩასმული წაწებებული ყოფილა სიტყვებზე: „ყოფილი ბრძენი“, რის ნაკვალევი მოჩანს.

1 ~ გამოჩევა არა იცი. 2. აღსრულებ. 3. სოფელსა² მოიმდურებ[ა] თუ სოფელსა მოიძულებ. 4. მოიკლავ³ შეიკრავ.

¹ აღსრულებ Nა. ² სოფელსა² EHOს. ³ მოიმდურებ ESw. ⁴ მოიკლავ E.

877 [„ვინ] არ ყოფილა მიჯნური, ვის არ საჭმილი სდებია[ნ]?
[ვი]ს არ უნახავს¹ პატიენი, ვინ ვისთუის² არა ბნდ[ვებია]ნ?
[მი]თხარ, უსახო რა ქნილა, სულნი³ რად ამოგვდებია[ნ]?
[და] არ იცი, ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია[ნ]!⁴

1. სახმილი. 2. უნახავს. ~ ვისთუის ვინ. 3. ქნილა 4. მოუკრეფიან.

¹ უნახავს BDEHIKMPW ² ვინ. ვისთუის Hა. ³ სული BИა. ⁴ მოუკრეფიან BEKOST.

878 [„ვარ]დსა ჰკითხეს:“ ეზომ¹ ტურფა რამან შეგქნა² ტანად, [პირად]?
[მი]კუ]ირს, რად ხარ ეკლიანი? შენი პოვნა³ რად ა პირ[ად]?

1. ეზომ. შეგქნა. 2. ~ პოვნა შენი. რადა რად არს.

¹ ეზომ EI. ² შეგქნა BEHIPU. ³ ~ შენი. პოვნა ა.

2r

1069 [უტურ]ფესსა¹ სეფედ დასხმენ, ფასსა მუნვე დაუთულია[ნ]:
[და] მათ მაშინვე ააზატებს, ვითა სწადდეს, დაჰყიდ[იან].

3. უტურფესსა.

¹ უტურფესსა ACHT.

1070 [„თქუენებ]რთა საბატოთა მათ მართებს გამოს[უენება];
[დამ]ყენებელთა უბრძანებს, მართებდეს ვის დაყენებ[ა].
[აწ] იგი აქა არ არის, რას მარგებს [მისი ხსენება]!
[და] გამოგებვა და] წაყუნა [მა]ს მართებს [თქუენი ქენება].

1 მართებს. 2 მართებდეს.

1071 [ფა]ტან ხათუნ შინა [არის], ხათუნი და ცო[ლი მისი],
[პუ]რად კარგი მასპ[ინძელი], მხარული, არ თუ [შქისი];
[მას] ვაცნობო მოსულა² შენი, წაგყუნარს ვი[თა თუისი];
[და] წინა] კაცთა მოგაგებებს, ქალაქს შეხუალ ნათელ დ[ლისი]“.

3 მოსულა. შენი თქუენი. 4 კაცთა. ნათლივ.

¹ მოსულა BFW. კაცთა.

1092 [ავთ]ანდილ უთხრა: „წადიო, აგრე ქენ, რაცა გწა[დიან]“.
[მე]ბა]ლდე მირბის, იხარებს, ოფლი¹ მკერდამდის ჩასდი[ან].
[ხათ]უნსა უთხრა ამბავი: „მე ისე დამიქადია[ნ].
[და] ყმა მოა, მისთა მკურეტელთა შუქი² მზედ გ[აი]ცადიან.

1. ქმენ. 2. ოფლი. 4 მოვა. შუქნი.

¹ ოფლი (ყველგან). ² შუქი IPR.

1073 [ვა]ჭარი ვინმე პატრონი არს ქარაენისა დი[დისა].
 [სა]როსა მგზავსი¹ ნაზარდი მთუარეა² დღისა შუილ[ისა];
 [შუ]ენის ჯუბა და მოხუეენა³ ოქროანისა⁴ [რიდისა].
 [და] მიმიწმო⁵, მკითხა ამბავი და ნირი ლარ[თა სყიდისა].

2 მსგავსი. მთუარეა] და მთუარე. 3. მოხუეეა. ოქროანისა] ძოწუელისა.
¹ მგზავსი BHEMNRT. ² მთუარე EHNSა. ³ მოხუეენა FIKMPRSTW. ⁴ ოქ-
 რო(ვ)ანისა EMSა. ⁵ მიმიწმო EHMSა.

1074 [ფატმა]ნ ხათუნს გაეხარნეს, გააგება [მონა ათი],
 [მო]უკაზმა ქარესლა [და]¹ დააყენა ბა[რგი მათი];
 [შემოვიდა ლაწუი-ვარდი], ბროლ-[ბადახში, მინა-სათი];

2 ქარესლა [და] ქარეანსრანი.
¹ ქარესლა [და] ა] ქარკასლანი BENS.

2v

1075 [ზარი გა]ქდა, შემოაკრფა ¹ ქალაქისა ერნი სრულად],
 [იქით-აქ]ეთ² იჯრებოდეს, „უჭურითოთო ამას სრულად]“³,
 [ზოგნი ნ]დომით შეჭფრფინენიდეს, ზოგნი დარჩეს⁴ სრულ-წასულად],
 [და მათთა] ცოლთა მოიძულევს⁵ კმარნი, დარჩეს გაბასრულად].

1 შემოაკრფეს. 2. -აქათ. სრულად. 3 დარჩეს] იყვნეს. სულ-წასრულად 4. მო-
 იძულევნეს.
¹ შემოაკრფა EIMP. ² -აქეთ FHKOTWა. ³ სრულად BEFHKOPTSRU
 დარჩეს EOP ⁴ მოიძულევს ACDEHIKMNOPUYWX.

1076 [ფატმან, ცოლი უ]სენისა¹, გაეგე[ბა] კარ[თა წინა],
 [მხიარულად უსალა]მა, სიხარული დაიჩინ[ა];
 [ერთმანერთი მოიკით]ხეს, მხიარულნი[ი]² [დ]ასხდეს შინ[ა],
 და ფატმან ხათ]უნს მისულა³ მისი შ[ე-ვით-]ვატყევ, არ ეწყინ[ა].

1 უსენისი. 3. მხიარულნი] შევიდეს და. 4. მოსლა.
¹ უსენისა EFHIK MOPTRWა. ² მხიარულნი ESW ³ მისულა EHOP.

1077 [ფატმან ხათ]უნ თულად მარჯუე, ა რ-დ უ ხ ჰ ი რ ი, მგარა მზ[მელი],
 [ნაკუთად] კარგი, შავ-გურემანი¹, პირ-მსუქანი, არ პირ-ბნელი[ი],
 [მუტრი]ბთა და მომღვრალთა მოყუარული, ღვინის მსმელი;
 [და დია ეღვა] სასალუქო დასაბურავ ჩასაცმელი].

1. არ-დუხუიჩი] არ-ყმაწვილი. 2. შავ-გურემანი. პირ-ბნელი] პირ-ბნელი.
¹ შავ-გურემანი FHINPRTSა.

1078 [მას] ლამესა ფატმან ხათუნ უმასპინძლა მეტად კარგ[ა].
 [ყმაზან] უძღუნა ძღვენი ტურფა, მიმღებელთა თქუეს, თუ:[„ვარგა“].
 [ფატმან] მისი მასპინძლობა უღირს, ღმერთო, არ დაჰკარგ[ა]¹.
 [და სუეს] და ჰამეს, დასაწოლად ყმა გავიდა ლამე² გარ გ[ა].

3 დაკარგა. 4 ლამით.
¹ დაჰკარგა ABCDEFHIMNOPRTYXა. ² ლამით ABCDEFKIPTYVWX

- 1079 [დილასა ლარი] ყუალაი ურუენა, გახსნევენ[ა].
 [ტურფანი სეფედ გა]რდასხნა, ფასიკა დაათუღევენ[ა],
 [ვაპართა უთხრა: „წაილ]ეთ,—აჰკიდა, გააწევენ[ა],—
 [და თქუენ ვითა გინდა], ვაპრობდით, ნუ გამამ[ტლავნებთ, მე ვინ[ა]“.
 1 ყუელაი.
- 1080 [ყმა ვაპრულად იმოს]ების, არ ჩაიცვამს [არას მისსა].

НОВООТКРЫТЫЙ ФРАГМЕНТ ДРЕВНЕЙШЕГО СПИСКА ВЕПХИС-ТҚАОСАНИ

И. В. АБУЛАДЗЕ

Резюме

Самой ранней датированной рукописью поэмы Ш. Руставели является список 1646 г. Относящимися к ранним векам считаются те извлечения из поэмы, которые были обнаружены в приписках древних рукописей или же в надписях сооружений.

Научной экспедицией Института рукописей в составе М. Кавтария, Ц. Чанквевой и пишущего эти строки осенью 1963 года удалось открыть в рукописных фондах Ахалцихского краеведческого музея им. И. Джавахишвили 2 листа из поэмы Руставели. Палеографическое изучение текста, так же как и филигрань бумаги, позволяют отнести рукопись к последней четверти XVI века.

Наряду со своей древностью новооткрытый фрагмент Вепхис-Тқаосани привлекает внимание исследователей и своими разночтениями или вариантами, которые должны быть учтены при установлении критического текста произведения.

შენიშვნები მზია ანდრონიკაშვილის ახალი შრომის შესახებ: „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან“.

თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 1961, გვ. 1—634.

ი. აბულაძე

ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობისადმი მიძღვნილ ნაშრომში, როგორც მოსალოდნელი იყო, ასე თუ ისე გამოძახილი უნდა ეპოვა ირანულ-სომხურ ენობრივ ურთიერთობასაც. ორივე მეზობელ ხალხთან—ქართველებსა და სომხებთან—ირანული სამყარო უძველესი დროიდანვე იმყოფებოდა ახლო დამოკიდებულებაში, რაც მკიდროდ ეხებოდა როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურსა და კულტურულ სფეროებს. ურთიერთთან ახლო კავშირს, და ისიც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, შეუძლებელია ნაკვალევი არ დაეტყუო, დალი არ დაემჩნია ენაზე, კერძოდ ლექსიკაზე სიტყვების სესხების სახით.

ირანულ ენებთან საერთო სიტყვების გამოვლინება და მათი გამოწვლილვა სომხურს სინამდვილეში ჩვენზე უფრო ადრე დაიწყო. სამკალი იმდენად უხვი აღმოჩნდა, ლექსიკური შეხვედრები იმდენად ჭარბი, რომ ერთ ხანს სომხურს ირანულ ენათა წრეშიც კი აქცევენ, ინდოევროპულ ენათა ამ შტოს წევრად მიიჩნევენ. თანდათანობით დაზუსტდა ეს მომენტი და აღმოჩნდა, რომ ირანულ-სომხური საერთო ლექსიკა მეტწილად სესხების შედეგია, რაც ფართო და ხანგრძლივი პერიოდის ურთიერთკავშირს ააშკარავებს. კვლევა-ძიება იმდენად გაივრცო და გაღრმავდა, რომ თითქმის ზედმიწევნით ითვლიან სომხურში სესხებულ ძირეულ სიტყვათა ოდენობას.

სისტემურ მუშაობას ირანული ლექსიკის გამოსავლინებლად ქართულში დიდი ხნის ისტორია არა აქვს. ცალკეული ცდები ამა თუ იმ მკვლევარისა დაკავშირებულია ან რომელიმე ლიტერატურული ქმნილების გამოცემასთან, ანდა ამა თუ იმ სფეროს ტერმინების მიმოხილვასთან.

მზია ანდრონიკაშვილის ნაშრომი პირველი ფართოდ დასახული ამოცანის გადასაწყვეტად დამუშავებული მონოგრაფიაა. მასში წარმოდგენილია: ა) ძველი ირანული ლექსიკური ელემენტები ქართულში და ბ) საშუალო ირანული სიტყვები ქართულში. ძველი ირანულიდან დიდი ადგილი სკვითურ-ალანურ-ოსური ენებიდან შეთვისებულ ლექსიკას უჭირავს, ხოლო საშუალო ირანული სიტყვები ორ ჯგუფად არის გარჩეული. ცალკეა განხილული პართული წარმომავლობის სიტყვები და ცალკეა ფალაურისა. საზოგადო სახელების გვერდით საკუთარიც არაა დავიწყებული.

აღნიშნული ნაწილების ახლო გაცნობით შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ავტორის საკუთარი ხმა უფრო მეტად ისმის სკვითურ-ალანურ-ოსური ენებიდან შეთვისებული ლექსიკის კვლევა-ძიებისას. საშუალო ირანულ სიტყვების გამოწვლილებისას მას უყეთესი მღვდომარეობა აქვს. რადგან აქ მოქცეული სიტყ-

გების უდიდესი ნაწილი სომხურთან საერთოა, ხოლო ესეხი კი ირანულთან მიმართებით დიდი ხანია იქცნენ, როგორც ზემორე ითქვა, კვლევ-ძიების საგნად როგორც ვერაპულს, ისე სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში. უკანასკნელს ისეთი შემაჯამებელი ნაშრომებიც კი მოეპოვება, როგორიცაა აკად. პრ. აჭარიანის შეიღტომიანი „სომხური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, ხუტტომიანი „პირთა სახელების ლექსიკონი“ და ორტომიანი „სომხური ენის ისტორია“.

მართო ამათი საშუალებით, როგორც ესაა აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, შეიძლება გაითვალისწინო კაცმა ყოველი სომხური ძირეული სიტყვის კვლევის ისტორია.

როგორაა ეს და სხვა სომხურის შესახები ლიტერატურა და წყაროები გამოყენებული სარეცენზიო ნაშრომში, რა სიახლეა შეტანილი ცალკეული სიტყვების ეტიმოლოგიური ანალიზისას და რამდენად დამაჯერებელია ის, — ამ საკითხებზე მოგვიხდება შეჩერება და შენიშვნის გაკეთება შრომის ავტორისათვის, არა იმიტომ, რომ რაიმე მიუტყევებელი შეცდომები მოეპოვებოდეს მას, არამედ იმისათვის, რომ მეტი პასუხისმგებლობითა და დაკვირვებით მოექცეს წყაროებს და იყენებდეს მას სათანადოდ.

როგორც მოსალოდნელი იყო, სომხური სამეცნიერო ლიტერატურიდან პირველ რიგში ავტორი სარგებლობს პრ. აჭარიანის კაპიტალური შრომებით — „სომხური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონითა“ და „პირთა სახელების ლექსიკონით“. შეიძლება ითქვას, რომ ყველა ძირითად საკითხზე, რაც კი მკვლევარს აღეძვრება თავის ამოცანასთან დაკავშირებით სომხურის მიმართ, პასუხს იპოვის ამ ნაშრომებში. ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ყოველ ლექსიკურ ერთეულთან ნაჩვენებია ძირეული სიტყვის ჯერ პირველადი შინაარსი და მერმე განვითარებული, ისე როგორც აღნიშნულია უმთავრესი წარმოქმნილი სიტყვებიც იმის ჩვენებით, თუ რომელ წყაროში გვხვდებიან ისინი პირველად.

ამ, ასე ვთქვათ, ფილოლოგიური ნაწილის შემდეგ მოდის ძირეული სიტყვის ეტიმოლოგია, რომელიც, აკად. პრ. აჭარიანის აზრით, არის შესაწყნარებელი. ისინი უმეტესად ცნობილი ლინგვისტების ნაშრომებიდან მოაქვს. ზოგ შემთხვევაში საკუთარ ეტიმოლოგიასაც ურთავს. აღსანიშნავია, რომ ზოგი მათგანის შესახებ დაკითხვია თავის მასწავლებელს პროფ. ანტ. მეიეს, რომლის შენიშვნებს (წერილების სახით) იქვე იმოწმებს.

ამ ნაწილს სიტყვის შესწავლის ისტორია მოსდევს, სადაც მოკლედ აღნუსხულია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებანი მათ შესახებ.

მერმე ძირეული სიტყვის დიალექტური სახეები და მნიშვნელობებია ნაჩვენები და სულ ბოლოს მითითებულია იმ ენებზე, რომელთაც უსესხნია ისინი.

ასეთი ვრცელი შინაარსისა და დიდი საეციალისტის მიერ შედგენილი ლექსიკონის გვერდით აღ. ხუდაბაშიანის მიერ 1838 წელს გამოცემული „Армяно—русский словарь“ — ით სარგებლობა და ისიც იმისათვის, რომ ძირეული სიტყვის შინაარსის თანმიმდევრობა და მისგან წარმოქმნილი სიტყვების რაობა იქნეს გათვალისწინებული, მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება. ზოგ შემთხვევაში ამ წყაროს განმარტება მატუნებელიც კი შეიძლება გამოდგეს.

თქმულის საშოწმოდ მოვიყვან და შნ სიტყვასთან დაკავშირებით შრომის ავტორის მიერ დასახელებული წყაროდან მოწოდებულ ცნობებს.

..ეს სიტყვა — საუბარია და ა შ ნ ზ ე -- სომხურშიც არას ნასესხები

და იქ მისი გავრცელების არე გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ქართულში. იგი გამოყენებულია მრავალი წარმოებულის ფუძედ. შეადარეთ *ჩაჯან* 1. 'პირობა', 'შეთანხმება', 'კონტაქტი' (უნდა იყოს „კონტრაქტი“, როგორც ეს წყაროშია) და სხვ. 2. 'სასიამოვნო (მოსასმენად)', *ჩაჯანაყჩი* (უნდა იყოს *ჩაჯანაყჩი*, როგორც ეს წყაროშია, ი.ა.) 'მომლაპარაკებელი', 'შემთანხმებელი', *ჩაჯანაყაღი* 'სასიამოვნო' 'თანახმა', 'წმინდა', 'ნათელი', 'ტანადი'. და სხვ. (გვ. 232).

უკანასკნელი წარმოქმნილი სომხური სიტყვისათვის (*ჩაჯანაყაღი*-ისათვის) შიშვლად, უკონტექსტოდ მიწოდებული რუსული შესატყვისები სომხურ-რუსული ლექსიკონისა, როგორც ჩანს, ცთუნების წყაროდ ქცეულა ნარკეეების ავტორისათვის, როცა ის რუსულ განმარტებას ამ სიტყვისას приятный, согласный, ясный, чистый голос, стройный ასე იღებს: 'სასიამოვნო' (приятный), 'თანახმა' (согласный), 'წმინდა' (чистый голос), 'ნათელი' (ясный), 'ტანადი' (стройный) მაშინ როცა стройный-ით იგულისხმება არა „ტანადი“ (მოყვანილობა), არამედ „მწყობრი“, რადგან განმარტება შეეხება ხმას (голос).

ამნაირი სახის ლექსიკონით სარგებლობა, როგორც ვთქვით, ხელსაყრელი არაა, ცთუნების წყაროდ კი შეიძლება გახდეს. ან რად არის საჭირო მისი შეწუხება, როცა სიტყვის მნიშვნელობათა ჩვენება ჰრ. აპარიანის ლექსიკონით უფრო მარჯვედ და ჯეროვნად შეიძლება?!

ეს საერთოდ, კერძოდ კი იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენი გულმოდგინეობით უნდა ვეპყრობოდეთ წყაროს და ვამოწმებდეთ სხვის ნაწერსა თუ ნათქვამს, მოვიყვან ავტორის მსჯელობას ხსენებული და მზნ სიტყვის შესახებ.

ქართული „დაშნის“ გარშემო გამართულ მსჯელობას, რაზედაც ცალკე გვექნება ქვემოთ საუბარი, ავტორი ურთავს შენიშვნას. აქ სწერია:

„სომხური *ჩაჯან* -ის კავშირზე აღნიშნულ საშუალო სპარსულ სიტყვასთან მიუთითებდნენ მიულერი, ზალემანი, ჰიუბშმანი, რასაც აპარიანი ხლნიშნავს თავის უტიმოლოგიურ ლექსიკონში სიტყვა *dašn* -ის ქვეშ (ტ. IV, გვ. 407).

„ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ გაუგებრობის, მექანიკური შეცდომის შედეგია,—განაგრძობს ავტორი,—როდესაც ილ. აბულაძე ბავარიაანის თავისი გამოცემის შესავალში (034) აღნიშნავს: „დაშნი „მორჩილ-თანახმასა“ და „მშვიდ-მოზავეს“ აღნიშნავდა ძველ ქართულში, ამასვე ნიშნავს ის ჩვენს ტექსტშიც. ასეთი მნიშვნელობა კი მოაქვს მას ფალაურიდან: *dašn*—vertrag, vereinbarung, და მიუთითებს Nyberg, Hilfsbuch II, გვ. 173, ჰრ. აპარიანის მიხედვით—VII, 1935, 119—120“. მაგრამ აღმოჩნდა,—დასძენს იქვე ავტორი,—რომ 173 გვერდზე ნიბერგის ლექსიკონში ასეთი მნიშვნელობით არის სიტყვა *pašn* და არა *dašn*, აპარიანი სლექსიკონშიც *dašn* არის IV ტომში,

გვ. 407, და არა VII-ში, გვ. 119—120“. მართლა ასეა? მართლა გაუგებრობას და მექანიკურ შეცდომას აქვს ადგილი? შევამოწმოთ ჩვენი ავტორის შენიშვნა.

ავტორის ორგზისი განცხადება, რომ დაშნზე აკად. აპარიანს თავისი ეტიმოლოგიური ლექსიკონის მხოლოდ IV ტომში ჰქონდეს საუბარი, სწორი არაა. ჯერ ერთი მას ერთხელ კი არა, არამედ ორჯერ აქვს საუბარი „დაშნ-

ის“ შესახებ თავის კაპიტალურ ნაშრომში: პირველად მეორე ტომში და არა მეოთხეში (და ამას ყველა დამერწმუნება, რადგან *q*-სათვის ძალიან შორსაა IV ტომი; სულ ძირითადი ნაწილი ექვსი ტომისაგან შედგება), მერმე კი დამატებით ტომში, VII-ში, რომელიც სხვათა შორის შეიცავს *addenda*-სა და *corrienda*-ს, სწორედ აქ, თავის ადგილს, 119 და 120 გვ. გვ-ზე იკითხება:

ქაზჯ „პირობა, თანხმობა“, რაც ამ სიტყვის პირველადი მნიშვნელობაა“. ეს მნიშვნელობის შესახებ, ხოლო ეტიმოლოგიაზე ნათქვამია:

„ფალ. *dañ* სინონიმადანაა, რაც გვხვდება მხოლოდ ერთხელ *pañ* მცდარად გამოსახული დაწერილობით და რომელსაც Nyberg-ი *Hilfsbuch* 2, 173 გვიხსნის: *etwa Vertrag, Vereinbarung*. ეს განმარტება სწორედ ისაა, რაც სომხ. *qaxz*-ისა—'პირობა' თანხმობა'. Nyberg-ი ამბობს, რომ მისი წაკითხვა ჰიპოთეტურია (*meine Lesung ist hypothetisch*), რის გამო ვასწორებ მცირე შესწორებით *dañ* (p-ს ნაცვლად d). ამათთან ერთად იგივეა ქართ. და შნი 'თანამონაწილე'. 'თანამონაწილე', რაც სესხებულია ირანულიდან“.

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, საკიყინებელი არაფერი ყოფილა. საგულისხმო კი ის არის, რომ აკად. აჭარიანი, რომლისთვისაც პირველადვე *qaxz*-ზე სიტყვის ჩამოგდებისას (II ტ. გვ. 407) ცნობილი იყო ყველა ის მოსაზრება, რომლებიც გამოთქმული იყო სამეცნიერო ლიტერატურაში, ეკვით უცქეროდა მათ, რადგან მისთვის, ეტყობა, დიდი იყო დაცილება სემანტიკის მხრით სომხური სიტყვის პირველად მნიშვნელობასა და მასთან დაკავშირებული ირანული სიტყვების მნიშვნელობებს შორის, რაც ნარკვევების ავტორს დღესაც დაბრკოლებად არ მიაჩნია და იწყნარებს კიდევაც მათს ასეთ კავშირს. მაგრამ მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა სომხ. *qaxz*-ის პირველადი მნიშვნელობის შესატყვისი ჰიპოთეტურად ამოკითხულ ფალაურ *pañ*-ში, რაც ნამდვილად *dañ*-ის არსებობას ადასტურებს ამ ირანულ ენაში, მან მათ შორის ნამდვილი კავშირი დაინახა და დაასკვნა: სომხ. *qaxz* ფალაურიდან არის ნასესხები, ისე როგორც ქართულიო.

საბოლოო დასკვნა პრ. აჭარიანისა ყოველმხრივ სწორია და დამაჯერებელი, და ამდენად გასაზიარებელიც, რის გაგებასა თუ დამოწმებაში არც გაუგებრობა მოსვლია ვისმე და არც მექანიკური შეცდომა.

ეხლა ავტორისეული ახალი ეტიმოლოგიების რამდენიმე ნიმუშის შესახებ. ქ უ ღ-ი.

ეს სიტყვა ფორმისა და შინაარსის მიხედვით ნარკვევების ავტორს მიაჩნია. თითქოს კავშირში იყოს ან ოსურ *xud/xod*-თან ანდა ძვ.-ირანულ *xauda-*, ძვ. სპ. *figra-xauda*-სა თუ სპარსულ *xūd*-თან, რაც ნიშნავს 'ჩაფხუტს', 'მუზნარადს'.

„გადაწყვეტით არ შეიძლება ითქვას—წერს ავტორი—სპარსულიდან არის შემოსული თუ ოსურიდან“.

ამასთან აფიქრებს ისიც, რომ ირანულ *x*-ის საპირისპიროდ ქართულში „ქ“ არის, რაც მისივე სიტყვით „შედარებით იშვიათად გვხვდება „ირანულიდან ნასესხებ სიტყვებში“.

სამაგიეროდ მეტი სიმტკიცით გვათავაზობს, როგორც ს ა კ ე თ ა რ შე ხ ე დ უ ლ ე ბ ა ს, რომ საშ. სპარსული *xōd* სპ. *xūd* ქართულში შემოსულია სომხურის გზით ხ ო ი რ-ის სახით (გვ. 119). სომხურით იმიტომ. რომ სომხ. *խու*-ის ბოლო ბგერა *u* ირანულში d-ს შეესაბამება.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ეტიმოლოგია ქართ. ხოი-ისა დიდი ხანა ცნობილია და მისი კვლევა-ძიების ისტორიაც შეჯამებულად არის წარმოდგენილი იმ წყაროში, რომელიც უფრო მეტ გულისყურს მოითხოვდა ავტორისაგან საერთოდ და კერძოდ განსახილველ სიტყვასთან დაკავშირებით (სადაც სრულიად არაა მისი ხსენება). აი რას ვკითხულობთ ხსენებულ წყაროში:

„*ხიპი* სიტყვა ჩრდილო ფალაურია, *xōd ფორმიდანაა, რომელთანაც იგივე არიან: მენდ. xōda- 'ჩაფხუტი', ძველ სპ. xauda- 'ქული', სპ. xōi 'ჩაფხუტი', ავღანური xōi, ოსური xodā, xūd 'ქული', 'სარქმელი' (Horn § 512), მინჯანური (სპ.) დიალექტის xūlā 'ქული' როგორც პართული სახელისუფლო თუ სამთავრო ტომის საკუთარი საგანი ნასესხებია აგრეთვე სხვა ენების მიერაც, როგორც მაგ., სირ. xaudā 'ხოირი', არაბ. xūda 'ჩაფხუტი' (კამუსი, თურქულა თარგმანი I 726) და თვით დიალექტური სპ. xōd 'ჩაფხუტი', რასაც ხმარობს ფირდუსი ნაცვლად მკვიდრი სპარსული xoi-სა. ირანულ სიტყვას უკავშირებენ ლათ. cūdo-ს 'ჩაფხუტი' და ყველა ერთად წარმომავლად მიაჩნიათ პრაენის sqeu- 'ხურვა', 'დაქმა' ძირიდან (Walde 207, Meillet MSL 18,64“.

სიტყვის ეტიმოლოგია წყაროს, — მხედველობაში მაქვს აკადემიკოს პრ. აპარიანის „სომხური ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (III ტ. გვ. 569—570), — მოყვანილი აქვს ჰიუბშმანის ცნობილი შრომის მიხედვით, გვ. 160.

აქვე თვითონ პრ. აპარიანის დამატებაც მოიპოვება:

„ქართული «ხვირი» გინა «ხოირი» ('გვირგვინი', 'ხოირი'—იერემია 52, 18) სესხებულია სომხურიდან, როგორც ამას გვიჩვენებს ბოლოკიდური ბგერა *ϣ* ნაცვლად *d*-ისა“.

დასახლებულ წყაროში მოიპოვება „ქულ-თან“ დაკავშირებული საგულისხმო მასალაც. თავისი „სომხური ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ II ტომში აკად. აპარიანი წერს:

„ჩვენ სიტყვასთან—გულისხმობს *ფჳსჳ*-ს— იგივე არიან ქართ... ქული 'ქული', 'თავსაბურავი', მე ქულე 'ქულის მეკრავი', ჩაჩნ. ქულე, მეგრ. ქული, ქხული, ლაზ. ქული, თუშ. ქულ 'თავსაბურავი', 'ქული'. მაგრამ რა ურთიერთობა აქვთ მათ სომხურთან? შესაძინებია, რომ ამათ არ მოეპოვებათ *-სჳ* ნაწილაკი და წარმოადგენენ ჩვენს ძირეულ ფორმას. ამიტომაც ეგების ჩვენი *ფჳსჳ*-ი სესხებული იყოს კავკასიურ ენათაგან, ანდა ყველა ერთად ხალღურიდან? M. Riabinin-ი MSL 10, 16-ში ქართულ სიტყვას უკავშირებს ფალ. xūd, xūd-ს, ზენდ. xōda-ს ძვ. სპ. xauda-ს, სპ. xūd. 'ხოირ' სიტყვებს, რომელთაც აქ ჩვენთან კავშირი არა აქვთ, როგორც ამას ფიქრობს აგრეთვე ნ. მარი 3BO 9, 306. უკანასკნელი ქართული სიტყვის ძველ ფორმად თვლის *გუტ-ს, რომელსაც პოულობს სომხ. *ფჳსჳ* ← **ფჳსჳსჳ* სიტყვაში“ (გვ. 110-111).

ამრიგად, „ქული“ და „ხოირი“ მოყვანილი წყაროს თანახმად ცალკეულ ერთეულებად არის მისაჩნვეი, ისე რომ მათი წარმომავლობა ურთიერთისაგან განსხვავებულია.

ზ ა რ ი.

„შესაძლებელია—წერს ამ სიტყვასთან დაკავშირებით ნარკვევების ავტორი—ქართ. სიტყვა „ზ ა რ ი 'შიშ-ის', 'საშიშ-ის' მნიშვნელობით

დაეუკავშიროთ საშუალო სპარსულ სიტყვას *zahr*-ს შედარებით პართული *zahr* 'შხამი', ტურფ. ფალ. *zahr*, ახ. სპ. *zahr* 'შხამი', 'საწამლაკი', 'დარდი', 'ნაღველი', 'რისხვა', 'აღშფოთება' (გვ. 323)".

ამ შესაძლებლობით უარყოფილია აქამოდის გამოთქმული მოსაზრება, რომ „ქართ. ზარი წარმოდგება სომხური *აჰრ* ფორმის პრეეკრბიანი **ჟაჰრ* -ისაგან. ჩვენი დაკარგული ბგერა *ჰ* ქართულში შენახულია“ (პრ. აკა-რიანი, I ტ., გვ. 100).

უარყოფილია მეტი ვამბობ, ნამდვილად კი უარყოფის შესახებ შრომაში ხმა არაა დაძრული, საერთოდ არსად არის დასახელებული წყარო—იმავე პრ. აკარიანის „ეტიმ. ლექსიკონი“,—რომელშიც ქართული „ზარის“ შესახებ არის საუბარი სომხურ *აჰ* სიტყვასთან დაკავშირებით.

დასახელებულმა წყარომ იცის, რასაკვირველია, ირანული *zahr* „შხამი“, რომლიდანაც, პიუბშმანის თანახმად, სესხებულია სომხ. *ძაჰრ* „შხამი“, რასაც სომხურ *ჟაჰრ* -თან „შიშთან“ საერთო არა აქვს რა.

ასევე უარყოფილია ხსენებული წყაროს დაკვირვება, რომ ქართული ანაზდად (ანაზდ) სესხებულია სომხურიდან ან უარყოფითი ნაწილაკის მიზეზით. აქაც ამ სიტყვაზე საუბრისას (გვ. 224—225) არსადაა მითითებული აღნიშნული ადგილი, მაშინ როცა მოხმობილია ალ. ხუდაბაშიანის „სომხურ-რუსული ლექსიკონი“, რომელმაც სავსებით არ იცის სომხ. *ანაჟჟ* სიტყვა, რომლის დამოწმება უფრო უპრიანი იქნებოდა ავტორისათვის, ვიდრე ალ. ხუდაბაშიანის ლექსიკონიდან აღებული *ანაჟჟასი*, რომელიც *ანაჟჟ*-ისაგან არის წარმოქმნილი.

ქართულ წყაროსაც რომ ზოგჯერ მეტი დაკვირვება ესაჭიროება, ამას „ჩადაგის“ ეტიმოლოგია აჩვენებს.

ჩ ა დ ა გ - ი .

ასეთი ძირეული სახელი,—მნიშვნელობით: 'ძველი ფეხსაცმელი', 'ჭლანი'—მოჰყავს ავტორს ევსტათე მცხეთელის წამების წიგნში ხმარებული მეჩადაგე („მეჩადაგენი“) წარმოქმნილი სახელისათვის.

ქართულის ამ ფორმისა და შინაარსის სახელი ავტორს ყურადღებას მი-აპყრობინებს ერთი მხრით საშუალო სპარსულისათვის ნავარაუდები **zatak* ისა და არსებული *zatak*-ისაგან, ხოლო მეორე მხრით ახ. სპ. *აჯ*-ისაგან, რაც უოფილა: 'ძველი', 'ნაცვეთი', 'ნატარები'. ამასთან კავშირში წარმოუდგენია ავტორს ძვ. ირ. **jataka*, *jan* 'ცემა', საშ. სპ. *žatan žak* და სპ. *जक*—'ცემა', 'დარტემა', 'რახუნი' და სხვა (აღბათ ძირების დაკვრა, შდრ. რუს. „подбивать подметки“, გვ. 415).

რამდენადაც პირველი ვარაუდი მეტ სიახლოვეს იჩენს ქართულთან, იმდენად ის შეიძლება ადამიანმა სარწმუნოდ მიიჩნია, ვიდრე სხვები.

მაგრამ ეს კი არ მიგვაჩინა ავტორთან საცილობლად, არამედ ის, რომ მან საბასთან ვერ დაინახა ნამდვილად საშუალო სპარსულიდან მომდინარე ქართული სიტყვა.

წარმოქმნილი „მეჩადაგე“ სახელისათვის ძირეულ სახელად „ჩადაგი“ სწორად არის აღებული. ასეთი სახით გასწორებულია საბასთან ხმარებული „ჩადაგო“ (მან „ჩადაგი“ ფორმა არ იცის), რაც ავტორს, ცხადია, შეცდომად

თუ lapsus-ად წარმოუდგენია და მიტომაც აღნიშვნის ღირსად არა თვლის მას.

საბა რომ თავისი „ჩადაგოთი“ შეცდომას არ უშვებს, ამას ამ სიტყვის შემცველად დასახელებული წყაროს ჩვენება ამოწმებს. მის მიერ მითითებული ძველიდან („სულწმიდის მეტაფრასიდან“) მოყვანილი ციტატი „ჩადაგოს“ ხმარობს, რაც საბას, ეტყობა. ევსტათე მცხეთელის წამების წიგნის „მეჩადაგეს“ აგონებს და მის მიხედვით განმარტავს კიდევაც მას („ჩადაგოს“). რაც სწორი არაა.

„ჩადაგო“ აქა-იქ სხვაგანაც გვხვდება ძველად. მისი შინაარსი, პარალელური სომხური ტექსტების თანხმობით, არის: „მქვერმეტყველი“, „მეოხი“. „შუამდგომელი“ და „დამცველი“. სწორედ ეს მნიშვნელობები მოეპოვება ფალ. jastagw-სა და მისგან მომდინარე სომხ. յասագով-ს. და უფრო მეტად ქართულთან ახლო მდგომ ფაზ. jastagw-საც.

„ჩადაგო“ გვხვდება „საქმე მოციქულთას“ უძველეს რედაქციებში, რაც ამ სიტყვას ძველი ქართული მწერლობის ადრინდელი ტექსტების კუთვნილებად წარმოგვიდგენს.

სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ „საქმე მოციქულთას“ უძველეს რედაქციაში მოიპოვება ირანულიდან სესხებული ზოგი სხვა სიტყვაც, რომლებიც უნდა ასახულიყო სარეცენზიო ნაშრომში (ზოგ მათგანზე დაკვირვებანი გამოქვეყნებულიცაა), მაგრამ მასში მათ შესახებ არსადაა მითითება (ასეთებია: ფრობინი, ბანდაკი, ჩადაგო).

ბიბლიის ცალკეულ წიგნებთან ერთად, ჩვენი აზრით, გამოყენებული უნდა ყოფილიყო უფრო ფართოდ ძველი ქართული თარგმნული აგიოგრაფიის ძეგლები, რომლებიც დიდი ინტერესით იცემოდა და გამოდის ჩვენში. საშუალო სპარსულის არა ერთსა და ორს, ჯერ კიდევ უცნობ სიტყვას იქაც მოიძევდა მკვლევარი.

საერთოდ წყაროების შერჩევისა და გამოყენების პრინციპის შესახებ მონოგრაფიულ ნაშრომში საჭირო იყო საგანგებოდ თქმულიყო რამ.

წყაროებთან ერთად სამეცნიერო ლიტერატურასაც, ჩემი აზრით, მეტი ანგარიში უნდა გაწეოდა და ზოგიერთ მათგანს რომ გვერდი არ ჰქონდეს ავლილი, ნაშრომი არას წააგებდა. თქმულის სამოწმოდ შეიძლება მოვიყვანოთ: ნ ა ზ -ი.

ეს სიტყვა ნასესხებია ახალი სპარსულიდან, —წერს ავტორი, —და ჩამოთვლის მის ფორმებს როგორც ახლის, ისე საშუალო სპარსულისა და სხვებისას. ზოგიერთი ამათანისთვის ძველ ქართულშიც მოვეპოვება შესაბამისი სახე. მაგ., ნ ა ზ ო ქ ი, რაც აღნიშნულია შესავალ წერილში, რომელიც წინ უძღვის ამ სიტყვის შემცველ წყაროს, რაც 1964 წელსაა გამოცემული („უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა იღეთათასას“ და გრიგოლი ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათვის“... თბ., 1964, გვ. 25).

ასეთივე შესავალი წერილს უგულვებლყოფასთან გვაქვს საქმე მაშინაც. როცა ავტორს საუბარი აქვს ჯერ-ჯერობით მხოლოდ „ბალავარიანში“ შენიშნული „გრო“-ს შესახებ. მისი დასკვნით ეს სიტყვა ქართულს ნასესხები აქვს საშუალო სპარსულიდან.

შესავალ წერილში „ბალავარიანისა“, რომლის ლექსიკას საერთოდ გულ-

მოდგინედ მოიხმობს ავტორი, ამ სიტყვის შესახებ შემდეგი სწერია (გვ. 034).

„ახალ გამოვლენილად უნდა მივიჩნიოთ გუნდის აღმნიშვნელი „გრო“ (94,25) სიტყვა, რომელიც ფალაურია (grōh) და ჩვენი ტექსტში გვხვდება რამდენჯერმე. ამ სიტყვის ფალაურიდან მომდინარეობა იმასაც ჰყენს ნათელს, რომ ეს სიტყვა ჩვენი ენის ლექსიკაში არაბობამდელია, ე. ი. VIII ს-მდელი.

ეს სიტყვა სომხურსაც მოეპოვება. მისი ფალაური წარმომავლობა პირველად გაარკვია ჰიუმბანმა, რომლის შეხედულებას იწყნარებს პრ. აჰარიანი.

მგონია, ზედმეტი არ უნდა აღმოჩენილიყო ავტორისათვის ისეთი წერილიც, რომელიც სპეციალურად ეხება „გლახ“ ტერმინს, მის მნიშვნელობას ქართულში და წარმომავლობის საკითხს. არსად არაა მითითებული ამ შრომაზე, რომელიც დაიბეჭდა 1959 წ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბეში, I, გვ. 167—175.

ნამალადევად გამოიკვირება gilak/gilah ('ტირილი', 'ჩივილი', 'ვაება') საშუალო სპარსულის სიტყვებიდან „გლახ/გლახაქის“ წარმოშობა.

საშუალო სპარსულის (ნიბერგით კი ახალი სპარსულის) gilah-ის (დამოწმებულის ნიბერგის შრომით, გვ. 81) გადასვლა glax-ად (რაც არაა დადასტურებული რაიმე წყაროთი) და აქედან ქართული გლახაქის მიღება, დამაჯერებლად არ შეიძლება ჩაითვალოს.

არაფერია აღნიშნული „ხუარბალ“ სიტყვასთან, თუ ვისმეს რამე უთქვამს მისი მნიშვნელობისა და წარმომავლობის შესახებ. თქმით კი ამ სიტყვის ეტიმოლოგიის გარშემო უთქვამთ ივ. ჯავახიშვილს, არნ. ჩიქობავას, ს. ყაუხჩიშვილსა და სხვ... საკითხავია, სად, თუ არ მონოგრაფიულ ნაშრომში უნდა ეპოვა ადგილი ასეთ მომენტებს?!

ასეთია ზოგიერთი ჩვენი შენიშვნა სარეცენზიო წიგნზე. ისინი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ ატარებენ რაიმე მომაკედინებელ ისეთ ცოდვებს, რომლებიც საგანგებო ჩრდილს აყენებდნენ მისი ავტორის უთუოდ კარგ ჩანაფიქრსა და მის ასევე უშურველად გაწეულ შრომას.

ილია აბულაძე

ქართულის კვალი კველი სომხური მწერლობის ერთს კვლავი

ხომხური პატერიკის წყაროხ საკითხიხათვის

ძველი სომხური მწერლობის ის ძველი, რომელშიაც ქართულის კვალს შვენიშნავთ, სამეცნიერო ლიტერატურაში პატერიკის სახელით არის ცნობილი. სომხურად ის *Հայասնի վարդ*—ქარანც ვარქ-ად (ე. ი. მამათა ქცე-ვად ანუ ცხოვრებად) იწოდება, ხოლო ქართულად—*«მამათა ცხოვრებად»*. ეს ძველი დიდად საგულისხმო ნაწარმოებს წარმოადგენს საშუალი საუკუნეების მსოფლიო საეკლესიო მწერლობისათვის. მისი სახელწოდების მიხედვით მოსალოდნელი იყო გვეფიქრა, რომ ასეთი სახელის მატარებელ კრებულში საუბარი იქნება ამა თუ იმ პირის ცხოვრება-მოქალაქობის შესახებო, მაგრამ აქ საეკლესიო მოღვაწეების ცხოვრებათა მთლიანი წიგნები კი არ მოგვეპოვება, არამედ მათი თავგადასავლის ცალკეული ეპიზოდებია თავმოყრილი გარკვეული რიგის მიხედვით. ეს მოღვაწენი უმეტესად მოწესეები ანუ ბერ-მონაზვნები არიან, ზოგნი დიდად ცნობილი ეკლესია-მონასტრების მამანი (განსაკუთრებით მეგვიპტელნი) და ზოგნი უცნობნიც, რომელთა სახელები ხშირად არც არის აღნიშნული. მამათა და მოწესეთა შესახებ ნაამბობნი, ანუ თხრობანი, როგორც მათ ძველად ეძახდნენ, თვითმხილველი ავტორების კალამს კი არ ეკუთვნიან, არამედ ისეთი გამოთქმელების ნაწარმოებებს წარმოადგენენ, რომლებიც უმთავრესად გადმოცემების ლიტერატურულ დამუშავებას ეწევიან.

ლეგენდარული ხასიათის ასეთი თხრობანი, რომლებიც საბერმონაზვნო ცხოვრების წარსამართავად არიან გამოთქმული, დიდად საინტერესონი არიან თავიანთი ფორმით,—თხრობათა ნოველური და ზღაპრული სტილით. ეს გარემოება შეიქმნა მთავარი მიზეზიც იმისა, რომ პატერიკების ნოველებსა და ლეგენდებს დაეწაფა აღორძინებისა და ახალი საუკუნეების მრავალი ევროპიელი სახელგანთქმული მწერალი, რომლებიც უხვად იღებდნენ. მათგან მათთვის საგულისხმო სუეტებს¹.

ასეთი დამოკიდებულება პატერიკისადმი არც გვიანდელი საშუალი საუკუნეების სომხური მწერლობისათვის არის უცხო. სომხური «მამათა ცხოვრე-

¹ შდრ. აკად. А. С. Оразов. Древняя русская литература—XI-XVI вв. Москва—Ленинград, 1937, გვ. 40—43.

ბისა გავლენა სომხურ ორიგინალურ მწერლობაზე და განსაკუთრებით იგავ-არაკულ ლიტერატურაზე, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელი ვარდან აიგეკელია (XIII ს.), მეტად დიდია. არა ერთი შეხვედრა დაადასტურა მამათა ცხოვრების თხრობებსა და ვარდანის არაკებს შორის აკად. ნ. მარშა, რომელმაც დიდი გულმოდგინებით გამოაქვეყნა ვრცელი გამოკვლევითურთ ვარდანის იგავ-არაკები¹.

რა გავლენა მოახდინა მამათა ცხოვრების თხრობებმა ქართულ ორიგინალურ შემოქმედებაზე, არ ვიცით, რადგან ამ მხრით ეს ძეგლი არავის გაუხდია შესწავლის საგნად. რომ უკვალოდ მას არც ჩვენში უნდა ჩაველო, თვით ვეფხისტყაოსნის ავტორისათვისაც კი, ამას ზოგიერთი მსგავსებაც მოწმობს, ძეგლებს შორის რომ შეინიშნება. ასე, მაგალითად, შოთას ქმნილების ადგილი:

„გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“
(საიუბ. გამოც.: 901),

ეხმაურება მამათა ცხოვრების ადგილს:

„ვითარცა მსახვრალი ტკბილთა მიერ სიტყუათაგან მყეცსა მას
ქურელისაგან“...
(საქ. მუხ. ხელნაწერთა A ფონდი № 1105, 453v).

ანდა:

„უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, ნით ოხერია“
(საიუბ. გამოც.: 1090, 3),

ასეთს პარალელებს პოულობს მამათა ცხოვრებაში:

1. „უფამოდ და უზომოდ ქმნილი ყოველივე მოკლე არს და მცირედ ეამისა და უფროსდა სანებელ არს, ვიდრე სარგებელ“

(საქ. მუხ. ხელნაწ. A ფონდი, № 1105, 283v).

2. „ყოველივე საქმე, რომელი არა უნდეს სულსა, იგი მოკლე არს და მცირედ ეამისა“

(იქვე: 353v).

მაგრამ ყველაფერი ეს ცალკეა საკვლევი და ეხლა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს. ამჟამად ჩვენ პატერიკების ქართული და სომხური ვერსიების სახეები გვაინტერესებს და, რაც მთავარია, ხომ არ არსებობს მათ შორის რაიმე კავშირი?

ქართულად მამათა ცხოვრების რამდენიმე რელაქცია მოგვეპოვება. ორი მითგანის არსებობა აკად. ნ. მარშა შენიშნა, როდესაც ის ათონის ქართულ ხელნაწერებს სწავლობდა. ისინი X—XI საუკუნეების ნუსხეებით არიან მოღწეული (№ 50 და № 51)². პირველი (№ 50), რომლის მასალა თემატრიკურად არის დალაგებული, შეიცავს 38 თავს. თხრობანი აქ უმთავრესად ეკლესიის ცნობილ მამებს მიეწერებიან (იოანე ოქროპირს, ეფრემ ასურს, ბასილ კესარიელსა და სხვ.). ეს ვერსია, როგორც აკად. ნ. მარშა დაადგინა, ემხრობა

¹ Н. Марр. Сборники притч Вардана, материалы для истории средневековой армянской литературы, чч. I, II, III, СПб., 1894.

² Н. Марр. Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера, ч. I: Описание пяти пергаментных рукописей. ЗВО, т. XII, СПб., 1901, гв. 3—36.

ფოტი პატრიარქის მიერ (IX ს.) შედგენილ 'Anḁrḁw ḁḁḁw β(β)იც-ს (Migne, P. G. CIII, გვ. 664—665)¹. მეორე ქართული რედაქცია კი (№ 51), იმავე აკად. ნ. მარის თანახმად, მოქმედ პირთა ანბანური რიგითაა გაწყობილი და ემხრობა ბერძნულ ერთ-ერთ რედაქციას, ცნობილს 'Αποφθέγματα τῶν ḁḁḁw πατέρων-ს (Migne, P. G. LXV, გვ. 71—440)².

ხსენებულ რედაქციათა გარდა კიდევ მოიპოვება ქართულად სხვებიც. ამითი სახეები და ტიპური ნუსხები, რომლებიც თბილისის სიძველეთ საცავებშია დაცული, აკად. ე. ქეკელიძემ გაარკვია და აღწერა³. აქიდან ვცნობილობთ, რომ ჩვენებური ნუსხებიდან ერთი მოკლე რედაქციას წარმოადგენს, რომელიც ერთადერთი და ნაკლებეანი ნუსხითაა მოღწეული, ხოლო მეორე, რომელიც მრავალი ნუსხითაა წარმოდგენილი, ვრცელია. ორივე ბერძნულიდან არის ვადმოთარგმნილი, პირველი ევთვიმე ათონელის მიერ და მეორე თეოფილე ხუცეს-მონაზონისაგან. რედაქციულად ამათი დედნები ერთმანეთისაგან არ უნდა ყოფილიყვნენ განსხვავებული, მხოლოდ ცალკე არსებობდა ბერძნულადც მოკლე სახის მამათა ცხოვრება თუ არა, ამის თქმა, ძნელია, რადგან ცნობილია, რომ ქართული მოკლე ნუსხის მთარგმნელი ჩვეული იყო „კლებასაცა და შენატებასაც“. ვრცელი ქართული მამათა ცხოვრება 25 თავისაგან შედგება; დაყოფა თემატიკური წესით არის შესრულებული, ისე როგორც მოკლესიაც. თვითეული თავის ქვეშ მოქცეული ეპიზოდები მამათა ანბანური რიგითაა დალაგებული, თუმცა მათ შორის ცალკე თხრობათა სახით ისეთი შემთხვევებიც არის ხოლმე აღწერილი, რომლებიც რომელიმე მოწესის სახელთან არაა დაკავშირებული. ჩამოთვლილ რედაქციებს გარდა ქართულად დაცულია კიდევ აპარხლის მრავალთავშია (A—95) ის ეპიზოდები მამათა ცხოვრებებისა, რომლებიც ანტონი მეგვიპტელს მიეწერება, სახელწოდებით — სწავლანი დიდისა ანტონისნია. თავისი ენით ესენი ყველა დასახელებული რედაქციისაგან სხვაობენ.

ესენია ქართული მამათა ცხოვრების ძირითადი რედაქციები. როგორც ვხედავთ, მით დიდად ყოფილან ძველად დაინტერესებული და რამდენჯერმეც კი ვადმოუღლიათ ქართულად. არც ერთი რედაქცია სამწუხაროდ დღემდის არაა გამოქვეყნებული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში აკად. ნ. მარის მიერ აღწერილ ნუსხათაგან. გამომზევებულ ზოგიერთ ნიმუშს, რომლებიც მან უმთავრესად ენობრივი ინტერესებით შეარჩია, და აკად. არნ. ჩიქობავას მიერ ევთვიმე ათონელის თარგმანის X საუკუნის ნუსხიდან აღებულ ერთ ფურცელს, რომელიც მან პალეოგრაფიული ინტერესით პალეოგრაფიური სავარჯიშოს II რვეულში მოათავსა⁴. გამოსაქვეყნებლად კი ღირდა დასახელებული

¹ Н. Марр. Агиографические материалы по грузинским рукописям Иверы, ч. I: Описание пяти пергаментных рукописей. ЗВО, т. XIII, СПб., 1901, гл. 9—15.

² იქვე, გვ. 35.

³ ე. ქეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, I ტ. მეორე გამოცემა, 1941 წ. გვ. 503—505.

⁴ არნ. ჩიქობავა. სავარჯიშო ქართულ პალეოგრაფიაში, რვეული II, ტფილისი 1927 წ., გვ. 13—14.

ძეგლი, რადგან ის არა მარტო ლიტერატურის ისტორიისათვის არის მნიშვნელოვანი, არამედ ქართული ენის ისტორიისათვისაც, კერძოდ ქართული ლექსიკონისათვის, როგორც ეს ყველაზე უწინარეს სულხან-საბა ორბელიანმა შენიშნა და ერთ-ერთ ძირითად წყაროდაც გაიხადა თავისი ლექსიკონისათვის (თეოფილეს თარგმანი მხოლოდ, როგორც ამის მის მითითებათა შეჯერება არაკვეს) ¹.

სომხურ ხელნაწერ ფონდებშიაც *Հարանց վարք* (შემათა ცხოვრება) უხვად ჩანს წარმოდგენილი სხვადასხვა დროის ნუსხებით, მაგრამ რაწინაირი მიმართება არსებობს მათ შორის, დადგენილი არაა. სულ ნათელი ეს მხარე არც ამ ძეგლის, ვენეციელი გამომცემლისათვის ჩანს, რის გამო აკად. ნ. მარის შენიშვნა, რომ „вообще, рукои истое предание по отвошению этого рода армянских памятников, даже опечатанных, не вполне выяснено“, სწორია დღევანდელი დღისთვისაც. აირველი გამოცემა, რომელიც ისპაჰანს არის შესრულებული 1641 წელს, ამ საუკუნისათვის გავრცელებული ხელნაწერების ბექდვითი განმეორება ჩანს, ხოლო მეორე გამოცემა, ვენეციისა ², 1855 წელს გამოქვეყნებული, ათიოდე სხვადასხვა მოცულობის ნუსხის მიხედვითაა გამოცემული. გამომცემელს, როგორც წინასიტყვაობიდან ვერუბილობთ, მხედველობაში მიუღია ხელნაწერთა ჩვენებანი და ენობრივი თვისებანი და ამიტომ წინანდელი გამოცემის ტექსტი დაუნაწევრებია: ერთი წილი აღრინდელ თარგმანად აქვს აღიარებული და გამოყოფილად ბექდავს სხვა ნუსხებში დაცულ და გვიანდელ თარგმანად მიჩნეულ ტექსტთან ერთად, ხოლო მეორე ნაწილი, რომელსაც ვარიანტები სხვაგან არ გააჩნია, მაგრამ ენობრივად ძველი არა ჩანს, დამატებად აქვს დართული.

მეორე გამოცემის რედაქტორი, როგორც აღენიშნეთ, ენას დაჰკვირვებია და ასკვნის, რომ სომხურ შემათა ცხოვრებაში, რომელიც დროთა მსვლელობაში თანდათანობით ივსებოდა ახალ-ახალი თარგმანებით, შეინიშნება როგორც სირიული გავლენა, ისე ბერძნულისაცო, რასაც აკად. ნ. მარიც იდასტურებს ³. ის გარემოება, რომ გავრცელებული სომხური ვერსია შემათა ცხოვრებისა სხვადასხვა ხანისა და სხვადასხვა ენიდან ნათარგმნ კრებულს წარმოადგენს, იმისათვის ვინც საზოგადოდ ქართულისა და სომხური მწერლობის ძეგლების მიმართებას სწავლობს, ბუნებრივად სევამს კითხვას: ჩანს თუ არა რაიმე დამოკიდებულება ამ მხრით სომხურსა და ქართულ შემათა ცხოვრებებს შორის?

პირველი შედარებიდანაც კი, რომელიც ჩვენ ქართული და სომხური ტექსტების პარალელური ჩაკითხვით მივიღეთ, გარკვეულად აღინიშნება კვალი ერთის გავლენისა მეორეზე. ამის სამოწმო ადგილები შემდეგია:

¹ თბილისური ნუსხები (შერჩევით) ამ ძეგლის ყველა რედაქციებისა გადმოწერილი მაქვს და ვამზადებ გამოსაცემად.

² *Վարք սբոյց և քալաքավարուքինքնց նոցիւն ըստ կրկնի Քաղզմանու թևան նախնեաց*. Կառ. I & II, *Վենետիկ*, 1855.

³ Н. М а р р. Описание пяти пергаментных рукописей... გვ. 86.

1. «თქუა მამამან ანტონი,—ვითარცა თევზთა დარ[აბ]-ეყოენოს ზღსაგან კიდე ვმელსა ზედა და ;მოკუ[დებინ], ესრეთვე მონახ[ონნი, უკუეთუ] იყოენიან სენაქისაგან, გინა ერისკაცთა თანა იქცეოდინ, მოაკლდე ბიან დაცუდებისაგან...»

(A—1105: 67v).

სომხური ყოველმხრივ უდგას მხარში ქართულს. განსხვავება მხოლოდ ერთში: ქართულის „მოაკლდებიან“ სომხურში *მხიანჩეგხ*, ე. ი. ამოკლდებიან—აღა არის წარმოდგენილი, ისიც შეუფერებლად მომდევნო სიტყვისათან—*ჩანანჯარიოცქხნ*—სთან, რაც ქართულად მოგვეცემდა—„მოკლდებიან დაყუდდებიან“—ო. ცხადია, აქ მოკლდებიან არის ცუდად ამოკითხული „მოაკლდებიან“ და მისი ნაყოფია სომხურის უსწორობა.

2. «თქუა ბერმან, ვითარცა სახედ უცხოსა კაცსა უცხოსა შინა სახლსა ვერ ძალ უც დაყენებდა სხვსა, არა თუ ჰკითხოს სახლსა უფალსა, ესრეთვე და მტერიცა, არა თუ შეყვანებულ იქმნეს, ვერ შევალს. ხოლო შენ ილოცვედი და იტყოდე: უფალო, შენ უწყი, თუ ვითარ მოგ იგო მე, პირუტყვ ვარ და უგუნურ და არა რაა უწყი, შენ მომიყვანე მე მწყობრსა ამას საცხოვრებელსა, შენვე მაცხოვრე, ვითარცა უწყი...»

(A—1105, 37v—38r).

«Ասաց հայրն Անտոն. զոր օրինակ ձկնաչք թէ յամենցն ի ցամաքի՝ մուսանիցին, այսպէս և կրօնաւորք թէ ելելով ի սենեկէ յամենցին և կամ ընդ գեղջուկս շրջեցին՝ մեռանիցին ի հանդարտութիւն...»
(II հրատ. հատ. I, 807).

«Ասաց դարձեալ Յէրն. զոր օրինակ ի սուսօտար ոչ կարող է կացուցանել զժը, այլ ոք եթէ ոչ հարցանիցէ զսէր սուսն, այսպէս և թշնամի եթէ ոչ մտաւոյանի յանձն՝ աչ կարէ մտանել: Այլ զու աղօթելով ստացես. Յէր, զու գիտես թէ 'որպէս ստացար զիս. իսկ ես սնրան և თնայա սնասուսն სმ և գիտեմ և ոչ ինչ. զու արկելე զիս ի ღուთუ յայս აქთარաց քոց կայხეցიց. զու կხეցուցეს զიս որպէս և գիտես...»

(I հատ. 457—8).

აქ კი, მგონია, აღრევან „მოგება“—პასუხის გაცემასა—და „მოგება“—შეძენას—შორის.

3. «თქუა ბერმან განაშიშულე მახვლი შენი. ჰრქუა მას ძმამან, არამედ არა მიტყეებენ ვნებანი. ჰრქუა მას ბერმან: განალა წერილ არს—მაადე მე დღესა ჰირისა შენისსა და მე გიკნნა შენ...»

(A—1105, 33v—34r).

«Ասաց դարձեալ. Ի քաց խիցես զբանջար զի և ցրուես: Անէ ցნա եղբայրն. Ոչ թիլ սան ինն առնել այսպէ իմ: Անէ ցնա Յէրն. Գրեսալ է՝ կարգացես զու առ իս յաւար նեղութիւն քո, ևս փրկեսցի զքեզ...»

(I հատ. 464).

აქაც აგრეთვე ცუდად ამოკითხვის შედეგი ჩანს *բანჯარ* (=მხალი) მახვლისა. უბერხულობა, ეტყობა, შეუნიშნავთ გადამწერთ და დაუმატებიათ: *և ցրուես* (=და განაბნიე-ო; განბნევა კი მხლისა შეიძლება და არა მახვილისა).

4. აიყო ვინმე მეკრიტონე ქალაქსა რომელსაჲმე შინა. და მივიდა ვინმე მისვე ქალაქისაჲ და მიართუა მას ნამარხებუდა ხუთასი დრაჰკანი დაბეჭდულად, და ჰრქუა მას: „მიიღე ესე, და ოდეს მივმდეს, მცირედ-მცირედ მომცემდი მე აჰამთ“. ხოლო არავინ იყო მუნ, ოდეს მისცა მას დაბეჭდული იგი თვნიერ ერთი ვინმე წარჩინებულთაგან ქალაქისათა, გარეშეთ მეკრიტონისა მის. წარჰკლიდა და ესმა, და იხილა, ოდეს მისცემდა კაცი იგი განძსა მას ხოლო მეკრიტონე იგი მას ვერ ხედიდა.

წარჰდეს რამ მცირედნი რამე დღენი, საგმარ ექმნა კაცსა მას მიმცემელსა დრაჰკანი და ჰრქუა მეკრიტონესა მას: „მომეც მე დრაჰკინსა მისგან რათღენიმე, რამეთუ მიკმს“ ხოლო იგი მირღობილი იყო, ვითარმედ არავის უხილავს, არცა ვის ასმიეს, ოდეს მისცა მა

3. ლიტერატურული ძიებანი, ტ. II, 1944.

საფასშ იგი, უარ ყო და ჰრქუა: „რომლისა დრაჰენისაგან, ყოვლად არა ვიცი, თუ რასა იტყვ, არცა რაჲ მოგიცემეს ჩემდა“...». (A—1105, 384v)

რომ მეტად აღარ განვაგრძოთ ეს თხრობა, ისედაც ნათელია, რომ აქ მკერისტონე „ფულის მიმბარებელსა და შემდეგ პატრონის მოთხოვნისა-ებრ დამბარებელს“ აღნიშნავს. სომხურს შესაბამის თხრობაშიაც (ნათ. II, 369—370), რომელიც აქ სივრცელის გამო არ მომყავს, ყველგან მეკრისტონეს შე-სატყვისად *Մեկրխաոնէ* არის. ვენეციელ გამომცემელს ეს სიტყვა საკუთარ სა-ხელად მიუჩნევია და ამის გამო მთავრული ასოთი გადმოსცემს დასაწყის ზგერას¹. რომ ეს სახელი საკუთარი არაა, ამას, როგორც ვთქვით, თვით კონტექსტებიც მოწმობს. ამ სახელის ფუძე ბერძნული ჩანს, ისიც გვიანდელი ხანისა. როგორც ბერძნულის სათანადო ლექსიკონებიდან ირკვევა, ეს ფუძე χρυσών,—*წივიც* (ვა-მოთქმით: ქრისონ) სახელისაა, რაც აღნიშნავს der Schatz-ს ან *μαθη-δραχ-ε*-ს (ე. ი. Münzer, Münzarbeiter-ს)². ამ „ქრისონ“-ის პარალელური ხმარებისა თუ გამოთქმისა იყო აღბათ „კრისტონ“-იც, რომლიდანაც წარმოქმნილია ქართუ-ლი მაწარმოებლების საშუალებით—„მე-კრისტონე“. თუ ასეა, მაშინ ცხადია, საიდანაც მომდინარეობს სომხურში *მსკრխაოնէ*, რომელიც ყველა სომეხი ლე-ქსიკოგრაფის მიერ საკუთარ სახელად არის მიჩნეული. ამათგან არც აკად. ჰრ. აჭარია ან წარმოადგენს გამოწვევის. მას ეს სიტყვა თავის „ეტიმოლოგი-ურ ლექსიკონში“ (*Հայերէն արմատական բառերան*) არა აქვს შეტანილი, რაც იმას მოწმობს, რომ იგი მისაც საკუთარ სახელად მიუჩნევია (თუ, რასა-კვირველია, შემთხვევით არ გამოპჩენია).

დასასრულ კიდევ ერთი მაგალითი:

5. ჰრქუა მამამან მოხე: „კაცი, რომელი ივლ-ტოდის კაცთავან. მსგავს არს იგი ყურძენსა მწიფესა, ხოლო რომელი კაცთა თანა აღრულ იყოს, მსგავს არს იგი კაწახსა უნდილსა... (A—1105, 73v).

«Ասաց հայրն Մովսէս. Կրնասոր որ դա-խիցէ ի մարդկանէ, նման է հասուն խաղողոյ. Ինչ որ ընդ մարդիկ խառնուլ իցէ, է նա իբրև զկիտա ծն (Կվաթնալ ի յաղբիս უմա-րտեմ 1641 წლის გამოცემა; հատ. II, 505).

შედარება, როგორც ვხედავთ, მეტად მხატვრულია, რაც საერთოდ დამა-ხასიათებელი მხარეა ეპოპოსო (ეპოპოსო) ცხოვრებისა. ერთ შემთხვევაში ერთი მოვლენა მიმსგავსებულია „მწიფე ყურძენს“, ხოლო მეორეში „უნდილ კაწახს“, ე. ი. მკე-ახე რაღაც ხილს, რომელიც ფონეტიკური მსგავსების გამო „კოწახურ“-თან, შე-იძლება ვიფიქროთ, გარეული ყურძენია, ანუ ბოტანიკის ენაზე რომ იტყვიან—*berberis vulgaris L.*³. მართლაც ასე აქვს განმარტებული აკად. ჰრ. აჭარია-

¹ სულხან-საბა ორბელიანს შეტანილი აქვს ეს სიტყვა თავის ლექსიკონში, მაგრამ განმარტებას ვერ იძლევა, ადგილს კი მიათითებს, საიდანაც ის ამ სიტყვას იღებს. ეს სწორედ ჩვენი ძეგლია და მისი ზემოთ მოყვანილი თხრობა.

² ცნობების მოწოდებით ბერძნული ლექსიკონებიდან დამავალა თინა ყაუხჩიშვილი-შა.

³ „კოწახურ“-ი ოვანე გვარამაძის განმარტებით (ნ მისი ლექსიკონი, საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა II ფონდი, № 52), „ხილია წითელი, მოვრძელო წაყუდაკი, ოქტომბერ-

აღნიშნეთ, ის სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა უცხო წყაროს თარგმანთაგან შედგენილ კრებულად მიიჩნევა.

რადგან მამათა ცხოვრების ერთ-ერთმა ქართულმა თარგმანმა, რომელიც XI-ის გასულს არის ნათარგმნი ბერძნულიდან თეოფილე ხუცეს-მონაზონის მიერ, ისეთი შეხვედრები მოგვცა სომხურ ვერსიასთან, რომ მისი ზოგიერთი თხრობა ქართულზე აღმოჩნდა დამოკიდებული და მასთან ისიც გვაეარაუდებინა, რომ ქართულზე დამოკიდებული უნდა იყვნენ კიდევ სხვებიც, ამიტომ ბუნებრივად ისმის კითხვა, ხომ არ შეიძლება სომხურის წყაროდ ყოფილიყო აღნიშნული ქართული თარგმანი? ამ კითხვაზე გადაჭრით ვერას ვიტყვით, რადგან ასეთი იგი sens-ების შემცველი თხრობების სახე სხვა ქართული რედაქციების მხრით არ ვიცით, ვინაიდან ისინი ან დაკული აღარ არიან, დეფექტურობის გამო ხელნაწერისა, ანდა ჩვენთვის მიუწოდებელია, რადგან ჩვენში არ მოიპოვებიან (ათონის ხელნაწერები). საბოლოო პასუხს დასმულ კითხვაზე იმიტომაც ვერ გავსცემთ, რომ თვით იგი sens-ების დღეს მიმაკვლეველი ქართული თხრობები სომხურ სათანადო ტექსტებთან ყოველთვის ზედმიწევნილობას ვერ იჩენენ. ამდენად, მაშასადამე, მამათა ცხოვრების სომხური ვერსიის თხრობათა ერთი ნაწილის წყარო ქართულის ერთ-ერთი რედაქცია ჩანს, მაგრამ სახელდობრ რომელი, ამის თქმა ჯერჯერობით ძნელია. ადვილად შესაძლებელია, ეს უშუალო წყარო დღეს ქართულად აღარც მოიპოვებოდეს, მაგრამ მიუხედავად ამისა ფაქტი, რომ მამათა ცხოვრების სომხური ვერსიის თხრობათა წილი ქართულიდან არის ნათარგმნი, ურყევია.

ნათქვამის შემდეგ ბუნებრივად ისმის ასეთი კითხვა: როდის შეიძლება-და ქართულიდან ეთარგმნათ მამათა ცხოვრების თხრობანი სომხურად? მამათა ცხოვრების სომხური ვერსიის ვენეციელ გამომცემელს (1855 წ.) ენის თვალსაზრისით სომხური ტექსტი განაწილებული აქვს სამ ჯგუფად: ერთი ყველაზე ადრინდელია, კლასიკურია: სომხურის ხანისააო (V ს.), ერთიც შედარებით ყველაზე ახალია და ერთი კიდევ პირველის გვიანდელისა და უკანასკნელის წინა ხანისააო. ვინაიდან იგი sens-ების შემცველი თხრობები ძირითადად ამ უკანასკნელ ჯგუფში იმყოფება, ამიტომ ისინი ვერც შეტად ადრინდელი და ვერც შეტად გვიანდელი ვერ იქნებიან. როგორც ვნახეთ, თეოფილეს ქართული თარგმანი, რომელიც ყველაზე უფრო ვრცელია და ყველაზე გვიანდელი და უფრო გავრცელებულიც ძველს ქართულ სინამდვილეში, ყოველთვის ზედმიწევნილობას ვერ იცავს ტექსტობრივ იგი sens-ების შემცველ სომხურ თხრობებთან, რის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ სომხურის უშუალო ქართული წყარო წინარე ხანას ეკუთვნის, მეცხრე იმ მეთათე საუკუნისაა. ხოლო რამდენადაც ამ საუკუნეებში ქართული კულტურული წრეები, როგორც ეს სხვა მასალებიდან ჩანს, ხლო ურთიერთობაში იმყოფებიან სომხურ წრეებთან ტაოკლარჯეთსა და ზოგჯერ იერუსალიემს, ამდენად საფი-

ქ რ ე ბ ე ლ ი ც ა ა, ი ს ი ნ ი (ე მ ა მ ა თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა თ ხ რ ო ბ ა ნ ი)
ა ქ ე თ ა რ გ მ ნ ა თ IX—X ს.ს-ში.

რომ ქართულ კულტურულ წრეებთან ახლო ურთიერთობაში მყოფ სომხურ წრეთა ნაყოფს უნდა წარმოადგენდეს სომხური «მამათა ცხოვრების» გარკვეული ნაწილი, ამას ამ ძეგლის ქართულთან საერთო ხმარების ისეთი ლექსიკაც მოწმობს, როგორც წინანდელი ხანის სომხურ თარგმანებში არსად შეინიშნება და რომელიც სამართლიანად ქართულიდან ნასესხებად მიიჩნევა (ნ. ჯრ. *Անահիտ*. *Արմատական բառարան*). ასეთებია: ჯობი—*ջი/ა*¹, ძონძი—*ძონძ* (*ქორძონძ*), ბალღინჯი—*բաღჩინჯ*¹ და სხვ... თუნდაც აღნიშნული ძეგლის თარგმანს არ შეჰყოლოდა ეს სიტყვები სომხურ მწერლობაში, არამედ მანამდის ჰქონოდა ამთ სომხურში მოქალაქობა მოპოვებული, ისინი იმას მაინც მოწმობენ, რომ სომეხი მთარგმნელი ასეთი იშვიათი სიტყვების ხმარებით ქართულ გარემოსთან ახლო მდგომია. ის ვერ იქნება IX—X ს-ზე ადრინდელი მოღვაწე, რადგან ამ ამაში მას მისი თარგმანის ლექსიკა ამხელს, კერძოდ „ბალღინჯ“-ის ღ-ს გადაღება *ჯ*-თი, რაც, როგორც სხვა მასალებით მტკიცდება, IX—X ს-ზე ადრე აღარ შეიძლებოდა.

ИЛЬЯ АБУЛАДЗЕ

ГРУЗИНИЗМЫ В ОДНОМ ПАМЯТНИКЕ ДРЕВНЕ-АРМЯНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

К вопросу об источнике армянского Патерика

Резюме

1. В древне-армянском Патерике, считающемся сборником разновременных переводов с разных языков, замечаются разные *pop sens*-ы; происхождение их может быть объяснено лишь в том случае, если за оригинал рассказов, содержащих эти *pop sens*-ы, будет принят грузинский текст.

2. Присутствие таких *pop sens*-ов в упомянутом памятнике дает основание предполагать, что одна часть армянского Патерика переведена с грузинского, но какая из ныне существующих редакций грузинского Патерика лежит в основе древне-армянского перевода, трудно определить. Весьма возможно, что грузинский оригинал армянского перевода до нас и не дошел, но, несмотря на это, зависимость некоторых текстов армянского Патерика от соответствующих грузинских версий несомненна.

¹ სხვა ტექსტში არსად გვხვდება, აღნიშნავს აკად. ჰრ. აქარიანი თავის „ეტიმოლოგურს ლექსიკონში“.

3. Время армянского перевода, имея в виду общее развитие грузино-армянских литературных связей в прошлом, наряду с языковыми показателями перевода (лексического и фонетического порядка), приблизительно падает на IX—X вв.

Гор. Тбилиси
1 июня 1944 г.

К ОТКРЫТИЮ АЛФАВИТА КAVKAZСКИХ АЛБАНЦЕВ¹

Из древнегрузинских и древнеармянских источников известно, что народ, живший к востоку от Грузии и к северо-востоку от Армении (приблизительно на территории современной Азербайджанской ССР) и называвшийся у армян алванами, а у грузин *heg*-ами (а иногда и алванами) имел свою национальную письменность. Сведения о существовании письменности у албанцев дают нам, начиная с Корюна (V-й век) армянские источники, в том числе и Моисей Каланкатуйский (X в.), автор «Истории Албании». К сожалению, до нас не дошло никаких письменных памятников албанцев, даже ни одной строчки, которая свидетельствовала бы о духовной культуре названного народа. В Грузии и Армении, а также в других частях Союза ССР и за границей, были попытки найти какие-либо следы албанской письменности, но они остались безрезультатными. Встречавшиеся в армянских рукописях будто бы албанские алфавиты оказывались не «албанскими», (*աղբանի գր*, т. е. албанскими), но «алавскими» (*աղավանի գր* — «голубинным») представлявшими собой тот или иной вид армянского криптографического письма. Высказывались также предположения, что находимые в разных частях Восточного Кавказа надписи неизвестными буквами и на неизвестных языках являются албанскими, но такие предположения не находили подтверждения.

Несмотря на это, ряд ученых все же не терял надежды, что, рано или поздно, должны были быть обнаружены остатки богатой письменности этого народа. Такая надежда еще более усилилась с тех пор, когда в Грузии, лет 15 тому назад, благодаря усилиям проф. И. А. Джавахишвили и проф. А. Г. Шанидзе, были обнаружены древнейшие (V—VI вв.) письменные памятники грузин. языка сперва среди эпитафических материалов, а затем и в палимпсестах (т. е. ханметные и наметные тексты, опубликованные ими). Начиная с этого времени, я, будучи еще на студенческой скамье, часто слышал от моего учителя проф. А. Шанидзе, что «отытые

¹ Доклад, читанный на публичном заседании кафедры Груз. языка в Тбилис. Гос. Ун-те 11 янв. 1938 г.

Для того, чтобы оценить должным образом сделанную находку, естественно, нужен был авторитетный специалист, безусловно из представителей кавказского языкознания, который, указав для новооткрытого алфавита подобающее ему место, уточнил бы его значение и наметил бы перспективные работы для продвижения вперед дела изучения культурной истории албанского народа. Поэтому я не преминул передать для опубликования найденный мною албанский алфавит многоуважаемому проф. А. Шанидзе, инициатору специальных розысков, увенчавшихся успехом только осенью 1937 года.

И. В. АБУЛАДЗЕ

НОВОЕ СВЕДЕНИЕ О СУЩЕСТВОВАНИИ ПИСЬМЕННОСТИ У КAVКАЗСКИХ АЛБАНЦЕВ

Открытие в одной армянской рукописи XV в. собрания алфавитов, среди которых оказался один неизвестный алфавит, названный албанским, дал возможность проверить известные с давних пор сведения о существовании письменности у кавказских албанцев, успевших сойти с исторической сцены уже к концу средних веков [1, 2]. Оказалось, что сведения, сохраненные по означенному вопросу разными источниками, главным образом армянскими, заслуживают самого серьезного внимания и изучения, как это показал в своем исследовании проф. А. Г. Шанидзе, давший обзор известных раньше сведений о существовании письменности у кавказских албанцев и приведший, между прочим, ясное свидетельство об этом одного послания из «Книги писем» [1].

Армянские источники сохранили нам кое-что и из лексики албанского языка. Имеем в виду названия месяцев, которые давно известны по работам Dulauquier и Патканова [3] и этимология которых некоторые ученые склонны объяснять по материалам удинского языка [4], считающегося живым представителем третьего литературного языка Кавказа [5]. Это есть все, что мы знаем об языке и письменности кавказских албанцев. Поэтому считаем весьма важным отметить, что сейчас мы располагаем еще новым сведением, подтверждающим существование разнообразной литературы у кавказских албанцев.

Проф. А. Шахназарян, которому поручено печатание пространного «Описания армянских рукописей», принадлежащего перу покойного магистра М. Тер-Мовсесяна, обнаружил в этом труде описание одной эчмиадзинской рукописи (№ 2121, по старой нумерации № 2133), которая у Тер-Мовсесяна значится под заглавием «Книга проповедей Григория Татевского». Но по приведенному там же содержанию этой книги видно, что кроме 80 проповедей Г. Татевского означенная рукопись содержит еще: а) Похвальную речь Григория Просветителя, б) (Похвальную) речь

Иоанна Златоуста о Григории Просветителе, с) Рассказ о мироварении и д) Речь из 67 отрывков.

Из этих статей наибольшего внимания заслуживает «Рассказ о мироварении», который, как указано в заглавии, переведен с албанского. К сожалению, рукопись поздняя (переписана вардапетом Газаром в 1726 г.), но нет сомнения, что она восходит к древним спискам. Впрочем, нашлась и другая рукопись (№ 3070)¹, которая немного древнее (переписана в 1669 г.) и содержит тот же переводный памятник в той же редакции. Не исключена возможность, что со временем найдутся и более древние списки и тогда можно будет поставить вопрос об издании памятника. Сейчас важно лишь установить факт, что памятник считается переводом с албанского.

Статья озаглавлена так: ¹ *Յաղագս պատմութեան սուրբ աստուածային իւղոյն, զոր գտեալ սրբոց (սուրբ Ա) հարցն յարեւելք, ² յԱղուանի փրբս, և թարգմանեցին ի հայ գիրք և վասն մարմնոյն սրբոյն Յովհաննու Կարապետին (Կարապետին Յովհաննու Ա)*. [Рассказ о св. божественном мире, который нашли св. отцы на Востоке албанскими письменами и перевели на армянский язык, и о теле Иоанна Крестителя].

Начало:

«Արդ պատմեցուք յաղագս սուրբ իւղոյն, թէ ուետի է...» [Сейчас расскажем о св. мире, откуда ово...].

Конец:

«Եւ այս է պատճառ սուրբ իւղոյն և սուրբ հոշակաւոր ուխտին Նորդուտ կոչեցելոյն, զոր յետոյ կրկին հաստատեաց սուրբն Հուսաւորիչն հայոց աստուածական մասմբքն սրբոյն Յովհաննու Կարապետին, ի պարծանս աշխարհիս Հայոց և ամենայն հաւատացելոցն. և Քրիստոսի փառք յաւիտեանս, ամէն:» [Таковы обстоятельства (откуда. причина) св. мира и знаменитой братии, называемой Елрдут(ской), что снова утвердил св. Просветитель армяв вместе с честными частями св. Иоанна Крестителя, во славу сей армянской страны и всех верующих. Слава Христу во веки! Аминь].

Содержание статьи вкратце таково: Пророк Моисей, получив благоволенные цветы от бога на горе Синае, приготовил из них миро, которым помазивали впоследствии пророков и царей. Когда израильтяне обосновались в обетованной земле, это миро хранилось у них в Иерусалимском храме. После разрушения этого храма Елизавета, жена первосвященника Захарии, взяла миро на гору и, рассекши скалу, спрятала его там. Когда

¹ Считаю своим долгом выразить глубокую благодарность проф. А. Шахназаряну за любезное указание означенных рукописей.

² А—рукопись № 3070; В—рукопись № 2121.

³ По древним нормам ожидали бы *յարեւելք*.

Иоанн, сын Захарии и Елизаветы, начал крестить, то он помазывал народ этим миром. Когда же у Иоанна отсекли голову по приказу царя Ирода, миро взяла одна грешница, которая впоследствии возлила его на голову Христу. После того, как ученики Христа отправились проповедывать евангелие, это миро взял с собой ап. Фаддей, первый просветитель армян, исцеливший им сына царя Авгаря. Оставив миро на одном дереве, Фаддей отправился к царю Санатруку. Впоследствии о месте нахождения мира узнал по видению второй просветитель армян Григорий, который, при содействии царя Тирдата, построил там церковь во имя св. Иоанна Крестителя. Здесь, в местности Елрдут (*Երրդուտ* Eirdut)¹, хранится неяснокаемо это миро. Здесь же подвизается знаменитая елрдутская братья.

Как видно из заглавия, сохраненного рбонми списками, здесь точно указывается, что статья переведена с албанского. В этом нет ничего удивительного, ибо хорошо известно, какую тесную связь поддерживали армяне со своими соседями (грузинами, сирийцами и др.), что видно, напр., по переводам с армянского на грузинский и с грузинского на армянский [7]. Нет сомнения, что подобное культурное сотрудничество существовало также между армянами и их северо-восточными соседями, албанцами. Если бы оказалось, что озаглавленная статья действительно переведена и именно с албанского, то это было бы прекрасной иллюстрацией культурной связи армян и албанцев и окончательно установило бы факт существования албанской письменности.

Не располагая пока письменными памятниками албанского языка на Кавказе и не зная его структурных особенностей и лексического состава, трудно сказать что-либо определенное относительно албанизмов, которые, вероятно, все еще остаются кое-где в данном памятнике, несмотря на длинный ряд поправок в процессе переписки.

Грузинский Филиал АН СССР
Институт языка, истории и материальной культуры
имени акад. Н. Я. Марра
Тбилиси

(Поступило в редакцию 31.3.1940)

¹ У Эффрикяна [7] Елрдут (в новоармянском произношении Егрдут; Eyrdut) указывается в Таронсе, неподалеку от г. Муша, на востоке от него.

И. В. АБУЛАДЗЕ

ЕЩЕ К ВОПРОСУ ОБ АЛБАНСКОЙ ПИСЬМЕННОСТИ

В статье «Новое сведение о существовании письменности у кавказских албанцев» («Сообщения Груз. Фил. АН СССР», т. I, № 4, стр. 317—320) мы сообщали, что «располагаем еще новым сведением, подтверждающим существование разнообразной литературы у кавказских албанцев» (стр. 317). Это сведение сохранили нам армянские рукописи из эчмиадзинской коллекции № 2133 и № 3070, в которых помещен «Рассказ о св. божественном мире». В заглавии этого памятника сказано, что упомянутый рассказ «нашли св. отцы на Востоке албанскими письменами и перевели на армянский язык». Понятно, что подобного рода сведения, указывающие на существование письменности у кавказских албанцев, привлекли наше внимание после того, как был обнаружен «албанский алфавит». Искали мы в этих рукописях и следы албанизмов, но пока их отыскать не удалось. Окончательное решение вопроса дело будущего; мы удовлетворились лишь сообщением о рукописях и кратким изложением содержания интересующего нас памятника.

В заметке, касающейся вышеупомянутой моей статьи, проф. Меликсет-Беков находит возможным упрекнуть меня в том, что я не упомянул о двух списках памятника, относительно которых имеется сведение в описаниях венской (№ 257) и тюбингенской коллекций армянских рукописей. Нужно сказать, что я и не сомневался в существовании других списков нашего памятника, даже в коллекции эчмиадзинских рукописей. Я писал: «Не исключена возможность, что со временем найдутся и более древние списки и тогда можно будет поставить вопрос об издании памятника. Сейчас важно лишь установить факт, что памятник считается переводом с албанского» (стр. 318). Конечно, библиографическая полнота была бы не лишней для статьи, но я за ней не гонился. В специальной литературе об алфавите и письменности кавказских албанцев «Рассказ о мире, переведенный с албанского на армянский язык» никем из исследователей не упоминался, значит, и не мог расцениваться как документ, имеющий значение для вопроса об албанской письменности. Об этом ничего не говорится, даже намеком, и в тех «Описаниях армянских руко-

писей», на которые ссылается проф. Л. Меликсет-Беков, хотя Я. Дашян, описавший венскую коллекцию, подробно останавливается на историко-литературных моментах того или иного памятника. Ничего не говорит об этом также и известный арменолог Г. Зарбаналян, который тоже знаком с каким-то списком рукописи нашего памятника (*Մտերևի արարիչ և աշխարհի թարգմանութեանց նախնեաց, Վենետիկ, 1889, օր. 487—8*). Заметим, кстати, что сам Л. Меликсет-Беков упустил из виду это место из книги Зарбаналяна. Из указанного факта видно, что библиографическая полнота не всегда бывает доступна даже для лиц, ставящих ее своей специальной целью.

Что касается замечаний по поводу упоминания сведений об албанских названиях месяцев, встречающихся в описаниях разных коллекций армянских рукописей, то это для моей статьи является приводящим вопросом. Албанские названия месяцев, часто встречающиеся в армянских (и даже в грузинских) рукописях, мне хорошо известны непосредственно как по рукописям эчмиадзинской коллекции, так и по армянским рукописям Музея Грузии, но не было нужды распространяться о них.

Грузинский Филал АН СССР
Институт языка, истории и материальной культуры
имени акад. Н. Я. Марра
Тбилиси

(Поступило в редакцию 21.6.1949)

ქველი ქართულის ლექსიკონი

(დილეგი, სადილეგო)*

ქველი ქართულის თარგმნისა თუ ორიგინალურს ძეგლებში ხშირად ვხვდებით ისეთ სიტყვებს, რომლებიც დღევანდელს სამწერლო ენაში აღარ იხმარება და ამდენად ყოველთვის მათი შინაარსი ნათლად არ იჩვენება. თუ ასეთი სიტყვა ერთეულ შემთხვევას, ანდა მარტო ერთი რომელიმე ძეგლის კუთვნილებას არ წარმოადგენს, მაშინ შეჯერებით ცალკეული ძეგლისა თუ სხვადასხვა ძეგლების იმ ადგილებისა, რომლებშიაც ასეთი სიტყვა იხმარება, ერთგვარად ხერხდება შინაარსის დადგენა. მაგრამ, როდესაც შემთხვევა ცალკე დგას, მაშინ, ცხადია, ქირს სიტყვის შინაარსის განსაზღვრა, თუ, რასაკვირველია, ის შესებულნი არაა. ერთი იშვიათ სიტყვათაგანი, რომელზედაც ქვემოთ მაქვს საუბარი, დილეგი და სადილეგოა. ეს სიტყვა ჩვენ, პირველ ყოვლისა, იოანე საბანიძის ნაწარმოებში გვხვდება. „აბო ტფილელის წამების“ ხსენებული გამომთქმელი, როდესაც აბოს გვამის დაწვის ამბებს მოგვითხრობს, შემდეგს გადმოსცემს:

„და ვითარცა გამოიღეს წმიდაჲ იგი გუამი წმიდისა მის გარეშე ქალაქსა და აღიღეს ადგილსა, რომელსა საგოდებელ¹ ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათჳს, მუნ გარდამოიღეს იგი ურმისა მისგან და დადევს იგი ქუეყანასა. და მოიღეს შეშაჲ და თივაჲ და ნაფთი და დაასხეს გუამსა მას ზედა წმიდასა და დააგზნეს ცეცხლი, ვიდრემდის დაწუნეს კორცნი იგი წმიდისა მოწამისანი ადგილსა მას, რომელ არს აღმოსავლეთ ციხესა მას ქალაქისასა, რომელსა ჰრქვან სადილეგო², პირსა ზედა კლდისასა, რომელ არს კბოღჳ, კლდჳ მდინარისა მის დიდისაჲ, რომელი განჰვლის აღმოსავალით ქალაქსა, ესე არს სახელით მტკუარი“ (აკად. ქ. კეკელიძის გამოც., გვ. 74, 34—75.5)³.

აქ, როგორც ვხედავთ, აღნიშნულია, თუ რომელ ადგილას დაწვეს აბოს გვამი: „გარეშე ქალაქსა... ადგილსა, რომელსა საგოდებელ ეწოდების“. ეს ადგილი იქიდან, საიდანაც აბოს გვამი წაასვენეს, მოშორებით ყოფილა („გარეშე ქალაქსა“) და მასთან მაღლობზედაც გაშენებული („აღიღეს ადგილსა“).

¹ საღდაბელ E, სალოდებელ BCD.

² დილეგი BDE, სადილეგ C.

³ აღრიწდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ნაკვეთი პირველი, I. იოანე საბანიძე, II. ბასილ ზარხელი, პროფ. ქ. კეკელიძის რედაქციით და გამოკლევით, თბილისი, 1935 (რედ.).

• მოხსენდა ქართული ენის კათედრას 1943 წ. 8-VI-ს.

** ეს სტატია დაბეჭდილია სომხურ ენაზე შემოკლებით: *Ցիხեկայիր*. 1—2. სიხყან, 1944, გვ. 105—106 (რედ.).

ეს ცოტაა, ნაჩვენებია, თუ სად იყო ეს საგოდებელი, რომელიც იმიტომ პრქმე-
ვია ამ ადგილს, რომ „მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათა“. იგი მღე-
ბარეობდა თურმე „ადგილსა მას, რომელ არს აღმოსავლით ციხესა მის ქალა-
ქისასა, რომელსა პრქვან სადილეგო (var. დილეგი)“. ამრიგად, სასაფლაო, სა-
დაც აბოს გვამი მიუციათ ცუცხლისათვის, ქალაქის ციხის აღმოსავლეთით ყო-
ფილა, იმ ციხისა, რომელსაც სადილეგო პრქმევია. „ციხე სადილეგოა“, მსგავს-
ად „საფლავები საგოდებელი-სა“, შეიძლება საკუთარი სახელი იყოს, ამასთან
კიდევ ისიც ისე იყოს დარქმეული, როგორც საგოდებელია საფლავები-
სათვის, ე. ი. სადილეგოთი თუ დილეგით ციხის რაიმე ნიშანდობლივი თვისება
იყოს წარმოდგენილი.

რას ნიშნავს დილეგი, ან სადილეგო? სულხან-საბა ორბელიანს თავის „ქარ-
თულ ლექსიკონში“ საპყრობილე სიტყვასთან აღნიშნული აქვს შემ-
დეგი:

„საპყრობილე — განიყოფებიან სამად: დილეგად, საკანად და საპატიმროდ.
დილეგი არს სახლი საპყრობილე შემორკილებულთანი; საკანი არს სა-
პყრობილისა ქუეშე ბნელი საპყრობილე, და საპატიმრო — საპყრობილე
სახლი ქსნილი, უჯაკოი“ (ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის გამოც.)¹.

ამაზე დაყრდნობით უნდა ჰქონდეთ ჩვენს მკვლევრებს (აკად. ივ. ჭავჭავი-
შვილს, აკად. კ. კეკელიძეს და სხვ...) ხსენებული სიტყვა განმარტებული
საპყრობილე. საიდანა აქვს საბას დილეგის ასეთი განმარტება
დადგენილი, არ ვიცი, რადგან წყარო მას ამ შემთხვევაში დასახელებული არა
აქვს, მაგრამ ასეთი მნიშვნელობაც რომ ჰქონია ამ სიტყვას ქართულში, ამას
X—XI სს-ის თარგმნილი ზოგიერთი ძეგლიც მოწმობს. ასე მაგ.: ე. წ. „მამათა
ცხ-ის“ ეფთვმე მთაწმიდლის მიერ შესრულებულ თარგმანში ერთგან ვკითხუ-
ლობთ: „არა აღიღებს ღ“ დილეგისაგან და დილეგსავე შთა-
ადგებს სულსა“² თეოფილე ხუცესმონაზონის ამავე ძეგლის თარგმანში კი ამ
ადგილს „დილეგის“ შესატყვისად „საპყრობილეა“³ წარმოდგენილი, რასაც
აღნიშნული ძეგლის სომხური რედაქციაც უჭერს მხარს (განჯ.)⁴.

კიდევ ერთგან შეგვხვედრია ეს სიტყვა ჩვენს ძველ მწერლობაში. ეს ახა-
ლი წყაროა „ვისრამიანი“⁵, სადაც ნათქვამია: „აქათგან მთუარესა ელვარებისა
ნათელი აღარა აქუს, რათგან ჩემი მთუარე დილეგსა შიგან დაიმალა“. „ჩემი
მთვარეო“ ვისის დედა, შაპრო, ამბობს ვისიზე (როცა შეიტყო ახლახან „ციხით“
მოსული შაპი მოაბადისაგან „და თანა პირზე აღარა ჰყვა“), რომელიც შაპის
რისხვით, როგორც აქ იყო თქმული, დილეგსაა დამალული. ეს დილეგი
აქ თავისი სახელითაც იხსენიება. ცოტა ქვემოთ იგივე შაპრო მოთქვამს: „ამა
უზენაროისა ნუცამცა ღორისა ციხე დარჩების და ნუცა მთა, რომელ
ჩემისა ბედისა თუალი მუნ დაბრძობილა...“ შემდგომი საუბრიდან მოაბადისა
და შაპროსი ირკვევა, რომ ვისი მართლა კი არ მოუკლავს, არც ასეთი სასჯელი
ჰქონია მისთვის განზრახული, არამედ ციხეში ჰყოლია ჩამწყვდეული: „აწვე

¹ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. იოსებ ყიფშიძისა
და აკაკი შანიძის რედაქციით, თბილისი, 1928 (რედ.).

² ვისრამიანი, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით და შესავალი
წერილით, ლექსიკონი ილ. აბულაძისა, თბილისი, 1938 (რედ.).

³ A—35, გვ. 293.

⁴ A—1105, 264r.

⁵ ქულფის გამოცემა, გვ. 293.

გავგზავნი ციხესა კაცსა და ვისსა მოვყვანილებ“ მოსაყვანად დაეალებას იძლე-
ვა: „წაედ ციხესა და ქარისგანცა უმაღლე... ვისი სწრაფით აქ მომგუარო“. მაშა-
სადამე, დილეგი აქ ციხეა. რომელსაც სამწყედელოს ან
შესაყენებელის დანიშნულება აქვს*. პირველადი მისი მნი-
შვნელობა საპატიმროს გაგება არ უნდა იყოს, არამედ — ციხე-სიმაგრისა, რაც,
ბუნებრივია, ძველად საპყრობილედაც იყო ხოლმე გამოყენებული.

„დილეგი“ და აქედან „სადილეგო“ ქართული მკვიდრი სიტყვა არ უნდა
იყოს, ამას, თავი რომ დავანებოთ მის იშვიათ ხმარებას ჩვენს მწერლობაში,
ისიც უნდა მოწმობდეს, რომ მისგან წარმოქმნილი სიტყვები თითქმის არ მო-
გვეპოვება. სხვა ქართველურ ენათა შორის მას მარტო სვანურში ვხვდებით და
იქაც გაქვევებულია. რუსულ-სვანური ლექსიკონის შემდგენელს ი. ნიქარა-
ძეს რუსულის ТЮРЬМА-ს შესატყვისად მოჰყავს ДУЛИГ, რაც, როგორც ავტო-
რიც აღნიშნავს, იგივე ქართ. დილეგია. სვანური ДУЛИГ ქართულიდან სეს-
ხებული ჩანს, როგორც ამას მათი თითქმის ერთნაირი გარეგნული სახე და მე-
ტად შეზღუდული ხმარება მოწმობს.

დილეგი ირანულიდან სესხებული სიტყვა უნდა იყოს და იმ ხანაზე
ადრე შემოსული ქართულში, ვიდრე საბანისძის მოღვაწეობის დროა. მართა-
ლია, ამ სიტყვის ფალაურ ფორმას არ მოუღწევია, მაგრამ მის არსებობაზე
უნდა მიუთითებდეს, ჯერ ერთი, სპარსული *دولت* „მალალი ბორცი“ და
შეორეც, სომხური *դղხակ*, რომელიც, როგორც მგონია, ფალაურიდან უნდა
იყოს სესხებული. სომხურში *դղხակ* ან *դղხկ*, რომელიც სიმაგრეს, ციხეს
აღნიშნავს. აგებულს მალლობზე, გვხვდება ძველ ძეგლებში — აგათანგე-
ლოსის, ფარპელისა და ელიშეს იატორიებში და მერმინდელ ავტორებთან, ზოგ-
ჯერ კომპოზიტებშიც კი *դղხაკაყარჩაკ* და სხვ. ...). წყაროს ფორმა შედარე-
ბით შეუბღალავად ქართულს აქვს დაცული, რაც ფორმის შეუქუშმველობაში
მდგომარეობს. დასაწყისი მარცვალი ქართულში შეუქუშმველია, მაშინ როცა
ის სომხურში შექუშმულია: *დღღხაკ*. ასეთი სახით წარმოდგენა ფალაური
სიტყვებისა სომხურში პართეველთა ხანის სპარსეთის გვიანდელი ეტაპის
დროისად ითვლება. მართალია, ქართულის ამგვარ სახეებსაც პროფ. ან. მეფე
და პროფ. პრ. აქარიანი სომხური გზით შემოსულად მიიჩნევენ და მის მი-
ხედვით ასკენიან კიდევ, რომ სომხურშიაც წინა ხანაში ასეთი სიტყვები ქარ-
თულისებრ უქუშმველად უნდა არსებულყვენ, მაგრამ ახლა, მას შემდეგ, რაც
არმაზის ფალაური წარწერები აღმოჩნდა, შეგვიძლია თამამად ვამტყიცოთ
სომხურთან საერთო ფალაური სიტყვების უშუალო სესხება, განსაკუთრებით
მაშინ, როცა ქართული საფსებით არ ჰფარავს ხოლმე სათანადო სომხურს
ფორმას!

სომხურ მწერლობაში *դღხაკ*-„დილეგი“ ხშირად *ქხრქ*-თან ერთად იხმარება
ხოლმე: *დღხაკ ქხრქ* (*რამაქხაყ თანხქ ღნა ქ დღხაკ ქხრქ*—უბტ. Q, კრ...)

1 А. Г. Шанидзе, Данные греческо-пехлевнийской билингвы из Армазы для истории термина «бухосмоцлхари» эпонимодзгуари в древнегрузинском (Собщения Акад. Наук Грузинской ССР, т. 1—2, 1941, стр. 181—187), Г. В. Церетели, Армазская Билингва... Тб., 1941. ლიტერატურას ეასახლებთ ავტორის ამავე სახელწოდების სომხური სტატიის მიხედვით (რედ).

* სამყრობლის, სატანგველი ჭურბმელის აზრით რუსული Застенок-ის შესატყვისად იხმარეს დილეგი „საინფორმაციო ბიუროს“ ცნობებშიაც („კომუნისტია, 25.VII-1943): „გესტაპოს საპატიმროები და დილეგები საესეა დაპატიმრებულებით“.

პეილი ქართული ენის ლექსიკონი

10. „მაწვა“

იშეიათი ხმარებისა ჩანს ეს ზმნა ძველ ქართულში. ამიტომ მის მნიშვნელობასა და წარმომავლობაზე ნათელი წარმოდგენა სპეციალისტებს არა აქვთ.

სულხან-საბა ორბელიანს, რომელიც საგანგებოდ კრებდა და იკვლევდა ძველი ქართულის ლექსიკას, აღნიშნული ზმნა, როგორც ლექსიკური ერთეული, იმ ფორმით მოჰყავს თავის „ქართულ ლექსიკონში“, რითაც ის შეხვედრას მას. ეს კი იმით უნდა აიხსნას, რომ ლექსიკოლოგისათვის უცნობია ამ ზმნის ამოსავალი, ანუ, როგორც იტყვიან, ძირითადი ფორმა (grund form). სულხან-საბა ორბელიანისათვის არც შინაარსი ყოფილა ამ სიტყვისა გარკვეული, რადგან ის განუმარტავად მოჰყავს მას იმ კონტექსტით, რომელშიც შეუნიშნავს:

იმაწე „იმაწე დიდ ყოფა წინაშე ღუთისა“ (მომდევნო სიტყვები, — „რამეთუ წინაშე ღუთისა შეუკაცხ იქმენ მაწანებელი“, — როგორც ირკვევა, მოყვანილი ციტატის შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენს)¹.

როგორც ცნობილია, ქართველ დიდ ლექსიკოლოგს განსამარტავ ლექსიკურ ერთეულთან მხოლოდ მაშინ მოჰყავს ციტატა, როცა საქმე ავტორისათვის აუხსნელ სიტყვას ეხება. ასეა ყველა მსგავს შემთხვევაში, ასევეა აქაც ამ ზმნასთან.

სულხან-საბა ორბელიანის წყაროს მიხედვით, რაც მას დასახელებული არა აქვს, აღნიშნულ სიტყვას წარმოდგენილი ფორმით გასცნობია ბელგიელი ორიენტალისტი პროფ. ე. გარიით. პროფ. ე. გარიითს იგი შეხვედრია ასკეტიკური შინაარსის შემცველ სინურ ერთ-ერთ X ს-ის ხელნაწერ კრებულში, კერძოდ, იქ შემავალ ერთ მცირე მოცულობის ნაწარმოებში, რომლის ავტორად სათაურში დასახელებულია სუქესტი — Sextus (სიტყუანი სუქესტისნი“). ამ ნაწარმოების ბერძნულ, ლათინურ, სომხურ და სირიულ ვერსიებს პროფ. ე. გარითმა გვერდით დაუყენა ქართულიც, რომელიც ლათინური თარგმანით საგანგებოდ გამოცა მან 1959 წელს². ქართული ტექსტის თარგმანის პარალელურად სომხურის ლათინური თარგმანი და ბერძნული დედანი წარმოადგენა გამომცემელმა. წარმოდგენილი მასალის შედარებითი შესწავლის საფუძველზე, პროფ. ე. გარითმა ნაშრომს აახლა თავისი შეხედულება ქართული ძეგლის მომდინარეობის შესახებ. მისი აზრით, Sextus-ის ქართული ვარიანტი

¹ ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1928, გვ. 150.

² J. Garitte; *Vingt-deux «Sentences de Sextus» en géorgien: Le Muséon. Revue d'études orientales. Extrait du tome LXXII. Louvain, 1959, pp. 355—363.*

სომხურიდან არის თარგმნილი. ავტორის ანალოზით, ამას მოწმობს ზოგიერთი ლექსიკური და სტილისტური შეხვედრა სომხურ ტექსტთან, რომელიც რამდენადმე დაცილებულია თავის ადრინდელ ნიმუშებს, ქართულისათვის რომ წყაროს წარმოადგენდაო!

ჩვენთვის საგულისხმო ზმნის „იმაწე“ ფორმა სუქესტის სიტყვათა ქართული თარგმანის ერთ ადგილს (მე-11 სენტენციაში) ასეთ კონტექსტშია წარმოდგენილი:

„იმაწე დიდ ყოფად წინაშე ღმრთისა, ხოლო წინაშე კაცთა უშურველ იქმენ“.

უეჭველია, რომ ეს ადგილია ასახული სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში. საბას მსგავსად, აღნიშნული კონტექსტის დასაწყისი სიტყვა („იმაწე“) გაუგებარი დარჩენია პროფ. ე. ვარიტსაც. განმარტებისათვის მას, როგორც ის შენიშნავს ერთგან თავის ნაშრომში², ცნობილი გერმანელი ენათმეცნიერის, ქართულ-ქართველური ენების სპეციალისტის პროფ. გ. დეეტერსისთვის მიუბარათვს. გერმანულ მკვლევარს მიუთითებია მისთვის საბას ლექსიკონზე და თანაც უცნობებია მისი შეხედულება, რომ შესაძლოა „იმაწე“ იყოს „იღუაწე“, რაც პალეოგრაფიულად ძნელად ასახსნელია.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ევროპელ მკვლევარებს აქ „იმაწე“ რაღაც სიტყვის შებღალულ ფორმად ეგულებათ.

ძველი ქართული ენის ძეგლები ასეთ შეხედულებას არ ამართლებენ. „იმაწე“ და მისი ფუძისაგან წარმოებული სხვა ფორმები ძველადვე გვხვდება ქართულში, პირველ რიგში, ბიბლიაში, კერძოდ, „სიბრძნე ზარაქისა-ში“, რომლის ადრინდელი ლექსიკონი ოშკურ ბიბლიას აქვს სრულად დატული.

ბიბლიის ხსენებულ წიგნში სამგან გვხვდება ჩვენთვის საინტერესო ზმნა. მათი შინაარსის დასადგენად მარჯვედ გვადგება დასახელებული წიგნის ძველი სომხური თარგმანები. მოვიყვანთ სამსავე ადგილს სომხურ შესაბამის კონტექსტებთან ერთად.

1. (37,15) „არამედ ყოვლისათჳს კაცისა მიმართ იმაწე ზრახვამ შენი, უფრომს რომლისა გულითად უწყოდო, ვითარმედ იმარხნის მცნებანი“.

«Այլ ընդ առն աստուածապաշտի արասցես զխորհուրդս զի»³.

2. (42,12) „ყოვლისა კაცისა სიკეთესა ნუ განიცდი და შორის დედათა ნუ გმაცნავნი“. — *«მի հայիր ի գեղեցկութիւն ամենայն մարդոյ եւ ի մէջ կանանց մի նստիցիս»⁴ եւ ի մէջ կանանց մի լանախեր* ბიბლიის 1805 წლის გამოცემა).

3. (20,26—27) „ბიჭ ბოროტ არს კაცისათჳს ცილისა სიტყუად, ხოლო პირსა უსწავლელთასა აღიმსთვის, მოსცის მპარავი, ვიდრეღა არა

¹ იქვე, გვ. 363.

² J. Garitte. Vingl-deux «Sentences de Sextus» en géorgien... p 363.

³ Աստուածաշունչ մատիան ճին եւ ճոր կտակարանաց... Վեհեօխկ. 1P

⁴ Գիրք Աստուածաշունչ ճին եւ ճոր կտակարանաց... Ի Վեհեօխկ. 1'

რა წარმომავლობისაა „მაწვა“, ნათლად არა ჩანს. შეიძლება ის უკავშირდებოდეს სომხურ *მატ*, *მატანხე*-ს, რაც, ერთი მხრით, აღნიშნავს „ზრქელს, შექშირებულს“ და, მეორე მხრით, „გაზრქელება“, „გაქშირება-ს“. ეს „გაქშირება“ (*კანაქხე*), რომ ზირაქის სომხური ვერსიის ერთი ადგილის მიხედვით (42,12) ამ წიგნის ქართულ ვერსიაში აჩენდა „გულს-დგინებას“, რაც გადატანითი მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი და არა პირდაპირით.

სომხურისა და ქართულის ზომიერითი საერთო ხმარების სიტყვის წარმოშობისათვის

სომხურისა და ქართულის საერთო სიტყვები აკად. პრ. აპარიანის ოდენად არავის შეუსწავლია. მართალია, სიტყვების ამ რიგს (კატეგორიას) ძველიდანვე, ჯერ კიდევ აკად. მარი ბროსედან მოცილებული, აქცევდნენ ყურადღებას და მრავალი საგულისხმო შეხედულებაც აქვთ გამოთქმული, მაგრამ ისე თავმოყრილად, წინამორბედთა თუ თანამედროვეთა ნამუშევრის გათვალისწინებით, როგორც ეს აკად. აპარიანს მოეპოვება, სხვას არავის გააჩნია. დიდად ნაყოფიერმა მეცნიერმა სხვათა ნამუშევარი ამ მხრით თავისი კრიტიკის ბრძმედში გაატარა, შესაწყნარებელი მიიღო და შეუწყნარებელი უკუაგდო და თანაც არაპირველი საკუთარი დაკვირვებებით გააზნდირა ეს დარგი და ასახა თავის კაპიტალურ ნაშრომში — სომხურ ეტიმოლოგიურ შეიღტომიან ლექსიკონში.

ამითაც არ დაკმაყოფილებულა დიდი მეცნიერი. თავის დიდად საგულისხმო სხვა ნაშრომში, ორტომიან ისტორიაში სომხური ენისა, მან შეაჯამა სომხურისა და ქართულის საერთო სიტყვების შესახებ ლექსიკონში ასახული შედეგები, გაგვაცნო თავისი დამოკიდებულება მათი ერთმანეთთან მიმართების ხაზით და მოგვცა სახელმძღვანელო მითითებანი, — როგორ გვეკვლია სომხურისა და ქართულის საერთო სიტყვების (ან როგორც ის ეძახის *հաս-արակաց բառեր*-ის) წარმოშობა.

სულ სომხურსა და ქართულში 900-ოდე საერთო სიტყვას ითვლის სომხური ენათმეცნიერების ვარპეტი. ლონგვისტთა ამოცანად სახავს ის იმის გამოჩენვას, თუ რომელი ამათგანია სომხურიდან ქართულში შესული და რომელი პირუკუ. ამ მიზნის მისაღწევად ის შემდეგ საშუალებებს ასახელებს.

1. თუ ხსენებული სახის სიტყვას სომხური აღნაგობა (*կაჟმარქიონ*) აქვს, მაგ., სომხური აფიქსი ან კომპოზიტია (*ქარჯიქიონ*), ისე რომ მისი ძირი ქართულში არ მოიპოვება, ბუნებრივია, ის ნასესხებია სომხურიდან (ნიმუშად მოჰყავს „არტავარ“- და „ნიეთ“-).

2. თუ საერთო სიტყვა ინდოევროპული წარმოშობისაა, ცხადია, ის ნასესხებია სომხურიდან და არა პირუკუ (მაგალითებად ასახელებს „უბნობას“, „ნავს“ და სხვ.).

3. ხდება ხოლმე, რომ წინა ორი პირობა ერთად იყრის თავს რომელიმე სიტყვაში, ცხადია, ანუ შემთხვევაში ორმაგი ფაქტით დასტურდება სომხურიდან ნასესხობა (მაგალითისათვის მოჰყავს „პასაკი“, „სასტიკი“ და სხვ.).

4. სირაულიდან, ფალაურიდან, ზოგჯერ ბერძნულიდანაც ნასესხები სიტყვები თუ ამავდ დროს ქართულშიცაა, ის აუცილებლად ნასესხებია სომხურიდან და არა პირუკუ, რადგან ქართველები უშუალო მეზობლები არ ყო-

კვლევა-ძიების ახალი მონაპოვრებით არის შეპირობებული. ნათქვამი რომ უფრო ხელშესახები გაეხადოთ, ენახოთ ის ძიების პროცესში.

ძველ ქართულსა და ძველ სომხურ მწერლობებს დაუცავთ ერთი აგიოგრაფიული ნაწარმოები, როგორც ჩანს, უადრინდელესი თარგმანის სახით. ესაა *ქლქარანოცონს სტრქანოის ხს კნიჲ ზორა ასჩოიქსაქ* — „წამებაა წმიდათა მოწამეთა ანდრიაჲსი და ცოლისა მისისა ანატოლისი“. სომხური ტექსტი, რამდენიმე ნუსხით მოღწეული, გამოცემულიცაა, ქართული, ერთადერთი XI ს-ის ხელნაწერით მოღწეული, მხოლოდ ახლა მზადდება გამოსაქვეყნებლად¹. წამების წიგნი დაკულია ბერძნულად. პირველწყარო ქართულ-სომხური ტექსტებისათვის ის უნდა იყოს.

წამების დასახელებული ქართული და სომხური წიგნები ერთმანეთთან ტექსტობრივად ახლოს დგანან, არსებითი დაცილება არსად შეინიშნება.

სხვათა შორის, საგულისხმოა, რომ ტექსტებს საერთო ხმარების სიტყვები სომხურთან შეტწილად უცვლელად აქვთ დაცული მოსალოდნელ ადგილებში. ამ ნაწარმოებში სომხურისა და ქართულის შეტად იშვიათი ხმარების (ზოგი პირველად ახლა რომ ხდება ცნობილი) საერთო სიტყვები გვხვდება. ესენია:

1. ავეანდა — *ოძანჲსაქ* შემდეგ კონტექსტში: „ხოლო ნეტარი იგი ანატოლუ ა ე ე ა ნ და ექმნა წმიდასა ანდრიაჲსს. აღუდგა კელი ნიკაფსა მისსა და ეგრე მიჰყვანდა“. *ჩას ხრანხქინ ასათიქ აძანჲსაქერ არიჲს სტრქანოის, ხს ხეხაქ გბნიჲს ჩ სსრქიქ ყარანოიქ ზორა.*

2. ბეროკი — *გარასქ* კონტექსტში: „დაუკვრდებოდა დიდძალთა წყლულებათა ზედა. წარავლინნა შიმონვარანი თჳსნი სახიდ, და უბრძანა მოღებად ბ ა ე რ ო კ ი და მჩუარი დიდძალისა სასყიდლისა“. — *მეხაფე გნაძქჲთს ჩ თონჲს ხს ჴრამაქნაფე გხრქ გარასქ კთასა ჩ გგხსქნაფე ჩრიფე მსბაგჩქ.*

3. უბელო (—ბელ) — *თრმოღ(←მოღ)* კონტექსტში: „გამოიყვანნეს ყოველნივე და ასხნეს უ ბ ე ლ ო დ ყოველნივე ზედა კარაულთა, რამეთუ იყვენეს დაქსნილ ტანჯვათა მათგან“. — *ჴანჩქნა გამხხსასან ხს გარბსაქ გხრქჩქნ ჩ ქხრაქ თრმოღ გრასთიფე, განაქი ჳჩქნ ქობხაქჳ. ჩ თანჯანაგნ.*

4. ბტული — *ყოთიღ* კონტექსტში: „შენდა შეკრებად არს ბ ტ უ ლ ი ესე ძლევისაჲ, რამეთუ შენცა მოწამეთა მათ თანა შერაცხად ხარ“. — *ჴო იღერბსაგსა ყყოთიღ ქაქტოქჩხან.*

5. ზოგადი (—ზოგი) — *გიღ* კონტექსტში: „გვედრები შენ, უფალო ჩემო, გექსენელ შენ ზ ო გ ა დ ი იგი ყოფაჲ. მოიქსენე, უფალო ჩემო, რამეთუ თანამშრომელ გექმენ წამებასა მაგას“ — *აჴაქნამ გგხეღ, თქრქამ, ქოღ ქეფი გეღ გიღ გნაკიოქჩქნ მსრ...*

¹ ეს ტექსტი ორი უძველესი ხელნაწერის მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ. იხ. მისი „ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები: „მრავალთავის“ ზოგიერთი თავის წყარო, VI, „მარტყოზა ანდრიაჲსი და ანატოლსი“; ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი X—XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, თბილისი, 1965, გვ. 171—236 (რედ.).

6. კეტი — *կի* კონტექსტში: „და მტარვალთა მათ აღელო გურდემ-
ლი იგი და კეტი და მოეწყო და მიმოსრვიდეს წვეთა წმიდათა მათ“ —
դანანაგն ჳორღ სისხალ ნანაგხრბ ასაქნ ხლ კიგჩლ ჳარღსეჩნ դսრონან
ამსნსიკონ.

7. მაკუეი — *მასიოქ* კონტექსტში: „მას ქამსა შესხნეს იგანი მ-
კუკებსა და წიალ-იხუნეს ბიზინტიად, რამეთუ ქარი იგიცა შემწე
ექმნა მათ“ — *ხიქნ ენითა ქ მასიოქი სლ თორან ქ ჩიღანაგჩინ' აგი-*
ღასკ ჩიოქი იღსიქე ქსალ სიგა.

აღნიშნულ სიტყვათაგან სულ ახალნი, სომხურთან საერთონი, გამოდიან:
აქუანდა, უბელო (—ბელ) და მაკუეი.

მათგან უქანასკნელი, რაც ძველ სომხურში წნავს, მცირე ნავს აღნიშნავს,
აკად. ჰრ. აქარიანის ეტიმოლოგიური ლექსიკონის თანახმად (რომელშიც შე-
წყნარებულია ჰ. ჰუმბანის ეტიმოლოგია), მისი ახ. სპარსულში *makōk* ფორ-
მით დაცულობის გამო, ფალაურიდან შემოსულად მიიჩნევა. მართალია, სპარ-
სულში ის წაქვას აღნიშნავს, მაგრამ მასთან ფონეტიკურად ახლო მდგომი
სომხურის *მასიოქ*-ის მიხედვით იგი ფალაურშიც „ნავის“ აღმნიშვნელი უნდა
ყოფილიყო. ეს საუცხოოდ დამატკიცა ქართულმა ვერსიამ იმ ძეგლისა, რომ-
ლიდანაც განსახილავი სიტყვებია აღებული. ხსენებული ნაწარმოების სომხუ-
რი გამოცემის ერთ ადგილს ნახმარი *ნაჲ*-ის საპირისპიროდ ქართულ ტექსტში
„მაკუეი“ აღმოჩნდა. ამრიგად, ნათლად ჩანს ქართულის მოწმობითაც, რომ სომ-
ხურის მიხედვით ფალაურში აღდგენილი *makōk* სიტყვის ძირითადი მნიშვნე-
ლობა ნამდვილად „ნავ“-ია.

„მაკუე“ სიტყვის დაცულობა ქართულში, სომხურ *მასიოქ*-თან ერთად,
კიდევ ერთ დამატებით მოწმობას წარმოადგენს ფალაური *makōk*-ის არსებო-
ბის დამადასტურებელს. როგორ შემოვიდა ის ქართულში? აკად. ჰრ. აქარიანის
ზემთ მოყვანილ საშუალებათაგან, რომლებიც ქართულისა და სომხურის სა-
ერთო სიტყვების წარმოშობის საკითხის გარკვევას ემსახურება, ერთი, სახელ-
დობრ მეოთხე, უპასუხებს ამ კითხვას. იგი აცხადებს, რომ სირიულთან ერ-
თად ფალაური, ხოლო ზოგჯერ ბერძნული სიტყვაც, თუ ის ქართულ ენაში
იპოვება, აუცილებლად ნასესხებია სომხურით და არა პირუეუ. ეს იმიტომ,
რომ ქართველი ხალხი უშუალო მეზობლები არ ყოფილან დასახელებული
ხალხებისა, რათა პირდაპირი კონტაქტით შეეძინათ სიტყვებია სომხურით შე-
მოსვლა აღნიშნული წყაროების სიტყვებისა ქართულში ზოგჯერ იმითაც დას-
ტურდება ხოლმე, რომ თუ მათ რაიმე ფონეტიკური ცვლილება დასტყობიათ
სომხურში, მითვე არიან ხოლმე წარმოდგენილი ქართულში.

ნათქვამი საერთოდ სწორია, მაგრამ ყოველთვის არა. შეინიშნებოდა და
ახლაც ახალ-ახალი მასალით მტკიცდება, რომ ფალაურიდან მომდინარე და
სომხურთან საერთო ზოგიერთი სიტყვის ქართული სახე, რამდენაღმე განსხვავ-
ებული სომხურისაგან, ფალაურის დამოუკიდებელ სესხებას წარმოადგენს.
ამასთან ქართულს ზოგჯერ ისეთი სიტყვებიც აღმოაჩნდა, რომლებიც ფალა-
ურიდან მომდინარეობენ და სომხურში არ მოიპოვებიან. ერთიცა და მეორეც
იმას უსვამს ხაზს, რომ ქართულს ფალაურთან შეეძლო ზოგჯერ ურთიერთობის
საკუთარი გზა ჰქონოდა.

აღნიშნული გარემოების მასაჩინებელ მასალას რომ განსვენებული დიდი
სომეხი მეცნიერი გაეცნო ერთს ჩვენ სამეცნიერო წერილთან დაკავშირებით,

ამრიგად, აღნიშნულ სიტყვათაგან, როგორც ვნახეთ: ა) ახლად გამოვლი-
ნებული ქართული სიტყვების „მაკუკის“, „ბავროკის“, „ზოგისა“ და, აგრეთვე,
„ავეანდას“ სომხური შესატყვისები *მასიკი, მარასი, დიდი, ააქსანდასი* თანაბ-
მად აკად. აჭარიანის მიერ ჩამოყალიბებული წესის მე-4 პუნქტისა, სხვა წყა-
როებიდან მომდინარე სიტყვებია, ნაწილი ფონეტიკურად შემხვედრი სომხურ-
თან და ნაწილი — განსხვავებულიც.

ბ) ბტული (*պտուլ*) მართლაც სომხურიდან უნდა ჩავთვალოთ შემოსუ-
ლად ქართულში (მისი უფრო ფართო ხმარების გამო სომხურში).

გ) კიტი (*կիტი*) ქართულიდან გადასულად უნდა იქნეს შეწყნარებული
სომხურში თანაბმად აღნიშნული წესის მე-7 პუნქტისა, რაც სწორედ ასე აქვს
მიჩნეული აკად. აჭარიანს, ხოლო

დ) ბელ-*მოდ* [უბელო — *սրմოდ*] ძნელად დასადგენია, თუ რომელი
რომლისაგან მომდინარეობს, რადგან მესამე წყარო არ უჩანთ (გავრცელების
მხრით კი „ბელ“. ცოცხალი სიტყვაა ქართულსა და მის მონათესავე ენებში).

ასეთია აკად. პრ. აჭარიანის სახელმძღვანელო მითითებანი პრაქტიკაში.
ახალი ძიება ზოგს რასმე, ალბათ, გაღრმავებული კვლევის შედეგად დააზუს-
ტებს, ზოგჯერაც შეცვლის, მაგრამ ძირითადი სავალი გზა ის დარჩება, რომე-
ლიც უკვე გაკაფულია ნაცადი მკვლევრის მიერ.

ქართულ-სომხური ლექსიკური შეხვედრანი

1. ზეზვა — ვეზილ¹

ზეზვა სიტყვა ქართულ ლექსიკონებში არასად იბოვება. მას მხოლოდ ჯერხნობით ერთს ძველ ხელნაწერში ვხვდებით. ესაა საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა A ფონდის № 1105 ხელნაწერი, რომელიც თეოფილე ხუცეს-მონაზონის (XI ს.) მიერ თარგმნილ „მამათა ცხოვრებას“ ანუ ე. წ. „პატერიკს“ შეიცავს. აქ ერთგან (48v) ერთ-ერთს თხრობაში ვკითხულობთ:

„რომელსა ჟნებოს და სუროდის სიმართლისათვის², უნებლიეთ თანა-აც დათმენად ყოველსავე, რაოდენიცა-რამე მკურნალმან ჯერ-იჩინოს(...) არცალათუ სნულ(სა) ცჰამებეს დაწუვად და დაჭრაჲ ასოთა თვსთაჲ; არცა სუ-მად [...] სასუმელსა სანავლოსა, არამედ უფროსსა მოეკსენოს რამე, გული ეზეზვის, გარნა ყოველსავე ზედა არწმუნებს თავსა თვსსა და აძულებს, რამეთუ იცის, ვითარმედ თვნიერ ამისა ვერ დაეკსნების სენსა მას. ამისთვისა მისცემს თავსა ჯელთა მკურნალისათა, რამეთუ მეციერი არს, ვითარმედ მცი-რედისა მისთვის უგემურობისა განერეს იგი მრავალყამეულსა ნაველსა და სა-გრძელოსა სნებასა“...

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, სენით შეპყრობილ ადამიანს არ ესია მოვ-ნება თურმე „სანავლო სასუმლის“ მიღება უგემურობის გამო, პირიქით, რომ მოაგონდება, „გული ეზეზვის“. მაგრამ, რომ სნება მოიცილოს, თავს ძა-ლას ატანს, მკურნალს ანდობს თავის თავს და მცირედი უგემურობის მიღე-ბით ცდილობს დააღწიოს თავი სენსაო. ასეთი კონტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ „გული ეზეზვის“ ნიშნავს — გული ერევა-ს³. როცა ამავე კონტექსტს

¹ ვრცლად ამ ძეგლის შესახებ საუბარი გვაქვს წერილში: „ქართულის კვალი ძველი სომხური მწერლობის ერთს ძეგლში. სომხური პატერიკის წყაროს საკითხისათვის“, ლიტერა-ტურული ძიებანი, II, 1945, გვ. 28—32.

² საგულისხმოა, რომ ამ სიტყვის ბაღდად სომხურშია არიყარა ქინქ (იყე კამჩინ არიყარა ქინქ). ე. ი. მართალი იყენენ ანუ სიმართლისათვის, რაც დედნად ქარ-თულ წყაროზე მიუთითებს. საფიქრებელია, სომეხმა მთარგმნელმა ჯეროვნად ვერ ამოიკითხა სიმართლე, ის მან მცდარად სიმართლედ წაიკითხა. ესეც კიდევ ერთი ახალი მავა-ლითია იმის საბოლოოდ, რომ სომხური პატერიკის წყაროდ ქართულიც უნდა იყოს-თქო, რა-საც ზემორე დასახელებულ წერილში ვამტკიცებთ.

³ სომხურს პატერიკში ეს სიტყვები ასეა აღბეჭდილი: სիրოფ ნიგო ჯარქინ, ე. ი. გულნი მათნი იძრვიან-ო (ქარე სრეფი ჩარანე... ჩათო ,I, ოხნხოქი, 1855, გვ. 470,5).

* პირველად დაიბეჭდა სომხურად: ჯაკაკიანს შიჩი ფილიპიანის მიერ, ს. შა-პი ანქან ქეჩი ქინსთილითი „სუქათიკიანის მიერ, ჩ. III, ხრეკან, 1948, გვ. 297—300 (რედ.).

აკვირდება კაცი, არ შეიძლება ძალაუნებურად არ მოგაგონდეს ამ სიტყვასთან დაკავშირებით სომხური *ყიხი* და რომ არ ვიცოდეთ ის გარემოება, რომ ქართული ტექსტი ბერძნულის თარგმანს წარმოადგენს, ვითქვამდით, შეიძლება ამ ძეგლის ეს ადგილი სომხურიდან იყოს გადმოღებულით. ასეთი აზრი იმ-
 • ტომ დაგვებადებოდა, რომ ე ზ ე ზ ვ ი ს, წინაღმდეგ სომხური *ყიხი*-ისა, თუ ერთადერთი ხმარებისა არა, იშვიათი მაინც არის სალიტერატურო ქართულში, მას ამ სახით კილოებშიც არ უნდა ჰქონდეს ადგილი. ასეთი ვითარება ერთ სახელმძღვანელო მითითებასაც გვაწოდის: ს ო მ ხ უ რ თ ა ნ შ ე მ ხ ვ ე დ რ ი რ ო მ ე ლ ი მ ე ი შ ვ ი ა თ ი ხ მ ა რ ე ბ ი ს ს ი ტ ყ ვ ა ქ ა რ თ უ ლ ი ა მ ა თ უ ი მ ძ ე გ ლ ი ს ა, რ ო ც ა უ კ ა ნ ა ს კ ე ლ ი ს წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ა უ ც ნ ო ბ ი ა, ა რ უ ნ და გ ა ხ დ ე ს ი მ ი ს და ს ა ყ რ დ ე ნ ი, რ ო მ ვ ა მ ტ კ ი ც ო თ, ე ს ტ ე ქ ს ტ ი მ ა რ ტ ო ო დ ე ნ ა მ ნ ი შ ნ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ ს ო მ ხ უ რ ი დ ა ნ მ ო მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ს ო.

სომხურ მწერლობაში *ყიხი*-ს აღრიდანვე ხვდებით. ბიბლიაში ის სამგან მოიპოვება — ლევიტელთა 19,14-ში, რუთის 2,16-ში და ფსალმუნთა წიგნის 118,22-ში. მათისა და სხვა ძველი დროის წერილობითი ძეგლების მიხედვით, სომეხი ლექსიკოგრაფები ამ სიტყვას შემდეგნაირად განმარტავენ: *ყიხი* ნიშნავს, როცა ის გარდამავალია — ვნების მიყენებას, შექირებება-შევიწროებას, მოკლებას ანდა შეურაცხყოფასო, ხოლო როცა გარდაუვალია — ზიზღება-ძაგებასო. ქართულ ბიბლიაშიც დასახელებულ ადგილებში პირველ შემთხვევასთან გვაქვს საქმე — ძაგება-ზიზღის მნიშვნელობა აქ ჩვენ არ გავგაჩნია. უკანასკნელი მნიშვნელობა ამ სიტყვას, როგორც ერთადერთი, მხოლოდ თანამედროვე სომხურ მწერლობასა და კილოებში ჰქონია მოპოვებული¹.

„მამათა ცხოვრების“ ქართულ ტექსტშიც ჩვენთვის საინტერესო ზმნა გარდაუვალია: ე ზ ე ზ ვ ი ს (მას იგი). როგორი იქნებოდა ფორმა გარდამავლობის შემთხვევაში, ან იქნებოდა თუ არა საერთოდ, არ ვიცით, ვინაიდან ასეთი არსად არ მოგვეპოვება. ფუძედ ზ ე ზ ვ- ჩანს, შეუკუმშველად ზ ე ზ ა ვ: - ა ვ თ ე ზ ი ს ნ ი შ ა ნ ი ა, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, ს უ ფ თ ა ფ უ ძ ე ა ზ ე ზ, ხ ო ლ ო მ ა ს დ ა რ ი ზ ე ზ ვ ა ი ქ ნ ე ბ ა.

პირველადია თუ წარმოქმნილი ეს ზმნა, ძნელია, გადაჭრით ითქვას. ეს არც სომხური *ყიხი*-ის მიმართ ითქმის, რადგან ყველა სხვა სიტყვა, რომელიც ამასთან არის ნათესაობაში, უკლებლივ მის ფუძეზე (*ყიხი*-) არის აღმოცენებული (*ყიხი-ან.ე, ყიხი-ჩნ*). თუ სახელისაგან იქნებოდა ის მომდინარე სომხურში, მაშინ ზმნის მომცემი ფორმა *ყიხი* იქნებოდა, ან შეუკუმშველად **ყიხი* თუ **ყიხი*. რიგს სომხურ სიტყვებში ნაწილაკად ჩანს ხოლმე-*ქ* ასეა მაგ., *ყიხი*-ში: *ყი-ქ*, რაც იქიდან ირკვევა, რომ ცალკე მოგვეპოვება *ყიქ* თუ ამ რიგისა იქნება *ყიქ*. მაშინ ამ საგულევებელი სიტყვის ფუძედ **ყიქ* აღმოჩნდება, რაც ქართული ზ ე ზ ვ ა-ს სუფთა ფუძეს, ზ ე ზ-ს ზედმიწევნით ემხრობა.

ქართულში მოგვეპოვება ზ ე ზ-თან შინაარსობრივ და ფონეტიკურადაც მახლობელი, დღესაც ხმარებული ერთი სიტყვა ზ ი ზ ღ ი, რომელსაც აკად. პრ. ა ჰ კ ა რ ი ა ნ ი ს ო მ ხ უ რ *ყიხი*-თან აკავშირებს, ისე რომ სომხურიდან ნა-

¹ ჯ. რ. Ա ն ა ռ ხ ა ն, Հայկերեն արქათოსկან բարարան. II, გვ. 940—941.

სესხებად წარმოიდგენს, რაც შემდეგში თავის მხრით სომხურის თბილისურმა კილომ შეითვისაო (*գիզը գալ, զգզվիլ*) — ზიზღება). სწორი იქნებოდა ეს ვარაუდი, რომ მართლაც ზიზღ-ში „ღ“ ან განვითარებული აღმოჩნდებოდა, ანდა რაიმე ფუნქციის მატარებელი ნაწილაკი. მაშინ სუფთა ფუძე აქ ზ ი ზ აღმოგვაჩნდებოდა, რომელიც, ცხადა, ზ ე ზ ვ ა ზმნის სუფთა ფუძეს — ზ ე ზ ს — დაუკავშირდებოდა: ზ ე ზ || ზ ი ზ — ზ ი ზ ღ-ი.

სომხურ *գզուկ*-ს ეტიმოლოგია არ უძებნება, ყოველ შემთხვევაში ჯერხნობით ის უცნობია. მისი ფუძის ბადალი ქართულში, უეჭველი ხდება, არსებობს - ზ ე ზ თუ ზ ი ზ || ზ ი ზ-ღ-ის სახით. ვინაიდან სომხურ *գզուկ*-ს ჯერწყვარო არ უძებნება, ხოლო მის ქართულ ბადალ სიტყვას ნაირსახეობა გააჩნია, ამიტომ, მგონია, მტკიცება ქართული სომხურზეა დამოკიდებულიო, სულ დამაჯერებელი ვერ არის.

1946.5.V

თბილისი

2. ულვაში — იღტე

სიტყვა უ ლ ვ ა შ ი ძველს, კლასიკურ ქართულში, არსად შეგვხვდება. ეხვდებით მას ერთ კარაბადინში, რომელიც XVI ს-ის დამდეგის ნუსხით არის შენახული. ამას გარდა, მასსოვს კიდევ „აღორძინების ხანის“ მწერლების ნაწერებიდან ამ სახით: „უ ლ ვ ა შ-ბ ი ღ ი“ (ბ ი ღ ი უცხო ტერმინია, დღევანდელი ულვაშის გამომხატველი). ხალხური თქმიდან უნდა პქონდეს ის აღებული რ. ე რ ი ს თ ა ვ ს ა ც, რომლის ლექსშიც ეხვდებით მას. „გადგიგრეხია უ ლ ვ ა შ ი, ჩაპკონებხარ კიგოს“-ო, ნათქვამია ვაზის შესახებ. აქ უ ლ ვ ა შ ი იმ ძაფებს უნდა ნიშნავდეს, რომლებთაც ვაზის ტოტები მართლაც ეხვევა სარს, ან ერთმანეთს. ამ ძაფებს ძველად ქართულ მწერლობაში ზოგჯერ მ ა ს კ ნ ე ეწოდებოდა, როგორც ამას აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ღ ი აღნიშნავს თავის ერთ-ერთ კაპიტალურ ნაშრომში: „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ (II წიგნი, გვ. 300—302). აღნიშნულთ გარდა, უ ლ ვ ა შ ს ეტყვიან სიმინდის ნაყოფის ფორსაც.

უ ლ ვ ა შ ი სომხურში პოულობს პარალელს. ის ამრიგად ქართულ-სომხური შემხვედრი ლექსიკის სფეროშიც ექცევა. უ ლ ვ ა შ ი ს სომხური პარალელი იღტე ჩანს. იღტე სომეხი ლექსიკოგრაფების განმარტებით ხის ტოტია ან ყლორტი. საგულისხმოა, რომ ამ განმარტებას აკად. სტ. მ ა ლ ხ ა ს ი ა ნ ი, თავის ახლად გამოსულ სომხურს განმარტებით ლექსიკონში*, ასეთ გარემოებასაც ურთავს: „ვაზის თითა“-ო, ე. ი. ჩვენებური რქა. სომხურში იღტე-ის წარმოქმნილობა არა ჩანს, ის არც თვითონ გვევლინება გამოყენებულად მეტყველების რომელიმე სხვა ნაწილის წარმოსაქმნელად, მას მხოლოდ კომპოზიტებში ეხვდებით. შემოწაზღვრულია მისი ხმარება და გავრცელება ძველად, თანამედროვე სომხურში ის თითქმის არც იხმარება.

სიმინდის მიმართ რომ იტყვიან ქართულში „ულვაშს“, ძველი მოვლენა არ უნდა იყოს, ვინაიდან თვით სიმინდის კულტურის შემოსვლა ჩვენში XVII ს-ის დამდეგზე უწინარესად არ წარმოიდგინება (ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, წიგნი I, გვ. 363). ის გადატანით არის

* ჯაკობენ ჩუგაორაკან ჩაიარან. ლათიერ ხერიფი. ბრესან, 1914.

შერქმეული სიმინდის ნაყოფის ფოჩისათვის, ალბათ, რაიმე გარეგნული მსგავსების გამო ადამიანის ბაგეთა შემოსეველ თმასთან და არა მასკნესთან, რომელთანაც მას ასეთი მსგავსება უფრო ნაკლებ მოეპოვება. თუ ასეა, მაშინ ეს გარემოება იმასაც მოწმობს, რომ ადამიანის ბაგეთა შემოსეველ თმას ეს სახელი სიმინდის ჩვენში დანერგვამდის შერქმევი, ე. ი. XVII ს-მდის, რაც ნახსენები კარაბადინის მოწმობითაც ნათლად მტკიცდება.

რა ღროიდან გვხვდება ულვაში ადამიანის სხეულს ნაწილის აღმნიშვნელად, ჩვენთვის უცნობია ისტორიული ლექსიკონის უქონლობის გამო, მაგრამ ის რომ დასახელებული მოვლენის სახელად არსებულა წინათაც, XVI ს-მდისაც კი, ეს უდავო ფაქტი მგონია.

მორიგ კითხვაზე, — თმას აღნიშნავდა თუ არა „ულვაში“ თავიდანვე, პალუხი უარყოფითად უნდა გავცეთ. მსგავსად სომხური პარალელისა, ქართულშიც ის მცენარეულის ნაწილის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არა მარტო ხისა, როგორც ამას სომხურრძათვის აღნიშნავენ სომეხი ლექსიკოგრაფები (გარდა სტ. მალხასიანისა, რომელსაც, არ ვიცი, რაზე დაყრდნობით აქვს გამოთქმული ეს მოსაზრება), არამედ ვაზისა, როგორც ზემორე დასახელებულ ხალხურ ლექსს დაუცავს.

ჯერ ვაზის სახევეი ძაფები, ძველად რომ იშვიათად მასკნეს ეძახდნენ, და მერმე ადამიანის ბაგეების შემამკობელი თმა, არის ის საგნები, რომლებსაც ულვაში ეწოდება ქართულში. ასეთს ნაირნაირობასთან მიმართებით სომხურში, მამასადამე, ერთნაირობა ჩანს. გარდა ამისა, მაშინ, როცა ქართულში ეს სიტყვა ცოცხალია (და არა მარტო ქართულში, არამედ მის მონათესავე ენებშიც), სომხურში დღეს ის თითქმის აღარსად გაისმის, არც შვერლობაში და არც დიალექტებში.

დაცულობა და გავრცელებულობა სომხურ *რუქ*-თან პარალელის მქონე ულვაში სიტყვას ქართულს უფრო მკვიდრად წარმოადგენს, ვიდრე სომხურს. ამას მით უფრო უნდა გაესვას ხაზი, რომ *რუქ*-ს სომხურში ჯერხნობით ეტიმოლოგია არ ეძებნება.

1946.12.V

თბილისი

3. ჯადაგო — ჯადაგობა — *ჯასთაგი**

„ჯადაგობა“ ძველი ქართულის ერთ-ერთ ძეგლში გვხვდება. ეს წყაროა „წამებაჲ წმიდისა მოწამისა ფოკაჲსი“, რომელიც თარგმანს წარმოადგენს. საიდან არის ეს ძეგლი ქართულად ნათარგმნი, გამოკვლეული არ არის. წამების წიგნი დაცულია საკმაოდ ძველი დროის ნუსხებით. ჩვენ ხელთ გვექონდა ერთი ამათგანის — ათონის ივერიის მონასტრის ხელნაწერის (№ 57, 339—345)¹ — ფოტოპირი.

¹ ამ ხელნაწერის შესახებ Н. Марр. Описание пяти пергаментных рукописей. — ЗВО. т. XIII, стр. 1—88.

* პირველად დაიბეჭდა სომხურად: ლაქსაკანე შპი-ეჩიოიკიონსხერის მკაჲეხჩაჲ. ნ. შაჲი-ანჲანჲან ქეჲქიქიხნოხოთი. მკჲათოიკიონსხერის ძიჲიჲაჲჲ. ნ. III, 1918. სიხჲან (რედ.)

ხელნაწერით — ტერტეროს) ჯ ა დ ა გ ო მ ს ა (S—407 ხელნაწერით — ჯადაგომა) ვისთანამე, რომელთა აუწყებს მთავარსა მას პავლესთვის“ (24,1).

ხაზგასმული სიტყვა გიორგი მთაწმიდლისეულსა და ეფრემისეულ რედაქციებში შეცვლილია სიტყვით — „მეტყუელისა“. მაშასადამე, ჯ ა დ ა გ ო ი გ ი ე ვ მ ე ტ ყ უ ე ლ ი ა. ამ გაგებას მხარს უჭერს სომხური სათანადო ვერსიაც ჩვენი ძეგლისა, სადაც შესატყვისად *ճարտարախօս* გამოდის, რაც „მჭევრმეტყუელს“ აღნიშნავს.

თუ ახლა ჯ ა დ ა გ ო -ს ამ გაგებას (=მჭევრმეტყუელს) ჯ ა დ ა გ ო ბ ი ს ა ს (=სიბრძნის თქმას ანუ მეტყველებას) შევადარებთ, უეჭველად დავრწმუნდებით მასში, რომ ეს სიტყვები კანონზომიერად უდგანან ერთმანეთს მხარში. ამიტომაც ჯ ა დ ა გ ო ბ ა წარმოქმნილი ჩანს ჯ ა დ ა გ ო ს ა გ ა ნ: ჯადაგო—ჯადაგობა—ჯადაგობა.

„წამების წიგნის“ „ჯადაგობაცა“ და „მოციქულთა საქმის“ „ჯადაგოც“ სომხურ ერთ ლექსიკურ პარალელზე მიგვიბრუნებს და მასთან ერთად ირანულ სამყაროზე დამოკიდებულებას გვიჩვენებს. სომხური შესაბამისი სიტყვაა *ჯատაგილი*-ია, რომელიც, როგორც ეს თავის დროზე ჰუბშმანმაც აღნიშნა, აშკარად ფალაურიდან მომდინარეობს¹.

„წამების წიგნის“ ზემოთ მოყვანილი ამონაწერის მიხედვით რომ ქართულში მართა ჯ ა დ ა გ ო ბ ფორმის დადგენა შეიძლებოდა, მაშინ ქართულიც მომდინარე იქნებოდა ფალაურიდან, სადაც სომხური *ჯათაგილი*-ის ზედმიწევნითი შესატყვისის *jātagw-*ის გვერდით მოგვეპოვება ქართულთან მახლობელი ფორმა: *jātagwē* (=შუამავალი, მეოხი).

მაგრამ ქართულს თავისკენ უფრო მეტად ამ სიტყვის ირანულის პაზენდური ფორმა მიეზიდება: *jādagw* (=შუამავალი, მეოხი, მცველი, ადვოკატი)², რაც, თავის მხრით, ერთხელ კიდევ იმ საგულისხმო გარემოებაზე მიგვითითებს, რომ ირანულ სამყაროსთან ქართულს უძველესი დროიდანვე ჰქონია ურთიერთობის საკუთარი გზები.

1 შდრ. პრ. აქარიანის *Արմատական բարարան*, V, გვ. 1204.

2 ფალაურთან სომხური *ჯათაგილი*-ის მიმართების შესახებ იხ. ჯრ. *Աნაბასან*, *Արմատական բარარან*, V, გვ. 1203—4.

ქართულისა და სომხურის საერთო სიტყვები*

ქართულისა და სომხურის საერთო სიტყვებიდან ამ წერილში განხილულია პინჩი — *ყჩხչ* და გურკნვა — *გრქლ*

8. პინჩი-ი — *ყჩხչ***

ამ სიტყვის უძველესი ხმარება ძველ ქართულში ჯერ ბიბლიიდან არის ჩვენთვის ცნობილი და, მერმე, იოანე დამასკელის „წყაროჲ ცოდნისაჲს“ არსენ ვაჩეხისძისეული თარგმანით.

„პინჩი-ს“ ვხვდებით ე. წ. გელათური (კატენებიანი) ბიბლიის¹ „რიცხუ-თაჲს“ წიგნში. აქ ერთგან (11,20) იკითხება: „შჳამდეთ, ვიდრემდის გამოჲდეს პინჩითაგან თქუნთა“ (შდრ. ნაბეჭდს: ძველი აღთქმა, ხუთი წიგნი მოსესი... ტფილისი, 1898 წ. — „სჳამდეთ, ვიდრემდის წარმოჲდეს ცხვრით თქუნით“).

ბიბლიის ბერძნული ვერსიით „პინჩითაგან-ს“ შეეფარდება ზღ *τῶν μακάρων* (წავ *ἄν βῆξλθῃ ἕξ τῶν μακάρων ἡμῶν*), ხოლო სომხურით — *ընդ იընդունս (ուստիუէ ძჩხչხლ ხლანჩუէ ընդ იընդունս ձևր)*.

ამრიგად, ამ შესატყვისობებითაც ნათლად ჩანს, რომ პინჩი არის „ნესტო“ (ცხვირისა), ბერძნული *μακάρ* და სომხური *იუნჯს*.

„პინჩის“ სხვაგან ხმარება, როგორც აღვნიშნეთ, შეინიშნება იოანე დამასკელის „წყაროჲ ცოდნისაჲს“ არსენ ვაჩეხისძისეულ თარგმანში, სახელდობრ, ამ ნაწარმოების მეორე ნაწილის („გარდამოცემაჲ მართლმადიდებელისა სჯული-საჲს“) 31-ე თავში. აქ, როგორც სათაურიდან ჩანს („საგრძნობელთათჳს“), საუ-

¹ გელათურ ბიბლიად დღეს იწოდება ხელნაწერთა ინსტიტუტის A—1108. მისი მპოვნელის, თ. ჟორდანიას ცნობით (ქრონიკები, II, გვ. 36—39), არსებობდა გელათური ბიბლიის სხვა ნუსხაც, რომელსაც გუგომოდგინედ ეძება რ. ბლეიკი (О древнегрузинских версиях Нового Завета), რაც ხელნაწერთა ინსტიტუტის Q კოლექციაშია შემოსული 1956 წელს შემოსწირა სხვა ხელნაწერთან ერთად თ. ჟორდანიას შვილიშვილმა პროფ. გ. ჟორდანიამ და ატარებს №-ს 1152-ს.

* ეს შესაშე წერილია. პირველი იხილვ: ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, I, თბილისი, 1954, ხოლო მეორე — იმავე ორგანოს II წიგნი, თბილისი, 1957.

** პირველად დაიბეჭდა რუსულად: *Кавказско-армянско-грузинский диалект* №, 2—3, ხრცყან, 1967, გვ. 314—315 (რედ.).

ქართული სიტყვის ისტორიის გაუთვალისწინებლობამ აკად. პრ. აჭარიანს, როგორც ვხედავთ, დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის „პინჩვი“ ფორმა მთლიან ფუძედ მიაჩნევინა, რომლის ბოლო მარცვალი „-ვი“ მან ივარაუდა სახელის სომხური მრჩობლობითი რიცხვის დაბოლოვებად და, ამდენად, იმის მანიშნებლადაც, რომ ქართული სიტყვა ამ შემთხვევაში შეიძლება სომხურიდან იყოს ნასესხებო. სინამდვილეში კი, როგორც ძველი წყაროების მოწმობა აჩვენებს, რეალური ფუძე ამ მარცვლის გარეშეა, იგია „პინჩ“, რომელიც შეიძლება ქართულშივე „ვ-სა თუ უ-ბრჯღუზეც დაბოლოვებულიყო, ხოლო ამათზე დართული -ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია ქართულში.

ჩვენი შეხედულებით, პირიქითს გარემოებას უნდა მიუთითებდეს „პინჩი“ სიტყვისა და მის მახლობელ ფორმათა დაცულობა კავკასიურ ენებში. რამდენადაც „პინჩ“ სიტყვის სრული სომხური შესაბამისი *պինչ* პარალელს ვერ პოულობს სხვა ენებში და, რაც მთავარია, შესაბამისი მას ინდო-ევროპული წრის ენებში ვერ ეძებნება, ამდენად ის დამოკიდებული უნდა იყოს კავკასიურ ენებზე.

9. გურკნვა-გრკნვა — გრქსღ (← გრქღ)*

გელათური (კატენებიანი) ბიბლიის ერთ-ერთ ნუსხაში, Q—1152, ერთგან — „რიცხუთას“ 11,12-ში — იკითხება:

„ალიხუენ ივინი წიალსა შენსა, ვითარცა ალიქს მ გ რ კ ვ ე ე ლ მ ა ნ მწოარი“. ამის საპირისპიროდ ნაბეჭდს ბიბლიაში („ძველი აღთქმა, ხუთი წიგნი მოსესი“, ტფილისი, 1898 წ.) სწერია:

„შთაისხენ ეგენი წიალთა შენთა, ვითარცა ალიქს დ ე ღ ა მ ძ ქ ე მ ა ნ მწოარი ჩჩული“. ამ ორი რედაქციის შეპირისპირებიდან ნათლად ჩანს, რომ „მგრკვნელი“ არის „ღელა-მძუძე“, ე. ი. ესენი ერთმანეთის მიმართ არიან სინონიმები, ბიბლიის ბერძნული ვერსიით რომ *τμήγος* ეწოდება, ხოლო სომხურით *դաչիას* ანუ „ძიძა“.

„მგრკვნელი“ ფორმა აწმყო დროის მიმღეობაა, რომელიც წარმოებული ჩანს „გრკნვა“ ზმნისაგან. ასეთი ზმნა ხშირად არ გვხვდება ძველად.

მისი ხმარების ერთი შემთხვევა ვიცით კიდევ. გ. მთაწმიდელს თავის ერთ თარგმანში „გრიგოლ ნოსელის ქებათა-ქების თარგმანებისა“ მოებოვება: „არცა სრული წიალთა მოხუცებულისათა იგრკვნვის“ *ὅτε ὁ τάλειος ἐν ἀγαλλίαις ἤ. τμήγος ἀναλαμψάνεται* [ἀνα-λαμψάνω ნიშნავს „ხელში ვიყვან“].

გ. კიკნაძის შეხედულებით „გრკნვა“ ეტიმოლოგიურად უნდა უკავშირდებოდეს სიტყვა „გრკალს“ (გ. კიკნაძე გ. მთაწმიდლის ერთი თარგმანის კიმენი და ლექსიკა“: გვ. 146. ოთხი ძეგლი...¹).

ადრინდელ თარგმანში ერთგან მხოლოდ „გურკნვა“ მოგვეპოვება. ერთ ადგილს „ფილეტიმონის წამების“ წიგნში, რომელიც სომხურიდან ნათარგმნი ძეგლია², იკითხება:

¹ ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, თბ., 1965.

² ილია აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები, „მრავალთავის“ ზოგიერთი თავის წყარო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, თბილისი, 1936, გვ. 329—347.

* პირველად დაიბეჭდა რუსულად: *Григорий-Паннахирский Записки*, № 2—3, Спб., 1967, გვ. 318 (რედ.).

„არა რეცა გუშინ გიგურკნეველი შენ მკართა ზელა ჩემთა“?¹ „გურკნეა“ იგივე „გრკვნეა“ გეგონია. აქ „ვ“-ში უ-ბრჯგუ გამოიყოფა: გრკუ-ინ-ვა. როგორც ეხედავთ, ურთი და იგივე მნიშვნელობის მქონე სიტყვისათვის ორი ფორმა გვაქვს: „გურკნ-ეა“ და „გრკუ-ინ-ეა“, საიდანაც ნაწარმოებია „მგრკვნეელი“.

იმისათვის, რომ გაიჩვენოს, თუ რას ნიშნავს „გურკნეა“ თუ „გრკუ-ინეა“, უნდა მივმართოთ სომხურს, საიდანაც, როგორც აღვნიშნეთ, „ფილეტიმონის წამების“ წიგნია ნათარგმნი. აქ ქართული თარგმანის ადგილს — „არა რეცა გუშინ გიგურკნეველი შენ მკართა ზელა ჩემთა-ს“ შესაბამისად იკითხვის: „**რէկ գգուէի գքել ի գիրկս իմ**, სადაც „გიგურკნეველი“ ფორმას შეეფარდება **գգուէի**, ე. ი. „გეხვეოლი, მკლავებში თუ მხრებში (წიაღში) გიკრავდიო“.

„გურკნეა-ს“ სომხური შესატყვისის **գգուէլ**-ისათვის, ჩვენი შეხედულებით, ამოსავალი ჩანს სომხურისავე **գոգ** „წიაღი“², ხოლო ქართული „გურკნეა“ ფორმისათვის ამ სიტყვასთან ფორმიტა და შინაარსით ახლობელი „გრკალი“ სიტყვის „გრკ“ ძირი უნდა იყოს, რაც სომხურ **գիրկ**→**գրկել**-ს შეეწოვრება. მართალია, სომხური **գրկ**→**գրկել**-ის ეტიმოლოგია გარკვეული არაა, მაგრამ ის მაინც ქართულის წყაროდ მოჩანს, რამდენადაც ამ სიტყვის ძირს თუ პირველად ფუძეს (**գիրկ**-ს) აქ პირველადი, საგნობრივი მნიშვნელობა აქვს დაცული. „გურკ-ნე-ა“-ში „ნ“ სავრცობი ჩანს, ის, შეიძლება, ისეთივე წარმოშობისა იყოს, როგორისაც არის „ნ“ „ხეთქ-ნ-ა (→ხეთქა) ზმნის ფორმაში.

„გურკნეა“ ზმნიდან, როგორც აღვნიშნეთ, მომდინარეობს „მგრკვნეელი“ ტერმინი, რომელიც მეორე ქართულ ტერმინს — „ღელა-მძუძეს“ — შეეფარდება. „მგრკვნეელის“ პირველადი მნიშვნელობა, როგორც ირკვევა, არის „მომხვევი, მკლავებსა თუ მხრებზე ამყვანი“, ხოლო გადატანითა — „აღმზრდელი ქალი, ძიძა“ ანუ ძველებური „ღელა-მძუძე“.

¹ კ. კეკელიძე, კიმენი, ნაწილი I, ტ. I, გვ. 142,16.

² 3. აქ არიანის მოწმობით (Հայերէն աղմասոսական բարարան, II) Lidén-საც თავის Arm. Stud-ში, გვ. 95. **գգուէլ** გამოკავს უძველესი **ԸՏԸ** ფორმიდან, რასაც **գոգ** სიტყვასთან აკავშირებს.

ქართულისა და სომხურის საერთო სიტყვები

10.* შუ/ვ/აგ-შუქ-ი — ჯოსტ-ჯოსტ

სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“ არა ერთი და ორი სიტყვა გვხვდება ისეთი, რომლისათვისაც მას წყარო არ მიუთითებია. ასეთ სიტყვათა რიგს ეკუთვნის, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ერთი ქართულ-სომხური საერთო ხმარების სიტყვა, რომელიც საბას „შუაგი-ს“ ფორმით აქვს შეტანილი ლექსიკონში. ლექსიკოლოგი იცნობს ამ სიტყვასთან დაკავშირებულ „შუგა“ სიტყვასაც, რომელსაც ის მიუწერს: „შუაგივე-ო“. თვით „შუაგი“ კი ასე აქვს განმარტებული: „თავის საფარი საჩრდილოდ“¹.

რა იგულისხმება „თავის“ ქვეშ? თუ აქ „თავი“ სხეულის ნაწილია, მაშინ მისი „საფარი საჩრდილოდ“ იქნება „ქუდი“, ან სხვა რამ თავსაბურავი, ხოლო თუ „თავი“ არის „თავის თავი“ („ბერსონა, კაცი“), მაშინ „საფარო საჩრდილოდ“ იქნება ადამიანის თავშესაფარი: „ქოლგა, კარავი“, ან რომელიმე სხვა მსგავსი საჩრდილობელი.

იმისათვის, რომ ზედმიწევნით იქნეს ამოხსნილი, თუ, კერძოდ, რას გულისხმობს ლექსიკოლოგი, საჭიროა დაიძებნოს სიტყვის წყარო, კონტექსტი, რომლის მიხედვით მან იგი განმარტა, თუ სიტყვა წიგნით აქვს შეთვისებული ავტორს, ხოლო თუ ზეპირ არის სიტყვა მოპოვებული, მაშინ იგი ხალხში, ე. ი. ცილოებში უნდა იქნეს მოკითხული.

ძველი ქართულის ტექსტებზე მუშაობისას აღნიშნულ სიტყვას წავაწყდით ე. წ. პარხლის მრავალთავში (A—95), რომელიც XI ს-ის 30-იან წლებში ჩანს გადაწერილი. აქ ერთ-ერთ „საკითხავში“, რომლის სათაურია: „საკითხავნი წმიდათა მარხეთანი, თქუმული მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისაჲ მარხვისათჳს და იონაჲსთჳს“, გვხვდება სწორედ ეს სიტყვა „შუგავის“ სახით.

მეტად საგულისხმოა ძველი ქართული მწერლობის დასახელებული წყარო. აღნიშნული სათაურით წაწერილ იოვანე ოქროპირის ნაწარმოების ერთ სხვა რედაქციასაც ვხვდებით ძველად, როგორც ამას აკად. კ. ეპელიძე აღნიშნავს². იგი მოთავსებულია სინურ მრავალთავში, რომელიც დღეს უკვე გამოქვეყნებულია³. პარხლის მრავალთავის ტექსტის ამ მრავალთავის ტექსტთან შედარება

¹ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, იოსებ ყიფშიძისა და აკაკი შანიძის რედაქციით, თბილისი, 1928.

² კ. ეპელიძე, ეტრულები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბილისი, 1957, გვ. 80.

³ სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბილისი, 1959, გვ. 100—111.

• წინა ორი ნაკვეთი დაბეჭდილია „ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომებში, აღმოსავლურ ენათა სერიაში“ I (1954 წ.) და II (1957 წ.).

არკვევს, რომ იგი (პარხლური რედაქცია) მეტად ნაკლუღევანი სახით არის. მოღწეული ჩვენამდის. ხელნაწერის 32-ე რვეულის დაკარგვის გამო, ნაწარმოების უდიდესი ნაწილი, დაახლოებით 5/7, დაკარგულია, შემონახულია მხოლოდ 1/7, რაც შეადგენს გამოცემის ერთსა და ერთ-მესამედ გვერდს.

გვქონია შემთხვევა, რომ ერთი და იმავე ნაწარმოების ორი თარგმანი დაგვედასტურებინა ძველ ქართულში¹. მაგრამ მათ არ უჭერს მხარს ი. ოქროპირის „მარხვისათვის და იონაშასა“-ს დასახელებული რედაქციები. თუ როგორ მიმართებაში არიან ერთმანეთთან ესენი, ამის განსაზღვრას ხელს არ უშლის ის, რომ ერთისაგან მცირედ გადაჩენილი ტექსტი მოგვეპოვება. მისი შეჭერება სრულად შემონახულის შესაბამის ნაწილთან გვირკვევს, რომ ესენი წარმოადგენენ არა ერთი და იგივე ნაწარმოების ორგზის შესრულებულ დამოუკიდებელ თარგმანს, არამედ ერთი თხზულების ორი, ურთიერთისაგან საკმაოდ განსხვავებული, დამოუკიდებელი რედაქციისას, რომელთა ტექსტი ყოველთვის ერთნაირი მოცულობისა და წყობის არ არის.

იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ საქმის ვითარება, მოვიყვანთ მცირეოდენ ნაწყვეტს ორივე რედაქციიდან (პარხლურიდან და სინურიდან) ერთმანეთის გვერდით:

პ ა რ ხ ლ უ რ ი

ს ი ნ უ რ ი

გნებავსა სწავლის, რავდენ მარხვად სოფლისათვის მცველ არს და კრძალვა? განიგულუ ნეტართამ მათ და განსაკვრვებულთამ მონაზონთა ნათესავი, ესენი შორის ამბოხებჟსა მას განერნა და თხემსა ზედა მათასა აქდეს და მუვაგანი მათნი უდაბნოსა ზედა ყუდროდ, რეცა თუ ტფილსა, აღდგნეს. ესე შესამინელად და ზიარად ყოვლისავე ცხორებისა მიიღეს. ამისგანადცა იგინი ანგელოზ ქმნნა კაცთაგან...

(A—95, გვ. 444)

აწ გნებავს ცნობად, რავდენ-რამ სამკაულ არს კაცთა მარხვად და ლოცვაჲ ანუ რავდენი მცველობა და კრძალულება არს? აწ გნებავს გულისხმის-ყოფად და ცნობად, ხოლო ამითვე გულისხმავათ მოგანეთაგან დაწესებულთა წესი, თუ ვითარ იგინი განყენებულ და განშორებულ არიან ყოველთაგან აღძრვათა და განცხრომათა ამის სოფლისათა: ვიეთნიმე თავთა ზედა მათასა, ვიეთნიმე ტალავრებითა უდაბნოსა და ყუდებულ და ვითარცა ნავთსადგურსა მშვდობისასა შევედრებულ. ამათ შეყოფილ შეძინებად და მოდგამ ცხორების შეთუალულ. და იგინივე მათგან გამოაჩინნა ანგელოზად კაცთა შორის... (სინური მრავალთავი, გვ. 101)

პარალელურად მოყვანილი ტექსტებიდან განსაკუთრებით საგულისხმოა ხაზგასმული ადგილები; პარხლურიდან — „მუვაგანი მათნი უდაბნოსა ზედა ყუდროდ, რეცა თუ ტფილსა, აღდგნეს“, ხოლო სინურიდან „ვიეთნიმე ტალავრებითა უდაბნოსა და ყუდებულ, და ვითარცა ნავთსადგურსა მშვდობისასა შევედრებულ“. ამ ერთმანეთის შესაბამისი ადგილებიდან მხოლოდ პირველში

¹ ი. აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები, „მრავალთავის“ ზოგერთი თავის წყარო, IV, „მარტყოზა ორმოცთაჲ“, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, თბილისი, 1962, გვ. 111—144.

(პარხლურ მრავალთავში) მოიპოვება სიტყვა, რომელიც ჩვენი შესწავლის საგანს წარმოადგენს. ესაა „შუვაგი“, რაც საბას ლექსიკონში მოყვანილი იგივე „შუაგი“ არის. „შუვაგნი აღდგენს“ გამოთქმა პარალელურ სინურ ტექსტში „ტალავრებითა დაყუდებულს“ შეეფარდება. ამრიგად, „შუვაგი“ სინონიმი გამოდის „ტალავარისა“, სხვანაირად „შუვაგ/შუაგი“ იგივე „ტალავარია“, ე. ი. „საჩრდილობელი“, როგორც ამას საბა გვაწვდის „ტალავარ“ სიტყვის განმარტებისას.

„შუვაგნი აღდგენს“ (ე. ი. „აღმართეს საჩრდილობლები“) იგივეა, რაც „ტალავრებითა დაყუდებულ არიან“ (ე. ი. „საჩრდილობლებით დამდგარი არიან“).

პარალელურ ტექსტთა ჩვენება ზედმიწევნით ადასტურებს საბას განმარტების სისწორეს. ამას არ ეწინააღმდეგება არც უცხო ენაზე, კერძოდ, სომხურზე, დაცული იოანე ოქროპირის დასახელებული ნაწარმოების ტექსტი.

საინტერესოა ამ ნაწარმოებში ბედი ძველ სომხურში. იქაც იგი ორი რედაქციით არის ცნობილი. ორივე გამოქვეყნებულია ერთი მეორის პარალელურად¹. გამომკვლევებს მათთვის შემდეგი შენიშვნა დაურთავთ: „მართებული იქნებოდა ქვემოთ მოთავსებულისათვის (იგულისხმება სქოლიოში გატანილი ერთ-ერთი ტექსტი) გვეწოდებინა მეორე რედაქცია, რომ განუხრელად და ზედმიწევნით დაეცვა აზრთა წყობა ზემოთ მოთავსებულისა, რომელიც ეთანხმება ბერძნულ დედანს. მაგრამ ცხადად ჩანს, რომ მარტივად გადათქმულია მისგან, დანართებითურთ აქა-იქ, თუმცაღა არც გვიანდელი საუკუნეების თხზულებბაა, რომლისაგან შემონახულია ერთი ასომთავრული ნუსხით (*ხრკაწაყჩი*-ით) და ოთხი სხვა ნუსხური ხელნაწერით (*მოიორაყჩი*-ით)².

ქართულ-სომხური ტექსტების ერთმანეთთან შეჯერებამ ცხადყო, რომ ძირითად ტექსტად მოთავსებული რედაქცია სომხურისა თანხვედნილია პარხლურთან, ხოლო ქვემოთ სქოლიოდ ჩატანილი — სინურთან. სიახლოვე იმდენად საგრძნობია, რომ ქართულის ვრცლად დაცული რედაქცია, რომელიც სინურ მრავალთავს შემოუნახავს, და სათანადო სომხური რედაქცია, რომელიც სომეხ გამომკვლევებს მარტივად გადათქმულ ნაწარმოებად მიაჩნიათ (და ამის გამო სქოლიოში გაუტანიათ) ერთიმეორისათვის დედანიც კი შეიძლება იყოს, მაგრამ ეს გარემოება და, საერთოდ სომხური რედაქციების ერთმანეთთან მიმართების საკითხი, ქართულის ჩვენებათა გათვალისწინებით, ცხადია, ცალკე შესწავლას მოითხოვს.

იოანე ოქროპირის ზემორე აღნიშნული ნაწარმოების სომხური რედაქციები „შუ(ვ)აგ“-ის საპირისპიროდ *თაყალაყ*-ს, ე. ი. „ტალავარს-ს“ აჩვენებენ, როგორც ეს სინურ მრავალთავში სრულად დაცულ ქართულ რედაქციას აღმოაჩნდა.

ამრიგად, მკონია, ექვს აღარ უნდა დაურჩეს ადგილი, რომ თუ არ „ტალავარად“, სხვა რამედ იგულო კაცმა „შუ(ვ)აგი“.

ამ სიტყვის ფონეტიკური მხარე მის მნიშვნელობასთან ერთად გულისყურს სომხურისაკენ მიგვაქცევინებს. სომხურს მოეპოვება *შოლად* — „შუაქ“ სიტყვა, რომელიც დიალექტურ ფორმად ითვლება. მის ლიტერატურულ სახედ

¹ მიქანანიც მსახეხრანის კიოპანინიციუსის ხაქსიკიუსაყხიხი ნაოც. *ქხნხოქს*, 1864, № 26—45.

² იქვე, გვ. 26.

ძველ სომხურში *ჟოღ* — „შუქ“ მიიჩნევა. *ჟოჟღ* — „შუაქ“ სომხურში „ჩრდილს, საჩრდილობელს“, გადატანით „საფარველს“, „პროტექციას“ აღნიშნავს, ხოლო *ჟოღ* — „შუქ“, ამათთანავე ერთად — „პატივს“, „დიდებას“ და „ბრწყინვალებას“.

ქართულის „შუქი“ და „შუგა“ აკად. პრ. აქარიანს მიაჩნია სომხურიდან ნასესხებად¹. მასზე უწინარეს ამასვე აღნიშნავდნენ სხვებიც, მაგ., დ. ჩუბინაშვილი² და ი. აბულაძე³.

სწორია, უდავოდ, აკად. პრ. აქარიანი, როცა ქართ. „შუქ“-თან ქართულივე „შუგა“ აქვს დაკავშირებული. დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონით ხელმძღვანელობდა უბირატესად სომეხი დიდი უნათმეცნიერი, როგორც ის ამას აღიარებს ერთ-ერთ თავის წერილში, რომელიც მან უძღვნა სომხურ *դղხակ* — „დღეავ“-ისა და ქართ. „დილეგის“ ფალაურიდან მომდინარეობის საკითხს, რაც პირველად ჩვენ აღვნიშნეთ სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“ ფურცლებზე⁴. მისთვის რომ დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონს“ მიეწოდებინა „შუგა“, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სულხან-საბას მოეპოვება თავის ლექსიკონში (რომლიდანაც დიდად დავალებულია ის), აკად. პრ. აქარიანი უეჭველად მასაც დააკავშირებდა „შუქ-*ჟოღ*-თან. მაგრამ, რატომღაც, დ. ჩუბინაშვილს ეს სიტყვა ლექსიკონში არ მოუთავსებია, ალბათ იმიტომ, რომ ქართულ იმ წყაროებში, რომლებიც ლექსიკონისათვის მან დაამუშავა, ვერსად დაადასტურა.

ჩვენი აზრით, ქართულ „შუგავ“-„შუგა“-„შუგა-სთან“ ერთად „შუქ-იც“ გარკვეულ მიმართებაშია სომხურ *ჟოღ* — *ჟოჟღ*-თან, სადაც აგრეთვე ქართული-სებრ წინა პლანზე ჯერ *ჟოჟღ* — „შუაქ“ ფორმა არის დასაყენებელი და მერმე — *ჟოღ* — „შუქ“, რა ვუყოთ, რომ *ჟოჟღ* — „შუაქ“ დიალექტური ფორმაა დღეს, სიძველით ის შეიძლება რიტერატურულ *ჟოღ* „შუქ“-ზე უფრო აღრინდელიც იყოს.

ერთმანეთის შესაბამისი ფორმითაცა და მნიშვნელობითაც სომხ. *ჟოჟღ* და ქართ. „შუ(ვ)ავ“ (თავიანთი დაბოლოებით *-აჟ* და *-აჟგ*) ფალაურ — ახალსპარსული *شواش* — „შექუშ“ სიტყვაზე მიგვაქცევენებს ყურადღებას, რაც აღნიშნავს: „პატივს“, „დიდებას“ ან „ბრწყინვალებას“.

ქართ. „შუქი“ ადრეული ხანის ქართულ ტექსტებში არ გვხვდება. ყველაზე უწინარეს ის ჯერხნობით ლეონტი მროველთან შეინიშნება მის „პირველ მამათა და მეფეთა ცხოვრებაში“. იგი აქ „მზის სხივს“ აღნიშნავს⁵. საერთოდ „შუქი“ ქართულში „სხივს“ ანდა „სინათლეს“ უფრო გამოხატავს, ვიდრე „საჩრდილობელს“, „პატივსა“ თუ „დიდება-ბრწყინვალებას“. „საჩრდილობელისათვის“ მას ადრე, როგორც ირკვევა, „შუგავ“-„შუგა“-„შუგა“ ჰქონია.

¹ ჯ. რ. ან ა რ ხ ა ნ, ლაქიქნ არქაოლოგიკან ჩაარან, მხრხან, 1926—1932, IV, გვ. 439.

² დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სპბ., 1887 წ.

³ შანამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო იუსტინე აბულაძემ, თბილისი, 1916, გვ. 841.

⁴ ქ ი ქ ა მ ე ი ჯ ა მ ხ, „დღესას“ წაიქ სთილჟაწილქილქ: მხეღსეღქი ლაქსაქანს *სომხ. ეტიმოლოგიის* მსჯელობა, № 1, ლე 105—108.

⁵ „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955, გვ. 21, 13.

„შუქი“ რომ „პატივს“ და „დიდებას“ ასახავდეს ძველად, ადრეული ხანის ტექსტებში ჩვენ ვერსად დავადასტურეთ.

ამრიგად, „შუქ“ სიტყვა და მისი ადრეული სახეები — „შუვაგ-შუაგ-შუგა“ სომხ. 2015-2016-თან ერთად ერთი საერთო წყაროდან უნდა მომდინარეობდნენ. ეს წყარო, საფიქრებელია, პირველ რიგში ფალაური იყოს.

სომხური დიალექტური ფორმები X საუკუნის ერთი ქართული ხელნაწერის მიხედვით*

X ს-ის არა ერთ ქართულ ხელნაწერს მოუღწევია ჩვენამდის. ზოგი მათგანი თვით ქართულ მიწა-წყალზეა აღმოცენებული, ზოგი კიღევ საზღვარგარეთულ ქართულ საიანეებშია (პალესტინას, სინასა და ათონის მთებზე) დაწერილი. საქართველოს კუთხეთაგან უფრო მეტად ტაოსა და კლარჯეთში შესრულებული ხელნაწერებია მოღწეული. ზოგ ამათგანს დაწერის თარიღი აღბეჭდილი აქვს, ზოგის დაწერის თარიღი სხვა ჭათარილო ნიშნეულობით ირკვევა. უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის ის ხელნაწერი, რომელიც ჩვენთვის ამჟამად საინტერესო მასალას შეიცავს.

ხელნაწერი, რომელიც დასახელებული საკითხისათვის სათანადო მასალას გვაწვდის, წარმოადგენს ჰიმნოგრაფიულ კრებულს, ე. წ. იადგარს, შედგენილს ქართული ორიგინალური და თარგმნილი ჰიმნებისაგან ცნობილი ქართველი ჰიმნოგრაფის მიქაელ მოდრეკილის მიერ. მიქაელის ეს კრებული (S—425), რომელიც 544 უტრატოვანი გვერდისაგან (35,5X30,5 სმ) შედგება¹, ანდერძებში მოხსენებულ ტაო-კლარჯეთს მოღვაწე ისტორიულ პირთა მიხედვით გადაწერილად ითვლება 978—988 წწ. შორის². უადრესი მნიშვნელობისაა ეს ტაო-კლარჯული წარმოშობის ძეგლი, სხვათა შორის, იმითაც, რომ იქ, მსგავსად X ს-ის კიღევ სხვა ნუსხებისა, რომლებიც მოცულობით მასზე მეტად მომცრონია, საგალობლები ნაწერია ნევემებით, ე. ი. სანოტო ნიშნებით, რომელთა ამოშიფრვა, მიუხედავად ცდებისა³, მიღწეული არაა.

იადგარის სხვადასხვა გვერდზე საგალობელთა მუხლების უკანასკნელ სტრიქონზე, ადგილ-ადგილ, როცა სტრიქონზე თავისუფალი საჭიო ადგილი ცარიელი რჩება, ჩაწერილია ხოლმე ტექსტის დამწერისაგვე ხელით სომხური სიტყვა, ან ფრაზა, ერთს გარდა (რომელიც „ბოლორაგირით“ არის შესრულებული), ყველა „ერკათაგირით“ წითლად და შავად. სულ ასეთი 29 შემთხვევაა. აი, მათი სრული ნუსხა სათანადო ადგილების ჩვენებით:

¹ ილ. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი, თბილისი, 1949, გვ. 98—101 (ხელნაწერის ნიმუში) და გვ. 304—305 (ცნობები).

² კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტომი პირველი. II შეცხებელი და შესწორებული გამოცემა, თბილისი, 1941, გვ. 155.

³ I. B. Thibaut, Нотные знаки в грузинских рукописях. „Христианский Восток“, т. III, вып. II, Петроград, 1915, стр. 207—212.

* პირველად დაიბედა სომხურად: ჩანჩხი შათხნაყარანი, № 4, ხრესან, 1968. გვ. 35—42 (რედ.).

1.	7,1 (ბოლოდან)	<i>ს-რ იკორუხე ში-ჩამსიქი ასუნს</i>
2.	42,1 (ბოლოდან) ...	<i>ღმრთისა სამოთხეო ჴრუსხს ა-შ</i>
3.	44,1 ...	<i>დიდი წყალობა</i>
4.	47,20 ...	<i>ცუარი</i>
5.	48,4 ...	<i>უბიწომან სძალმან</i>
6.	55,9 ...	<i>ღ-ისა სიტყუაო</i>
7.	55,11 ...	<i>ადიდებდეს</i>
8.	58,11	<i>ფაოაფუსტის</i>
9.	58,27 ...	<i>ქრისტესსა</i>
10.	60,1 (ბოლოდან)	<i>ს-რ ჴაღზე ხ ჴმარე</i>
11.	76,1	<i>ამას ბრწყინვალესა</i>
12.	86,7 ...	<i>ქმაჲ გ,</i>
13.	160,1 (ბოლოდან) ...	<i>განაახლა</i>
14.	187,1	<i>წინამორბედისასა</i>
15.	204,20 ...	<i>განანათლნა სულნი</i>
16.	204,25 ...	<i>სოფლისანი</i>
17.	206,1 (ბოლოდან) ...	<i>ღ-ი და კაცი ზრული</i>
18.	228,19 ...	<i>მარიაჲ</i>
19.	229,1 (ბოლოდან)	<i>ს-რ იკორუხე ში-ჩამსიქი</i>
20.	266,1	<i>ზეთი წყალობისაჲ</i>
21.	277,21	<i>წყალობაჲ</i>
22.	283,15 ...	<i>გადიდებთ</i>
23.	284,1	<i>გალობით გადიდებთ</i>
24.	352,1 (ბოლოდან)	<i>ქათაჲ თანჲ</i>
25.	470,17	<i>ში-ჩამსიქს (წითლად).</i>
26.	472,1 (ბოლოდან)	<i>ს-რ იკორუხე</i>
27.	516,1	<i>ს-რ ჴაღზე ხ ჴმარე</i>
28.	532,1	<i>ს-რ იკორუხე სსხეფსა</i>
29.	542,1	<i>ს-რ იკორუხე ში-ჩამსიქი</i>
		<i>სიხიქრსაჲჲჲ</i>

უდავოდ, კარგი ხელით დაწერილი ეს სომხური მინაწერები იმავე საწერ-
ლით არის შესრულებული, რითაც ხელნაწერის ტექსტა ნაწერი. ეჭვი არაა,
რომ მინაწერები იმათვე ეკუთვნის, ვინც ტექსტი გადაწერეს. ამდენად, მაშა-
სადაჲ, ტექსტიცა და მინაწერებიც ნაწერია ერთდროულად, რაც, როგორც
ზემოთ აღვნიშნეთ, X ს-ის მიწურულზე მოდის.

გასაგებია, თუ რას გადმოსცემდნენ ისეთი მინაწერები, როგორიცაა: *ს-რ
იკორუხე ში-ჩამსიქი, ასუნს (1), ს-რ ჴაღზე ხ ჴმარე (10), ს-რ იკორუხე
ში-ჩამსიქი (19), ს-რ იკორუხე (25), ს-რ ჴაღზე ხ ჴმარე (26), ს-რ იკორ-
უხე სსხეფსა (27), ს-რ იკორუხე ში-ჩამსიქი (27)*. ხელნაწერის გადამწერი,

რომელთაგან ერთი მიქაელ მოდრეკილთან ერთად მოყვანილ მინაწერებში მოხსენებული სტეფანე შეიძლება იყოს, უფალს მოწყალებასა და ბოროტისაგან დაცვას სთხოვენ, რაც ჩვეულებრივ სხვაგანაც ახასიათებთ ხოლმე ძველ ხელნაწერთა გადამწერებს.

გადამწერის სახელს უნდა აღბეჭდავდეს 24-ე მინაწერიც, რომელიც *შიქსტუს*-ად, ე. ი. „მოსეს“-ად უნდა იქნეს წაიკითხული და არა *შიქსტუს*-ად (მუსეს-ათ), როგორც მისი დაწერილობით უნდა ამოკითხულიყო.

მე-8 მინაწერი *ხსიანთა წიგნი* „შობაჲ ქრისტესი“ იმ დღესასწაულს აღნიშნავს, რომელსაც საგალობლის ტექსტი ეხება.

მე-11 მინაწერი *წიგნი სიბრძნისა* ტრანსლიტერაციითა ამავე სტრიქონზე მის წინ მდგომი ქართული ტექსტის ბოლო სიტყვისა — ბრწყინვალეა.

დანარჩენი 19 მინაწერი, მსგავსად უკანასკნელისა, მათ წინ უშუალოდ მდგომი ქართული ტექსტის ბოლო სიტყვებს გადმოსცემს, მხოლოდ არა ტრანსლიტერაციით, არამედ თითქმის ზედმიწევნითი სომხური თარგმანით:

ა. „ღმრთისა სამოთხეა“	<i>ԴՐԱԿՏ ԱՐՅ</i> (2)
ბ. „ღიღი წყალობაჲ“	<i>ՄԵՆ ՈՂՈՐՄՈՒԹՆ</i> (3)
გ. „ცუარი“	<i>ՅՈՂ</i> (4)
დ. „უბიწომან სძალმან“	<i>ՄՐ ԿԻՈՄ</i> (5)
ე. „ღთისა სიტყუაო“	<i>ԲԱՆՏ ԱՐՅ</i> (6)
ვ. „ადიდებდეს“	<i>ՓԱՐԱԲԱՆԷԻՆ</i> (7)
ზ. „ქრისტესსა“	<i>ՅՄ ԳՄ ՏՐ ԱՐՅ</i> (7)
თ. „გ“	<i>Յ Գ</i> (12)
თ. „განაახლა“	<i>ՆՈՐՈԳԵՅ</i> (13)
ი. „წინამორბედისასა“	<i>ԿԱՐԱՊԵՏ</i> (14)
ი. „განანათლნა სულნი ჩუენნი“	<i>ՂՈՒՍԱՒՈՒՆԻՆ ԶԱՆԶՆ ԶՄԵՐ</i> (15)
იბ. „სოფლისანი“	<i>ԶԱՆԽԱՐԷԻ</i> (16)
იგ. „ღმერთი და კაცი სრული“	<i>ԱՆ ԵՒ ՄԱՐԴ</i> (17)
იდ. „მარიამ“	<i>ՄԱՐԻԱՄ</i> (18)
იე. „ზეთი წყალობისაჲ“	<i>ՋԵԹ ՈՂՈՐՄՈՒԹԷՆ</i> (20)
ივ. „წყალობაჲ“	<i>ՈՂՈՐՄՈՒԹԷՆ</i> (21)
იზ. „გადიდებთ“	<i>ՓԱՌԻ</i> (22)
იძ. „გალობით გადიდებთ“	<i>ԳԻՄՆԱԿ</i> (23)
ით. „შეკმულსრა“	<i>ԽՈՒԷՐՏԱԿՆՅԵՐ</i> (29)

როგორც ვხედავთ, ეს მინაწერები რამე არსებით კავშირში არ არიან ქართული იადგარის ტექსტთან. ისინი იმისთვის მოუთავსებიათ მხოლოდ. გადამწერებს, რომ აჩვენონ ქართულ წერასთან ერთად უცხო წერა-კითხვის ცოდნაც. ტაოსა და კლარჯეთში X ს-ში მოღვაწე ქართველ მწიგნობართათვის უცხო ენათაგან პირველ რიგში ხელმისაწვდომი იყო სომხური და მერმე ბერძნული, როგორც ეს ჩანს ჩვენი მინაწერებიდანაც, სადაც ზოგან სომხურის გვერდით

ბერძნულიცაა მოთავსებული (8 და 14 მინაწ.). ამის განხორციელება მათთვის აქ იმითაც იყო სხვაზე უფრო შესაძლებელი, რომ მათ წრეში ამ დროს უკვე კარგა ხანია გადმოსული იყო რელიგიური აღსარებით მონაზარე სომხობა, რომლებმაც დედა სამშობლოში სამოღვაწეო სარბიელის მოშლის შემდეგ აღსარების საფუძველზე თანდათანობით დაკარგეს მშობლიური ენა, პირველ ყოვლისა, სამწერლო ენის ცოდნა, და საბოლოოდ ქართველობას შეუსისხლბორცნენ.

იღვარის სომხური მინაწერების ენის ახლო გაცნობა უდავოდ მეტყველებს იმაზე, რომ მათი შემსრულებლები სომხურ ენას ფლობენ, შეუძლიათ თავისი აზრითა და დასაწერად აღებული ქართული ტექსტის სიტყვებიც გადმოსცენ სომხურ ენაზე, ისიც კარგი სომხური დაწერილობით. მაგრამ მათი ხელით აღბეჭდილი სომხურის ფორმა ის მაინც არაა, რაც მაშინდელი სალიტერატურო სომხურისათვის იყო დამახასიათებელი. მინაწერების ენა უფრო ცოცხალი სამეტყველო სომხური ენის თვისებებს ამჟღავნებს, ვიდრე სამწერლო ენისას. მისი გადახვევანი სალიტერატურო სომხური ენის გრამატიკული ნორმებისაგან დიალექტის დამახასიათებელ ნიშნებზე მიგვითითებენ ფონეტიკისა და მორფოლოგიის დარგში. რამდენადაც ეს მინაწერები ტაო-კლარჯეთში სრულდება, იმდენად დიალექტური მოვლენები, რომლებიც მათში შეინიშნება, შეიძლება მივიჩნიოთ სომხური ენის ტაოს დიალექტის დამახასიათებლად X ს-ისათვის.

ტაოს სომხური დიალექტის დამახასიათებელი ნიშნები ფონეტიკიდან წარმოდგენილ მინაწერებში შემდეგია:

1. ზოგიერთი ხმოვნის გადიფთონგება:

„ ხმოვანი სიტყვის შიგნით *რ* თანხმოვნის წინ გადიფთონგებულია; უმარცვლო ელემენტად *ჯ* ერთვის ან ამავე ხმოვანს უცვლელად, ანდა *ლ*-დ შეცვლილს. პირველისათვის ერთადერთი მაგალითი (15) გვაქვს *ღოსასლქსგ←ლსასსორსაყ*. ასევე ერთი მაგალითი (29) გვაქვს მეორე შემთხვევისათვის: *ლსლქსგ←ქორსლქსგ*.

მსგავსი მოვლენები დღესაც ადგილის მქონე ყოფილა სომხურის ზოგიერთ დიალექტში, როგორც მაგალითად, ვანის, ურმიისა და მარალის კილოებში!

2. ზოგიერთი დიფთონგის გამოწოფთონგება:

იქ დიფთონგი დახურულ მარცვალში „ მონოფთონგად არის წარმოდგენილი. ამისთვისაც ერთი მაგალითი (5) მოიპოვება: *კჩიი←კჩიუ*. აქ სხვა ფონეტიკური მოვლენაც შეინიშნება, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ჩღ დიფთონგი დახურულ მარცვალში *ჩ* მონოფთონგად გვხვდება. ამისათვისაც ერთი მაგალითი (21) მოგვეპოვება: *იღორმლქჩნ←იღორმლქჩნ*. ეს მოვლენა ფართოდ არის გავრცელებული სომხურის დღევანდელ კილოებშიც, როგორც, მაგ., ერევნისა და ყარაბაღულში².

სა დიფთონგი *ჯ* მონოფთონგად არის წარმოდგენილი, რაც დღევანდელი კილოებისათვისაც უცხო არაა³. ღია მარცვალში ამის მაგალითებია: *იღორმქ*

¹ მ. რ. ოსტროვსკი, ჯაქარაღაღიოცის, სხიქან, 1953, ხვ 116—117.

² იქვე, გვ. 119.

³ ჯ. მ. ნაზარეანი, ჯაქარაღაღიოცის. შიხილა-სიქ-საქიხილან, 1911, ხვ 16.

(1, 19, 27, 28) და *ყაან* (10, 26) — *ილირმხა*, *ყაანხა* (ბრძანებითი კილოს მეორე პირი) ხოლო დახურულში: *ნირიფხე* (13), *ღოსაოიქრხე* (15). და *ილირმოქნ* (20) — *ნირიფხე*, *ღოსაოიქრხე* (აორისტის მესამე პირი), *ილირმოქნან* (ნათესაობითი ბრუნვა). ბრძანებითი კილოს მეორე პირის ფორმა (მოქმედებითი გვარისათვის) ამ სახით ჯერ კიდევ საშუალო სომხურიდან არის დადასტურებული¹. ასევე აორისტის მესამე პირის ფორმის წარმოდგენილი სახით გადმოცემა ჩვეულებრივია საშუალო და ახალი სომხურისათვის². საშუალო სომხურმა იცის აგრეთვე *ქან* დაბოლოებიან სახელთა ნათესაობითში *ან/ქან* დაბოლოება³.

3. ზოგიერთი მჟღერი თანხმოვნის დაყრუება:

გ სიტყვის ბოლოს ერთგან (6) *თ* ყრუ მკვეთრით არის წარმოდგენილი: *მანთ* *ა* ← *მან* *გ* *ა* („ღმრთისა სიტყუა“).

4. უკანა ენისმიერი თანხმოვნის გაპალატალეზა:

გ-ს გაპალატალეზის ერთი შემთხვევა გვაქვს (5): *ჰი-თა-ჰი* („ქალწული“). უკანა ენისმიერი საშუალო თანხმოვნების (*გ* *კ* *ღ*) გაპალატალეზა დღევანდელ კილოებში იშვიათი შემთხვევა არაა (იგი ახასიათებს ყარაბაღულს, ვანურს, ურმიულსა და სხვ. ...)⁴.

5. მახვილის თავისებურებით უნდა აიხსნას *ა*-ს ამოღება სიტყვიდან *სთხიანა* ← *სთხიანა* *ა*, მახვილი აქ (27), ამ სიტყვაში, ჩანს, ბოლოდან მესამე მარცვალზე ყოფილა: *სთხიანა* *ა*.

6. მორფოლოგიის სფეროდან, გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევებისა (ბრძანებითის მეორე პირის, აორისტის მესამე პირისა და *ქან* დაბოლოებიანი ნათესაობითის ფორმათა სახეებისა), აღსანიშნავია ის, რომ აწმყოს პირველი პირის დაბოლოებად მოსალოდნელი *ა* *ღ* სუფიქსის მაგიერ ერთგან (23) გვაქვს *ან* *ღ* *თან* *ღ* ← *თან* *ა* *ღ* („ბოლორაგირთ“ ნაწერს ამ სიტყვაში *ან* ქართული ნუსხური დაწერილობის ნიშნით, *ან*-თია წარმოდგენილი). ასეთი ცვლილება ამ ფორმისა დადასტურებულია ჯერ კიდევ საშუალო სომხურში⁵ და ჩვეულებრივია ახალი სომხურისათვის.

როგორც ვხედავთ, იადგარის მინაწერებში აღბეჭდილი აღნიშნული მოვლენები დიალექტური ბუნებისა გამოდგენენ მწიგნობრულ სომხურს დაუფლებელ ქართული ხელნაწერის დამწერთა წყალობით. ამ მხრივ, მათი დაუხელოვნებლობა სომხურ მწიგნობრობაში ჩვენთვის კარგი შემთხვევა შეიქმნა იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ ტაოს სომხური ცოცხალი მეტყველების, ტაოს სომხური დიალექტის ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშანი.

ქართველ მწიგნობართა ხელიდან გამოსულ ხსენებულ მინაწერებში ქართული მწიგნობრობის გავლენის კვალიც, როგორც მოსალოდნელი იყო, აგრეთვე, აღბეჭდილია. *ან*-სა და *ქან*-ს ერთიმეორის ადგილას ხმარება (*ყაან* *ქ* *ჯარს* || *ყაან* *ქ* *ჯარს*; *ილირმ* || *ილირმ*), ისე როგორც *ღ*-სა და *ღ*-ისაც (*ღოსაოიქრხე* ||

¹ ჯრ. მ ნ ა რ ხ ო ნ, ლიონი ქვიქი ყათმირიონ... 1951, ლ. 249.

² ი ქ ე ე, გვ. 250.

³ ი ქ ე ე, გვ. 243.

⁴ სრ. ღ ა რ ი ქ ა ნ, ჯაყარაყარაყარაყარაყარა, ხრესან, 1053, ლ. 133.

⁵ ჯრ. მ ნ ა რ ხ ო ნ, ლიონი ქვიქი ყათმირიონ... 1951, ლ. 250.

ერძიხს(აქხსა), ყ-ს ნაცვლად *(წიქიქი)* გამოყენებასთან ერთად და ერთგან კიდეც *თახე* ზმნაში ზ-ს მაგივრად ქართული ნუსხური ნ-ს წაცდენა, უდავოდ, იმაზე მეტყველებს, რომ გადამწერისათვის ქართული ენა და მწიგნობრობაა ძირითადი და ღვიძლი, ხოლო სომხური, რომლითაც ის ადგილ-ადგილ მინაწერებს ასრულებს, მწიგნობრულად უცხოა და მწირი, არა ღვიძლი, მაგრამ ზეპირმეტყველებით, პრაქტიკულად — გასაგები და მოსახმარისი.

ტაო-კლარჯული წარმოშობის კიდეც ერთ ხელნაწერს, ცნობილ შატბერდულ კრებულს (S—1141), რომელიც X ს-ის 70-იან წლებშია გადაწერილი, გააჩნია ამ კრებულის გადამწერის იოანე ბერას ხელით შესრულებული რამდენიმე სომხური მინაწერი. ისინი ფოტოტიპურად აქვს გამოქვეყნებული აკად. ნ. მარს თაფის გამოცემაში — *Ипполит—Толкование Песни-Песней* (ТР, кн. III-გვ. XXVIII—XXX).

ზემორე განხილული მიქაელ მოდრეკილისა და სხვების მინაწერების მსგავსი დიალექტური მოვლენები იოანე ბერას მინაწერებშიც შეინიშნება. ასე მაგალითად:

1. ზოგი დიფთონგის გამონოფთონგება:

ბერა ერთგან წერს: *Ա՛՛՛ իրնէ բերաչն գրագիրս, ამին*. აქ *ირնէ* მოსალოდნელი *ირნხა*-ს ნაცვლად არის. *სა* დიფთონგი გამონოფთონგებულია ისევე, როგორც ეს იადგარის მინაწერებში იყო: *ყანէ, ივირძէ←ყანხა, ივირძხა*. ბერამაც, ისე როგორც იადგარის გადამწერმა, სალიტერატურო ფორმა იცის ამ ბრძანებითის მეორე პირის ფორმისა; მიქაელმა მაგ., *ივირძხა* (25), ხოლო ბერამ *ივირძა←აღნხა*. ბერას მიერ *ხა*-ს ასეთი ხმარება იმას მოწმობს, რომ X ს-ის 70-იანი წლებისათვის მისი გამოთქმა *ქა* ყოფილა.

ამავე მაგალითებიდან ისიც დასტურდება, რომ *აა* დიფთონგი X ს-ისათვის *ა*-დ ყოფილა გამოთქმული, ე. ი. *აა* დიფთონგი *ა*-დ გამონოფთონგებულია.

2. ზოგიერთი მეღეროთანი ხმოვნის დაყრუება:

ბერას სომხური „მამაო ჩვენო“-ს პირველ წინადადებაში, რომელიც თავისი კრებულის მინაწერად მოჰყავს, ერთგან ნახმარი აქვს *სირიქ* (←*სირიქ*), რომელშიც ბოლო *ქ* დაყრუებული *ქ* არის, ამრიგად, მეღერი ამასთანაც ზოგჯერ დაყრუებულია ისევე, როგორც იადგარის მინაწერში *բանտ←բანդ*.

იადგარის მინაწერებისაგან განსხვავებით, ბერასთან კიდეც სხვა ფონეტიკურ შემთხვევასაც ვხვდებით. ესაა მახვილხანი *ხ*-ს გადმოცემა *ქხ*-დ. „მამაო ჩვენო“-ს დასაწყისის სიტყვები *Հայր մեր* გადმოცემულია *Հայր միხեր*-ად. ასეთი მოვლენა სომხურ თანამედროვე დიალექტებშიც შეინიშნება, როგორც მაგ., ვანის, ურმიისა და ახალბაიაზეთისაში¹.

ბერასთან უფრო მეტად შეინიშნება ქართული სამწერლობო ენის გავლენის კვალიც. ასე მაგ., *რ*-სა და *ი*-ს განურჩევლობა (*არნէ←აინէ*). რაც ქართულის კარნახით მოსდის, და ზოგიერთი სიტყვის ქართულისებრი ფორმა (*ამინ*

¹ Ա. Ղ. Կ Ր Ի Կ Ս Ա Ն, Հայ բարբառագիտություն... 1953, էջ 110.

ნაცვლად *საქს-*ისა), ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოვიგონოთ აკად. ნ. მარის მიერ გამოტანილი შეფასება ბერას შესახებ: „Но познания этого грузина в книжном армянском, не смотря на его умение каллиграфически выводить армянские буквы, были, очевидно, весьма слабы»¹. ახლა, თუ ერთმანეთს შევადარებთ იადგარის დამწერთა მინაწერებისა და ბერას მინაწერების ენას, იოანე ბერას განსწავლულობა სამწერლო სომხურში პირველებთან შედარებით, მართლაც სუსტი ჩანს.

აი, რას გვაწვდიან X ს-ის ქართული ხელნაწერების დამწერთა მინაწერები ტაოს სომხური დიალექტის შესახებ ძველად. უეპველია, რომ ძველად დიალექტების არსებობა სომხური ენისა ფაქტია და VIII ს-ის სომეხი ავტორის სტეფანოს სივნიელის ცნობაც სასაზღვრო რაიონებში, კერძოდ ტაოში, თავისებური მეტყველების არსებობის შესახებ, სომხური ენის დიალექტებს გულისხმობს და არა ადგილობრივ ძველ მკვიდრთა ენებს, როგორც ეს ზოგ სომეხს ან უცხო მკვლევარს ჰგონია².

1954.4.III.

თბილისი

¹ Н. М а р р, Ипполит, Толкование Песни-Песней. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, книга III, СПб, 1901, стр. XX.

² შტრ. ჯ. რ. ა ნ თ ი ა ნ, Հայոց լեզվի պատմություն... გვ. 128—133.

მედიატორის ანუ ალექტრუმის კმეილი ქართული სახელწოდება

ძველად ჩვენში, სადაც დიდი გავრცელება ჰქონდა სამუსიკო ინსტრუმენტებს ვალობისა და ცეკვა-თამაშის სააკომპანემენტოდ, ფართოდ იხმარებოდა ძალებიანი, ანუ სიმებიანი საკრავები, რომელთაგან თითოეულს იმის მიხედვით, თუ რამდენი სიმისაგან შედგებოდა იგი, ერქვა სათანადო სახელიც, შედგენილი სიმთა ოდენობის რიცხვის აღმნიშვნელი სახელისა და სიმის ძველი ქართული სახელწოდებისაგან, როგორც მაგ., ორ-ძალი, ოთხ-ძალი, ათ-ძალი და სხვა (ძალი, ჩვეულებრივ, ნაწლავისაგან დამზადებული საკრავი სიმის ძველი ქართული სახელწოდებაა).

აკად. ივ. ჭავჭავაძის თავის ერთ-ერთ მეტად საგულისხმო ნაშრომში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ (თბილისი, 1938 წ.), სადაც ვრცლად აქვს საუბარი, სხვათა შორის, ძალებიანი საკრავების შესახებაც, ნათქვამი აქვს, რომ „ძალებიან საკრავთა ერთ ჯგუფს ასახმაურებლად ძალებს, ანუ სიმებს ხელის თითებს, ანდა სავარცხლის კბილს ჩამოჰკრავდნენ და ეხლაც ჩამოჰკრავენ ხოლმე“-ო. მაგრამო, განაგრძობს ავტორი, „ძალების, ანუ სიმების ხელით, ანდა სავარცხლის კბილით ჩამოკვრას გარდა, ზოგიერთს საკრავს სიმთა ახმაურებისათვის განსაკუთრებით გაკეთებული დასარტყმელი ჰქონდა, რომელსაც ბერძნულად Πλῆκτρον (პლექტრონ) და ლათინურად იგივე სიტყვა plectrum-ივე ეწოდებოდა. ქართულად ასეთ დასარტყმელს ძალებიანსაც ეძღვნება ჰქმევი. ეს ტერმინი იოვანე პეტრიწს აქვს ნახმარი“-ო და მოჰყავს იქვე (გვ. 109—110) საკუთარი ახსნა-განმარტებით წყაროს სათანადო ადგილი.

როგორც ეტყობა, სხვა, საგანგებო ქართული სახელწოდება plectrum-ისათვის დიდ მეცნიერს არ შეჰხვედრია. მაგრამ ირკვევა ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ძველი ქართული წერილობითი წყაროებიდან, რომ ძველად plectrum-ის შესაბამისი სპეციალური ქართული ტერმინი არსებულა.

XI ს-ის ქართველი მოღვაწის გიორგი მთაწმიდლის მიერ ბერძნულიდან თარგმნილ ერთ-ერთ ნაშრომებში, რომელიც გრიგოლ ნოსელს ეკუთვნის და «კაცისა შესაქმისათჳს»-ად იწოდება, ერთგან, ბარბითზე (ერთგვარ ძალებიან საკრავზე) საუბრისას, ამ სამუსიკო იარაღის სახელწოდებას ვხვდებით:

„ვითარცა მსახიობელმან ვინმე მოძღუარმან (იგულისხმება: ხელოვანმა დამკვრელმა) დაქსნილთა რაჲ ძალთა ბარბითისათა დაუცის საორძლითა, არა შეწყობილი კმაჲ გამოვალნ, რამეთუ არცა კმობს იგი ტკბილად თვნიერ განრთხმისა და მორთვისა, დაღათუ ქელი იგი ჭელოვნისაჲ ჭელოვნად იძრეინ და თჳსსა ადგილსა ძალთა მათ ზედა აქცევენ (ე. ი. აყოლებს ხოლმე) საორძლიესა მას“... (A—55).

როგორც ვხედავთ, აქ ბარბითის ძალთა, ანუ სიმთა დაცემასა და ამ ძალებზე ხელოვნად მოძრავი ხელის საორძლით მიმოქცევასა თუ გაყოლება-გამოყოლებაზეა საუბარი. საორძლე სწორედ ის იარაღია, რომელიც მუსიკოსის უჭირავს ხელში და ძალებს ანუ სიმებს სცემს, ან აყოლებს მათ წესისამებრ.

აკად. ივ. ჯავახიშვილი, მის მიერ გამოყენებული ძველი ქართული წერილობითი (უმთავრესად გამოქვეყნებული) წყაროების მიხედვით, ძალებიან საკრავთაგან, სხვებთან ერთად, ორძალსაც იმოწმებს და აღნიშნავს (ხსენებული ნაშრომის 132-ე გვერდზე), რომ „ს. ორბელიანს ეს ტერმინი ლექსიკონში შეტანილი არა აქვს, სამაგიეროდ მოყვანილია საორძლე, რომელზედაც ნათქვამია მხოლოდ, რომ საკრავი იყო“ო. ავტორს, როგორც ჩანს, ს.-ს. ორბელიანის განმარტება, რომ «საორძლე საკრავთა (საკრავი)»-ა¹, თავისებურად ესმის. მას ჰგონია, რომ ამ განმარტების მიხედვით საორძლე საკრავი იყო, ე. ი. სამუსიკო ინსტრუმენტი, რაც გ. მთაწმიდლის ზემოხსენებული თარგმანიდან მოტანილი ადგილის შემდეგ ისე კი აღარ უნდა გვესმოდეს, რომ ის საკრავი ინსტრუმენტი, არამედ როგორც საკრავი, ანუ ძალთსაცემელი, რომელსაც სცემენ საკრავ ინსტრუმენტს.

აკად. ივ. ჯავახიშვილს მიერ წარმოდგენილი ზემორე მოყვანილი ხსენა ს.-ს. ორბელიანის განმარტებისა, რომელიც ახლავს საორძლეს, საბას ლექსიკონის ნუსხებში ორნაირად გვხვდება. ლექსიკონის ერთ წყება ნუსხებში (პირველ რიგში ავტოგრაფებში) საორძლეს განმარტებად „საკრავთა“ ახლავს, ხოლო სხვებში (უმთავრესად სხვების მიერ გადაწერილებში) — „საკრავი“, რომელიც საბას ლექსიკონის მეორე გამოცემის რედაქტორთაგანს, პროფ. ა. შანიძეს მართებულად ფრჩხილებში აქვს ჩასმული, როგორც ისეთი მასალა, რომელიც „სულხან-საბა ორბელიანს არ ეკუთვნის“². საბას განმარტება „საორძლე საკრავთა“-აო და სხვების შესწორება კი „საკრავი“-აო, იმისგან უნდა წარმოდგებოდეს, რომ საბა განმარტების ფორმულირებისას ანგარიშს უწევს „საორძლე“ სიტყვის წარმოქმნის ხასიათს — „სა-ე“-ს (ორძალი—საორძლე), ზედსართავის დამახასიათებელ ამ აფიქსს, და მას განმარტებისას ცვლის ამხსნელი სიტყვის, ამ შემთხვევაში არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით (სა-ორძლე-საკრავთა³), ხოლო მისი ლექსიკონის გადამწერები, ეტყობა, ამას ვერ დაჰკვირვებიათ, უცნაურად მიუჩნევიათ და შეუცვლიათ სახელობითი ბრუნვის ფორმით მხოლოდობითში (საკრავთა—საკრავი-ი). თუ პირველ შემთხვევაში „საორძლე საკრავთა“-ა, ე. ი. სამუსიკო ინსტრუმენტების რაიმე კუთვნილება თუ მათთვის დამახასიათებელი რამ, მეორეში ის ოდენ ინსტრუმენტი, რომელიც საორძლე ე კი არა, ორძალად იწოდება ჩვეულებრივ. რა არის ეს საკრავისათვის კუთვნილი თუ დამახასიათებელი რამ, გიორგი მთაწმიდლის ზემორე მოყვანილი ამონაწერის მიხედვით ახლა ადვილი წარმოსადგენია: ეს არის ის, რაც საბასთან „საკრავთა“-თი აღინიშნება და რაც იოანე პეტრიწთან „ძალთსაცემელ“-ად იწოდება. გიორგი მთაწმიდელმაც იცის „ძალთსაცემელი“ გამოთქმის არსებობა. ის მას „საორძლე“ სიტყვის განსამარტავად მოჰყავს ერთგან თავის თარგმანში ნოსელის „კაცისა შესაქმი-

1 ს. ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი... თბ., 1928.

2 იქვე, წინასიტყვაობა, გვ. XXXI.

3 შეიძლება ისიც ვთქვათ, რომ აქ „საკრავთა“-ს აკლდეს მოსალოდნელი და მისით განსაზღვრებული სახელი, რომელიც ლექსიკოგრაფმა განმარტებისას ვერ მოიგონა და ასე დაუთარგმნელი დაურჩა განმარტება.

სათვს“ — „ამას ყოველსა საორძლე იგი ძალთსაცემელი აჩუენებს“... (თავი IX).

ამრიგად, გრიგოლ ნოსელის ნაწარმოების „კაცისა შესაქმისათვს“-ის გიორგი მთაწმიდლისეული ძველი ქართული თარგმანის მიხედვით, საორძლე არის ძალთსაცემელი, ე. ი. სიმების საკრავი, რომელსაც ბერძნულად *πλῆκτρον* და ლათინურად *plectrum* ეწოდება.

გრიგოლ ნოსელის ხსენებული ნაწარმოების გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანში ხმარებული საორძლე რომ მართლაც პლექტრონია, ანუ, იოანე პეტრიწის სიტყვა-სიტყვითი ტერმინით, ძალთსაცემელი, ეს კარგად ჩანს ამავე ნაწარმოების ძველი სომხური თარგმანითაც, სადაც საორძლის შესატყვისად იხმარება *կնտნთոց* რომელიც ძველ სომხურში სიმთ-საცემელს აღნიშნავს და პროფ. ჰრ. აჭარიანის მოსაზრებით ხმაბაძვითი სიტყვაა *კნ—თნ*).

1954.20.VII

თბილისი

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
I. ძველი ქართულის ლექსიკიდან	5
ა) 1. გოვარი — გუარი	5
იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, თბ., 1952.	
ბ) 2. საკუთარი	12
3. გლეხი	22
ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. I, თბ., 1959.	
გ) 4—5. ძალი-ძნობა-მძნობარი და ხე//ხი-ხიობა//სახიობა-მახი-ობელი//მსახიობელი	31
იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XII, თბ., 1960.	
დ) 6. მოთაული	41
იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XIV, თბ., 1964.	
ე) 7. ვაჰმანი-ვაჰმანი	48
საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგ. მეცნ. განყოფილების მოამბე, ტ. III, თბ., 1963.	
ვ) 8. სინური მრავალთავის „არშებრ“ და „მხერვალი“	50
ფილოლოგიური ძიებანი, I, თბ., 1964.	
ზ) 9. ქორიკოზი და ქორეპისკოპოსი	56
კრებული „ორიონი“, ეძღვნება აკად. ა. შანიძეს, თბ., 1967.	
II. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან	60
ა) 1. „ცქაფი-ცქაფვა-მომცქაფავი“	60
თსუ შრომები, ტ. XXVI, თბ., 1944.	
ბ) 2. „განქიქება“	65
თსუ შრომები, XXX, თბ., 1947.	
გ) 3. ლელი	72
თსუ შრომები, ტ. 43, თბ., 1951.	
დ) 4. ნაქარი	75
კრებული კ. აეკელიძე, თბ., 1959.	
ე) 5. მზმელი	78
6. მახალი	81
7. აბეზარ-აბეზრობა	83
ვ) 8. სენი/სენა	86
9. გამწარება	98
საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგ. მეცნ. განყ. მოამბე, № 2, თბ., 1960.	
ზ) 10. წუნობა-დაწუნება	90
საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგ. მეცნ. განყ. მოამბე, № 1, თბ., 1961.	
თ) 11. მჩმუნავი	94
საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXVIII, № 13, თბ., 1965.	
ი) 12. შეპოვნება	98
კრებული „შოთა რუსთაველი“, თბ., 1966.	
III. რამდენიმე საერთო ხმარების სიტყვა ქართულსა და სომხურში	102
1. ქვა	103

2. პაშტი	106
ოსუ შრომები, ტ. 49, თბ., 1953.	
IV. ქართულისა და სომხურის საერთო სიტყვები	109
ა) 1. ბანდაკი	111
2. დროშმი	113
3. ხეესი	
ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1954.	
ბ) 4. შიშ-ი (შიგმაგი)	119
5. ძნ(ობა)	121
6. სპოდინი	123
7. ფაკელი	124
ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, II, თბ., 1957.	
V. ქართულიდან სესხებული სომხური სიტყვები	126
1. ძელოვანი (←ძელ-ი)	126
საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XIXA—XXI, თბ., 1957.	
VI. Несколько общих слов в древнегрузинском и древнеармянском языках	130
1. პინჩი	130
2. ძელოვანი (←ძელ-ი)	131
3. ლელი	133
4. გურკნვა — გრკვნვა	134
<i>ყათმ-ცანსაქრასიან ზანღეს № 2—3 (37—38), ერევანი, 1967.</i>	
VII. ორი გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობისათვის („ლაღონი“ და „პარეხნი“)	135
საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IV, № 9, თბ., 1943.	
VIII. წერის ხელოვნებასთან დაკავშირებული რამდენიმე ძველი ქართული ტერმინი	141
ოსუ შრომები, ტ. XXXIX, თბ., 1950.	
IX. ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII—X სს. ძეგლების მიხედვით	149
ოსუ შრომები, ტ. 53, თბ., 1954.	
X ქართული „ბალავარიანის“ ერთი პერსონაჟის სახელის წარმომავლობისათვის	166
საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXVIII, № 4, თბ., 1962.	
XI. ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი ძეგლები	169
1. ზურაბ შანშოვანი	169
საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. X, თბ., 1940.	
XII. სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები	188
ოსუ შრომები, ტ. III, თბ., 1936.	
XIII. „ვეფხისტყაოსნის“ ახლად მიკვლეული უძველესი (XVI ს.) ხელნაწერის ფრაგმენტი	206
„მაცნე“, № 3, თბ., 1964.	
XIV. შენიშვნები მზია ანდრონიკაშვილის ახალი შრომის შესახებ: „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან“	220
„მაცნე“, № 3, თბ., 1968.	
XV. ქართულის კვალი ძველი სომხური მწერლობის ერთ ძეგლში	228
ოსუ შრომები, ტ. 49, თბ., 1953.	
XVI. К открытию алфавита кавказских албанцев	238
„ენიკის“ მოამბე, VI, თბ., 1938.	

XVII. Новое сведение о существовании письменности у кав- казских албанцев	241
სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილიალის შოამბე, ტ. I, № 4, თბ., 1940.	
XVIII. Еще к вопросу об албанской письменности	244
სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილიალის შოამბე, ტ. I, № 7, თბ., 1940.	

არქივის მასალები

XIX. ძველი ქართულის ლექსიკიდან	246
ა) დილეგი, სადილეგო	246
ილ. აბულაძის პირადი არქივი, № 104.	
ბ) „მაწვა“	250
არქივი, № 139.	
XX. სომხურისა და ქართულის ზოგიერთი საერთო ხმარების სიტყვის წარმოშობისათვის	254
არქივი, № 122.	
XXI. ქართულ-სომხური ლექსიკური შეხვედრანი	260
1. ზეზვა	260
2. ულვაში	262
3. ჭადაგო — ჭადაგობა	263
არქივი, № 107.	
XXII. ქართულისა და სომხურის საერთო სიტყვები	266
ა) 1. პინჩი	266
2. გურკნვა — გრკუნვა	268
არქივი, № 133.	
ბ) შუ(ვ)აგი — შუქი	270
არქივი, № 146.	
XXIII. სომხური დიალექტური ფორმები X საუკუნის ერთი ქართული ხელნაწერის მიხედვით	275
არქივი, № 117.	
XXVI. მედიატორის ანუ პლექტრუმის ძველი ქართული სახელწოდება	282
არქივი, № 118.	

ИЛЬЯ ВЛАДИМИРОВИЧ АБУЛАДЗЕ

ТРУДЫ, II

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორები გ. ნ ი ნ უ ა, ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე
გამომცემლობის რედაქტორი ც. ჯ ი მ შ ე ლ ე ი შ ვ ი ლ ი
ტექრედაქტორი ნ. ო კ უ ჯ ა ვ ა
მხატვარი გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 19.11.1976; ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.12.76;
ქალაქის ზომა 60X90^{1/16}; ქალაქი № 1; ნაბეჭდი თაბახი 25.20;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 19.84;
უე 01642; ტირაჟი 1200; შეკვეთა № 3708;
ფასი 2 მან. 50 კაბ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19